მშვიდობით ძმებო,

გვხვრეტენ ამაღამ!

2016

თბილისი

პროექტის ხელმძღვანელი - ომარ თუშურაშვილი.
პროექტის კოორდინატორი - დავით ალავერდაშვილი.
პროექტის კონსულტანტი - პროფ. მიხეილ ბახტაძე.

სამუშაო ჯგუფი:
ვლადიმერ ლუარსაბიშვილი.
გიორგი მეცხოვრიშვილი.
სოფიო ძულიაშვილი.
ლალი ეხვაია.
ირმა ლაღიძე.

ტექსტის კორექტურა - ირმა ლაღიძე.
დაკაბადონება - სოფიო ძულიაშვილი.

© საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი.

წიგნში გამოყენებულია ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოები.

გამოცემაზე პასუხისმგებელია კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა ან გავრცელება კომერციული მიზნით, ფონდის და არქივის წერილობითი ნებართვის გარეშე. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და ინფორმაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის თვალსაზრისს.

ISBN 978-9941-0-9436-1

სარჩევი

შესავალი 4

აუცილებელი განმარტებები 9

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი 11

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი 61

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი 88

ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი.....123

ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელი 146

იასონ მათეს ძე კერესელიძე 159

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი.....236

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი 262

როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი 307

ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე.....389

ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი.....412

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი 433

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე 459

სიმონ (ნასყიდა) გრიგოლის (იაგორის) ძე ჭიაბრიშვილი.....516

გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი 538

ეპილოგი.....571

შესავალი

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელსაც ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა და რომელიც 1917 წლის ნოემბერში აირჩია საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მმართველობის ფორმად რესპუბლიკა გამოცხადდა. შეიქმნა მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად - აკაკი ჩხენკელი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად - გიორგი ჟურული, სამხედრო მინისტრად - გრიგოლ გიორგაძე, განათლების მინისტრად - გიორგი ლასხიშვილი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრად - ნოე ხომერიკი, იუსტიციის მინისტრად - შალვა ალექსი-მესხიშვილი, ხოლო გზათა მინისტრად - ივანე ლორთქიფანიძე. დაახლოებით ერთ თვეში მთავრობის შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. თავმჯდომარე გახდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღიარებული ლიდერი ნოე ჟორდანია (ნოე რამიშვილმა შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრობა), ხოლო აკაკი ჩხენკელი ევგენი გეგეჭკორმა შეცვალა. ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა, მისი თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე გახდა. 1919 წლის თებერვალში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. 130 ადგილიდან მათ მიიღეს 109 ადგილი, 8 ადგილი ეროვნულ-დემოკრატებს ერგოთ და ამდენივე სოციალისტ-ფედერალისტებს, 5 ადგილი - სოციალისტ-რევოლუციონერებს. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მიიღო.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მრავალი სირთულე იყო. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება გახლდათ. საქართველოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიისგან შედგებოდა, ფაქტობრივად, მუდმივად აწარმოებდა სამხედრო მოქმედებებს, როგორც საშინაო, ასევე საგარეო მტრების წინააღმდეგ. 1918 წლის ზაფხულში გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა შეძლო აფხაზეთში ბოლშევიკების მიერ დაწყებული აჯანყების ჩახშობა და ამ რეგიონზე ხელისუფლების კონტროლი აღადგინა. ამის შემდეგ ქართულმა ჯარმა დროებით ქალაქი სოჭიც დაიკავა. იმავე წლის დეკემბერში ომი დაგვიწყო სომხეთმა. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დასაწყისში განცდილი მარცხის შემდეგ შეძლეს ვითარების გამოსწორება და შეტევაზე გადავიდნენ. მოწინააღმდეგე უკან იხევდა. ინგლისელების ჩარევის შედეგად სამხედრო მოქმედებები შეწყდა. ლორეს ოლქი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. მისი კუთვნილების საკითხი მოგვიანებით უნდა გადაწყვეტილიყო. მანამდე კი ლორეს ნეიტრალურ ზონაში მორიგეობით უნდა მდგარიყვნენ ქართული და სომხური სამხედრო შენაერთები. 1919 წლის დასაწყისში სოჭის ოლქში გენერალ დენიკინის არმიამ სამხედრო მოქმედებები დაიწყო. ქართულმა შენაერთებმა უკან დაიხიეს. მოწინააღმდეგემ აფხაზეთის ტერიტორიაზეც კი შემოაღწია. განხორციელებული კონტრშეტევის შედეგად ქართულმა მხარემ მტერს უკან დაახევინა და აფხაზეთი კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. იმავე წელს ანტისახელმწიფოებრივი აჯანყება დაიწყო სამხრეთ საქართველოში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. გენერალმა გიორგი კვინიტაძემ შეძლო აჯანყებულთა დამარცხება. 1920 წელს, ბოლშევიკების წაქეზებით, აჯანყება დაიწყო შიდა ქართლში. სახალხო გვარდიამ, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, ამ რეგიონში წესრიგის აღდგენა შეძლო.

სამხრეთ კავკასიაში ვითარება კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც 1920 წლის აპრილის ბოლოს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ბაქოში. დამოუკიდებელმა აზერბაიჯანის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. მაისის დასაწყისში საბჭოთა რუსეთის არმიის ნაწილებმა

საქართველოს შემოუტიეს. საქართველოს შეიარაღებული ძალები: რეგულარული არმია და სახალხო გვარდია მტერთან ბრძოლაში ჩაებნენ. ამის პარალელურად, მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი გ. ურატაძე. მოლაპარაკებების შედეგად, 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნო და აღიარა, რომ არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნდა. მიუხედავად ხელშეკრულების დადებისა, საომარი მოქმედებები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გრძელდებოდა. მთავარი ბრძოლები წითელ და ფოილოს ხიდებთან მიმდინარეობდა. ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე დამარცხდა და უკან დაიხია. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე ითხოვდა, რომ ქართული შენაერთები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადასულიყვნენ, გამოეყენებინათ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მომხრე ძალები და ბოლომდე გაენადგურებინათ წითელი არმიის ნაწილები. საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ეს მოსაზრება არ გაიზიარა. მათ, სავარაუდოდ, ჩათვალეს, რომ 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის გარანტია იქნებოდა. ეს შეცდომა აღმოჩნდა. იმავე წლის ნოემბერში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა სომხეთშიც. საქართველო სამხრეთ კავკასიაში ერთადერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩა. ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან მისი ჯერიც დადგებოდა.

1921 წლის 12-13 თებერვლის ღამეს საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა სომხეთის საჯარისო ნაწილები თავს დაესხნენ ლორეს ნეიტრალურ ზონაში დისლოცირებულ ქართულ ძალებს. ქართულმა შენაერთებმა მტერს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მდ. ხრამის მიმართულებით უკან დახევა დაიწყო. 16 თებერვალს საბჭოთა რუსეთის XI არმიის ნაწილებმა წითელი და ფოილოს ხიდების მხრიდან ძირითადი დარტყმა განახორციელა. ქართული შეიარაღებული ძალები უკან დახევას განაგრძობდა. ახლად დანიშნულმა მთავარსარდალმა, გენერალმა კვინიტაძემ, რომელმაც გენერალი ილია ოდიშელიძე შეცვალა, მთელი ყურადღება თბილისის დაცვაზე გადაიტანა. 18-19 თებერვლის ღამეს მტერმა თბილისის დაცვის ცენტრალურ უბანს შეუტია. გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა, რომელიც ამ მიმართულების სარდალი იყო, მოწინააღმდეგე დაამარცხა, უკუაქცია და 1500 წითელარმიელიც დაატყვევა. 19-დან 24 თებერვლის ჩათვლით ქართული შენაერთები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ყველა შეტევას. განსაკუთრებით მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა მარჯვენა ფრთაზე, რომელსაც გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ, სხვა შენაერთებთან ერთად, გმირულად იბრძოდნენ სამხედრო სკოლის იუნკრები და სხვა მსმენელები. 24 თებერვალს მოწინააღმდეგემ მასირებული შეტევა წამოიწყო ყველა მიმართულებით. მარცხენა ფრთაზე, სადაც გენერალი ჯიჯიხია იყო სარდალი, მტერმა ჯავშანმატარებლები და ტანკებიც გამოიყენა. მთელი დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგაც მტერმა ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნა. მარცხით დამთავრდა წითელი კავალერიის რეიდიც, რომელიც ჩვენი მარცხენა ფრთის შემოვლას, ავჭალაში გასვლას და მცხეთისკენ მიმავალი კომუნიკაციების გადაჭრას გულისხმობდა. ასეთ შემთხვევაში თბილისი ალყაში ექცეოდა. წითლების ეს მანევრი დიდწილად პოლკოვნიკმა ირაკლი ცაგურიამ ჩაშალა, როდესაც სოფელ ნორიოსთან მტრის კავალერიას სახალხო გვარდიის ცხენოსანი ესკადრონებით ეკვეთა და მისი უმთავრესი ძალები შეაჩერა. ავჭალაში მისული წითლები კი ადვილად იქნენ დამარცხებულნი. მიუხედავად მტრის შემოტევის მოგერიებისა, გენერალმა კვინიტაძემ ჩათვალა, რომ თბილისის ალყაში მოქცევის საფრთხე რეალურია და 24 თებერვალს, საღამოს, დედაქალაქის დატოვების ბრძანება გასცა. მეორე დღეს, 25 თებერვალს საბჭოთა ჯარები თბილისში უბრძოლველად შემოვიდნენ. ქვეყნის უმთავრესი ცენტრის დატოვებამ გატეხა ქართული შეიარაღებული ძალების უმეტესობის საბრძოლო განწყობა. მარტის დასაწყისში ოსიაურთან განხორციელებული კონტრშეტევა მარცხით დასრულდა. მტრის შეჩერება ვერც ლიხის

ქედზე მოხერხდა. ამავე დროს საბჭოთა რუსეთის XI ნაწილები აფხაზეთის მხრიდან შემოიჭრნენ. მდგომარეობა ურთულესი იყო. ქემალისტებმა დრო იხელთეს და სამხრეთ საქართველოს დაკავება დაიწყეს. ისინი ბათუმშიც შევიდნენ. 17 მარტს საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრებისა და სამხედრო ხელმძღვანელების ნაწილი ემიგრაციაში წავიდა.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა XI წითელი არმიის ნაწილების თბილისში შემოსვლის შემდეგ, ქართველი კომუნისტების მიერ შექმნილმა რევოლუციურმა კომიტეტმა, იგივე რევკომმა: ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, შალვა ელიავას, გიორგი ელისაბედაშვილის, ალექსანდრე გეგეჭკორის, ამაიაკ ნაზარეტიანისა და ბესარიონ კვირკველიას შემადგენლობით, გამოსცა დეკრეტი, რომლითაც მთელი ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღო. რევკომისვე გადაწყვეტილებებით: დათხოვნილ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება; გაუქმდა სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი, მათ ნაცვლად კი დაიწყო ქართული წითელი არმიის ქვედანაყოფების შექმნა. იმავე წლის ბოლოს საქართველოში ჩატარდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნები. საოკუპაციო რეჟიმის პირობებში, ტერორისა და შიშის ატმოსფეროში, ეროვნულ ძალთა დევნისა და განადგურების ვითარებაში ჩატარებულ არჩევნებში საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა. საქართველოს ოკუპაციის ერთი წლის თავზე, 1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა. ყრილობამ მიიღო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება საქართველოს საბჭოების ყრილობას ეკუთვნოდა. რადგან ყრილობები მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით იკრიბებოდა და მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მუშაობდა, ყრილობებს შორის პერიოდში უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ყრილობაზე არჩეულ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, იგივე ცაკს უნდა განეხორციელებინა. აღმასრულებელი ხელისუფლება კი სახალხო კომისართა საბჭოს, იგივე სახკომსაბჭოს გადაეცა.

საბჭოთა ხელისუფლება ძლიერ ავიწროებდა საქართველოში მოქმედ სხვა პოლიტიკურ ძალებს. საქართველოში მოქმედი სხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთაგან იყვნენ: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური, იძულებულნი გახდნენ, 1923 წელს თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინათ. აღნიშნულმა პარტიებმა მხოლოდ ოფიციალურად გამოაცხადეს დაშლის შესახებ, თუმცა რეალურად მუშაობა იატაკქვეშეთში განაგრძეს. ერთადერთი პარტია, რომელიც ლეგალურად არსებობდა და ქვეყნის წამყვან ძალად მიიჩნეოდა, საქართველოს კომუნისტური პარტია იყო. საქართველს კომპარტია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, ის ექვემდებარებოდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, რომელსაც ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა.

1922 წელს გადაწყდა, მომხდარიყო ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ერთ ფედერაციულ რესპუბლიკად გაერთიანება. მიუხედავად ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილის (ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა და სხვ.) წინააღმდეგობისა, ს. ორჯონიკიძემ თავისი გაიტანა და 1922 წლის დეკემბერში შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა. იმავე წლის 30 დეკემბერს კი მოსკოვში გამოცხადდა ახალი სახელმწიფოს - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შექმნა. თავდაპირველად სსრკ-ში ოთხი მოკავშირე რესპუბლიკა შედიოდა: რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაციამ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება გამოიწვია. ქართული საზოგადოება არ აპირებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ადვილად შეგუებას. 24 მაისს თბილისში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია. უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტებმა საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის დროშა აღმართეს. საპასუხოდ უნივერსიტეტს ალყა წითელი არმიის ნაწილებმა შემოარტყეს. საზოგადოების შიშით საბჭოთა ხელისუფლებამ 26 მაისის აღნიშვნა ვერ აკრძალა და ეს დღეც საპროტესტო მსვლელობებით აღინიშნა.

საქართველოში შექმნილი ვითარების გასაცნობად და გარკვეულწილად განსამუხტადაც თბილისში სტალინი ჩამოვიდა. ის ნაძალადევში მუშებს შეხვდა. შეხვედრა დაძაბული გამოდგა. სტალინს სიტყვას აწყვეტინებდნენ, უსტვენდნენ, კითხვებს უსვამდნენ. როდესაც სტალინის შემდეგ აუდიტორიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის უხუცესმა წევრმა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატმა, ისიდორე რამიშვილმა მიმართა, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და ტაშით შეეგება. ასეთივე რეაქცია ჰქონდათ დამსწრეებს, როდესაც სცენაზე ცნობილი სოციალ-დემოკრატი, თავის დროზე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ალექსანდრე დგებუაძე ავიდა. გამომსვლელებმა პირდაპირ მიახალეს სიმართლე სტალინს. ამ შეხვედრამ დაადასტურა, რომ მუშათა კლასიც, რომელსაც კომუნისტები თავის დასაყრდენად მიიჩნევდნენ, ვერ ეგუებოდა საქართველოს დაპყრობას.

1921 წლის შემოდგომაზე ბიძინა პირველის, ნესტორ გარდაფხაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით, ანტისაბჭოთა აჯანყება დაიწყო სვანეთში, რომელშიც 2 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი არმიის ნაწილები გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად, თან, ამის პარალელურად, იძულებული გახდა, სვანეთის მოსახლეობასთან მოლაპარაკება დაეწყო. მალე მღელვარება რაჭა-ლეჩხუმსაც გადაედო. კომუნისტებმა მხოლოდ 1922 წლის ზაფხულში შეძლეს სვანეთში საკუთარი ძალაუფლების აღდგენა.

1922 წლის თებერვალში საპროტესტო გამოსვლები მოეწყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ დაბებში.

1922 წლის აპრილ-მაისში იტალიის ქალაქ გენუაში საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა, რომელსაც ოცდაათამდე სახელმწიფოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციას წერილი გაუგზავნა საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ. ქართული ეკლესიის მწყემსმთავრის წერილში ჩამოყალიბებული იყო ორი მთავარი მოთხოვნა: „დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან; საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშავოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება. სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულვებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“. ხელისუფლებამ კათოლიკოს-პატრიარქის დევნა-შევიწროება დაიწყო, რაც მოგვიანებით მწყემსმთავრისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრთა დაპატიმრებით დასრულდა.

1922 წლის გაზაფხულზე საქართველოში ჯერ სამხედრო ცენტრი, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩამოყალიბდა. სამხედრო ცენტრს უნდა მოემზადებინა და შემდგომში ეხელმძღვანელა ანტისაბჭოთა აჯანყებისთვის. სამხედრო ცენტრის წევრები ცნობილი ქართველი სამხედროები იყვნენ. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს (მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: „დამკომი“, „პარიტეტული კომიტეტი“, „ინტერპარტიული კომიტეტი“), მას აჯანყების მომზადების საერთო ხელმძღვანელობა უნდა განეხორციელებინა. დამკომში გაერთიანდნენ შემდეგი პარტიები: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული,

სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები. დამკომის პირველი წევრები იყვნენ: გოგიტა (გიორგი) ფაღავა (სოციალ-დემოკრატი), იასონ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), გრიგოლ რცხილაძე (სოციალისტ-ფედერალისტი), იოსებ გობეჩია (სოციალისტ-რევოლუციონერი), მუხრან ხოჭოლავა (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი). დამკომის პირველი თავმჯდომარე გოგიტა ფაღავა იყო, რომელიც მალე ნიკოლოზ ქარცივაძემ შეცვალა. ეს უკანასკნელი 1923 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს და დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი გახდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედება დაიწყეს პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან. გურიაში მანწკავას რაზმი მოქმედებდა, ქართლში - მიხეილ ლაშქარაშვილის. ყველაზე ცნობილნი კახეთში მოქმედი ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულები“ იყვნენ. ქაქუცას პირველი სერიოზული შეტაკება საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ ნაწილებთან 1922 წლის ივნისში კახეთში მოუხდა. ამის შემდეგ ქაქუცა შეხვდა პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილს, რომელიც დიდი ანტისაბჭოთა აჯანყების გეგმაზე მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ კოტე აფხაზს და ალექსანდრე ანდრონიკაშვილს აჯანყების გეგმა მოეწონათ, დამკომმა შეიარაღებული გამოსვლა ნაადრევად მიიჩნია. თუმცა ჩოლოყაშვილის რაზმს კომუნისტებთან რამდენიმე სერიოზული შეტაკება მოუხდა და ყოველივე ეს მალე აჯანყებაში გადაიზარდა, რომელიც მალე მთელს ფშავ-ხევსურეთს მოედო. „შეფიცულებმა“ ჯერ სოფელ მაღაროსკართან, ხოლო შემდეგ ორწყალთან დაამარცხეს რიცხვმრავალი მტერი. გეგმის თანახმად, ამ ბრძოლაში მიხეილ ლაშქარაშვილის რაზმი უნდა ჩართულიყო და შემდეგ შეერთებული ძალებით თბილისისთვის შეეტიათ. ლაშქარაშვილის რაზმმა ამოცანა ვერ შეასრულა და ქაქუცამ ბრძოლა ფშავ-ხევსურეთში განაგრძო. საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყების ჩასახშობად დიდი ძალების მობილიზაცია დაიწყო. ავიაციაც კი გამოიყენეს. სექტემბერში „შეფიცულებმა“ ხევსურეთი დატოვეს და კახეთში გადავიდნენ. დიდი ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობის პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ სამშობლოში დარჩენილი და თავისუფლებისათვის მებრძოლი მამულიშვილებისათვის. ეს თანადგომა, ძირითადად, გამოიხატებოდა: გარკვეული რაოდენობის თანხების მოწოდებაში, მითითებებისა და რჩევების გამოგზავნაში, ცალკეული პირების ჩამოსვლაში. საერთაშორისო ასპარეზზე კი დევნილობაში მყოფი ქართველი მოღვაწეები მიმართავდნენ სხვადასხვა ქვეყნებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კონფერენციებს. აქტიურად თანამშრომლობდნენ ასევე ემიგრაციაში მყოფ აზერბაიჯანელ, ჩრდილოეთ კავკასიელ და სომეხ პოლიტიკოსებთან. მათი მიზანი იყო ერთიანი, საერთო კავკასიური ანტისაბჭოთა ბრძოლის ორგანიზება კავკასიაში. სამწუხაროდ, ყოველივე ეს მხოლოდ მცირედით ეხმარებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, ებრძოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მიმართავდა ტერორს, დაპატიმრებებს. ყოველმხრივ დევნიდა და ავიწროებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს. სამსახურებიდან და სასწავლებლებიდან აგდებდნენ „არაკეთილსაიმედოებს“. ამ ბრძოლის ავანგარდში კი საბჭოთა სპეცსამსახურები: ამიერკავკასიის საგანგებო კომისია (Закавказская Чрезвычайная Комиссия, შემოკლებით ЗАКЧЕКА) (თავმჯდომარე სოლომონ მოგილევსკი) და საქართველოს საგანგებო კომისია (თავმჯდომარე ეპიფანე კვანტალიანი, მოადგილე - ლავრენტი ბერია) იდგნენ. „ჩეკა“ აპატიმრებდა საეჭვოებს, თავის აგენტურას ნერგავდა მოწინააღმდეგის რიგებში, ცდილობდა ეროვნული მოძრაობის წევრების გადაბირებას (ცალკეულ შემთხვევებში, ახერხებდა კიდეც) და სხვ. აღსანიშნავია, რომ დამკომსა და სამხედრო ცენტრსაც ჰყავდათ თანამოაზრეები და მხარდამჭერები „ჩეკასა“ და სხვა საბჭოთა სტრუქტურებში, რომლებიც

მათ ინფორმაციას აწვდიდნენ.

ასეთი იყო ზოგადი ვითარება საქართველოში, როდესაც სამხედრო ცენტრი და დამკომი დიდი ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზადებლად მუშაობდა და როდესაც 1923 წლის მარტში საბჭოთა ხელისუფლებამ სამხედრო ცენტრის წევრების დაპატიმრება დაიწყო.

პროფ. მიხეილ ბახტაძე.

აუცილებელი განმარტებები

წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის დოკუმენტები. მათ შორის ფრიად მნიშვნელოვანია დაკავებულთა ჩვენებები. „სამხედრო ცენტრის“ წევრთა დაპატიმრება მოხდა 1923 წლის მარტის დასაწყისში. საბჭოთა სპეცსამსახურები ძიებას დაახლოებით ორთვენახევრის განმავლობაში აწარმოებდნენ. 19 მაისს ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიათა ერთობლივ სხდომაზე დაპატიმრებულებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

დაკავებულთა ჩვენებების გაცნობისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რა ვითარებაში იქმნებოდა აღნიშნული დოკუმენტები. ისინი ცდილობდნენ, ძიებისთვის კვალი აებნიათ და ამიტომ არ ამბობდნენ სრულ სიმართლეს. გარკვეულ ინფორმაციას მალავდნენ, რეალურ ვითარებას ცვლიდნენ და ა.შ. ამითაც შეიძლება აიხსნას ის წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობს სხვადასხვა პირთა ჩვენებებს შორის. აღნიშნული ჩვენებები, ცხადია, ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, მაგრამ ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო, მათში დაცული ცალკეული ინფორმაციები შესაძლოა არ იყოს ჭეშმარიტი და შეიცავდეს უზუსტობებსა და შეცდომებს. ამიტომ აუცილებელია ამ დუკუმენტების კრიტიკული განხილვა, გაანალიზება და მხოლოდ შემდეგ გარკვეული დასკვნების გაკეთება.

გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტები შექმნილი და დაწერილია საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურებში, შესაბამისი იდეოლოგიისა და რეალობის გათვალისწინებით. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება მტრულად იყო განწყობილი იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, რომელიც საქართველოში დაიწყო 1921 წელსვე, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველო. ქართველი ხალხის ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისთვის საბჭოთა ხელისუფლება ბანდიტიზმსა და ყაჩაღობასთან აიგივებდა. თავდადებულ მამულიშვილებს კი ბანდიტებს, ყაჩაღებს და ავანტიურისტებს უწოდებდა. ამიტომ დოკუმენტებში გვხვდება ტერმინები: „ბანდა“, „ბანდიტები“, „ავანტიურა“ და ა.შ. ცხადია, რომ რეალურად საქმე გვაქვს პარტიზანულ რაზმებთან (ასეთი იყო, მაგალითად, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი „შეფიცულები“), რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედებდნენ და არ წყვეტდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

„ბანდიტიზმისა“ და „ავანტიურიზმის“ გარდა, სამხედრო ცენტრის წევრებს ბრალად უყენებდნენ ანტანტის[1] აგენტობას და იმპერიალისტებთან თანამშრომლობას. არანაირი კავშირი

1 ანტანტა - სამხედრო პოლიტიკური კავშირი, რომელიც შეიქმნა პირველ მსოფლიო ომამდე და მასში თავდაპირველად შედიოდნენ: ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი. რუსეთში ბოლშევიკების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ანტანტის წევრი ქვეყნები გარკვეული სახის (სამხედრო, ფინანსური, პოლიტიკური) დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს.

უცხოეთის სახელმწიფოებთან სამხედრო ცენტრის წევრებს არ ჰქონდათ. ამ აბსურდული ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საზოგადოების თვალში სამხედრო ცენტრის წევრები წარმოეჩინა, როგორც უცხო ქვეყნის კაპიტალისტთა ინტერესების გამტარებლები.

სამხედრო ცენტრის საქმესთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლებამ სამ ათეულზე მეტი ადამიანი დააპატიმრა. თხუთმეტ მათგანს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიესაჯა. დაპატიმრებულებს: რევაზ ჩიქოვანს, ნიკოლოზ ციციანოვს (ციციშვილს), ივანე ბრაძელს, დიმიტრი გვარამიძეს და მიხეილ ლაშხს მიესაჯათ 5 წელი სასტიკი იზოლაციით. გიორგი მაზნიაშვილს მიესაჯა 5 წლით საქართველოდან გასახლება. უდანაშაულოდ ცნეს და გაათავისუფლეს: ვლადიმერ ანთაძე, იოსებ გომართელი, დავით ვაჩნაძე, ტარასი ვაშაკიძე, ივანე იოსელიანი, კონსტანტინე მესხი, დავით სუმბათაშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი, ივანე ფაღავა, იოსებ გედევანიშვილი, იოსებ ბერეჟიანი.

საინტერესოა კიდევ ერთი პიროვნების, პოლკოვნიკ ივანე ნარიკელაძის საკითხი. მისი ჩვენებები სამხედრო ცენტრის სხვადასხვა წევრებთან დაკავშირებით მრავლადაა საქმეებში, თუმცა საბოლოო განაჩენში, რომელიც საბჭოთა პრესაშიც გამოქვეყნდა, ივანე ნარიკელაძე საერთოდ არ არის ნახსენები. მაშინვე არსებობდა ეჭვი, რომ ნარიკელაძე საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და მისი ღალატის შედეგად მოხდა სამხედრო ცენტრის განადგურება. ამ ეტაპზე ამის დანამდვილებით მტკიცება რთულია, თუმცა ეჭვის საფუძველი არსებობს.

კვლევის ამ ეტაპზე გადაწყდა მხოლოდ იმ თხუთმეტი მამულიშვილის საქმის შესწავლა და საზოგადოებისთვის გაცნობა, რომლებსაც დახვრეტა მიესაჯათ. ამ უკანასკნელთა საქმეებიც ძალიან დიდ მასალას შეიცავს, რომლის (ზოგიერთი საქმე 300-400 გვერდს მოიცავს) სრული და ამომწურავი ანალიზი დროის შეზღუდულ პერიოდში სრულიად შეუძლებელია. ამიტომ გადაწყდა საზოგადოებისათვის დაპატიმრებულთა საქმეებში არსებული უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების მიწოდება. აღსანიშნავია, რომ არა მარტო ფართო საზოგადოებისთვის, არამედ სპეციალისტთათვისაც უცნობი იყო არქივში დაცული უამრავი დოკუმენტი.

საქმეებში არსებული მასალები შედგენილია რუსულ ენაზე. მათში მოხსენიებულ პირთა გვარები ხშირად მოცემულია რუსული ფორმით - მაგ. ჩოლოკაევ (ჩოლოყაშვილი). ერთი და იგივე პიროვნების გვარი შეიძლება დაფიქსირებული იყოს ქართული ფორმითაც და რუსულითაც, მაგ. კლიმიაშვილი - კლიმიევ, ყარალაშვილი - ყარალოვ.

დღეს არსებულ საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, სავარაუდოდ, არ არის სრული. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში სხვადასხვა დროს ხდებოდა ამ საქმეთა ხელახალი აღრიცხვა და ალბათ, გადახედვაც. ერთ-ერთი მორიგი აღნუსხვა, მაგალითად, მოხდა 1962 წელს. ამას ადასტურებს საქმეთა თავფურცელზე დასმული ბეჭედი. საფიქრებელია, რომ რაღაც მომენტში მოხდა ცალკეული დოკუმენტების ამოღება საქმეებიდან. თუ რა მიზნით, უცნობია. შესაძლოა, გასანადგურებლადაც.

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი


(1871 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23523, 1 ტომი, 123 გვერდი.

<u>საქმეში არსებული დოკუმენტაცია:</u>

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ქვითარი, ცნობა;
- მემორანდუმები;
- ბრალდებულის დაკითხვის ოქმი;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენებები;
- პატიმრის მეუღლის წერილები;
- სამედიცინო ცნობები;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან;
- პატიმრის წერილები;
- სამსახურებრივი მიმოწერა;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან;
- დადგენილება (განაჩენი).


Архив № 284

30/V 1923 года

Закавкасск. Чрезвыч. Комиссия

при Союзсовете

ДЕЛО № 133р.

по об. Андроникова Ал-дра

Теймуразовича в кав. рев.

Учтено в 1962 году

арх. 22045-53

Начато „ 7 „ марта 1923 г.

Кончено „ 19 „ мая 1923 г.

арх № 284 28139

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 3.

გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი

ბედნიერება იყო მასთან სამსახური. თავდაჭერილი, მტკიცე და შეურყეველი, არამც თუ ჩვენი მხედრობის (თანაც ასე მცირე), არამედ უდიდესი სახელმწიფოების სამხედრო საქმის მეთაურობა მიენდობოდაო, - ამბობენ თანამედროვენი.

/ჟურნალი „კარიბჭე“. კახაბერ კენკიშვილი./

ანდრონიკაშვილი ამბობდა: „ქართველ ხალხს სასაყვედუროს ვერას ვეტყვით, ქების ღირსია, მთელი ერი ერთსულოვნად გამოვიდა სამშობლოს დასაცავად. მნელად თუ რომელიმე სხვა უფრო დაწინაურებული და მოწყობილი ერი ასეთ შეგნებულ პატრიოტიზმს და თავდადებას იჩენს ომის დროს. მშიერ-მწყურვალნი, უტანისამოსოდ იდგნენ თოვლიან სანგრებში ჩვენი ჯარისკაცები. მუდმივ ბრძოლაში ჩართულნი, დასვენებას მოკლებულნი. მიუხედავად ამისა, ჯარისკაცების სიმტკიცე სრულიად არ შერყეულა, სანამ მთელს საქართველოში არ გამეფდა ევაკუაციისა და გაქცევის ფსიქოზი. ეს საშინელი ფსიქოზი კი სათავედან დაიწყო“.


სიკვდილით დასჯის წინაც აუღელვებელი, მშვიდი და მედიდური იყო ანდრონიკაშვილი, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა ჯალათებს:

„სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე, - იქნება ქართველი ყველა ამისთანა (კვანტალიანზე მიუთითა) გეგონათ? მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს“.



საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის 3 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N37 ორდერი, რომლის მიხედვითაც, ЗАКЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე ეკატერინინს ევალებოდა ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის დაპატიმრება და ოლგას ქ. N33-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

ОРДЕР № 37

Марта 3 дня 19 23.

Выдан сотруднику Закчека Екатерининну

на производство обыска и ареста Андроникова Александра Семеновича

по адресу Ольгинская 33.

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Место для печати

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Справка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 4.

იმავე დღეს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N37 ორდერის საფუძველზე შედგა ჩხრეკის ოქმი,[1] საიდანაც ირკვევა, რომ ანდრონიკაშვილისგან ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის მიმოწერა, იარაღები: ნაგანი N2712 და კოლტი N2812, 20-20 ვაზნით, ბუდეებითა და ქამრებით, ასევე პირადი ჩხრეკისას: საათი N3193, ძეწკვი სხვადასხვა ფიგურით, ჯაყვა და დოკუმენტაცია შემდეგი ნომრებით: N463, 244, 30, 144, 2207, 64, 351, 472, 1832.

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი დააპატიმრეს1923 წლის 3 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

<u>დაპატიმრების ფურცელი N96</u>

გვარი, სახელი, მამის სახელი	ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე
მისამართი	ოლგას ქ. N33.
ასაკი	51 წლის.
განათლება	უმაღლესი.
პროფესია	სამხედრო სკოლის მასწავლებელი.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	1921 წლიდან ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლაში.
პარტიულობა	უპარტიო
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა
რა საშუალებით ცხოვრობს	ლექციებისთვის გადახდილი თანხებით.
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
რის საფუძველზე	

ხელმოწერა: **ანდრონიკოვი.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 5, 10-11.



Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 96

„3" марта 1923 г.

Фамилия Андроников Имя и отчество Александр Семенович

Адрес: Ольгинская 33

Возраст 51 г.

Образование Высшее

Профессия преподаватель высших наук

Где работает и долго ли в 1 гос. Свобод. школе с 1921 г.

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли нет

На какия средства живет на получаемые за лекции.

Имеет ли семью имел

Кем арестован по ордеру Закчк.

На каком основании

Подпись: Андроников

Приметы:

Сдал Принял

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სს N23523. ტ. 1. გვ. 6.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის


<u>ანკეტა N96</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	ანდრონიკოვი
2) ***სახელი, მამის სახელი***	ალექსანდრე სიმონის ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველოს სსრ.
4) ***ჩაწერის ადგილი***	თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, ქ. სიღნაღი.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	51 წლის, 1871 წლის ოქტომბერი.
7) ***განათლება***	უმაღლესი, სამხედრო სასწავლებლის აკადემია.
8) ***ოჯახი***	***მეუღლე:*** მარიამ ივანეს ასული ანდრონიკაშვილი, მცხ. თბილისში, ოლგას ქ. N33-ში, დიასახლისი.
	დები: ნინა სიმონის ასული ანდრონიკაშვილი, მცხ. ქ. სიღნაღში, მასწავლებელი. ელისაბედ სიმონის ასული ანდრონიკაშვილი, მცხ. ქ. სიღნაღში, დიასახლისი. ვარვარა სიმონის ასული სტრელბიუმი, მცხ. ქ. სიღნაღში, მასწავლებელი.
9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	***ცოლისძმა:*** ზაალ ივანეს ძე ტერიევი, სააღალო ბატალიონის კაპიტანი, ქ. დუშეთის სამხედრო კომისარიატი.

10) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი***	***ნაცნობი:*** ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გედევანოვი, სსრ საქართველოს სსრ კომისარიატის თანამშრომელი.
11) ***პარტიულობა***	უპარტიო
12) ***პროფესია***	ქართული შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი.
13) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლაში 1921 წლის აპრილიდან ივლისამდე და 1921 წლის ნოემბრიდან დაპატიმრებამდე - სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი. ბ) საქართველოს წითელი არმიის საჯარისო ნაწილების მეთაური 1921 წლის ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით - სამხედრო სასწავლებლის უფროსი. გ) სამხედრო სასწავლებლის უფროსი 1918 წლის ნოემბრიდან 1921 წლამდე - გენერალური შტაბის მეთაური, ქართული სამხედრო სკოლის ხელმძღვანელი. დ) 1917 წლამდე იბრძოდა დასავლეთ ფრონტზე - შტაბის დივიზიის მეთაური, პოლკის მეთაური და კორპუსის შტაბის მეთაური.
14) ***წოდება***	ძველი არმიის პოლკოვნიკი.
15) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	
16) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არა
17) ***ნასამართლობა***	არა
18) ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება***	
19) ***როდის მოხდა დაპატიმრება***	1923 წლის 3 მარტს.
20) ***ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი***	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
21) ***სად მოხდა დაპატიმრება***	თბილისში, საკუთარ სახლში.

22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	არავის დაუკითხავს.
23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	არა.
24) *სავხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	ოლგას ქ. N33.
პატიმრის ხელმოწერა:	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	



Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии


1.7

АНКЕТА № 96

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.
Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
I-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Андроников
2) Имя и отчество	Александр Семенович
3) Гражданин(ка) какого государства	С С Р. Грузии
4) Место приписки	Губ.: Тифлисский; уезд Сигнахский; село; город г. Сигнах
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	51 г. лет, родился в 1870 месяца 1870 года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) грамотный б) окончил академию Тифлис. Ист. Каф. Коммерческого Училища и Тифлисскую Духовную Семинарию в) прошел 7 классов, 2 курса
8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)	Степень родства / ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО / Возраст / Место жительства / Место работы и должность или профессия 1 Жена — Мария Ивановна Андроникашвили — 39 — Тифлис, Ольгинская 33 — домашняя хозяйка 2 Сестра — Нина Семеновна Андроникашвили — 47 — г. Сигнах — учительница 3 Ольга Семеновна Андроникашвили — 45 — г. Сигнах — учительница 4 Варвара Семеновна Стрелкова — 43 — г. Сигнах — учительница 5
9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)	Степень родства / ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО / Воинское звание, чин, род оружия в старой армии / Место службы и должности в настоящее время 1 Шурин — Тереев Заал Иванович — Кандидат в Обозном б-ке — в г. Дуэкер в управлении Военного комиссара
10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (степ. муж, сыновья, братья)	Степень родства / ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО / Военное звание, род оружия или спец. в Красн. Ар. / Место службы 1 Зять — Гаделия Николай Константинович — Помощ. Военного Комиссара С С Р. — Военный Комиссариат С С Р.
	2 3 4 5

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 7.



11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какого времени	а) состою членом Безпартійний партии б) месяца 19 года
12) Профессия	Военно педагогическая деятельность
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1-ш 1917 г.; б) с 1-ш 1917 г. по день ареста	НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ / ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ а) Груз. Сборная военная школа с 1921 г. Лиронца до наших дней и с Ноябрь 21, по день ареста — Комендатура Груз. Крас. Начувбез Груз. Крас. Начувбез Груз б) Начувбез Груз по Ноябрь 21. с 1918 по 1921 г. — в Грузии на Западном фронте и в старой армии
14) Если состоял на госуд. службе, то в как и чине	Нач школы преподаватель. Главком Грузии. Нач Груз Сборной школы, Нач Генер штаба Нач Груз Сборной школы, Нач штаб дивизии, Ком корп Полковник
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	нет
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	нет
17) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) б)
19) Когда арестован	3 · мар месяц 19 23 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	по ордеру ЗакЧК
21) Где арестован: а) губер., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) в Тифлисе б) на своей квартире
22) Когда и кем допрошен в первый раз	еще не допрошен
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно	нет
24) Место жительства перед арестом	Обвинал ул. д № 33

Подпись заключенного

« » 19 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдел XI Армии

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим каранда
четко, разборчиво, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок

სსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 8.

XI წითელი არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული

განსაკუთრებული განყოფილება

სამორიგეო ნაწილი


ნივთების ქვითარი N31

3 მარტი 1923 წ.

მოქალაქე ალექსანდრე ანდრონიკოვის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები:

1. რევოლვერი „ნაგანი“ N2812 – 1 ცალი.
2. ყელსაბამი - 1 ცალი.
3. ვაზნა - 20 ცალი.
4. საათი N3193 – 1 ცალი.
5. ჯაყვა - 1 ცალი.

ჩავიბარე ЗАКЧЕКА-ს მორიგემ: ***ხელმოწერა.***



Особый отдел
при Рев. Военном совете XI красной армии
КОМЕНДАНТСКАЯ ЧАСТЬ

Вещевая квитанция № 31

3 Марта 1923 г.

У гражд. Андроникова Александровича

На основании протокола обыска

На квартире ул. 3/III-23 г.

№ по описи	Перечень принятых вещей	Количество	СУММА Р.	СУММА К.	ВЕС П.	ВЕС Ф.	ВЕС З.
1	Револьв. „Наган“ № 2812	1 шт					
2	Цепочка цепи с ключ.	1 шт					
3	Кинжал	1 шт					
4	Часы серебр. с цепоч.	1 шт					
5	Нож перочин.	1 шт					

Принял денежн. зав. Ка[illegible]

ШЬს არქივი, (I) ფ. N6. ььს N23523. ტ. 1. გვ. 9.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[2]

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, შეტყობინება 15/I.

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი - ყოფილი გენერალი, ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლაში კითხულობს ლექციებს, მსმენელთა შორის სარგებლობს დიდი სიმპათიით.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, სანდო პირი „2065“, შეტყობინება 23/IX.

დადგენილია ნარიკელაძესთან ვიზიტით მყოფი პირები: 1. ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, მცხ. ოლგას ქ. N33-ში, 51 წლის, ადგილობრივი, ქართული შეერთებული სკოლის მეთაური. 2. დიმიტრი თოფურიძე, მცხ. ვერის დაღმართი, ბინა N3.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, სანდო პირი „რეგო“, შეტყობინება 3/X.

დადგენილია კავშირი ნარიკელაძესა და ანდრონიკაშვილს შორის. ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე, თავადი, ყოფილი გენერალი, კურსანტთა შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი.


ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, საიდუმლო ქვედანაყოფის მემორანდუმიდან.

ანდრონიკაშვილი შემჩნეულია ნარიკელაძესთან კავშირში. იგი მსახურობდა მენშევიკებთან, იყო კოჯრის ფრონტის ხელმძღვანელი, არაკეთილსაიმედოა, არის მონარქისტი.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, საიდუმლო ქვედანაყოფი.

ივანე ივანეს ძე ნარიკელაძე - თავს ამჟღავნებს როგორც ფედერალისტი, იმყოფებოდა ინგლისში ენის შესასწავლად, მენშევიკების დროს მსახურობდა კონტრდაზვერვაში, ამ მომენტისთვის იმყოფება კავშირში ალექსანდრე და ნიკოლოზ გედევანოვებთან, გენერალ ანდრონიკაშვილთან.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 15.



Закуска.

Сов. секретно:

МЕМОРАНДУМ № 84

На

По делу № литер

„ „ 1923 г.

О Т Д

№№ по пор.	Источник	Дата	СОДЕРЖАНИЕ	Разработка
1.	Аг. 23/ 2065	IX	Установлено посещение НАРИКЕЛАДЗЕ I/АНД ОНИКАШВИЛИ Александр Семенович Олегинская 33,51 под.местным Гл-ру Тифгородшколы и 2/ Д-р ТОПУРИДЗЕ- Верийский спуск д 3.	
2.	Его 3/X		Установлением в связи с НАРИКЕЛАДЗЕ АНДРОНИКАШВИЛИ А-ндр Семен.Князь б.генерал подп.сред.бриг.курсантов.	
3.	Секо		АНДРОНИКАШВИЛИ замечен в связи с НАРИКЕЛАДЗЕ.Служил у меньшевиков был командующим Кодорским фронтом. Состоит при ВКЦИ.Наблюдение,монархист.	
4.	Секо мемор.		НАРИКЕЛАДЗЕ Ив.И.-видает себя за федералиста,был в Англии для изучения замков,при меньшевиках служил в к-разведке,в наст.время связь с ГЕДЕВАНОВЫМ Алек-дром и Николаем,с генералом АНДРОНИКОВЫМ.	
5.	Осв. 15/I		АНДРОНИКАШВИЛИ Алек-др б.генерал читает лекции в Тифгородшколе,пользуется симпатией слушателей /стр. 153/.	

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 15.

1923 წლის 6 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ N133 საქმეზე შედგა ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის დაკითხვის ოქმი.

ფსსრ

ნარკომსაბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საგანგებო კომისია

კონტრდაზვერვის განყოფილება

ოქმი[3]

N133 საქმეზე

ტიფლისი, მარტი, 1923 წ.

1. გვარი	ანდრონიკოვი.
2. სახელი, მამის სახელი	ალექსანდრე სიმონის ძე.
3. ასაკი	51 წ.
4. წარმომავლობა	ყოფილი თავადი, ჩინი - გენერალური შტაბის გენერალი; ქ. ტიფლისის გუბერნია, ქ. სიღნაღი.
5. საცხოვრებელი მისამართი	ტიფლისი, ოლგას ქ.N33.
6. რას საქმიანობს	სამხედროა, ქართული შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი.
7. ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული.
8. ქონებრივი მდგომარეობა	არა.
9. პარტიულობა	უპარტიო.
10. პოლიტიკური მრწამსი	იცავს არსებული ხელისუფლების მიერ დამყარებულ წესებს.

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 17-18.

11. განათლება	გენშტაბის აკადემია.
12. რას საქმიანობს და სად მუშაობდა *ა) 1914 წლის ომამდე;* *ბ) 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე;* *გ) 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე;* *დ) ოქტომბრის რევოლუციიდან დაპატიმრებამდე.*	ა) 1891-1898 წ.წ. მსახურობდა ყარსი-ალექსანდროპოლისის ციხე-სიმაგრეთა არტილერიაში; 1901 წელს - საარტილერიო პოლკში; 1905 წელს- აკადემიაში; 1906 წელს - გენშტაბში; 1908 წელს - უსურიისკის პოლკის ბრიგადის უფროსი ადიუტანტი; 1912 წელს - 36-ე ქვეითი დივიზიის უფროსი ადიუტანტია; 1914 წელს - ალექსეევსკის სამხედრო სასწავლებლის მასწავლებელი; ბ) 1914 წელს - მე-9 საარტილერიო შტაბში; 1916 წელს - 75-ე დივიზიაში; 1917 წელს - 298-ე ქვეითი პოლკის მეთაური; 1917 წლის 15 თებერვლიდან 12 ივნისის ჩათვლით - 117-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი; 1917 წლის 1 ნოემბრიდან მე-20 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი; კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი; გ) ამიერკავკასიის რესპუბლიკის შტაბის მთავარი კვარტირმაისტერი; 1918 წლის ივნისში - მენშევიკების დროს გენშტაბის უფროსი; 1918 წელს სამხედრო მინისტრის თანაშემწე და ქართული ჯარების მეთაური; 1919 წელს - გენშტაბის უფროსი; 1920 წლის ოქტომბერში სამხედრო საბჭოს წევრი; ქართული შეერთებული სკოლის უფროსი; დ) გასაბჭოების შემდეგ: ქართული შეერთებული სკოლის უფროსი -1921 წლის ივლისის ჩათვლით; 1921 წლის 13 ოქტომბრამდე - ქართული წითელი არმიის მეთაური; 1921 წლის დეკემბრამდე - სამხედრო სასწავლო დაწესებულებების მთავარი განყოფილების უფროსი; დაპატიმრებამდე - ქართული შეერთებული სკოლის სამხედრო მეცნიერებების ლექტორი და ხელმძღვანელი.
13. ნასამართლობა	არ არის ნასამართლევი.
საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი:	

13.
17

Ф. С. С. Р.

Закавказская Чрезвычайная Комиссия

при Совнаркоме З. С. С. С. Р.

Отдел Кро – 1.

Гор Тифлис 6 III 1923 года.


ПРОТОКОЛ

по делу за № 133.

Я, нижеподписав шій допрошен – в качестве обвиняемаго показываю

1. Фамилия Ахвледиани
2. Имя, отчество Александр Семенович
3. Возраст 51
4. Происхождение б. князь, сын генерал - генштабиста Тифл. губ. г. Сигнах
5. Местожительство г. Тифлис Ольгинская 33.
6. Род занятия военный, преподаватель Грузинск. сводной военной школы.
7. Семейное положение женат
8. Имущественное положение нет
9. Партийность беспартийный
10. Политическия убеждения придержив. порядков установив. существ. правительство.
11. Образование общее ср.
    специальное Н. А. Конн. у-ще, Академия Генштаба
12. Чем занимался и где служил:
    а) до войны 1914 года Карсо-Ананьевскомен. крепостной арт. 1891-1895, Кавказск. Ю. Арт. полку - 901; академия - 905, капитан 906; ст. ад. Уездн. комис. Тр-ки 908; Нач-ка для пор. Ижме Ольск. 0-909; ст. ад. Шт. 36 пех. див. - 912; нач. Военного д. Ч. - 914

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 17.



18

б) до февральской революции 1917 года Штаб 9 арм. - 914 г.; Нач. шт. 15 дек. - 16 г. Ком. 298 пех. Изюмлавск. п. - 917 г. 15/V. Нач. Шт. 177 пех. див. - 13/VI - 17 г. Штабс 20 Арм корпуса 7/X - 17; разн. Главного Квартиры

в) до октябрьской революции 1917 года Нач. Квартирн. Штаба Кавказ. Армии, при мелом. Нач. Разведотд. - июнь 1918; пом. Военн. министра и Ком. Груз. Войсками - 18; Нач. Генштаба - 19 г; член Военн. Совета - X. 20; Нач. гр. св. школы

г) с октябрьской революции до дня ареста с сентября: Нач. гр. св. школы по июль 921 года, Команд. Груз. Красной арм. - 13/IX - 21 г; Нач. Губура 10 - 921; лектор военных наук Грузсоветшколы и Тбилисской Ком - ке - до дня ареста.

13. Сведения о прежней судимости не судима.

Показания по существу дела

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 18.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 2/III-1923 წ.: [4]

გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ დაარსდა 1921 წლის დასასრულსა თუ 1922 წლის დასაწყისში, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მენშევიკებიდან და მემარჯვენე ფედერალისტებიდან გენერალი ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ-დემოკრატებიდან - კოტე აფხაზი, „გაერთიანებული სამხედრო ცენტრიდან“ - ქართული დივიზიის მეთაური მუსხელოვი.

მთავარი საქმის შესრულება ევალებოდა მუსხელოვს, ქართულ დანაყოფებთან კავშირი მის ხელთ იყო. თავდაპირველად ცენტრის საქმიანობას წარმოადგენდა ის, რომ უნდა მოეხდინათ თავიანთი ძალების მობილიზება და ორგანიზაციების შექმნა ქართული სამხედრო დანაყოფების სიახლოვეს. ამის მოგვარებაც მუსხელოვს ევალებოდა.

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ ძლიერი ფილიალი ამ დროს იყო ბათუმში, რომელთანაც კავშირი ჰქონდათ: გენერალ მაზნიევს, გენერალ ანდრონიკოვს (სამხედრო ტაქტიკის მასწავლებელი კურსანტთა შეერთებულ სამხედრო სკოლაში, პირველი ქართული პოლკის ყოფილი ხელმძღვანელი 1921 წლამდე, იყო ორჯონიკიძის ნათესავი), სოსო გედევანოვს, ოფიცერ ხომერიკს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 6/III-1923 წ.: [5]

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვი, გენერალი. იყო გაერთიანებული სამხედრო ცენტრის წევრი, როგორც მიწვეული სამხედრო სპეციალისტი. ზუსტად მახსოვს, რომ ანდრონიკოვი იყო გაერთიანებული ცენტრის მეორე სხდომაზე, არა უგვიანეს 1922 წლის აგვისტოში, რომელიც ჩემს ბინაში, ღუნიბის ქუჩის 42-ე ნომერში შედგა. სხდომას, მის გარდა, ესწრებოდნენ აფხაზი, იასონ ჯავახიშვილი, ვარდენ წულუკიძე და პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, ქარცივაძე. სხდომაზე მოვისმინეთ ქარცივაძის მოხსენება ევროპის საქართველოსადმი დამოკიდებულების შესახებ და განვიხილეთ მუხრანის საარტილერიო დივიზიის ოფიცრის - ჩრდილელის განცხადება იმ ულტიმატუმის შესახებ,რომელიც ჩოლოყაშვილმა წაუყენა ბატარეას. თურასაკითხებიგანიხილებოდა აღნიშნულის გარდა, არ მახსოვს, რადგან სხდომის ბოლოს მოვედი. ანდრონიკოვს ახალი არაფერი უთქვამს, რამე რომ ყოფილიყო, წულუკიძე მეტყოდა. ცენტრის პირველ სხდომაზე, რომელიც ასევე ჩემს ბინაში შედგა, იყო თუ არა ანდრონიკოვი, არ მახსოვს. ეს იყო ჩოლოყაშვილის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე. განვიხილეთ საკითხი ბანდების ორგანიზაციის შესახებ და უარყოფითი გადაწყვეტილება მივიღეთ. ესწრებოდნენ: წულუკიძე, მუსხელოვი, „ავთანდილი“, შემდეგ მოვიდა გოგი ხიმშიევიც.

რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ანდრონიკოვი შედიოდა ცენტრის შემადგენლობაში როგორც ასისტენტ-სპეციალისტი. იღებდა თუ არა ის ცენტრისგან სპეციალურ დავალებებს, ჩემთვის უცნობია. საკუთარი მრწამსით ანდრონიკოვი, მისი საუბრებიდან გამომდინარე, არც ერთი პარტიის წევრი არ იყო. მე მას ყოველთვის უპარტიო პიროვნებად მივიჩნევდი.

ნარიკელაძე.

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 28.
5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 23.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [6]

1922 წლის სექტემბერში ჩემს ბინაში მეორე სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე (მენშევიკი), ი. ჯავახოვი (ეროვნულ-დემოკრატი), ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი და აფხაზი. მე გვიან მოვედი, მაშინ, როდესაც სამხედრო ცენტრს ინფორმაციას აწვდიდა ბატარეის მეთაური ჩრდილელი. მისი შინაარსი ის იყო, რომ ჩოლოყაშვილს თავისი თანამებრძოლი გაეგზავნა მუხრანში, სადაც იმ დროს ბატარეა იყო განლაგებული და შეეთავაზებინა, ნებაყოფლობით შეერთებოდნენ ჩოლოყაშვილის რაზმს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალის გამოყენებით ემუქრებოდა. ჩრდილელი სთხოვდა ცენტრს ერჩიათ, რა პასუხი გაეცა ჩოლოყაშვილისთვის. სხდომამ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო და ურჩია ჩრდილელს, უარი შეეთვალა ჩოლოყაშვილისთვის, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევაში, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია. საუბრის სხვა დეტალები არ მახსოვს. ამის შემდეგ სხდომა დაიშალა. მოგვიანებით, ვ. წულუკიძესთან პირველივე შეხვედრის დროს, მან მოკლედ მომიყვა, რაზე საუბრობდნენ სხდომაზე და რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. მითხრა, რომ ცენტრისა და პარტიათა წარმომადგენლები განიხილავდნენ შესაძლო შეიარაღებული გამოსვლის საკითხს, ხოლო გამოსვლაზე უარის შემთხვევაში, მსჯელობდნენ სამხედრო ცენტრის ფუნქციებზე. დაადგინეს, რომ ეწარმოებინათ მუშაობა ბანდიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო პარტიებს, აქტივისტების მეშვეობით, უნდა შეეკრიბათ ინფორმაცია მხარდამჭერებისა და იარაღის რაოდენობის შესახებ და დაეჯგუფებინათ ის ცალკეულ ცენტრალურ კომიტეტებში, საიდანაც დაჯამებული ინფორმაცია გადაეგზავნებოდა სამხედრო ცენტრს. ეს მონაცემები საფუძვლად დაედებოდა საერთო გეგმას იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდებოდა გამოსვლების ორგანიზება საქართველოს მასშტაბით. როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს მონაცემები ბოლო წუთამდე სამხედრო ცენტრში არ გადაგზავნილა. აი, ყველაფერი, რაც ვიცი ამ ორი სხდომის შესახებ. სხვა სხდომები არ ჩატარებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შესახებ მეცოდინებოდა. ანდრონიკოვი სამხედრო ცენტრის წევრი არ იყო, მოწვეული სპეციალისტი გახლდათ. იყო თუ არა რაიმე კავშირი სამხედრო ცენტრსა და საჯარისო ნაწილებს შორის, ჩემთვის უცნობია. თუ იყო, ეს ცენტრის განკარგულებით არ მომხდარა, პირადი მოქმედებების საფუძველზე მოხდა. ეს საკითხი ჩემთვის მეტად ბუნდოვანია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [7]

მახსოვს სხდომა ორჯერ ჩატარდა და ორჯერვე ჩემს ბინაში. პირველი სხდომა იყო თებერვლის პირველ რიცხვებში. მას ესწრებოდნენ: ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი, „ავთანდილი“ (ფაღავა), მე და რ. მუსხელოვი. სხდომის ბოლოს გოგი ხიმშიევიც მოვიდა. როგორც მახსოვს, სხდომის ჩატარების ინიციატორი წულუკიძე გახლდათ, მიზეზი კი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების გამორკვევა იყო ბანდიტიზმის მიმართ. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ სხვა პარტიების წარმომადგენლები სხდომას არ ესწრებოდნენ. სხდომა „ავთანდილმა“ გახსნა. მან ისაუბრა პოლიტიკაზე, საზღვარგარეთ მყოფ პარტიათა მოლოდინზე, შემდეგ კი შემოთავაზებული იქნა ბანდების ორგანიზაციის საკითხისა და იმ პოზიციის განხილვა, რომელიც უნდა დაეკავა სამხედრო ცენტრს მოცემულ მომენტში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ყველა დამსწრე ერთ დასკვნამდე

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 29-30.
7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 31.

მივიდა - აუცილებელი იყო არსებული გავლენისა და ძალის გამოყენება ბანდების ფორმირებისა და შეიარაღებული გამოსვლის აღსაკვეთად. იგივე თქვა მენშევიკების ცეკას სახელით „ავთანდილმა“. სხდომის ბოლოს შემოსწრებული გოგი ხიმშიევიც იმავე აზრის იყო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი მოქ. მუსხელოვის ჩვენებიდან: [8]

1921 წლის ბოლოსა თუ 1922 წლის დასაწყისში, ზუსტად არ მახსოვს, ნარიკელაძის ინიციატივით მოხდა მასთან შეხვედრა, სადაც ვიყავით ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, თავად ნარიკელაძე და მე, ცოტა მოგვიანებით მოვიდა გოგი ხიმშიევიც, ხოლო ბოლოს - გოგიტა ფაღავა. ყველა დიდი ინტერესით ვუსმენდით გ. ფაღავას საქმიან საუბარს, რომელმაც გადმოგვცა, რომ შეთანხმება თითქმის მიღწეულია, თუმცაღა ბრძოლა ჯერ კიდევ გაგრძელდებაო და რომ იოსებ ციწცაძე გვთხოვდა, დაუყოვნებლივ შევდგომოდით საქმეს. ფაღავამ ასევე გვითხრა, რომ პოლიტიკური კომიტეტის მიერ სამხედრო ცენტრში არჩეულ იქნენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, ხიმშიევი და მუხსელოვი, ხოლო ნარიკელაძე ჩაიბარებდა კონტრდაზვერვას. ანდრონიკოვმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომ სანამ უშუალოდ დასახავდნენ სამომავლო სამოქმედო გეგმას, აუცილებელი იყო გაერკვიათ იმ ძალების რეალური შესაძლებლობები, რომლებთანაც მოუხდებოდათ დაპირისპირება. ფაღავამ ამაზე უპასუხა, რომ ეს საიდუმლო იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მათ ამ ინფორმაციას გაუმხელდნენ, ხოლო ამ მომენტისთვის მას აინტერესებდა, რა ძალები დასჭირდებოდათ მათ თბილისისა და რეგიონებისთვის, რათა მობილიზება მოეხდინათ. არც ანდრონიკოვი და არც წულუკიძე ამაზე არ დათანხმდნენ და საკითხის გადაწყვეტა ცოტა დროში გაიწელა. განიხილებოდა ასევე გეგმა წითელი არმიის თვითნებურად გასვლის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა ძალის გამოყენებაც. ხიმშიაშვილმა წამოჭრა საკითხი ნარიკელაძისთვის ჩაბარებული დაზვერვის თემის ორგანიზებასა და მოწესრიგებაზე, რომელთანაც მასაც ჰქონდა შეხება, რამდენადაც მასაც უნდა გადაეცა დაზვერვითი ინფორმაცია თურქეთის შესახებ. შეხვედრაზე ასევე დაისვა სხვა ბევრი საკითხი, რომლებიც აღარ მახსოვს. დასასრულს, ფაღავამ განაცხადა, რომ გამოყოფილია საკმაო თანხები როგორც საქმისთვის, ასევე ხელფასების სახით გადასაცემი სამხედრო ცენტრის წევრებისთვის. ამით შეხვედრა დასრულდა. სანამ დავიშლებოდით, მე ვთქვი, რომ ყოველდღიურად ვიღებდი ინფორმაციას თურქეთსა და სპარსეთიდან და თუ მათ დააინტერესებდათ, ამ ინფორმაციას გადავცემდი ნარიკელაძეს.

რამოდენიმე დღის შემდეგ შევხვდი ხიმშიევს, რომელმაც იოსებ ციწცაძესთან მიმიყვანა. ამ დროისთვის უკვე აღარ თანავუგრძნობდი ამ საქმეს, რამდენადაც მომეჩვენა, რომ ნაციონალისტებსა და მენშევიკებს შორის ძალიან დიდი ქაოსი იყო და აღარ მჯეროდა ამ წამოწყების ღირსეულად დასრულების, მაგრამ საქმეზე უარი არ მითქვამს, რადგან არ მინდოდა სამშობლოს მოღალატის სახელი დამრქმეოდა. ციწცაძესთან, სადაც მე პირველად ვიყავი, მიდიოდა საუბარი სამხედრო ცენტრზე და შეხვედრაზე წამოჭრილი საკითხების ორგანიზებაზე. ასე გავიცანი ციწცაძე, რომელთანაც მანამდე საქმიანი ურთიერთობა არ მქონია. მენშევიკების დროს იგი მსახურობდა გვარდიაში, სადაც, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებია, თუმცაღა ხიმშიევი და ფაღავა მას პატივსაცემ სახელმწიფო მოხელედ მოიხსენიებდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ხიმშიაშვილისგან ვიგებ, რომ აღნიაშვილი მას აგზავნის ჩოლოყაევთან წინადადებით, რომ ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების მხარეს გადმოსვლაზე დაითანხმოს. ხიმშიევი მე მეკითხება

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 24-25.

რჩევას და ჩვენ ერთპიროვნულად ვთანხმდებით იმაზე, რომ ჩოლოყაევი უნდა დავითანხმოთ ამ შეთავაზებაზე. იგი ემზადება წასასვლელად, მაგრამ ამ დროს მას აპატიმრებენ. ამ დაპატიმრების მიზეზი ჩემთვის უცნობია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი მოქ. მუსხელოვის ჩვენებიდან 6/III-1923 წ.: [9]

ვაჩნაძის თქმით, ქართველი ხალხი ჩვენს იმედადაა, კვნესის ბოლშევიზმის უღელქვეშ, გლეხები უკვე აღარ იძლევიან სასურსათო ბეგარას. ჩვენ მიერ ხდება ახალი მიწის კანონის პროექტების დამუშავება და ა.შ. ამის შემდეგ მან დაასახელა იმ გენერალთა გვარები, რომლებთანაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და რომლებიც იქნებოდნენ ამ საქმეში. ესენი იყვნენ ანდრონიკოვი და წულუკიძე, ასევე დანანებით აღნიშნა გენერალ მაზნიევის დაპატიმრების შესახებ. ამ საუბრიდან 2-3 დღის გასვლის შემდეგ, მან კვლავ მიმიწვია თავისთან, სადაც ვნახე, თუ როგორ საუბრობდა ანდრონიკოვთან. ანდრონიკოვმა მისი წინადადება მიიღო, მაგრამ რა როლი უნდა შეესრულებინა საქმეში ამ უკანასკნელს, ჩემთვის უცნობი იყო.

ერთი კვირის შემდეგ ვაჩნაძე თავისთან პატიჟებს გენერალ წულუკიძეს, რომელთანაც მიმდინარეობს იგივე სახის საუბარი, რაც ანდრონიკოვთან. მეც იქვე ვიმყოფები და ჩვენ შორის განიხილება საკითხი იმის შესახებ, თუ რა რეალური ძალები არსებობს თბილისსა და პროვინციებში. წულუკიძე ვერ წყვეტს, აიღოს ეს პასუხისმგებლობა და მოსაფიქრებელ დროს ითხოვს, ხოლო მეორე დღეს ეს უკანასკნელი მხვდება და მეუბნება, რომ მთელი რეალური ძალები ჰყავთ მენშევიკებს, მათ მიჰყვება ერიც, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებს არაფერი აქვთ და მიაჩნია, რომ ვაჩნაძის წინადადება მისაღები არ არის, ახლა კი მიდის ანდრონიკოვთან დასალაპარაკებლად. როცა მკითხა, რას ვფიქრობდი ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ვუპასუხე, რომ ემოქმედა ისე, როგორც თვლიდა საჭიროდ და მეც ჩავეყენებინე საქმის კურსში.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენებიდან 9/III-1923 წ.: [10]

სამხედრო ცენტრის არსებობის შესახებ დიდი ხანია ვიცოდი, მასზე ბევრი საუბრობდა. მის შემადგენლობაში ასახელებდნენ ისეთ პირებს, როგორებიც იყვნენ: ანდრონიკოვი, წულუკიძე, ნარიკელაძე, უფრო ნაკლებად, მაგრამ ახსენებდნენ მუსხელოვსაც.

1922 წლის სექტემბერში მუხრანში დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ ჩოლოყაევი ახლოში იმყოფებოდა და ჩვენს ბატარეაზე აპირებდა თავდასხმას. იქიდან გამომდინარე, რასაც საუბრობდნენ, რომ იგი ესხმოდა თავს სოფლებს და ძალის გამოყენებით აიძულებდა გლეხებსა და მილიციელებს მის მხარეზე გადასვლას, ბატარეაზე თავდასხმის შესახებ ხმები ძალიან რეალურად გამოიყურებოდა.

ეს ხმები თანდათანობით ძლიერდებოდა. მე უკვე აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, შემეტყობინებინა რაზმისთვის, თუ მნიშვნელობა არ მიმენიჭებინა. ამ ხმებმა ოფიცრებს შორისაც გამოიწვია საუბრები, ერთნი ამბობდნენ, რომ ის ვერ გაბედავდა თავდასხმას, მეორენი კი

9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 26-27.
10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 32.

საპირისპიროს ამტკიცებდნენ, ნებაყოფლობით დანებებაზე საუბარი არც ყოფილა. უსაფრთხოების ზომები უკვე დიდი ხანია გაძლიერებული გვქონდა. ამ დროს თბილისში წასვლა მომიწია. გადავწყვიტე რჩევის საკითხავად პატივსაცემ პიროვნებებთან, ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან მივსულიყავი. გოლოვინის გამზირზე შემხვდა ჯავახოვი, რომელსაც ვუთხარი, რომ ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან მსურდა საუბარი. იგი დამპირდა, რომ მათ შემახვედრებდა. საღამოს მივედი ღუბინის ქუჩაზე, სადაც ნარიკელაძეს შევხვდი. მასთან რამდენიმე პიროვნება იყო. გარდა ზემოაღნიშნული ორი პირისა, იყო კიდევ ორი-სამი ადამიანი. ერთ-ერთმა მთხოვა მომეყოლა, რისი თქმაც მსურდა. მე განვაცხადე, რომ მუხრანში დადის ხმები ჩოლოყაევის ბატარეაზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ბატარეას თვითონ თავის დაცვა არ შეეძლო, მე არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, არ მიმექცია ყურადღება ამ ხმებისთვის, თუ დასახმარებლად ხელისუფლებისთვის მიმემართა. ერთ-ერთმა იქ მყოფმა მკითხა, რამდენად რეალური იყო ეს ხმები და საიდან მოდიოდა ისინი, რაზეც მე პასუხის გაცემა არ შემეძლო, რამდენადაც არ ვიცოდი, ვისგან მოდიოდა ეს ინფორმაციები. ერთ-ერთმა ჭაღარაულვაშიანმა მითხრა, რომ ბატარეა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დანებებოდა და მოვმზადებულიყავით თავდასხმის მოსაგერიებლად, საჭიროების შემთხვევაში კი ხელისუფლებისთვისაც მიგვემართა დასახმარებლად.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი მუსხელოვის ჩვენებიდან 6/III-1923 წ.: [11]

1921 წელს ჩნდება ნარიკელაძის ფიგურა, რომელიც ვ. წულუკიძის მარჯვენა ხელია. ვაჩნაძესთან საუბრის შემდეგ, წულუკიძე თვლიდა, რომ საქმისთვის საჭირო იყო მომხდარიყო მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების რეალურ ძალთა გაერთიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატებაზე საუბარი შეუძლებელი იქნებოდა, მის იდეას იზიარებდა ანდრონიკოვიც. წულუკიძემ ამცნო დავით ვაჩნაძეს ეს გადაწყვეტილება და სთხოვა ეცნობებინათ მისთვის მენშევიკური ორგანიზაციის ძალთა რაოდენობა, რათა შეემუშავებინათ გეგმა, როგორ მიეღწიათ დასახული მიზნისთვის. ვაჩნაძემ ამ მონაცემების გაცემაზე უარი განაცხადა, მაგრამ ვარდენ წულუკიძე ისევ თავის აზრზე რჩებოდა. დაიწყო ბრძოლა ნაციონალისტებსა და მენშევიკებს შორის ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნაზე და საკმაოდ დიდი ხანი გაგრძელდა. არც დავით ვაჩნაძე, არც წულუკიძე და არც ანდრონიკაშვილი სამხედრო საქმეებზე ჩემთან აღარ საუბრობდნენ. მხვდებოდა ხანდახან ვაჩნაძე, რომელიც მეკითხებოდა თურქეთიდან შემოსულ ინფორმაციებზე, რომლითაც ის რატომღაც ინტერესდებოდა. ასევე მან მითხრა, თუ რა გზით უნდა მეცნობებინა მისთვის ინფორმაცია საქართველოდან ჯარის გაყვანის დაწყების შესახებ, რამდენადაც იგი ვარაუდობდა, რომ მე შტაბის ხელმძღვანელობას ადვილად შევძლებდი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 33.

ამონარიდი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენებიდან 10/III-1923 წ.: [12]

ჯავახიშვილი 1920 თუ 1921 წელს ქუჩაში გავიცანი.

იგი არის: დაბალი, 30 წლის, ულვაშიანი. ვინ გაგვაცნო ერთმანეთი, არ მახსოვს. ქუჩაში ვხვდებოდით ხოლმე. 1922 წლის სექტემბრის დასაწყისში მუხრანიდან ჩამოვედი თბილისში, რა დროსაც გოლოვინის გამზირზე შემთხვევით შევხვდი ჯავახოვს, რომელმაც მკითხა, რაიმე სიახლე ხომ არ იყო ჩემკენ. საუბარში ვუთხარი, რომ დადის ხმები ჩოლოყაევის ბატარეაზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, ვისთვის მეკითხა რჩევა. ჯავახიშვილს არაფერი უთქვამს და ჩვენ დავშორდით ერთმანეთს.

შევასწორებ ზემოთ ნათქვამს: საუბრისას ჯავახოვს ასევე ვუთხარი, რომ მსურდა რჩევისთვის მიმემართა ანდრონიკოვის ან წულუკიძისათვის. რაზეც მან მითხრა „კარგიო“ და წავიდა. ამ საუბრამდე ვიღაცისგან მქონდა გაგონილი, რომ ანდრონიკოვი, წულუკიძე და მუსხელოვი სამხედრო ცენტრის წევრები იყვნენ.

ჩემს ნათქვამს დავამატებ, რომ მსურდა ანდრონიკაშვილის ან წულუკიძის ნახვა. მან მითხრა, რომ მივსულიყავი 7-8 საათისთვის ღუბინის ქუჩაზე. იქ შევხვდი ნარიკელაძეს, რომელმაც მიმიყვანა თავის ბინაში, სადაც იმ მომენტისთვის სამხედრო ცენტრის სხდომა მიმდინარეობდა. კიდევ ვიმეორებ, რომ მე მსურდა ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან შეხვედრა და არა სამხედრო ცენტრთან. ჭაღარაულვაშიანმა პირმა, რომელიც იქ იმყოფებოდა (სულ 6 პირი იყო) მთხოვა მეთქვა, რისი თქმაც მსურდა. მე მოვახსენე იმ ხმების შესახებ, რომლებიც დადიოდა ჩოლოყაევთან დაკავშირებით, რომ იგი აპირებდა ბატარეაზე თავდასხმას და ნებაყოფლობით არდანებების შემთხვევაში ძალის გამოყენებას. ოფიცრები ძალიან იყვნენ ამით შეშფოთებულები, არავის სურდა ამ ავანტიურაში მონაწილეობა. მე აღარ ვიცოდი, დამეჯერებინა ამ ხმებისთვის თუ არა. შეხვედრაზე მყოფმა პირებმა (მათგან მხოლოდ ანდრონიკოვს, წულუკიძეს და ნარიკელაძეს ვიცნობდი) მირჩიეს, წინააღმდეგობა გამეწია ჩოლოყაევისთვის და უკიდურეს შემთხვევაში დასახმარებლად ხელისუფლებისთვის მიმემართა. ამის შემდეგ ვუთხარი, რომ 1922 წლიდან ვცდილობ, ბატარეის გადაყვანა მოხდეს თბილისში, რაზეც მითხრეს, რომ ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა.

მუხრანში დაბრუნების შემდეგ, სამხედრო ცენტრთან ამ საუბრის შესახებ ჩემი ბატარეის ოფიცრებისთვის არაფერი მითქვამს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევის ჩვენებიდან 16/III-1923 წ.: [13]

ჩემს დაპატიმრებამდე „სამხედრო ცენტრი“, როგორც ასეთი, ოფიციალურად არ არსებობდა. ფაღავას თქმით, იგეგმებოდა მისი შექმნა შემდეგი შემადგენლობით: ანდრონიკოვი, ვ. წულუკიძე, მუსხელოვი. ნარიკელაძე ესწრებოდა ორივე შეხვედრას, მაგრამ შედიოდა თუ არა იგი სამხედრო ცენტრში, ჩემთვის ცნობილი არაა. მის შესახებ კითხვაზე პასუხს ფაღავა რატომღაც გაურბოდა. მე უნდა შევსულიყავი სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში როგორც მენშევიკური პარტიის ცეკას წარმომადგენელი, მაგრამ მენშევიკური პატრიის წევრი მე არ ვიყავი. ფაღავამ აღნიშნა, რომ შემადგენლობა შეიძლება შეცვლილიყო პარტიების მოთხოვნების შესაბამისად. სამხედრო ცენტრის მუშაობის შესახებ საკითხი იდგა შემდეგნაირად: პარიტეტული კომიტეტი სამხედრო ცენტრს

12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 34.
13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 35.

ყველაფრით უზრუნველყოფდა, ხოლო სამხედრო ცენტრი შეიმუშავებდა სამოქმედო გეგმას.

...კავშირს ფაღავასთან და იოსებ ცინცაძესთან ვაწარმოებდი ნაპოლეონ კახიანის მეშვეობით, რომლის ბინაშიც ვხვდებოდი ფაღავას ავჭალის ქუჩაზე, ხოლო ცინცაძეს ვიღაც ექიმის ბინაში, ნიკოლოზის ქუჩაზე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანოვის ჩვენებიდან 3/IV-1923 წ.: [14]

დაახლოებით ნახევარი წლის წინ, 1922 წელი იყო, ვარდენ წულუკიძემ თავის ბინაში მიმიპატიჟა, სადაც ასევე იმყოფებოდა გენერალი ალექსანდრე ანდრონიკოვი. საუბრისას წულუკიძემ გვაცნობა, რომ მან მიიღო ინფორმაცია რუსული ჯარის მიერ უახლოეს პერიოდში საქართველოს ფარგლების დატოვების შესახებ. იგი შიშობდა, ამის გამო ქვეყანაში არ მომხდარიყო ქაოსი და ამით არ ესარგებლა გარეშე ძალებს, ამ ძალებში გულისხმობდა თურქეთს. ასეთი შემთხვევისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით, რა მიზნითაც, მისი თქმით, პარტიებმა გადაწყვიტეს გაერთიანება. აღნიშნა ისიც, რომ ჩვენ, სამხედრო პირებსაც მზადყოფნა გვმართებდა. ვარდენ წულუკიძეს ამ მომენტისთვის სამხედრო ცენტრი არ უხსენებია. საუბრის დასასრულს მე ჩემი მხრიდან განვუცხადე წულუკიძეს, რომ ამ საქმეში ჩემი იმედი არ ჰქონოდათ, რამდენადაც ვაპირებდი სამეურნეო საქმიანობას გავყოლოდი და ყველანაირი პოლიტიკისგან შორს ვყოფილიყავი.

ამის შემდეგ, არც წულუკიძესთან და არც ანდრონიკოვთან აღნიშნულ საკითხზე საუბარი აღარ მქონია.

იოსებ გედევანოვი
დავკითხე: **ი. ნეიმანმა.**

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენება 7/III-1923 წ.: [15]

არ მახსოვს ზუსტად როდის, მგონი 1921 წლის ზაფხულში როსტომ მუსხელოვმა გადმომცა ეროვნულ-დემოკრატების შეტყობინება, რომელთაც არსებულ მდგომარეობაზე დასალაპარაკებლად შეხვედრა სურდათ. დანიშნულ დროს შევხვდით ეროვნულ-დემოკრატ დავით ვაჩნაძის ბინაში, სადაც, რამდენადაც მახსოვს, ჯავახოვიც იყო. მკითხეს, მეთქვა, თუ როგორ და რა ძალებით იყო შესაძლებელი თბილისის გათავისუფლება, რაზეც ვუპასუხე, რომ ამის განსაზღვრა შესაძლებელი იქნებოდა მას შემდეგ, რაც გვეცოდინებოდა ის მონაცემები, თუ რა ძალებს განკარგავდნენ რუსები და საქართველო. სხვათა შორის, ვაჩნაძემ იმ წუთებშივე თქვა, რომ მათ შეეძლოთ წარმოედგინათ საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა კახეთიდან. რა თქმა უნდა, ასეთი ძალების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მე ვთხოვე ვაჩნაძეს, შეეგროვებინათ აუცილებელი მონაცემები და ამის შემდეგ შემეძლო უკვე თქმა, შეიძლებოდა თუ არა რაიმეს იმედი გვქონოდა.

მეორე შეხვედრა ერთი თვის შემდეგ ისევ ვაჩნაძესთან შედგა იმავე შემადგენლობით. ამ

14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 74.
15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 36-37.

მომენტისთვის არსებული მონაცემებით, ფანტასტიკური ციფრი დასახელდა. კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატები კახეთიდან, ჩოლოყაევის მეთაურობით, 9-10 ათას (მინიმუმ 5-6 ათასს) ადამიანს იმედოვნებდნენ. ყველაზე მეტად მათ თბილისში არსებული ძველი მენშევიკური ორგანიზაციის (მუშათა კლასი) იმედი ჰქონდათ. თბილისის მიმდებარე სხვა რაიონებიდან, მაგალითად, გორის მაზრიდან - მოლოდინი არც ისე დიდი იყო. რამდენადაც მახსოვს, ისინი ახსენებდნენ, რომ ფედერალისტებიდან დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალის მიღება არ მოხდებოდა, რამდენადაც მათ სუსტი ორგანიზაცია ჰქონდათ თბილისში. ინფორმაციის გადაცემის მომენტებში აშკარა გახდა ასევე, რომ პარტიებს შორის ძველებურად კვლავ არ იყო ერთსულოვნება და ნდობა, რაზეც ეროვნულ-დემოკრატებმა თქვეს, რომ ამ საკითხზე მიდიოდა მოლაპარაკებები და მალე შედეგსაც მიაღწევდნენ. ამით დასრულდა საუბარი და ამის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატებთან ცალკე შეხვედრა აღარ ყოფილა.

მორიგი შეხვედრა უკვე მუსხელოვის ბინაში შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ ვარდენ წულუკიძე და ი. ჯავახოვი. ჯავახოვმა მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო პოლიტიკურ პარტიათა თანამშრომლობის ირგვლივ. საუბრის მომენტში გამოიკვეთა ერთი ფაქტი, კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატების უნდობლობა ვარდენ წულუკიძის მიმართ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ წულუკიძემ გააკრიტიკა ეროვნულ-დემოკრატების მოქმედებები. ჯავახოვის თქმით, კონტაქტი მათ შორის დამყარებული იყო პარიტეტულ საწყისებზე და შესათანხმებელი იყო პარტიათა შორის ადგილების რაოდენობა. ფაქტობრივად, სამხედრო ცენტრის მუშაობა არ მიმდინარეობდა, რადგან მთელი დრო პარტიათაშორის მოლაპარაკებებს ეთმობოდა.

1921 წლის ბოლოს, ზუსტად დღე არ მახოვს, შედგა შეხვედრა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, წულუკიძე, ხიმშიევი და მუსხლოვი და როგორც მახსოვს, თავმჯდომარეც. ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ჯავახოვი, ფედერალისტებიდან და სოციალ-დემოკრატებიდან არავინ იყო. გამომრჩა მეხსენებინა, რომ მანამდე მუსხელოვთან სტუმრობისას ჯავახოვმა აღნიშნა, რომ მათი პარტია გვენდობოდა მე, მუსხელოვს და მაზნიევს (რომელიც ამ დროისთვის დაკავებული იყო და შეფარდებული ჰქონდა 5 წელი). ამ შეხვედრაზე პარტიათა შორის შეუთანხმებლობოს გამო კვლავ ვერ მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ იქნა შეთავაზებული, რომ პარტიებს მისცემოდათ დრო მოეგროვებინათ, თუ რა მონაცემებს ფლობდნენ ისინი, კერძოდ, რა რაოდენობის ცოცხალი ძალა, იარაღი და ფულადი თანხები ჰქონდათ, რადგან ამ მონაცემების გარეშე ცენტრის მუშაობაზე საუბარი გამორიცხული იყო.

იანვარ-თებერვალ-მარტში ავადმყოფობის გამო (ფილტვების ანთება) საქმეს დროებით ჩამოვშორდი. მხოლოდ ერთხელ, მუსხელოვის და წულუკიძის სტუმრობის დროს გავიგე, რომ არანაირი ინფორმაციები პარტიებიდან არ შემოსულა და მათ შორის კვლავ შეუთანხმებლობა სუფევდა. აშკარა იყო, რომ არსებობდა ცენტრი, მხოლოდ როგორც სახელწოდება და პარტიები ერთმანეთს არ ენდობოდნენ, ამიტომ რაიმე საქმის კეთებაზე საუბარი არც იყო. საბოლოოდ, მთელი პასუხისმგებლობა მოდიოდა ე.წ. ცენტრზე, რომელიც, ჯობდა, საერთოდ არც ყოფილიყო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მე რამოდენიმეჯერ აღვნიშნე წულუკიძესთან, რომ ვფიქრობდი ცენტრის დატოვებაზე, რაზეც იგი მეუბნებოდა, რომ ეს არ გამეკეთებინა, რადგან ყველა პარტია ძალიან მენდობოდა.

არ მახსოვს ზუსტად როდის, ერთხელ ჯავახოვი შემხვდა სკოლისკენ მიმავალ გზაზე და ცენტრისგან შეტყობინება გადმომცა. ყველა პარტია გაერთიანდა და შექმნეს სამხედრო ცენტრი, რომლის წევრებადაც არჩეულები ვიყავით: მე, მუსხელოვი და იოსებ გედევანოვი. ხოლო წულუკიძესთან და აფხაზთან დაკავშირებით წევრობის შესახებ საკითხი მე უნდა გადამეწყვიტა.

1922 წლის 20 მაისს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დავალებით მივლინებული ვიყავი ახალციხეში, სადაც უნდა გამომეძიებინა გაუგებრობა ადგილობრივ

აღმასრულებელ კომიტეტსა და მთავარ სამხედრო საინჟინრო სამმართველოს შორის. ერთი თვის შემდეგ რომ დავბრუნდი, წულუკიძე, გედევანოვი, ხიმშიევი და სხვები დაპატიმრებულები იყვნენ, საქმიანობა თითქმის არ ხორციელდებოდა. ეს ინფორმაცია ნარიკელაძისგან გავიგე, რომელიც ქუჩაში შემხვდა. ამის შემდეგ გავემგზავრე სურამში, მივლინების შესახებ ანგარიშის მოსახსენებლად და 15 სექტემბრამდე მომიწია იქ გაჩერება.

სურამიდან დაბრუნების შემდეგ, სექტემბრის ბოლოს, კვლავ შედგა შეხვედრა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, ნიკოლოზ ქარცივაძე (პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე), კ. აფხაზი, ი. ჯავახოვი, წულუკიძე, ერთი პირი მენშევიკური პარტიიდან, რომლის გვარიც არ მახსოვს და კიდევ ერთი პირი, რომლის არც ვინაობა და არც პარტიულობა ჩემთვის ცნობილი არ არის. ასევე ესწრებოდა ნარიკელაძეც, რომელსაც დაევალა შეხვედრის ანგარიშის მომზადება. აშკარა იყო მენშევიკური პარტიის მარცხი, რამდენადაც, თუ ადრე მუშათა კლასის იმედი ჰქონდათ, ახლა უკვე საწინააღმდეგოს აცხადებდნენ. შემდგომ საუბარი წარიმართა ჩოლოყაევის ხევსურეთში გამოსვლებზე. მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს გამოსვლები დაუშვებელია, რამდენადაც ძალის ფუჭი ხარჯვაა, არც სხვა რაიონების ჩართვაა საჭირო და უკეთესი იქნება ჩოლოყაევთან დაკავშირება და ამ მოქმედებების შეჩერებისკენ მოწოდება. წულუკიძემ და აფხაზმა ჩემი მოსაზრება გაიზიარეს. ამ დროს მოგვახსენეს, რომ მუხრანიდან მოვიდა არტილერისტი სასწრაფო ინფორმაციით. მისგან შევიტყვეთ, რომ ჩოლოყაევი დაკავშირებოდა მუხრანში მყოფ საარტილერიო ბატარეას წინადადებით, მის მხარეზე ნებაყოფლობით გადასვლასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალას გამოიყენებდა. ბატარეის ხელმძღვანელობამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რჩევის საკითხავად ჩვენთან წარმომადგენელი გამოეგზავნათ. ჩვენ მივედით იმ შეთანხმებამდე, რომ ჩოლოყაევის ეს მოქმედება აბსოლუტურად მიუღებელი იყო და ბატარეას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღო მისი წინადადება. ამ ბოლო შემთხვევამ საბოლოოდ ამიხილა თვალი იმაზე, რომ მართალია პარტიებმა თავად აირჩიეს ცენტრი, მაგრამ მაინც თვითნებურად მოქმედებდნენ, რასაც შედეგად მოყვებოდა უაზრო მსხვერპლი და ქვეყნის დაქცევა. ჩოლოყაევის მოქმედება ცენტრისგან დამოუკიდებლად რომ ხდებოდა, ეს ცხადი იყო, უპასუხისმგებლო ცენტრის წევრები თვითნებურად გასცემდნენ განკარგულებებს. დავაფიქსირე რა ეს მომენტი, შესაფერის დროს გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ აღარ მსურდა მუშაობა, აფხაზმა მითხრა, რომ მასაც იგივე სურვილი ჰქონდა და არც მას აღარ სურდა დარჩენა. წულუკიძე გამუდმებით მთხოვდა, რომ არ მომეყვანა სისრულეში ჩემი გადაწყვეტილება, ამასთან ე.წ. ცენტრი პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებდა, არანაირ განკარგულებას არ გასცემდა, იყო უფუნქციო და უნდა გაუქმებულიყო.

ოქტომბერში მე ვიყავი სიღნაღში ჩემს დებთან სტუმრად. წულუკიძეს ჰქონდა კავშირი ჩემთან ნარიკელაძის მეშვეობით. ინფორმაციებს ვიღებდი მხოლოდ წულუკიძის, მუსხელოვისა და ნარიკელაძისგან. სხვა პარტიებიც მათი მეშვეობით უნდა დამკავშირებოდნენ. თვითნებური კავშირები სამხედრო ნაწილებთან მე არასოდეს მქონია.

ერთმანეთთან კავშირისთვის ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ჯავახოვი, მენშევიკებიდან - ხიმშიევი, მისი დაპატიმრების შემდეგ ვის ევალებოდა ეს საქმე, ჩემთვის ცნობილი არ არის.

ალექსანდრე ანდრონიკოვი.
1923 წლის 7 მარტი.

ასლი დედანთან სწორია.

დაკითხა: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენება 9/III-1923 წ.: [16]

პოლიტიკური ცენტრი, იგივე პარიტეტული კომიტეტი, იგივე „დამოუკიდებელი კომიტეტი“ საბოლოოდ ოფიციალურად გაფორმდა 1922 წლის სექტემბერში. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ნიკოლოზ ქარცივაძე, მენშევიკების დროს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მეგობარი. ამ ცენტრის გაფორმება მოხდა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, იასონ ჯავახოვი, ნარიკელაძე, ერთი პირი მენშევიკური პარტიიდან, რომლის გვარიც არ მახსოვს და კიდევ ერთი პირი, რომლის არც ვინაობა და არც პატიულობა ჩემთვის ცნობილი არ არის.

პარტიებიდან წარმომადგენლობა შემდეგნაირი იყო: მენშევიკურ პარტიას წარმოადგენდა კომიტეტის თავჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე და კიდევ ის პირი, რომელსაც ვერ ვიხსენებ, ეროვნულ-დემოკრატებიდან იყვნენ კოტე აფხაზი და იასონ ჯავახოვი. ვთვლი, რომ მე, წულუკიძე და ნარიკელაძე მიწვეულები ვიყავით როგორც სამხედრო საქმის მცოდნეები.

სამხედრო ცენტრი, როგორც შეხვედრაზე გაცხადდა, შედგებოდა შემდეგი პირებისგან: ჩემგან, ვარდენ წულუკიძისგან, კოტე აფხაზისგან, მუსხელოვისგან და მგონი, იოსებ გედევანოვისგან. სამხედრო საქმესთან ყველაზე ახლოს იყვნენ ვარდენ წულუკიძე და ნარიკელაძე.

ვარდენ წულუკიძემ მაცნობა, რომ პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელობა იქნებოდა შემდეგნაირი: 4 პირი მენშევიკებიდან, 3 - ეროვნულ-დემოკრატებიდან და თითო-თითო წარმომადგენელი ეყოლებოდათ დანარჩენ პარტიებს.

აღნიშნული საუბარი ჩვენ შორის (მე, დავით ვაჩნაძე, მუსხელოვი და იასონ ჯავახოვი) შედგა 1921 წლის გაზაფხულზე. ვაჩნაძის თქმით, მას ჰქონდა ინფორმაცია რუსული ჯარის საქართველოდან გასვლის შესახებ და ქვეყნის ხელისუფლების ცვლილების გამო წარმოშობილი ექსცესების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო, პირველ რიგში, მომხდარიყო თბილისის დაკავება. მისივე თქმით, ამ მიზნისთვის ეროვნულ-დემოკრატებს კახეთში ჰყავდათ საჭირო ძალა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ, წამოსულიყვნენ თბილისისკენ. ამ საუბრიდან გამომდინარე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან ეს იყო სრული ჰეგემონია რუსული არმიის საქართველოდან გასვლის შემთხვევაში.

დაკითხვის ოქმი დაწერილია ჩემი სიტყვებით, რასაც ვადასტურებ: **ა. ანდრონიკოვი.**

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ЗАКЧЕКА-ს თავმჯდომარეს [17]
პატიმარ ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის მეუღლის,
მარიამ ივანეს ასულ ანდრონიკოვას
თ ხ ო ვ ნ ა

როგორც ჩემ მიერ წარმოდგენილი ცნობიდან ირკვევა, ჩემს ქმარს სუსტი ჯანმრთელობა აქვს და თუნდაც მოკლევადიანი საპატიმრო რეჟიმი შეუძლებელია ცუდად არ აისახოს მის ჯანმრთელობაზე. ამიტომ გთხოვთ, გაუძლიეროთ კვება და დაუმატოთ კეფირი და სხვა საკვები

16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 38.
17 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 40.


პროდუქტები. ასეთივე შუამდგომლობა აღძრულია საქართველოს საბჭოთა სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის მიმართ.

მარიამ ივანეს ასული ანდრონიკოვა.
11 მარტი 1923 წელი.


ექიმის ცნობა

მიეცა მოქალაქე ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვს მასზედ, რომ მას აღენიშნება მარჯვენა ფილტვის ზედა ნაწილის შესქელება, სისუსტე, საღამოობით ტემპერატურის მატება. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 2-ჯერ გადაიტანა გრიპისშემდგომი ფილტვების ანთება, რის შედეგად დარჩა ქრონიკული ხველა და მიდრეკილება ზედა სასუნთქი გზების კატარული ანთებისადმი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოქ. ანდრონიკოვი აუცილებლად საჭიროებს სანატორიულ მკურნალობას აბასთუმანში.

მედიცინის დოქტორი - **ილ. გოგაძე**
№24
ქ. ტიფლისი
დედანთან სწორია: სამხედრო-სანიტარიული განყოფილების საქმისმწარმოებელი: **აბრამიშვილი.**
1923 წლის 7 მარტი
№436.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 40.



ექიმ **გოგაძის სამე**დიცინო ცნობის ასლი.
ცნობის დედანი იხ. გვ. 43.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 41.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 29/III-1923 წ.: [18]

ვაჩნაძე ანდრონიკოვთან ერთად ადგენდა სამოქმედო გეგმას, რომ საქართველოდან რუსული ჯარის მშვიდობიანად გასვლის შემთხვევაში, აუცილებელი იქნებოდა გამაგრებული ყოფილიყო საქართველოს რკინიგზის შემადგენლობა, რისთვისაც ახლავე, როგორც კი რუსული ჯარი გავიდოდა, უნდა მომხდარიყო ფოილოს ხიდის აფეთქება. ამბობდა, რომ სწორედ ახლაა საჭირო თანხების მობილიზება და ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც ჩაიტანს ასაფეთქებელს რაიონში და მოამზადებას მას მოქმედებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა შეიარაღებული აჯანყება, ვაჩნაძის თქმით, აუცილებელი იყო მომხდარიყო სურამის გზის დაკავება, რათა ქუთაისში მყოფ საჯარისო დანაყოფს გაეწყვიტა კავშირი სხვა ჯარებთან. ამბობდა, რომ მას ჰყავდა საიმედო ადამიანი რკინიგზაზე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

„მოქალაქე გამომძიებელ აშუკინს [19]

3 აპრილს გახდება სრული ერთი თვე, რაც მე დამაპატიმრეს. დაპატიმრების გამო მომიწია ძალიან საჩქარო და საჭირო სამუშაოს შეწყვეტა ქართულ შეერთებულ სკოლაში, რომელსაც თითქმის არ გააჩნია და არც საშველი არსაიდან არაა ჰქონდეს სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე.

გარდა ამისა, ეს სამუშაო იყო ერთადერთი შემოსავლის წყარო ჩემი ოჯახისთვის, ასევე მოხუცებული სიდედრის და ხანშიშესული, ავადმყოფი, დაუძლურებული დისთვის. შეწყვეტილ საქმეს აგრძელებს ჩემი ოჯახი, არსებობისთვის საჭირო შემოსავლის გარეშე.

ამ ყველაფერთან ერთად ექიმმა, რომელმაც გამსინჯა, აღნიშნა, რომ დიდი ხანი ასეთ პირობებში ჩემი ყოფნა არ შეიძლება, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ორჯერ გადავიტანე ფილტვების ანთება ბოლო 2 წლის მანძილზე.

უკვე აღარაფერს ვამბობ, თუ როგორ შეიცვალა ჩემი საერთო მდგომარეობა, ინტენსიური 12-საათიანი სამუშაო გრაფიკის შემდეგ გადავედი სრულ უსაქმოდ ყოფნაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ პირობით გათავისუფლებას საქმის განხილვამდე, იმ პირობით, რომ თქვენი მითითებით დანიშნულ დღესა და საათზე გამოვცხადდები რეგისტრაციისთვის, ან იმ პირობით, რა პირობაც თქვენთვის იქნება მისაღები. ასევე, დამრთოთ ნება გავაგრძელო დაპატიმრების გამო შეწყვეტილი საქმის წარმოება, რომელიც აუცილებელია სკოლის მუშაობისთვის, შევინახო ოჯახი და საკუთარი ჯანმრთელობა მომავალი საქმიანობისთვის.

ალექსანდრე ანდრონიკოვი.

1923 წლის 1 აპრილი.

18 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 43.
19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 44-45.

1 აპრილს დავწერე განცხადება პირობით გათავისუფლების შესახებ, რომელზეც დღემდე პასუხი არ მიმიღია. როგორც ჩანს, ჩემი დაკითხვა დასრულებულია, რადგან უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში არავის დავუკითხივარ.

სავარაუდოდ, აქ ჩემი დატუსაღება გარე სამყაროსგან იზოლაციას ისახავს მიზნად, მაგრამ საკითხავია, რამდენად აუცილებელია ამის გაკეთება.

უპირველეს ყოვლისა, ყველა ის პირი, რომელიც ნარიკელაძესთან იყო ჩემთან ერთად, დაპატიმრებულია და შესაბამისად, ჩვენ შორის რაიმე სახის ურთიერთობა შეუძლებელია.

ასევე, აგენტურული ცნობებით, თქვენთვის უსათუოდ ცნობილი უნდა იყოს ჩემი მიერ განვლილი გზა, რაც ცხადად ადასტურებს, რომ არა მხოლოდ ამჟამად, არამედ საქართველოს გასაბჭოებამდეც განზე ვიდექი ყოველგვარი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, არ ვიცნობდი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და სრულად ვუძღვნიდი თავს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც გასაბჭოებამდე და მას შემდეგაც ვიცნობდი, იყო ჯანდაცვის სახალხო კომისარი კიკალეიშვილი.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ჩემი იზოლაცია ყოვლად ზედმეტი და უმიზნოა.

ჩემმა აქ ყოფნამ შეწყვიტა ჩემი სამუშაო, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქართული საჯარისო სკოლისთვის და ქართული წითელი არმიისთვის, რომელიც ახლა ივსება. სკოლასაც ამ დრომდე არ აქვს სახელმძღვანელოები, მათ შორის, „ტაქტიკის“, რომლის შედგენაც მე მაქვს დავალებული, როგორც გენერალური შტაბის ერთადერთ სპეციალისტს.

ამგვარად, სამუშაოს შეწყვეტა ქართული წითელი არმიის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს სამსახური ჩემი ოჯახის არსებობის ერთადერთი წყაროა.

1921 და 1922 წლებში, გადატანილი ფილტვების ანთებით შერყეული ჯანმრთელობა მზის სინათლეს, სუფთა და მშრალ ჰაერსა და კარგ კვებას საჭიროებს, რასაც ვერ უზრუნველყოფს ჩემი ნახევრად ბნელი, ნესტიანი და მზის სინათლეს სრულიად მოკლებული საკანი. გაცხოველებული, 12-საათიანი სამუშაო გრაფიკის შემდეგ, სამუშაო პირობების სრული არქონა უარყოფითად ისახება ჩემი ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ, განიხილოთ ეს განცხადება და პირობით გამათავისუფლოთ საქმის გარჩევამდე იმ პირობით, რომ დანიშნულ დღესა და საათზე გამოვცხადდები რეგისტრაციისთვის, ან იმ პირობით, რომელიც თქვენთვის იქნება მისაღები.

ალექსანდრე ანდრონიკოვი.

1923 წლის 16 აპრილი.

20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 49-52.

საქართველოს საგანგებო კომისიას [21]
1923 წლის 17 მარტი
N1807
ქ. ტიფლისი.

ამასთან, კუთვნილებისამებრ გეგზავნებათ მარიამ ანდრონიკოვას განცხადება მისი დატუსაღებული ქმრის ალექსანდრე ანდრონიკოვის საქმის გამოძიებისა და გათავისუფლების შესახებ.

დანართი: აღნიშნული და მოწმობების ასლები 3 ფურცლად.

საქმეთა მმართველი: **ხელმოწერა.**
საქმის მწარმოებელი: **ხელმოწერა.**

საქართველოს სახალხო კომისარიატის თავმჯდომარეს ამხ. ელიავას [22]

პატიმარ ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვის მეუღლის
მარიამ ივანეს ასულ ანდრონიკოვას

თ ხ ო ვ ნ ა

როგორც წარმოდგენილი საბუთებიდან ჩანს, ჩემი მეუღლე ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვი ბოლო 5 წლის განმავლობაში 2-ორჯერ იყო ავად ფილტვების ანთებით, რამაც დაუტოვა ქრონიკული ხველა და სასუნთქი გზების კატარული დაავადებებისკენ მიდრეკილება და როგორიც არ უნდა იყოს დაპატიმრებულის რეჟიმი, იგი არ შეიძლება არ აისახოს მის ჯანმრთელობაზე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოველთვის, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, იგი იძულებული იყო მჯდარიყო სახლში და არსად არ გასულიყო, ასევე გაეძლიერებინა კვებითი რაციონი. სათანადო სახსრების არარსებობის გამო, მან ვერ შეძლო აბასთუმანში მკურნალობა.

თქვენ შეგიძლიათ გამოკითხოთ მის პარტიულ პასუხიმგებელ მუშაკებს, თანამშრომლებს, რომლებიც გასაკიცხს მასზე ნამდვილად ვერაფერს იტყვიან, როგორც სამსახურებრივ, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.


აქედან გამომდინარე, ყოველთვის პატიოსანი და კეთილსინდისიერად მომსახურე პირი რატომ უნდა იმყოფებოდეს პატიმრობაში.

მე გთხოვთ თქვენ, მიიღოთ რა მხედველობაში ჩემი მეუღლის სუსტი ჯანმრთელობა, მალე გამოიძიოთ მისი პატიმრობის საკითხი, თუ მას რამეში ადანაშაულებენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პროლეტარული სინდისი გაფანტავს ამ საშინელ ცილისწამებას, რომელიც ბღალავს მის სუფთა სახელს, ამიტომ უაღრესად გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში მისი ავადმყოფობა, შეუმსუბუქოთ ხვედრი, რამდენადაც პატიმრობაში ყოფნა ცუდად აისახება მის ჯანმრთელობაზე.

დანართი: განცხადება N42, ექიმის ცნობა N24 და სახალხო სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრის მიმოწერა N437.


17 მარტი 1923 წ.
მარიამ ანდრონიკოვა.

21 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 20.
22 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 59.




ა. ანდრონიკოვის განცხადება N42

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 60.



ექიმ გოპაძის სამედიცინო ცნობა. იხ. გვ. 37.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 61.



სახალხო სამხედრო და საზღვაო კომისარიატის მიმოწერა N437

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 62.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს [23]

მოქ. მარიამ ანდრონიკოვას

თხოვნა

მიმდინარე წლის 2 მარტს ჩემი მეუღლე, ქართული შეერთებული სამხედრო სკოლის ლექტორი, ალექსანდრე სიმონის ძე დაპატიმრებული იყო და აგერ უკვე 2 თვეა პატიმრობაში იმყოფება უჰაერობასა და არასწორ კვებით რეჟიმში, დაავადებული ფილტვებით. ეს რეჟიმი არ შეუძლებელია უარყოფითად არ აისახოს მის ჯანმრთელობაზე. ის, რომ იგი ნამდვილად არის ავად, ამის დასტურად წარმოგიდგენთ სამი ექიმის: გოპაძის, გომართელის და ბექზადოვის სამედიცინო

23 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 63-64.

ცნობებს. მოგახსენებთ რა ამ ყველაფერს, დაბეჯითებით გთხოვთ, გაათავისუფლოთ ავადმყოფობის გამო, რათა არ განუვითარდეს ტუბერკულოზი, რომელიც დაღუპავს მას და მთელ ოჯახს, რომელსაც იგი არჩენს. მას, როგორც პატიოსან მშრომელს, ისე იცნობენ მისი მეგობარი კომუნისტები: ამხ. ელიავა, კეკელაიშვილი, კვანტალიანი, ტალახაძე, ოკუჯავა, აღნიაშვილი და სხვანი. მასზე ასევე დადებით დახასიათებას მოგვცემენ თანამოსამსახურენი რუსეთის არმიიდან, რომლებიც ახლა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არიან. დარწმუნებული ვარ ჩემი მეუღლის უდანაშაულობაში და თქვენს სამართლიანობაში.

მ. ანდრონიკოვა.

ტიფლისი

27 აპრილი, 1923 წ.

სამედიცინო ცნობები



СВИДЕТЕЛЬСТВО.-

Дано сие находящемуся у меня на пользовании гражданину Александру Семеновичу Андроникову в том, что он страдает ослотнением и выпыхом верхушки правого легкого, при понижением общем питании, времеными вечерними повышениями температуры тела. За последние 5 лет больной дважды перенес гриппозное воспадение легких, оставившее после себя постоянное покашливание и наклонность к каттаральным заболеваниям дыхательных путей. В виду изложенного гражд. Андроников весьма нуждается в санаторном лечении в Абастумане.

Доктор медицины Н. Гопадзе

№ 24. г. Тифлис.

С подлинным верно: Делопроизводитель военно-санитарного отдела А. Абрамишвили

7-го марта 1923 года

№ 436

г. Тифлис

Удостоверение

Сим удостоверяю, что Александр Семенович Андроников страдает катаррхом легочных верхушек и периодически обращался ко мне весьма продолжительное время. Ему по совершенно необходимо в настоящее время климатическое лечение.

Доктор Гопадзе

18/IV-23.

Доктора

Удостоверение № 1142

Сим имею честь удостоверить, что Александр Семенович Андроников 52 лет от роду действительно страдает с 1922 года от первых чисел января по 20-е февраля (около 1½ месяца) сильной формой гриппозного воспаления обоих легких. В период болезни и после у него появились явления остаточного состояния на почве которого сохранился слабость, а нашему пациенту предстоит в Кандауре, а также климатическое лечение которое должно принести пользу. Пользовался я его тем как врач Грузинской железной дороги, где Андроников служит.

20/IV 1923г. Доктор Бокадзе

Тифлис

ШЗს არქივი, (I) ფ. N6. ЗЗს N23523. ტ. 1. გვ. 65-68

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან 24/IV-1923 წ.: [24]

1921 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში, როგორც ეს წინა ჩვენებებში აღვნიშნე, ჩემთან მოვიდა ნათესავი, აწ გარდაცვლილი დავით მიქელაძე, რომელიც ნაკლებად აქტიური ეროვნულ-დემოკრატი იყო და ჩემში პატრიოტული გრძნობების გაღვივებითა და საქართველოში არსებული მძიმე ვითარების აღნიშვნით, შემომთავაზა მონაწილეობა მიმეღო შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაში. წინადადება მესიამოვნა, ვინაიდან ის ეროვნულ-დემოკრატებისგან მოდიოდა, ამიტომ მაშინვე ვუპასუხე, რომ მუშაობაში მონაწილეობას მივიღებდი იმ პირობით, თუ ორგანიზაციის სათავეში ყველა პარტიის წარმომადგენელი იქნებოდა, რადგან ვერც ერთ რომელიმე პარტიასთან და ვერც ერთი რომელიმე პარტიის ინტერესებისთვის მე ვერ ვიმუშავებდი. იგივე განვუცხადე ეროვნულ-დემოკრატებს იასონ ჯავახიშვილსა და დავით ვაჩნაძეს. ვიცი, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა თანამშრომლობა შესთავაზეს ალექსანდრე ანდრონიკაშვილსა და როსტომ მუსხელოვს, რომელთაც იგივე სამუშაო პირობა დაასახელეს, რაც მე. ასევე განვაცხადე, რომ ორგანიზაციის მმართველობაში უნდა ყოფილიყო ყველა პარტია, მხოლოდ ერთ პარტიასთან არ ვითანამშრომლებდი.

წულუკიძე.


ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან 24/IV-1923 წ.: [25]

პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენელმა, ნიკოლოზ ქარცივაძემ გადმომცა, რომ კომიტეტში დასახელებულია ჩემი კანდიდატურა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში და ჩემს ნებართვას ითხოვდა, რაზეც დავეთანხმე. მახსენდება, რომ სამხედრო ცენტრში არჩეულ პირთა სია გამოცხადებული იყო სხდომაზე, რომელსაც ნიკოლოზ ქარცივაძე თავმჯდომარეობდა, პარიტეტული კომიტეტის წევრების - იასონ ჯავახიშვილის, ანდრონიკოვის, აფხაზის, ჩემი და ნარიკელაძის თანდასწრებით. ზუსტად როდის მოხდა ეს, არ მახსოვს, სავარაუდოდ ოქტომბრის ბოლოს, ან ცოტა უფრო ადრე. სამხედრო ცენტრში არჩეული იყვნენ: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, როსტომ მუსხელოვი და მე. ცენტრის თავმჯდომარე იყო ანდრონიკაშვილი. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეს ვუკავშირდებოდი მე. ანდრონიკაშვილს თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა. ვთხოვდი, არავისთან მისულიყო და არც ვინმე მიეღო სახლში. ფუნქციები ზუსტად გადანაწილებული არ იყო, თუ რამე გადაწყვეტილება იყო მისაღები, ერთობლივად ვიღებდით ქუჩაში შეხვედრების დროს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

24 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 73.
25 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 75.



68

ВЫПИСКА ИЗ ПОКАЗАНИЯ
ЦУЛУКИДЗЕ ВАРДЕНА ОТ 24 АПРЕЛЯ 1923 г.

Представитель Паритетного Комитета Николай КАРЦИВАДЗЕ мне передал, что в комитет выставлена моя кандидатура в военный центр и просил моего согласия, что я и дал. Теперь приполминаю, что список лиц, выбранных в военный центр, был об"явлен на заседании под председательством Николая КАРЦИВАДЗЕ и в присутствии члена Паритетного Комитета Ясона ДЖАВАХИШВИЛИ, АНДРОНИКАШВИЛИ, АБХАЗИЯ, моем и НАРИМАНАДЗЕ. Когда это было я точно установить не могу, мне кажется, что это было в конце октября или несколько раньше. В военный центр были выбраны: Александр АНДРОНИКАШВИЛИ, Константин АБХАЗИЯ, Ростом МУСХЕЛОВ и я. Старшим /председателем/ военного центра был АНДРОНИКАШВИЛИ. Сносился с председателем Паритетного Комитета я. АНДРОНИКАШВИЛИ имел очень мало свободного времени. Я его просил избегать к кому либо ходить и у себя принимать. Распределение ролей собственно не было, но если что нужно было решить, то это решение было общее, постановленное путем передачи один другому при встречах на улице. / ВАРДЕН ЦУЛУКИДЗЕ/.

Верно:

ЦГА არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 75

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 25/IV-1923 წ.: [26]

ვარდენ წულუკიძე 1921 წლიდან თანამშრომლობს მენშევიკებთან სამხედრო ხაზით. სამხედრო ცენტრი არსებობს 1922 წლის ივნისი-ივლისიდან. თავდაპირველად მის შემადგენლობაში შევდიოდით: მე, ანდრონიკოვი, წულუკიძე, ხიმშიევი და იოსებ გედევანოვი.

1922 წლის ოქტომბერში გავიგე, რომ სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში მომხდარა ცვლილებები, ხიმშიევის ნაცვლად ჩართულა კონსტანტინე აფხაზი...

ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ქართულ კურსანტთა შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებლის მოწმობა... /რ. მუსხელოვი/.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ა. ს. ანდრონიკოვის, ი. ი. ნარიკელიძისა და რ. ი. მუსხელოვის ჩვენებებიდან 27/IV-1923 წ.: [27]

ინტერპარტიული სამხედრო ცენტრი ჩამოყალიბდა 1922 წლის მაისში. მისი შემადგენლობა გამოცხადებულ იქნა გიორგი ფაღავას მიერ პირველ სხდომაზე, რომელიც შედგა ნარიკელაძის ბინაში. პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ: ალექსანდრე ანდრონიკოვი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელოვი, იოსებ გედევანოვი და გიორგი ხიმშიაშვილი. 1922 წლის სექტემბერში, შემადგენლობას მიემატა კონსტანტინე აფხაზი. პირველ შეკრებას ესწრებოდნენ: ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკოვი, როსტომ მუსხელოვი, გიორგი ხიმშიევი, გიორგი ფაღავა და ივანე ნარიკელაძე. სამხედრო ცენტრი შეიქმნა მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად, რათა მომხდარიყო რუსული არმიის საქართველოდან ნებაყოფლობით, ანდა გარკვეული წნეხის გამოყენებით გასვლა. თავდაპირველად საკითხი ასე იყო დასმული.

ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების მომენტში, სამხედრო ცენტრს უნდა ეხელმძღვანელა აჯანყებისთვის. აჯანყებაში მოიაზრებოდა ერთდროული გამოსვლები კავკასიის მთელ ტერიტორიაზე, რასაც უნდა გამოეწვია რუსეთის შიდა არეულობა, ანდა რუსეთსა და სხვა ქვეყანას შორის ომი. კონტრდაზვერვის აპარატი, ნარიკელაძის ხელმძღვანელობით, მუშაობდა ინტერპარტიული კომიტეტისთვის.

სამხედრო ცენტრის წევრები: **ანდრონიკოვი.**
რ. მუსხელოვი.

ინტერპარტიული კომიტეტის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი: **ნარიკელაძე**.

ასლი დედანთან სწორია.

26 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 76.
27 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 77.

ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ქართულ კურსანტთა სკოლის მასწავლებლის მოწმობა:



Удостоверение № 144

Предъявитель сего тов. Андроникашвили Александр

действительно есть лектор — Грузинской

Сводной школы курсантов, что подписью и приложением казенной

печати удостоверяется.


17. января 1923 г. Гор. Тифлис

Нач школы

Генштаба

Военком

Адъютант



მოწმობა № 144

ამის წარმოდგენი ამხ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი

ნ. ჯვარი არის ქართულ კურსანტების შეერთებულ სამხე-

დრო სკოლის [illegible] პასაც

ხელის მოწერით და სახაზინო ბეჭდით დასმით ვამოწმებ.

17. იანვარი 1928 წ. ქალ. ტფილისი

სკოლის უფროსი [illegible]

სამხედრო კომისარი [illegible]

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 79-80.

დადგენილება [28]

1923 წლის 7 ივლისს მე საქართველოს საგანგებო კომისიის N4 საიდუმლო განყოფილების რწმუნებულის თანაშემწე იური მაევსკიმ განვიხილე რა აგენტურული საქმე-ფორმულარი N157 მოქ. ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის მიმართ, დ ა ვ ა დ გ ი ნ ე, რომ ეს უკანასკნელი დაპატიმრებულია ЗАКЧЕКА-ს მიერ, ამიტომ ვთვლი, რომ აღნიშნული საქმე 19 ფურცლად გადაგზავნილ იქნას ЗАКЧЕКА-ში.

N4 საიდუმლო განყოფილების რწმუნებულის თანაშემწე: **მაევსკი.**
N4 საიდუმლო განყოფილების რწმუნებული: **ხელმოწერა.**

„*თანახმა ვარ*“ საიდუმლო განყოფილების უფროსი: **ხელმოწერა.**
„*ვამტკიცებ*“ საიდუმლო განყოფილების ნაწილის უფროსი: **ხელმოწერა.**

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[29]

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილზე

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.).

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ყოფილი გენერალი, თავადი, ყოველმხრივ არაკეთილსაიმედო ელემენტი, ხშირად აწარმოებს საიდუმლო საუბრებს ნარიკელაძესთან, მონარქისტი - საბჭოთა ხელისუფლების მტერი.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 18/V.

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი დაპატიმრებულია და იმყოფება ЗАКЧЕКА-ში.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 17/VI.

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ყოფილი გენერალი, მენშევიკების დროს ხელმძღვანელობდა კოჯრის ფრონტს, ამ მომენტისთვის ასწავლის ტაქტიკას კურსანტთა სკოლაში და არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომისიის თავმჯდომარე.

28 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 85.
29 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 87-88.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 1/VII.

ანდრონიკაშვილი არის სასწავლო-საკადრო ესკადრონის ექიმი, რომელიც მდებარეობს კიკეთის ბანაკში.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.).

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ყოფილი გენერალი, თავადი, კურსანტთა შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი, ექიმი, მონარქისტი. მონარქისტებზე არსებული საქმეების სიაში არსებობს მასზე ინფორმაცია. იმყოფება საიდუმლო დანაყოფ „CEKO“-ს ორგანიზაციის აღრიცხვაზე.

რწმუნებულის თანაშემწე /მურავიოვი/ 22/XII-22 წ.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), შეტყობინება 30/I.


ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილს მენშევიკების დროს ეკავა საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), შეტყობინება 9/II.

ანდრონიკაშვილი - ქართული არმიის ხელმძღვანელი, მენშევიკების დროს შედიოდა სახალხო კომიტეტის გენერალიტეტში, ხოლო შემდეგ იყო რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. მენშევიკების დროს გამორჩეული არ ყოფილა.

ალექსანდრე ანდრონიკაშვილის საქმეში მოიპოვება საქართველოს სსრ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის თადარიგში მყოფ, პოლიტიკურად არასაიმედო პირთა სიიდან ამონაწერი, საიდანაც ირკვევა რომ:

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ყოფილი გენერალი, თავადი, ყოველმხრივ არასაიმედო ელემენტი, შემჩნეულია ნარიკელაძესთან საიდუმლო საუბრებში, მონარქისტია, არსებული ხელისუფლების მტერი.



100

ВЫПИСКА ИЗ СПИСКА НЕБЛАГОНАДЕЖНЫХ В ПОЛИТИЧЕСКОМ ОТНОШЕНИИ ЛИЦ, НАХОДЯЩИХСЯ В РЕЗЕРВЕ ШТАБА НАРКОМЗОКНМОРКОМРАТА С.С.Р.ГРУЗИИ .-

АНДРОНИКАШВИЛИ Александр Семенович, бывш.генерал князь, во всех отношениях ненадежный элемент, замечен что часто ведет тайную беседу с НАРИКОЛАДЗЕ, монархист враг Совласти.-

Прот. Ольгинская, 33

С подлинным верно:

Управдел Секотделения СОЧ О.О.ОНА

5/V-22г.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 100.

დადგენილება[30]

(დასკვნითი)

,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული სამხედრო ცენტრის საქმეზე

1) ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვი, 51 წლის, უმაღლესი განათლების მქონე, ყოფილი თავადი, გენერალური შტაბის გენერალი, საქართველოს შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო;
2) ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, 57 წლის, სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ყოფილი აზნაური, გენერალი, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოსამსახურე, უპარტიო;
3) გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევი, 51 წლის, ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ყოფილი აზნაური და პოლკოვნიკი, საქართველოს გაერთიანებული ბრიგადის სასწავლო-საკადრო ბატალიონის მეთაური, უპარტიო;
4) როსტომ ილიას ძე მუსხელოვი, 35 წლის, არასრული უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე, ყოფილი აზნაური, ყოფილი პოლკოვნიკი, საქართველოს გაერთიანებული შტაბის მეთაური, უპარტიო;
5) იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანოვი, 50 წლის, უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე, ყოფილი აზნაური, ყოფილი გენერალი, მისდევს სოფლის მეურნეობას, საქართველოს ფედერალისტური პარტიის წევრი;
6) კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, 55 წლის, უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე, ყოფილი თავადი, ყოფილი პოლკოვნიკი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას თავმჯდომარე, არსად არ მსახურობს.

გამოძიებითა და ბრალდებულთა მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ:

1922 წლის გაზაფხულის დასაწყისში, ხანგრძლივი ურთიერთბრძოლის შემდეგ, საქართველოს ხუთი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია - მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები (სხიველები) და სოციალ-რევოლუციონერები შეთანხმდნენ, შეეწყვიტათ ურთიერთდაპირისპირება და შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველი ერთიანი ფრონტი. შეთანხმების შედეგად, რომელსაც ხელი მოაწერეს ყველა ჩამოთვლილი პარტიების წარმომადგენლებმა, მოხდა პარიტეტული, იგივე ინტერპარტიული და იგივე „საქართველოს დამოუკიდებლობის“ კომიტეტის შექმნა. დამოუკიდებლობის კომიტეტმა მოქმედება დაუყოვნებლივ დაიწყო, სხვა კომიტეტების - „წითელი ჯვრის“, საფინანსო და სარედაქციო კოლეგიის მოქმედების პარალელურად; ჩამოყალიბდა სამხედრო ცენტრი, რომელიც იმავე ნიშნით იყო შექმნილი, როგორც დამოუკიდებლობის კომიტეტი. დასაწყისშივე სამუშაოებს აკონტროლებდა მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების პარტიები. 1922 წლის თებერვალსა და მარტში, ყოფილ პოლკოვნიკ ნარიკელაძის მიერ შეკრებილი იქნა პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ სამხედრო ცენტრში წარდგენილი პირები. სხდომის თავმჯდომარე იყო მენშევიკების ცკ-ს თავმჯდომარე გიორგი ფაღავა, რომელმაც სხდომაზე განაცხადა, რომ გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ არჩეული სამხედრო ცენტრი ვარდენ წულუკიძის (მენშევიკებისგან),

30 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 114-122.

როსტომ მუსხელოვის (ეროვნულ-დემოკრატებისგან), ალექსანდრე ანდრონიკოვის (ეროვნულ-დემოკრატებისგან), გიორგი ხიმშიაშვილის (მენშევიკებისგან) და იოსებ გედევანოვის (მემარჯვენე ფედერალისტებისგან) შემადგენლობით. მან დღის წესრიგში დააყენა საკითხი სამხედრო ცენტრის მუშაობის შესახებ და გააკეთა მოკლე განმარტება იმის თაობაზე, რომ პარტიის განკარგულებაში არის ადამიანური და მატერიალური რესურსი. სამხედრო ცენტრს მან სთხოვა დაეზუსტებინა, რა ინფორმაცია ესაჭიროებოდა ამ უკანასკნელს საერთო გამოსვლის გეგმის შესადგენად. დასმული საკითხების განხილვის შემდეგ, სამხედრო ცენტრმა დაადგინა:

1) აჯანყება სრულიად კავკასიაში ერთდროულად შესაძლებელია, თუ იქნება შიდა გართულებები რუსეთში, ან რუსეთს ექნება ომი რომელიმე უცხოურ სახელმწიფოსთან. აჯანყება მხოლოდ საქართველოში განწირულია;
2) სამხედრო ცენტრის ამოცანა იყო: აღერიცხა მონაწილეთა და იარაღის რაოდენობა და გამოსვლის შემთხვევაში, ეხელმძღვანელა ოპერაციისთვის;
3) სამხედრო ცენტრი ეწინააღმდეგებოდა ცალკეულ ბანდიტურ გამოსვლებს;
4) აჯანყების დრო დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამხედრო ცენტრთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს;
5) გამოთქმული იყო სურვილი ქართულ არმიასთან თანამშრომლობის შესახებ;
6) გამოთქმული იყო სურვილი სამხედრო ცენტრის წევრებისთვის რეგულარული ანაზღაურების დანიშვნის შესახებ თვიური საარსებო მინიმუმის ოდენობით;
7) განაწილებული იქნა მოვალეობები სამხედრო ცენტრის წევრებს შორის: ანდრონიკოვი - თავმჯდომარე, წულუკიძე - კავშირი დამოუკიდებლობის კომიტეტთან, მუსხელოვი - შტაბის უფროსი;
8) სამხედრო ცენტრის წევრს, მუსხელოვს დაევალა მოემზადებინა ცნობა ოფიცრებისა და ჯარისკაცების რაოდენობის შესახებ;
9) მენშევიკების ცეკას დაზვერვის წარმომადგენელს, ნარიკელაძეს დაევალა, მიეწოდებინა ცენტრისთვის სამხედრო შინაარსის ცნობები. მუსხელოვი დაპირებული იყო, სამხედრო ცენტრისთვის ასევე მიეწოდებინა სამხედრო შინაარსის ცნობები, რომლებსაც ის წითელი არმიის შტაბის უფროსის თანაშემწის, სტრიხარისგან იღებდა.

პირველივე სხდომაზე გამოირკვა, რომ მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, პარტიები ერთმანეთს არ ენდობიან და არ იძლევიან ცნობებს საკუთარ განკარგულებაში არსებული ძალების შესახებ. ამ გარემოებამ გამოიწვია მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების მიერ არა შეთანხმებული, არამედ ინდივიდუალური მუშაობის გაჩაღება, რომელსაც პარტიების ცენტრალური კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ. ეს ორი პარტია, როგორც ყველაზე ძლიერი, სამხედრო ცენტრში უმრავლესობის მოპოვებას ცდილობდა. სამხედრო ცენტრის პირველი სხდომიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, მენშევიკებმა გადაიბირეს როსტომ მუსხელოვი, რათა მას სამხედრო ნაწილებში ემუშავა. თუმცა მუსხელოვს არ შეუწყვეტია კავშირი ეროვნულ-დემოკრატებთანაც. პარტიების განკარგულებაში არსებული ძალების დაახლოებითი მონაცემები ცნობილი იყო სამხედრო ცენტრის ცალკეული წევრებისთვის და მათთვის, ვისაც ახლო კავშირი ჰქონდა ცენტრის მუშაობასთან (ნარიკელაძე). ანდრონიკოვს, ვიდრე იგი სამხედრო ცენტრის წევრი გახდებოდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა - იასონ ჯავახიშვილმა და დავით ვაჩნაძემ აცნობეს, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავდა დიდი რაოდენობით მომხრეები კახეთში - 5 000-დან 6 000-მდე. კონტრდაზვერვის ხელმძღვანელ ნარიკელაძეს მენშევიკმა სირბილაძემ აცნობა, რომ მენშევიკების პარტიას გურიაში ჰყავდა დაახლოებით 1 000 ადამიანი,

სამეგრელოში - 300-400, ქუთაისის მაზრაში - 200, რაჭის მაზრაში - 400-500, კახეთში - 600, ჯამში - 4 000-5 000 მომხრე. მუშაობის პირველ პერიოდში - 1922 წლის გაზაფხულზე - სამხედრო ცენტრმა ვერ შეძლო ცალკეული პარტიების მიერ გაწეული სამუშაოების ხელმძღვანელობა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტსა და სამხედრო ცენტრს უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდათ ბანდიტური გამოსვლების მიმართ, ეს უკანასკნელები კვლავ გრძელდებოდა. მონაცემები არსებული ძალებისა და იარაღის შესახებ იკრიბებოდა არა სამხედრო ცენტრში, არამედ ცალკეული პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში. გამართულად მუშაობდა მხოლოდ კონტრდაზვერვის აპარატი, რომელიც, ვ. წულუკიძის სახით, რეგულარულად ამარაგებდა სამხედრო ცენტრს საჭირო ინფორმაციით: გაერთიანებული წითელი არმიის დისლოკაციის, რაოდენობისა და ბანდიტური დაჯგუფებების გადაადგილების შესახებ. 1922 წლის აპრილში დააპატიმრეს ვ. წულუკიძე და ი. გედევანოვი, მაისში კი - ხიმშიევი, რომელიც „ჩოლოყაშვილის შემოსარიგებლად“ უნდა გამგზავრებულიყო. 20 მაისს ანდრონიკოვი სურამში გაემგზავრა. შესაბამისად, სამხედრო ცენტრის მუშაობა შეჩერდა. თავისუფლებაზე იყვნენ მუსხელოვი და კონტრდაზვერვის მეთაური ნარიკელაძე. მაისის პირველ რიცხვებში გაათავისუფლეს გედევანოვი, ხოლო 3 ივნისს კი - წულუკიძე. სამხედრო ცენტრი ანახლებს მუშაობას, ამზადებს ჩოლოყაშვილის გამოსვლას. ცენტრის თანამშრომლების ჩვენებებში ეს პერიოდი მეტად სუსტადაა აღწერილი. საქმეში არსებული სამხედრო ცენტრის შტაბის უფროსის, მუსხელოვის ჩვენებებიდან იკვეთება შემდეგი: 1922 წლის აგვისტოში დ. ვაჩნაძე, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი იყო და სამხედრო საქმიანობას ეწეოდა, მუსხელოვთან შეხვედრის დროს კახეთში გამოსვლის მოწყობის შესახებ საუბრობს. მან მუსხელოვს ოპერატიული გეგმის შედგენა სთხოვა და დასძინა, რომ ჩოლოყაშვილს გაეგზავნება ბრძანება 27 სექტემბერს აჯანყების ორგანიზების შესახებ. 1922 წლის აგვისტოში დავით ვაჩნაძემ ჩოლოყაშვილს გაუგზავნა წერილი, რომელიც „სამფერას“ ფსევდონიმით იყო ხელმოწერილი. წერილში ეწერა, რომ: 1. შემოდგომით ანტანტის მიერ მზადდებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერვენცია, 2. საზღვარგარეთ შეკვეთილი იყო თანხა და იარაღი, 3. ძველი მთავრობა პარიზიდან მოუწოდებდა აქტიური ქმედებებისკენ, 4. შექმნილი იყო ერთიანი ცენტრი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ : მუსხელოვი და ი. ჯავახოვი - დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი და ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრი, 5. წერილთან ერთად იგზავნებოდა საქართველოს პარტიზანული ჯარის სამხედრო-ოპერატიული შტაბის ბრძანება. ეს შტაბი ინტერპარტიული იყო და მიიჩნევა დამოუკიდებლობის კომიტეტის მთავარ სამხედრო შტაბად, 6. რეკომენდებულია, არ იყოს კავშირი ვარდენ წულუკიძესთან, რომელიც აქტიური მოქმედებების წინააღმდეგია.

წერილთან ერთად, გაიგზავნა ბრძანება №1 – „ქართველ პარტიზანთა მეთაურს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს“, რომელსაც „ოკუპანტებისგან საქართველოს გათავისუფლების დროდ“ დაენიშნა პერიოდი - 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. ამავე ბრძანებით, ჩოლოყაშვილს ევალებოდა 15 სექტემბრისთვის წარმოედგინა ცნობები პარტიზანთა, შაშხანების, ტყვიამფრქვევების, ქვემეხებისა და ვაზნების საერთო რაოდენობის შესახებ; უნდა გაერკვია, რა დახმარების აღმოჩენა შეეძლოთ ლეკებსა და ყაზახელ თათრებს; ასევე უნდა წარმოედგინა აჯანყებულთა სურსათ-სანოვაგის გეგმა. ბრძანებას ხელს აწერდა „სამფერი“ (დ. ვაჩნაძე), „მთავარი პარტიზანული შტაბის დავალებით“. ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრის, მ. ჯავახოვის ჩვენების თანახმად, იასონ ჯავახოვმა ჩოლოყაშვილს გაუგზავნა 300-400 ლირა, რომელიც დამოუკიდებლობის კომიტეტისგან ჰქონდა მიღებული. სამხედრო ცენტრის წევრის, ვ. წულუკიძის ჩვენების მიხედვით, აღნიშნული ბრძანების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებლობის კომიტეტის ეროვნულ-დემოკრატმა წევრმა და მათი პარტიის ცეკას ფაქტობრივმა მმართველმა, იასონ ჯავახოვმა. დოკუმენტებსა და ჩვენებებიდან მოყვანილი ამონაწერები ადასტურებს, რომ ჩოლოყაშვილის გამოსვლა მოხდა დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაწყვეტილებით და იმართებოდა სამხედრო ცენტრის მიერ

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მეშვეობით, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჩოლოყაშვილი წარმოადგენს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირმშოს. ბრძანება გამოსვლის შესახებ ჩოლოყაშვილამდე დროულად არ მისულა, რაც გამოწვეული იყო ამ უკანასკნელის მოულოდნელი გამოჩენით დუშეთის ჩრდილოეთით 1922 წლის 2 აგვისტოს. სავარაუდოდ, ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება მიიღო წითელი არმიის ნაწილებთან ბრძოლის დროს, შემდეგ კი ხევსურეთიდან გავიდა პანკისისა და ალავერდის გავლით. ჩოლოყაშვილის გადასვლა ხევსურეთიდან მიანიშნებდა დაგეგმილის აღსრულების დაწყებაზე, მაგრამ მიაღწია რა 10-12 მხედართან ერთად ალავერდს, ჩოლოყაშვილს უკვე აღარ შეეძლო ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება, რისი იმედიც მას ჰქონდა. 1922 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში, სამხედრო ცენტრის წევრი მუსხელოვი, წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დავალებით, გაეშურა ჩოლოყაშვილის ბანდის მოქმედების რაიონში, დუშეთის მაზრაში, როგორც ექსპედიციური რაზმის შტაბის მეთაური, რათა ჩაეხშო ჩოლოყაშვილის მიერ მოწყობილი აჯანყება. მუსხელოვი, ოპერაციის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, საქმეების მოგვარების მომიზეზებით, დუშეთიდან თბილისში მიემგზავრება, რათა მენშევიკების ცეკას თავმჯდომარეს - ი. ციცაძეს შეხვდეს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, მუსხელოვი აცნობებს ციცაძეს ვითარებას, დ. ვაჩნაძესთან საუბარს, ჩოლოყაშვილის გამოსვლამდე ხევსურეთში არსებულ განწყობილებას, ჩოლოყაშვილის მიერ ინგუშეთში რომელიღაც გენერალთან შიკრიკის გაგზავნას და ასევე იმაზე, რომ მან თიანეთში ცხენოსანი ჯარის შეჩერებით საშუალება მისცა ჩოლოყაშვილს დაუსჯელად გამგზავრებულიყო.

ი. ციცაძემ მუსხელოვს შემდეგი დავალება მისცა: 1. მიეწოდებინა ცნობები ჯარების გადაადგილებისა და მთიელი ხალხის შემოსვლის შესახებ, 2. „შეებრალებინა ხევსურეთი“.

შემდეგ ციცაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის დიდი მასშტაბით მოძრაობის შემთხვევაში, იგი უბრძანებდა ორ ბანდას, დახმარებოდნენ ხევსურეთს. მან გამოთქვა იმედი, რომ ქართული ჯარი შეუერთდებოდა მოძრაობას და „ოფიცრობა თავის ნამდვილ სახეს აჩვენებდა“. მან აღუთქვა მუსხელოვს, რომ კავშირისთვის კაცს გაუგზავნიდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომ მენშევიკების პარტიის სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც იოსებ ციცაძე და გ. ფაღავა ხელმძღვანელობდნენ, საერთო გეგმის ნაწილს ასრულებდა. მუსხელოვი დუშეთში გაემგზავრა. იქ ჩასვლისას, მან ი. ციცაძის დირექტივების შესასრულებლად შეაფერხა ხევსურეთში შეჭრა, რაც ახსნა მეტად რთული ადგილობრივი ვითარებით, რითაც საშუალება მისცა ი. ციცაძეს დაეთმო სამოქმედო ასპარეზი ორივე ბანდისთვის. ამ დროს მუსხელოვთან მივიდა ნიკოლოზ ზანდუკელი, რომელიც იმავე შენობაში ცხოვრობდა, სადაც თავდაპირველად ექსპედიციური რაზმის შტაბი იყო განთავსებული და უთხრა, რომ იგი იყო „ლუკას“ მიერ გამოგზავნილი (ი. ციცაძის ფსევდონიმი), რაზეც მუსხელოვმა უპასუხა, რომ იგი არავითარ ლუკას არ იცნობდა, რის შედეგადაც ზანდუკელი წავიდა. ორი დღის შემდეგ ის დაბრუნდა და განაცხადა, რომ მას ი. ციცაძისგან დავალებული ჰქონდა, ჩამოეყალიბებინა პარტიზანული რაზმები და დაეძრა ისინი მუსხელოვის მიერ ნაკარნახევი მიმართულებით. მუსხელოვს ზანდუკელისთვის უთქვამს, რომ მისი მითითების გარეშე არაფერი მოემოქმედა. განმეორებითი შეხვედრის დროს, რამდენიმე დღის შემდეგ, ზანდუკელმა (რომელიც იყო მენშევიკთა პარტიის დუშეთის კომიტეტის წევრი) მუსხელოვს უთხრა, რომ ფავლენოვი მზადაა და ეპატიჟება მას, ანუ მუსხელოვს, მიიღოს საკუთარ თავზე გაერთიანებული ძალების ხელმძღვანელობა. ეს ბოლო საუბარი ემთხვევა ჩოლოყაშვილის დამარცხებას, როდესაც მუსხელოვმა შესთავაზა ზანდუკელს ფავლენოვისთვის ეცნობებინა, რომ იმ ეტაპზე პარტიზანული მოქმედებები უაზრო იყო და აცნობა ფავლენოვს, არ მოეწყო დუშეთზე თავდასხმა.

ჩოლოყაშვილის ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ, ნარიკელაძის ბინაში შედგა სამხედრო ცენტრის მეორე შეკრება. იმ დროისთვის სამხედრო ცენტრის შემადგენლობას დაემატა კონსტანტინე აფხაზი (ეროვნულ-დემოკრატების ცეკას თავმჯდომარე). ხელმძღვანელი იყო ნიკოლოზ ქარცივაძე

- დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, ესწრებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი იასონ ჯავახოვი. სამხედრო ცენტრის წევრებიდან არ იყვნენ ხიმშიევი (დაპატიმრებული იყო), მუსხელოვი (იმყოფებოდა დუშეთში) და ი. გედევანოვი.

განიხილეს შეიარაღებული აჯანყების საკითხი. ქარცივაძემ მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია - მოახსენა აზერბაიჯანსა და სომხეთთან შესაძლო კავშირების შესახებ. შეიარაღებული აჯანყების საკითხისა და სამხედრო ცენტრის საქმიანობის თაობაზე თქვა, რომ მიღებული იყო შემდეგი ზომები:

1. ბრძოლა ბანდიტიზმთან;
2. პარტიებიდან შეგვეკრიბა ინფორმაცია ადამიანებისა და იარაღის აღრიცხვის შესახებ, რომლებიც ცალკეულ პარტიებს გააჩნდათ. ანგარიშები დაჯამდებოდა ცენტრალურ კომიტეტებში, იქიდან კი გადაიგზავნებოდა სამხედრო ცენტრში. ეს მონაცემები საფუძვლად დაედებოდა აჯანყების საერთო გეგმას;
3. მოსმენილი იქნა ქართული დივიზიის მე-2 საარტილერიო დივიზიის 1-ელი ბატარეის მეთაურის - ჩრდილელის მოხსენება, რომელშიც ის იუწყებოდა ჩოლოყაშვილთან შეერთების წინადადების შესახებ. კრების დადგენილებით, ბატარეას ურჩიეს, არ შეერთებოდნენ ჩოლოყაშვილს.

პარტიებმა ვერ შეძლეს დროულად მოეხდინათ ძალთა მობილიზება ჩოლოყაშვილის დასახმარებლად. დუშეთის ოპერაცია დასრულდა. კავალერიის არასწორი გადაადგილების შემდეგ, ჩოლოყაშვილი დასჯას გადარჩა. მუსხელოვი თბილისში გაემგზავრა, სადაც შეხვდა ი. ცინცაძესა და გ. ფაღავას, რომლებსაც მუსხელოვმა დუშეთის ექსპედიციის დასრულების შესახებ მოახსენა. რამდენიმე დღის შემდეგ შედგა შეხვედრა დ. ვაჩნაძესთან, რომელიც გამოთქვამდა სურვილს, არ განხორციელებულიყო ჩოლოყაშვილის დევნა და მიეცათ ამ უკანასკნელისთვის დასვენების უფლება. შემდგომი შეხვედრა - ვ. წულუკიძესთან, რომელიც ჩიოდა პოლიტიკური ცენტრის მიერ ჩადენილ შეცდომებზე. ამაზე სრულდება დამოუკიდებლობის კომიტეტისა და სამხედრო ცენტრის მუშაობის პირველი პერიოდი.

შემდგომში, დაპატიმრებამდე არ მომხდარა სამხედრო ცენტრის შეკრება. მიმდინარე საკითხები წყდებოდა სამხედრო ცენტრის წევრების მიერ ქუჩაში შეხვედრის დროს. მოქმედების ამ მეორე, იატაკქვეშა პერიოდში, შედგა კავშირი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხის, დაღესტნის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებთან. დაიწყეს გეგმის განხორციელება, რომელიც სამხედრო ცენტრის მიერ იყო დასახული. ამ პერიოდში პარიტეტული კომიტეტი, მუსხელოვის ჩვენების თანახმად, არ ახდენდა ბანდების ჩამოყალიბებას, არამედ აღრიცხავდა ხალხსა და იარაღს და მშვიდი მუშაობით ემზადებოდა შესაბამის მომენტში დარტყმის განსახორციელებლად. სამხედრო ცენტრის მუშაობა გარკვეულწილად ნორმალურ სახეს იღებს. ნარიკელაძე სისტემატურად ამარაგებს სამხედრო ცენტრს სამხედრო შინაარსის ცნობებით, რომელთაც წითელი არმიის შტაბიდან იღებს, ასევე უზრუნველყოფს სამხედრო ცენტრის წევრებისთვის რეგულარული ანაზღაურების გაცემას, 2-3-ჯერ გასცა 25 ლირის ოდენობით. მუსხელოვი ნარიკელაძეს აწვდის სამხედრო შინაარსის ცნობებს. წულუკიძეს მუდმივი კავშირი აქვს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ქარცივაძესთან. 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ნარიკელაძე, ვ. წულუკიძის დავალებით, მენშევიკების ცეკას გადასცემს მოსაზრებას ძალთა აღრიცხვის შესახებ:

1. დაუყოვნებლივ მოხდეს ოფიცრების, ფელდფებელების, უნტეროფიცრებისა და ჯარისკაცების აღრიცხვა, რომლებიც გადიოდნენ ან არ გადიოდნენ სამხედრო სამსახურს;
2. აღრიცხვა განახორციელოს სამხედრო შტაბმა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ყოველ

მაზრაში;

3. აღრიცხვისთვის საჭირო მონაცემების შეკრება დაევალოს პარტიულ მუშაკებს;
4. აღირიცხოს ადგილზე არსებული იარაღი: ტყვიამფრქვევები, შაშხანები, ვაზნები და ცხენები;
5. ყველა მონაცემის თავმოყრა მოხდეს სამაზრო შტაბებში, საიდანაც მოხდება დაჯგუფებული ცნობების გადაცემა დამოუკიდებლობის კომიტეტში;
6. მობილიზაციის შემთხვევაში, აღრიცხული კადრი გაერთიანდეს ასეულებში, ბატალიონებსა და პოლკებში;
7. იმ ადგილებში, სადაც არის შესაძლებლობა მოხდეს კავალერიის ორგანიზაცია, შეიქმნას ესკადრონები.

ორი კვირის შემდეგ ეს განკარგულება გადაეცა მეწშევიკების ცეკას.

1923 წლის იანვრის შუაში სამხედრო ცენტრის წევრმა ვ. წულუკიძემ გადასცა დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ქარცივაძეს იგივე მოსაზრებები, შევსებული სახით, რაც შემდგომში გამოიხატებოდა:

1. სამაზრო შტაბის თავმჯდომარე უნდა გამოცხადებულიყო დატყვევებულად;
2. ყოველ „თემში“ გეგმის განსახორციელებლად ინიშნებოდა ერთი სამხედრო და ერთი სამოქალაქო პირი;
3. სამაზრო შტაბებში შეკრებილი ცნობები, დამოუკიდებლობის კომიტეტის გავლით, იგზავნებოდა სამხედრო ცენტრში.

მაზრებთან კავშირი, წულუკიძის ჩვენების მიხედვით, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს ჰქონდა. მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა მაზრებში ინტერპარტიული სამაზრო კომიტეტებისა და სამხედრო შტაბების არსებობის ფაქტი. ძალების აღრიცხვისა და ორგანიზაციის გეგმა, რომელიც სამხედრო ცენტრის მიერ იყო დასახული, რეალურად ტარდებოდა. 1923 წლის თებერვლის შუაში ჯავახოვმა კონტრდაზვერვის უფროსს, ნარიკელაძეს აცნობა, რომ აზერბაიჯანთან, დაღესტანთან, მთის მცხოვრებლებთან, ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობასთან შედგა შეთანხმება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივ აჯანყებაზე.

3 მარტს მოხდა სამხედრო ცენტრის წევრების დაპატიმრება, რამაც მისი ფუნქციონირება შეწყვიტა.

ზემოთქმულის საფუძველზე, ბრალად ედებათ:

1. ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძეს:
ა) 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში აჯანყების მეთაურობა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას; იმავე მიზნების მქონე ახალი აჯანყების ხელმძღვანელობა (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);
ბ) ჯაშუშობაში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლი);

2. ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვს:
ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

3. როსტომ ილიას ძე მუსხელოვს:
ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

ბ) ჯაშუშობაში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლი);

4. გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევს:
   ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

5. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზს:
   ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

6. იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანოვს:
   ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლების მიხედვით, დავადგინე: რომ ვარდენ წულუკიძეს, ალექსანდრე ანდრონიკოვს, როსტომ მუსხელოვს, გიორგი ხიმშიევს, კონსტანტინე აფხაზსა და იოსებ გედევანოვს მიესაჯოთ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. №23, 95, 81, 39, 31 და 34 ქვითრებში აღნიშნული ნივთები იქნას ჩამორთმეული.

აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს კოლეგიას.

ცნობა: ყველა დაპატიმრებული იმყოფება ЗАКЧЕКА-ში.
ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი.

1923 წლის 15 მაისი.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი: **მაისოვი.**

ა მ ო ნ ა წ ე რ ი [31]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის ოქმი N19)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვი, 51 წლის, ყოფილი თავადი, გენშტაბის ყოფილი გენერალი, ქართული შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვს, 51 წლის, ყოფილ თავადს, სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში ყოფნისთვის, საბჭოთა გენშტაბის ყოფილ გენერალს, ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის მასწავლებელს, რომელიც საქმიანობდა სამხედრო ცენტრში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მიზნით და ხელმძღვანელობდა ბანდიტურ მოძრაობას საქართველოს სსრ-ში, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

31 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 82.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го мая 1923 г.
Расширенаго заседания Коллегии Закавказской и Грузинскй Чрезвычайных комиссий
Под председательством Предзакчк тов. МОГИЛЕВСКАГО
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРДЖОНИКИДЗЕ и ЛОМИНАДЗЕ.

СЛУШАЛИ:

ДОКЛАДЧИК тов. АШУКИН.
I-Дело, военной организации антисоветских партий, по обвинению:
I/ АНДРОНИКОВА Александра Семеновича, 51 года, б. князя., б. генерала ген. штаба, преподавателя груз. сводной военной школы.-

ПОСТАНОВИЛИ:

I-За организацию заговора против Совевласти Грузии, создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству ПОСТАНОВЛЕНО:
I/ АНДРОНИКОВА Александра Семеновича, 51 года, б. князя, б. генерала, генштаба, преподавателя Грузинской Сводной военной школы. Состоя в названной должности вошел в состав В.Ц-а и участвовал в подготовке к возстанию против Совласти в Грезии и руководстве бандитским движением в ССР Грузии - РАССТРЕЛЯТЬ. -Приговор привести в исполнение в 24-х часовый срок.

Подлинный за надлежащими подписями.

Выписка верна:
НАЧ ГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК /МАЙСОВ/

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 182.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი


(1867 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23496, 1 ტომი, 49 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობა;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენებები;
- პატიმრის მეუღლის წერილები;
- წერილი;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.


Архив № 288

30/V 1923 года

Закавкасск. Чрезвыч. Комиссия
при Союзсовете

ДЕЛО №

Начато 1923 г.

Кончено 1923 г.

Арх 288 — 23 г.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 3.

კოტე აფხაზი

„– დიდად მადლობელი ვარ კომიტეტის მზრუნველობისათვის, მაგრამ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვერ მივატოვებ ამ გაჭირვების ხანაში.
გარდა ძველი ქართული ისტორიული ტრადიციისა, რომელიც ასეთ დროს იშვიათად ატოვებინებდა ქართველ კაცს თავის სამშობლოს, სად გაგონილა, რომ გენერლები ჯარს ბრძოლის ველზე სტოვებდნენ... მე ვრჩები და დავრჩები ბოლომდე, რათა დავეხმარო საქართველოს მებრძოლ განაკს მის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში!”

/ასე უპასუხებია კოტე აფხაზს „სამხედრო კომიტეტის“ დელეგატისთვის, რომელმაც გააფრთხილა მისი შესაძლო დაკავების შესახებ და სთხოვდა სასწრაფოდ საზღვარგარეთ წასვლას, სადაც მისი ცოლ-შვილიც იმყოფებოდა./

„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!” – ამ შეძახილებით ხვდებოდნენ გმირები სიკვდილს.

კოტე აფხაზმა კი წარმოთქვა ლეგენდად ქცეული სიტყვები: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!”



საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის 3 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N26 ორდერი, რომლის საფუძველზეც ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის (ЗАКЧЕКА) თანამშრომელს, ვინმე გონჩაროვს ევალებოდა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზის დაპატიმრება და ბებუთოვის ქ. N46-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

4

ОРДЕР № 26

2 Марта 3 дня 19 21 г.

Выдан сотруднику Закчека Гончарову

на производство обыска и ареста Абхази

Константина Николаевича

по адресу Бебутовская 46 кв. 1.

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Место для печати

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Справка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 4.

იმავე დღეს შედგა ოქმი[1] ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N26 ორდერის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ კოტე აფხაზისგან ამოღებულ იქნა 4 სავიზიტო ბარათი, აჭიმები, წვერის საპარსი სამართებელი („ბრიტვა“) ფუტლიარით და 11 დანის პირით.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი 1923 წლის 3 მარტს დააპატიმრეს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

<u>დაპატიმრების ფურცელი N80</u>

გვარი, სახელი, მამის სახელი	კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი
მისამართი	თბილისი, ბებუთოვის ქ. N46.
ასაკი	55 წლის.
განათლება	კადეტთა და სამხედრო სასწავლებლები.
პროფესია	სამხედრო და საზოგადოებრივი.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	
პარტიულობა	უპარტიო
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა
რა საშუალებით ცხოვრობს	უწინ ხელფასით, ახლა ნივთების გაყიდვით.
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	საგანგებო კომისიის მიერ.
რის საფუძველზე	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.

ხელმოწერა: **კოტე აფხაზი.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 5-7.



4 8

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 80

„ „ 3/III 1923 г.

Фамилия Абхази Имя и отчество Конст. Николаевич

Адрес: Тифлис, Бебутовская, №46

Возраст 56 лет (полувесь пятый)

Образование Корпус и военное училище

Профессия Военная и общественная

Где работает и долго ли Был Общего Киевского Военного

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли

Не состоит

На какия средства живет Прежде получал жалование а теперь продажей вещей

Имеет ли семью семью

Кем арестован Чрезв. Комиссией

На каком основании — на основании обыска

Подпись: Конст. Абхази

Приметы:

Сдал Принял

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 8.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N96</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	აფხაზი
2) ***სახელი, მამის სახელი***	კონსტანტინე ნიკოლოზის ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო.
4) ***ჩაწერის ადგილი***	ქ. ტიფლისი.
5) ***ეროვნება***	ქართველი
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	26 წლის, 1867 წლის სექტემბერი.
7) ***განათლება***	კადეტთა კორპუსი და პავლოვის სამხედრო სასწავლებელი.
8) ***ოჯახი***	***მეუღლე:*** ელენე იასონის ას აფხაზი, მცხ. ქ. თბილისში.
	შვილი: ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე აფხაზი, მცხ. ქ. თბილისში.
	სიდედრი: სოფიო იოსების ასული იოსელიანი, 64 წლის, მცხ. ქ. თბილისში.
9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	ზაალ დიმიტრის ძე ვახვახოვი, გამნაღმველი, ქ. თბილისი.

10) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი***	
11) ***პარტიულობა***	უპარტიო.
12) ***პროფესია***	საზოგადოებრივი საქმიანობა.
13) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ბ) თბილისის საადგილმამულო სამეურვეო კომიტეტის წევრი.
14) ***წოდება***	პოლკოვნიკი.
15) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	თავს ირჩენს ნივთებისა და ავეჯის გაყიდვით.
16) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არა
17) ***ნასამართლეობა***	არა
18) ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება***	არტილერისტი.
19) ***როდის მოხდა დაპატიმრება***	1923 წლის 3 მარტს.
20) ***ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი***	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
21) ***სად მოხდა დაპატიმრება***	თბილისში, საკუთარ სახლში.
22) ***ვის მიერ იყო დაკითხული პირველად***	

23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	არა.
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	თბილისი, ბებუთოვის ქ. N46.
3 მარტი 1923 წელი.	პატიმრის ხელმოწერა: **კოტე აფხაზი.**
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	

9

Особый Отдел при Реввоенсовете XI армии.

АНКЕТА № 81

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
I-я часть заполняется заключенным	
1) Фамилия	Двали
2) Имя и отчество	Конст. Николаевич
3) Гражданин(ка) какого государства	реснубликн Грузии
4) Место приписки	Губ. г. Тифлис уезд / вол.: село / город
5) Национальность	Грузинг
6) Возраст (год рождения)	55 лет, родился в сентябре месяц 1867 года
7) Образование: а) грамотный ли б) какую школу окончил, в) если не окончил, то ск. прошел (класс / курс)	а) ..... б) окончил Кадетскую корпусу школу Павловское Кор[пусе] в) прошел ..... (класс / курс) школы .....

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестр)

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1 жена	Двали Елена Георг.		г. Тифлис	[illegible]
2 сын	Николай Констан.		[illegible]	[illegible]
3 дочь	Осипова (вдова) [illegible]		г. Тифлис	[illegible]
4	64 лет			
5				


9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1	Варварев [illegible] Павлович	сапер	в Тифлисе
2			
3			
4			
5			

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Военное звание, род оружия или спец. в Красн. ар.	Место службы
1	Не знаю.	не знаю	где-то
2	Красный Сигнальной [illegible]		
3			
4			
5			

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 9.



10

11) Партийная принадлежность а) в какой партии состоит, б) с какого времени	а) состою членом Коммунистической партий б) с 1918 месяц 19 года
12) Профессия	Общественная служба

13) Место работы (службы): а) с начала войны до 1/ш 1917 г. б) с 1/ш 1917 г. по день ареста.	Название предприятия или учреждения	Профессия или должность
	а) В Артиллерии — Председатель Полковых Комитетов Военный Гос. Совет по Военно-Гор. Дел	Председатель Полкового Комитета Военного Совещания Командующего Округом
	б) В Центральном Банке и в Совете Народных Банка	

14) Если состоит на госуд. службе то в каком чине	Никаком Полковник
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	Сейчас проживал на продажа вещей — имел
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	Не владею Нет
17) Привлекался ли к ответствен. по суду или в админ. порядке	а) Артиллерии —
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	б)
19) Когда арестован	3 Января месяц 1923 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	Лицами без Чрезв. Комиссий ордера не имели
21) Где арестован: а) губер., уезд. вол., село гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) В гостинице Франция № 46 б) В своей квартире
22) Когда и кем допрошен в первый раз	—
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно	Не предъявлено
24) Место жительства перед арестом	Тифлисе Сабуров № 46-2-Ин

Подпись заключенного Коц Вахтанг

"3" января 1923 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдела XI армии.

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами в случае химическим карандашем)

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 10.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 27/II-1923 წ.: [2]

1922 წელს შეიქმნა პარიტეტული კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ: მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები. მენშევიკებიდან იყვნენ იოსებ ცინცაძე და ქვარიანი (მგონი, შემდგომში დაპატიმრებული და გადასახლებული), ფედერალისტებიდან - ლაშხი, ეროვნულ-დემოკრატებიდან - კეცხოველი, სპირიდონ კედია, ქართველ სოციალ-რევოლუციონერთაგან კი - არ ვიცი. პარიტეტულმა კომისიამ გამოყო „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“, რომლის შემადგენლობაშიც მენშევიკებიდან შედიოდა ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ-დემოკრატებიდან - ყოფილი თავადი აფხაზი, ხოლო ფედერალისტების წარმომადგენელი ჩემთვის უცნობია. „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ პარიტეტული კომიტეტის მკვდრად შობილი ორგანიზაცია იყო თავიდანვე, ვინაიდან ცალკეულმა პარტიებმა თავადაც შეიქმნეს დამოუკიდებელი სამხედრო ცენტრები. მენშევიკების ცენტრის შემადგენლობის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ მოარული ხმების მიხედვით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომიტეტში შედიოდნენ დავით ვაჩნაძე (დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი) და პოდპოლკოვნიკი ცაგურია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 2/III-1923 წ.: [3]

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ შეიქმნა 1921 წლის ბოლოს ან 1922 წლის დასაწყისში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: მენშევიკებისა და მემარჯვენე ფედერალისტებისგან - გენერალი ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ-დემოკრატებისგან - კოტე აფხაზი, „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ შტაბის უფროსი, ქართული დივიზიის შტაბის უფროსი - მუსხელოვი. ძირითადი საქმე მუსხელოვის კისერზე გადადიოდა. ქართულ სამხედრო შენაერთებთან ყველა კავშირი მასთან იყრიდა თავს. თავდაპირველად სამხედრო ცენტრის ფუნქცია არსებული რესურსის აღრიცხვა და ქართულ დანაყოფებში შესაბამისი ადგილობრივი ცენტრების ჩამოყალიბება იყო. ერთ-ერთი ასეთი მძლავრი ფილიალი ქ. ბათუმში შეიქმნა. თავისი საქმიანობით სამხედრო ცენტრთან დაკავშირებულები იყვნენ: გენერალი მაზნიევი, გენერალი ანდრონიკოვი (ტაქტიკის პედაგოგი კურსანტთა სკოლაში), 1-ელი ქართული პოლკის ყოფილი მეთაური 1921 წელს. ორჯონიკიძის ნათესავი, ამჟამად სოფელში მცხოვრები გენერალი სოსო გედევანოვი, ოფიცერი ხომერიკი, მსახურობდა ბათუმის მე-2 პოლკში. გედევანოვი ამ ბოლო პერიოდამდეც მუშაობდა, ვინაიდან უშუალოდ და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან, მისი თავმჯდომარის, იოსებ ცინცაძის მეშვეობით და ამასთანავე, ხელმძღვანელობდა დაზვერვით საქმიანობასაც.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 12.
3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 14.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 3/III-1923 წ.: [4]

სამხედრო ცენტრის შექმნა პარიტეტული კომიტეტის ჩამოყალიბებასთან ერთად ავტომატურად განხორციელდა. ცენტრმა და პარტიებმა თავიანთი წარმომადგენლები წამოაყენეს - მენშევიკი და ფედერალისტი წულუკიძე და ეროვნულ-დემოკრატი აფხაზი. ვინ ხელმძღვანელობდა საკუთარ პარტიებს ან აქამდე იქ რას საქმიანობდნენ, ჩემთვის უცნობი იყო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

კოტე აფხაზის ჩვენება 5/III-1923 წ.: [5]

1922 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩემთან მოვიდა იასონ ჯავახოვი და მითხრა, რომ მე, კოტე აფხაზი უნდა მივსულიყავი პოლკოვნიკ ნარიკელაძის ბინაში, სადაც ასევე იქნებოდნენ სხვა პირებიც, თუმცა მათი გვარები არ დაუსახელებია. შეხვედრაზე უნდა გამართულიყო კრება და განხილულიყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. იმავე საღამოს გავემართე დანიშნულების ადგილას, სადაც უკვე მისულიყვნენ თავად იასონ ჯავახოვი, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე (ზუსტად არ მახსოვს), ვარდენ წულუკიძე, თვითონ ნარიკელაძე და კიდევ ერთი, სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი პირი, რომლის გვარიც არ ვიცი. გარეგნული ნიშნებით ეს უკანასკნელი იყო მაღალი და მგონი, პალტო ეცვა.

კრება ნარიკელაძემ გახსნა და საზღვარგარეთიდან ზოგადი ხასიათის ცნობები მოგვაწოდა, უმეტესწილად, მენშევიკების მუშაობისა და კონფერენციების შესახებ. ბოლოს გვითხრა აზერბაიჯანთან კავშირის შესაძლო დამყარების თაობაზე, თუმცა იქაური სიტუაციის დახასიათების შემდეგ თავადვე უარყო ასეთი ვარიანტი, რაც იმით ახსნა, რომ აზერბაიჯანში არ არსებობს მოსახლეობის ორგანიზების შესაძლებლობა.

შემდეგ ის სომხეთს შეეხო და თქვა, რომ სომხები ქართველებთან მიმართებაში გულწრფელები არ იქნებოდნენ, ამიტომ მათთან საქმის დაჭერა არ ღირდა.

მიმოხილვის შემდეგ ნარიკელაძემ გვითხრა, რომ გომბორიდან თუ მუხროვანიდან (ზუსტად არ მახსოვს) ჩამოსული იყო ოფიცერი, რომელსაც კრებაზე მოხსენებით გამოსვლა სურდა. ამ ადამიანმა გვითხრა, რომ ბატარეამ ჩოლოყაევისგან მზადყოფნის ბრძანება მიიღო.

ოფიცრობამ განიხილა აღნიშნული საკითხი და გადაწყვიტა, შემდგომი მითითებების მისაღებად იგი ცენტრში მიევლინათ, თუმცა მომხსენებელი პასუხის დაუყოვნებლივ მიცემას ითხოვდა. აღნიშნულმა გარემოებამ კრებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და გადაწყვეტილებაც ხანგრძლივი ბჭობის გარეშე იქნა მიღებული. იგი, ძირითადად, შემდეგში მდგომარეობდა: კომიტეტი კატეგორიულად კრძალავდა მასთან შეთანხმების გარეშე რაიმე სახის გამოსვლების ორგანიზებასა და დაწყებას. ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა მომხსენებელს, რომელიც მაშინვე უკან გაემგზავრა დანაბარების ადრესატისთვის გადასაცემად. მიღებული გადაწყვეტილება დოკუმენტირებული იქნა ჩემ მიერ. ამის შემდგომ, რაიმე სახის შეკრებაზე, ქუჩაში თუ ჭერქვეშ, როგორც მახსოვს ვარდენ წულუკიძეს აღარ შევხვედრილვარ. რას შეეხება პოლკოვნიკ ნარიკელაძეს, ორჯერ შევხვდი ტრამვაიში, თუმცა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული საუბარი ჩვენ შორის არ ყოფილა.

კითხვა - რა როლს თამაშობდით კოოპერატივ „დახმარებაში“ ?

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 13.
5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 15-16.

პასუხი - მე კოოპერატივ „დახმარების“ წევრი და შემომწირველი ვიყავი. მმართველობით საბჭოში არ შევდიოდი, მხოლოდ დროებით ვირიცხებოდი ძველი მმართველობის დაშლის შემდეგ პერიოდში, 1923 წლის იანვარსა და თებერვალში. ამჟამად, მმართველობით საბჭოში შედიან მიხეილ ჯავახიშვილი, დავით კალანდაძე და მგონი, ჯამილიძე (ზუსტად არ მახსოვს), რომლებიც არჩეულ იქნენ იანვრის საერთო კრებაზე.

დაახლოებით დეკემბერში დვალის ბინაში შედგა რამდენიმე წევრის შეხვედრა, სადაც განიხილებოდა გაზეთის გამოშვების შესაძლებლობა. ზეპირად იქნა შედგენილი ხარჯთაღრიცხვაც, თუმცა გამოირკვა, რომ მისი გამოსაცემი სახსრები არ გაგვაჩნდა და საკითხი კვლავ ღიად დაგვრჩა.

კონსტანტინე აფხაზი.
დაკითხვას აწარმოებდა **პანკრატოვი.**

ასლი დედანთან სწორია.

ამონარიდი მ. ჯავახოვის ჩვენებიდან 6/III-1923 წ.: [6]

1922 წლის დასაწყისში დააპატიმრეს ჯერ კედია, შემდეგ ასათიანი. ქარუმიძე ქვეყნიდან გავიდა. ის გ. წინამძღვაროვმა და კ. აფხაზმა ჩაანაცვლეს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

კოტე აფხაზის ჩვენება (1923 წ. დაკითხვის ზუსტი თარიღი უცნობია) [7]

თებერვლის დასაწყისში, მგონი, ყიფიანის ქუჩაზე ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ იასონ ჯავახოვი, იშხნელი და მე. რა საკითხები იდგა დღის წესრიგში, ამ მომენტისთვის დაზუსტებით უკვე აღარ მახსოვს.

„ერთიანი სამხედრო ცენტრის“ ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნა უკვე შემდგომ, ეროვნულ-დემოკრატების დეკემბრის თუ იანვრის შეკრებაზე.

მასზე მოხსენება გააკეთა იასონ ჯავახოვმა, რომელმაც განგვიმარტა, რომ ხორციელდებოდა „ერთიანი სამხედრო ცენტრის“ ორგანიზება. მის შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატებისაგან მე დამასახელეს, რაც არ მიუარია. ამის შესახებ იასონ ჯავახოვს უნდა ეცნობებინა ცენტრის ყველა წევრისა და ორგანიზატორისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1922 წლის შემოდგომისთვის შედიოდნენ მიხეილ ჯავახოვი, მე - კოტე აფხაზი, კეცხოველი და სხვები.

ამ დრომდე ცენტრალური კომიტეტის წევრად ვირიცხები. მის შეკრებებს დაახლოებით 7-8-ჯერ დავესწარი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში 1922 წლის ივნისიდან შევედი. კომიტეტი იმ დროისთვის შედგებოდა იასონ ჯავახიშვილის, მიხეილ

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 23.
7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 42-43.

ჯავახიშვილის, ჩემი - კონსტანტინე აფხაზის, წინამძღვრიშვილისა და კეცხოველისგან. სხვები არ მახსოვს და არც ის ვიცი, კიდევ ვინმე იყო თუ არა საერთოდ. მოგვიანებით, ოქტომბერში ცკ-ს შემადგენლობაში შევიდნენ დოქტორი მიხეილ ჯავახიშვილი და ვინმე დვალი, რომელიც, ვგონებ, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და მასწავლებელი იყო.

ეროვნულ-დემოკრატებიდან პარიტეტულ კომიტეტში შედიოდა იასონ ჯავახოვი, რომელიც ამავდროულად პარიტეტული და პარტიული კომიტეტების მეკავშირე იყო.

დაახლოებით დეკემბრის თვეში კომიტეტში განხილული იყო საკითხი გამოსვლებისადმი მასების მზაობისა და აქტიურ მოქმედებათა დაწყების აუცილებლობის შესახებ. ამასთან მიმართებაში კრების მონაწილეთა აზრი ორად გაიყო - მოწინააღმდეგეებად და მომხრეებად. პირველ, ანუ მოწინააღმდეგეთა ჯგუფში იყვნენ იასონ და მიხეილ ჯავახოვები და წინამძღვაროვი, სხვები არ მახსოვს. მე მეორე, ანუ გამოსვლების დაწყების მომხრეთა ჯგუფში ვიყავი. ამ აზრს კიდევ ვინ იზიარებდა, არ მახსოვს.

ხმათა უმრავლესობით გამოსვლები უარყოფილ იქნა. ჩვენი გადაწყვეტილება პარიტეტული კომიტეტისთვის იასონ ჯავახოვს უნდა გადაეცა.

ჩემი თვალთახედვით, დუშეთის გამოსვლებთან მიმართებაში ჩვენი კომიტეტი მაყურებლის როლში გამოდიოდა და მხოლოდ იასონ ჯავახოვის მიერ გადმოცემული ინფორმაციებით კმაყოფილდებოდა. ეს ინფორმაცია დაახლოებით შემდეგში მდგომარეობდა (საქმიდან ამოხეულია შემდეგი აბზაცი)...

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ სხდომაზე მე არასოდეს ვყოფილვარ და შესაბამისად, არ ვიცი მისი სრული შემადგენლობა. რაც ვიცი, ისაა, რომ მასში შედიოდა ვარდენ წულუკიძეც.

დავით ვაჩნაძე უკანასკნელად ათიოდე დღის წინ ვნახე, ქუჩაში შემხვდა და საუბრისას მითხრა, რომ ცენტრალურ კომიტეტს პარიტეტული კომიტეტის ეროვნულ-დემოკრატიული ლიგით ჩანაცვლებას სთავაზობდა, ამასთან, ყველა სხვა დანარჩენი ორგანიზაცია თემას უნდა ჩამოსცილებოდა. გარდა ამისა, გამიმხილა თავისი სურვილის შესახებ, მივლინებული ყოფილიყო თურქეთში, კერძოდ, თუ სწორად მახსოვს, ანგორაში.

სექტემბერში დავით ვაჩნაძემ, როგორ გამოსვლების ერთ-ერთმა აქტიურმა მხარდამჭერმა, კახეთში წერილი მისწერა ჩოლოყაევს, თუმცა მისი შინაარსი ჩემთვის უცნობია. ამის შესახებ იასონ ჯავახოვმა მითხრა, რომელიც აღშფოთებას ვერ მალავდა, ვინაიდან ვაჩნაძემ წერილი ერთპიროვნულად, ყველას დაუკითხავად დაწერა.

კითხვა: იცით თუ არა, ვისი ფსევდონიმი იყო „სამფერი“ ?

პასუხი: რამდენადაც მახსენდება, ამის შესახებ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი საუბრობდა და ახსენებდნენ ვაჩნაძეს. შესაძლოა, ეს რამე პაროლიც იყო.

კოტე აფხაზი.

დაკითხვას აწარმოებდა: **პანკრატოვი.**

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [8]

მეორე სხდომა 1922 წლის აგვისტოს ბოლოსკენ კვლავ ჩემს ბინაზედ გაიმართა. შეკრებას ესწრებოდნენ პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე (მენშევიკი), ა. ჯავახოვი (ეროვნულ-დემოკრატი), ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი და აფხაზი. კრებას თავდაპირველად არ ესწრებოდა და მოგვიანებით, მხოლოდ „სამხედრო ცენტრისთვის“ მოხსენების გასაკეთებლად შემოგვიერთდა დივიზიის თუ ბატარეის უფროსი ჩრდილელი. მისი მოხსენების შინაარსი დაახლოებით ასე ჟღერდა: ალავერდობის დღესასწაულზე, ბატარეის დისლოკაციის ადგილას, მუხრანში, ჩოლოყაევმა კაცი მიაგზავნა და შეუთვალა, მთელი თავისი არტილერიით ნებით გადასულიყვნენ მის მხარეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის გაკეთებას ძალით აიძულებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩრდილელმა „ცენტრის“ პასუხი და მითითება გვთხოვა. ჩვენ ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ ბატარეას მსგავსი წინადადება არ მიეღო და ძალით მუქარის შემთხვევაში, ჩოლოყაევისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია. ამის შესახებ მის მიერ გამოგზავნილი ხალხისთვისაც უნდა ეცნობებინათ. საუბრის სხვა დანარჩენი დეტალები და წვრილმანები არ მახსოვს. ამის შემდეგ დამსწრეები დაიშალნენ.

ვ. წულუკიძესთან მომდევნო შეხვედრისას, იგი დაახლოებით მომიყვა სხვა შეკრებებზე განხილული საკითხების შესახებ, კერძოდ: მისი თქმით, „სამხედრო ცენტრი“, სხვა პოლიტიკური დაჯგუფებების წარმომადგენლებთან ერთად, შეიარაღებული გამოსვლების მიზანშეწონილობის საკითხს განიხილავდა და თუკი აჯანყება მაინც ასეთი სახით გადაწყდებოდა, რა საკითხებზე უნდა ყოფილიყო „სამხედრო ცენტრის“ საქმიანობა ფოკუსირებული.

შეთანხმდნენ, რომ ადგილებზე ეწარმოებინათ ბრძოლები ბანდიტიზმისა და სხვა სახის კრიმინალის წინააღმდეგ. თავის მხრივ, პარტიებს, თავიანთი ადგილობრივი წარმომადგენლობების მეშვეობით, უნდა შეეგროვებინათ და „სამხედრო ცენტრში“ ცენტრალიზებულად შეეკრიბათ ცნობები რაიონების მიხედვით არსებული წინააღმდეგობის ძალების (ადამიანური რესურსი, შეიარაღება...) შესახებ.

ეს მონაცემები უნდა ყოფილიყო გაერთიანებული სამოქმედო გეგმის საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ საერთო-საყოველთაო გამოსვლები დაიგეგმებოდა საქართველოში.

თუმცა, როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს მონაცემები „სამხედრო ცენტრისთვის“ არ მიუწოდებიათ.

აი, ესაა სულ, რაც ჩემთვისაა ცნობილი შემდგომი ორი სხდომის შესახებ. სხვა შეკრებები ან აღარ ყოფილა, ან მე არ ვფლობ მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ანდრონიკოვი „სამხედრო ცენტრის“ წევრად არ ირიცხებოდა. იგი მოწვეული იყო მხოლოდ როგორც სამხედრო საქმის სპეციალისტი.

არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი „სამხედრო ცენტრსა“ და რეალურ სამხედრო ორგანიზაციებს შორის - ჩემთვის უცნობია. ასეთი რომც ყოფილიყო, პერსონალური ხასიათის იქნებოდა და არა ცენტრის დირექტივების მიხედვით. ეს საკითხი ჩემთვის დღემდე საკმაოდ ბუნდოვანია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 19-20.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [9]

„სამხედრო ცენტრის“ წევრებისა და ჩემ მიერ მიღებული შეტყობინების (დიეტა) შინაარსთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ვანოს მეშვეობით, ვ. წულუკიძის, აფხაზისა და მუსხელოვისთვის გადასაცემად პარტიული კომიტეტიდან ამანათი გადმოგზავნილი იყო ორჯერ, თანხის ზუსტი ოდენობა არ მახსოვს. მათთვის თითოეულ ჯერზე 25 თურქული ქაღალდის ლირა, ხოლო ჩემთვის - პირველად 16, შემდგომ კი - 25 ლირა. ელისაბედაშვილის სიტყვებით, მენშევიკების ხაზინადარი იყო ქვარიანი თუ კახიანი. თუ კახიანი იქნებოდა, მაშინ მე მას ვიცნობდი, როგორც გვარდიის მთავარი შტაბის წევრს. მისი სახელი იყო ნაპოლეონი. მენშევიკების მთავრობაში მე ის ყოფილ ოფიცრად მიმაჩნდა, თუმცა ამას დაბეჯითებით ვერ ვამტკიცებ. გვარდიაში ის ერთ-ერთ გამოჩენილ მებრძოლად ითვლებოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [10]

სურამიდან დაბრუნების შემდეგ, სექტემბრის ბოლოს, კვლავ შედგა შეხვედრა ნარიკელაძის სახლში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, ნიკოლოზ ქარცივაძე (პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე), კ. აფხაზი, ჯავახოვი, წულუკიძე, ერთი პირი მენშევიკური პარტიიდან, რომლის გვარიც არ მახსოვს და კიდევ ერთი ადამიანი, რომლის არც ვინაობა და არც პარტიულობა ვიცი. ასევე ესწრებოდა ნარიკელაძეც, რომელსაც დაევალა შეხვედრის ანგარიშის მომზადება. აშკარა იყო მენშევიკური პარტიის მარცხი, რამდენადაც თუ ადრე მუშათა კლასის იმედი ჰქონდათ, ახლა უკვე საწინააღმდეგოს აცხადებდნენ. შემდგომ საუბარი წარიმართა ჩოლოყაევის ხევსურეთში გამოსვლებზე. მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს გამოსვლები დაუშვებელია, რამდენადაც ძალების ფუჭი ხარჯვაა, არც სხვა რაიონების ჩართვაა საჭირო და უკეთესი იქნება ჩოლოყაევთან დაკავშირება და ამ მოქმედებების შეჩერებისკენ მოწოდება. წულუკიძემ და აფხაზმა ჩემი მოსაზრება გაიზიარეს. ამ დროს მოგვახსენეს, რომ მუხრანიდან მოვიდა არტილერისტი სასწრაფო ინფორმაციით. მისგან შევიტყვეთ, რომ ჩოლოყაევი დაკავშირებოდა მუხრანში მყოფ საარტილერიო ბატარეას წინადადებით მის მხარეზე ნებაყოფლობით გადასვლასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალას გამოიყენებდა. ბატარეის ხელმძღვანელობამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რჩევის საკითხავად ჩვენთან წარმომადგენელი გამოეგზავნათ. ჩვენ მივედით იმ შეთანხმებამდე, რომ ჩოლოყაევის ეს მოქმედება აბსოლუტურად მიუღებელი იყო და ბატარეას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღო მისი წინადადება. ამ ბოლო შემთხვევამ საბოლოოდ ამიხილა თვალი იმაზე, რომ მართალია, პარტიებმა თავად აირჩიეს ცენტრი, მაგრამ მაინც თვითნებურად მოქმედებდნენ, რასაც შედეგად მოყვებოდა უაზრო მსხვერპლი და ქვეყნის დაქცევა. ჩოლოყაევის მოქმედება ცენტრისგან დამოუკიდებლად რომ ხდებოდა, ცხადი იყო. უპასუხისმგებლო ცენტრის წევრები თვითნებურად გასცემდნენ განკარგულებებს. დავაფიქსირე რა ეს მომენტი, შესაფერის დროს გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ აღარ მსურდა მუშაობა. აფხაზმა მითხრა, რომ მასაც იგივე სურვილი ჰქონდა და აღარც მას სურდა დარჩენა. წულუკიძე გამუდმებით მთხოვდა, არ მომეყვანა სისრულეში ჩემი გადაწყვეტილება. ამასთან, ე.წ. ცენტრი პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა, არანაირ განკარგულებას არ გასცემდა, უფუნქციო იყო და უნდა გაუქმებულიყო.

9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 21.
10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 22.

ოქტომბერში სიღნაღში, ჩემს დებთან ვიყავი სტუმრად. წულუკიძეს ჩემთან ნარიკელაძის მეშვეობით ჰქონდა კავშირი. ინფორმაციებს ვიღებდი მხოლოდ წულუკიძის, მუსხელოვისა და ნარიკელაძისგან. სხვა პარტიებიც მათი მეშვეობით უნდა დამკავშირებოდნენ. თვითნებური კავშირები სამხედრო ნაწილებთან არასოდეს მქონია.

ერთმანეთთან კავშირისთვის ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ჯავახოვი, მენშევიკებიდან - ხიმშიევი, ხოლო მისი დაპატიმრების შემდეგ ვის ევალებოდა ეს საქმე, ჩემთვის ცნობილი არ არის.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი მ. ჯავახოვის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [11]

პარიტეტულ კომიტეტში შემავალი ხუთი პარტიის შეთანხმების ყველა დეტალის გახსენება არ შემიძლია, თუმცა ძირითადი საკითხები ზოგადად ასე გამოიყურებოდა:

ა) პარიტეტულ კომიტეტში თითო პარტიიდან მხოლოდ თითო დელეგატი შედიოდა (ეროვნულ-დემოკრატები, მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, „სხივისტები“ და სოციალისტ-რევოლუციონერები);

ბ) ყველა საკითხი ურთიერთშეთანხმებით წყდებოდა;

გ) ყველა პარტია უარს ამბობდა ცალ-ცალკე გამოსვლებზე და მათ მოქმედებებს პარტიული კომიტეტი უწევდა კოორდინაციას;

დ) საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი მთავრობა დირექტივებს პარიტეტული კომიტეტისაგან იღებდა და თავის ყველა ნაბიჯს მასთან ათანხმებდა;

ე) ყოფილ მთავრობაში პარიტეტულ კომიტეტს თავისი განსაკუთრებული მაკონტროლებელი ეყოლებოდა;

ვ) საზღვარგარეთიდან შემოსული მთელი ფულადი სახსრები საერთო მიზნებისთვის დაიხარჯებოდა;


ზ) ბოლშევიკების საქართველოდან გასვლის შემთხვევაში (იმ დროისთვის ეს სავსებით რეალურად ითვლებოდა), ყოფილი მთავრობის დაბრუნებამდე ხელისუფლება გადავიდოდა პარიტეტული კომიტეტის ხელში და იგი ისე ჩამოყალიბდებოდა, რომ არც ერთ პარტიას არ ჰქონოდა ერთ მესამედზე მეტი ადგილი და რომ მასში მონაწილეობას ყველა მათგანი მიიღებდა. გარდა ამისა, დაუყოვნებლივ იქნებოდა მოწვეული დამფუძნებელი კრების ყრილობა და არა უგვიანეს მეექვსე თვისა, გაიმართებოდა ხელახალი არჩევნები.

დასახელებული პირობების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ: კედია, ასათიანი (ციხიდან), მე, ვაჩნაძე, აფხაზი, იასონ ჯავახოვი, წინამძღვაროვი და მესაბიშვილი.

საკითხი გადაწყვეტილი იქნა ხანგრძლივი ყოყმანისა და დებატების შემდეგ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 24.



В ы п и с к а

из показаний ДЖАВАХОВА от 7 марта 23 г.

О подробностях соглашения между пятью партиями, вошедшими в Паритетный Комитет, забыл, но в общих чертах условия сводились к следующему:

а| В Паритетном Комитете состоит по одному представителю от каждой партии |нац-демокр.,меньшев..соц-федер. "схивисты" и социал-рев.|

б| все вопросы решаются по-соглашению;

в| все партии отказываются от самостоятельных выступлений. Паритетный Комитет согласует их действия;

г| находящейся за границей бывш.правительство получает директивы от Паритетного Комитета и вообще согласует свои шаги с ним;

д| Паритетный Комитет имеет особого контролера при бывшем правительстве.

ж| все поступающие из-за границы суммы,расходуются на общие цели;

з| в случае ухода большевиков из Грузии | в то время считали это вполне возможным| власть переходит к Паритетному Комитету до возвращения бывш. Правительства, которое реформируется с таким расчетом, что бы ни одна партия не имела больше 1|3 и что бы все партии участвовали в нем. Немедленно созывается бывш.Учредительное Собрание и не позже 6-ти месяцев назначаются новые выборы.

В рассмотрении этихусловий принимали участие КЕДИЯ,АЗАТИАНИ |из тюрьмы|, Я, ВАЧНАДЗЕ, АБХАЗИ, ИОСИФ ДЖАВАХОВ, ЦИНАМЗГВАРИ,МЕСАБИШВИЛИ.Вопрос был решен после долгих колебаний и дебатов.

Выписка верна:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 24.

ამონარიდი მ. ჯავახოვის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [12]

კიდევ ერთხელ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ „ჩემო“[13]-სგან ჩვენ არავითარი ფულადი სახსრები არ მიგვიღია. მე, მინდოდა რა მომეწყო აფხაზი სამუშაოდ „ჩემო“-ში, აზრად მქონდა მხოლოდ ადამიანურად დახმარების გაწევა. სულ ეს იყო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 25.

13 „ჩემო“ ფიგურირებს შსს არქივში დაცულ არაერთ (მაგ: ჭიათურმანგანუმის) საქმეში.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [14]

ზუსტად არ მახსოვს, სკოლის გზაზე მიმავალს ჯავახოვი პირველად როდის შემხვდა, რა დროსაც მან გადმომცა, რომ პარტიულმა ცენტრმა დაავალა ჩემთვის ეცნობებინა ყველა პარტიის გაერთიანებისა და ამის ბაზაზე „ერთიანი სამხედრო ცენტრის“ შექმნის შესახებ. როგორც აღმოჩნდა მე, გედევანოვი და იოსებ მუსხელოვი უკვე მის წევრებად არჩეულებიც ვყოფილვართ. მათ გარდა, მე უნდა გადამეწყვიტა წულუკიძისა და კ. აფხაზის წევრებად შეყვანის საკითხიც.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენება 9/III-1923 წ.: [15]

პოლიტიკური ცენტრი, იგივე პარიტეტული კომიტეტი, იგივე „დამოუკიდებელი კომიტეტი“ ოფიციალურად 1922 წლის სექტემბერში გაფორმდა. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ნიკოლოზ ქარცივაძე, მენშევიკების დროს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მეგობარი. ამ ცენტრის გაფორმება მოხდა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, იასონ ჯავახოვი, ნარიკელაძე, ერთი პირი მენშევიკური პარტიიდან, რომლის გვარიც არ მახსოვს და კიდევ ერთი პირი, რომლის არც ვინაობა და არც პარტიულობა ჩემთვის ცნობილი არ არის.

პარტიებიდან წარმომადგენლობა შემდეგნაირი იყო: მენშევიკურ პარტიას წარმოადგენდა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე და კიდევ ის პირი, რომელსაც ვერ ვიხსენებ, ეროვნულ-დემოკრატებიდან იყვნენ კოტე აფხაზი და იასონ ჯავახოვი. მე, წულუკიძე და ნარიკელაძე, ვთვლი, რომ მიწვეულები ვიყავით როგორც სამხედრო საქმის მცოდნეები.

სამხედრო ცენტრი, როგორც შეხვედრაზე გაცხადდა, შედგებოდა შემდეგი პირებისგან: მე, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი, მუსხელოვი და მგონი, იოსებ გედევანოვიც იყო. სამხედრო საქმესთან ყველაზე ახლოს იყვნენ ვარდენ წულუკიძე და ნარიკელაძე.

ვარდენ წულუკიძემ მაცნობა, რომ პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელობა იქნებოდა შემდეგნაირი: 4 პირი მენშევიკებიდან, 3 - ეროვნულ-დემოკრატებიდან და თითო-თითო წარმომადგენელი ეყოლებოდათ დანარჩენ პარტიებს.


აღნიშნული საუბარი ჩვენ შორის (მე, დავით ვაჩნაძე, მუსხელოვი და იასონ ჯავახოვი) შედგა 1921 წლის გაზაფხულზე. ვაჩნაძის თქმით, მას ჰქონდა ინფორმაცია რუსული ჯარის საქართველოდან გასვლის შესახებ და ქვეყნის ხელისუფლების ცვლილების გამო წარმოშობილი ექსცესების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო, პირველ რიგში, მომხდარიყო თბილისის დაკავება. მისივე თქმით, ამ მიზნისთვის ეროვნულ-დემოკრატებს კახეთში ჰყავდათ საჭირო ძალა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ თბილისისკენ წამოსვლა. ამ საუბრიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან ეს იყო სრული ჰეგემონია რუსული არმიის საქართველოდან გასვლის შემთხვევაში.

დაკითხვის ოქმი დაწერილია ჩემი სიტყვებით და სისწორეს ვადასტურებ ხელმოწერით:
ა. ანდრონიკოვი.

14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 26.
15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 27.

დაკითხვას აწარმოებდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი - **აშუკინი**.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**



Дополнительные показания
гр-на АНДРОНИКОВА Александра Семеновича от 9/3-23 г.

Политический центр, он же Паритетный комитет, он же "Комитет Независимости" окончательно оформился к сентябрю месяцу 1922 г. - по моим сведениям. Председателем Паритетного Комитета является Николай КАРЧИВАДЗЕ бывш.тов.Министра Иностранных дел при меньшевиках. Я считаю, что оформление об"единенного военного центра произошло в сентябре месяце на заседании в квартире НАРИКЕЛАДЗЕ, на котором присутствовали:Я,КАРЧИВАДЗЕ, Котэ АБХАЗИ,Вардэн ПУЛУКИДЗЕ,Ясон ДЖАВАХОВ,НАРИКЕЛАДЗЕ [присутствовал с перерывами],меньшевик, фамилии которого не помню и еще один,не знаю ни его фамилии, ни его партийности. Из числа перечисленных партию меньшевиков представляли:КАРЧИВАДЗЕ председательствовавший на собрании,меньшевик,фамилию которого не помню, национал-демократов:Котэ АБХАЗИ и Ясон ДЖАВАХОВ. В отношении себя, В.ПУЛУКИДЗЕ и НАРИКЕЛАДЗЕ я считал, что мы привлечены как военные специалисты. Военный центр, как было об"явлено на этом заседании считать состоял из следующих лиц:Я,Вардэн ПУЛУКИДЗЕ, Котэ АБХАЗИ,МУСХЕЛОВ Ц, кажется Иосиф ГЕДЕВАНОВ,Ближе всех к работе военного центра стояли: НАРИКЕЛАДЗЕ и Вардэн ПУЛУКИДЗЕ.Вардэн ПУЛУКИДЗЕ мне сообщал, что Паритетным Комитетом, был намечен следующий состав будущего правительства: 4 от меньшевиков, 3 от национал-демократов и по одному от остальных партий.К сообщенному мной содержанию разговора,происходившего летом 1921 г. между мной,ЗАЧНАДЗЕ Давидом,МУСХЕЛОВЫМ и Ясоном ДЖАВАХОВЫМ добавляю, что ЗАЧНАДЗЕ Давидом было указано на невозможность ухода русских войск из Грузии и что для предотвращения эксцессов в Тифлисе в момент смены власти, необходимо будет в первую очередь занять Тифлис. Для этой цели, по словам того же ЗАЧНАДЗЕ в распоряжении нац-демократов имеются силы в Кахетии, которые и могут быть в нужный момент двинуты в Тифлис, где перевес по мнению нац-демократов был на стороне меньшевиков, располагавших еще в старое время сильными организациями. Из этого разговора я вынес впечатление, что разговор идет лишь о гегемонии партии нац-демокр.на случай ухода русских.

Протокол допроса записан с моих слов,правильность удостоверяю

А.АНДРОНИКОВ.

Допросил НАЧ КРО АШУКИН.

Верно:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 27.

ამონარიდი მიხეილ ჯავახოვის ჩვენებიდან 15/III-1923 წ.: [16]

1922 წლის ნოემბერ-დეკემბრამდე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი შემდეგი წევრებიგან შედგებოდა: აფხაზი, იასონ და მიხეილ ჯავახოვები, მიხეილ იშხნელი, ნიკო კეცხოველი და წინამძღვაროვი. ზუსტად არ მახსოვს, ნოემბრის ბოლო იყო თუ დეკემბრის დასაწყისი, როდესაც მიხაილოვის ქუჩაზე მდებარე დ. ჯავახოვის ბინაში, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად მივედი, სადაც დამხვდნენ ზემოჩამოთვლილი პირებიც, აგრეთვე თავად დ. ჯავახოვი, დანელია და თუ სწორად მახსოვს - ახმეტელიც, რომლებიც კოოპტირებულ[17] იყვნენ თავად ცენტრალური კომიტეტისგან.

მე ცოტა უფრო ადრე, იასონ ჯავახოვისგან შევიტყვე ზემონახსენები სამი პირის კოოპტაციის შესახებ.

დმ. ჯავახოვის ბინაში დაახლოებით საღამოს რვა საათისთვის მივედი.

დღის წესრიგში იყო იასონ ჯავახოვის ანგარიში და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების არჩევის საკითხი.

კრება დაახლოებით 9 საათისთვის, იასონ ჯავახოვის მოხსენების დროს დავტოვე და მეორე თუ მესამე დღეს მისგანვე შევიტყვე, რომ პრეზიდიუმის არჩევნები შედგა და არჩეულ ვიქენით: მე, იასონ ჯავახოვი, აფხაზი, იშხნელი, კეცხოველი[18] და წინამძღვაროვი.

როგორც ჩემთვის ცნობილია, აღნიშნულის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის სხდომა აღარ გამართულა.

მიხეილ სავლეს ძე ჯავახოვი.

ოქმი შეადგინა ამხანაგმა **მოგილევსკიმ.**

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზის დამატებითი ჩვენება 31/III-1923 წ.: [19]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა დამტკიცებულ იქნა შეკრებაზე, რომელიც 1922 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში დიმიტრი ჯავახოვის ბინაში შედგა. იგი შემდეგნაირად განისაზღვრა: მე - კოტე აფხაზი, მიხეილ ჯავახოვი, დიმიტრი ჯავახოვი, იასონ ჯავახოვი, მიხეილ იშხნელი, დანელია, ნიკოლოზ კეცხოველი და წინამძღვრიშვილი. მე კომიტეტის თავმჯდომარედ დამამტკიცეს. კრებას ესწრებოდა ყველა ზემოჩამოთვლილი პირი, წინამძღვრიშვილისა და დანელიას გამოკლებით.

ჩემ გარდა, „სამხედრო ცენტრში“ შედიოდნენ: ვ. წულუკიძე და ანდრონიკოვი. სხვების შესახებ არაფერი ვიცი, მათ შორის არც ნარიკელაძეზე. ჩემთვის აგრეთვე უცნობია, ჰქონდა თუ არა პარტიას ადგილობრივი რაიონული ორგანიზაციები. პარტიის ცენტრალური კომიტეტისგან ჩოლოყაევისადმი ფულის გაგზავნისა და ზოგადად, მისთვის რაიმე სახის დახმარების აღმოჩენის შესახებ ჩემთვის ასევე არაფერია ცნობილი. არაფერი ვიცი არც ფავლენიშვილის ბანდის შესახებ.

დაკითხვის ოქმი შედგენილია ჩემი კარნახით, სწორია და ვადასტურებ.

---

16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 28.

17 რომელიმე არჩევითი ორგანოს ახალი წევრებით შევსება დამატებითი არჩევნების გარეშე, თვით ამ ორგანოსვე წარდგინებით.

18 შსს არქივში მიხეილ იშხნელზე და ნიკოლოზ კეცხოველზე ინახება სხვა მასალებიც.

19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 29.

მიწერილი აქვს - „**ჩოლოყაევს**“.

ენდეთ - **კონსტანტინე აფხაზი**.

დაკითხვას აწარმოებდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი - **აშუკინი**.

ასლი დედანთან სწორია.

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან 24/IV-1923 წ.: [20]

პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენელმა ნიკოლოზ ქარცივაძემ გადმომცა, რომ კომიტეტში დასახელებულია ჩემი კანდიდატურა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში და ჩემს ნებართვას ითხოვდა, რაზეც დავეთანხმე. მახსენდება, რომ სამხედრო ცენტრში არჩეულ პირთა სია გამოცხადებული იყო სხდომაზე, რომელსაც ნიკოლოზ ქარცივაძე თავმჯდომარეობდა, პარიტეტული კომიტეტის წევრების - იასონ ჯავახიშვილის, ანდრონიკოვის, აფხაზის, ჩემი და ნარიკელაძის თანდასწრებით. ზუსტად როდის მოხდა ეს, არ მახსოვს, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს, ან ცოტა უფრო ადრე. სამხედრო ცენტრში არჩეული იყვნენ: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, როსტომ მუსხელოვი და მე. ცენტრის თავმჯდომარე იყო ანდრონიკაშვილი. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეს ვუკავშირდებოდი მე. ანდრონიკაშვილს თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა. ვთხოვდი, არავისთან მისულიყო და არც ვინმე მიეღო სახლში. ფუნქციები ზუსტად გადანაწილებული არ იყო, თუ რაიმე გადაწყვეტილება იყო მისაღები, ერთობლივად ვიღებდით ქუჩაში შეხვედრების დროს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 25/IV-1923 წ.: [21]

ვარდენ წულუკიძე 1921 წლიდან თანამშრომლობს მენშევიკებთან სამხედრო ხაზით. სამხედრო ცენტრი არსებობს 1922 წლის ივნისი-ივლისიდან. თავდაპირველად მის შემადგენლობაში შევდიოდით: მე, ანდრონიკოვი, წულუკიძე, ხიმშიევი და იოსებ გედევანოვი.

1922 წლის ოქტომბერში გავიგე, რომ სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში ცვლილებები მომხდარა, ხიმშიევის ნაცვლად კონსტანტინე აფხაზი ჩართულა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 30.
21 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 31.

წ ე რ ი ლ ი [22]

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო
25 აპრილი, 1923 წ.
N2613

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას (ЗАКЧЕКА)

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის განკარგულების საფუძველზე, დაახლოებით თვენახევრის წინ დაპატიმრებულ იქნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი სერგო დანელია და ამავე უნივერსიტეტის ასისტენტები - გიორგი რცხილაძე და დიმიტრი ჯავახიშვილი.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობას ამხანაგების - დანელიას, რცხილაძისა და ჯავახიშვილის დაპატიმრებით დიდი ზიანი ადგება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო (СОВНАРКОМ) გთხოვთ გვაცნობოთ, რა ბრალდებები აქვთ მათ წაყენებული და ასევე, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული ამხანაგების სახელმწიფო უნივერსიტეტის თავდებობით გათავისუფლება.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქმეთა მმართველი.

ამონარიდი ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენებიდან 2/V-1923 წ.: [23]

ყაზბეგი - სიმონია თუ არა, არ ვიცი, დაახლოებით 45 წლისაა, მაღალი, ჯანსაღი მამაკაცია, მხარბეჭიანი, ატარებს გრძელ წვერს. ერთხელ ლაშქარაშვილს ესტუმრა. სავარაუდოდ, მას გაატანა ლაშქარაშვილმა წერილი ფავლენოვთან. თუ რა სამუშაოს ეწეოდა ყაზბეგი, არ ვიცი, თუმცა ერთხელ ლაშქარაშვილმა მითხრა, რომ ის ფავლენოვისგან იყო გამოგზავნილი და წერილი ჰქონდა მოტანილი. თუ რომელი პარტიის წევრი იყო ყაზბეგი, არ ვიცი, არც მისი ადგილსამყოფელია ჩემთვის ცნობილი.

რაც შეეხება ჩოლოყაშვილის კავშირს ეროვნულ-დემოკრატებთან, მსმენია, რომ ეროვნულ-დემოკრატებს შეუთავაზებიათ მენშევიკებისთვის, ჩოლოყაშვილთან კავშირი მხოლოდ მათი საშუალებით ჰქონოდათ. ფორმის ტანსაცმელი ჩოლოყაშვილისთვის ასევე ეროვნულ-დემოკრატების შეძენილია, თუმცა კონკრეტულად ვინ ყიდულობს, არ ვიცი.

თბილისიდან გაიგზავნა თუ არა ვინმე ჩოლოყაშვილთან, არ ვიცი, თუმცა მსმენია, რომ თბილისში ჩამოსულა ჩოლოყაშვილის კაცი ეროვნულ-დემოკრატებთან.

ბაგრატიონ-მუხრანელი.

22 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 32-33.
23 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 36.

კოტე აფხაზის ჩვენება 12/V-1923 წ.: [24]

არაფერი მაქვს დასამატებელი ჩემს წინა ჩვენებებზე, გარდა იმისა, რომ ადგილობრივ გამოსვლებს ვხსნი არა როგორც ცენტრის ან პარტიის ზემოქმედების შედეგებს, არამედ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და გუნება-განწყობილების გაგრძელებას, რომელთაც დაერღვათ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული შეხედულებები და ტრადიციები. ამ მოძრაობებს ხელმძღვანელი არ ჰყოლია. თავს დამნაშავედ ვგრძნობ და ბრალს ვაღიარებ მხოლოდ იმაში, რომ დავთანხმდი და დავიკავე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი, თუმცა ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ზემოქმედება იმ მიმართულებით მომეხდინა, რათა არ ყოფილიყო არანაირი გამოსვლები, რისი დასტურიცაა, ჯერ ერთი, გომბორის ეპიზოდის მაგალითი, სადაც ჩვენ გადაჭრით ვთქვით უარი გამოსვლებზე, მეორეც - 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პარიტეტული კომიტეტისადმი ახალი მომართვა გამოსვლების დაწყებასთან დაკავშირებით, რომელიც ცენტრმა ასევე კატეგორიულად უარყო და მესამე - ჩვენი აქტიური მუშაობითა და ზემოქმედებით მოსახლეობამ უარი თქვა 1922 წლის შემოდგომისა და 1923 წლის გაზაფხულის დღესასწაულებზე გამოსვლების მოწყობაზე.

კოტე აფხაზი.
დაკითხვას აწარმოებდა: **პეტროსიანი.**

ასლი დედანთან სწორია.

კოტე აფხაზის ჩვენება 12/V-1923 წ.: [25]

კამერაში ყოფნის დროს თავად კერესელიძის მიერ მონათხრობის საფუძველზე ვადასტურებ, რომ ხევსურები შემთხვევით გადაეყარნენ მას და სთხოვეს, მიეცილებინა ისინი და შეეხვედრებინა იასონ ჯავახიშვილთან, თუმცა მან თხოვნის შესრულება და ჯავახოვამდე მათი გაძღოლა ვერ შეძლო, ვინაიდან დაპატიმრებული იქნა ხევსურებთან ერთად. კერესელიძეს სწორედ ამას ვეუბნებოდი კამერაში - საქმე რომ არ გაგვერთულებინა, ჩვენებებში იასონ ჯავახიშვილის ხსენება არ ღირდა და რეალურად იგი არაფერ შუაში იყო, რადგან მან მათი იასონამდე მიყვანა მაინც ვერ შეძლო.

კომიტეტზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან მაშინ კომიტეტი არც იყო, ხოლო ეს საქმე ჩვენგან აბსოლუტურად განყენებულად არსებობდა კერესელიძესა და ჯავახოვს შორის და შესაბამისად, კომიტეტს რაიმე ზეგავლენის მოხდენა და მათ მოქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება არ შეეძლო.

1922 წლის ოქტომბრისთვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების შესაძლო კავშირებზე ჩოლოყაევის ხევსურულ მოძრაობასთან ჩემთვის არაფერია ცნობილი.

კოტე აფხაზი.
დაკითხვას აწარმოებდა: **პეტროსიანი.**

24 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 39.
25 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 40.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი [26]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის

სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის ოქმი N19)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, 55 წლის, უმაღლესი განათლებით, ყოფილი გენერალი, ყოფილი თავადი და თავადაზნაურობის წინამძღოლი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზს, 55 წლის, უმაღლესი განათლების მქონეს, ყოფილ თავადს, ყოფილ გენერალს, თავად-აზნაურთა ყოფილ წინამძღოლს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც შევიდა სამხედრო ცენტრში და მონაწილეობდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ორგანიზებაში, ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში აჯანყების საკითხის განხილვისას, როგორც თვითონ აღიარა, ხმა მისცა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

26 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 47.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширеннаго Заседания Коллегий Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссии.
Под председательством Предзчк т. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т.ПАНКРАТОВ,ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ,НИКОЛАЕВ,КВАНТАЛИАНИ, БЕРИЯ/МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

Слушали:

Докладчик тов.АШУКИН:

I - Дело военной организации анти-советских партий,по обвинению:

5/ АБХАЗИ Константина Николаевича,55 лет,с высшим образованием,б.князя,б.генерала-б. предводителя дворянства,председателя ЦК Грузинской и Н.Д. Партии.-

Постановили:

I - За организацию заговора против Сов власти Грузии,создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем,шпионаж в пользу Антанты,предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству - ПОСТАНОВЛЕНО:

5/ АБХАЗИ Константина Николаевича,55л с высшим образованием,б.князя,б.генерала - б.предводителя дворянства,председателя ЦК Грузинской Н.-Д Партии. Вошел в Ц.Ц. и участвовал в руководстве подготовкой к возстанию против Соввласти в Грузии, при обсуждении в ЦКН.Д. вопроса о возстании голосовал, по собственному признанию, за немедленное вооруженное возстание - РАССТРЕЛЯТЬ Приговор привести в испол.в 24 час.сро

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЙСОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23496. ტ. 1. გვ. 47.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი


(1896 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23584, 1 ტომი, 111 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ქვითრები, ცნობები;
- მემორანდუმი;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- კრებსი;
- დადგენილება ბრალის წარდგენაზე;
- წერილი;
- დაკითხვის ოქმი;
- სამსახურებრივი მიმოწერა;
- პატიმრის ჩვენებები;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.


Архив № 291
30/V 1923 года
2.
4
Закавкасск. Чрезвыч. Комиссия при Союзсовете
ДЕЛО №
9116-51
№ 24060-61
Начато „3" 1923 г.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 4.

სიმონ (სიმონიკა) გაგრატიონ-მუხრანელი

„...გონზე მომიყვანა სატუსაღოს ეზოში ამტყდარმა ყვირილმა - გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, მშვიდობით, ძმებო! გვხვრეტენ ამაღამ... - ხმამაღლა ყვიროდა ს. გაგრატიონ-მუხრანელი...“

/ალ. ხიმშიაშვილის მოგონებებიდან./


„...საშუალოზე მაღალი, 30 წლის, კავკასიური ტიპის, გამხდარი სახის, წვერს იპარსავს, ატარებს ულვაშს, ცხვირი სწორი აქვს, ატარებს ცისფერ პერანგსა და შარვალს, თმა შავი აქვს, აცვია კავკასიური ფეხსაცმელი...“

/აგენტურული ცნობები./



საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის 13 მარტს რსფსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ გაიცა N747 ორდერი, რომლის მიხედვითაც ოპერატიული განყოფილების თანამშრომელს, ვინმე ბელოვს ევალებოდა მოქალაქეების - სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ივანე ვასილის ძე ყარანგოზიშვილის დაპატიმრება და სასტუმრო „ტიროლის“ N37 ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Р. С. Ф. С. Р.

Н. К. В. Д.

Государственное Политическое Управление.

4.

Ордер № 747

6

Марта 13 дня 1923 г.

Выдан сотруднику Оперативного Отдела Г. П. У.

тов. Белову

на производство ареста и обыск

у. Багратион-Мухранский Семен Левано-вич и Кваначозишвили Иван Васильевич

по адресу Гайдов-Тригорная 37 кв 37 гост. „Тироль"

ПРИМЕЧАНИЕ. Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу, на имя которого выписан ордер, полное содействие для успешного выполнения.

Место для печати.

Зам. Председателя Г. П. У.

Начальник Оперативного Отдела

Справка

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 6.

ოქმიდან[1], რომელიც 13 მარტითაა დათარიღებული, რსფსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს N747 ორდერის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, ირკვევა, რომ მოქალაქეების - ბაგრატიონ-მუხრანელისა და ყარანგოზიშვილისგან ამოღებულ იქნა მიმოწერა, დოკუმენტები, ფოტოსურათები და ხანჯალი.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი დააპატიმრეს 1923 წლის 13 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N182

გვარი, სახელი, მამის სახელი	სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი
მისამართი	ტიფლისი, ევგენევსკის ქ. N3.
ასაკი	27 წლის.
განათლება	საშუალო.
პროფესია	სამხედრო.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	ბოლო დროს არსად არ მუშაობდა.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ვაჭრობა.
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	მოსკოვის სასაზღვრო სამმართველოს მიერ.
რის საფუძველზე	არ იცის.

ხელმოწერა: **ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 30.



25.

22 31

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный Лист № 182.

„2" Апреля 1923 г.

Фамилия Багратид-Мух Имя и отчество Семенович Левонович

Адрес: Тифлис, Евгиневская ул. 3

Возраст 27 л.

Образование средне.

Профессия военная.

Где работает и долго ли нигде не работал помещик бывш.

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли не состою

На какия средства живет торговлей

Имеет ли семью имею

Кем арестован Московск. П. У.

На каком основании не знаю

Подпись: Багратид-Мухранский

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 31.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის


<u>ანკეტა N96</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	პასუხები
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	ბაგრატიონ-მუხრანელი
2) ***სახელი, მამის სახელი***	სიმონ ლევანის ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო.
4) ***ჩაწერის ადგილი***	თბილისის გუბერნია, დუშეთის მაზრა, სოფ. მუხრანი
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	27 წლის, 1896 წლის 1 სექტემბერი.
7) ***განათლება***	თბილისის გიმნაზია.
8) ***ოჯახი***	***მეუღლე:*** ნინო ვასილის ასული, მცხ.ევგენიევსკის ქ. N3.
	შვილები - არ ჰყავს.

9) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი*	არ ჰყავს
10) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი*	არ ჰყავს.
11) *პარტიულობა*	უპარტიო.
12) *პროფესია*	სამხედრო მოსამსახურე.
13) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) თათრეთის ცხენოსანთა პოლკის კორნეტი. ბ) 1921 წლამდე მსახურობდა ქართულ ცხენოსანთა პოლკში, ხოლო 1921 წლიდან - წითელი არმიის ცხენოსანთა პოლკში
14) *წოდება*	
15) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	
16) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	არა
17) *ნასამართლობა*	არა
18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	1923 წლის 13 მარტს.

20) ***ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი***	სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორდერის საფუძველზე.
21) ***სად მოხდა დაპატიმრება***	მოსკოვში, სასტუმროს ბინაში.
22) ***ვის მიერ იყო დაკითხული პირველად***	არ დაუკითხავთ.
23) ***იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს***	არა
24) ***საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე***	მოსკოვი, სასტუმრო „ტიროლი“.
პატიმრის ხელმოწერა: **სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი.**	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) ***პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება***	
26) ***ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N***	
27) ***პატიმრის ნიშნები***	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	



Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии.

23 26(1)

АНКЕТА № 182.

32

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
1-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Багратион-Мухранский
2) Имя и отчество	Симоник Леванович
3) Гражданин(ка) какого государства	С.С.Р.С.
4) Место приписки	Губ.: Тифлисская, уезд Душетского вол.: село Мухрани город
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	27 лет, родился в 1896 г. 6 Сентябре 1 года месяца 19 года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) грамотный б) окончил Тифл. Гимназия школу в) прошел класс курс школы.

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1	жена	Нина Васил	23	Евгеньк. 3	Наркомфин
2					
3					
4					
5					


9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1				
2	Не имею			
3				
4				
5				

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Военное звание, род оружия или спец. в Красн. Ар.	Место службы
1	Ближних и			
2				
3	родных не имею,			
4				

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 32.



11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какого времени — а) состою членом беспартийный партии; б) месяца 19 года 26(11)

12) Профессия — военная

13) Место работы (службы): а) с начала войны до 1ш 1917 г.; б) с 1ш 1917 г. по день ареста

НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ	ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ
а) Татарский Конный Полк, Туземная Дивизия	Корнет
б) Грузинский Конный Полк до 1921 г. с 1921 г. в Красной Армии, в Конном полку	

33

14) Если состоял на госуд. службе, то в каком чине — не состоял

15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил — Служил

16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где — не владел

17) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке — не привлекался

18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании — а) бессрочный отпуск; б)

19) Когда арестован — 13 марта месяц 1927 года

20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера — Московской Г.П.У.

21) Где арестован: а) губер., уезд, воп., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании, в поезде и проч.) — а) б) На своей квартире, в гостинице, в Москве.

22) Когда и кем допрошен в первый раз — не допрашивался

23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно — пред'явлено в сочуст. в контр-революции.

24) Место жительства перед арестом

Подпись заключеннаго Бахрадзе Мухранский

« » 19 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения

26) По чьему ордеру арестован и № ордера

27) Приметы заключеннаго

Комендант Особотдел XI Армии

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 31.

დეპეშა[2]


გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს დაშიფრული დეპეშების ბიუროს უფროსს

5/III-23 წ.
თბილისიდან 88/C 88 4 2 2 20

გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილება. ერთი თვის წინ თბილისიდან მოსკოვში სამარშრუტო მატარებლით გაემგზავრა და ამავე მატარებლით უნდა დაბრუნდეს კვლავ თბილისში სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, 27 წლის, თბილისის ოფიცერთა ორგანიზაციის აქტიური მონაწილე. გთხოვთ, დააპატიმროთ და მოახდინოთ ეტაპირება ЗАКЧЕКА-ში. 3 მარტი Нр I08/Ш.

ЗАКЧЕКА -ს თავმჯდომარის მოადგილე **პანკრატოვი**.

დაბეჭდილია 1 ეგზემპლარად. გაშიფრა **ლეპამ.**


ип. ТЕЛЕГРАММА ШИФРОМ 10.
ВХ ГПУ /5-3-23 года.
МОСКВА ЗАВШИФРБЮРО ГПУ
ИЗ ТИФЛИСА 88/С 88 4 2 2 20
КРОГПУ месяц тому назад выехал Тифлиса Москву маршрутным поездом Наркомпрода Сергетим же поездом должен вернуться Тифлис Баграти он -Мухранский Семен Леванович 27 лет, активный участник офицерской организации Тифлисе. Просим арестовать доставить ЗАКЧК . Змарта Нр I08/Ш
Зампредзакчека Панкратов.
напеч.1ом экз. расшифровал Лепа.
№ 849
„5" 3 1923 г.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 13.

დეპეშა[3]

გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს დაშიფრული დეპეშების ბიუროს უფროსს

7/III -23 წ.
თბილისიდან НР 131/С 85 7 I 20

გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილება. დამატება ჩვენს ნომერზე Нр I08/Ш. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ვიმეორებ, ბაგრატიონ-მუხრანსკი გაემგზავრა მოსკოვში სამარშრუტო მატარებლით. მუხრანსკი თბილისში გამოგზავნეთ შიკრიკით. 3 მარტი Нр III 9/Ш.

ЗАКЧЕКА-ს თავმჯდომარის მოადგილე **პანკრატოვი**.

დაბეჭდილია 1 ეგზემპლარად. გაშიფრა **კალნინმა**.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 13.
3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 15.

დეპეშა[4]

გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს დაშიფრული დეპეშების ბიუროს უფროსს

შიფრით Вх ГПУ№ /Ш 7/3-23 წ.
თბილისიდან 147/С 51 7/3 18 50

კონტრდაზვერვის განყოფილება. დამატება Нр119. 6 მარტი. ბაგრატიონ-მუხრანსკი გაჩერდა მოსკოვში, სასტუმროში, სადოვაია ტრიუმფალნაიაზე. Нр 126/Ш 7 მარტი 1923 წ.

ЗАКЧЕКА -ს თავმჯდომარის მოადგილე **პანკრატოვი**.

დაბეჭდილია 1 ეგზემპლარად.

დეპეშა[5]

გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს დაშიფრული დეპეშების ბიუროს უფროსს

შიფრით Вх ГПУ№ /Ш 22/3-23 წ.
თბილისიდან 394/С 36 21 33 58

Нр 60059/445 Ш. ჩვენ მიერ გახსნილი სამხედრო ცენტრის საქმესთან დაკავშირებით, ფრიად მნიშვნელოვანია ბაგრატიონ-მუხრანსკის დაპატიმრება. გვაცნობეთ, სად იმყოფება. დაპატიმრებული ივანე ყარანგოზოვი გამოგვიგზავნეთ მუხრანსკის დაპატიმრების შემდეგ. Нр 189/Ш 21 მარტი 1923 წ.

ЗАКЧЕКА-ს თავმჯდომარე **მოგილევსკი**.

დაბეჭდილია 1 ეგზემპლარად. გაშიფრა **კალნინმა**.

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 16.
5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 24.

სასწრაფოდ

მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ)[6]
ცენტრალურ სარეგისტრაციო განყოფილებას

გთხოვთ, სასწრაფოდ მოგვცეთ ცნობა, თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია შემდეგ პირებზე:
1. ყარანგოზიშვილი ივანე ვასილის ძე;
2. ბაგრატიონ-მუხრანსკი სიმონ ლევანის ძე.

კონტრდაზვერვის მე-6 განყოფილების რწმუნებული **ა. ბორისოვი.**
17/III-23წ.

დასკვნა[7]

1923 წლის 24 მარტს მე, გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს კონტრდაზვერვის მე-6 განყოფილების რწმუნებულმა ბორისოვმა, განვიხილე საქმე №17729, რომელშიც მოქალაქეებს: სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ივანე ვასილის ძე ყარანგოზიშვილს ბრალად ედებათ მონაწილეობა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, ანუ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული და ვითვალისწინებ რა იმ გარემოებას, რომ ბაგრატიონ-მუხრანსკი და ყარანგოზიშვილი დაპატიმრებულნი არიან ЗАКЧЕКА-ს დეპეშის საფუძველზე და ექვემდებარებიან ეტაპირებას ЗАКЧЕКА-ში, ვადგენ:

ხსენებული საქმე და დაპატიმრებულები ბაგრატიონ-მუხრანსკი და ყარანგოზიშვილი სასწრაფოდ იქნან გადაგზავნილნი ЗАКЧЕКА-ში, ქ. თბილისში. თითოეული პატიმარი გაგზავნილი იქნას მეორისგან განცალკევებულად. პირველ რიგში, გაიგზავნოს ბაგრატიონ-მუხრანსკი. ГПУ-ს №№1083, 1084, 1085 ქვითრებში აღნიშნული ნივთები გაიგზავნოს საქმესთან ერთად.

კონტრდაზვერვის მე-6 განყოფილების რწმუნებული: **ა. ბორისოვი.**

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 19.
7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 26.


დადგენილება[8]

1923 წლის 2 აპრილს მე, საიდუმლო-ოპერატიული განყოფილების რწმუნებულმა დანიელ აზაროვმა განვიხილე ГПУ-დან გადმოგზავნილი საქმე №17729, მოქალაქეების სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ივანე ვასილის ძე ყარანგოზიშვილის წინააღმდეგ აღძრული, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში და დავადგინე:

მოქალაქეების, სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ივანე ვასილის ძე ყარანგოზიშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე №17729, რომელიც გადმოიგზავნა ЗАКЧЕКА-ში ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე (106/Ш და 119/Ш), დავადგინე: დაპატიმრებული ბაგრატიონ-მუხრანსკი მოთავსებული იქნას ЗАКЧЕКА-ს შიდა ციხეში, ხოლო საქმე №17729 გადაეცეს ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის განყოფილებას, ამხ. აშუკინს.

მორიგე რწმუნებული: /**აზაროვი**/.

ვამტკიცებ: ამიერკავკასიის ცეკას თავმჯდომარის მოადგილე /**პანკრატოვი**/.



П О С Т А Н О В Л Е Н И Е.- 29 21 23.

1923 года Апреля 2-го дня. Я дежурный Уполномоченный СОЧ ЗАКЧК-АЗАРОВ Даниил рассмотрел присланное сего числа из ГПУ дело за № I7729 по обвинению БАГРАТИОН-МУХРАНСКОГО Семена Левановича и КАРАНГОЗИАШВИЛИ Ивана Васильевича в преступлении предусмотренном ст.ст. 60 и 6I уголовного Кодекса РСФСР Нашел:

Дело за № I7729 по обвинению БАГРАТИОН-МУХРАНСКОГО и КАРАНГОЗИАШВИЛИ вместе с арестованным БАГРАТИОН-МУХРАНСКИМ направлено в ЗАКЧК согласно запросов последней за №№ I05/ш и II9/ш, а поэтому постановил: Арестованного БАГРАТИОН-МУХРАНСКОГО заключить под стражу во внутреннюю тюрьму при ЗАКЧК, а дело № I7729 передать в КРО ЗАКЧК тов. АШУКИНУ для дальнейшей разработки.

ДЕЖУРНЫЙ УПОЛНОМОЧЕННЫЙ / АЗАРОВ/

УТВЕРЖДАЮ: /ЗАМПРЕДЗАКЧК / ПАНКРАТОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 29.

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 29.

ცნობა[9]

მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ)
ცენტრალური სარეგისტრაციო განყოფილება

ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი, კონტრრევოლუციაში მონაწილეობის ბრალდებით, იმყოფება ეჭვმიტანილ პირთა სიაში.

17/III-23წ.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[10]

სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკიზე

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი „5“, შეტყობინება 14/VII.

კოჯრის წითელი არმიის შტაბთან დასაკავშირებლად ნარიკელაძეს ჰყავდა ცნობილი თბილისელი მოქეიფე სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც თითქოსდა ცხოვრობდა ევგენიევსკის ჩიხის იზმაილოვსკის ქუჩაზე, №5 სახლში; დაპატიმრებული იყო საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ. გარკვეული პოლიტფიზიონომია არ აქვს, განწყობილია ანტისაბჭოურად, მზადაა ემსახუროს მას, ვინც მეტს გადაუხდის; მუხრანსკი ახალგაზრდა კაცია, 20-25 წლის, საშუალოზე მაღალი, შავგვრემანი, ატარებს მოკლედ შეკრეჭილ ულვაშს, წვერს იპარსავს, აქვს მსხვილი ცხვირი, აცვია თეთრი პერანგი, ცისფერი შარვალი, მაღალი აზიური ფეხსაცმელები და შავი ფაფახი. ნარიკელაძის დახასიათებით, ის სანდო და ყველაზე შესაფერისი ადამიანია ამ სამუშაოსთვის, საკმარისი ენერგიისა და გაქნილობის მქონე; დალევის დროს უყვარს ბევრი ლაპარაკი.

ცნობა მოგვაწოდა სანდო პირმა №5.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი „5“, შეტყობინება 16/VII.

მუხრანსკი ამბობდა, რომ მისი დაპატიმრების დროს, მისთვის ყოველდღიურად გამოიყოფოდა 300 თ., მაგრამ ნარიკელაძე მას მხოლოდ 100-ს გადასცემდა; ის ზუმბლატისგან ცნობების მისაღებად ნარიკელაძისგან იღებდა 100-ს, მაშინ, როცა ნარიკელაძე ერთ მილიონს იღებდა.

ცნობა მოგვაწოდა სანდო პირმა №5.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი, შეტყობინება 20/VII.

იზმაილოვსკი-ევგენიევსკის ჩიხში №5 მუხრანსკი არ ცხოვრობს.

9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 20.
10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 73-76.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი, შეტყობინება 28/VII.

სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკი - 35 წლის, ყოფილი ოფიცერი, ლოთი, ნებისმიერ კომბინაციაზე წამსვლელი, ხშირად სტუმრობს ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის. მუხრანსკების მიმართულება მენშევიკურია.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი „1771“, შეტყობინება 1/IX.

სიმონიკა ლევანის ძე მუხრანსკი თითქოს ცხოვრობს ბელინსკის ქუჩაზე - ნომერი არ არის დადგენილი.

აგენტი 1771.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი, შეტყობინება 6/IX.

ს. ბ. მუხრანსკი ცხოვრობს ევგენიევსკის შესახვევში, №3 სახლში, რომელიც დგას ქუჩის ბოლოში. დაბ. 1896 წელს, შტაბს-როტმისტრია, დაოჯახებული, არის შტაბის რეზერვის წევრი. მე-3 სართულზე მასთან ერთად ცხოვრობს კომუნისტი გერასიმე ალექსანიანცი, მასთან სტუმრად დადის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი საშა გეგეჭკორი, ბაგრატიონ-დავიდოვის დისწული. ს. მუხრანსკის ნიშნებია: საშუალოზე მაღალი, 30 წლის, კავკასიური ტიპის, გამხდარი სახის, წვერს იპარსავს, ატარებს ულვაშს, ცხვირი სწორი აქვს, ატარებს ცისფერ პერანგსა და შარვალს, თმა შავი აქვს, ფეხსაცმელი - კავკასიური.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 30/X.

სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკი წარმოშობით გორის მაზრიდანაა, ამჟამად იმყოფება მამულში, გორის მაზრაში.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი „Б/Б“, შეტყობინება 30/X.

კავთისხევის მონასტერში 23/IX ჩასულთა შორის იყო 7 ოფიცერი, რომელთაც ევალებოდათ ჩოლოყაევისთვის დამხმარე ბანდის ჩამოყალიბება, მათ შორის იყვნენ ლაშქარაშვილი /მენშევიკების სამხედრო-საველე სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე/ და ყოფილი ოფიცერი ბაგრატიონ-მუხრანსკი. რაზმმა ვერ გაილაშქრა, რადგან წითლებმა ის დაშალეს, ხოლო ორგანიზატორები მიიმალნენ.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), აგენტურული შეტყობინება 8/XI.

ბაგრატიონ-მუხრანსკი სექტემბერში ნამდვილად გაემგზავრა ჭიათურაში ფულის მისაღებად, თითქოსდა დედის მოსანახულებლად, რომელიც იქ ქვანახშირის საბადოებს ფლობს.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, სანდო პირი „66“, (თარიღი უცნობია)

სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკი ერთხანს მეგობრობდა ჩოლოყაევთან, ერთხელ მასთანაც კი გაემგზავრა, მაგრამ რატომღაც უკან დაბრუნდა. ასევე იცნობს ნარიკელაძესაც.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, ამონარიდი საქმე №952-დან.

სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, წითელი არმიის სხვა ოფიცრებთან ერთად, დაპატიმრებული იქნა 8 აპრილს, გენუის კონფერენციის გახსნის წინ. გათავისუფლდა გაერთიანებული წითელი არმიის საგანგებო განყოფილების 1922 წლის 22 აპრილის დადგენილებით და დათხოვნილ იქნა წითელი არმიის რიგებიდან /გვ. 206, 207/.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, სანდო პირი „მთიელი“, (თარიღი უცნობია)

სიმონიკა მუხრანსკი მონაწილეობას იღებდა გორის აჯანყების მომზადებაში /ფურც. 220/.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922წ.), სანდო პირი, შეტყობინება 31/I.

ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი ცხოვრობს ევგენიევსკის ჩიხში №3, ყოფილი თავადი, 1922 წლის ბოლოს იყო ოფიცერ-კავალერისტი, /სექტემბრის თვეში/ იგი გაემგზავრა გორში, იქიდან კი კავთისხევში, მონასტერში. ამჟამად არაფრით არ არის დაკავებული /გვ. 221/.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, ამონარიდი საქმე №952-დან.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი - დაოჯახებული, 26 წლის, სამხედრო განათლების მქონე, კავალერისტი, კორნეტი /გვ. 221/.

ს. მუხრანსკი, ივანე ყარანგოზოვთან ერთად, ერთი თვის წინ გაემგზავრა მოსკოვში, სადაც დეკემბრის თვეში მათ გააგზავნეს საქონელი. ყარანგოზოვი ცხოვრობდა სასტუმრო „ევროპაში“, მისი ცოლი კი მუხრანსკებთან /გვ. 169/.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 25/I.

კლიმიევმა იცის, სად მდებარეობს იარაღის საწყობი ელისაბედის ქუჩაზე, თუმცა ამას უარყოფს, თითქოს არც ყოფილიყო ამ ქუჩის კუთხეში, როდესაც მისი თანმხლები პირები საწყობში შევიდნენ, რის შედეგადაც ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მიიღო იარაღი.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 23/I.

„გორის აჯანყება“. ამ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ მოძრაობას, რომელიც წარუმატებლად

დასრულდა და ორგანიზებული იყო კავთისხევის რაიონში, განთქმული ქაქუცა ჩოლოყაევის მხარდასაჭერად. რთულია იმის დადგენა, თუ როდის დაიწყო პროპაგანდა, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავით გასული წლის გაზაფხულზე გამოვლინდა. ყველაზე აქტიური პროპაგანდისტი იყო მენშევიკური პარტიის წევრი ლაშქარაშვილი, მარჯვე, ჭკვიანი, განვითარებული და პოპულარული გორის მაზრაში, განსაკუთრებით კი კავთისხევის რაიონში. ლაშქარაშვილი, რომელიც ინსტრუქციებს მენშევიკების ცენტრისგან იღებდა, ირგვლივ იკრებდა ყოფილი სახალხო გვარდიის წევრებს, რომლებიც მენშევიკების მმართველობის დროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ მოვალეობას ასრულებდნენ, ასევე მათ, ვინც არსებული წყობით უკმაყოფილო იყო. სხვადასხვა ბეგარის აკრეფის პერიოდებს ეს ადამიანები ანტისაბჭოთა პროპაგანდის საწარმოებლად იყენებდნენ. პროპაგანდის წარმატება უნდა აიხსნას, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების უმოქმედებით რეგიონებში, ასევე გამოცდილი და საქმისადმი ერთგული პარტიული მუშაკების მცირე რაოდენობით და კომპარტიის ზოგიერთი წევრის არაკეთილსინდისიერებით, რომლებიც მხოლოდ სარგებელს მოელოდნენ და საკუთარი ბინძური საქმეების მოგვარებით იყვნენ დაკავებულნი. კავთისხევის რაიონში განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიშვილი /სოფელი ქვემო ხანდაკი/, ხუტაშვილი /ზემო ნიჩბისი/ და ნადირაშვილი /სოფ. ნადირაანთ-კარი/, რომლებიც იმდენად ატერორებდნენ მოსახლეობას, რომ მრავალი იმ გლეხთაგანი, ვინც შემდგომში ლაშქარაშვილის რაზმის წევრი გახდა, სწორედ ამ სამი აღნიშნული პირის დამსახურებით შეიარაღდა. სხვათა შორის, ხსენებული სამეული, მიუხედავად თანასოფლელთა არაერთი თხოვნისა მათი საქმიანობის აღკვეთის შესახებ, რაც დადასტურებული იყო აღმასრულებელი კომიტეტის მიერაც, სრულიად დაუსჯელი დარჩა და კიდევ უფრო მეტადაც გათავხედდა. ყოველ სოფელში მოსავლის ასაღებად მომზადებული იყო კადრი, მათ დაურიგდათ იარაღი და სამხედრო ვაზნები, აქტიურად ვრცელდებოდა ხმები ბოლშევიკების მოახლოებული აღსასრულის შესახებ, ნოეს ჩამოსვლის შესახებ, ინგლისის ჯარის ტრანსპორტის მოახლოების შესახებ, ნოეს ბრძანებაზე ძველი ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ. პროპაგანდამ, რომელიც არ ხვდებოდა დაბრკოლებებს, აპოგეას მიაღწია, ატმოსფერო მაქსიმუმამდე დაიმუხტა. ერთი პერიოდი თბილისში ოფიცერთა შემადგენლობასა და მემარჯვენე წრეებს შორის მიმდინარეობდა პროპაგანდა, რომელიც დარწმუნებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ წარმატებული არ ყოფილა. პირთა გადაბირების პროცესში, სხვათა შორის, იყვნენ ყოფილი პოლკოვნიკი ნარიკელაძე და პორუჩიკი კლიმიაშვილი. კონსპირაციული შეკრებები ეწყობოდა კიროჩნაიას ქუჩაზე, ხის რესტორნის უკანა ეზოში /პირველი ხიდის გავლით, „სახალხო სახლამდე“ მიუსვლელად/. ცენტრისგან შეხვედრებს ყოველთვის ესწრებოდნენ პარტიის წევრები: მიშა აბულაძე, კვალიაშვილი /დააპატიმრეს გასული წლის ოქტომბერში/ და კიდევ ერთი პირი, საშუალო სიმაღლის, კოჭლი, რომლის გვარიც უცნობია. სექტემბრის დასაწყისში ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად გადაბირებულნი იქნენ შემდეგი პირები: სახალხო გვარდიის ცხენოსანთა პოლკის ასეულის ყოფილი მეთაური სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკი, რევაზ ჩიქოვანი /1-ელი ქართული პოლკის შემადგენლობის მეთაური/, ფარნაოზ ყარალოვი /1-ელი ქართული სატყვიამფრქვევო მსროლელი პოლკის მეთაური/, ავთანდილ გედევანოვი /სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი/, ნიკოლოზ ციციანოვი /არის კურსანტთა სკოლის რიგებში/, საყვარელიძე /სოფ. კავთისხევიდან/ და კიდევ 10-15 პირი, რომელთა გვარებიც ჩემთვის უცნობია. 18 სექტემბერს ცენტრიდან ს. მუხრანსკიმ მეთაურთა შემადგენლობისთვის მიიღო: 4 მაუზერი, 6 ნაგანი, ბინოკლები, კომპასები, რუკები, მედიკამენტები, თანხა - 60 მილიონი და დავალება. 21 რიცხვში აღნიშნული პირები სხვადასხვა დროს გაემგზავრნენ რკინიგზით კავთისხევის რაიონში. შეკრების ადგილი დანიშნული იყო ტყეში, სოფელ ხანდაკიდან 15 ვერსის მანძილზე, სადაც მათ ელოდებოდათ მ. აბულაძე და ლაშქარაშვილი 60 შეიარაღებულ კაცთან ერთად. რაზმის მეთაურად დადგა ს. მუხრანსკი, რომელსაც ეს თანამდებობა რამდენიმე დღეში უნდა გადაეცა პოლკოვნიკ დათიკო წერეთლისთვის /სახალხო გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკი/.

რაზმს ყოველდღე უერთდებოდნენ გორის მაზრის მცხოვრებლები, 23-ში ჩამოვიდა ყაზბეგის რაიონის დელეგაციაც, რომელთა ცნობით, 28 რიცხვში 50 შეიარაღებული პირი უნდა ჩამოსულიყო. [...] დამყარდა კავშირი შალიკო ფავლენოვთან, შემდეგ კი ფარნაოზ ყარალოვთან, რომელიც ძეგვის ხიდს 4 ტყვიამფრქვევით იცავდა. სამხედრო მოქმედებების დაწყებისას ეს უკანასკნელი რაზმითა და ტყვიამფრქვევებით აჯანყებულთა მხარეს უნდა გადასულიყო. ამბობენ, რომ მოლაპარაკება წარმატებით წარმოებდა ჯავშანმატარებლის რაზმთანაც, რომელიც მცხეთის სადგურში იდგა. 27-ში დააკავეს სოფ. თვალანდის მცხოვრები ნაცვლიშვილი, რომელსაც თანასოფლელები ჯაშუშობაში სდებდნენ ბრალს. იმპროვიზირებულმა „სასამართლომ“ მას დახვრეტა მიუსაჯა /განაჩენის სისრულეში მოყვანა ვერ მოასწრეს/. 28-ში შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც, რაზმი ორ ნაწილად უნდა გაყოფილიყო და 29-ში ღამით ჯერ დუშეთს უნდა დასცემოდა /ფავლენოვთან გაერთიანების შემდეგ/, შემდეგ კი ახალქალაქს. 28-ში ღამით სოფელ ხანდაკში ჩავიდა კ. გაბაევი, რომელმაც გამოიძახა თავისი ძმა და ყველა მეთაური. სოფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები დილამდე წარმოებდა. კ. გაბაევმა, მთავრობის სახელით, ყველას იარაღის დაყრა შესთავაზა და სრულ ამნისტიას დაჰპირდა. შემდეგ მოლაპარაკებები წარმოებდა ლაშქარაშვილთან. ამის შედეგად, ლაშქარაშვილმა ვისაც სურვილი ჰქონდა შესთავაზა, სახლებში დაბრუნებულიყვნენ. საღამოს ცენტრისგან მიღებული იქნა დავალება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჩოლოყაევის წარუმატებლობის გამო, რაზმს არაფერი არ უნდა მოემოქმედა და პატარა ჯგუფებად დაშლილიყო. დილისთვის მთელი რაზმი უკვე დაშლილი იყო. გამოყვეს 15-კაციანი დელეგაცია, რომელიც, კ. გაბაევთან ერთად, თბილისში გაემგზავრა. აბულაძე, ლაშქარაშვილი და მუხრანსკი მიიმალნენ. მოგვიანებით, მუხრანსკი, გაბაევის საშუალებით, საგანგებო კომისიის თავმჯდომარესთან გამოცხადდა და ამნისტია მიიღო. აჯანყებულებს ეხმარებოდნენ აღნიშნული მონასტრის ბერები, კერძოდ, სურსათით, სადაზვერვო ინფორმაციით და სხვ.

ქაქუცას წერილში აღნიშნული სიმონი უნდა იყოს ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც იმ პერიოდში დუშეთის მაზრაში მოძრაობდა. ამასთან, მუხრანსკი მეგობრობს ქ. ჩოლოყაევსა და ფავლენოვთან. ქ. ჩ. საშა გეგეჭკორს იმ პატიმართა დახმარებას სთხოვდა, რომლებიც მძევლებად იყვნენ აყვანილნი როგორც ქ. ჩ.-ს ოჯახის წევრები.

1. მიშა აბულაძე - ცხოვრობს თბილისში, კიროჩნაიას ქუჩაზე.

2. მუხრანსკი - ცხოვრობს ევგენიევსკის ჩიხში №3.

3.ჩიქოვანი - სასახლეში პოსტის მიტოვებისათვის გადაცემულია რევოლუციური

ტრიბუნალისადმი.

4. ყარალოვი - ადრეც და ახლაც მსახურობს პოლკში.

5. კვალიაშვილი - ვფიქრობ, გადასახლებულია.

6. გედევანოვი - სწავლობს უნივერსიტეტში, ცხოვრობს ვარდისუბნის ქუჩაზე, №14 სახლში.

7. საყვარელიძე - ცხოვრობს სოფელში.

8. ლაშქარაშვილი - გაიქცა კონსტანტინოპოლში.

9. დათიკო წერეთელი - უკავია საქართველოს სახალხო ბანკის საწყობის უფროსის თანამდებობა

/გვ. 148/.

ამონარიდი გიორგი დავითის ძე გაბაევის მოხსენებიდან 29/IV-1923 წ.: [11]

სიმონიკა მუხრანსკი არის ლაშქარაშვილის რაზმის უფროსის თანაშემწე.
ხელმოწერა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენება 4/IV-1923 წ.: [12]

1922 წლის სექტემბერში ჩემთან მენშევიკი კვალიაშვილი მოვიდა და მითხრა, რომ „ავთანდილი“ (გ. ფაღავა) მასთან მისვლას მთხოვდა. კვალიაშვილს გავყევი. მან მიმიყვანა სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე, სახლის ნომერი არ მახსოვს. მივედით ერთ მენშევიკთან (საშუალო სიმაღლის იყო, გრძელი, ქერა თმა ჰქონდა, ასე 28 წლის იქნებოდა), რომლის გვარიც არ ვიცი. ამ მენშევიკმა (დიმიტრაშვილმა) გადასცა ბარათი კვალიაშვილს, რომელმაც გრიბოედოვის ქუჩაზე წამიყვანა. გრიბოედოვის ქუჩაზე, ერთ-ერთ სახლში შევხვდით ავთანდილს. ამ უკანასკნელმა მკითხა, თუ იქნებოდა შესაძლებელი ქ. ჩოლოყაევის საზღვარგარეთ გაყვანა. მე დავუდასტურე. შემდეგ მან შემომთავაზა, გავმგზავრებულიყავი კავთისხევში (გორის მაზრაში), მენახა ლაშქარაშვილი და მისი საშუალებით დავკავშირებოდი ქ. ჩოლოყაევს. მეორე დღეს კვალიაშვილმა წამიყვანა ანასტასიევსკის ქუჩაზე მდებარე თავართქილაძის ბინაში, მაგრამ მე ბინაში არ შევსულვარ, ქუჩაში ველოდებოდი. ამ ბინაში კვალიაშვილმა მიიღო 15 მილიონი მანეთი, საიდანაც 4 მილიონი დაიტოვა, ხოლო დარჩენილი 11 მილიონი მე გადმომცა. მიღებული თანხიდან 3-3 მილიონი გადავეცი რეზო ჩიქოვანსა და გიორგი გაბაევს, ხოლო 5 მილიონი კი დავიტოვე. ერთი-ორი დღის შემდეგ კვალიაშვილმა წამიყვანა ანდრეევსკის ქუჩაზე, ექიმ სარაჯევის ბინაში, სადაც შევხვდი ი. ცინცაძესა და გ. ფაღავას. ფაღავამ მაცნობა, რომ გორის მაზრაში იმყოფებოდა ლაშქარაშვილი თანამოაზრეებთან ერთად, რომლებიც დამეხმარებოდნენ ჩემთვის მოცემული დავალების შესრულებაში.

შემდეგ ფაღავამ მთხოვა გამერკვია ძალთა რაოდენობა იმ შემთხვევაში, თუ მექნებოდა სურვილი მონაწილეობა მიმეღო აჯანყებაში და ლაშქარაშვილთან ერთად გავმგზავრებულიყავი ჩოლოყაევის დასახმარებლად. გ. გაბაევსა და რ. ჩიქოვანთან აღნიშნული შეხვედრის შემდეგ, მატარებლით კავთისხევში გავემგზავრე. ყველანი რევოლვერებით ვიყავით შეიარაღებულნი. ლაშქარაშვილთან რომ მივედით, მისგან შევიტყვე, რომ ჩოლოყაევი ალყაში იყო მოქცეული ხევსურეთის მხრიდან და მისთვის დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი იყო. ლაშქარაშვილის ბანდა, მისივე თქმით, დაკავშირებული იყო შალვა ფავლენიშვილის ბანდასთან. ლაშქარაშვილის გეგმები ჩემთვის უცნობი იყო.

ხელმოწერა.

დაკითხა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**

შესწორება: ცინცაძის ბინაში დამევალა ლაშქარაშვილის დახმარებით ჩოლოყაევის საზღვარგარეთ გაყვანა.

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 41.
12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 34.

24 27.
34

П О К А З А Н И Я

ПАГРАВИ-ЖИЖРАШВИЛИ СЕМЕНА ЛЕВАНОВИЧА ОТ 4-го МАРТА 1943 ГОДА.

В сентябре месяце 1942 года ко мне зашел меньшевик КВАЛИАШВИЛИ и сказал, что меня просит к себе "АВТАНДИЛ" (Г.ПАГАВА). Я пошел с КВАЛИАШВИЛИ. Привел он меня на Святополкширскую ул. К дома не помню. Там он меня подвел к меньшевику (среднего роста, блондин, лет 28-ми, с длинными волосами), фамилия которого мне неизвестна. Меньшевик это (ДМИТРАШВИЛИ) дал записку КВАЛИАШВИЛИ, который получив записку, повел меня на Грибоедовскую улицу. На Грибоедовской улице, в доме № не знаю), мы застали "АВТАНДИЛА". АВТАНДИЛ спрашивал нельзя ли вывезти за границу К.ЧИЛОКАВА. Я на это согласился. Затем АВТАНДИЛ предложил мне выехать в Кахети-Хевши (Горийский уезд), где явиться к ЛАШКАРАШВИЛИ и через последнего связаться с К.ЧИЛОКАВОЙ. На другой день КВАЛИАШВИЛИ повел меня на Анастасиевскую улицу, кв.ТАВАРТКИЛАДЗЕ, но я в квартиру не зашел, а стоял на улице. На этой квартире КВАЛИАШВИЛИ получил 15 миллионов рублей, из которых он 4 взял для себя и ДМИТРАШВИЛИ, а остальные 11 миллионов дали мне. Из полученных 11 миллионов я дал по три миллиона Реваз ЧИЛОКАВА и Георгию ПАГАВА и пять миллионов рублей оставил себе. Через день или два КВАЛИАШВИЛИ повел меня на Андреевскую улицу, в квартиру доктора СИРАКОВА, где я встретил И.ЦИЦИАДЗЕ и Г.ПАГАВА. ПАГАВА сообщил мне, что в Горийском уезде находится ЛАШКАРАШВИЛИ со своими людьми, которые мне помогут выполнить мою задачу.

Затем ПАГАВА просил меня выяснить наличие сил и, если захочу принять участие в восстании и идти с ЛАШКАРАШВИЛИ на помощь ЧИЛОКАВУ. После этого свидания с Г.ПАГАВОЙ и К.ЧИЛОКАВОЙ я выехал по железной дороге в Кахетию-Хевши. Все мы были вооружены револьверами. По прибытии к ЛАШКАРАШВИЛИ, от последнего я узнал, что ЧИЛОКАВА окружен с Хелсурети и спасти его невозможно. Банда ЛАШКАРАШВИЛИ, по словам самого ЛАШКАРАШВИЛИ имела связь с бандой Пеллы ПАВЛЕНИШВИЛИ. Имена ЛАШКАРАШВИЛИ мне не были известны.

(Подпись)

Допросил Нач КРО МИЛИН.

Исправляю: На квартире Цицадзе мне было предложено через помощь ЛАШКАРАШВИЛИ вывезти ЧИЛОКАВА за границу.

ცსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 34.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენება 4/IV-1923 წ.: [13]

1922 წლის სექტემბერში ჩემთან მენშევიკი კვალიაშვილი მოვიდა და მითხრა, რომ „ავთანდილი“ (გ. ფაღავა) მასთან მისვლას მთხოვდა. კვალიაშვილმა გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე სახლის მე-3 სართულზე ამიყვანა. ავთანდილმა შემომთავაზა შემედგინა ჯგუფი, მომეძებნა ქაქუცა ჩოლოყაევი და ეს უკანასკნელი კონსტანტინოპოლში გადამეყვანა. დასტური განვუცხადე. ჯგუფში შევიყვანე გიორგი გაბაევი და რეზო ჩიქოვანი. მათთან ერთად გავემგზავრე კავთისხევში, გორის მაზრაში. იქ შევიტყვეთ, რომ ვინმე ლაშქარაშვილი დაკავშირებული იყო ჩოლოყაევთან. ვიპოვეთ ლაშქარაშვილი. მისგან გავიგეთ, თუ რა ვითარებაში იმყოფებოდა ქ. ჩოლოყაევი. დავასკვენით, რომ მისი გამოყვანა არ მოხერხდებოდა და თბილისში დავბრუნდით, სადაც წარვდექით საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ოკუჯავას წინაშე და შევიქენით ამნისტირებულნი. რეზო ჩიქოვანთან ერთად ოფიცერთა შეკრებებს არ დავსწრებივარ. გორის მაზრაში გამგზავრების წინ, მენშევიკებისგან თანხა არ ამიღია. ეროვნულ-დემოკრატებთან, კერძოდ კი დათო ვაჩნაძესთან არავითარი მოლაპარაკება არ მიწარმოებია. გორში გამგზავრებამდე ჩემი ჯგუფის წევრებს არც ერთი რევოლვერი არ მიუღიათ.

დაკითხა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**
ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენება (დამატებითი) 5/IV-1923 წ.: [14]

1922 წლის სექტემბერში ვარდისუბნის ქუჩაზე მდებარე სტუდენტ გედევანოვის ბინაში შევიკრიბეთ მე, გიორგი გაბაევი და რეზო ჩიქოვანი. მოვიდა რეზო ჩიქოვანის მიერ გაფრთხილებული მენშევიკი კვალიაშვილიც. ამჯერად მასთან საქმის შესახებ არ მისაუბრია. როდესაც მე და კვალიაშვილი ანდრეევსკის ქუჩიდან ვბრუნდებოდით, ფაღავასა და ცინცაძესთან შეხვედრის შემდეგ, შევედით ლაშხის დუქანში (ვერის ხიდთან) წყლის დასალევად. დუქანში იყო ნარიკელაძე ჩემთვის უცნობ პირთან ერთად. ლაშხის დუქნიდან გავემართეთ ანასტასიევსკის ქუჩაზე, სადაც მივიღე ფული. ავთანდილს ჩემთვის არ დაუვალებია, რომ ნარიკელაძისთვის გაერთიანებული ბანდების ხელმძღვანელობა შემეთავაზებინა, შესაბამისად, ნარიკელაძისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს. სხვა არაფრის ჩვენება არ შემიძლია.

დაკითხა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენება (დამატებითი) 10/IV-1923 წ.: [15]

ჩემთვის ცნობილია, რომ კლიმიაშვილი ხშირად სტუმრობდა შალიკო კვალიაშვილს. მისი კავშირების შესახებ არაფერი ვიცი. კლიმიაშვილს ჩემთან არ მოუყვანია ლაშქარაშვილის ბანდის წევრი გლეხები და არც მათთან ერთად გამიგზავნია ეს უკანასკნელი მიშა აბულაძესთან. კავთისხევიდან

13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 35.
14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 36.
15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 43.

დაბრუნების შემდეგ ქუჩაში ნარიკელაძე შემხვდა, მაგრამ მასთან არავითარი საქმიანი საუბარი არ მქონია. ბანდიტი შალვა ფავლენოვი ჩემთან არც ერთხელ არ ყოფილა, მას არასდროს შევხვედრივარ. აქვე დავამატებ, რომ როდესაც მივიღე დავალება ჩოლოყაევის საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ, გ. ფაღავამ მირჩია დავკავშირებოდი ლაშქარაშვილს. ამისთვის უნდა ჩავსულიყავი ხანდაკის ახლოს მდებარე სოფელში (რომლის სახელიც არ მახსოვს) და შევხვედროდი ლაშქარაშვილს, რომელიც მეტყოდა, თუ როგორ უნდა გამეყვანა საზღვარგარეთ ჩოლოყაევი.

დაკითხა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**
ასლი დედანთან სწორია.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენება 23/IV-1923 წ.: [16]

1921 წლის ივნისში საზოგადოება „მწყემსში“ ფუფაიკის საყიდლად მივედი. იქ შევხვდი შალვა ქარუმიძეს - ეროვნულ-დემოკრატების ლიდერს, რომელმაც თავის კაბინეტში შემიყვანა. ქარუმიძემ შემომთავაზა ექსპროპრიატორთა ჯგუფის შექმნა, რომელიც თავს დაესხმებოდა მატარებლებს და ჩამოართმევდა ფულს. ნაძარცვი ფული ქარუმიძისთვის უნდა მიმეცა, რომელიც, თავის მხრივ, ეროვნულ-დემოკრატების ცეკას გადასცემდა. ამ წინადადებაზე უარი ვთქვი. გუშინდელ ჩვენებაში განვაცხადე, რომ ჩემს ბინაში იყო კასრაძე, რაც არ არის მართალი, იყო მაკედონსკი, გვარები ამერია.

დაკითხა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**
ასლი დედანთან სწორია.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენება 25/IV-1923 წ.: [17]

კოლია ციციანოვს არ ვიცნობ. იგი რეზო ჩიქოვანთან ერთად ლაშქარაშვილთან წავიდა, მის ბანდაში იყო.

გოგიტა ფაღავას შევხვდი ან კლიმიევის, ან შალიკო კვალიაშვილის შუამავლობით. უფრო კვალიაშვილი მგონია.

დავამატებ, რომ როდესაც ლაშქარაშვილი ვინმეს მეწშევიკების ცეკაში აგზავნიდა, ისეთ პირებს უშვებდა, რომლებმაც იცოდნენ, თუ როგორ მისულიყვნენ გამცილებლების გარეშე. მათ შორის ვიცნობ „ვანოს“, გვარი არ ვიცი. კიდევ იყო აბულაძე, რომელმაც ყველა მისამართი ზედმიწევნით იცოდა.

დაკითხა **პეტროსიანმა**.
ასლი დედანთან სწორია.

16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 48.
17 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 49.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ჩვენება 2/V-1923 წ.: [18]

ყაზბეგი - სიმონია თუ არა, არ ვიცი, დაახლოებით 45 წლისაა, მაღალი, ჯანსაღი მამაკაცია, მხარბეჭიანი, ატარებს გრძელ წვერს. ერთხელ ლაშქარაშვილს ესტუმრა. სავარაუდოდ, მას გაატანა ლაშქარაშვილმა წერილი ფავლენოვთან. თუ რა სამუშაოს ეწეოდა ყაზბეგი, არ ვიცი, თუმცა ერთხელ ლაშქარაშვილმა მითხრა, რომ ის ფავლენოვისგან იყო გამოგზავნილი და წერილი ჰქონდა მოტანილი. თუ რომელი პარტიის წევრი იყო ყაზბეგი, არ ვიცი, არც მისი ადგილსამყოფელია ჩემთვის ცნობილი.

რაც შეეხება ჩოლოყაშვილის კავშირს ეროვნულ-დემოკრატებთან, მსმენია, რომ ეროვნულ-დემოკრატებს შეუთავაზებიათ მენშევიკებისთვის, ჩოლოყაშვილთან კავშირი მხოლოდ მათი საშუალებით ჰქონოდათ. ფორმის ტანსაცმელი ჩოლოყაშვილისთვის ასევე ეროვნულ-დემოკრატების შეძენილია, თუმცა კონკრეტულად ვინ ყიდულობს, არ ვიცი.

თბილისიდან გაიგზავნა თუ არა ვინმე ჩოლოყაშვილთან არ ვიცი, თუმცა მსმენია, რომ თბილისში ჩამოსულა ჩოლოყაშვილის კაცი ეროვნულ-დემოკრატებთან.

ბაგრატიონ-მუხრანელი.

ასლი დედანთან სწორია **ზალპეტერი**.

ამონარიდი აგენტურული კრებსიდან 12/IV-1923 წ. [19]

სიმონიკა მუხრანსკი გაგზავნილი იქნა „კაკოს“ მიერ კერესელიძესთან (მენშევიკია) „რენესანსში“ იარაღის მისაღებად. „რენესანსიდან“ იგი გაუშვეს ოლგას ქუჩაზე მდებარე ბინაში, სადაც მუხრანსკიმ მიიღო ერთი მაუზერი 30 ვაზნით. იქვე, მუხრანსკის მიერ გაგზავნილმა გ. გაბაევმა მიიღო თეთრტარიანი მაუზერი და რამდენიმე ნაგანი. კავთისხევიდან დაბრუნებამდე, ი. ცინცაძემ მუხრანსკის 15 მილიონი გაუგზავნა და დაავალა, რომ წარმდგარიყო ხელისუფლების წინაშე და განეცხადებინა, „ჩვენ მოგვატყუესო“. ფული და დანაბარები მას გადაეცა კავთისხევიდან ჩასული გლეხის საშუალებით.

სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 22/IV-1923 წ.: [20]

1921 წლის შემოდგომაზე ჩემთან ბინაზე მოვიდნენ არჩილ ვაჩნაძე /დახვრეტილია/ და ს. მუხრანსკი, რომელმაც მომიყვა, რომ 1921 წლის გასაბჭოებიდან მცირე ხნის შემდეგ იგი ეროვნულ-დემოკრატებმა გორის მაზრაში აჯანყების მოსამზადებლად გაგზავნეს, მაგრამ უეცრად უკან დაიბარეს. ჩიოდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა ის მოატყუეს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

18 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 56.
19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 44.
20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 45.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 22/IV-1923 წ.: [21]

1922 წლის სექტემბერში ან ოქტომბერში, ს. მუხრანსკის თქმით, იგი შეხვდა ს. კასრაძესა და გეგენო ფავლენაშვილს. შეხვედრის დროს განიხილეს მენშევიკური ბანდების მდგომარეობის საკითხი. კასრაძემ და გეგენო ფავლენაშვილმა ისაუბრეს მენშევიკების ცეკას განკარგულებაზე ბანდების დაშლის შესახებ, ამბობდნენ, რომ რთული იქნებოდა გლეხებთან საუბარი, რადგან ავტორიტეტი უკვე დაკარგული იყო. მესაუბრა თუ არა იმ დღეს ს. მუხრანსკი გეგენო ფავლენაშვილზე ან შალვა ფავლენიშვილზე, ზუსტად არ მახსოვს. ს. მუხრანსკი საუბრისას, რომელსაც ესწრებოდნენ გეგენო ფავლენაშვილი და გიორგი მაკედონსკი, უკმაყოფილებას გამოთქვამდა მენშევიკების ცეკას მიმართ, რომელმაც ის გორის მაზრაში ბანდის შესაკრებად გაგზავნა და საჭირო აღჭურვილობით არ უზრუნველყო. ს. მუხრანსკის თქმით, კასრაძემ ჩემი მისამართით უკმაყოფილება გამოთქვა, თითქოს მე რაღაცას ვაფერხებდი. იმავე კასრაძემ მე „ჩეკისტი“ მიწოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 22/ IV-1923 წ.: [22]

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ს. მუხრანსკიმ, როგორც ამას აღნიშნავდა აწ გარდაცვლილი მოხუცი მხეიძე, რომელიც მენშევიკების დროს ბანკში მსახურობდა, ეროვნულ-დემოკრატების ცეკას დავალებით გაემგზავრა ან კახეთში, ან გორის მაზრაში, რათა მოემზადებინა აჯანყება, მაგრამ საქმე ვერ დაამთავრა და გამოწვეული იქნა თბილისში.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ფარნაოზ რევაზის ძე ყარალოვის ჩვენებიდან 27/ IV-1923 წ.: [23]

სექტემბრის თვეში, დღე ზუსტად არ მახსოვს, ჩემთან საღამოს ერთი გლეხი მოვიდა და მითხრა, რომ კოტა-ხევში იმყოფებოდნენ სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი და რევაზ ჩიქოვანი, რომლებიც ჩემს დაუყოვნებლივ მისვლას მოითხოვდნენ. იქ შევხვდი სიმონ მუხრანსკის, რევაზ ჩიქოვანსა და ლაშქარაშვილს. სიმონ მუხრანსკიმ და ლაშქარაშვილმა განმიცხადეს, რომ მათ განკარგულებაში იყო რაზმი, რომლის მეშვეობითაც სურდათ აჯანყების მოწყობა. მათ შემომთავაზეს ჩავრიცხულიყავი რაზმში და ჩემდამი დაქვემდებარებული 21-კაციანი ჯგუფით მიმეღო მონაწილეობა აჯანყებაში. პასუხი მაშინვე არ გამიცია. მთხოვეს, მომეფიქრებინა და მეორე დღეს მეპასუხა. მეორე დღეს, რადგან აჯანყებაში მონაწილეობის სურვილი არ მქონდა, გავემგზავრე თბილისში.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

21 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 46.
22 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 47.
23 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 53.

კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი [24]

კრებსი №1320

არსებული დაზუსტებული ინფორმაციით, ЗАКЧЕКА-ს მიერ დაპატიმრებული სიმონიკა მუხრანსკის - ცხენოსანი გვარდიის დივიზიის ყოფილი როტმისტრი - მჭიდრო კავშირი ჰქონდა დახვრეტილ სუსლიკ ანდრონიკოვთან. ორივენი მუშაობდნენ ეროვნულ-დემოკრატების ცეკასა და ქაქუცა ჩოლოყაევს შორის კურიერებად, რაც დასტურდება გიორგი წინამძღვრიშვილის / ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრი/ მეზობლის - ვინმე გეროქანიძის სიტყვებით, რომელიც ამბობს, რომ წინამძღვაროვის ბინაში ხშირად იმართებოდა შეკრებები, რომლებსაც ესწრებოდნენ სიმონ მუხრანსკი და სუსლიკ ანდრონიკოვი. გეროქანიძე ამბობდა, რომ როდესაც წინამძღვაროვმა ანდრონიკოვის დახვრეტის ამბავი შეიტყო, მთელი კვირა ავად იყო.

1923 წლის 4 მაისი.

კრებსს ადევს ამუკინის რეზოლუცია: დაურთეთ საქმეს. ასლი მე გამომიგზავნეთ.

სტილი დაცულია


სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის წერილი [25]

ძმაო შალიკო!

„ჩვენი დანიშნულება და წადილი იყო უეჭველათ წამოვსულიყავით ჩვენი რაზმით თქვენკენ, მაგრამ დღევანდელმა წერილმა ცენტრიდგან გამოიწვია ერთგვარი გაუგებრობა მაინცდა მაინც საჩქაროთ საჭირო არის თქვენი ერთი კაცი გზის მაჩვენებლათ და კავშირათ იყოს ჩვენთან. ამ ორ დღეში სრულებით გამორკვეული იქნება საქმე.

შენი ძმა სიმონიკა.“

24 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 57.
25 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 61.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 61.

ამონარიდი ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის ჩვენებიდან 5/III-1923 წ.: [26]

მენშევიკურ ორგანიზაციასთან კავშირი დავიჭირე 1922 წლიდან. რევაზ ჩიქოვანმა, რომელიც ლაშქარაშვილის დაჯგუფების წევრი იყო, ივანე ივანეს ძე ნარიკელაძესთან გამაგზავნა. მეც მივედი ნარიკელაძესთან და ვუთხარი, რომ ერთ-ერთი ოფიცერი, რომელიც გორში ლაშქარაშვილის დაჯგუფებასთან გაემგზავრა, რჩევას სთხოვდა, როგორ მოქცეულიყო. ასევე გადავეცი ინფორმაცია

26 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 65.

იმის შესახებ, რომ „ხვალ“ ჩამოვიდოდა სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი. 2-3 დღის შემდეგ რევაზ ჩიქოვანისგან გავიგე, რომ სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი თბილისში ჩამოვიდა და ოლღას ქუჩაზე, საკუთარ ბინაში გაჩერდა, რაც დაუყოვნებლივ ნარიკელაძეს ვაცნობე. სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის ჩამოსვლიდან 2-3 დღის შემდეგ, ჩემთან სამი გლეხი მოვიდა, როგორც ადამიანთან, რომელიც მუშაობდა სიმონიკა მუხრანსკისთან ან რევაზ ჩიქოვანთან. ისინი ჩემგან რჩევას ითხოვდნენ (როგოც ჩემთვის ცნობილია, ეს გლეხები გორის აჯანყების მონაწილეები იყვნენ). მე ვერაფრით დავეხმარებოდი და ვურჩიე, დაბრუნებულიყვნენ სოფელში, მაგრამ მათ დაბრუნების ეშინოდათ. ამის შესახებ სიმონ მუხრანსკის ვაცნობე, რომელმაც დამავალა, გლეხებისთვის გადამეცა თანხა 500 000 მანეთის ოდენობით და ისინი დაბრუნებულიყვნენ უკან, სოფელში. მათ აიღეს ეს თანხა და რამდენადაც მაინც სურდათ სიმონ ბაგრატიონის ნახვა, მეორე დღეს შეხვდნენ. ერთ-ერთმა გლეხმა სიმონ მუხრანსკის მიშა აბულაძის (მენშევიკი) მისამართი სთხოვა, რა დროსაც მუხრანსკიმ მე დამავალა წამეყვანა გლეხები მიშა აბულაძესთან, მისამართზე კიროჩის N47 თუ N57-ში. გლეხებმა დაუწყეს საუბარი მიშა აბულაძეს ფულთან დაკავშირებით, ხოლო მე დავემშვიდობე და წამოვედი. რამოდენიმე დღეში გორის აჯანყების მოწყობაში მონაწილე გლეხების ამნისტირება მოხდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი შალვა ლავრენტის ძე კვალიაშვილის ჩვენებიდან 22/III-1923 წ.: [27]

1922 წლის სექტემბერში, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, „კაკომ“ გაგვაგზავნა მე და ს. მუხრანსკი ცენტრში, სარაჯევის ბინაში, ანდრეევსკის ქუჩაზე. იქ შევხვდით „ლუკას“ [ი. ცინცაძეს] და „ავთანდილს“ [გ. ფაღავას]. „ავთანდილმა“ და „ლუკამ“ ჰკითხეს მუხრანსკის, რამდენი კაცი ჰყავდა. მუხრანსკიმ უპასუხა, რომ ოცდახუთი, თუმცა მათი რიცხვი უახლოეს დღეებში ორმოცამდე გაიზრდებოდა. ახლა მიჭირს გახსენება, რა მითითებები მისცეს „ავთანდილმა“ და „ლუკამ“ მუხრანსკის.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი შალვა ლავრენტის ძე კვალიაშვილის ჩვენებიდან 22/03-1923 წ.: [28]

დავამატებ, რომ როდესაც მე და მუხრანსკი ვიყავით თავართქილაძის ბინაში, ანასტასიევსკის ქუჩაზე და ველოდებოდით ადამიანს, რომელსაც ფული უნდა მოეტანა, „კაკომ“ საქმის დასაჩქარებლად გამგზავნა „ლუკასთან“ ექიმი თოფურიძის ბინაში /ელიზავეტსკის, ან ნიკოლოზის ქუჩაზე/. მართლაც, ექიმი თოფურიძის ბინაში შევხვდი „ლუკას“, რომელმაც „კაკოსთან“ დამაბარა, რომ „ფულს ახლა მოიტანენო“. გრიბოედოვის ქუჩაზე, წითელი უნივერსიტეტის გვერდით მდებარე სახლში, როგორც მახსოვს, ურუშაძის ბინაში ავედი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

27 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 66.
28 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 67.

ამონარიდი შალვა ლავრენტის ძე კვალიაშვილის ჩვენებიდან 22/III-1923 წ.: [29]

მახსენდება, რომ 1922 წლის სექტემბერში მოხდა შეკრება ლაშხის დუქნის ეზოში, რომელსაც ესწრებოდნენ: დიმიტრაშვილი /მაშინ კოჭლობდა/, მიშა აბულაძე, ს. მუხრანსკი, მე და კიდევ ვიღაც, ვისაც ვერ ვიხსენებ. შეკრებილებს მიშა აბულაძემ აცნობა, რომ იარაღი გვქონდა, სურსათ-სანოვაგე მომზადებული იყო და ზოგადად, საქმე კარგად მიდიოდა. ამბობდა, რომ ს. მუხრანსკი და მისი ხალხი სწრაფად უნდა გამგზავრებულიყვნენ გორის მაზრაში, სადაც მათ უკვე ელოდა მიშა ლაშქარაშვილი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდები შალვა ლავრენტის ძე კვალიაშვილის ჩვენებებიდან 22/III-1923 წ.: [30]

სექტემბრის პირველ რიცხვებში ქუჩაში შევხვდი ოფიცერ ნიკოლოზ ციციანოვს /ვცდები, ციციანოვი ოფიცერი არ არის/ და კიდევ ერთ პირს, რომლის გვარიც არ ვიცი. ციციანოვმა მითხრა, რომ ჩემთან საქმე ჰქონდა. ვკითხე, რა უნდოდა. მიპასუხა, „მენშევიკებთან კავშირის დამყარება გვსურსო“. ამ თემაზე საუბარი აღარ გავუგრძელე. 10 სექტემბერს სახლში მითხრეს, რომ ციციანოვი იყო მოსული, ვუკითხივარ და რომ არ დავხვდი, უთხოვია, საღამოს 8 საათზე მოვალ და დამხვდესო. საღამოს 8 საათზე ციციანოვი მოვიდა და წამიყვანა ვარდისუბნის ქუჩაზე მდებარე სახლში, რომლის ნომერიც არ მახსოვს. ეზოში შევედით. კიბით ზემო სართულზე ავედით. ბინაში შევედით და 5-6 ადამიანი ვნახეთ, რომელთა შორის ვიცანი სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი, გიორგი გაბაევი, რევაზ ჩიქოვანი და ჩემთან მოსული კოლია ციციანოვი. სიმონიკა მუხრანსკიმ მითხრა, რომ მათ მენშევიკებთან დაკავშირება უნდოდათ, რომ მათ ითრევდა ეროვნულ-დემოკრატების პარტია, რომელთან ურთიერთობაც არ სურდათ, რადგან ისინი „ბევრს ლაპარაკობენ და არაფერს აკეთებენო“. ამბობდა, მენშევიკების პარტიის გვწამს, როგორც დიდი ავტორიტეტისა და გამოცდილების მქონისო. მთხოვა, დამეკავშირებინა მენშევიკებთან. ვუპასუხე, რომ ვიცნობდი დიმიტრაშვილს და გადავცემდი მის თხოვნას. მეორე დღეს წავედი დიმიტრაშვილთან და ვუამბე წინა დღეს ვარდისუბნის ქუჩაზე გამართული შეხვედრის შესახებ. დიმიტრაშვილმა შემომთავაზა მასთან რომელიმე ოფიცერი მიმეყვანა. იმავე დღეს დიმიტრაშვილთან სიმონიკა მუხრანსკი მივიყვანე. მუხრანსკიმ დიმიტრაშვილს გაუმეორა იგივე, რაც მე მითხრა. გახარებულმა დიმიტრაშვილმა განუცხადა მუხრანსკის, რომ „მოახსენებდა“. ამის შემდეგ, 4-5 დღის განმავლობაშიც მუხრანსკი მუდმივად მეკითხებოდა, რატომ არ იყო პასუხი. მე-5 თუ მე-6 დღეს დიმიტრაშვილმა მითხრა, მასთან მუხრანსკი მიმეყვანა და განუცხადა მას, რომ ცენტრი უარს ამბობდა მათთან თანამშრომლობაზე, რადგან კავშირი ჰქონდათ ეროვნულ-დემოკრატებთან. მუხრანსკიმ უპასუხა, რომ მართალია, მათ ჰქონდათ შემოთავაზება ეროვნულ-დემოკრატებისგან, თუმცა უარი თქვეს. დიმიტრაშვილმა უთხრა მუხრანსკის, რომ მეორედ მოახსენებდა ცენტრს. ერთი-ორი დღის შემდეგ დიმიტრაშვილმა კვლავ მთხოვა მუხრანსკის მიყვანა და თქვა, „იქ გაუგებრობა იყოო“. მივუყვანე მუხრანსკი. დიმიტრაშვილმა უთხრა, რომ გაუგებრობა მოხდა, რისთვისაც ბოდიშს იხდიდნენ და გადასცა მუხრანსკის წერილი „კაკოსთან“ /პარტიული მეტსახელი/ გრიბოედოვის ქუჩაზე, წითელი უნივერსიტეტის ახლოს. მუხრანსკი წავიდა „კაკოსთან“. ორი დღის შემდეგ, დიმიტრაშვილმა გაგვაგზავნა მე და ს. მუხრანსკი ქსენიევსკის ქუჩაზე, უფრო სწორად ანასტასიევსკის ქუჩაზე, მე-11 სახლში, ფელდშერ თავართქილაძის ბინაში. მუხრანსკიმ უთხრა „კაკოს“, რომ მათ გამგზავრება უნდოდათ და რომ

29 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 68.
30 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 69.

ოფიცრები უკმაყოფილონი იყვნენ ფულის მიღების დაგვიანებით. „კაკომ“ უპასუხა, რომ ფულის მოსატანად უკვე გაგზავნილი იყო კაცი და ერთ საათში ფული იქნებოდა /ეს ხდებოდა დღის 12 საათზე/. დღის 2 საათზე ახალგაზრდა ქალიშვილმა მოიტანა ფული და „კაკომ“ მაშინვე გადასცა შეკვრა ს. მუხრანსკის - შეკვრაში იყო 15 მილიონი ქართული ბონებით. „კაკოს“ ნიშნებია: 35 წლის, შავგვრემანი, მაღალი, აცვია ლაბადა და დამცავი ფრენჩი. 15 მილიონიდან ს. მუხრანსკიმ სახლში დატოვა 5 მილიონი, ხოლო 10 მილიონი კი წაიღო გიორგი გაბაევის ბინაში, სადაც მოხდა ფულის გადანაწილება. მუხრანსკიმ მთხოვა გაბაევისთვის გადამეცა, რომ მას მიღებული ჰქონდა არა 15, არამედ 10 მილიონი. 15 მილიონის გადაცემის დროს, „კაკომ“ უთხრა მუხრანსკის, რომ ეს უკანასკნელი თანამოაზრეებთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო გორის მაზრაში ლაშქარაშვილთან. გამგზავრებამდე მუხრანსკიმ მიიღო მაუზერი, თუმცა სად, არ ვიცი. შემდეგ ს. მუხრანსკიმ გიორგი გაბაევი ერთი მაუზერისა და ერთი ნაგანის მისაღებად სადღაც გაგზავნა, თუმცა არ ვიცი სად, სადღაც ვერაზე. ს. მუხრანსკის გამგზავრებამდე, ლაშხის დუქანში, ვერის ხიდთან შევხვდი მიშა აბულაძესა და დიმიტრაშვილს. აბულაძემ თქვა, რომ „ცხინვალში ჩვენი მეგობარი დააპატიმრეს და მე გამოვიქეციო“. იმ დღეს ლაშხის დუქანში შევხვდი ახალგაზრდა მარქსისტს, შალვა დოლიძეს / ამჟამად დაპატიმრებულს/. მეტეხში გავიცანი ძველი მენშევიკი ილია მაისურაძე, რომელიც ცხინვალში სახალხო გვარდიის შტაბის ყოფილი წევრია. მაისურაძე გათავისუფლებულია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.


ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 27/XI-1923 წ.: [31]

III. გორის აჯანყება - 1922 წლის აგვისტო-სექტემბერი

1922 წლის აგვისტო-სექტემბერში, ჩოლოყაევის აჯანყებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაპატიმრების ნიადაგზე, ქართველ ოფიცერთა შორის დიდი აჟიოტაჟი ატყდა, რაც გამოყენებული იქნა მენშევიკების მიერ. ამავე დროს, გაგონილი მქონდა, რომ ოფიცერთა ჯგუფი ბანდების ჩამოსაყალიბებლად გორის მაზრაში გაემგზავრა. ჯგუფის ხელმძღვანელი სიმონიკა მუხრანსკი იყო. ჯგუფის წევრებიდან იყვნენ ჩიქოვანი და სხვ., რომელთა გვარებიც არ მახსოვს. გორის გამოსვლის წინ სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკის ბინაში შედგა ბანდების მეთაურთა შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ: ს. ბ. მუხრანსკი, ფავლენოვი და შეიძლება, კასრაძეც. წარმოდგენილი იყო ბანდები: 1. ფავლენოვის (დუშეთის მაზრიდან), 2. გორის მაზრაში მოქმედი, 3. დუშეთის მაზრაში მოქმედი. გორის მაზრაში გამგზავრებამდე, სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკი ჩემთან მოვიდა და მენშევიკების ცეკას სახელით შემომთავაზა, გორისა და დუშეთის მაზრებში მოქმედი გაერთიანებული ბანდებისთვის მეხელმძღვანელა. მენშევიკების ცეკასა და გორის აჯანყებულებს შორის /პირადად ს. ბ. მუხრანსკისთან/ მეკავშირე ლევან კლიმიაშვილი იყო. ს. ბ. მუხრანსკის მიერ გაერთიანებული ბანდების ხელმძღვანელობაზე უარი განვაცხადე. გორის აჯანყების ლიკვიდაცია მენშევიკების ცეკას გადაწყვეტილებით მოხდა - მათ კავთისხევში გაგზავნეს პირი /ს. ბ. მუხრანსკის გადმოცემით/, რომელმაც ეს გადაწყვეტილება აჯანყებულებს გადასცა. ამის შემდეგ გლეხები ოჯახებს დაუბრუნდნენ, ხოლო ოფიცერთა უმეტესი ნაწილი, ამნისტიის შემდეგ, თბილისში დაბრუნდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

31 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 70.



ЦГИА. Рорийское восстание август- сентябрь - 22 года.

Выписка

60.

70

В августе- сентябре 22 г. среди грузинского офицерства начался сильный брожение на почве Чеченского восстания и арестов офицерского состава, тот момент учтен был меньшевиками. Тогда же время я слышал, что группа офицеров отправилась для организации банд в Горийский уезд. Группой руководил Симоник БАГРАТИОН-МУХРАНСКИЙ. Из состава группы помню: ЧУКОВАНИ и др. фамилии которых не помню. Перед Горийским выступлением на квартире Симоника БАГРАТИОН - МУХРАНСКОГО состоялось совещание главарей банд, на котором присутствовали: С.Е.Мухранский, ПАЛЧЕНО может быть и КАСАЛАДЗЕ. Были представлены банды: 1/ПАЛЧЕНО в Душетский уезд, 2/ Оперировавшая в Горийском уезде, 3/ Оперировавшая в Душетском уезде. Перед отъездом в Горийский уезд зашедший ко мне Симоник Багратион -Мухранский предложил мне от имени ЦК меньшевиков принять на себя руководство об,единенными бандами Горийского и Душетского уездов. Связью между ЦК меньшевиков и Горийскими повстанцами/персонально С.Е. Мухранским / служил КЛИМИАШВИЛИ Леон / он национал-демократ/. От предложенного мне С.Е. Мухранским руководительства бандами я отказался. Ликвидация Горийского восстания произошла по решению ЦК меньшевиков- последним был послан в Кахетию- Уеви человек / по словам С.Е. Мухранского /, передавший это решение повстанцам. После чего крестьяне разошлись по домам, а большая часть офицерства, аминистированная ярилась в Тифлис.

Выписка верна :

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 70.

ამონარიდი ბრალდებულ მოსე ვასილის ძე გოგილაშვილის ჩვენებიდან 12/X-1923 წ.: [32]

სოფელ თელათ-გორიდან

ორშაბათს დილას, როდესაც ნახშირს ვწვავდით, ჩემი მეგობარი მათე ლავრენიშვილი სოფელში პურის მოსატანად გავგზავნე. შუადღისას ჩემთან მოვიდნენ რეზო ჩიქოვანი, ვინმე სიმონიკა და კიდევ ერთი უკბილო კაცი. დამაპატიმრეს და კახეთის მონასტერში წამიყვანეს. გზაში რეზო ჩიქოვანი მცემდა. გზად ლავრენიშვილი შეგვხვდა, რომელსაც ჩემთვის პური მოჰქონდა და ისიც დაიჭირეს. მათ იმავე საღამოს გამოვექეცი და შინ დავბრუნდი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

32 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 71.

ბრალდებულ ნეოფიტე ანდრიას ძე ვარდოაშვილის დაკითხვა 09/X-1923 წ.: [33]

დაკითხა გორის მაზრის პოლიტბიუროს გამომძიებელმა შახბუდაგოვმა.

კავთისხევის მონასტრის ბერი ნეოფიტე ანდრიას ძე ვარდოაშვილი 50 წლის, ქართველი, სასულიერო წოდების, პროლეტარი, უძრავი ქონება არ გააჩნია, წიგნიერი; თებერვლის რევოლუციამდე იყო კავთისხევის რაიონის ქვათახევის მონასტრის ბერი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მას შემდეგაც - ასევე; 1892 წლის გაწვევის მენშევიკურ არმიაში არ უმსახურია; მეფის არმიაში მსახუროზდა 1-ელ ქართულ რაზმში რიგითად, წითელ არმიაში არ უმსახურია; უპარტიო, ნასამართლევი და პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა. საცხოვრებელი ადგილი - კავთისხევის რაიონის ქვათახევის მონასტერი.

თვრამეტი დღის წინ მე, ბერ სტეფანე გიგოლაშვილსა და მოხუც მათე ბერბიჭაშვილს ქვათახევის მონასტრის გალავანზე გვეძინა, როდესაც მოვიდნენ ბანდიტები - ლაშქარაშვილი და სხვები. ისინი განთავსდნენ ოთახებში გალავნის მიღმა, სადაც თივა გვქონდა გაშლილი. დილით, როდესაც ეზოში შევედით და მათი ბანდის ერთ-ერთი წევრი შევნიშნეთ, გარეთ გამოსვლის შემდეგ კი სხვა ბანდიტებიც დავინახეთ. დამაინტერესა და ვკითხე მოსვლის მიზანი, მიპასუხეს, რომ ხალხს ელოდებოდნენ. მანამდე არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ისინი. მათთან მოდიოდა სამ-სამი შეიარაღებული კაცი და უერთდებოდა იქ მყოფებს. მონასტერში სამი დღე-ღამე დაყვეს. ჩვენგან აიღეს ლობიო და კარტოფილი, ფქვილი მათთვის უცნობს მოჰქონდა. ჩვენთან რომ მოვიდნენ, გაგვაფრთხილეს, რომ ერთი თვის განმავლობაში არსად გავსულიყავით, თორემ მათი დარაჯები ურჩობისთვის დაგვხვრეტდნენ. წასვლას რომ აპირებდნენ, მითხრეს, რომ უკვე შემეძლო მათ შესახებ განმეცხადებინა. მესამე დღეს მათ მიიღეს წერილი დუშეთის რაიონიდან, საღამოს კი წავიდნენ და საგუშაგოც მოხსნეს. როდესაც დუშეთიდან კაცი ჩამოვიდა, ვკითხე, საიდან იყო და რა მოეტანა, რაზეც მიპასუხა, რომ დუშეთიდან იყო და ლაშქარაშვილისთვის წერილი მოეტანა, რომელიც თავისი ბანდით დუშეთის რაიონში უნდა შემოსულიყო. გამგზავრების წინ ლაშქარაშვილმა მოაწყო თავისი ბანდა და ეწეოდა აგიტაციას, რომ მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ და პირნათლად უნდა მოეხადათ ვალი.

კითხვა: რამდენი ბანდიტი იყო?

პასუხი: დაახლოებით 50 კაცი იყო, კიდევ ვინმე თუ იყო ტყეში, არ ვიცი.

კითხვა: რომელიმე ბანდიტი თუ ამოიცანით?

პასუხი: ვიცანი ლაშქარაშვილი, კავთისხეველები - კოტე ჩიოძე, ვანო შატბერაშვილი, მიშა აბულაძე ცხინვალიდან, მაღალი და მოხდენილი ოფიცერი, რომელსაც ბაგრატიონს ეძახდნენ, დანარჩენები უცნობები იყვნენ, მათ შორის ოფიცრებიც. დაპატიმრებულთაგან ბანდაში იყო კავთისხევის რაიონის სოფელ წინა-რეხის მცხოვრები დავითი, რომლის გვარიც არ ვიცი, მხოლოდ ის მახსოვს, რომ იმერული გვარი აქვს.

კითხვა: კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?

პასუხი: სხვა არაფერი მაქვს სათქმელი, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ როდესაც ლაშქარაშვილის ბანდა მონასტერში მოვიდა, მათ მოითხოვეს მონასტრის მთელი ძვირფასეულობა, რაზეც განვუცხადე, რომ მთავრობას ყველაფერი აღწერილი აქვს და რატომ მღუპავთ-მეთქი. ამის მიუხედავად, მიბრძანეს, ყველაფერი ეზოში გამომეტანა და მითხრეს, რომ ეს მათი საქმე იყო, მაგრამ როდესაც დუშეთიდან მოვიდა შიკრიკი წერილებით, ყველაფერი დატოვეს და წავიდნენ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

33 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 72.

ამონაწერი[34]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, 27 წლის, ყოფილი ოფიცერი, ყოფილი თავადი.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, 27 წლის, ყოფილ ოფიცერს, ყოფილ თავადს, რომელიც ეროვნულ-დემოკრატების ცეკას დავალებით, გარე კახეთში აჯანყების მოწყობის მიზნით, ეწეოდა მოსამზადებელ სამუშაოებს, ხელმძღვანელობდა ბანდას, რომელიც მენშევიკ ლაშქარაშვილის მიერ იყო ჩამოყალიბებული გორის მაზრაში - **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

34 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 78.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширенного Заседания Коллегии Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссии.
При председательстве Предзакчк тов. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

67.

С л у ш а л и :

Докладчик тов. АШУКИН:

I/- Дело военной организации анти-советских партий, по обвинению:

7/ БАГРАТИОН-МУХРАНСКАГО Семена Левановича, 27 лет, быв. офицера, б. князя.

П о с т а н о в и л и :

I-За организацию заговора против Сов" власти Грузии, создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству ПОСТАНОВЛЕНО:
7/БАГРАТИНО-МУХРАНСКАГО Семена Левановича, 27 лет, б. офицера, б. князя. По заданиям ЦК Н.Д. вел работу по подготовке восстания в районе Гаре-Кахетии, руководил бандой, созданной меньшевиком Дашкарашвили в Горийском Уезде - РАССТРЕЛЯТЬ.- Приговор привести в исполнение в 24-х часовый срок.-

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЙСОВ/

78

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23584. ტ. 1. გვ. 78.

ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი


(1890 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23509, 1 ტომი, 61 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობები;
- მემორანდუმი;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- კრებსი;
- დადგენილება ბრალის წარდგენაზე;
- დაკითხვის ოქმი;
- სამსახურებრივი მიმოწერა;
- პატიმრის ჩვენებები;
- წერილი;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 2.


ელიზბარ გულისაშვილი

...30-35 წლის, ყოფილი აზნაური, დამთავრებული აქვს სამხედრო სკოლა, ყოფილი პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრი, საშუალო სიმაღლის, ქართველი, გამხდარი, მოკლედ შეკრეჭილი ულვაშით, აცვია პალტო და წაღები, როგორც ქალაქის მცხოვრებს. საუბრიდან იკვეთებოდა, რომ იყო პარიტეტული კომიტეტის მიერ გამოგზავნილი...

/აგენტურული ცნობები./


„...ერთმა ჩეკისტმა ჰკითხა გულისაშვილს: იცით, საით მიგამგზავრებენო? - ვიცი, მივდივარ იმისთვის, რომ საქართველოსთვის მოვკვდეო...“

/ჟურნალი “კარიბჭე”, კახაბერ კენკებაშვილი./



საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის 3 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N28 ორდერი, რომლის მიხედვითაც, ЗАКЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე ბატრაკოვს ევალებოდა ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილის (გულისოვის) დაპატიმრება და მოსკოვის ქ. N15-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ 3

ОРДЕР №28.

3 марта дня 1923

Выдан сотруднику Закчека Батракову

на производство обыска и ареста Гулисова Гулисбара Захаровича

по адресу Московская 15

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Место для печати

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Справка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 3.

იმავე დღეს შედგა ოქმი[1], ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N28 ორდერის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ გულისაშვილისგან ამოღებულ იქნა საქაღალდე, რომელშიც იყო მიმოწერა რუსულ და ქართულ ენებზე და პირადი დოკუმენტები.

ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი (გულისოვი) დააპატიმრეს 1923 წლის 3 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N97

გვარი, სახელი, მამის სახელი	გულისოვი ელიზბარ ზაქარიას ძე.
მისამართი	ტიფლისი, მოსკოვის ქ. N15.
ასაკი	32 წლის.
განათლება	საშუალო; სამხედრო სასწავლებელი - მოსკოვის ალექსეევის სამხედრო სასწავლებელი.
პროფესია	სამხედრო მოსამსახურე.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარიატში.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ხელფასით.
ოჯახური მდგომარეობა	ჰყავს დედა.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
რის საფუძველზე	ორდერის საფუძველზე.

ხელმოწერა: **ელიზბარ გულისაშვილი.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 4-6.



Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 97.

„3" марта 192 г.

Фамилия Гумиашвили Имя и отчество Эмзар Захарович

Адрес: Тюрьма Московская ул. № 15.

Возраст 32 года

Образование среднее и воен. училище

Профессия военный

Где работает и долго ли в Н.В.М.К.С.Р.Т.С. советник

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли нет.

На какия средства живет на получаемые содер

Имеет ли семью мать.

Кем арестован представитель Зак Гепо

На каком основании по ордеру

Подпись: Гумиашвили Эмз

Приметы:

Сдал Принял

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 7.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N96</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	პასუხები
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	გულისოვი.
2) ***სახელი, მამის სახელი***	ლევან ირაკლის ძე.
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	თბილისის გუბერნია, გორის მაზრა, სოფ. რუისი.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	32 წლის, 1890 წლის სექტემბერი.
7) ***განათლება***	საშუალო.
8) ***ოჯახი***	***დედა:*** პელაგია გულისოვა.
	ძმები: ნიკოლოზ ზაქარიას ძე გულისოვი, მცხ. მოსკოვის ქ. №15. მიხეილ ზაქარიას ძე გულისოვი, მცხ. მოსკოვის ქ. №15. ვასილი ზაქარიას ძე გულისოვი, მცხ. მოსკოვის ქ. №15. გიორგი ზაქარიას ძე გულისოვი, მცხ. მოსკოვის ქ. №15.
9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	

10) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი*	
11) *პარტიულობა*	უპარტიო.
12) *პროფესია*	სამხედრო მოსამსახურე.
13) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) 95-ე პოლკის სამხედრო მოსამსახურე; 1918 წლამდე იმყოფებოდა დასავლეთის ფრონტზე. მენშევიკების არმიაში იყო პოლკოვნიკი. ბ) გასაბჭოებამდე - თადარიგის ოფიცერი. გ) ამჟამად მსახურობს სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარიატში.
14) *წოდება*	
15) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	
16) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	არა
17) *ნასამართლეობა*	არა
18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	1923 წლის 3 მარტს.
20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
21) *სად მოხდა დაპატიმრება*	თბილისში, საკუთარ სახლში.
22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	არ დაუკითხავთ.

23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	არა.
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	თბილისი, მოსკოვის ქ. N15.
პატიმრის ხელმოწერა:	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	

Особый Отдел при Реввоенсовете XI армии.

АНКЕТА № 94 8

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
I-я часть заполняется заключенным	
1) Фамилия	Туманов
2) Имя и отчество	Гамбар Захарович
3) Гражданин (ка) какого государства	Республики Грузии
4) Место приписки	Губ. Тифлисской вол.: уезд Тифлис. село города Сагареджо
5) Национальность	Грузинский
6) Возраст (год рождения)	32 лет, родился в ~~сентябре~~ месяц 1890 года
7) Образование: а) грамотный ли б) какую школу окончил, в) если не окончил, то ск. прошел (класс курс.)	а) грамотный б) окончил ~~реальное училище~~ в) прошел — класс курс — школы —
8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестр)	

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1 ~~отец~~	Туман[illegible]	55	г. Москва	[illegible]
2 ~~брат~~	[illegible]	38	г. Москва	[illegible]
3 „	Михаил [illegible]	28	г. Москва	[illegible]
4 „	Васил[illegible]	19	г. Москва	[illegible]
5 „	Георг[illegible]	[illegible]	г. Москва	[illegible]

9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1 Дядя	[illegible] Васил[illegible]	[illegible]	[illegible]
2 Сын	Кака [illegible]	[illegible]	[illegible]
3			
4			
5			

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Военное звание, род оружия или спец. в Красн. ар.	Место службы
1 Брат	[illegible]	[illegible]	[illegible]
2 Сын	[illegible]	[illegible]	[illegible]
3			
4			
5			

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 8.

9

11) Партийная принадлежность а) в какой партии состоит, б) с какого времени	а) состою членом ... партии б) ... месяц 19 года
12) Профессия	Военный
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1/ш 1917 г. б) с 1/ш 1917 г. по день ареста.	**Название предприятия или учреждения** / **Профессия или должность** а) В 95-м Красноярском полку, на фронте ... б) с 17 по 3/III 1918 г. [illegible]
14) Если состоит на госуд. службе то в каком чине	На военной службе 3 года
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	—
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	—
17) Привлекался ли к ответствен. по суду или в админ. порядке	1922 г. Тифлис, Грузия, сидел в тюрьме
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности то на каком основании	а) красноармеец, пеш., военный инженер б) ...
19) Когда арестован	3 марта месяц 1923 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	Пр. Особотдела Закавказского фронта
21) Где арестован: а) губер., уезд. вол., село гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) г. Тифлис Михайловская № 15 б) На своей квартире
22) Когда и кем допрошен в первый раз	не допрош
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно	—
24) Место жительства перед арестом	Тифлис Михайловская № 15

Подпись заключенного ...

"3" марта 1923 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдела XI армии ...

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем)

417

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 9.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[2]

ელიზბარ გულისაშვილზე

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 24/XII.

ქუთათელაძემ მკითხა ასევე სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარიატის შტაბის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის ელიზბარ გულისაშვილის შესახებ, თუ როგორ პიროვნებად ვიცნობ მას.

ГРУЗЧЕКА-ს ცნობა

ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი (გადიოდა ნარიკელაძის საქმეში), გადიოდა №248 საქმეში, სადაც ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური საქმიანობა. 20/VII გათავისუფლებულია კოლეგიის დადგენილებით, საქმე ჩაბარებულია არქივში.


ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.),სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 31/ XII.

რესტორან ,,ხინკალში“ 31/ XII ვახშმობის დროს, „გიორგაძემ“ შეძლო გამოერკვია, რომ ჩიქოვანს დავალებული ჰქონდა ეშოვა შაშხანები თანამოაზრეებისთვის. ლელო კლიმიაშვილი ყვებოდა, რომ სამი კვირის წინ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჰქონდა ურთიერთსროლა გურჯაანის სადგურთან, რომლის დროსაც დაიჭრა ჩოლოყაშვილის უახლოესი თანამოაზრე ელიზბარ ვაჩნაძე. ამ უკანასკნელის ბიძა ამჟამად თბილისში იმყოფება. როდესაც „გიორგაძემ“ ჰკითხა ქუთათელაძეს, თუ ვინ იქნება მეკავშირე სამხედრო მოქმედებების გადადებისა და მისი გამგზავრების შემთხვევაში, ქუთათელაძემ უპასუხა, რომ მეკავშირე ელიზბარ გულისაშვილი იქნებოდა. „გიორგაძის“ დასკვნის მიხედვით, ჩიქოვანი და კლიმიაშვილი დათანხმდნენ შეთავაზებას თანამშრომლობის შესახებ.

ГРУЗЧЕКА-ს ცნობა

ელიზბარ ზაქარიას ძე გულისოვი დააპატიმრეს 17.05.22 წელს იზოლაციის მიზნით, რადგან გამოსვლები იგეგმებოდა. განსაკუთრებული კომისიის დადგენილების საფუძველზე, 20.07. იქნა გათავისუფლებული. გულისოვი 31 წლისაა, დაამთავრა მოსკოვის ალექსეევის სამხედრო სასწავლებელი. 1918 წლამდე იმყოფებოდა დასავლეთ ფრონტზე, მენშევიკების არმიაში მსახურობდა პოლკოვნიკის ჩინით, ამჟამად სახალხო კომისარიატის სამხედრო და საზღვაო საქმეების ადმინისტრაციული განყოფილების უფროსია.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 12.



ЧЕКА.

Сов. секретно:

7

ГРУППА Б.

МЕМОРАНДУМ № 26.

12

На Гулисашвили Елизбар

По делу № ..... литер .....

„ „ ..... 1923 г.

ОТД

№	Источник	Дата	СОДЕРЖАНИЕ	Разработка
	Осв. 24 Геор-XII гадзе		Кутателадзе Спросил ~~его~~ меня также об Нач.Адм.Хоз. Отдела Штаба Н.К.В.М. Элизбар ГУЛИСАШВИЛИ - что я хорошего или плохого знаю о нем.	
	ЧКГ Спр.		ГУЛИСАШВИЛИ Елизбар Захарьевич проходил также в связи с Карикеладзе проходил по делу № 248 обвин.в контрревол.постан.Коллегии 20\VII освобожден, дело сдано в архив.	
	Осв. 31 Геор-XII гадзе		31\XII обедая с Чиковани Павлом в рест."Чинкали" "Георгадзе" удалось вфснить, что ЧИКОВАНИ поручено 2\I получить для своих людей винтовки. Лело Климиашвили рассказывал,что у Какуца Человкаева три недели тому назад была перестрелка у ст.Гуджани во время которой ранен ближайший помощник Человкаева Елизбар ВАЧНАДЗЕ, дядя коего находится в данное время в Тифлисе./Когда "Георгадзе" спросил Кутателадзе через кого он должен будет поддерживать связь в том случае,когда военные действия будут отложены и если он пожелает уехать, Кутателадзе ответил, что через Елисбара ГУЛИСАШВИЛИ. По заключению "Георгадзе" Чиковани и Климиашвили приняли предложение сотрудничества.	
	ЧКГ		ГУЛИСОВ Елизбар Захарьевич был арестован I7.V-22 г.в порядке изоляции ввиду предполагавшегося выступления 28\V-22 г.Пост.Коллегии ЧКГ от 20\VII освобожден. ГУЛИСОВУ - 31 год,окончил Московск. Алексеев.Воен.у-ще, до I9I8 г.на зап. фронте, в меньшевитской армии полковником,ныне пом.Нач.Адм.Отд.НКВМ. (прилож.рапорт Гулисова о действиях Карат-Отряда в Южной Осетии в мае I9 г., где он принимал участие).	
			Подписка ГУЛИСОВА, из"ятая из дела ЧКГ I248\3834, говорящая, что он никогда против Сов.власти не действовал и не будет действовать.	

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 12.

ამონარიდი თუხარელის ჩვენებიდან (თარიღი უცნობია): [3]

ივნისის პირველ დღეებში, დაახლოებით 7-8 რიცხვებში, ჩემთან მოვიდა კავალერიის ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკი შალიკოვი და მითხრა, რომ ჩემთვის სათქმელი ჰქონდა. მთხოვა, 10 საათზე შევსულიყავი კამერაში, სადაც ეროვნულ-დემოკრატები ისხდნენ, კამერის ნომერი 22 ან 23 იყო. იქ იმყოფებოდნენ როსტა ივანიცკი, ივანე ლორთქიფანიძე, სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენელი ვარდოიანცი, შენგელია და კიდევ ორი ჩემთვის უცნობი მენშევიკი. მათ გარდა იყვნენ პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი და ვიცე-პოლკოვნიკები: ჟურული, შალიკოვი და გულისოვი. ინტერნაციონალური ჯგუფის სახელით, საუბარი ლორთქიფანიძემ დაიწყო. მან მიმოიხილა საერთაშორისო მდგომარეობა, აღნიშნა, რომ ყოფილი მენშევიკების მთავრობის მუშაობის შედეგად, საქართველოს მდგომარეობა კარგადაა ცნობილი და რომ აუცილებელი იყო დავლოდებოდით საქართველოს გათავისუფლებას წითელი არმიისგან. ახალ მთავრობაში ხელისუფლება ისე იქნებოდა გადანაწილებული, რომ მმართველობაში ყველა პარტია დაიშვებოდა. საჭირო იქნებოდა კარგი ორგანიზაცია, რათა ქვეყნის შიგნით არ დამყარებულიყო ანარქია, რისთვისაც აუცილებელი იქნება არალეგალური სამხედრო შტაბების მოწყობა, რომლებშიც მოხალისეები მოიყრიან თავს. დასასრულს მან აღნიშნა, რომ ის გენერლები, რომელთა იმედიც ჰქონდათ - გედევანოვი, მაზნიევი და წულუკიძე - მათ მახრს არ უჭერენ და ამიტომ გადაწყვიტეს ახალგაზრდა ოფიცრებისთვის მიემართათ.

ასლი დედანთან სწორია.

დაკითხვის ოქმი (ვისი დაკითხვის ოქმია მითითებული არ არის) 4/IV-1923 წ.: [4]

დარჩო ზაქარიას ძე ვეშაგური, 29 წლის, გლეხი, მცხოვრები დუშეთის მაზრის სოფ. ახატანში, მედღეური, უცოლო, უპარტიო, საბჭოთა ხელისუფლების მომხრე, წერა-კითხვის უცოდინარი, 1914 წლის ომამდე - მედღეური-მწყემსი. 1914-1919 წლებში მეფის არმიის რიგებში იყო დასავლეთის ფრონტზე, შემდეგ მსახურობდა წითელ არმიაში, მენშევიკურ არმიაში არ უმსახურია, 1919 წლიდან მუშა-მედღეურია. ნასამართლევი არ ყოფილა.

შარშან შემოდგომაზე ახატნის მოსახლეობამ მოსავლის მცველად ამირჩია. ერთხელ შეიარაღებული პირები მოვიდნენ, დამიძახეს და ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა, თუ ვიცოდი ვის ველაპარაკებოდი. როდესაც ვიუარე, მითხრა, რომ ჩოლოყაევი იყო და მდიდარ გლეხ ღარიბაშვილთან გამგზავნა პურის მოსატანად, მიუხედავად იმისა, იცოდა, მისი ერთ-ერთი შვილი კომუნისტი რომ იყო. ბანდიტების შიშით ღარიბაშვილთან წავედი, პური გამოვართვი და მათ წავუღე, რადგან თვითონ ღარიბაშვილს, როგორც კომუნისტს, ბანდიტებთან წასვლა ეშინოდა. მეორე დღეს ღარიბაშვილმა რევკომს მიაწოდა ინფორმაცია ბანდიტების შესახებ და მე, იმის შიშით, რომ დამაპატიმრებდნენ, ტყეში გავედი და ხეტიალის დროს იმავე ბანდას გადავეყარე. შემომთავაზეს მათ რაზმში ჩავწერილიყავი და არ მიშვებდნენ, რადგან ეშინოდათ, არ გამემხილა მათი ადგილსამყოფელი, ამიტომ მაიძულეს, მათი წევრი გავმხდარიყავი. რაზმში ჩოლოყაევთან მყოფმა ფავლენიშვილმა ჩამწერა. მათთან სამი დღე დავყავი. მესამე დღეს, მილიციასთან შეტაკების შემდეგ, ბანდა წავიდა, მე კი დავრჩი, რადგან ცხელება მქონდა. ტყეში, ახატნიდან 20 ვერსის მოშორებით, დაახლოებით ორი კვირა გავატარე. ბანდა მაშინ 30 კაცისგან შედგებოდა. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ გადავწყვიტე, ხელისუფლებას

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 17.
4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 23.

ჩავბარებოდი და დუშეთის მიმართულებით გავეშურე. გზაში ბანდიტებს შევხვდი, რომლებმაც მითხრეს, რომ ამნისტია იყო გამოცხადებული და დასანებებლად მიდიოდნენ. მათ შორის იყვნენ სიმონ ჭიაბრიშვილი, ვასო კობიევი და გიორგი ზანდუკელი. დუშეთში რომ ჩავედი, შემიწყალეს. ბანდის შემადგენლობაში სამი დღის განმავლობაში ყოფნის დროს ვნახე, რომ ჩოლოყაევი, თანმხლებ პირებთან ერთად, მედუქნე შანიძესთან ჩადიოდა. იქ ისინი იღებდნენ და ტოვებდნენ წერილებს. იმ დროს ბანდაში იყო სიმონ ყიფიანიც. როდესაც მილიციელები დუქანს უახლოვდებოდნენ, ყიფიანმა მოირბინა და ყველას გაღვიძება დაიწყო, მე კი, როგორც ავადმყოფს, ცხენი შემომთავაზა. ყიფიანი ახალგაზრდა არ არის, განათლებული კაცის გარეგნობა აქვს. ის რომ ხალხს აღვიძებდა, მე ავად ვიყავი და მესმოდა, როგორ ეწეოდა ბანდის წევრებს შორის აგიტაციას, რომ მათი მიზანი საქართველოს გათავისუფლება იყო. სხვას ჩოლოყაევის ბანდაზე ვერაფერს გიჩვენებთ.

ასლი დედანთან სწორია.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსს [5]

კრებსი №683

ცნობების მიმწოდებელი განყოფილების 1923 წლის 14 მარტის მონაცემების საფუძველზე


ბანდიტი ჩოლოყაევი, რომელმაც შარშან აჯანყება მოაწყო დუშეთის მაზრაში, გადავიდა კახეთში, რათა აეჯანყებინა მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. დაახლოებით 1922 წლის სექტემბრის ბოლოს, ან ოქტომბრის დასაწყისში, როდესაც ჩოლოყაევი სოფელ საგარეჯოში იმყოფებოდა, ტიფლისის კონტრრევოლუციურმა სამხედრო ორგანიზაციამ მასთან გააგზავნა სამხედრო-საზღვაო კომისარიატის თანამშრომელი გულისოვი გარკვეული დავალებებით, რომელსაც თან 1-2 პირი ახლდა. ამ უკანასკნელთა ვინაობა დაუდგენელია. გულისოვის, ისევე როგორც ტიფლისის სამხედრო ორგანიზაციის სხვა პირების მიერ ჩატარებული სამუშაო შეიძლება გვაცნობოს დუშეთის მაზრის სოფელ ახატნის მკვიდრმა - დარჩო ვეშაგურმა, რომელიც ცოტა ხნის წინ დაპატიმრებული იქნა სოფელ გედევანში მცხოვრები კომუნისტის მკვლელობაში ეჭვის შეტანის გამო. ვეშაგური დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ჩოლოყაევთან, ამიტომ მის თანამზრახველებს კარგად იცნობს და რადგან მეტად სუსტი ხასიათი აქვს - ყოველივეს აღიარებს. ცნობას იმის შესახებ, თუ ამჟამად სად იმყოფება ვეშაგური, მოგცემთ ЧК. ვეშაგურის თანასოფლელები ამბობენ, რომ კომუნისტის მკვლელობაში ის უდანაშაულოა, რადგან მკვლელობის დროს სოფლიდან არ გასულა.

(მთიელი)

1923 წლის 15 მარტი

ქ. ტიფლისი. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ცნობების მიმწოდებელი განყოფილების უფროსი (ერმოლაევი).

5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 18.



Банцит ЧЕЛОКАЕВ, поднял, в прошлом году, восстание в Душетском уезде- сам уехал в Кахетию с целью и там сорганизовать население для борьбы с Советами. Приблизительно в конце Сентября мес-ца, или в начале Октября 22 г., когда ЧЕЛОКАЕВ находился в селении САТОРЕДЖИ, то Тифлисская к-р.военная организация послала к нему, с какими то директивами, сотрудника НВШК ГОГИ ГУЛИСОВА, с последним ездили еще 1 или 2 человека, но кто они не установлено. Работу ГУЛИСОВА, а также и других лиц Тифлисской военной организации, которые держали связь с ЧЕЛОКАЕВЫМ- подробно может сообщить житель селения АХАТАНИ-Душетского уезда- ВЕШАГУРИ Дарчо, который недавно арестован за подозрение в убийстве коммуниста селения ГАДАВАНИ. ВЕШАГУРИ долгое время работал у ЧЕЛОКАЕВА, а потому хорошо знает всех соучастников последнего и по своей слабохарактерности-во всем сознается. Справку о том, где ВЕШАГУРИ находится в данное время- должна дать ЧКГ.Односельчане ВЕШАГУРИ говорят, что в убийстве коммуниста он невиновен, так как в день убийства находился у себя в деревне и никуда не отлучался.

/Горец/.

"16" Марта 1923 г.
г.Тифлис.

НАЧОСВЕДОТА ЗАКЧИ.-

ПОМНАЧОСВЕДОТА по ОО.-

Секретно.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 18.

შ ე დ ე გ ი[6]

ცნობების მიმწოდებელ განყოფილებას

12/IV-1923 წ.

№683 კრებსის საფუძველზე გაარკვიეთ „მთიელისგან“, თუ რომელი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შესახებ საუბრობს, პარიტეტულ კომიტეტზე, სამხედრო ცენტრსა თუ ეროვნულ-დემოკრატების ცეკაზე.

2/ კონკრეტულად ვინ, რომელმა პირმა გაგზავნა გულისოვი დავალებით ჩოლოყაევთან.

3/ვინ გაემგზავრა გულისოვთან ერთად ჩოლოყაევთან. თუ არიცის, დაადგინოს. ცნობისათვის გადაეცით, რომ მისი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ვეშაგურმა უნდა იცოდეს გულისოვის სტუმრობის ამბავი, არ დადასტურდა. ჰკითხეთ, რის საფუძველზე ვარაუდობდა აღნიშნულს.

ხელმოწერა.

კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი.

I ქვეგანყოფილების უფროსი.

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 27.

ელიზბარ გულისოვის ჩვენება 4/IV-1923 წ.: [7]

1922 წლის 9 სექტემბერს ერთთვიანი შვებულება ავიღე და ჩემს სოფელში - საგარეჯოში გავემგზავრე. იქ 10 ოქტომბრამდე ვიყავი. სექტემბრის მიწურულს, საღამოს დამიძახა უცნობმა, რომელსაც თან კიდევ ორი პირი ახლდა. მე სახლში შევბრუნდი და თოფი ავიღე. უცნობმა თოფი შენიშნა, დამამშვიდა და მიახლოება მთხოვა. მკითხა, ელიზბარი ვიყავი თუ არა. როდესაც ვინაობა დავუდასტურე, მითხრა, რომ ჩემი სახლის სიახლოვეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი იმყოფებოდა, რომელსაც ჩემი ნახვა სურდა და მასთან მისვლას მთხოვდა. ძაღლი გავიყოლე და თოფით ხელში მას გავყევი, დედას კი დავუბარე, რომ სანადიროდ მივდიოდი. ტყე გავიარეთ და მთებში ავედით, დაახლოებით 2 საათის შემდეგ მათი განლაგების ადგილზე ვიყავით. ჩოლოყაშვილს ახლოს ვიცნობ, რადგან ლაზარეთში ერთად ვმკურნალობდით სხვადასხვა წელს და ვმეგობრობდით კიდეც.

ცეცხლს მივუჯექით. შორიახლოს მისი თანმხლები პირები ისხდნენ. ქაქუცამ მითხრა, რომ მას 60 ადამიანი ჰყავდა. წარსულიც გავიხსენეთ. შემდეგ ვკითხე, ხომ არ უჭირდა ასეთ ვითარებაში ყოფნა. მან შეიკურთხა და თქვა, ეს პარიტეტული კომიტეტი მაწვალებს, მპირდება აღჭურვილობას, წამლებს, ფულს, მაგრამ არაფერს მიგზავნისო. ჩვენთან ერთად 3-4 ახალგაზრდა, ყოფილი ოფიცერი იჯდა. ჩოლოყაშვილი მეკითხებოდა არმიაში არსებული ვითარების შესახებ, თუ თანაუგრძნობდნენ ჯარისკაცები ეროვნულ ძალებს და თუ შეიძლებოდა ჰქონოდათ მათი იმედი. ვუთხარი, რომ შტაბში ვმუშაობ და მსგავსი ინფორმაცია არ მაქვს. შემდეგ ოფიცრების შესახებ მკითხა. ვუთხარი, რომ ახალგაზრდების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ უფროსი თაობა მხარს არ დაუჭერდა. უცხოეთიდან რა ისმისო, მკითხა. ათასგვარი მონაჩმახი გაიმეორა, თითქოს ევროპა ჯარს აგზავნიდა, თითქოს უკვე გამოგზავნილიც კი იყო იარაღი, რომ ჯარი თურქეთის გავლით შემოვიდოდა და ა.შ. როდესაც მჭერმეტყველება დაასრულა, ჩვეულებრივ საუბარს დავუბრუნდით და შევახსენე, რომ მაისში შევხვდით ერთმანეთს, როდესაც აღნიაშვილმა გამგზავნა მის ხელისუფლებასთან შემოსარიგებლად, იმ პირობით, რომ ამნისტია შეეხებოდა. აქ სტაცკი გამოვიდა სიტყვით და არწმუნებდა, რომ ამნისტია მას არ შეეხებოდა, რომ მიიტყუებდნენ და დახვრეტდნენ. ჩოლოყაევმა მისი აზრი გაიზიარა. ღამის 12 საათი იქნებოდა, რომ დავემშვიდობე და სახლში წავედი. ჩოლოყაევმა ბოდიში მომიხადა, რომ გამცილებელს ვერ გამაყოლებდა სახლამდე, რადგან რამდენიმე საათში რაზმი უნდა გასულიყო. ვუთხარი, რომ ამის აუცილებლობა არ იყო, რადგან ადგილს კარგად ვიცნობდი. ვკითხე, საით მიდიოდა, რაზეც გაიცინა და მითხრა, ძველი ოფიცერი ხარ და არ იცი, რომ ატამანის გარდა დანიშნულების ადგილი არავინ არ უნდა იცოდესო. ამით დავშორდით. მომხდარის შესახებ აქამდე არავისთვის მომიყოლია და როგორც პატიოსანი მოქალაქე, კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ეს იყო ჩოლოყაევთან ჩემი შემთხვევითი შეხვედრა. ეს იყო შემთხვევითობა, რომელსაც შეუძლია ჩრდილი მიაყენოს ჩემს თანაგრძნობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელიც ნათლად დასტურდება ჩემი უმწიკვლო სამსახურით გასაბჭოების დღიდან.

ელიზბარ გულისოვი.

დავკითხე: ხელმოწერა.


7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 29-32.

ელიზბარ გულისოვის ჩვენება 5/IV-1923 წ.: [8]

ვადასტურებ ჩემს წინა ჩვენებას იმის შესახებ, რომ ჩოლოყაევთან შემდგარი შეხვედრა შემთხვევითი იყო. პარიტეტულ კომიტეტთან, სამხედრო ცენტრთან და ეროვნულ-დემოკრატების ცეკასთან საერთო არაფერი მქონია.

ელიზბარ გულისოვი.

დავკითხე: ხელმოწერა.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 34.

ელიზბარ გულისოვის ჩვენება 2/V-1923 წ.: [9]

ქუთათელაძეს ვიცნობ 1919 წლიდან, როდესაც საქართველოს არმიის ვეტერინარული ნაწილის უფროსი იყო და ხშირად ვხვდებოდი სამსახურებრივად. მისი გათავისუფლების შემდეგ ორ-სამჯერ შევხვედრივარ. აქედან მხოლოდ ერთხელ ვისაუბრეთ - მიხაილოვისა და კიროვის ქუჩების კვეთაზე. მან მკითხა, რა ვიცოდი შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სავარაუდოდ, ის პოლიტიკურ ვითარებას გულისხმობდა. ვუპასუხე, რომ არაფერი ვიცოდი. მაშინ მითხრა, რომ მალე ყველაფერს გავიგებდი. მას შემდეგ არაფერზე გვისაუბრია. ქუთათელაძის ბინაში არ ვყოფილვარ.

ჩოლოყაშვილზე არაფერი გამიგია. სამხედრო ორგანიზაციის წევრი არ ვყოფილვარ.

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 34.
9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 42.

ჩოლოყაშვილს შემთხვევით შევხვდი. ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო სიაში, სავარაუდოდ. დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძის მიერ ვიყავი ჩაწერილი.

ქართველ ოფიცრებს კარგად ვიცნობ.

გასაბჭოებიდან დაპატიმრებამდე დავით ვაჩნაძეს არ ვიცნობდი. მახსოვს, რომ ნანახი მყავს, თუმცა არასდროს გვისაუბრია.

სამხედრო ორგანიზაციის არსებობის შესახებ ჩოლოყაშვილისგან მსმენია, გაზეთებში არაფერი წამიკითხავს.

ხელმოწერა: **ელიზბარ გულისოვი.**
დაკითხა: **პეტროსიანმა.**

ელიზბარ გულისოვის ჩვენება 12/V-1923 წ.: [10]

ჩოლოყაშვილისთვის არავის დავალება არ მიმიტანია. შემთხვევით შევხვდი. დედას ვუთხარი, რომ სანადიროდ მივდიოდი, რადგან არ ჩავთვალე საჭიროდ მისთვის სიმართლე გამემხილა. ჩოლოყაშვილთან შეხვედრის შესახებ არავისთვის მითქვამს. თავს ვცნობ დამნაშავედ იმაში, რომ ხელისუფლებას არ ვაცნობე ჩოლოყაშვილთან შეხვედრის შესახებ.

ხელმოწერა.

კრებსი 29/V – 1923 წ.: [11]

იმის შესახებ, რომ გულისოვი გაგზავნილი იყო ჩოლოყაშვილთან, „მთიელმა“ შეიტყო ძმისგან (ყოფილი ბანდიტისგან). თუ ვინ გაგზავნა გულისოვი ჩოლოყაშვილთან და ვინ ახლდა თან ამ უკანასკნელს, „მთიელს“ ჯერ არ დაუდგენია.

ЗАКЧЕКА-ს ცნობების მიმწოდებელი განყოფილების უფროსი. **ერმოლაევი.**

უსათაუროდ [12]

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მაზნიევის ხელმძღვანელობით შექმნილ ოფიცერთა და ჯარისკაცთა ორგანიზაციის შესახებ არაერთი საუბარი იყო. თუ შევძლებთ მიდგომას, ამის შესახებ შეიძლება როსტომ ამირეჯიბმა გვიამბოს. ასევე შეიძლება იცოდეს ილია მახარაძემაც, თუმცა კერკეტი კაკალია. ინფორმაცია ექნება ელიზბარ გულისოვსაც - ის მაზნიევის ფავორიტია და მაზნიევი მას ყველაფერს უზიარებდა. შეიძლება იცოდეს გუბელაძემაც - პროკურორმა, მაზნიევის შტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა, როდესაც ის ქალაქ ტიფლისის კომენდანტი იყო. გუბელაძე მშიშარაა. ბოლო პერიოდში მუშაობაში მონაწილეობა, ალბათ, არც მიუღია. პოლკოვნიკია.

ფაირაძეზე არაფერი ვიცი.

10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 35-37.
11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 43.
12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 38.

საქმეში არის პირადი ხასიათის წერილი, მიწერილი ელიზბარ გულისაშვილისადმი.[13]


ძვირფასო ელიზბარ!

თქვენთან პირველი შეხვედრისთანავე განვიცადე ის, რაც ცხოვრებაში არ განმიცდია. მე შევიგრძენი ძლიერი და ლამაზი სიყვარული თქვენდამი! თქვენ ჩემი სულიერი წონასწორობა დაარღვიეთ და თუ რამ მიმიზიდა თქვენში ასე ძალუმად, თავად არ ვუწყი. მე არაერთგზის ვყოფილვარ გატაცებული, თუმცა ყოველთვის იმედგაცრუება მქონია, თქვენდამი განცდილი გატაცება კი ხანგრძლივი და სერიოზული ბუნებისაა. ელიზბარ, გულახდილად გეტყვით, რომ აღარავინ მაინტერესებს და თუ ვინმე მაინც გამიმხელს გულისნადებს, მის მიმართ არაფერს განვიცდი ღრმა ზიზღისა და მძულვარების გარდა. ასე შემაყვარეთ თავი და ვრწმუნდები, რომ თქვენზე არაერთხელ ყოფილან უიმედოდ შეყვარებულნი, მე კი მათი რიგების შევსების შიში მიპყრობს. ელიზბარ, ბოდიშს გიხდით ამ გულახდილობისთვის, მაგრამ თუკი იოტისოდენა გულისხმიერება გაგაჩნიათ, დიდი ხანია შემჩნეული გექნებათ ჩემი გრძნობები.

ელიზბარ, მე არსად არ გავმგზავრებულვარ. სასტიკად მენატრები, შენი ნახვა მინდა. დრო თუ გექნება, შემატყობინე, სად და როდის შეიძლება შეგხვდე.

გკოცნი,
ნუცა.

13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 59.



Дорогой Элизбар! 59

При первой же встрече с Вами я испытала то, чего никогда в жизни не испытывала, я почувствовала сильную и красивую любовь к Вам. Вы нарушили мой душевный покой; что меня так сильно увлекло я сама не могу понять, несмотря на то, что неоднократно увлекалась, но не каждое в своих увлечениях того, к чему стремилась, я разочаровывалась а сейчас мое увлечение довольно умственное и серьезное. Элизбар после Вас говорю Вам искренно никто меня не интересует, а если кому-либо вздумается в свои чувства объяснять кроме глубокого презрения и ненависти к ним я не испытываю. И так Вы влюбили меня в себя, но как я убеждалась, в Вас неоднократно влюблялись, но безнадежно и я боюсь попасть в число тех безнадежных. Элизбар я извиняюсь за мое объяснение к Вам, но Вы если только немного чуткий человек чувствовали мое увлечение Вами.

Элизбар я никуда не уезжала. Страшно скучаю хочу видеть тебя. Если у тебя есть время, то сообщи, где и когда можно видеть.

Целую Нуца.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 59.

ამონაწერი[14]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: ელიზბარ ზაქარიას ძე გულისოვი, 32 წლის, ყოფილი თავადი, დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, ყოფილი პოლკოვნიკი, სახალხო სამხედრო კომისარიატის მოსამსახურე,

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: ელიზბარ ზაქარიას ძე გულისოვს, 32 წლის, ყოფილ თავადს, რომელმაც დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, ყოფილ პოლკოვნიკს, სახალხო სამხედრო კომისარიატის მოსამსახურეს, ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის აქტიურ წევრს, რომელიც ეროვნულ-დემოკრატების დავალებებით იგზავნებოდა ჩოლოყაშვილთან **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 44.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 г.
Расширенного заседания Коллегии Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.
- - - - - - Под Председательством Предзакчк тов. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ,ЗОНОВ,МАЗНОВСКИЙ,НИКОЛАЕВ,КВАНТАЛИАНИ
БЕРИ,МИКЕЛАДЗЕ,ЭЛИАВА,ОРЕХАЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

С л у ш а л и :

Докладчик тов.АПУКИН:

I-Дело Военной организации анти-советских партий,по обвинению:

1)ГУЛИСОВА Елисбара Захаровича,32 л.,быв. дворянина, окончил военное училище,б. полковника,служащего Наркомвоенкомата Грузии.-

П о с т а н о в и л и

I-За организацию заговора против Совласти Грузии,создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты,предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству ПОСТАНОВЛЕНО:
1)ГУЛИСОВА Елисбара Захаровича,32 л., б.дворянина,окончил военное училище, б.полковника,служащего Наркомвоенкомата.Активний участник военной организации нац.демократов.Занимая ответственную должность в Грузинской Красной Армии, ездил с заданиями Нац.Демократов к Челокаеву - РАССТРЕЛЯТЬ.- Приговор привести в исполнение в 24 час.ср

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗНК /МАЙСОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ. 1. გვ. 44.

ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელი


(1886 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N21353, 1 ტომი, 12 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- ბრალდებულის ხელწერილი;
- გამომძიებლის თანაშემწის დადგენილება.



ХРАНИТЬ ВЕЧНО

2

Г. С. С. Р.

НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ВНУТРЕННИХ ДЕЛ

НКВД ГССР

Отде\

ДЕЛО №16

Учет. в 1962 году

По обвинению Зандукели Николая Михаиловича

Начато „ „ 194 г.

Окончено „ „ 194 г.

В томах

Том №

После судебного рассмотрения и вступления приговора в силу, настоящее дело подлежит немедленному возвращению в 1-й Специальный отдел НКВД ГССР (гор. Тбилиси). К делу должна быть приобщена копия приговора.

Основание: приказ НКВД, Прокуратуры и НКЮ Союза ССР № 28сс от 5 августа 1938 года.

Передача находящихся в производстве следственных дел, а также взятых из архива дел в другие отделы или органы НКВД, хотя бы и временно, производится исключительно через 1-й Специальный отдел НКВД.

Передача следственного дела оформляется постановлением, утверждаемым начальником соответствующего управления НКВД, или его заместителем.

Арх. № ~~44134~~

Сдано в архив „ „ 19 г.

~~ПР-21750~~ J-82

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 2.

ნიკო ზანდუკელი


...გაიხმაურა გასაღებმა, გაიღო კარები და შემოვიდა ორი ზედამხედველი კომენდანტთან ერთად. გულის ცემა შემიჩერდა, კიდევ ერთხელ თვალწინ წარმომიდგა ახლობელი სახეები. შემოცვივდნენ თუ არა, ავდექი და მივეყუდე კედელს. ძალიან ძნელია გადმოცემა იმისა, თუ რას ვგრძნობდი იმ დროს. უმოძრაობამ შეგოჭა მთელი სხეული... ხიმშიაშვილი და ზანდუკელი გამოიყვანეთ, - დაიძახა კომენდანტმა და ცოტა შეჩერების შემდეგ დაუმატა - დაკითხვაზედ. როდესაც ერთ-ერთი ზედამხედველი მომიახლოვდა და ხელი მომკიდა გამოვერკვიე, დამიბრუნდა მედგროობა. ამ უკანასკნელ წუთებში არ მინდოდა მეჩვენებია ჯალათებისთვის ჩემი სისუსტე. გამიშვით ხელი, მე თვითონ შემიძლია გამოგყვეთ ვიყვირე მე და სუსტი ნაბიჯით გავსწიე კარებისაკენ. მომესმა ნიკო ზანდუკელის კვნესა, რომელიც მე მეძახოდა. კარებთან შევჩერდი, შემოვტრიალდი და დავინახე ორ ზედამხედველს შუა, საცვლებში, ფეხ-შიშველა, ძლივს მოსიარულე, თითქმის ნახევრად წელში მოკეცილი ნიკო. "დაკითხვაზე, დაკითხვაზე," - მაშინალურად იმეორებდა კომენდანტი. ვერ მოვითმინე ამის დანახვა, ჩემდა უნებლიეთ მოვბრუნდი ჩქარა და გადავეხვიე ნიკოს, თანაც ვეუბნებოდი - "მაგრად იყავ ნიკო, ნუ გეშინია, დაკითხვაზე მივდივართ," არ დამაცადეს მცველებმა და წინ გამიგდეს..."

/ალ. ხიმშიაშვილის მოგონებებიდან./



საქმის მასალების მიხედვით

1921 წლის 10 მაისს დუშეთის მაზრის პოლიტბიუროს თავმჯდომარის მიერ გაცემულ იქნა N19 ორდერი, რომლის საფუძველზე ვინმე პავლიაშვილს ევალებოდა მოქალაქე ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის ბინისა და პირადი ჩხრეკა-დაპატიმრება.



ит-Бюро Душетского уезда

ОРДЕР № 19

10 Мая 1921 г.

дан агенту для поручении т. Павлиа

вили

раво производства обыска и осе-

жд ании Зандукели Ми-

по ул.

е №

исимости от обыска арест оват.

чание: Все должностные лица и граждане

аны указать указанному агенту полное со-

вие

Зав. Полит-Бюро

етарь


შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 9.

საქმეში მოიპოვება დაუსათაურებელი ხელნაწერი დოკუმენტის ფრაგმენტი (სავარაუდოდ, „ჩხრეკის ოქმი[1]“), კერძოდ:

სტილი დაცულია

„1921 წ. აპრილის 10 (შენიშვნა: „მაისის“ ნაცვლად, სავარაუდოდ, შეცდომითაა „აპრილი“, ავტორი - უცნობია, ვის მიერაა შედგენილი აღნიშნული ოქმი) გავშინჯე ნიკო ზანდუკელის სახლი, რომელიც რო იყო მოწერილი ორდერი დუშეთის პარტკომის თავმჯდომარისა ხელისმოწერილი.

და არავითარი იარაღი არაფერი არ გვინახია გარდა ხელის ნაწერების წერილებისა მეტი და არავითარი შეურაწყობა არ მიუღია ჩვენი შინჯვის დროს და ხელს ვაწერ ოჯახის მასპინძელს ... (დანარჩენი არ იკითხება)“.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 5.

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 5.

კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან,

სამსახურებრივ დანაშაულთან და

ბანდიტიზმთან ბრძოლის

საგანგებო კომისია საქართველოში

საქართველოში კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან, სამსახურებრივ დანაშაულთან და ბანდიტიზმთან ბრძოლის საგანგებო კომისიის დაკითხვის

ო ქ მ ი[2]

N16 საქმეზე

1921 წ. 10 მაისი.


1. *გვარი*	ზანდუკელი
2. *სახელი, მამის სახელი*	მიხეილ ნიკოლოზის ძე
3. *ასაკი*	35 წლის.
4. *ეროვნება*	ქართველი.
5. *წარმომავლობა (ყოფილი აზნაური, ვაჭარი, მუშა, გლეხი...)*	თბილისის გუბერნიის წარმომავლობითი აზნაური.
6. *კლასობრივი მდგომარეობა (ბურჟუა, პროლეტარი...)*	საშუალო მესაკუთრე.
7. *ქონებრივი მდგომარეობა (უძრავ-მოძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი, სახლი...)*	მამული დუშეთის მაზრის სოფ. არანისში, 70 დესეტინა.
8. *ოჯახური მდგომარეობა* *ა) შვილების რაოდენობა* *ბ) შრომისუუნარო*	დაოჯახებული. ა) ერთი ქალიშვილი.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 3-4.

9. *მშობლების საქმიანობა (სამხედრო, სამოქალაქო, წოდება...)*	სააქციზო ზედამხედველი, წოდების გარეშე.
10. *სპეციალური სამუშაო სფერო*	საკანცელარიო საქმე.
11. *განათლება (ზოგადი, სპეციალური)*	სწავლობდა ექსტერნად.
12. *რას საქმიანობს, სად მსახურობს ან მუშაობს*	სამხედრო მოსამსახურედ, სპეციალური განათლების გარეშე.
13. *დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან (სამსახური მეფის არმიაში და წოდება, სამსახური წითელ არმიაში და წოდება)*	მსახურობდა მეფის არმიის მესამე ბრიგადაში. წოდების გარეშე. ა) მსახურობდა ჩინოვნიკად წოდების გარეშე. ბ) საქმის მწარმოებელი სამაზრო კომისარიატში. გ) დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივანი, შემდეგ დუშეთის სახალხო გვარდიის საქმისმწარმოებელი.
14. *რომელი პარტიის წევრი იყო (თებერვლის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ; თუ უპარტიოა-რატომ?)*	თებერვლის რევოლუციამდე - სოციალ-ფედერალისტურ პარტიაშია 1903 წლიდან, ოქტომბრის რევოლუციამდე - ასევე სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ - სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1919 წლიდან.
15. *იყო თუ არა წასამართლევი ან ბრალდებული (ოქტომბრის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ)*	არა
16. *რა კავშირი აქვს დაპატიმრებულთან*	თავად არის.
17. *საცხოვრებელი მისამართი*	კრუზენშტენსკის ქ. N7.

საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი:	სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი გავხდი 1903 წელს, მისი ჩამოყალიბების დროს, რისი აქტიური მონაწილეც ვიყავი. 1905 წლის დეკემბრის აჯანყებისას ადმინისტრაციული წესით გადამასახლეს ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც სოციალ-რევოლუციონერების პარტიაში ვმუშაობდი. 1907 წელს გამოვიქეცი და 1910 წლამდე არალეგალურად ვცხოვრობდი, პარტიულ საქმიანობაში მონაწილეობა არ მიმიღია. 1910 წელს დამაკავეს და გადასახლების ადგილზე დამაბრუნეს. კავკასიაში 1913 წელს დავბრუნდი და მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრად ვითვლებოდი, არავითარ სამუშაოს არ ვასრულებდი. მოგვიანებით გავეცანი სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტიის მუშაობას და გავხდი ამ პარტიის წევრი, თუმცა არავითარი მონაწილეობა მის საქმიანობაში არ მიმიღია, თუმცა პროპაგანდისტად ვითვლებოდი. მენშევიკების სოციალ-დემოკრატიული პარტიის საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებაც დაშვებულ იქნა დუშეთის მაზრის რევოლუციური კომიტეტის მიერ, გადაწყდა ხელისუფლებაში მყოფ პარტიასთან ერთად ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობა. ყოველივე აღნიშნული ემთხვეოდა ჩემს შეხედულებებს, ამიტომ არ ვკიცხავდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ბოლო დროს ვმსახურობ დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარიატში. ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებას დაადასტურებს ამხ. ა.დოლიძე.

ვადასტურებ: **ნ. ზანდუკელი.**



Душетское Уездное Политбюро. 3

Чрезвычайная Комиссия Грузии по борьбе с контр-революцией, спекуляцией, преступлениями по должности и бандитизмом.

Отделения №

ПРОТОКОЛ


Допроса, произведенного в Чрезвычайной Комиссии Грузии по борьбе с контр-революцией, спекуляцией, преступлениями по должности и бандитизмом.

ПО ДЕЛУ №____

1921 года, „10" Мая я, Уполномоченный (Следователь) Ч. К. Г. Кварцхава допрашивал гр. Гандухели в качестве обвиняемого и он показал

1. Фамилия Гандухели
2. Имя и отчество Николай Михайлович
3. Возраст 35 лет
4. Национальность Грузин
5. Бывшее сословие (из дворян, помещиков, потомств граждан, мещан, рабочих, крестьян) из потомственных дворян Тифлисской губернии
6. Классовое положение (буржуа, пролетарий и пр.) средний земледелец
7. Имущественное положение (владелец движимого и недвижимого имущества, земли, домов и пр.) Имение в селении Арагвиси Душетского уезда в количестве 40 десятин
8. Семейное положение женат
   а) Число детей одна дочь 1 года
   б) Неработоспособных одна
9. Занятие родителей: служба, чин, гражданский или военный Земледелец, служил не служил
10. Специальная отрасль труда Конденсорная работа
11. Образование: а) общее экстерном на высших курсах Грузии
    б) специальное не получал
12. Чем занимался, где служил или работал Виноградарством
    а) до февральской революции; какой имел чин служил ополченцем военное время, чина не имел
    б) до октябрской революции депутатом Душетского уезда Коммуниста

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 3.



4

в) после октябрской революции Секретарем Душетского уезд. Комис
сариата утвержден Делегатом Душетской народной власти

13. Отношение к военной службе:

а) служба в царской армии в 3 Грузин дружине

б) в каком чине чина не имел

в) Красной Армии —

14. Состоял ли в партии и в какой именно:

а) до февральской революции в партии Социалистов федерал. с 1905

б) до октябрской революции тоже

в) после октябрской революции в партии Социал демокр. с 1917 г

г) если безпартийный, то почему —

15. Был ли под судом или следствием —

а) до октябрской революции —

б) после октябрской революции —

16. В каких отношениях находится с обвиняем —

По существу дела показываю следующее: В партию с.д. я вступил с 1903 г.
при начале организации этой партии, где принимал деятельное
участие. В 1905 г. до декабрьского восстания, я был выслан с Кавказа
административным порядком в Олонецкую губ. где работал
в подпольной партии социал революционеров. В 1907 г. я со ссылки
бежал и до 1910 г. почти непрерывно по принятым уставам ни в
какой партийной работе. В 1910 г. я вновь был арестован
и выслан под надзор. Возвратился на Кавказ в 1913 г. и
снова работал в рядах с.д., но никакой работы не
вел. В последующие отношениях с деятельностью
партии с.д. меньшевиков, я заметил в этой партии
никакого деятельного участия не принимал
хотя и считался пропагандистом.
Но будучи сторонником социал демократической
партии меньшевиков, руководящей Душет
ским уездным революционным комитетом,
пользовался полным доверием в широких
кругах трудящейся части партии
Коммунистов, что вполне совпадало
с моими убеждениями, а
потому участие партии с.д. я считаю
необходимым. В последнее время я, будучи
в Душетском уездном военном комиссариате
служил по найму делопроизводителем
и выполнял поручения уездного
исполнительного комитета Душетского.

Допрошено: Н. Зантария

მიხეილ ნიკოლოზის ძე ზანდუკელის ხელწერილი (დაუთარიღებელი): [3]


1921 წლის 13 მაისს, ქ. დუშეთში, მე, ქვემორე ხელისმომწერი, მოქალაქე ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელი პირობას ვდებ მასზედ, რომ სამომავლოდ კატეგორიულად გავემიჯნები და უარს ვიტყვი როგორც ნებისმიერ ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდაზე, ასევე ნებისმიერ პარტიულ საბჭოში, ორგანიზაციასა თუ შეკრებაში მონაწილეობაზე, რომლებიც არ შეესატყვისება და ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიისა და მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების სულისკვეთებასა და ინტერესებს. აგრეთვე, ვალდებულებას ვიღებ, არსად გავიდე დუშეთის რაიონიდან მაზრის პოლიტბიუროს ნებართვის გარეშე.

წინამდებარე ხელწერილის გაცემის შესახებ, ჩემ მიერ, სამსახურის ადგილის მიხედვით, დაუყოვნებლივ ეცნობებათ დუშეთის მაზრისა და ქ. დუშეთის სამხედრო კომისრებს, რაზედაც პირადად ვაწერ ხელს.

მ. ნ. ზანდუკელი.

ხელწერილი ჩამოართვა:

ნ. მ. ზანდუკელის საქმეზე 1921 წლის 13 მაისის N9 დადგენილების საფუძველზე, ხელწერილი ჩამოართვა გამომძიების რწმუნებულის თანაშემწემ - ბ. კორზუნმა.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 6.

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 6.

დასკვნითი დადგენილება[4]

1921 წლის 13 მაისს მე, დუშეთის სამაზრო პოლიტბიუროს გამოძიების რწმუნებულის თანაშემწე ბიკენტი კორზუნმა, განვიხილე რა მოქალაქე ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის (35 წლის) საქმე, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით, დავადგინე: მიუხედავად იმისა, რომ ზანდუკელი მართლაც ირიცხება მენშევიკური სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდისტად, საქართველოში წინა მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, მის მიერ ამ კუთხით განხორციელებული განსაკუთრებული აქტივობების შესახებ დადასტურებული ფაქტების მოპოვება ვერ მოხერხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზანდუკელი 1903 წლიდან სოციალ-ფედერალისტთა რიგებში ირიცხებოდა და მონაწილეობა აქვს მიღებული ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში, რისთვისაც 1905 წელს გადასახლებული იქნა ოლონეცკის გუბერნიაში, რის შემდეგაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოუწია არალეგალური ცხოვრება, ხოლო მენშევიკურ პარტიაში ჩარიცხულ იქნა მხოლოდ 1920 წელს, კარიერული წინსვლის მიზნით, ეროვნულ გვარდიაში სამსახურის დაწყების შემდეგ.

ამჟამად ზანდუკელი მსახურობს დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარიატში, სადაც მასზე დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დავადგინე: ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელს ჩამოერთვას ხელწერილი ანტისაბჭოთა პარტიებში, შეკრებებსა თუ გაერთიანებებში მონაწილეობასა და მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ინტერესებისა და მისწრაფებების საპირისპირო აგიტაცია-პროპაგანდაზე კატეგორიული უარის თქმის შესახებ, აგრეთვე დუშეთის მაზრის პოლიტბიუროს ნებართვის გარეშე ქ. დუშეთიდან ნებისმიერი მიმართულებით გაუსვლელობაზე (გარდა ხელმძღვანელობის მიერ ნებადართული სამსახურებრივი მივლინებებისა).

ჩამორთმეული პირადი წერილები და მისი სოციალური მდგომარეობის, განათლებისა და ა. შ. ამსახველი ოფიციალური დოკუმენტაცია დაუბრუნდეს, მენშევიკურ-აგიტატორული შინაარსის ოთხი წიგნი ჩამორთმეულ იქნას, ხოლო მის მიმართ საქმის წარმოება შეწყდეს.

გამოძიების რწმუნებულის თანაშემწე - **კორზუნი**.

თანახმა ვარ
პოლიტბიურის თავმჯდომარის მოადგილე - **ხელმოწერა**.

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N21353. ტ. 1. გვ. 7-8.

შენიშვნა: სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში, დამკომსა და სამხედრო ცენტრში ნიკოლოზ ივანეს ძე ზანდუკელის საქმიანობის ამსახველი მასალები ან სხვა საქმე შსს არქივში დაცული არ არის.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ ნ. მ. ზანდუკელი, ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის 1923 წლის 19 მაისის დადგენილებით, სხვა დანარჩენ 14 ქართველ ოფიცერთან ერთად, განაჩენის გამოტანიდან 24 საათის განმავლობაში, ახლანდელი ვაკის პარკის მიდამოებში დახვრიტეს.

იასონ მათეს ძე კერესელიძე


(1892 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N22319, 1 ტომი, 300 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- პატიმრის განცხადებები;
- მოწმეთა დაკითხვის ოქმები;
- მოწმობა;
- პირადი წერილები;
- აგენტურული შეტყობინებები;
- მემორანდუმები;
- ბრალდებულის დაკითხვის ოქმი;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენებები;
- პატიმრის მეუღლის განცხადებები და თხოვნები;
- სამედიცინო ცნობა;
- დადგენილება (განაჩენი);
- სამსახურებრივი მიმოწერა;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 2.

იასონ კერესელიძე

„...დერეფნის ბოლოში ლანდებივით მოსჩანდნენ კოტე აფხაზი და ვარდენ წულუკიძე... ვიდექი ისე, რომ ადგილიდანაც ვერ ვინძრეოდი. გონზე მომიყვანა სატუსაღოს ეზოში ამტყდარმა ყვირილმა - „გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, მშვიდობით, ძმებო! გვხვრეტენ ამაღამ...“ ხმამაღლა ყვიროდა ს. ბაგრატიონ-მუხრანელი და მის სიტყვებს მოჰყვა იასონ კერესელიძის მძლავრი ხმით დაწყებული „დიდება“, რომელსაც აჰყვნენ სხვებიც...

/ალ. ხიმშიაშვილის მოგონებებიდან./



„...მაღალი, 35 წლის, კარგი აღნაგობის, აქვს შავი მოკლე თმა, მოგრძო სახე, შავი წარბები, სწორი თხელი ცხვირი, წვერს იპარსავს, ატარებს ინგლისურ პატარა ულვაშს, აქვს მშვიდი სიარულის მანერა, არის ქართული ტიპაჟის, აცვია მოკლე კრაველის ქურქი, შავი გალიფე შარვალი, შავი ფეხსაცმელი, უკეთია ოფიცრის ბრტყელი ქამარი...“

/აგენტურული ცნობები./


საქმის მასალების მიხედვით

სისხლის სამართლის საქმე N22319

იასონ მათეს ძე კერესელიძის დაპატიმრება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე იმ პირების, რომლებთან ერთადაც 1923 წლის 21 მაისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს.

საქმის მასალებიდან ორკვევა:

1922 წლის ოქტომბერში საქართველოს საგანგებო კომისიამ აღძრა საქმე N2370 (იგივე N22319) არაბულის, ცისკარაულისა და კერესელიძის მიმართ, რომელთაც ბრალად ედებოდათ ჩოლოყაევის ბანდის წევრობა. აღნიშნული საქმე იმავე წლის 18 ნოემბერს გამოსაძიებლად გადაეცა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას 72 ფურცლად.



საქ. საგანგებო კომისია
კონტრ-რევოლუციასთან, შპიონაჟთან, სპეკულიაციასთან, მსახურ. პირთა ბოროტ მოქმედებასთან და ბანდიტიზმთან
საბჭოთა მოსახლეობისათვის

С. С. Р. Г.

Чрезвычайная Комиссия Грузии по борьбе контр-революцией спекуляц., прест. в должности, шпионажем, сабатажем и бандитизм.

Отдел
" 192 г.
№ 7208
Гор. Тифлис.
На №
" 192 г.

В З А К Ч Е К А

Согласно постановления Президиума ЧКГ от 15 Ноября с/г. при сем препровождается дело за № 2370 по обв. АРАБУЛИ, ЦИЦКАРАУЛИ и КЕРЕС ЛИДЗЕ в принадлежности к банде ЧЕЛОКАЕВА.
Приложение: дело на 72 листах.
СПРАВКА, арест. содержатся в Исправдоме № 2 и с сего числа перечисляются за Вами.

Нач. СОУ
Нач. Общчасти
Нач. УРСО

3

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 3.

საქმეში არსებობს 1922 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებული მოსხენებითი ბარათი ამხ. დანილოვის სახელზე, საიდანაც ირკვევა, თუ რა მიზეზით და როგორ მოხდა ამ პირების დაპატიმრება:

ამხანაგ დანილოვს![1]

ა/წ 19 ოქტომბერს მივიღეთ შეტყობინება, რომ პაპიაშვილის დუქანში იმყოფებოდა ჩოლოყაშვილისგან თბილისში დირექტივების მისაღებად გამოგზავნილი ორი ხევსური. დუქანში გაიგზავნენ თანამშრომლები და რადგან შეშინდნენ მხედველობიდან არ დაეკარგათ ეჭვმიტანილები, გადაწყვიტეს აეყვანათ ისე, რომ არ დაელოდნენ მათ შემდგომ მოქმედებებს. დუქანში მათთან ერთად იმყოფებოდა ამხანაგობა „მწყემსის“ თანამშრომელი იასონ კერესელიძე. დააპატიმრეს სამივე ერთად. ჩხრეკის დროს ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, არაბულს აღმოაჩნდა პროკლამაცია, ანუ ჩოლოყაშვილის მიმართვა ხევსურებისადმი მისივე ხელმოწერით.

პირველ დაკითხვაზე აჩვენეს:

1. ცისკარაული ამბობს, რომ ისინი ჩამოვიდნენ გომბორიდან იმის გასაგებად, თუ რა პირობები იყო ამხანაგობა „მწყემსში“ ჩაწერის შემთხვევაში. შემდგომ შევიდნენ დუქანში, ხოლო კერესელიძე იქ შემთხვევით მივიდა.

2. არაბული იძლევა იგივე ჩვენებას - რომ ჩამოსულები იყვნენ ამხ. „მწყემსში“ ჩასაწერად, მაგრამ ამბობს, რომ კერესელიძესთან ერთად გამოვიდნენ „მწყემსიდან“ და როცა გადადიოდნენ ხიდზე, მან დაანახა კერესელიძეს დუქანი და უთხრა, რომ იქ ისადილებდნენ, სადაც ისინი წავიდნენ, ხოლო კერესელიძე თავის გზას დაადგა. რაღაც დროის შემდეგ იგი მობრუნდა და დაიწყო მათთან ერთად სადილობა. ამის შემდეგ ყველა ერთად წავიდა. ჩხრეკისას, თავიდან ფაფახის მოგლეჯის დროს, მან აღიარა, რომ იქ ქაღალდი იყო.

3. კერესელიძე ამბობს, რომ მასთან მივიდნენ მეცხვარეები, რომელთაც მანამდე არ იცნობდა. მათ დაპატიჟეს დუქანში, სადაც წავიდა მათთან ერთად. იქ დაყო ნახევარი საათი, შემდეგ გამოვიდა და სამსახურში დაბრუნდა, იქიდან კი კვლავ ხევსურებს შეუერთდა. როდესაც მიხვდა, რომ სადილობა ცუდად სრულდებოდა, მან ისინი სახლში წაიყვანა.... კითხვებს, თუ რატომ გამოიჩინა ამ ხევსურების მიმართ მან ასეთი ყურადღება და ყველასთან ერთად დადის თუ არა დუქანში, ან რატომ წაიყვანა მან ისინი თავისთან სახლში და კიდევ დაჰყავს თუ არა ვინმე თავის ბინაში, კერესელიძემ პასუხი არ გასცა.

საქმის სქემა ასეთია - ხევსურები ჩოლოყაევის მოგზავნილები არიან. პირველად ნახეს კერესელიძე, რომელიც ან თავად მოაგვარებდა საქმეს, ან კიდევ შეხვდებოდა მათ.

საქმის შემდგომი მსვლელობისთვის:

კერესელიძე ავადმყოფი და ყველაზე სუსტია. მარტო ჩასვით საკანში, არ დაკითხოთ არავითარ შემთხვევაში, სანამ თვითონ არ მოითხოვს. თუ მოითხოვა, მივიდეთ და ვკითხოთ, აღიარებით ჩვენებაზე თუ არის თანახმა. თუ თანახმაა, დავკითხოთ, თუ უარს იტყვის, ისევ საკანში ჩავკეტოთ და არ ვეკონტაქტოთ.

არაბული და ცისკარაული ცალ-ცალკე ჩავსვათ სარდაფში. შევუქმნათ იზოლაციის შეგრძნება და გამოვკვეთოთ მათ ჩვენებებში არსებული განსხვავებები.


შეტყობინება გაიგზავნოს გომბორის რაიონულ რევკომში, არიან თუ არა ეს პირები ნამდვილად მეცხვარეები. შევამოწმოთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია, მათი წევრი ხომ

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 48-58.

არ არის კერესელიძე.

19/X-22 წ.

1922 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N5169 ორდერი, რომლის მიხედვითაც ЧЕКА-ს კომისარს, ვინმე ყურაშვილს ევალებოდა იასონ კერესელიძის დაპატიმრება და კრუზენშტეინსკის ქ.N7-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Чрезвычайная Комиссия Грузии по борьбе с контр-революцией, спекуляцией преступлением по должности, шпионажем и бандитизмом.

ОРДЕР №5169

От „19" октября 1922 г.

Выдан Комиссару Чека Курашвили

на производство обыска и ареста Кереселидзе Ясона

по адресу Грузинская

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказать указанному Комиссару полное содействие.

Председатель Ч. К. Т.

Заведующий Сек. Опер. Отделом

Справка

5

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 5.

იმავე დღეს N5169 ორდერის საფუძველზე შედგა ჩხრეკის ოქმი[2], საიდანაც ირკვევა, რომ ჩხრეკის შედეგად იასონ კერესელიძისგან ამოღებული იქნა ოფიცრის სამხრეები, სხვადასხვა მიმოწერა, ვაზნები, ფოტოსურათები და რუკები.

საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ შედგა ასევე პატიმრის ანკეტა და დაკითვის ოქმი:

Ч.К.Г. Ч.К.Г. - სთვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის **ანკეტა N4563** ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა	
კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) გვარი	კერესელიძე
2) სახელი, მამის სახელი	იასონ მათეს ძე
3) მოქალაქეობა	საქართველოს სსრ
4) ჩაწერის ადგილი	ტიფლისის გუბერნია
5) ეროვნება	ქართველი
6) ასაკი (დაბ. წელი)	30 წლის, 1892 წლის 18 ნოემბერი.
7) განათლება	საშინაო

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 6-8.

8) ოჯახი	***მეუღლე:*** მარიამ სიმონის ასული, 30 წლის, დიასახლისი, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.
	შვილები: ვახტანგი, 7 წლის, მცხ. კრუზენშტეინსკის ქუჩაზე. მზე -3 წლის, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.
	ცოლისდა: თამარი, 16 წლის, დიასახლისი, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში. ***ცოლისძმა:*** გიორგი, 15 წლის, მოსწავლე, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.
9) პარტიულობა	უპარტიო.
10) პროფესია	წიგნის გამომცემელი.
11) სამუშაო ადგილი: ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) წიგნის გამომცემელი. ბ) დააარსა წიგნის გამომცემლობა და იყო საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი.
12) თუ იყო სახელმწიფო სამსახურში, წოდება.	
13) თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს	თავიდან წიგნების გამოცემით ირჩენდა თავს, შემდგომ იყო საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი.
14) ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად	არა
15) ნასამართლეობა	არა
16) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება	დაწუნებულია სამხედრო სამსახურისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.
17) როდის მოხდა დაპატიმრება	1922 წლის 19 ოქტომბერს
18) ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერის N	ГРУЗЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე
19) სად მოხდა დაპატიმრება	თბილისში, კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში, ეზოში, როდესაც სამსახურიდან, გაერთიანება „მწყემსიდან“ სახლში ბრუნდებოდა.

20) ვის მიერ იყო დაკითხული პირველად	
21) იყო თუ არა წარდგენილი მრალდება დაკითხვის დროს	
22) საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე	თბილისი, კრუზენშტეინსკის ქ. N-7.
პატიმრის შენიშვნები: პატიმრის ხელმოწერა: **იასონ კერესელიძე**.	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
23) პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება	
24) ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N	
25) ვისთან ირიცხება	
26) პატიმრის ნიშნები	
შენიშვნები: დაკავების ადგილის უფროსის ხელმოწერა:	

Ч. К. Г. 6

АНКЕТА № 4563

11

для арестованных и задержанных с зачислением за Ч. К. Г.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности.

ВОПРОСЫ.	ОТВЕТЫ.
I-я часть (заполняется арестованным).	
1) Фамилия	Кереселидзе
2) Имя и отчество	Иван Матвеевич
3) Граждан-ин/ка какого государства	С.С.Р.Г.
4) Национальность	Грузин.
5) Место приписки	Губ. Тифлис. уезд. Тифлис. вол. — город Тифлис
6) Возраст (год рождения)	30 лет., родился в 18 Нояб. месяц 1892 г.
7) Образование: а) грамотный-ли	а) домашнее.
б) какую школу окончил	б) окончил школу
в) если не окончил, то ск. класс. курс. пр.	в) прошел класс. курс. школы

I.

II. Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей мужа, жены братьев и сестер).

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Возраст	Занятие или место работы и должность или профессия	Место жительства (Адрес)
1.	жена	Мария Симон.	30.	Шед. домом	Тифлис Крупская №7.
2.	дети	Виктория	7.		Крупская. №7.
3.	"	Лёля	3		
4.	сёстры сестренки	Тамара	15.	домом	
5.	брат жены	Георгий	15	учится.	

9) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит, б) с какого времени — Беспартийный

10) Профессия — Книгоиздатель. 11

11) Место работы (службы):	Наименование предприятия или учреждения	Профессия	Должность
а) с начала войны до марта 1917	а) Заведующий Книгоиздательством		
б) с 1 марта по день ареста.	б) Книгоиздательство основавшее и создавшее широко читаемый об-ва грузинск. школ		

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 11.

12

12) Если состоял на государ. службе, то в каком чине	Нет.
13) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	Высылал ему кое-что родственник и сумма комп. брод и О-во Трудолюбие.
14) Владел ли недвижимым имуществом каким и где	Нет.
15) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	Нет.
16) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность: б) если освобожден, то на каком основании	Забракован как больной.
17) Когда арестован	19 октября 1924.
18) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	агентом Гулуева.
19) Где арестован: а) губ., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах авестован (на своей квартире, в засаде, на собран. и проч.)	г. Тифлис Крутицкая ул. д №7. во дворе возвращался домой со службы. Вл. „Цхинси"
20) Когда и кем допрошен	лишь допрос ни один.
21) Пред'явлено-ли обвинение и в чем именно	
22) Местожительства перед арестом	г. Тифлис Крутицкая ул №7.

Примечание: Признанного.

Подпись арестованного:

12 " " 192 г.

2-я часть (заполняется администрацией места заключения).

23) Официальное название места заключения	
24) По чьему ордеру арестован и № ордера	
25) За кем зачислен	
26) Приметы заключеного	

Примечание:

Подпись заведующаго местом заключения

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем), четко, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 12.

„გამასწორებელი სახლის უმფროსს [3]

იასონ კერესელიძის

განცხადება

რადგანაც მე მძიმე ავადმყოფი ვარ, მაქვს კატარი კუჭისა, დაწყობილი მაქვს ავადმყოფობა კურსით ვისაც სჭირდება რიგიანი პირობები, შეწყობილი საჭმელები უმთავრესად ჰაერზე სიარული, ამიტომ გთხოვთ შემიცვალოთ პირობები, მომცეთ საშუალება საავადმყოფოში გასვლისა, სადაც შემეძლება წამლობა. თორემ მე თუ ამ პირობებში მომიხდა დარჩენა, აქედან ან მკვდარს გამიტანენ ან მძიმე ავადმყოფს. ანგრეთვე გთხოვთ ქართ. ჩეკის თავმჯდომარეს რომ მე სრულებით შემთხვევით დაჭერილი, არავითარი ბრალი არა მაქვს და ვთხოვ პირადად მას რაც შეიძლება თვით მან დამკითხოს, რადგანაც ვიმეორებ ციხის პირობებს ვერ ავიტან, როგორც ავადმყოფი. ამასთან ერთად გთხოვთ ამ ოთახიდან გადამიყვანოთ სადაც ბევრი ჰაერია და თავისუფლება, რაც უთავრესი წამალია ჩემი ავადმყოფობისთვის. აგრეთვე გთხოვთ მომცეთ კუშეტკა და ფული რომელიც თქვენთან დავტოვე წუხელის.

იასონ კერესელიძე.

„20“ X – 1922 წ.

მეტეხი.“

ასლი დედანთან სწორია.

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 15-16.

იასონ კერესელიძეს დაპატიმრების დროს აღმოაჩნდა მოწმობა.


მოწმობა

ამის წარმომდგენი ამხ. იასონ კერესელიძე არის ნამდვილათ კახეთის წითელი პარტიზანული რაზმის უმწყობრო გუნდის უფროსის თანაშემწე, რომელიც იმყოფება პირველ საარტილერიო დივიზიონთან, რასაც ვამოწმებ ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით.

დივიზიონის უფროსი: **ჟურული**.

სამხედრო კომისარი: **ჭკუასელი**.

ადიუტანტი: **ნათენაძე**.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 29.

იასონ კერესელიძის დაპატიმრების დროს შედგა შემდეგი სახის ოქმი:

ოქმი


1922 წლის 19 ოქტომბერს ოყო გასინჯული მოქალაქე იასონ მათეს ძე კერესელიძე, რომელსაც აღმოაჩნდა სუფთა ცარიელი ბლანკები მეცხვარეთა ამხანაგობის „მწყემსი“ და მოწმობა საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოსი N54.

რასაც ხელს ვაწერ: **ი. კერესელიძე.**

რაზედაც დამსწრენი არიან და

აწერენ ხელს: **ხელმოწერები**.

19 ოქტომბერი, 1922 წ.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 37.

კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან,

სამსახურებრივ დანაშაულსა და

ბანდიტიზმთან ბრძოლის

საგანგებო კომისია საქართველოში

საქართველოს სსრ კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან, სამსახურებრივ დანაშაულსა და ბანდიტიზმთან ბრძოლის საგანგებო კომისიის დაკითხვის

ო ქ მ ი[4]

საქმეზე N

1922 წ. 3 ნოემბერი

1. ***გვარი,***	კერესელიძე
2. ***სახელი, მამის სახელი***	იასონ მათეს ძე
3. ***ასაკი***	30
4. ***ეროვნება***	ქართველი
5. ***წარმომავლობა*** *(ყოფილი აზნაური, ვაჭარი, მუშა, გლეხი...)*	
6. ***კლასობრივი მდგომარეობა*** *(ბურჟუა, პროლეტარი...)*	
7. ***ქონებრივი მდგომარეობა*** *(უძრავ-მოძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი, სახლი...)*	

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 44-47.

8. ***ოჯახური მდგომარეობა*** ***ა) შვილების რაოდენობა*** ***ბ) შრომის უუნარო***	დაოჯახებული. ა) 2. ბ) 4.
9. ***მშობლების საქმიანობა*** *(სამხედრო, სამოქალაქო, წოდება...)*	
10. ***სპეციალური სამუშაო სფერო***	წიგნის გამომცემელი
11. ***განათლება*** *(ზოგადი, სპეციალური)*	საშინაო
12. ***რას საქმიანობს, სად მსახუროზს ან მუშაობს***	წიგნის გამომცემლობაში.
13. ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*** *(სამსახური მეფის არმიაში და წოდება, სამსახური წითელ არმიაში და წოდება)*	
14. ***რომელი პარტიის წევრი იყო*** *(თებერვლის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, თუ უპარტიოა - რატომ?)*	უპარტიო
15. ***იყო თუ არა ნასამართლევი ან ბრალდებული*** *(ოქტომბრის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ)*	არა
16. ***რა კავშირი აქვს დაპატიმრებულთან***	თავად არის.
17. ***საცხოვრებელი მისამართი***	კრუზენშტენსკის ქ. N7.

საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი:	***კითხვა:*** რა ურთიერთობა გქონდათ ხევსურებთან, რომლებთან ერთადაც რესტორანში იყავით? ***პასუხი:*** ხევსურებს საერთოდ არ ვიცნობდი, ისინი მეცხვარეებად გავიცანი და მათთან კარაქის შესახებ მქონდა საუბარი, რომლის გაცვლაც უნდოდათ ტანისამოსსა და მარილზე. რაც დავპირდი, იმიტომ, რომ თავად ვიყავი ამით დაინტერესებული. მე ვთხოვე ფულის სესხება გ. მაღალოვს, რომელიც, სავარაუდოდ, კადეტის ქ. N4 ან 6-ში ცხოვრობს, რომ მეყიდა ხევსურებისგან კარაქი, რათა მისი ყიდვა-გაყიდვით ცოტა ფული მომეგო და ამით ცოტა ხანი თავი მერჩინა. ისინი მართლაც წავიყვანე რესტორან „პურ-ღვინოში“... არანაირი კავშირი ხევსურებთან არ მქონია, გარდა კარაქზე საუბრისა და მათი ამხანაგობა „მწყემსში“ გაერთიანების შესახებ, რომლის წევრიც მე გახლავართ. გარდა ამისა, შემიძლია დავამატო, რომ იმის ნაცვლად, ჩამედინა დანაშაული, რომელსაც მე მაბრალებთ, პირიქით, უკვე დავწერე ახსნა-განმარტება საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ოკუჯავას სახელზე, რომ მოეცათ ჩემთვის უფლება, წავსულიყავი ხევსურეთში და შემერიგებინა შეიარაღებული გაქცეული ხევსურები. ამ საკითხზე ხევსურებსაც ველაპარაკე, რომ რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო მათი შემორიგება. გარდა ამისა, ხევსურეთში ბევრი მეგობარი და ნაცნობი მყავს, რომელთა დახმარებითაც შევძლებდი საქართველოსთვის მხოლოდ სარგებელი მომეტანა და რასაც არანაირი კავშირი არ აქვს იმ ბრალთან, რომელსაც მიყენებენ, კერძოდ, ბანდიტებთან კავშირს. ***კითხვა:*** რას იტყვით ჩოლოყაშვილის წერილის შესახებ, რომელიც არაბულს უპოვეს? ***პასუხი:*** წერილის შესახებ არაფერი ვიცი, მხოლოდ ვნახე, რომ საქართველოს საგანგებო კომისიაში მას ჩამოართვეს წერილი და თქვეს, რომ ჩოლოყაშვილისგან იყო. ***კითხვა:*** კიდევ რა შეგიძლიათ დაამატოთ თქვენს ნათქვამს? ***პასუხი:*** ვიმეორებ, სათქმელი არაფერი აღარ მაქვს და თავს დამნაშვედ არ ვცნობ. იმის ნაცვლად, რომ მომეტანა სარგებელი საბჭოთა საქართველოსთვის და ხევსურები მთავრობისთვის შემომერიგებინა, დამაპატიმრეს და მთელი ეს დრო უდანაშაულოდ ვიმყოფები ციხეში, მაშინ, როდესაც შემეძლო სარგებლის მოტანა.

იასონ კერესელიძე.

საქმეში არის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული პატიმრები გადაყვანილ იქნენ ЗАКЧЕКА-ში.

ЗАКЧЕКА-ს კომენდანტს

დავალების მიხედვით, მოვახდინეთ N2 გამასწორებელი სახლიდან ЗАКЧЕКА-ს შიდა ციხეში შემდეგი პატიმრების გადაყვანა:


1. იასონ მათეს ძე კერესელიძე, გაძლიერებული დაცვით, საკანში მოთავსდეს მარტო.
2. მიხეილ ზურაბის ძე არაბული, მოთავსდეს ცალკე.
3. დიმიტრი დავითის ძე ცისკარაული, მოთავსდეს ცალკე.

ყველა ზემოხსენებული პატიმარი გადმოსულია ЗАКЧЕКА-ს განკარგულებაში.

„27“/ XI-22 წ.

ЗАКЧЕКА-ს საერთო ნაწილის უფროსი /**კუდრიავცევი**/.

რეგიონული განყოფილების უფროსი /**მაისოვი**/.



В-.срочно.-

65

КОМЕНДАНТУ ЗАКЧК.-

С получением сего переведите из Лсправдома № 2,
в внутреннюю тюрьму при ЗАКЧК следующих арестованных:
1/ КЕРБЕЛИДЗЕ Ясона Матвеевича, под усиленным конвоем
и в одиночном порядке, а 2/АБРАМУЛИ Михаила Зурабовича
и 3/ЦИЦАРАУЛИ Дмитрия Давидовича отдельно.
Все вышеназванные арестованные перечислены за ЗАКЧК,
отношение ЧК Грузии за № 18404/с от 18/XI-22 года. Нач-
исправдома [illegible].-

"27"/XI-22 года.

НАЧОБ.ЧАСТИ ЗАКЧК
/КУДРЯВЦЕВ/

ЛА.РЕГ.ОТДЕЛЕНИЯ/МАЙСОВ/

Верно: [illegible]

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 65.

1923 წლის 14 აპრილს იასონ კერესელიძეზე შედგა დაპატიმრების ახალი ფურცელი და ანკეტა N1047.

რსფსრ

XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N1047

გვარი, სახელი, მამის სახელი	კერესელიძე იასონ მათეს ძე
მისამართი	კრუზენშტენსკის ქ. N7.
ასაკი	30 წლის.
განათლება	საშინაო.
პროფესია	წიგნის გამომცემელი.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	ამხანაგობა „მწყემსში“.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ხელფასით
ოჯახური მდგომარეობა	ჰყავს.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	ГРУЗЧЕКА-ს მიერ.
რის საფუძველზე	არ ვიცი.

ხელმოწერა: **იასონ კერესელიძე**.

71

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 1042.

„ „ 192 г.

Фамилия Кереселидзе Имя и отчество Асон Иосифович

Адрес: Кутаисская губ. г. Зестафони

Возраст 30 лет

Образование домашнее

Профессия Книгоиздатель

Где работает и долго ли В обществе обувщиков

Партийность Беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли Нет

На какия средства живет На жалованье

Имеет ли семью Имеет

Кем арестован Грузчекой

На каком основании Неизвестно

Подпись: Асон Кереселидзе

Приметы:

Сдал *Принял*

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 71.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

ანკეტა N1047

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	პასუხები
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	კერესელიძე
2) ***სახელი, მამის სახელი***	იასონ მათეს ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	ტიფლისი
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	30 წლის, 1892 წლის 18 ნოემბერი.
7) ***განათლება***	საშინაო
8) ***ოჯახი***	***მეულლე:*** მარიამ სიმონის ასული, 30 წლის, დიასახლისი, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.
	შვილები: ვახტანგი, 7 წლის, მცხ. კრუზენშტეინსკის ქუჩაზე. მზე -3 წლის, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.
9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	

10) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი*	
11) *პარტიულობა*	უპარტიო.
12) *პროფესია*	წიგნის გამომცემელი.
13) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) ტიპოგრაფიის თანამშრომელი. ბ) ბოლო დროს მეცხვარეთა ამხანაგობაშია.
14) *წოდება*	
15) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	თავისი და ახლობლების შემოსავლით.
16) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	არა
17) *ნასამართლობა*	არასოდეს
18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	აქვს თეთრი ბილეთი.
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	1922 წლის 19 ოქტომბერს.
20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	არ ვიცი
21) *სად მოხდა დაპატიმრება*	საკუთარ სახლში.
22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	5 ნოემბერს, მეტეხის ციხეში.

23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	ორ ხევსურთან კავშირი, რომლებიც იყვნენ ეჭვმიტანილები, როგორც ჩოლოყაშვილთან დაახლოებული პირები.
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	თბილისი, კრუზენშტეინსკის ქ. N-7.

პატიმრის ხელმოწერა: **იასონ კერესელიძე.**

28 ნოემბერი, 1922 წ.

მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)

25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	

XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:

74

Особый Отдел при Реввоенсовете XI армии.

АНКЕТА № 1142.

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.
Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
I-я часть заполняется заключенным	
1) Фамилия	Кереселидзе
2) Имя и отчество	Шалва Матвеевич
3) Гражданин(ка) какого государства	Грузинского
4) Место приписки	Губ. / вол.: / уезд / село / город Тифлис
5) Национальность	грузин
6) Возраст (год рождения)	30 лет, родился в 18 месяц 1891 года
7) Образование: а) грамотный ли б) какую школу окончил, в) если не окончил, то ск. класс курс. проше	а) грамотный б) окончил домашнее образование школу в) прошел класс / курс школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестр)

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1	жена	Мария [illegible]	30	[illegible]	—
2	отец	Вахтанг [illegible]	63	—	—
3					
4					
5					

83


9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1				
2				
3				
4				
5				

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Военное звание, род оружия или спец. в Красн. ар.	Место службы
1				
2				
3				
4				
5				

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 74.



11) Партийная принадлежность а) в какой партии состоит, б) с какого времени	а) состоял членом ____ партии б) Безпарт. месяц 19 года
12) Профессия	Книгопродав.
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1/III 1917 г. б) с 1/III 1917 г. по день ареста.	Название предприятия или учреждения / Профессия или должность а) Не работал в типографии б) последнее время при Обществе обувщиков / Регистратура.
14) Если состоит на госуд. службе то в каком чине	
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	своих и своих родных
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	Нет
17) Привлекался ли к ответствен. по суду или в админ. порядке	никогда
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) ____ б) Белобилетник
~~19) Когда арест.~~	9 окт. месяц 1922 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	Тифчека (по ордеру № 3464)
21) Где арестован: а) губер., уезд. вол., село гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире в засаде, на собрании, в поезде и пр.).	а) На своей квартире б) ____
22) Когда и кем допрошен в первый раз	5 ноября, в Метеколлегии
23) Предъявлено-ли обвинение при допросе и в чем именно	В связи арестом 2 х лиц по подозрению в сношении с Кутаисской.
24) Место жительства перед арестом	Кругозентерная 7, кв. 7.

Подпись заключенного Асан Керсели Оглы

28 ноября 1922 года

2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдела XI армии ____

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайне случае химическим карандашем) четко, разборчиво, подностью написывая слова, по возможности без помарок и поправок.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 75.

ქართული განსაკუთრებული განყოფილების უფროსს [5]

იასონ კერესელიძის

განცხადება

ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც ავად ვარ და ვიმყოფები პატარა ოთახში. ჩემზე ძალიან იმოქმედა იმანაც, რომ არ გავყავარ სუფთა ჰაერზე.

მოქ. კერესელიძე ითხოვს, რომ იგი გადაიყვანონ ადგილობრივ საავადმყოფოში. ასევე ითხოვს, გაუზარდონ გასეირნების რაოდენობა.

ფსსრ

საკავშირო საბჭოს ამიერკავკასიის საგანგებო კომისია

კონტრდაზვერვის განყოფილება

ო ქ მ ი[ნ]

საქმეზე N

ტიფლისი, 25 დეკემბერი, 1922 წ.

1. ***გვარი***	კერესელიძე
2. ***სახელი, მამის სახელი***	იასონ მათეს ძე
3. ***ასაკი***	30
4. ***წარმომავლობა***	გლეხი
5. ***საცხოვრებელი მისამართი***	ტიფლისი
6. ***რას საქმიანობს***	ბოლო დროს გაერთიანება „მწყემსი“
7. ***ოჯახური მდგომარეობა***	დაოჯახებული.
8. ***ქონებრივი მდგომარეობა***	უქონელი
9. ***პარტიულობა***	უპარტიო

5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 97.
6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 101-106.

10. ***პოლიტიკური მრწამსი***	უთანაგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას.
11. ***განათლება***	საშინაო
12. ***რას საქმიანობს და სად მუშაობდა***	1918 წლიდან წიგნის გამომცემელი. 1918 წლიდან დაპატიმრებამდე -კონკრეტული სამუშაო ადგილის გარეშე.
13. ***ნასამართლობა***	არა

<u>საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი:</u>

კითხვა: მოგვიყევით დაპატიმრებამდე ხევსურებთან თქვენი შეხვედრების შესახებ?

პასუხი: ა/წ 19 ოქტომბერს, „მწყემსის“ კანტორაში მოვიდა ორი გლეხი, რომელთაც გვკითხეს, შესაძლებელი იყო თუ არა ჩვენი ორგანიზაციიდან მიეღოთ ტანსაცმელი კარაქის სანაცვლოდ. მე ავუხსენი, რომ საქონლის გასაცვლელად აუცილებელი იყო, პირველ რიგში, ჩვენს ამხანაგობაში ჩაწერა და მეორე, კანტორა მხოლოდ და მხოლოდ მატყლს იღებდა. რამდენადაც მატერიალურად ძალიან შეჭირვებული ვიყავი, შევთავაზე, კარაქი ჩემთვის მოეყიდათ და სამაგიეროდ, საქონელს ვუშოვიდი. ასევე, მათ გამოთქვეს სურვილი, ჩაწერილიყვნენ ჩვენს ორგანიზაციაში და ამაშიც აღვუთქვი დახმარება. წინასწარ შევუთანხმდი, რომ თუ მოხდებოდა ხევსურეთის აჯანყება, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით წავიდოდი ხევსურეთში, რადგან იქ ნათესავები მყავდა და მთელ ხევსურეთს ვიცნობდი. წასვლის მიზანი იყო ის, რომ ჩოლოყაშვილთან ერთად გამოსული ხევსურებისთვის შთამეგონებინა, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სოფლებში. ამ მიზნით უკვე ბევრი განცხადება მქონდა დაწერილი, რომელიც არ მინდოდა დაპატიმრებამდე გადამეცა და რომლებიც ჩემს სახლში ინახება. კანტორაში მოსვლისას, მათი საუბრიდან მივხვდი, რომ ხევსურეთიდან იყვნენ. გამიხარდა მათი მოსვლა და მათი დახმარებით ვცდილობდი, ჩოლოყაშვილის მხარეზე გადასული ხევსურების შესახებ რამე გამეგო, რათა შევთანხმებულიყავით ზემოთქმულზე. დავთქვით შეხვედრა ჩემი სამსახურის დასრულების შემდეგ. სამსახურიდან გამოვედი იმ მიზნით, რომ შევსულიყავი გიგო მაღალოვთან და თამარა კორინთელთან, რათა მათგან მიმეღო ვალი, რომელსაც დაპირებული იყო. „მწყემსის“ კანტორიდან გამოსვლისას ისევ შევხვდი ხევსურებს, დავთქვით შეხვედრა ალექსანდრეს რესტორანში, ვორონცოვის ხიდზე. იქ რომ მივედი, ისინი უკვე ისხდნენ. ცოტა დავლიეთ და შევჭამეთ. იქვე იყვნენ „ჩეკას“ თანამშრომელი ბარტყალაშვილი, რესტორნის მეპატრონე და პირები, რომელთა გვარებიც არ ვიცი. შევნიშნე, რომ ხევსურები წასვლას აპირებდნენ და მეპატრონეს ემშვიდობებოდნენ. ჩემთვის უსიამოვნო იყო ფულის შოვნის და ხევსურეთში ჩემი დაგეგმილი გამგზავრების შესახებ მათთან იქ საუბარი, ამიტომ ვთხოვე მათ, ჩემთან წამოსულიყვნენ სახლში. ისინიც დამთანხმდნენ. მე სახლთან მისული დამაპატიმრეს, ხევსურები კი რესტორან „პურ-ღვინოდან“ გამოსვლის მომენტში აიყვანეს.

კითხვა: როგორ ახსნით თქვენს სურვილს, გქონოდათ ხევსურებთან ურთიერთობა?

პასუხი: ამ ნაცნობობამდე ვეძებდი ვინმე ადგილობრივ მოსახლეს ხევსურეთიდან, რათა იქ არსებული ვითარება გამეგო და ცხოვრებაში გამეტარებინა ჩემი იდეა, კერძოდ, წავსულიყავი ხევსურეთში და დამერწმუნებინა ჩოლოყაშვილთან ერთად გასულები, დაბრუნებულიყვნენ

თავიანთ სოფლებში. გარდა ამისა, განვიცდიდი რა მატერიალურ სიდუხჭირეს, ვცდილობდი, ზემოთ ნახსენებ ხევსურებთან მქონოდა ურთიერთობა ზემოაღნიშნული საქონლის ვაჭრობის გამო.

კითხვა: რამდენად გქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ ჩოლოყაშვილთან გასული ხევსურები დაგეშორებინათ მისთვის და ისინიც დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სოფლებში?

პასუხი: ვიყავი რა წიგნის გამომცემელი, დიდი ნაცნობობა მყავდა ხევსურეთში, იქ ასევე მყავდა ბევრი ნათესავი და ვიმედოვნებდი, რომ ჩემი მოგზაურობა წარმატებით დასრულდებოდა.

კითხვა: საიდან გაგიჩნდათ ეს იდეა?

პასუხი: ეს ჩემი ვალია ხევსურებისა და ხელისუფლების წინაშე, რამდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ გაზაფხულზე ისევ დაიღვრება სისხლი, რაც იქნება უაზროდ დაღვრილი.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ ერთ-ერთ ხევსურს ჩოლოყაშვილის მოწოდება აღმოაჩნდა?

პასუხი: ამის შესახებ არაფერი ვიცოდი.

კითხვა: ხევსურებისა და რესტორნის მეპატრონის გარდა, კიდევ ვინ იყო რესტორანში?

პასუხი: ამხ. „მწემსიდან“ ბაცაცაშვილი, ერთი კომუნისტი, რომელსაც სახეზე ვიცნობ, მაგრამ გვარი არ ვიცი.

ჩემი იქ გამგზავრებით ხელისუფლების ნდობის მოპოვებას ვფიქრობდი.

იასონ კერესელიძე.

სტილი დაცულია

საქართველოს საბჭოთა საგანგებო რაზმის თავმჯდომარეს [7]

იასონ კერესელიძის

განცხადება

როგორც ჩემამდის მოაღწია ხმამ, ვითომც ხევსურეთის აჯანყების დროს ას კაცამდის შეიარაღებული ხევსური გადაცვივნულიყოს პირ იქითა ხევსურეთში იმ შიშით, რომ მთავრობა მათ სასტიკად დასჯის. მე ვეძებდი შემთხვევას და ამის დამარწმუნებელ საბუთებს რათა მომემართა თქვენთვის, რომ მე როგორც იქ ნამყოფს, რომელსაც მყავს მრავალი ნაცნობები გავეგზავნეთ სოფ. შატილში რათა დამერწმუნებინა ისინი ტყუილ უბრალო შიშში თქვენის დაპირებით იგინი დაბრუნებულიყვნენ თავთავიაანთ სახლებში და სწორედ დღეს აი აქ „მწყემს“-ში სადაც მე ვმსახურობ მოვიდნენ მწყემსი გომბორელი ხევსურები რომელთაც გამოვკითხე მართალი იყო თუ არა ეს ხმები და მათ დაადასტურეს და სთქვეს, რომ ეგრე გვაქვს გაგებულიო. ამის შემდგომ გადავსწყვიტე ამ მოხსენებით თქვენთან მოსვლა. მე როგორც ვიცი ხევსურთ ზნე და ჩვეულება, ეგენი ამაყი და სისხლის ამღები ხალხია, ამასთანავე მათი გამოყენება და მოტყუება ყოველ პროვოკატორს შეუძლიან ვიცი ისიც, რომ თუ იგინი მთავრობამ დროზე არ შეირიგა, იგინი გადიქცევიან საზღაპრო აბრაგებათ, რომელსაც მოჰყვება გაუთავებელი სისხლის ღვრა და მსხვერპლი. გამოვდივარ რა ამ მოსაზრებით მოგმართავთ თქვენ შემდეგი თხოვნით რათა მომცეთ პირადათ თქვენთან საუბრის იმ გადაცვივნულ ხევსურთა შერიგების შესახებ რისიც ამ ქაღალდზე თქმას პირადათ საუბარი სჯობს.


იასონ კერესელიძე.

„19“ ღვინობისთვე “ (X)

ასლი დედანთან სწორია.

---

7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 110.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 110.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს [8]

მარიამ სიმონის ასულ კერესელიძის

თხოვნა

გთხოვთ შეხვედრის ნებართვას ჩემს ავადმყოფ ქმართან, იასონ მათეს ძე კერესელიძესთან. უფრო მეტიც, გთხოვთ, გადაიყვანოთ ციხის საავადმყოფოში.

მარიამ კერესელიძე.

26/XII- 22 წ.

ქ. თბილისი.

სასწრაფოა პატიმრის ავადმყოფი ბავშვების საშიშ მდგომარეობასთან დაკავშირებით

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს [9]

მარიამ სიმონის ასული კერესელიძე

მცხ. ქ. თბილისი, კრუზენშტენსკის ქ. N7.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აგერ უკვე სამი თვეა, რაც ჩემი მეუღლე იასონ მათეს ძე კერესელიძე დაპატიმრებულია ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ და მიმდინარეობს გამოძიება. თვითონ ამ დროისთვის არის ავად და იმყოფება ციხის N1 საავადმყოფოში. ჩემთვის, რომელიც კარგად იცნობს ჩემი ქმრის ცხოვრების წესს, აშკარაა მისი უდანაშაულობა. თამამად ველოდები ძიების დასრულებას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ დაადგენს მის უდანაშაულობას იმ საქმეზე, რომლისთვისაცაა დაპატიმრებული და რომელთანაც მას საერთოდ შეხებაც არ ჰქონია (ბანდიტიზმი). გთხოვთ, როგორც აქამდე თქვენდამი მომართულ წერილებშიც გთხოვდით, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს საქმის გამოძიება და დასრულება. ამასთან, ასევე გთხოვთ, მოიხსნას სამსახურთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები, კერძოდ, დაპატიმრების შემდეგ ჩემი ქმარი ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის განკარგულების საფუძველზე დაითხოვეს სამსახურიდან, ამხანაგობა „მწყემსიდან“, რაც იყო ჩვენი შემოსავლის წყარო და მე, ორ პატარა ბავშვთან ერთად, განწირული ვარ შიმშილით სიკვდილისთვის. რაც გვქონდა, ყველაფერი გავყიდეთ და ახლა სიღატაკის ზღვარზე ვიმყოფებით. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, უჭმელობითა და ცუდი პირობების გამო, ბავშვები მძიმედ არიან

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 112.
9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 120.

ავად, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ 1923 წლის 4 იანვარს გაცემული სამედიცინო ცნობა.

ამიტომ, გემუდარებით ამხ. გამომძიებელო, ჩემი ავადმყოფი პატარა შვილებისთვის გთხოვთ, მისცეთ მათ საშუალება ამ მათთვის მძიმე და სიცოცხლისთვის საშიშ წუთებში გრძნობდნენ მამის ზრუნვას, რომელსაც ისინი ასე მოკლებულნი არიან აგერ უკვე სამი თვეა...

შეგვიწყალეთ, დაგვიბრუნეთ ოჯახის მარჩენალი ჩემი მეუღლე, გაეცით განკარგულება, რომ გაათავისუფლონ იგი დაუყოვნებლივ, თუნდაც ბავშვების გამოჯანმრთელებამდე, რა პირობებითაც იქნება თქვენთვის სასურველი. შეგვიწყალეთ, შემოდით ჩვენს გამოუვალ მდგომარეობაში.

თან ერთვის ექიმის სამედიცინო ცნობა.

მარიამ კერესელიძე

5 იანვარი - 1923 წ.

ქ. თბილისი.

ასლი

ც ნ ო ბ ა[10]

ვადასტურებ, რომ ვახტანგ კერესელიძე, 7 წლის, გადატანილი წითელას შემდეგ, ამ დროისთვის მძიმედაა ავად. არის საშიშროება, განვითარდეს მუცლის ფარის ანთება. მდგომარეობა სერიოზულია. შეიძლება მოყვეს ძალიან მძიმე შედეგი. მისი და, 3 წლის ლეილა არის წითელათი ავად.

ხელისმომწერნი: ექიმი ბალაჯევი და რაიონის ექიმი.

4 იანვარი, 1923 წელი.

<u>აგენტურული ცნობა</u>

სანდო პირი „ЛЯЛЯ“.[11]

თქვენს დავალებაზე კერესელიძესთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მასთან ამ დრომდე არ ყოფილა კავშირის დამყარების შესაძლებლობა, რამდენადაც იგი იმყოფებოდა სხვა პატიმრებთან ერთად, მათ შორის იყო გუნკოც, რომელმაც ჩემზე ზედმეტები ილაპარაკა, გამცა. ასე რომ, 15 რიცხვიდან იგი სხვა განყოფილებაშია გადაყვანილი, კერესელიძე რჩება მარტო და ვიმედოვნებ, ამ დროს იქნება შესაძლებელი მასთან კავშირის დამყარება. დამატებით გატყობინებთ, რომ ის ბევრ პოლიტპატიმარს იცნობს, ისეთებს, როგორებიც არიან მაზნიევი, ხიმშიევი, ლორთქიფანიძე და სხვა.

ინფორმატორი: ЛЯЛЯ.

10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 122.
11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 130.

საქმეში არის იასონ კერესელიძისა და მისი მეუღლის პირადი მიმოწერა:

სტილი დაცულია


მარიამ კერესელიძის წერილი:

ჩემო იასონ!

როგორა ხარ? ზაკჩეკაში გვითხრეს, რომ მიხეილის საავადმყოფოში ხარ, იქ წავედით და არ იყავი, მერე ტელეფონით გავიგეთ, რომ მანდა ხარ, გიგზავნი ერთ თონის თეთრ პურს, ბოთლით რძეს, კარტოფილით და ბადრიჯნით ხორცს, ერთ გირვანქა ფხვნილ შაქარს, გაზეთს. მეშინია არ დავიგვიანო შენთან და მოფიქრებით ვერაფერსა გწერ ჯერ დავრწმუნდე, რომ მანდა ხარ. აბა ყოჩაღად იყავი. გაკოცეს ბავშვებმა, მომწერე ყველაფერი ან რა გეჭმევა.

მაშო.

ასლი დედანთან სწორია



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 135.


მარიამ კერესელიძის წერილი:

იასონ!

გიგზავნი მოხრაკულ კარტოფილს და ორ კატლეტს, ნახევარ პურს, ხუთ ვაშლს, წიგნს „მოლიპულ გზაზე“, გაზეთს, კარანდაშს, ორ თაბახ ქაღალდს. ფულს გიგზავნი ასი ათას მანეთს 100,000 მან. სხვა ხილი მინდოდა პარკით გამომეგზავნა და ვერ მოვახერხე. ვატატას წითელა შეხვდა, ეხლა უკეთ არის, დღეს მეათე დღეა რაცა წევს. ალბათ ლოლოსაც შეხვდება. მოიწერე ყველაფერი თავისუფლად რაც გინდა. იქნება კვირასა გნახო, შენი ნაცნობი ხომ არავინ წევს მანდ საავადმყოფოში? რამდენი წევხართ ერთ პალატაში, რა თქვეს მიხეილის საავადმყოფოში მალე განთავისუფლდება ადგილი და იქ გადაგიყვანენ, მგონი აპერაცია უნდა გაგიკეთონ ზაკჩეკაში ეგრე გვითხრეს. მომწერე ყველაფერი, კილასონია წევს მანდა არ იცნობ? შეშა მაქვს ერთი ურემი. სალფეტკს გიგზავნი და სადილის კოვზს. ნემსი და ძაფი თუ გინდა მომწერე და მოგიტან, პალტო რომ გაცვია სულ გაგიჭუჭყიანდებოდა, შარვალი ვინ იცის სულ დაგეხა. როდის მეღირსება რომ შენ სახლში იყვე და ამდენი აღარ ვეწვალოთ. აბა ყოჩაღად იყავი, გულს ნუ გაიტეხავ, ჩვენი დარდი ნუ გაქვს. მშვიდობით.

მაშო.

ასლი დედანთან სწორია.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 142.

იასონ კერესელიძის წერილი:

მაშო კერესელიძეს


ნათარგმნია ქართულიდან.

მაშო, მივიღე წიგნი „მოლიპულ გზაზე“ (მგონი, ქართველი მწერლის ან ერისთავი-ხოშტარიას რომანი უნდა იყოს. მთარგმ.) გაზეთი, ფანქარი, ორი თაბახი ქაღალდი, ფული 100 000 მანეთი... აციებს ვატატას? ექიმ წინამძღვრიშვილის დახმარებით თუ სარგებლობთ? გაუარა წითელამ? დათოსაც ხომ არ შეხვდა? მიხაილოვის საავადმყოფოში არ ვყოფილვარ. პირდაპირ აქ მომიყვანეს. ექიმებმა, ჩემი სისუსტის გამო, ოპერაცია გადადეს და ჩვეულებრივ მკურნალობას განაგრძობენ. გამოძიების დასრულებამდე საკანში მარტო ვიქნები. გამომძიებელმა მითხრა, რომ ჩემი საქმის გამოძიება ორ კვირაში დასრულდება. „ზაკჩეკაში“ მხოლოდ ერთხელ მივიღე ხილი პარკით და რამდენადაც მისი ჭამა ჩემთვის არ შეიძლებოდა, უკან დავაბრუნე. გუშინ თქვენი წერილი არ მიმიღია. წერილში არ არის საჭირო უმნიშვნელო დეტალების დაწერა. აქ, სავარაუდოდ, ბევრი ჩემი ნაცნობი იქნება, მაგრამ ჩემთან შეხვედრა ნებადართული არ არის. კილასონიას ვიცნობ, მაგრამ აქ არის თუ არა, არ ვიცი. მივიღე ხელსახოცი და სადილის კოვზი. სამსახურიდან გათავისუფლებული ვარ? თუ იღებთ ჩემს ხელფასს და რა ოდენობით? პალტო თუ გამოისყიდეთ? ვანცამ, ალბათ, დაკარგა ჩემი ფეხსაცმელები. იმედი მაქვს, მიიღეთ ჩემი ბალიში, რომელიც მეტეხში დავტოვე. აქ ყოველდღე არ იარო, ძნელია კვირაში ორ-სამჯერ მოსვლა. მხოლოდ კარგ ამინდში მოდი, ან ვინმე გამოგზავნე, თორემ ჩავარდები, ჩემთვის კი ამით არანაირი სარგებელი არ იქნება. გამომიგზავნე წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ (ქართველი პოეტის, რუსთაველის პოემა. მთარგმნ.). ჯავახიშვილის „ისტორიანი“ ხომ არ წაუღიათ? ის ჩემი სამაგიდო წიგნია და დასაკარგად მენანება. ეცადე, იქნებ დაგთანხმდნენ პაემანზე, ნახე ჩემი საქმის გამომძიებელი და იქნებ დაგრთოს ნება. თუ დასტურს მიიღებ, ვატატაც მოიყვანე თუ ჯანმრთელადაა. ყველაფერი მივიღე. გიგზავნი ქვაბს თავსახურითა და ხელსაწმენდს. ძალიან დაიტანჯე ჩემ გამო. მომწერე, რამდენჯერ გამომიგზავნე ხილი პარკით. უბრალოდ საინტერესოა, მე მხოლოდ ერთხელ მივიღე და მეტი არ მიმიღია. იასონი. - მშვიდად იყავით.

სწორია: **კერესელიძე.**

23/I-23 წ.

ქ. თბილისი.



Маше Кереселидзе

150

Перевод с грузинского.-

Маше! Получил книгу "Молипул Гзазе" /На скольском пути-повидимому роман груз.писательницы Ан. Эристави-Хоштария - пер./, газету, карандаш, два листа бумаги, деньгами 100,000 руб.. Не лихорадит ли Ватату, пользует ли врач его Динамдзаришвили, прошла у него корь? /болезнь/ Не захватила ли Дато /имя/ корь? Я не был в Михайловской больнице. Прямо сюда привезли. Врачи откладывают операцию вследствие моей слабости и пользуют обыкновенным лечением. До окончания следствия буду в одиночке. Следователь сказал мне, что мое дело будет закончено в две недели. В Закчека я только раз получил фрукты в мешочке и так же как есть мне было нельзя, вернул обратно. Вчера вашего письма я не получал. В письме не пишите не нужных подробностей. Моих знакомых вероятно будет много, не разрешено мне свидание со мной. Киласония я знаю, только не знаю, он здесь или нет. Получил салфетку и обеденную ложку. Уволен я или нет со службы, получаете ли жалование и в каком размере, вручили ли мое пальто? Ваница вероятно утерял мою обувь. Вы наверное получили мою подушку, оставленную в Метехе. Не ходи сюда каждый день, вам трудно ходить два три-раза в неделю. Приходи только в хорошую погоду или присылай кого нибудь другого, а то попадешь мне-же от этого не будет никакого улучшения. Пришли книгу "Вебхис Ткаосани" /Барсовая шкура-поэма груз.поэта Руставели, пер./. Незабрана ли "История" Джавахишвили /Профессора-пер./. Эта книга является настольной и памятной и очень жалею. Постарайся, может быть разрешат свидание, повидайся с моим следователем, он разрешит и если будет разрешено, приведи Ватату если он будет здоров. Все получил. Присылаю котелок с покрышкой и салфетку. Ты измучилась благодаря мне. Напиши сколько раз ты прислала фрукты в мешочках. Я получил только один раз и больше не получал, интересуюсь. Ассон.- Будь спокойна.-

С подлинным верно:

23/I-23 г.

г.Тифлис.-

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 150.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს [12]

მარიამ სიმონის ასული კერესელიძე

მცხ. ქ. თბილისი, კრუზენშტენსკის ქ. N7.

თ ხ ო ვ ნ ა

აგერ უკვე მეოთხე თვეა, რაც ჩემი ქმარი იასონ მათეს ძე კერესელიძე დაპატიმრებულია. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის განკარგულებით, ჩვენ შეგვიწყვიტეს მისი სამსახურიდან ხელფასი და მე, ორ პატარა ბავშვსა და არასრულწლოვან დასთან ერთად, დავრჩი ბედის ანაბარად გამოუვალ მდგომარეობაში. ამ უბედურებას ასევე დაერთო ის, რომ ორივე ბავშვი დაავადდა წითელათი, არ მაქვს საშუალება კარგ პირობებში მოვუარო მათ და ავადმყოფობა საკმაოდ გართულდა. მათი ავადმყოფობის შესახებ ცნობა უკვე წარმოვადგინე თქვენთან შეწყალების თხოვნასთან ერთად, მაგრამ ჯერ არანაირი პასუხი არ მიმიღია. გავბედავ და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩემს მძიმე მდგომარეობას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი და ჩემი ავადმყოფი შვილების გამოუვალი

12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 152-153.

მდგომარეობა და დააჩქაროთ ჩემი ქმრის საქმის გამოძიება, რომელიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, დაკავებულია გაუგებრობის გამო.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, დაუბრუნოთ ჩემს შვილებს მამა და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. განვიცდი ძალიან დიდ მატერიალურ გაჭირვებას, სახლიდან აღარაფერი დამრჩა გასაყიდი და თუ ჩემი ქმარი არ დაბრუნდება ოჯახში, მალე ჩვენ შიმშილით სიკვდილისთვის ვიქნებით განწირულნი.

მარიამ კერესელიძე.

27 იანვარი - 1923 წ.

ქ. ტიფლისი.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს[13]

მოქალაქე მარიამ სიმონის ასულ კერესელიძის

მცხ. კრუზენშტენსკის ქ. N7-ში.

განცხადება

აგერ უკვე ოთხი თვეა, არ მომეცა ჩემს ქმართან შეხვედრის უფლება, რომელიც გამასწორებელი სახლის N1 საავადმყოფოში იმყოფება და სადაც ЗАКЧЕКА-დან იქნა გადაყვანილი როგორც მძიმე ავადმყოფი. ძალიან გთხოვთ, მომცეთ მისი ნახვის უფლება.

მარიამ კერესელიძე.

27 იანვარი 1923 წ.

13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 154.

ს.ს. ამიერკავკასიის რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს ამიერკავკასიის საგანგებო კომისია

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

ЗАКЧЕКА-ს თავმჯდომარე: **პანკრატოვი**.

06/01/23

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა[14]

(ბრალის წარდგენის შესახებ)

1923 წლის 25 იანვარს მე, ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის განყოფილების I ქვეგანყოფილების უფროსის თანაშემწე ზალპეტერმა განვიხილე რა იასონ მათეს ძე კერესელიძის მიმართ N510 საგამოძიებო საქმეზე არსებული ბრალის მასალები,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე: წარედგინოს ბრალი კონტრრევოლუციურ ქმედებაში, რაც გამოიხატებოდა კავშირში იმ პირებთან, გლეხებთან, რომლებიც ჩოლოყაევთან ერთად მონაწილეობდნენ ბრძოლებში, დანაშაული გათვალისწინებულია სსკ 60-ე მუხლით.

ყველაფრის გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს ბრალდებულის მიერ სასამართლოსგან თავის არიდება, გამოძიება არჩევს იასონ კერესელიძის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობას, გამოძიების საბოლოოდ დასრულებამდე.

ბრალდება მე, კერესელიძეს გამეცნო 1923 წლის 29 იანვარს.

ბრალდებულის ხელმოწერა: **იასონ კერესელიძე**.

კონტრრევოლუციური განყოფილების განსაკუთრებულ საქმეთა უფროსის თანაშემწე: **ზალპეტერი**.

თანახმა ვარ: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი: **აშუკინი**.

14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 156.

156.

Закавказская Чрезвычайная Комиссия при Союзном Совете С. С. Республик Закавказья

Утверждаю
Предзакчека

ПОСТАНОВЛЕНИЕ

(На пред'явление обвинения)

192 года „25" Января Я по Нал/отд/Кро в след. ком N 810
Закчека Заместер рассмотрев сего числа материал по обвинению

Переселидзе Леона Матвеевича

ПОСТАНОВИЛ: Пред'явить обвинение в Контр-революции, выразившейся в связях с лицами, скрывшими обращение в банду Чолокаева, предусмотренном 60 ст. Угол. Код.

На основании чего мерой пресечения уклонения от суда и следствия избрал: Подписка о невыезде под арестом

Переселидзе Леона

Обвинение мне Переселидзе об'явлено „27" Января 1923

в 15 часов дня по Нал/отд/Кро

192 года в „15" часов.

Подпись обвиняемого Леона Переселидзе.

Уполномоченный СОЧ: Шмелев

Согласен:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 156.

ЗАКЧЕКА-ს 1923 წლის 3 თებერვალის N396 განკარგულების თანახმად, პატიმარი იასონ კერესელიძე ЗАКЧЕКА-დან გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში სამკურნალოდ.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 171.

სტილი დაცულია

ზაკ-ჩეკაში იასონ კერესელიძის გამომძიებელს[15]

განცხადება

იასონ კერესელიძისა

კუთვნილებისამებრ

ხელმოწერა. 31/ I -23.

პირველად დაკითხვის დროს თქვენ დამპირდით ჩვენ თქვენ კიდევ მოგელაპარაკებით ხევსურეთის შესახებ და კიდევ დაგკითხავთო. მას შემდეგ მე კიდევ ველი, როდის დამკითხავთ ან როდის მომელაპარაკებით. არც ვიცი დანამდვილებით კიდევ დამკითხავთ თუ არა და თუ საჭიროა დაკითხვა შემატყობინეთ რადგანაც მეჩქარება საქმის დასრულება. მიუხედავად იმისა, რომ ავად ვარ და ჯერ არ მოვრჩენილვარ, შემიძლიან დროებით გამოვეწერო და მანდ მოვიდე. ამასთანავე ერთად გაცნობებთ პირადათ, რომ ჩემ მთავრობას შეუძლია ყოველთვის გამოიყენოს ბევრ საჭირო საქმეში რომელსაც გამოვადგები და რომელსაც ვცნობ ჩემი ქვეყნის მთავრობად. ჩემი ნალაპარაკებიდან იცით, რომ ჩემი გამოცდილებით ბევრი რამის გაკეთება შემიძლიან. საჭიროდ ვთვლი პირადათ მოლაპარაკების დროს თქვენთან ბევრ რამეზე შეთანხმებას, რომელიც სარგებლობას მოუტანს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს. ამასთანავე ერთად მე, ჩემ მიერ მოცემული ჩვენება დასრულებულათ

15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 173.

არ მიმაჩნია, რადგანაც ზოგიერთი რამ გამომრჩა მეთქვა, რომელიც დაკითხვის დროს დამავიწყდა. ვიმეორებ ჩვენ ბევრ რამეზე შევთანხმდებით და გთხოვთ ხელიდან ნუ გაუშვებთ შემთხვევას და გამოიყენოდ ჩემი გამოცდილება. ქაღალდზე არ მსურს ლაპარაკი სჯობიან პირადი შეხვედრა. ამასთანავე ერთად გთხოვთ, მისცეთ ჩემს მეუღლეს ნება ჩემი ნახვისა და მომხსნათ სეკრეტიდან, რადგანაც ჩემი ავადმყოფობა მაშინ უფრო მალე მორჩება, როცა საშუალება მექნება სიარულისა, რომელიც აუცილებლია ამ ავადმყოფობით შეპყრობილისა რაზედაც მაცნობეთ პასუხი დროზე.

იასონ კერესელიძე.

1923 წ. 31/I

ასლი დედანთან სწორია.

<u>აგენტურული ცნობა</u>

სანდო პირი „ანანია“ [16]

ლეო კანდელაკი ამბობდა, რომ დაპატიმრებული იასონ კერესელიძე ეროვნულ-დემოკრატებისა და ინტერპარტიული კომიტეტის წევრია.

ასლი დედანთან სწორია.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას[17]

გატყობინებთ, რომ კერესელიძეს გამასწორებელ სახლში, მენშევიკ პატიმრებს შორის ძალიან ბევრი ნაცნობი ჰყავს და მათ შორის ავტორიტეტით სარგებლობს. სეირნობისას, საკნებთან გავლის დროს იგი ხშირად ესაუბრება მენშევიკ პატიმრებს და უხსნის მათ მისი საქმის ირგვლივ არსებულ მდგომარეობას, რომ საქმე კარგად მიდის და მალე გათავისუფლდება; რომ მისი საქმე აიღო ცხაკაიამ, რომლისგანაც მიიღო წერილი. საქმე ისაა, რომ პატიმრებთან წერილის გადაცემა ხდება შემდეგი გზით: პროდუქტების გადამცემი არის ერთ-ერთი პატიმარი. მართალია, პროდუქტები და წერილები პატიმრებს გადაეცემათ ციხის მეთვალყურის მიერ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უფრო აიოლებს საქმეს, რამდენადაც ეს მეთვალყურე მოხუცი რუსია, არ შეუძლია ქართულად კითხვა, ამიტომ ყველა წერილი შეუმოწმებლად ხვდება პატიმრების ხელში.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, კერესელიძე კარგ დამოკიდებულებაშია ციხის ადმინისტრაციასთან - ციცაძესა და უფროსის მოადგილე გაისაძესთან. პირველ მათგანთან შეიმჩნევა კერესელიძის ხშირი სიარული მის კაბინეტში, სადაც მიმდინარეობს ხანგრძლივი საუბრები, ხოლო მეორე მათგანის ხშირი მიმოსვლა კერესელიძის საკანში, მიუხედავად იმისა, რომ მორიგე არაა. არადა, პატიმართან შესვლა მხოლოდ მორიგეს შეუძლია.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.
საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსი.
საინფორმაციო განყოფილების უფროსი.

16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 187.
17 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 188-189.

ძალიან მერიდება, რომ ვბედავ თქვენს შეწუხებას პირადი მოტივით, მაგრამ აუცილებელმა მდგომარეობამ მაიძულა გადამედგა ეს ნაბიჯი. ვიმედოვნებ, რომ თქვენ თვითონ წაიკითხავთ ამ წერილს ბოლომდე. ვიმეორებ, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა გარდა იმისა, რომ თქვენთვის მომემართა ამ წერილით. საქმე ისაა, რომ ჩემი მრავალჯერადი თხოვნების მიუხედავად, თქვენგან არანაირი პასუხი არ მიმიღია.

უკვე მეოთხე თვეა, რაც ჩემი ქმარი იასონ მათეს ძე კერესელიძე დაპატიმრებულია ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ. დაპატიმრების შემდეგ მისი სამსახურიდან შეგვიწყვიტეს ხელფასი და მე, ორ პატარა ბავშვსა და არასრულწლოვან დასთან ერთად, დავრჩი ბედის ანაბარად გამოუვალ მდგომარეობაში. აქამდე თავს სახლიდან ნივთების გაყიდვით ვირჩენდით. ამას თუ დავამატებთ იმას, რომ ბავშვები სერიოზულად დაავადნენ, ალბათ, წარმოიდგენთ, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი და რამ გადამაწყვეტინა თქვენთვის მომემართა. წარმოიდგინეთ იმ დედის მდგომარეობა, რომელსაც შვილები მძიმედ ჰყავს ავად და არანაირი საშუალება არ აქვს, ნორმალურად მოუაროს მათ, შიმშილის დროს საჭმელი მიაწოდოს. აი, ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფები მე ქმრის დაპატიმრების შემდეგ. გაცნობებთ რა ამას, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ: დააჩქაროთ ჩემი ქმრის საქმის გამოძიება და დაგვიბრუნოთ ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

ძალიან გთხოვთ, შეხვიდეთ ჩემს გამოუვალ მდგომარეობაში, შეიბრალოთ ჩემი ავადმყოფი შვილები. თუ უახლოეს პერიოდში ჩემი ქმარი არ დაბრუნდება ოჯახში, მალე ჩვენ შიმშილით სიკვდილი გვემუქრება. მე ბევრს არ გთხოვთ, გთხოვთ, მხოლოდ დააჩქაროთ საქმის გამოძიება და მომცეთ მასთან შეხვედრის უფლება. ის, ავადმყოფი, ციხის N1 საავადმყოფოში წევს.

მ. კერესელიძე.

13/III-23 წ.

18 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 191-193.

საქმეში არის პატიმარ კერესელიძის მიერ დაწერილი წერილი, რომელიც მან გასაგზავნად გადასცა სანიტარს, მაგრამ წერილი გამასწორებელი სახლის თანამშრომელთა ხელში აღმოჩნდა.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 205.

სტილი დაცულია

იასონ კერესელიძის წერილი: [19]

„მე რომ ჭკუაზე ცოტაოდენ ხანდისხან აფრაგათ ვიყო ეს მაინცა და მაინც ძალიან გასაკვირელი არ არის. შენ იცი ხუთი თვის განმავლობაში ჰაერი არ დამინახავს, მაგას ვინ ჩივის ზედ დაუმატე ისიც, რომ არცერთი ქართველი კაცი არ მინახავს ამ ხანში და სადაც ვიყავ დამწყვდეული სულ მასე ვიყავ და თუ ვინმე იყო ჩემთან უთუოდ ჯაშუში უნდა ყოფილიყო, გინდა თუ არ გინდა ძალათი დაგალაპარაკებენ. მაგას ვინ ჩივის ავად ვიყავი და ოხერმა ბუასილმა აუარებელი სისხლი დამაკარგინა, რამაც ძალიან დამასუსტა. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს მეტეხში, არა უჭირდა ზაკ-ჩეკაში მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ოთახი, მხოლოდ ჩემი კრაოტის ოდენობა იყო და მიკვირს როგორ შესტიეს შიგ ის კრაოტი ან როგორ გამოიტანენ არა ვიცი. ალბათ სინამ ის სახლი არ დაინგრევა სინამ ის კრაოტი იქ იქნება. შიგ რომ შეველი ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, ასე მეგონა ეს სახლი როცა ააშენეს ეს კრაოტიც კალაპოტში შიგ ჩადგეს მეთქი. კარებიდან პირდაპირ კრაოტზე უნდა გადამებიჯა, მხოლოდ კი ოთახი მაღალი იყო და ძალიან ბნელი. ღამე ელექტრონი ენთო, დღე ზაჟიგალკა. თაგვებთან კი დიდი მეგობრობა მქონდა. არც წიგნის წაკითხვისა და არც ქაღალდის და საწერის ქონების ნება არ იყო. გაზეთებს, რომელსაც მიგზავნიდით არ მაძლევდნენ. მიუხედავათ ამისა თავს კარგად ვგრძნობდი და ჩემ საქმეს სრულებით საღათ და ჭკუით უცქეროდი. ორმაგ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სიმართლე ბოლოს და ბოლოს თავისას იზავდა. ღვთის წინაშე,

19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 195-204.

ქცევით ძალიან კარგა მექცეოდნენ, თუმცა კი პირველად ძალიან ეჭვით მიყურებდნენ. დაკითხვა ეს ცარიელი ზრდილობა იყო. ჩემზე ჩემმა გამომძიებელმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, ჩემმა გულწრფელმა საღმა ჩვენებამ, თითონ მათაც ჰაზრი შეუცვალა, სადაც მათ ვარწმუნებდი რომ ჩემი ხევსურეთში გაგზავნა სასარგებლო იყო, რის გამოც მოლაპარაკება გამართეს და სხვა.

ზაკ-ჩეკაში ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა. აღარაფრის ჭამა აღარ შემეძლო, რადგან საჭიროების ალაგას ვეღარ გავდიოდი, რადგანაც ტკივილები დიდი მქონდა და ამასთან სისხლის მდინარება. სისხლს ჟეშტის კოლოფებში ვაგროვებდი და ავავსე კიდეც. ექიმებს ყოველი დღე ვაჩვენებდი, რომლებიც ძალიან ცდილობდნენ, რომ საავადმყოფოში გადმოვეყვანეთ, მაგრამ ჩეკა არას გზით არა შვებოდა, რადგან დიდი ეჭვი ჰქონდა ჩემზე და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ მე ვიყავი ქვეყნის ამომგდები. მხოლოდ როცა მე განცხადება შევიტანე და ვსთხოვდი დაეკითხათ ჩემთვის (რადგან ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა და იძულებული ვიყავი საქმეზე ხელი ამეღო) და გამოვეყენებინეთ სახელმწიფოს სასარგებლოდ. სწრაფად დამიძახეს და მითხრეს რა გინდაო, მე უთხარი ზედა ხევსურეთში გაქცეულთა ამბავი და ურჩევდი, რომ მე გავეგზავნე იქ. სწორედ მაშინ მოხდა ჩემი დაკითხვაც და დავატყე კიდეც საქმეს, რომ ეჭვები ჭკუიდან ეცლებოდათ და ჩემი სიმართლე იმარჯვებდა. დაკითხვამ თითქმის ხუთს ექვს საათს გასტანა და მაშინ ჭკუაც საღი მქონდა და ფიქრიც და ხვთის წინაშე არც არაფერზე ვფიქრობდი ცუდს. ჩემს გამომძიებელს ვაჩვენე სისხლით სავსე ჭიქა, რის შემდეგაც თვითონ კამენდანტმა და გამომძიებელმა მომიყვანეს აქ.

ჩემი უბედურება სწორედ აქ დაიწყო. მიხაროდა აქ საერთოში ვიქნები მეთქი, მაგრამ პირველად სეკრეტში ჩამაგდეს სადაც ჩემთან ორი კიდევ სხვა იყო (ერთი დახვრიტეს). იქ კარგად ვგრძნობდი თავს. ერთი კვირის შემდეგ გადმომიყვანეს სადაც ეხლა ვარ. აქ ერთი ტყუილი გიჟი იჯდა, რომელსაც თითქმის დახვრეტა ჰქონდა გადაწყვეტილი. დიდი ოინბაზი და დიდი ჭკუის კაცი. შეუძლებელია მისი ქაღალდზე ახწერა და თუ მეღირსა გამოსვლა მაშინ გეტყვით. ის რუსეთში ჩეკისტად იყო და ზღვა ხალხი ჰყავდა დახვრეტილი, თითქმის ასი ათასი და სხვა. მთელი საავადმყოფო ამ ტყუილ გიჟს, ტყუილ კუტს, ტყუილ მუნჯს (მერე ენა აიდგა) ხელში ეჭირა. დიდი პროვოკატორი იყო და ყველა ერთი ერთმანეთს ახალა, ყველას აბეზღებდა და ყველას თავზარი დასცა და თვით ციხის ადმინისტრაცია შიშითა ძრწოდა მისგან. შენ წარმოიდგინე თვით ჩეკა და კომისარიატი პატარა ბავშვივით ათამაშა. ყველამ იცოდა, რომ იტყუებოდა, მაგრამ ვერაფერი უყვეს. დახვრეტა ჰქონდა გადაწყვეტილი ამ ტყუილ კუტს და ერთ მშვენიერ დღეს ჩეკაში წაიყვანეს (შენ წარმოიდგინე ეს ოინბაზი და კლიოზნიკი კაცი იმერელმა გააცურა ყინულზე და იმისთვის იყო ჩავარდნილი). ყველას გვეგონა დასახვრეტად წაიყვანეს, მე იმის ოთახში გადმომიყვანეს, სადაც ეხლა ვარ. ოთახი ცარიელია შენ აქ უნდა იყოვო. ის კი არადა მეორე დღეს მოიყვანეს და ჩემთან ჩასვეს ეს მყრალი კაცი. ჩემთვის აშკარა იყო, რომ მან სთხოვა ჩეკას ჩემთვის ყური ეგდო. სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი ტრაგედია. ბევრი ვიხტუნე, ყველას ვეხვეწებოდი, მაგრამ რას ვიზავდი აშკარა იყო, რომ უზიანოდ არ გამიშვებდა და მიუხედავად იმისა, რომ თავი მოვაბეზრე ჩეკასა და ციხის ადმინისტრაციას, ჩემი სუსტი და ხათრიანი ხასიათით, რადგან უმფროსმა მთხოვა დროებით ვყოფილიყავ და ეს ერთი მხრივ აქაურების ბრალიც არის გაჩერდი ნუ გაიხმაურებ თავსაო, ჩავრჩი მასთან და ოცი დღის განმავლობაში მჭამდა, მსვავდა, ფულს მიხარჯავდა, ძილისა და მოსვენების ნებას არ მაძლევდა ეს მშიერი და უპატრონო კაცი. სწორედ იმ ხანებში, მე ლაპისით და ხრომ კისლატით დამწვეს და ჯოჯოხეთური ტკივილები მქონდა, რომლის დროს ორ-სამ დღეში ერთხელ ვჭამდი, რა არის ფეხსალაგში ხშირად არ გავსულიყავი და მით ტკივილები შემემცირებინა. ძილი სრულებით არა მქონდა და მორფით მაძინებდნენ. აი ამ დროს ეს კაცი სწორედ განზრახ მღლიდა, მტანჯავდა, როგორც იუდა რის გამოც სულითაც დავეცი და გონებითაც. ერთ მშვენიერ დღეს ლაპარაკი მოგვივიდა იმაზე, რომ მან ქართველ კომუნისტებს (რასაც ხშირად შვებოდა ხოლმე) მენშევიკების აგენტები უწოდა და იმათი დაყენებული და მრავალი სხვა რასაც აქ არ ვამბობ. სწორედ მაშინ ვეღარ მოვითმინე და ერთი ლაზათიანად გამოვლანძღე, ის

იყო დავაპირე გატყეპა და ამ ღორის შვილმა ხელათ თავი მოიგიჟიანა. რაღას ვიზამდი ყველაფრით მჯობნიდა ეს ყოვლად გათახსირებული კაცი და ისევ მე დავუწყე დამშვიდება. შემეცოდა რას ვიზამდი ბავშვივით ტიროდა. არაფერი არ მახსოვს რაშია საქმე, არა გრცხვენიან ჭკვიანი გიჟსა და ავადმყოფს მცემო. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველდღე მაბეზღებდა, სწორედ ამ ამბის შემდეგ, მეორე დღეს საოცარი ამბავი ასტეხა, დააქცია იქაურობა. მიშველეთ გასუდარსტვენი ტაინუ ატკრილუ. მთელი ავადმყოფები და ციხის ადმინისტრაცია მოგროვდა. ყველამ იცოდა იმის ოინები. ადმინისტრაცია ჯერ ყურს არ უგდებდა, მაგრამ ყველას დაემუქრა ეხლავ მოვჭკვიანდები და ჩეკაში წავალო. მერე უთხრეს რა გინდაო. კანცელარიაში წამიყვანეთო, რას იზამდნენ წაიყვანეს და უშველებელი დანოსი გაგზავნა ჩემზე. როგორც მითხრეს აქ, არ მიუქცევიათ დიდი ყურადღება. მეორე დღეს ეს კაცი სწრაფად მორჩა, დაჭკვიანდა კიდეც (თუმცა მე კატეგორიულად მოვითხოვდი ჩემთან აღარ ჩაესვათ, დავიმუქრე სისხლი დაიქცევა მეთქი და მომაშორეს), კუტმა დამბლა ფეხი აიდგა და განაცხადა მოვრჩი გამწერეთო, წაიყვანეს. რა ილაპარაკა იქ ეშმაკმა იცის, იმის შემდეგ კამენდანტი ორჯერ მოვიდა, მივხვდი რომ მაგ საქმეზე იყო მოსული და როგორც ვიცი ადმინისტრაციას გამოელაპარაკა. ადმინისტრაციას მე დიდი აყალ-მაყალი აუტეხე, ეს რა მიყავით მეთქი და მოსვენებას არ ვაძლევდი. როცა ძალიან შევაწუხე, შევებრალე და მითხრეს, მაგისი ნუ გეშინია შენ ეს თქვი სხვა ხომ არავინ გცდიდაო (მათგან ორი ქართველი იყო ჩემთან პირველი დღიდანვე შემოჩენილი სურდათ ყინულზე დაცურება. მე მათ, ძალიან განზრახ დავუმეგობრდი და სული და გული გადაუშალე, შუა ღამისას ვითომ შიშით ჩემთან ჩუმად შემოდიოდნენ ხოლმე), მე უთხარი ეგ რუსი ჩეკისტი ვიცოდით ყველამ რაც იყო მეთქი და ბავშვი ხომ არ ვარ მეთქი. მაშ აბა შენთვის იყავიო, თითონ ჩვენც დაბეზღებული ვყავართო. ამის შემდეგ მივხვდი, რომ კამენდანტმა იმ ორ ქართველს დაჰკითხა და მათ უთხრეს (მგონი) ეგ კაცი ნაციონალისტია და ჩვენ უფრო არ გვენდობაო. ერთი სიტყვით, სწორედ იმის ხელში და შემდეგ ჭკუაც დავკარგე და ვაჟკაცობაც, რომ მაგისთანა ღორს რათ უთმენდი, როცა შემეძლო პირველი დღიდან ერთი ლაზათიანად მიმეტყიპა, რის შემდეგაც ალბათ მოვიშორებდი მას. სწორედ მაგის შემდეგ ჩეკამ მომიგონა, აბვინიტელნი ლისტიც მომიტანეს და ამ ბოლო დროს ხშირად მკითხულობენ, თუ გინდა საქმეს მალე მოვრჩეთ დამიწერე მოდიო. რაღაცა ძალიან დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მაგან ეგ ოინი მიყო, უნდა გავეშვი, რადგან საქმე მოთავებული იყო. ისინი მეტეხში გადაიყვანეს, ბევრი გაუშვეს და სხვა. მაგის შემდეგ ძალიან ავირიე. ძარღვები მთლიანად მომეშალა, რადგან კომენდანტმა მითხრა დაგხვრეტამთო. სწორედ იმ ხანებში კოლეგიაც უნდა შემდგარიყო. მე ანდერძის წერილი დავწერე თქვენთან და გამოგიგზავნეთ. ღრმათ დარწმუნებული ვიყავით, რომ უსათუოდ დამხვრეტდნენ მთელი საავადმყოფო თითონ მე. შევაძრწუნე და ბევრს გულები დაუხეთქე, ის ანდერძის წერილი თქვენ არ გადმოგცეს რადგანაც ეჭვში იყვნენ და საქმეს ჭკუით უცქერდნენ. მე მოვახერხე სპირიდონის ნახვა, რომელიც მთლად გადირია რო ვუთხარი მხვრეტენ მეთქი (თუმცა კი ძალიან უკვირდა სად შენ და სად ეგ საქმეო). ვერ მომენელებინა ის, რომ ჩემი საფლავი ვერ გეცოდინებათ და სწორედ მაშინ ორჭოფული მოხსენება გაეგზავნა მოვრიგდეთ მეთქი. რომლის თავიდან აშორება იმით შემიძლიან, რომ ერთის მხრივ მართლაც შენ რომ იცი იმაზე მოვრიგდები და მეორეს მხრივ გულ ახდილად გეტყვი მაშინ აფრაკათ გახლდით მეთქი. მე რო გწერდით შარებო ნუ მოდიხართ მეთქი, სწორედ მაშინ ვიცოდი, რომ ესე უსამართლოდ გამიყვანენ მეთქი, აქაც იცოდნენ (და კიდეც გაიყვანეს). ჩემი სურვილი იყო, მაშინ თავი მე თვითონ მომეკლა, მინდოდა, რომ მათი ხელით არ მომკვდარიყავი და ჩემით მომეკლა თავი, რათა აქედან თქვენ გაგეტანეთ. მე მოვახერხე იმ დროს სპირიდონთან კარგა ხნით საუბარი, გადაჭრით მოვთხოვე, რომ შხამი ეშოვათ ჩემთვის. მთლად გადაირია, კაცი საქმეს ჭკუით უცქეროდა და თან ჩემიც სჯეროდა, ბოლოს დამთანხმდა კარგი მოგცემო და კიდევ კარგი არ მომცა. მერე მე მოტყუებით შევედი, რვა პარაშოკი მორფი მოვაგროვე და როცა თქვენ გამოსამშვიდობებელი წერილი გამოგიგზავნეთ სწორედ იმ ღამეს დალევას ვაპირებდი, რადგან ჩემი ჭკუით ხათაბალას

მეორე დღეს მოველოდი. საიდანღაც გაიგეს, რომ მე მაგას ვაპირებდი და ოსტატურად ამტაცეს მორფი. მერე მე მთლად გადარეული პირდაპირ ჩაუხტი ციხის უმფროსს და გადაჭრით მოვითხოვე გამაგებინეთ ჩემი საქმე რაშია მეთქი. ტყუილად მსჯიან და თუ რამე გამიბედეს უსამართლოდ, როდესაც ცამდის მართალი ვარ მეთქი. მთელი ქართული საზოგადოება ალაპარაკდება მეთქი. ეხლავე მომეცით საშუალება, ჩემი გამომძიებელი ვნახო რას სჩადიან მეთქი. რას მივაწერო არ ვიცი და გამოელაპარაკნენ ტელეფონით, კერესელიძე დიდ პროტესტს აცხადებს. მათ შემომითვალეს დაწყნარდეს, მხოლოდ ეცადოს მალე მოვიდეს და საქმესაც მაშინ მოვათავებთო. მაშინ დავმშვიდდი და ეს იყო პირველი თებერვალი. სწორედ მაშინ სპირიდონი ვინახულე და ის იყო კიდეც მიდიოდა სამზღვარგარეთ, ვუთხარი საქმე ასეა მეთქი. ცოტათი დამშვიდდა, ცრემლიანი გამომეთხოვა და მითხრა, რომ იქ შენ ამბებს ყველაფერს გადავცემო. პირველადვე მან დარიგება მომცა, ეგრე რომ მოვქცეულიყავ მოლოდინს, კარგი იყო თუმცა მეც ეგრე მიმყავდა საქმე. მხოლოდ თავი და თავი ის ღორის შვილია, გიჟჭკვიანა, რომელმაც დავთრები ამირია.

ეს ორი კვირა არის რაც დილა-საღამო ნახევარ-ნახევარი საათი სეირნობის უფლება მომცეს. მას შემდგომ დავწყნარდი და ყველაფერი ფეხებზე მკიდია. რადგან ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარ. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ჩემი საქმე მოთავებულია და როგორც ვფიქრობ იმათ საქმიდანაც გამოყოფილი, რომელთაც არც ვიცნობ და არც არავითარი დამოკიდებულება ჩემს ცხოვრებაში არა მქონია გარდა რაღაც ოხერა ერბოსვაჭრობისა. ერთი კიდევ ის მაფიქრებს, რათ მიბარებენ ჩეკაში რა უნდათ. არ ვიცი იმ გიჟჭკვიანას საქმეზე მიბარებენ თუ ჩემ განცხადებაზე. თავს მოვირჩენ და ისე წავალ, ვნახოთ რა იქნება. თქვენი საქმეც მაკვირვებს. მპირდებოდით ოცდახუთშიო, ეს ოცდახუთიც გავიდა, ეგ არაფერი. არვიცი მიხამ რო გნახათ უკანასკნელად რა გითხრათ, სჭრის თუ არა ზაქარიას თავდებობა ან რა იმედები გაქვთ კი, თუ მე არაფერი არ ვიცი. ჩემთვის კი აუცილებელია, რომ ხშირად ვიცოდე ჩემი საქმის ვითარება, რადგან ძალიან დაღლილი ვარ, ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო. განთავისუფლებას მპირდებოდით და ისიც ვერ მოახერხეთ ჩემთვის სეკრეტები მოეხსნად, საერთოში გადავეყვანეთ და ნახვის ნება აგეღოთ. ერთი სიტყვით რაზე ეყრდნობით მაცნობეთ. მხოლოდ პერედატჩიკის საშუალებით აღარაფერი გამოაგზავნოთ, ეჭვი მაქვს. როცა მოიწეროთ ხოლმე, ჩემი სიმართლე ხოლმე და პატიოსნება არ დაგავიწყდეთ. იცოდეთ, რომ ცამდის მართალი ვარ და ჩემთვის პირდაპირ მოუხერხებელია ის რასაც მაბრალებენ, სად მე და სად ეგ ამბები. ვინც ეს მოგიტანოთ იმასვე გადმოეცით. კისელი და მაწონი არ დაგავიწყდეთ.

თქვენც დამნაშავე ხართ, როგორ მოგივიდათ რომ არაფერი მაცნობეთ თუკი რამეს აკეთებდით. მე ვახერხებდი მოწერას და თქვენ კი გეძინათ. მე სიგიჟეს მაბრალებთ რაც ცოტა ოდნავ მართალია და მიზეზიც მქონდა. თქვენ ხომ ჭკვიანად იყავით და ჩემზე მეტი საშუალება გქონდათ, რომ გეცნობებინათ რამე ჩემთვის. ეხლა გამაგებინეთ, შალვამ ხო ხელი არ აიღო და მიხა რას ამბობს. კიდევ რისი იმედი გაქვთ, ვინ გპირდებათ და რამდენათ დასაჯერებელია მაგათი სიტყვა. ზაქარია მიხას არ მოეშვას, მე ვეცდები თუ გავაფუჭე საქმე, ისევ გამოვასწორო. მგონია კი რომ მაინცა და მაინც ძალიან არა მაქვს გაფუჭებული საქმე. თუ შეგიძლიანთ შეიტყეთ ი გიჟის საქმე არსებობს თუ არა.

პასუხი უსათუოდ მომე.

რაც პერედატჩიკის საშუალებით მოგწეროთ არაფერი არ დაიჯეროთ. თქვენც ყასიდათ მსგავსი რამ შეადგინეთ და პერედატჩიკის ხელით გამოაგზავნეთ, თუ კითხულობენ წაიკითხონ კარგია. ისე კი აღარ ენდოთ ეჭვი მაქვს. როცა ეს ბარათი მიიღოთ სადილის წერილზე უსათუოდ ჯვარი დასვით, რომ ვიცოდე მიღება, თორე რა გავიგო. პერედატჩიკის ხელით ყასიდად თუ წერილს გამოაგზავნით კარგია.

ასლი დედანთან სწორია.

სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1923 წლის 19 თებერვალს პატიმარ იასონ კერესელიძის დახასიათება გადაუგზავნა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, ამხ. კვანტალიანს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისთვის გადასაგზავნად. აღნიშნული დახასიათება შემდეგნაირია:

სტილი დაცულია

იასონ მათეს ძე კერესელიძის მოკლე დახასიათება [20]

იასონ მათეს ძე კერესელიძემ სიყმაწვილიდანვე დაისახა მიზნად ხალხის სამსახური ყველა პოლიტიკური პარტიის გარეშე, თავისი პირადი ინიციატივით და პირადის შრომით. უნდა ითქვას ისიც, რომ ის ბოლომდის დარჩა უპარტიოდ.

არც ერთი მისი ნაბიჯი არ ეწინააღმდეგებოდა არცერთ რევოლუციონურ პარტიას, რომელიც კი მუშაობდა საქართველოში და პირიქით, ყველა პერიოდიულ გამოცემებში ხანგამოშვებით იბეჭდებოდა მისი ქება მის მოღვაწეობის გამო.

პირველ ყოვლისა მან დაისახა მიზნათ სოფლად წიგნების გავრცელება, რომ ხალხში გაევრცელებინა წერა-კითხვისა და წიგნიერებისადმი მიდრეკილება. ამ საქმეში მას ხელს უწყობდა თითქმის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება, როგორც ზნეობრივათ, ისე მატერიალურად, რადგანაც მას სცნობდნენ ყველანი, როგორც უმწიკვლო პიროვნებას, და მის მიერ დასახულ მიზანს მეტათ სასურველს. და მან, ი. კერესელიძემ, პირნათლად შეასრულა როგორც ხალხის სამსახური, ისე ქართველი საზოგადოების ნდობა.

თავისი მიზნის მისაღწევად მან რამდენჯერმე მოვლო საქართველოს თითქმის ყველა კუთხე ფეხით, ზურგზე წიგნებ წამოკიდებულმა, დაარიგა წიგნები პოპულარული გამოცემები, ბევრი მათგანი იყო გამოცემული თვით ი. კერესელიძის მიერ, მისივე ხარჯით, რაშიც არავითარი მოგება, ზარალის მეტი არა რჩებოდა.

შეაჩვია ხალხი წიგნს, შეისწავლა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების ზნე-ჩვეულებანი, მათი გასაჭირი და მოთხოვნილებანი და მათ საჭიროებაზე სხვა და სხვა მიმართულებით პერიოდულ გამოცემებში ბეჭდავდა წერილებს სხვადასხვა ფსევდონიმებით და ხან თავის სახელით.

უმეტესი მუშაობა მან გასწია სამუსულმანო საქართველოში, სადაც წერა-კითხვა ნაკლებ არის გავრცელებული. ძნელად მოიპოვება საქართველოში ისეთი მიყრუებული კუთხე, სადაც „იასონ მეწიგნე“-ს სახელი არ იცოდნენ და, თუ მისი სახელი ჰკითხეთ სოფლელს იმ საათში იტყვიან: „ნეტა სად დაიკარგა ჩვენი „გრძელი იასონი“ რა იქნა, რომ აქამდის წიგნები აღარ მოგვაწოდაო.“

როდესაც რომანოვების მთავრობამ გადასწყვიტა ქართლში მდებარე „ტირიფონის ველი“, რომლითაც იკვებებოდა თითქმის მთელი ქართლი, გადაექცია სამხედრო პოლიგონათ და ამ მიზნისთვის აპირებდნენ იქაური გლეხების აყრას და გადასახლებას, რაც მთელი ქართლის შიმშილით ამოწყვეტას ნიშნავდა, ერთმა პირველთაგანმა მან, ი. კერესელიძიემ აიმაღლა ხმა პრესის საშუალებით, არ მოერიდა არავითარ საშიშროებას, დაუარა მთელ სოფლელებს, დაარიგა ხალხი არ დამორჩილებოდნენ მთავრობის დადგენილებას და არასგზით არ გადასახლებულიყვნენ. ხალხიც მედგარი პროტესტით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ მათ ჰყავთ მომხრეები ქალაქში და მთავრობამაც გაუწია ანგარიში ხალხის შეუძვრელ გადაწყვეტილებას და თავის მიზანი ვეღარ აასრულა.

ამ ფაქტის შესახებ აუარებელი მასალა მოიპოვება ყველა პერიოდულ გამოცემაში 1913 თუ

20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 209-212.

1914 წწ., სადაც ი. კერესელიძის სახელი იხსენიება ხშირათ.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: ი. კერესელიძემ აჭარიდან ჩამოიყვანა რამდენიმე აჭარელი ბავშვი და მიაბარა თუ არ ვცდები ყაზბეგის სახელობის სასწავლებელში, იმ მიზნით, რომ ისინი სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდებოდნენ უკან აჭარაში და დაანახვებდნენ თაავიანთ მეზობლებს, რამდენათ სასარგებლოა სწავლა-განათლება და საქართველოს გულთან, თბილისთან, კავშირის დაჭერა.

მას მხოლოდ ომმა და მის მიერ გამოწვეულმა უზომო სიმძიმემ დროებით შეაჩერებინა თავისი მოღვაწეობა. ამ ხსნის განმავლობაში ის განიცდიდა სულიერს დაჩაგვრას, რომ შეძლება არა ჰქონოდა კვლავ ემსახურა ხალხისთვის.

ყოველივე ამას ის სჩადიოდა სულ უსასყიდლოთ. ყველამ კარგათ ვიცით, რამდენად საზარალოა საქართველოში წიგნების გამომცემლობა, ისიც ხალხური ლიტერატურა.

19 ოქტომბერს 1922 წლის ი. კერესელიძე იყო დაჭერილი ეჭვით და აქამდის იმყოფება „ზაკჩეკაში“ სასტიკ იზოლაციაში, თუმცა გამოძიება უკვე დამთავრდა და არავითარი საბუთი მის წინააღმდეგ არ აღმოჩენილა.

თვით ნახვის ნებართვას არ აძლევენ მის ოჯახობას და მიუხედავათ იმისა, რომ არაერთხელ მიჰმართა მისმა ცოლმა „ზაკჩეკას'' თხოვნით, არავითარი პასუხი თვით უარიც კი არ მიუღია.

ვ. კერესელიძე (ი. კერესელიძის ძმა)
12/II-23 წ.“

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[21]

კონტრდაზვერვის განყოფილება

კერესელიძე - კრუზენშტენსკის ქუჩა, ბინა 7, შუა სართული.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „1998“, შეტყობინება 23/VII.

კერესელიძის ნიშნები: მაღალი, 35 წლის, კარგი აღნაგობის, აქვს შავი მოკლე თმა, მოგრძო სახე, შავი წარბები, სწორი თხელი ცხვირი, წვერს იპარსავს, ატარებს ინგლისურ პატარა ულვაშს, აქვს მშვიდი სიარულის მანერა, არის ქართული ტიპაჟის, აცვია მოკლე კრაველის ქურქი, შავი გალიფე შარვალი, შავი ფეხსაცმელი, უკეთია ოფიცრის ბრტყელი ქამარი.

აგენტი 1998.

21 სს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 213-220.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 25/VII.

დადგენილია კავშირი კერესელიძესა და სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატის თანამშრომელ დავით ვასილის ძე ახმეტელს შორის, მცხოვრებ სამხედროს ქუჩა 6ბ-ში. 47 წლის, ქართველი, ვეტგანყოფილების გამგე.

აგენტი.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „N5“, შეტყობინება 28/VII.

ვიღაც თურქეთის წარმომადგენელი არჩევს აგენტებს ჯემალ-ფაშას მკვლელობაში მონაწილე პირთა მოსაძებნად, რისთვისაც გამოყოფილია საკმაოდ დიდი თანხა. ეს საქმე აიღო ვინმე კერესელიძემ კრუზენშტენსკის ქუჩიდან, გაქცეულ გენერალ ლეო კერესელიძის ძმამ. გენერალი კერესელიძე მეწშევიკების დროს ხელმძღვანელობდა თურქი სამხედრო ტყვეებისგან დაკომპლექტებულ თურქულ ლეგიონს. 1908 თუ 1909 წელს ამ უკანასკნელმა თავდასხმა განახორციელა ხაზინაზე, საიდანაც 150 ათასი წაიღო და ძმასთან (გოგი) ერთად შვეიცარიაში გაიქცა. კერესელიძემ დავალება მიიღო თურქისგან, რომელთანაც დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა და რომელიც კონსტანტინოპოლიდან თებერვალში ჩამოვიდა. მან ჩამოიტანა ლეო კერესელიძის წერილი ინფორმაციით, თითქოსდა ეს უკანასკნელი თებერვალში გაემგზავრა სპარსეთში როგორც სამხედრო საბჭოს წევრი. კერესელიძეს აქვს კავშირი ნარიკელაძესთან.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „1998“, შეტყობინება 29/VII.

დადგენილია კერესელიძის სტუმრობა მუზეინის (მუზეუმის იქნება) დასახ. N15-ში, სადაც მეორე სართულზე ცხოვრობს საფრანგეთის წარმომადგენელი წითელ ჯვარში პეტრე პავლეს ძე ჟამე, 31 წლის, საფრანგეთის ქვეშევრდომი, ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან, მასთან ერთად არის მისი მეუღლე ალექსანდრა გიორგის ასული.

აგენტი 1998.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), აგენტურული შეტყობინება, 10/VIII.

კრუზენშტენსკის ქ. N7-ში ცხოვრობენ: 1. ევგენი ოსიპის ძე კერესელიძე, რომელიც მუშაობს სახალხო საფინანსო კომისარიატში, მოხუცია, ძველი ბუღალტერი, 51-55 წლის. 2. იასონ მათეს ძე კერესელიძე - სახალხო სამეურნეო საბჭოს ექსპედიტორი. მაღალი, 35-40 წლის, გამხდარი, თხელი აღნაგობის, შავგვრემანი, აჩეჩილი თმით, გრძელი ულვაშით, წვერს იპარსავს, აქვს ჩავარდნილი თვალები, სწორი პატარა ცხვირი, აცვია შავი შარვალი და ფეხსაცმელი.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), შეტყობინება 31/VII, 05/IX, 06/IX.

კერესელიძის კავშირები: 1. მონუმენტის დასახ. 7/2, აფან ეფემის ძე ჩერნიცინი, ამიერკავკასიის რკინიგზის რევიზორი, 65 წლის. 2. დავიდოვსკის ქ. N38, რევაზ იასონის ძე ერისტოვი, 48 წლის,

გათავისუფლებულია სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან, ამჟამად უმუშევარია.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), შეტყობინება 09/IX.

კერესელიძის კავშირები: 1. ლევან ვასილის ძე ბალანჩივაძე, ოფიცერი, ცხოვრობს ვერის დაღმართზე. 2. მოსკოვის ქ. N26, ისიდორე ერმოლეს ძე ხვადაგიანი, 28 წლის, ირიცხება შრომის ბირჟაზე, ქართული არმიის ყოფილი ოფიცერი. 3. ვოზნესენსკის ქ. N9, სპირიდონ მალხაზის ძე კედია, 38 წლის, ყოფილი მენშევიკი, დააპატიმრა საქართველოს საგანგებო კომისიამ.

აგენტი 1998.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „1998“, შეტყობინება 11/IX.

დადგენილია კერესელიძის სტუმრობა ნარიკელაძისთან ღუბინსკის ქ. N42-ში.

აგენტი 1998.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), შეტყობინება 21/IX.

19 სექტემბერს შევხვდი კერესელიძეს, რომელმაც დეტალურად მომიყვა დუშეთის მაზრაში არსებულ მდგომარეობაზე, ჩოლოყაევის ბანდის ადგილმდებარეობაზე, რომ ჩოლოყაევი ბანდებთან არ არის, ბრაზობდა მფრინავებზე, რომ ისინი ისვრიან ბომბებს იმ ტერიტორიაზე, სადაც ბანდა იმყოფება, რომ სოფელ ნატახტარში მათ ჰყავთ თავიანთი ხალხი, რომლებიც ბანდას გადასცემენ ინფორმაციას წითელი დანაყოფების მოძრაობის შესახებ.

17 სექტემბერს კერესელიძე ზემოხსენებულ თურქთან ერთად დავინახე, რომელიც ჯემალ-ფაშას მკვლელობის შესახებ ინფორმაციის გარკვევითაა დაინტერესებული.

თურქის გარეგნული ნიშნებია: საშუალო სიმაღლის, წვერგაპარსული, პატარა ინგლისური ულვაშით, ატარებს პენსნეს, აცვია შავი სამოქალაქო კოსტიუმი, თავზე ახურავს შავი პატარა თურქული ფაფახი.

აგენტისთვის მიცემული 26 სექტემბრის დავალებიდან გამომდინარე, გარე თვალთვალის შედეგად დადგენილია კერესელიძის კავშირები შემდეგ პირებთან:

1. შეტყობინება 13/IX, სანდო პირი „2019“- ბაგრატ ბართლომეს ძე ბარკალაია, 19 თებერვლის ქუჩა, მუშაობს სახალხო საფინანსო კომისარიატში ექსპედიტორად.
2. შეტყობინება 13/IX, სანდო პირი „2019“- ალექსი კვალიაშვილი (კვალიევი), ყოფილი ოფიცერი, ცხოვრობს დავითის ეკლესიასთან ახლოს მდებარე სახლში, ჩაწერის გარეშე, ჩამოვიდა გორიდან

და აპირებს უკან დაბრუნებას.

3. შეტყობინება 13/IX, სანდო პირი „2019“- ალესპერ კასიმ ოღლი, ოლგას ქ. N12, სპარსეთის ქვეშევრდომი, 14 წელია ტიფლისში ცხოვრობს.

4. შეტყობინება 13/IX, სანდო პირი „2019“- მამედ ალი გაჯი აბას ოღლი, სპარსეთის ქვეშევრდომი, 12 წელია ტიფლისში ცხოვრობს.

5. შეტყობინება 14/IX, სანდო პირი „2019“- გრიგოლ იოსების ძე ჩხეიძე, ზუბალოვის ქ. N7, მუშაობს სახალხო სამეურნეო კომიტეტში.

6. შეტყობინება 14/IX, სანდო პირი „2019“ - იაკობ თომას ძე ეკალაძე-ცინცაძე, კაპიანოვსკის ქ. N11, N7 ვაჟთა სასწავლებლის პედაგოგი.

7. შეტყობინება 13/IX, სანდო პირი „2019“- ვლადიმერ გრიგოლის ძე მარდანოვი, თეატრალურის ქ. N16, არსად არ მსახურობს.

8. შეტყობინება 14/IX, სანდო პირი „2019“ - ილია სიმონის ძე აგლაძე, ბროსეს ქ. N11, მუშაობს იუსტიციის სახალხო კომისარიატში.

9. შეტყობინება 14/IX, სანდო პირი „2019“ - ვარლამ და სიმონ ივანეს ძე კოცეტაძეები , არტილერიის ქ. N15. მუშაობენ გოლოვინის ქუჩაზე, N724 საკონდიტრო მაღაზიაში.

10. შეტყობინება 15/IX, სანდო პირი „2019“ - ვლადიმერ ივანეს ძე პესტოვი, განოვსკის ქ. N17, მსახურობს საარტილერიო სამმართველოში.

11. შეტყობინება 16/IX, სანდო პირი „2019“ - გიორგი სტეფანეს ძე ტერ-ისრაელიანცი, კადეტთა დასახლ. N4, არის გეორგიევსკის ქ. N4-ში მდებარე წიგნის მაღაზიის მფლობელი.

12. შეტყობინება 16/IX, სანდო პირი „2019“ - გოლოვინის პროსპექტზე კერესელიძე შეხვდა ნარიკელაძეს.

აგენტისთვის მიცემული 26 სექტემბრის დავალებიდან გამომდინარე, გარე თვალთვალის შედეგად დადგენილია კერესელიძის კავშირები შემდეგ პირებთან:

1. შეტყობინება 21/IX, სანდო პირი „2019“- ირაკლი ილიას ძე ტატიშვილი, ცხინვალის ქ. N22, მუშაობს სახალხო სამხედრო კომისარიატში საქმისმწარმოებლად.

2. შეტყობინება 19/IX, სანდო პირი „2019“- დავით გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, კნეინა ჭავჭავაძის ძმა, საცხოვრებელი მისამართი უცნობია.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), შეტყობინება 23/IX.

საქართველოს საგანგებო კომისიის ცნობა, რომ ბალანჩივაძეზე (კერესელიძის გამო მის მიმართ ხორციელდება თვალთვალი) საქმე იყო წარმოებაში ბომბებისა და იარაღის შენახვის

ბრალდებით და სპირიდონ მიხეილის ძე კედია (კერესელიძის გამო მის მიმართ ხორციელდება თვალთვალი) არის პატიმრობაში კონტრრევოლუციური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, არის ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წარმომადგენელი.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „2170“, შეტყობინება 23/IX.

ლევან ვასილის ძე ბალანჩივაძე (დადგენილია მისი კავშირი კერესელიძესთან), ცხოვრობს ვერის დაღმართზე, N19 ბინაში, მსახურობდა მენშევიკურ გვარდიაში ჯარისკაცად, თბილისშია 1904 წლიდან, აქვს გასტრონომიული მაღაზია ოლგას ქ. N12-ში.

ისიდორე ეფრემის ძე ხვადაგიანი, ცხოვრობს მოსკოვის ქ. N26-ში, არსად არ მსახურობს, უმუშევარია, ადრე იყო საქბრიგადის საწყობის მეთვალყურის თანაშემწე, ადგილობრივია, არის ყოფილი ქვეითი ოფიცერი, 28 წლის.

დადგენილია კერესელიძის კავშირები შემდეგ პირებთან:

1. შეტყობინება 23/09, სანდო პირი „2019“- იოსებ ბადრიაშვილი, 77 წლის, ფოსტა-ტელეგრაფის მომარაგების გამგე.
2. შეტყობინება 19/09, სანდო პირი „2019“- 13 სექტემბერს კერესელიძე ესტუმრა ოლგას ქ.N30-ში მდებარე N227 დუქანს, რა დროსაც დუქნის მფლობელმა კერესელიძის შესვლისთანავე დახურა დარაბები. კერესელიძემ შესვლისთანავე დაიწყო დუქანში მყოფთა ფრთხილად თვალიერება:
    1. მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი - არის კოოპერატივის თავმჯდომარე, ცხოვრობს ვერის დაღმართზე, N21 ბინაში, ასევე მუშაობს საგარეო ვაჭრობის სამინისტროში.
    2. ნიკოლოზ ანდრიას ძე კაიშაური, ცხოვრობს კობის ქ. N1-ში, მუშაობს კოოპერატივში ხაზინადარად.
    3. ალექსანდრე მოსეს ძე სანგულაშვილი, ცხოვრობს ცხინვალის ქ. N15-ში, არის კოოპერატივის მმართველობის წევრი, ადგილობრივი, 40 წლის.
    4. გრიგოლი ნიკოლოზის ძე ზაუტაშვილი, ცხოვრობს გუბინსკის ქ. N6-ში, დუქნის გამგე, ადგილობრივი, 23 წლის.
    5. ლეონ ლუარსაბის ძე ჩუბანიშვილი, ცხოვრობს ისმაილოვის ჩიხი N4-ში, მოურავი, ადგილობრივი მკვიდრი.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 29/X.

არჩილ დავითის ძე გერასიმოშვილი, ქართულ გაერთიანებულ სკოლაში არ ირიცხება.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 31/X.

დადგენილია კერესელიძის კავშირი ვლადიმერ გრიგოლის ძე მარდანოვთან, რომელიც ცხოვრობს თეატრალური ქ. N16-ში, აზნაური, 1918 წლიდან იყო სამრეწველო-სავაჭრო კავშირში. ამ მომენტისთვის ეწევა სპეკულაციას, ხშირად დადის კახეთში, სადაც აქვს მამული.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 01/XI.

იასონ კერესელიძის ძმა, ვახტანგ კერესელიძე ეჭვობს, რომ იგი დაპატიმრებულია ხევსურებსა და ჩოლოყაევთან კავშირის გამო.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „РО“, შეტყობინება 02/XI.

დადგენილია იასონ კერესელიძის კავშირი ალექსი სოლომონის ძე კვალიაშვილთან, რომელიც არის 35 წლის, გორის მაზრიდან, აზნაური, იყო ბელგიაში 1907 წელს, დაამთავრა ოდესის სამხედრო სასწავლებელი, უთანაგრძნობს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. მისი მისამართია - გრიბოედოვის ქ. N31, მსახურობდა ქართულ არტილერიაში.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 02/XI.

დეკანოზოვი ამბობდა, რომ ალექსი სოლომონის ძე კვალიაშვილი ჩამოვიდა ოდესიდან.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), შეტყობინება 02/XI.

დადგენილია კერესელიძის კავშირი ილია სიმონის ძე აგლაძესთან, რომელიც არის სოციალ-ფედერალისტი, მუშაობს თარჯიმნად საკანონმდებლო ორგანოში. სავარაუდოდ, ბროსეს ქ. N11-ში ცხოვრობს, პარტიაშია 1904 წლიდან.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 02/XI.

ოლგას ქ. N28-ში მდებარე კოოპერატივში მომუშავე ჯავახიშვილს (დადგენილია მისი კავშირი კერესელიძესთან) აქვს პოლიტიკური კავშირები ნარიკელაძესთან.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 03/XI.

გიორგი დავითის ძე გერასიმოშვილი სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რეზერვში არ ირიცხება.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), შეტყობინება 04/XI.

დადგენილია კერესელიძის კავშირი გრიგოლ ისიდორეს ძე ჩხეიძესთან, რომელიც მსახურობს სახალხო სამეურნეო უმაღლეს საბჭოში, იხრება მენშევიკებისკენ, ცხოვრობს ზუბალოვის ქ. N7-ში.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), შეტყობინება 13/XI.

დადგენილია კერესელიძის კავშირი ნიკოლოზ კაიშაურთან. იგი აყვანილია აღრიცხვაზე, როგორც ერვონულ-დემოკრატი.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 14/XI.

კერესელიძესთან კავშირში მყოფ - ლევან ბალანჩივაძეს, ისიდორე ხვადაგიანს და რევაზ ერისტოვს ასევე აქვთ პოლიტიკური კავშირები ნარიკელაძესთან. ბალანჩივაძე არის შოვინისტი, უკმაყოფილოა კომუნისტური წყობილებით. ხვადაგიანი - ყოფილი ოფიცერი, პარტიული მუშაკი (მენშევიკი). რევაზ ერისტოვი - მენშევიკი, ყოფილი აქტივისტი.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 21/XI.

ჯავახიშვილი მანამდე მსახურობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში - ხაზინადარად.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „66“, შეტყობინება 14/XII.

კერესელიძესთან კავშირში მყოფი ჯავახიშვილი, რომელიც მუშაობს ოლგას ქ. N30-ში მდებარე კოოპერატივში, ფსიქიატრიული საავადმყოფოდან (რომელიც მდებარეობს ტრამვაის ქ. N1-ში) გადმოვიდა იმიტომ, რომ ჰქონოდა კავშირი ნარიკელაძესთან (პირადი შეტყობინება).

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 14/XII.

ვერის დასახლებაში, სასაფლაოსთან მცხოვრები გიორგი და არჩილ დავითის ძე გარსიაშვილები (დადგენილია ინფორმაცია კერესელიძის დაპატიმრებამდე მათ სახლში მისი სტუმრობისა და შეკრებების შესახებ). პირველი მათგანი მსახურობს საქმისმწარმოებლად, მეორე - ქართული დივიზიის მომარაგების ნაწილში.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 18/XII.

18 დეკემბერს, ნარიკელაძესთან შეხვედრისას ეს უკანასკნელი ამბობდა, რომ კერესელიძის დაპატიმრებამდე იგი ჯავახოვთან კავშირს სწორედ კერესელიძის მეშვეობით ამყარებდა.

ГРУЗЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 19/XII.

კერესელიძესთან კავშირში მყოფი ალექსი სოლომონის ძე კვალიაშვილი ცხოვრობს ზავედოვის და ფოთის ქუჩის კუთხეში N3/6, ნათესავის ბინაში. ყოფილი არტილერიის ოფიცერია, იყო ქართული გაერთიანებული სკოლის ინსტრუქტორი. ზემოთ მითითებულ სახლში ცხოვრობდა მაისის ჩათვლით, როდესაც კურსების შემდგომ მივლინებულ იქნა ბათუმში. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ალექსანდრე დიმიტრის ძე დეკანოზოვი არის მისი მამობილი, რომელიც ცხოვრობს ოჯახთან ერთად დავითის ქუჩაზე.

აგენტურული ცნობები (ამონარიდები)

N27755/996 ***ასლი***

კონტრდაზვერვის I განყოფილება

აგენტურული შეტყობინება[22]

გაერთიანება „მწყემსის“ თანამშრომლები, ნიკოლოზის ქ. N22.

N	სახელი, გვარი	თანამდებობა	კატეგორია	მისამართი
1	რატიშვილი ვლადიმერი	მდივანი	14	მესანგრის დასახ. N3
2	ცისკარიშვილი ეკატერინე	[...]	7	მეჭევის ქ. N23
3	ზახაროვა ირინა	დამლაგებელი	3	ნიკოლოზის ქ. N22
4	ბალახაძე ნიკოლოზი	კურიერი	2	ალექსანდროვკის ქ. N50
5	ყავრიშვილი ალექსანდრე	განსაკუთრებული ცხვრის ჯიშის აგენტი	9	ჩერქეზოვსკის ქ. N14
6	კალანდარიშვილი სიმონი	მთავარი ბუღალტერი	არ არის კატეგორიაში	ბელინსკის ქ. N1
7	ჟორდანია ვახტანგი	მთ. ბუღალტრის დამხმარე	14	კობის ჩიხი N8
8	ცინცაძე ილია	ბუღალტერი	12	ნიკოლოზის ქ. N73
9	სოკოლოვა ქეთევანი	მოანგარიშე	10	პეზროვსკის ქ. N13
10	ყავრიშვილი შალვა	მოლარე	11	მეჭევის ქ. N23

22 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 228.

11	გასმანი ელისაბედი	კანტორის მოსამსახურე	7	გუდოვიჩის ქ. N14
12	პაიჭაძე იოსებ	იურისტ-კონსულტანტი	არ არის კატეგორიაში	ალექსანდროვკის ქ. N21
13	ხოსიტაშვილი ვლადიმერი	პატარა საცავის გამგე	11	გუბინსკის ქ. N50
14	ყავრიშვილი გიორგი	ინსტრუქტორი	არ არის კატეგორიაში	სასამართლოს ქ. N10
15	მძინარიშვილი ვლადიმერი	დიდი საცავის გამგე	15	ელიზავეტინსკაიას ქ.N190
16	ამირეჯიბი გიორგი	საცავის გამგის თანაშემწე	11	მატინოვსკის ქ. N6
17	კირთაძე დიმიტრი	მატყლის დახარისხების სპეციალისტი	6	მიხაილოვის ქ. N183
18	ყვავილაშვილი მიხეილი	მუშა	6	კრასნოგორსკის ქ. N16
19	გრილბორცერი მინა	მუშა	4	გერმანსკის მოედანი (დიდუბე)
20	გრილბორცერი მარია	მუშა	4	გერმანსკის ქ. (დიდუბე)
21	პაპაშვილი არჩილი	მუშა	2	
22	თურქესტანიშვილი სოლომონი	დარაჯი	4	ელიზავეტინსკაიას ქ. N190
23	გათიკაშვილი მოსე	დარაჯი	4	სოხუმის ქ. N28
24	არხაშაშვილი დავითი	მეეტლე	4	19 თებერვლის ქ. N28

4/I-23 წ. თანამშრომლები N4, 20/ნ.

ასლი დედანთან სწორია

დაზვერვის სამსახურის მდივანი.

სანდრო პირი: „გიორგაძე“, შეტყობინება 28/I-1923 წ. [23]

ფორმით აღჭურვასთან დაკავშირებით ანდრონიკაშვილისგან გამოგზავნილმა პირმა თქვა, რომ ეს აღჭურვილობა მოდიოდა გაერთიანება „ცეკავშირიდან“, კერესელიძის ძალისხმევით. ამირეჯიბის მონათხრობიდან ვიცი, რომ კერესელიძის დაპატიმრების მომენტში მის ბინაში იყო ეროვნულ-დემოკრატების პარტიის წევრთა შეკრება, მაგრამ რატომღაც ვიღაცის გაფრთხილებით თუ აგენტების დაუდევრობით მათ შეძლეს უკანა კარიდან გასვლა.

ასლი დედანთან სწორია.

23 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 230.

სანდო პირი: „გიორგაძე“, შეტყობინება 28/I-1923 წ. [24]

28-ში როსტომ ამირეჯიბი ვნახე. როდესაც საუბარი შეეხო კერესელიძეს, მან თქვა, რომ ეს უკანასკნელი სულ თავიდანვე მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატებთან, კონკრეტულად მან მიუთითა, აღჭურვილობის გაგზავნა ანდრონიკოვისა და კერესელიძისგან რომ მოდიოდა.

ასლი დედანთან სწორია.

შეტყობინება 24/II-1923 წ. [25]

იასონ კერესელიძე აქტიურად მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატთა პარტიაში. ეროვნულ-დემოკრატთა ცეკაში შედიან: ჯავახიშვილი, კეცხოველი, კაიშაური და სონღულაშვილი.

კლიმიაშვილი მუშაობს მე-12 რაიონში

ასლი დედანთან სწორია.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 27/II-1923 წ.: [26]

ეროვნულ-დემოკრატებში მეამბოხეთა მუშაობისა და ამ პარტიის საქმიანობის შესახებ არაფერი ვიცი. ეროვნულ-დემოკრატებიდან იასონ ჯავახიშვილს და კერესელიძეს ვიცნობ.

ასლი დედანთან სწორია.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 3/III-1923 წ.: [27]

1921 წელს კერესელიძემ და კიდევ ერთმა, ჩემთვის უცნობმა პირმა ეროვნულ-დემოკრატებიდან (არც ისე მაღალი, ჟღალი წვერით, 30-35 წლის, ლითონის ბრჭყვიალა ღილებიანი სამხედრო პალტოთი და ქუდით) ასევე დაადასტურეს, რომ მუსხელოვი ინფორმაციას აწვდის ეროვნულ-დემოკრატთა ცეკას.

ნარიკელაძე.

ასლი დედანთან სწორია.

24 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 231.
25 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 232.
26 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 233.
27 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 234.

ამონარიდი სანდო პირის მოხსნებიდან, შეტყობინება 20/III-23 წ.: [28]

გამასწორებელი სახლის პატიმარი, მწერალი იასონ კერესელიძე აქედან გადაიყვანეს 8-9 მარტს. გადაყვანამდე მას, ასევე პატიმარ რუბენ მანიკოვის ხელით, სურდა ვიღაცისთვის გადაეცა გაზეთში გადახვეული წერილი. გადაცემა ვერ მოხერხდა, მან წერილი დახია და გადაყარა სანაგვეში. მოხდა წერილის ამოღება და მისი განახლება, რომელიც შემდგომ გადაეცა ციხის უფროსის მოადგილე ციციანოვს, მას კი უნდა გადაეგზავნა ЧКГ-თვის. ამის გარდა, კერესელიძეს სურდა პროდუქტების კალათის გადაცემა, რომელშიც იდო გაზეთი. საგაზეთო სტატიის ხაზებს შორის რაღაც ეწერა ქართულად.

ამის მოწმენი იყვნენ: ადგილობრივი კომიტეტის მდივანი სტეფანოვი და საქ. კომუნისტური პარტიის წევრი ლევან გრიქუროვი.

საინფორმაციო განყოფილების უფროსი.

20/III-23 წ.

ასლი დედანთან სწორია.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან (თარიღი უცნობია): [29]

კერესელიძესთან საუბრისას, რომელიც ეროვნულ-დემოკრატებთან ინფორმაციის გადაცემის მიზნით (1922 წლის ზაფხულში) შედგა, გავიგე, რომ პარიტეტული კომიტეტის მიერ დაფუძნებული ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაცია დაიშალა. მიუხედავად ამისა, მათ ჰყავთ შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობს ბანდიტურ მოქმედებებს (ის, თავის მხრივ, იშვიათად აკრიტიკებდა მენშევიკებისა და ფედერალისტების პოზიციას ბანდიტურ საკითხებთან დაკავშირებით, თვითონ, როგორც ჩანს, მუშაობდა ბანდიტებთან და „შტაბთან“.

ასლი დედანთან სწორია.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს მოგილევკის[30]

იასონ კერესელიძის

განცხადება

არც ისე დიდი ხნის წინ მე გამიკეთეს ოპერაცია, ყოველ დღე მჭირდება ექიმების მეთვალყურეობა, ჭრილობის შეხვევა დილაობით და სხვადასხვა მალამოები. უფლება მაქვს ვჭამო მხოლოდ ბულიონი, ორცხობილა და დავლიო რძე. შეიძლება გამეხსნას ჭრილობა და სისხლი მომეწამლოს. ძალიან გთხოვთ, დამრთოთ პირადად თქვენთან შეხვედრის უფლება.

იასონ კერესელიძე.

16/IV-23 წ.

28 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 236.
29 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 237.
30 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 238.

ამხ. აშუკინს


იასონ კერესელიძის

განცხადება

გთხოვთ, გამომიძახოთ სწორი ჩვენების მისაცემად, ასევე დამრთეთ ნება, შევხვდე ი. ნარიკე-ლაძეს.

21/IV-1923

იასონ კერესელიძე.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 239.

ამონარიდი სანდო პირის, „K"-ს მოხსნებიდან, შეტყობინება 18/IV-1923წ.: [31]

ბევრი ამბობდა, რომ იასონ კერესელიძემ ხელწერილი დაუდო "ჩეკას", ინტერპარტიული კომიტეტის წევრების ადგილსამყოფლის შეტყობინების შესახებ და რომ იგი ამ ხელწერილის შეუსრულებლობის გამო არის დაპატიმრებული. სარწმუნო ცნობით, იასონ კერესელიძე ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრი იყო. ეს მესაბიშვილის სიტყვებია.

სწორია: **ზალპეტერი**.

31 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 240.

1923 წლის 14 აპრილს შედგა დადგენილება დაპატიმრების შესახებ:


დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა[32]

1923 წლის 14 აპრილს მე, კონტრდაზვერვის პირველი განყოფილების უფროსის თანაშემწე ზალპეტერმა განვიხილე ბრალდებულ იასონ კერესელიძის მიმართ აღძრულ საქმეში არსებული ბრალდების მასალები და მიმაჩნია, რომ აუცილებელია მისი პატიმრობა და ЗАКЧЕКА-ს ციხეში მისი ყოფნა.

პირველი განყოფილების უფროსის თანაშემწე: **ზალპეტერი.**

თანხმა ვარ: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი: **აშუკინი.**

ვამტკიცებ: ЗАКЧЕКА -ს თავმჯდომარის მოადგილე: **პანკრატოვი.**


ПОСТАНОВЛЕНИЕ

1923 года "14" апреля Я пом.Нач.I Отделения КРО ЗАКЧК ЗАМПОЛИТР рассмотрев обвинительный материал в отношении задержанного гр-на КЕРЕСЕЛИДЗЕ Ясона Матвеевича НАШЕЛ необходимым такового арестовать и заключить под стражу при внутренней тюрьме ЗАКЧК.

Справка: Дело находится в 1 отд КРО

ПОМ.НАЧ I ОТДЕЛЕНИЯ

СОГЛАСЕН : НАЧ КРО

УТВЕРЖДАЮ : ЗАМПРЕДЗАКЧК

241

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 241.

32 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 241.

1923 წლის 14 აპრილს იასონ კერესელიძეზე შედგა პატიმრის ახალი ფურცელი და ანკეტა N213.

რსფსრ

XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N213

გვარი, სახელი, მამის სახელი	კერესელიძე იასონ მათეს ძე.
მისამართი	კრუზენშტენსკის ქ. N7.
ასაკი	31 წლის.
განათლება	საშინაო.
პროფესია	წიგნის გამომცემელი.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	ამხანაგობა „მწყემსში“, 2 თვის განმავლობაში.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	ქართველ მწერალთა გაერთიანების წევრი.
რა საშუალებით ცხოვრობს	სამსახურებრივი ანაზღაურებით.
ოჯახური მდგომარეობა	ჰყავს.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	ЗАКЧЕКА-ს მიერ.
რის საფუძველზე	არვიცი.

ხელმოწერა: **იასონ კერესელიძე**.

გარეგნული ნიშნები: მაღალი.

242

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный Лист № 213

„ ” 14-IV 1923 г.

Фамилия Кереселидзе Имя и отчество Ясонъ Матвеевичъ

Адрес: Кругъ-интересный № 7

Возраст 34

Образование Домашнее

Профессия Книгоиздательство

Где работает и долго ли Общество Книгоиздательство 9 мес.

Партийность безпартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли Общество грузинскихъ писателей

На какия средства живет Случайно

Имеет ли семью Имеетъ

Кем арестован заложно

На каком основании Подозр-е

Подпись: Ясонъ Кереселидзе

Приметы: Высокаго роста.

Сдал: Принял

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 242.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N213</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	კერესელიძე
2) ***სახელი, მამის სახელი***	იასონ მათეს ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	თბილისის გუბერნია.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	30 წლის, 1892 წლის 18 ნოემბერი.
7) ***განათლება***	საშინაო
8) ***ოჯახი***	***მეულლე:*** მარიამ სიმონის ასული, 30 წლის, დიასახლისი, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.
	შვილები: ვახტანგი, 7 წლის, მცხ. კრუზენშტეინსკის ქუჩაზე. მზე -3 წლის, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.
	ცოლისდა: თამარი, 16 წლის, დიასახლისი, მცხ. კრუზენშტეინსკის ქ. N-7-ში.

9) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი*	
10) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი*	
11) *პარტიულობა*	უპარტიო.
12) *პროფესია*	წიგნის გამომცემელი.
13) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) წიგნის გამომცემელი.
14) *წოდება*	
15) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	
16) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	
17) *ნასამართლობა*	
18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაწუნებულია სამხედრო სამსახურისთვის.
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	1922 წლის 19 ოქტომბერს
20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	

21) ***სად მოხდა დაპატიმრება***	თბილისში
22) ***ვის მიერ იყო დაკითხული პირველად***	ГРУЗЧЕКА-ს და ЗАКЧЕКА-ს მიერ
23) ***იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს***	ხევსურებთან კავშირი
24) ***საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე***	თბილისი, კრუზენშტეინსკის ქ. N-7.

პატიმრის ხელმოწერა: **იასონ კერესელიძე.**

1923 წ.

მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)

25) ***პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება***	
26) ***ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N***	
27) ***პატიმრის ნიშნები***	

XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:

Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии.

АНКЕТА № 213. 243

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
1-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Кереселидзе
2) Имя и отчество	Иосиф Матвеевич
3) Гражданин(ка) какого государства	Грузин
4) Место приписки	Губ.: Тифлис уезд вол.: село город Тифлис
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	лет, родился в 1897 месяца 19 года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) Домашнее б) окончил — школу в) прошел — класс курс школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1	Мария	31	Тифлис	
2	Вахтанг	7		
3	Изе	3		
4	Тамара	1 1/2		
5				

9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1			
2			
3			
4			
5			

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Военное звание, род оружия или спец. в Красн. Ар.	Место службы
1			
2			
3			
4			
5			

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 243.

244

11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какого времени	а) состою членом партии б) месяца 19 года
12) Профессия	
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1-ш 1917 г.; б) с 1-ш 1917 г. по день ареста	НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ — ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ а) Издавил книги б)
14) Если состоял на госуд. службе, то в как и чине	
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	
17) Привлекался ли к ответственности по суду или в адмии. порядке	
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) Ополчение б) Жил не тогда 19 октября
19) Когда арестован	месяц 19 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	
21) Где арестован: а) губер., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в гостях, на собрании, в поезде и проч.	а) В тюрьме б) Аресту-ли и заключен
22) Когда и кем допрошен в первый раз	
23) Предъявлено-ли обвинение при допросе и в чем именно	Отношение к контрреволюционной
24) Место жительства перед арестом	

Подпись заключенного

« » 19 года

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдел XI Армии

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем) четко, разборчиво, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок

ცსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 243.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 13/IV-1923 წ.: [33]

1922 წლის მაისსა თუ 1922 წლის დასაწყისში, ჩემს ბინაში მოსულმა ეროვნულ-დემოკრატმა იასონ კერესელიძემ განმიცხადა, რომ მას აქვს გარკვეული კავშირები თურქებთან და თუ მათ გადავცემდი ინფორმაციას, რომელსაც ვფლობდი, კარგად გადამიხდიდნენ. ამაზე ვუპასუხე, რომ მე ვემსახურებოდი მხოლოდ ქართულ საქმეს და უარი განვუცხადე შემოთავაზებაზე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი მ. ჯავახოვის ჩვენებიდან 16/IV-1923 წ.: [34]

იასონ კერესელძის შესახებ მოგახსენებთ:

იგი იყო იასონ ჯავახოვის დავალებით მეკავშირე, ამის გარდა მე მის შესახებ არაფერი არ ვიცი.

მ. ჯავახოვი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 17/IV-1923 წ.: [35]

ჯემალ-ფაშას მკვლელობიდან ორი თვის შემდეგ იასონ კერესელიძემ მომმართა თხოვნით მიმესწავლებინა პირი, რომელსაც შეეძლო გაერკვია, ვინ ჩაიდინა ჯემალ-ფაშას მკვლელობა თბილისში. ამბობდა, რომ ეს დავალება მან მიიღო ვიღაც თურქისგან და ამ დავალების შესრულებაში მას გადაუხდიდნენ. ამბობდა, თურქი ეჭვობს, რომ მკვლელობა ჩადენილია ან საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლების ან დაშნაკების მიერ. მე მას ვურჩიე მესხი, რომელსაც ასევე მივეცი კერესელიძის მისამართი. საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი.**

იასონ კერესელიძის ჩვენება 17/IV-1923 წ.: [36]

თბილისში ცხოვრობდა თუ გავლით იმყოფებოდა თურქი სულეიმანი, ჩემი ძმის, ლეო კერესელიძის ყოფილი მცველი. ჩემმა ძმამ, გენერალმა ლეომ გახადა იგი ოფიცერი. წარმოშობით ლეკი გახლავთ. 1921 წელს სულეიმანი გოლოვინის პროსპექტზე შემხვდა. საუბრისას მან მითხრა, რომ ქართველები, მისი აზრით, არაფერში ვარგიან, აი, სომხებს კი კარგად მიჰყავთ საქმეო. ამის შემდეგ სულეიმანმა მთხოვა მენახა ადამიანი, რომელიც თურქეთის ხელისუფლებას ინფორმაციით მოამარაგებდა. ვიცოდი რა, რომ ნარიკელაძე კონტრდაზვერვით საქმიანობას ეწეოდა, მასთან წავედი

33 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 247.
34 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 245.
35 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 246.
36 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 269.

და სულეიმანის ნათქვამი მოვახსენე. ნარიკელაძემ სასტიკი უარი თქვა თურქებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, მითხრა, რომ ეს ბინძური საქმე იყო. შემდეგი შეხვედრისას სულეიმანს ვუთხარი, რომ ის ბინძურ საქმეს ემსახურებოდა. ჯემალ-ფაშას მკვლელობის შემდეგ მალევე შემხვდა სულეიმანი და მკითხა, ხომ არ ვიცოდი, ვინ მოკლა ჯემალ-ფაშა, რაზეც ვუპასუხე, რომ დადიოდა ხმები, თითქოსდა იგი დაშნაკებმა მოკლეს. სულეიმანმა მთხოვა გამეგო ჯემალ-ფაშას მკვლელის ვინაობა, თან დასძინა, რომ მკვლელის მოსაძებნად თურქეთის ხელისუფლებას საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა გამოყოფილი და ამით კარგად სარგებლობა შეიძლებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ წავედი ნარიკელაძის ბინაში, მოვუყევი მას ამ შემოთავაზების შესახებ და დახმარება ვთხოვე. ნარიკელაძესთან საუბრის შემდეგ რამდენიმე დღეში ჩემთან მოვიდა მესხიშვილი, რომელმაც მითხრა, რომ ნარიკელაძისგან იყო გამოგზავნილი. მან მთხოვა მიმესწავლებინა ის თურქი, რომელიც ჯემალ-ფაშას მკვლელს ეძებდა. ვუთხარი, რომ თურქი არ ჩანდა. ამით ეს საქმე დასრულდა. ჯემალ-ფაშას დაკრძალვაზე ვიყავი, მაგრამ ვისთან ერთად, არ მახსოვს. ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრის, იასონ ჯავახოვის დავალებებს მე არ ვასრულებდი. ეროვნულ-დემოკრატებთან არ ვმუშაობდი.

დაკითხვის ოქმი დაწერილია ჩემი სიტყვებით. ვადასტურებ მის სისწორეს და ვაწერ ხელს: **იასონ კერესელიძე.**

დაკითხა: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**

ასლი დედანთან სწორია.

სტილი დაცულია

იასონ კერესელიძის ჩვენება 23/IV-1923 წ.: [37]

პროფესიით წიგნების გამომცემელი ვარ, ნიკოლოზის დროს ერთ პატიოსან მუშაკათ ვითვლებოდი ქართველთა შორის და ყოველივე ეს ხომ თქვენც კარგად იცით. რაც შეეხება ჩემს პარტიებში მუშაობას, არამგონია საქართველოში აღმოჩნდეს იმისთანა კაცი, რომელმაც სთქვას, რომ მე ოდესმე პარტიებში მიმუშავია. ამას ვამბობ, არა იმიტომ რომ ჩემი სურვილია დავფარო ჩემი პარტიულობა, არამედ იმიტომ, რომ სრულიად გულწრფელად მსურს ვაღიარო ჩემი ნამოქმედარი თქვენს წინაშე, რათა ბოლო მოეღოს ამდენი ხნის გაუგებრობას ჩემსა და თქვენს შორის. მთავარი მიზეზი ჩემი აქამდის სიჩუმისა იყო ის, რომ არ მსურდა გამეხვია რამდენიმე პირი ხათაბალაში, რომელთა გავლენითაც და ჩემი ხათრიანობითაც ვმოქმედებდი მცირე საქმეებში. შვიდი თვეა სული ამომერთვა სეკრეტებში იზოლაციით დაჯდომით რამაც ძალიან დამაავადმყოფა და ისედაც ღარიბი ჩემი ოჯახი მიწასთან გაასწორა. ჩემი ერთი ბავშვი მოუვლელობის და უწამლობის გამო ლამის ხელიდან გამომეცალოს. ეხლა როდესაც კარგად დავფიქრდი და აღარ მსურს ჩემში იყოს რაიმე დაფარული, გადავსწყვიტე ვთქვა სრული ჭეშმარიტება რაც ვიცი და რაც გამიგია. მხოლოდ გთხოვთ, ჩემი საქმე დაჩქარებით გაათაოთ და ბოლო მოუღოთ ერთხელ და სამუდამოთ ერთმანეთის გაუგებრობას. მაშ დავიწყოთ, როდესაც საქართველოში გადატრიალება მოხდა, მე პირადათ დიდ რყევას განვიცდიდი, არ ვიცოდი რა ბედი ეწეოდა ჩვენს ქვეყანას და ხალხს, რომლის სამსახურსაც

37 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 282-286.

მთელი ჩემი ყმაწვილკაცობა და ენერგია შევალიე და სხვა სამსახური არამქონია იმის მეტი, რომ როგორც მცირე და დამონებული ერის შვილი სულ მის უიღბლო მდგომარეობას დავსტიროდი. ჩემი შეხედულება ახალ მთავრობაზე გადატრიალების დროს და ეხლაც ესეთი იყო, რომ საქართველოში არსებული პარტიები და დანარჩენი ქართველობა მთავრობას უნდა შესთანხმებოდა რაც გააღონიერებდა ჩვენს ქვეყანას. ეხლა გაცილებით უკეთეს პირობებში იქნებოდა ვიდრე ეხლა ვართ და არც ამდენი სისხლი და მსხვერპლი მოხდებოდა, რაც ისედაც მცირე ერს უდიდეს ზიანს აყენებს და მის ნაცვლად, რომ მამა-პაპათა მიერ გადმოცემული ანდერძი, რომ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს დაუძინებელ და მოსისხლე მტერ ოსმალთა და სპარსთა მიერ გატაცებულ ქართველობას (რომელიც მრავალათ არიან ოსმალეთში და სპარსეთში), რომელთა ნატვრაც არის უკან საქართველოში დაბრუნება ვცდილიყავით უკან საქართველოში დაგვებრუნებინა, ჩვენში არსებულ მოუსვენართა წყალობით უფრო და უფრო ვფანტამთ ჩვენი ქვეყნის შვილთ, რაც არამც თუ ამსრულებელია მამა-პაპათა ანდერძისა და მთელი ქართველი ხალხის სურვილისა, არამედ ასეთი მდგომარეობა ჰქმნის ისეთ პირობებს, რომ ჩვენი ქვეყნის შვილებს ვკარგავთ, საქართველოს გარეშე ქვეყნებში გარეკვითა და გადასახლებით. კარგათ ვიცი რომ ეს პირობები შეიცავლება, მთავრობის მიერ აღებული გეზი თავისას იზავს და ყველა ისინი, ვინც ამდენი ვაივაგლახის ამტეხნი და მიზეზნი არიან, ქართველი ერისა და მისი სინდისის წინაშე პასუხს აგებენ.

სპირიდონ კედიას ოჯახობა ჩემი ნათესავია. შემთხვევა მქონდა მისი მეუღლის წყალობით სპირიდონს გავცნობოდი, შორიდან კი ჩვენ ერთიერთმანეთს ვიცნობდით. დაახლოების შემდეგ მისი ნალაპარაკევიდან ვიცოდი, რომ მას ე.ი. ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას გადაწყვეტილი ჰქონდა შესთანხმებოდა საქართველოში არსებულ მთავრობას და მასთან ერთად საერთო ენა გამოენახა. კარგა ხნის შემდეგ ჩემგან გაუგებარის მიზეზებით ეს შეთანხმება არ მოხდა. ხვთის წინაშე, პირადათ მე სპირიდონი ყოველთვის მეუბნებოდა, მაფრთხილებდა წვრილშვილის პატრონი კაცი ხარ, არაფერში არ ჩაერიო, როგორც წინად ისევე ეხლაც განზე დაიჭირე თავიო. მეც მისი დარიგება და რჩევა მაინც და მაინც ძალიან არა მჭირდებოდა, რადგანაც ეშმაკს არასოდეს არ ავყოლილვარ აყალ-მაყალისა და გაუგებრობის დროს, რა ღმერთი გამიწყრებოდა მისი ამყო დამყოლი გავმხდარიყავი. თუმცა კი მენშევიკების დროს თვით სპირიდონ კედია და გრიგოლ ვეშაპელი ხშირად მომმართავდნენ ხოლმე, კაცო ნაციონალისტური კაცი ხარ მოდი ჩვენთან იმუშავეო. მაგრამ ნეიტრალური პიროვნება ვიყავი, საქართველოში არსებულ პარტიებს თანაბრად ვუყურებდი და ჩემთვის მიუღებელი იყო პარტიულ ჩარჩოში ჩაჯდომა. ჩემი ნაციონალ-დემოკრატებთან დაახლოება შემდეგნაირად მოხდა, რომელსაც სრულიად შემთხვევითი და მოულოდნელი ხასიათი ჰქონდა. ერთხელ 1921 წელს, არ მახსოვს კარგათ რომელ თვეში იყო, ენკენისთვეში თუ ღვინობისთვეში, ალექსანდრე ასათიანმა დამიბარა და მითხრა, თქვენს ძმასთან გენერალ ლეო კერესელიძესთან მსახურობდა ვინმე სულეიმანი და იცნობ თუ არაო, მე უთხარი მართალია მსახურობდა მას სულ თან დასდევდა მეთქი. ცნობით მაინც და მაინც ახლოს არ ვიცნობ მეთქი. მან მითხრა საჭიროა გავიგოთ დარწმუნებით მისი ვინაობაო, სტამბულში მყოფ ჩვენ ქართველებს ასახელებს და კარგათ ვერ გავიგე (დარწმუნებით მისი ვინაობაო) რა კაციაო. შევატყე რომ ჩემგან რაღაცას მალავდა, მე სულეიმანს მაინც და მაინც ახლოს არ ვიცნობ და ვურჩიე პოლკოვნიკი ნესტორ მაღალაშვილი ენახა, რომელიც ქართულ ლეგიონში მსახურობდა (ეს ლეგიონი შედგა ოსმალეთის ტერიტორიაზე 1914 წ. ავსტრალიაში, გერმანიაში და ოსმალეთში მყოფ ქართველ ტყვეთაგან და ქართველ მუსულმანთაგან, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ლეო კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი და სხვა თავზე ხელაღებული ქართველები.). მითხრა, ეს სულეიმანი ჩამომავლობით ლეკია, დიდი ხანია რაც ოსმალეთშია გადავარდნილი და თავი ქართველოფილად მოჰქონდა. მაშინ ალექსანდრე ასათიანმა მსთხოვა მომენახა ნ. მაღალაშვილი, რომელიც მისთვის მეჩვენებინა. ვნახე ნ. მაღალაშვილი, უთხარი ალ. ასათიანი გეძახისმეთქი. სინამ მაღალაშვილი ა. ასათიანს ნახავდა, მე მისი თხოვნით წავედი კაფე-რესტორანში, რომელიც იმყოფება დავითისა და

გოლოვინის ქუჩის კუთხეში. როცა იქ დავინახე ა. ასათიანი და სულეიმანი, რომელიც ერთად ისხდნენ (სულეიმანს ყველანი ოსმალოს ეძახდნენ და თუ თვითონ არ იტყოდა ლეკი ვარო ვერ არჩევდნენ), მე მათთან მივედი, სულეიმანს მივესალმე და ლაპარაკი ჩამოვარდა პოლიტიკაზე, კონსტანტინეპოლში გაქცეულ ქართველებზე და სხვა. მერე ა. ასათიანმა მითხრა მაღალაშვილი ნახეო, კი ვნახე და ეხლავე აქ მოვა. როცა ნ. მაღალაშვილი მოვიდა მაშინ ალ. ასათიანმა მსთხოვა წავსულიყავი და ისინი მარტო დამეტოვა. (თვითონ სულეიმანი არაფერს არ წარმოადგენს და როგორც მე ნ. მაღალაშვილმა მითხრა გადაკვირთ მის უკან ვიღაც სხვები უნდა ყოფილიყვნენ). მეც ავდექი წამოვედი და ისინი მარტო დავტოვე. რაზე ჰქონდათ ლაპარაკი არ ვიცი, ვიცი მხოლოდ სამი-ოთხი დღის შემდეგ ასათიანმა მითხრა, პოლკოვნიკ ნარიკელაძეს იცნობო, ვუპასუხე ნაკლებად ვიცნობ. წადი მასთან ჩემსა და იასონ ჯავახიშვილის მაგიერ უთხარი, რომ ამ ათი დღის განმავლობაში ცნობები დაამზადოსო, დანარჩენი თითონ იცისო. რა ცნობებზე მითხრა ასათიანმა მაშინ არ ვიცოდი, მხოლოდ ეს პოლკ. ნარიკელაძისგან გავიგე რაზედაც ქვეით გაიგებთ. მეც წავედი ნარიკელაძესთან. რა კაცი იყო ნარიკელაძე ან რა საქმეებს ეწეოდა არ ვიცოდი. მიველი ნარიკელაძესთან უთხარი ასათიანმა და ი. ჯავახიშვილმა გამომგზავნა ცნობები დაამზადე ათი დღის განმავლობაშითქო და რაც სთქვას მისი აზრი შემატყობინეო. მეც ისე მოვიქეცი როგორც ასათიანმა დამავალა. უამბე ის რაც ვიცოდი. ლაპარაკში ნარიკელაძე ხშირად ამბობდა მე საქართველოსთვის ვმუშაობ და ვაი თუ მაგ საქმიდან ჭუჭყი გამოვიდესო. პატივცემული ნარიკელაძე, რომელიც გულით მიყვარს ცოტა არ იყვეს ტრაბახა კაცია, რაც თქვენც იცით, არც თვითონ მალავს და რაცაა მთავარი მიზეზი მისი აქ ჯდომისა. მას ძალიან უყვარს ლაპარაკი, რომ იგი ფულისთვის არ მუშაობს რაც სრულიად სიმართლეა. მე თითონ ვიცი, რომ ეგ კაცი პირიქით თავის ფულს ხარჯავდა, სახლის ნივთებს ავეჯეულობას ჰყიდდა და სხვებსაც ახარჯებდა. ეს კი მართალია, თავის თავს ძალიან ჰბერავს აზვიადებს ჩემსა და თავის შორის ნალაპარაკევს და ყირამალა აყენებს ზოგ რამეს. აქედან მე ორი აზრი გამომაქვს, ერთი ის, რომ არ ახსოვს რაც არა მჯერა და მეორე ის რომ განზრახ აზვიადებს, ბევრს ლაპარაკობს ფულებზე და სხვა. ის რაც წინა ჩვენებაში ვსთქვი ზოგი რამ შესასწორებელია, რადგან მაგის გავლენის ქვეშ იყო ნათქვამი. ეხლა ჩემი სურვილია ჩვენ ერთმანეთს შეგვახვედროთ ორივეს ჩვენება ერთმანეთს შევადაროთ და რაც მაგისგან მეტია წამოცდენილი იმ ეშმაკს გაატანოს რომელმაც ათქმევინა. ლაპარაკის დროს ნარიკელაძემ თავისი საქმიანობის გუდა გახსნა თითქმის ყველაფერი წამოყაჭა რასაც კი აკეთებდა. ხვთის წინაშე, ერთი მხრივ არ მომეწონა ასეთი გულ გახსნილობა უცხო კაცთან და ვიფიქრე ეს კაცი სადმე ცხვირს წაჰყოფს და სხვებსაც მახეში გააბავს მეთქი და უბრალოდ საქმიდან ნემსს აქლემს აშობინებსთქვა. გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ეს იმას რასაც ეხლა ვამბობ არ ვიტყოდი და არც იმ პირებს დავასახელებდი, რომელთაც ეხლა ვასახელებ, რომ მთავარი მიზეზი ამისა, პატივცემული ნარიკელაძე არ იყოს. ეხლა როდესაც ყველაფერი გაგებულია და ჩემი სიჯიუტე თქვენგან ჩემი მხოლოდ მასხარად აგდება იქნება, და მაინცა და მაინც რა უნდა დავფარო, როცა ყველაფერი იცით, შუბი კი ტომარაში არ დაიმალება. მხოლოდ იმ ღამეს პირველად ნარიკელაძისგან გავიგე, რომ რაღაც მითქმა მოთქმა იყო ჩვენში, იყო იმის შიში, რუსები რომ წავლენ ჩვენი ქვეყანა მოუმზადებელი დარჩება (მაშინ დიდი ხმები დადიოდა რუსის ჯარის გასვლის შესახებ). როგორ მოვიქცეთ ქვეყანა უპატრონოდ დარჩესო. ამის შემდეგ მე და ნარიკელაძე დავახლოვდით, ეს ორი ტრაბახა და ფანტაზიორი კაცი. იმ პირველი დავალების გარდა მასთან არავითარი სხვა საქმე არ მქონია, გარდა პირადი ლაპარაკისა. მთელი ჩემი საქმიანობა მან კარგათ იცის. რაც შეეხება იმას, რომ ნარიკელაძემ უარი სთქვა ცნობის მიცემაზე ეს მართალია, მხოლოდ თუ ასათიანი მოინდომებდა თავისას გაიტანდა.

სულეიმანი სტამბულში ცოტათი ახლოს ყოფილა იქაურ ქართველებთან როცა იქიდან წამოსულა. ვიცი ის, რომ ალექსანდრე ასათიანს ვიღაცის შემოწმება უნდოდა. ერთხელ სულეიმანმა მითხრა, დურბინდები ხომ არ იცი გასაყიდიო, ერთხელ ქრთამიც მაძლია გადაკვრით, რომ მე

ასათიანზე მემოქმედა. რიცხვი ფულისა მან არ დაასახელა. რათა ასათიანი ნდობით მეპყრობოდა, ეს მე ასათიანს ვუთხარი. ერთხელ როგორც მიხვედრილი ვარ, ასათიანი და სულეიმანი სამი-ოთხი დღით სადღაც გაქრნენ. ვიცი ის, რომ ასათიანს აინტერესებდა ის რომ თუ რუსის ჯარი გავიდოდა რა პოზიციას დაიჭერდა ოსმალეთი, ეშინოდა იმის, ბათომს დაიჭერენ, სამუსულმანო საქართველოს ხელში ჩაიგდებს, ბორჩალოს და ზაქათალის მუსულმანთ აგვიჯანყებენ და ერთი უბედურება დაგვატყდება თავს. როგორც ვიცი ასათიანი სრულიად დამოუკიდებელი მოქმედებდა და იცოდა თუ არა ვინმემ ეს ამბავი მე არ ვიცი. კარგა ხნის შემდეგ ასათიანს ვათქმევინე რაშია საქმე მეთქი, მან მოვლით მითხრა, ჩვენ ჯერ ბათომის ისტორია არ დაგვიწყებია, მაგასა სურს ჩვენ აგენტებად გაგვხადოსო. ნუ თუ მართალს ამბობს და ეს ჩემ წასაქეზებლათ არა სთქვა. სულეიმანი რაღაც სპეკულაციას ეწეოდა, ჰყიდდა და ყიდულობდა დურბინდებს, უნაგირებს და სხვა. მის შემდეგ მე კვლავ ჩემს ქერქში ვიყავი და ჩემთვის არავის არავითარი დავალება არ მოუცია და რა ხდებოდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში სრულებით არ ვიცი, რაც თქვენც კარგათ იცით.

თითქმის ერთი წლის შემდეგ, იგივე სულეიმანი შემხვდა და მითხრა ასათიანი სად არისო, უთხარი ციხეშიათქო. ლაპარაკში მკითხა ხალხში რას ამბობენ ჯემალ-ფაშას მოკვლაზეო, უპასუხე დაშნაკებმა მოჰკლეს ესე ამბობენ მეთქი. როგორც მოჰკლეს ბერლინში თალაათ-ფაშა და რომში მეორე ფაშათქო (სხვათაშორის ასათიანმა მითხრა, მაგ სულეიმანზე, თუ სადმე შეგხვდეს და ჩემს შესახებ რამე გკითხოს უთხარი მე არაფერი არ ვიცი და მოერიდე, ყოველგვარი კავშირი გასწყვიტე მასთანო) სულეიმანმა ლაპარაკში მითხრა არ შეიძლება მიაგნოთ ჯემალის მკვლელების ჯგუფსო, უპასუხე აბა საიდან, დაშნაკები ისეთი ორგანიზაციის ხალხია, რომ მაგათსას კაცი ვერას გაიგებს მეთქი. მახსოვდა ასათიანის სიტყვები ცივად დავხვდი და იგიც გამშორდა. უნდა მოგახსენოთ, რომ საჭიროთ ჩავთვალე ეს ამბავი მისთვის მე მეთქვა და მგონი ერთ კვირის შემდეგ ნარიკელაძეს შევხვდი და პირადი ლაპარაკის შემდეგ სულეიმანის ნათქვამი უთხარი. მან სთქვა ოხრული საქმეა, ჩვენ რა გვესაქმებაო. ამაზე მეტი ლაპარაკი ჩვენ არ გვქონია და ნარიკელაძე როგორც ტრაბახა და ფანტაზიორი კაცი ძალიან აზვიადებს. მხოლოდ მიკვირს რათ მოვიდა მესხი ჩემთან, როდესაც ამის შესახებ პირველად უარი სთქვა. მესხი მე უარით იმიტომ გავისტუმრე, რომ ასათიანისგან მქონდა ნათქვამი არავითარი საქმე მასთან, სულეიმანთან არ დამეჭირა და მეც არ მინდოდა. დავიდარაბიან საქმეში ჩარევა თორემ სულეიმანი მაშინ აქ ეგდო.

ეხლა სრულიად გულწრფელად მოგახსენებთ, როცა თქვენ ათ მარტში გამათავისუფლეთ, მე სიტყვა მოგეცით არაფერში არ ჩავერევი, არავის გავეკარები და ჩვენ კომუნისტებს შევუთანხმდები მეთქი. ვნახე ჩვენში დიდი კომუნისტები, მათ შევუთანხმდი, მეც დავმშვიდდი გაზეთში განცხადება გავგზავნე, მთელმა ქალაქმა იცის, რომ კომუნიტებს, მთავრობას ერთგულების სიტყვა მივეცი და ეხლა კი აქ ამოვყავი თავი. როდესაც გარეთ გავედი ერთმა ვაჟბატონმა რომელსაც თქვენც იცნობდით, ხმა დამიყარა რომ ვითომ მე ჩეკისტი ვარ, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე და მეც იძულებული ვიყავი რომ ჩემს ნათესავებში თავი მემართლებინა. ვერაფერი ვერ გავაკეთე ჩემი ოჯახის სასარგებლოდ. აქედან, ავადმყოფი გავედი საავადმყოფოში დავწექი და სახლში სულ ათი დღეც არცკი ვყოფილვარ. ეხლა კვლავ გიმეორებ არავისთან არავითარ საქმის დაჭერა არა მსურს, გარდა მთავრობისა. მათ უკვე შეუთანხმდი და გთხოვთ მორჩეთ ჩემს საქმეს გამათავისუფლოთ, რათა მივხედო დაქცეულ ოჯახს და ჩემი ავადმყოფი ბავშვი გადავარჩინო.

იასონ კერესელიძე.
„23“ აპრილი 1923 წ.

იასონ კერესელიძის ჩვენება 30/IV-1923 წ.: [38]

ჩემს საქმეს, რომელსაც ვახორციელებდი იასონ ჯავახოვის დავალებით, არ შეიძლება ეწოდოს მეკავშირეობა. მე ვასრულებდი შემდეგ დავალებებს:

1. ასათიანმა, იასონ ჯავახიშვილის დავალებით, გამაგზავნა ნარიკელაძესთან, რომლის შესახებაც დეტალურად მოგიყევით პირველი დაკითხვისას.

2. მეორედ მან მესაბლიშვილთან გამგზავნა წერილით. რა ეწერა ამ წერილში, არ ვიცი. საპასუხოდ მესაბლიშვილმა გამომატანა ნახევარ-ფუნტიანი ყუთი, რომელიც მე გადავეცი ჯავახიშვილს. რა იყო ამ ყუთში, არ მინახავს.

3. 1921 წლის ოქტომბერში მან მთხოვა, რუსული არმიის საქართველოდან გასვლის შემთხვევაში, ყურადღებით ვყოფილიყავი გამომცემლობა „საქართველოსთან“ დაკავშირებით, რათა იგი არ მიეთვისებინათ სხვა პარტიებს. მე ამ გამომცემლობასთან იქვე, ახლოს ვცხოვრობდი.

4. სპირიდონ კედია მეუბნებოდა, რომ ვჭირდებოდი რუსული არმიის გასვლის შემდგომ რედაქციაში სამუშაოდ. სპირიდონ კედიასგან ეს წინადადება მე მივიღე.

5. ასათიანმა მთხოვა, რომ მეორე რაიონში, სადაც ვცხოვრობ, შემედგინა ყოფილი ეროვნულ-დემოკრატების სია. დავალების შესრულება ვერ შევძელი, რამდენადაც არ მომცეს ძველი სია, ხოლო მე რაიონში არავის ვიცნობდი. ეს დავალება მე 1921 წლის ნოემბერ-დეკემბერში მომცეს.

1922 წლის ივლისიდან იასონ ჯავახიშვილი არ მინახავს. იგი იმალებოდა, მაგრამ სად, ეს არვიცი.

ეროვნულ-დემოკრატების ცეკასა და ჩოლოყაევს შორის კავშირზე არაფერი მსმენია და არაფერი ვიცი.

დავამტებ, რომ სპირიდონ კედიამ ეროვნულ-დემოკრატები გააფრთხილა, რომ ჩემთვის რთული დავალებები არ მოეცათ.

1922 წლის მაისიდან საერთოდ დავტოვე ყველანაირი სამუშაო.

იასონ კერესელიძე.

დაკითხა: **პეტროსიანმა.**

დაკითხვას თან ახლავს გამომძიებლის მიერ სამუშაოსთვის შედგენილი ცნობების ჩამონათვალი იასონ კერესელიძის პიროვნებისა და მისი საქმიანობის შესახებ:

1. კავშირი ჩოლოყაევთან;
2. ეროვნულ-დემოკრატების ორგანიზაცია;
3. მაზნიევი;

38 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 248-252.

4. კერესელიძე თურქი სულეიმანისთვის აგენტთა მომზადებას აპირებდა;

5. სოფ. ნატახტარში ჰყავთ ხალხი, რომლებთაც კავშირი აქვთ ჩოლოყაევთან და გადასცემენ მას ცნობებს წითელი არმიის ნაწილების გადაადგილებების შესახებ;

6. კავშირი კერესელიძესთან - ჩოლოყაევი, ნარიკელაძე;

7. სამხედრო აღჭურვილობა ჩოლოყაევისთვის. ამირეჯიბმა იცოდა, რომ „კ“-ს ბინაში შედგა შეხვედრა;

8. ამირეჯიბი;

9. მუსხელოვის ინფორმაცია (ნარიკელაძის ჩვენება);

თურქული კონტრდაზვერვა

მ. ჯავახოვი - „კ“. ასრულებდა დავალებას. ი. ჯავახოვი - მეკავშირე.

კავშირები თურქეთთან.

კერესელიძემ იცოდა სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, ცეკას კავშირებზე ჩოლოყაევთან, თურქეთის კავშირების შესახებ (კონტრდაზვერვა, ჩოლოყაევისთვის სამხედრო აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ).

პეტროსიანი.

იასონ კერესელიძის ჩვენება 12/V-1923 წ.: [39]

საკანში საუბარი მქონდა ყარანგოზოვთან. ვკითხე მას, როგორ მოვქცეულიყავი, რადგან ჩოლოყაევის საქმესთან შეხება არ მქონია და ტყუილების თქმა მომბეზრდა. მან მირჩია, სიმართლე მეთქვა. ის, რომ მან მითხრა დამეფარა პარტიის როლი, იასონ ჯავახიშვილი და ისეთი ჩვენება მიმეცა, თითქოს ხევსურებს შემთხვევით შევხვდი, არ შემიძლია უარვყო და არც დადასტურება შემიძლია. ახლა კი მოგახსენებთ, რომ არაბული ნამდვილად მეუბნებოდა, რომ იასონ ჯავახიშვილი უნდა ენახა.

უარვყოფ, რომ ხევსურები ჩემთან იყვნენ გამოგზავნილნი. მათ ჩემთვის არ უთხოვიათ იასონ ჯავახიშვილთან მიყვანა, უფრო სწორად, ვერ მოასწრეს რაიმეს თქმა ჩემთვის.

იასონ კერესელიძე.

დაკითხა: **პეტროსიანმა.**

39 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 254-255.

მისივე ჩვენება ვიქტორ ყარანგოზოვთან დაპირისპირების შემდეგ:

მე აფხაზთან პირადად არ მისაუბრია, მის ნათქვამს ყარანგოზოვი გადმომცემდა ხოლმე, საიდანაც მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა გავიგე. ყარანგოზოვი აფხაზის პირით მეუბნებოდა, რომ იასონ ჯავახიშვილის ხევსურების საქმეში გარევა არ იყო საჭირო, შემდეგ მითხრეს, რომ სრული სიმართლე მეთქვა. კითხვაზე, თუ რატომ დავმალე და არაფერი ვთქვი დღევანდელ ჩვენებაში იასონ ჯავახიშვილზე, გპასუხობთ, რომ შემეშალა ან დამავიწყდა.

კიდევ ვიმეორებ, რომ ხევსურები იასონ ჯავახიშვილთან არ უნდა მიმეყვანა, ან მე არ ვიცოდი. კითხვაზე გპასუხობთ, რომ შეიძლება ვინმემ მირჩია კიდეც მეთქვა, რომ ხევსურებს შემთხვევით შევხვდი. ვისი დახმარებით უნდა შეხვედროდნენ ხევსურები იასონ ჯავახიშვილს, არ ვიცი, მგონი,, მენშევიკებთან ისინი ალექსანდრე პატიაშვილს უნდა მიეყვანა. „ჩეკაში“ არაბულმა მითხრა, რომ მათ უნდა ენახათ იასონ ჯავახიშვილი და წინამძღვარიშვილი. უფრო ადრე კი მითხრეს, რომ ჩემ გარდა თბილისში არავინ ნაცნობი არ ჰყავდათ. გამოდის, რომ მათ ჩემთვის უნდოდათ ეთხოვათ დახმარება და ისინი ჯავახიშვილთან მიმეყვანა. ჩემი მოსაზრება, რომ თითქოსდა ალექსანდრე პატიაშვილს უნდა მიეყვანა ხევსურები მენშევიკებთან, დავასკვენი იქიდან, რომ ალექსანდრე პატიაშვილს მათგან ფული არ აუღია და როგორც დავინახე, ისინი ძველი ნაცნობები იყვნენ. ლადო ლოლაძესთან საუბრისას გავიგე, რომ ალექსანდრე პატიაშვილი მენშევიკი იყო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ხევსურები ჩემთან არ იყვნენ გამოგზავნილები. ჩოლოყაევისთვის სამხედრო აღჭურვილობა მე არ მიყიდია, მას არ ვემხრობოდი. ვიყავი პროპაგანდისტ-ორგანიზატორი მე-2 რაიონში. შეიძლება აფხაზი ამბობდა, რომ არ იყო საჭირო იასონ ჯავახიშვილზე საუბარი, რადგან ეს კომიტეტს ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა, რამდენადაც ყარანგოზოვის სიტყვები თითქმის არ მესმოდა. შეიძლება ვიღაც მეუბნებოდა მეთქვა, რომ ხევსურებთან შეხვედრა შემთხვევითი იყო, მაგრამ მე ეს არ გამიგონია.

იასონ კერესელიძე.

დაკითხა: **პეტროსიანმა.**

მისივე ჩვენება აფაზის დაკითხვის შემდეგ: მოგახსენებთ, რომ მე აფხაზისთვის არ მითქვამს, რომ ხევსურებმა დაპატიმრებამდე იასონ ჯავახიშვილთან მიყვანა მთხოვეს. ვფიქრობ, მან სწორად ვერ გაიგო ჩემი სიტყვები, რამდენადაც ეს სიტყვები გამომძიებელმა მე მომაწერა.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ცეკა-სა და ჩოლოყაევის კავშირების თაობაზე არაფერი ვიცი და საერთოდ, არაფერი ვიცი ჩოლოყაევის შესახებ. საკანში ვამბობდი, რომ ჩოლოყაევის საქმეში არ ვარ გარეული, რომ პარტიაში ორგანიზატორად ვმუშაობდი, მაგრამ თუ მეტყოდნენ მემუშავა ჩოლოყაშვილის მომხრეებთან ერთად, შეიძლება მემუშავა კიდეც, ოღონდ პირველ დღეებში, მაისის დასაწყისში. ხევსურეთის აჯანყების შემდგომ, ეროვნულ-დემოკრატთა პარტია დავტოვე.

სამხედრო ორგანიზაციის შესახებ არაფერი ვიცი.

იასონ კერესელიძე.

დაკითხა: **პეტროსიანმა.**

დავამატებ, რომ მხოლოდ აფხაზსა და ყარანგოზოვს კი არა, სხვებსაც ვეკითხებოდი, და არა იმიტომ, რომ მათი მითითებები და მოსაზრებები შემესრულებინა, რამდენადაც მე დიდი ხნის

წინ უკვე გადაწყვეტილი მქონდა ყველაფერი მეღიარებინა, ამასთან დაკავშირებით განცხადებაც დავწერე.

იასონ კერესელიძე.

დაკითხა: **პატროსიანმა**.

ასლი დედანთან სწორია.

იასონ კერესელიძის ჩვენება 12/V-1923 წ.: [40]

ხევსურებთან ურთიერთობის შესახებ მოგახსენებთ: გიგო არაბულთან 1921 წლიდან ვმეგობროზ. ის მენშევიკების უკან დახევისას, მცხეთასთან გავიცანი. მაშინ მას სრულიად შემთხვევით შევხვდი. ცისკარაულს მანამდე არ ვიცნობდი. მცხეთაში დამეგობრების მერე, არაბული შემდეგ უკვე „მწყემსში“ ვნახე, სადაც მე ვმუშაობდი. ის და ცისკარაული „მწყემსში“ ჩასაწერად მოვიდნენ. თავიდან ერთმანეთი ვერ ვიცანით, შემდეგ მე ვიცანი და მანაც გამიხსენა. არაბული ჩემი ოთახიდან გავიდა. კორიდორში ცისკარაულთან ლაპარაკობდა, როდესაც მე გამოვედი და მან მითხრა, რომ „მწყემსის“ გარდა კიდევ სხვა საქმეც ჰქონდათ და რადგან ჩემ გარდა თბილისში სხვა ნაცნობი ვერ ნახეს, მთხოვეს, ალექსანდრე პაპიაშვილის რესტორანში წავყოლოდი და მათთვის მომესმინა. დანარჩენი წინა ჩვენებებში, დაპატიმრებამდე რაც მოხდა, ზუსტად მოგიყევით. როდესაც ჩვენ დაგვაპატიმრეს და „ჩეკაში“ მიგვიყვანეს, იმ წუთშივე გაგვაცალკევეს. უნდა აღვნიშნო, რომ არაბული დუქანში ვერაფერს მომიყვებოდა, რადგან „ჩეკისტების“ გარემოცვაში ვისხედით. „ჩეკაში“ შემთხვევით მოხდა ისე, რომ რამდენიმე წუთით მე და არაბული ერთ ოთახში მოვხვდით. მე გაკვირვებულმა ჩურჩულით ვკითხე, რისთვის შეიძლებოდა ისინი დაეპატიმრებინათ, რაზეც მიპასუხა: „შენ არაფერ შუაში ხარ, გაგიშვებენ, ჩვენ კი გვქონდა სხვა საქმეც, წინამძღვრიშვილისა და მენშევიკების ნახვა გვინდოდა“. დეტალურად ვერ მომიყვა, რადგან მალევე გადამიყვანეს სხვა ოთახში. დაკითხვების შემდეგ მივხვდი, რომ ხევსურები ჩოლოყაევისგან იყვნენ გამოგზავნილები. წინამძღვრიშვილი ეროვნულ-დემოკრატი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ რა ადგილი ეკავა პარტიაში, ჩემთვის უცნობია. ეს ჩვენება ადრე არ მიმიცია, მეშინოდა, რომ ხევსურებს შეიძლება დავეხვრიტე, ხევსურეთში ვერ გამოვჩნდებოდი.

ხევსურები ჩემთან არავის მოუგზავნია და არც ჩოლოყაშვილთან მქონია რაიმე ურთიერთობა. სამხედრო აღჭურვილობის შესყიდვას უარვყოფ, ის შეიძლება ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ იყიდა. სხვადასხვა ფაქტებიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეხმარება ჩოლოყაევს როგორც ხალხით, ისე მატერიალურადაც. ასევე შეიძლება არსებობდეს რაღაც ჯგუფი ეროვნულ-დემოკრატებში, რომლებიც ამას აკეთებენ.

ჩვენებას, სადაც ჩემი საქმიანობების შესახებ ვყვები, დავამატებ, რომ მე ასათიანმა დამნიშნა მეორე რაიონის რწმუნებულად, სადაც პარტიის ლეგალიზაციის შემდგომ, არჩევნებისთვის, ერთ კომპაქტურ მასად უნდა შემეკრიბა ამ რაიონში მცხოვრები ყველა ეროვნულ-დემოკრატი. ამ მიმართულებით ვერაფერი გავაკეთე, რამდენადაც ვერ შეძლეს ჩემთვის ძველი სიის მოცემა. იყო ასევე რამოდენიმე წვრილმანი, უმნიშვნელო დავალებები იასონ ჯავახიშვილისგან, რომ მომეწვია მიხეილ ჯავახოვი კოოპერატივ „დახმარებაში“ და ა.შ.

ჩემი დაპატიმრების დროს, ჩემს ბინაში სხდომა არ ყოფილა. სამხედრო ორგანიზაციის,

40 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 264-265.

ჩოლოყაევისა და ცეკას კავშირის შესახებ - გარდა ზემოაღნიშნული ხევსურებისა, არაფერი ვიცოდი. ქუჩაში დადიოდა ხმები, რომ ჩოლოყაევს მხარს უჭერდნენ როგორც ეროვნულ-დემოკრატები, ასევე მენშევიკი ფედერალისტები.

წინა ჩვენებების დაზუსტებისთვის ნარიკელაძესთან კავშირის შესახებ მოგახსენებთ: ნარიკელაძესთან გამგზავნა ასათიანმა. მანამდე მკითხა, ვიცნობდი თუ არა იასონ ჯავახიშვილს, რომ მომეძებნა და გადამეცა მისთვის, მისულიყო ნარიკელაძესთან. აქედან ვასკვნი, რომ ასათიანს თავიდან იასონ ჯავახიშვილის გაგზავნა სურდა, მაგრამ რადგან მე მას არ ვიცნობდი, ნარიკელაძესთან მე გამგზავნა. ამჯერად მარტო წავედი. მეორეჯერ კი ნარიკელაძესთან მამრაძესთან (სახელი არ მახსოვს) ერთად ვიყავი. ინჟინერ მამრაძის ძმა და ხარაძე, რომლებიც, ვფიქრობ, ჩემთან ნარიკელაძემ გამოგზავნა, როგორც ჩანს, დაინტერესდნენ ჩემით. ხარაძეს კარგად არ ვიცნობ, რა საქმიანობას ეწეოდა, არც ის ვიცი, ხოლო მამრაძე გარდაიცვალა ტიფით 1921-1922 წელს.

წინა დაკითხვებში სულეიმანთან დაკავშირებით ჩემ მიერ მოცემული ჩვენებები სწორია. დავამატებ, რომ სულეიმანი თავისი გვარით არ ცხოვრობდა. მისი ნამდვილი გვარი დანელოვია. ის, მგონი, „ორიანტში“ ცხოვრობდა, ახლა სად არის, არ ვიცი, ჰკითხეთ მის ყოფილ მეგობარ შ. წერეთელს, რომელიც საქართველოს საგანგებო კომისიაში მსახურობს, მეტი არაფრის დამატება არ შემიძლია.

რაც შეეხება დაშნაკების კონტრდაზვერვას, ასათიანისგან გამიგია, რომ სულეიმანმა მას ამის შესახებ მოუყვა იმ მიზნით, რომ ასათიანის პატივმოყვარეობა შეელახა და დარტყმა მიეყენებინა მისთვის.

კერესელიძე.

დაკითხა **პეტროსიანმა.**

ამონაწერი[41]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: იასონ მათეს ძე კერესელიძე, 32 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: იასონ მათეს ძე კერესელიძეს, 32 წლის, ყოფილ აზნაურს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჯაშუშს, რომლის საქმიანობაც მდგომარეობდა ჩოლოყაევთან მეკავშირეობაში, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა -

<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

41 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 287.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОВОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширенного заседания Коллегий Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.
Под председательством Председат тов. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: Т.Т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАЛКОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

С л у ш а л и :

Докладчик тов. АЛУКИН.

1/Дело военной организации анти-советских партий, по обвинению:

9/ КИРКОЛИДЗЕ Ясона Матвеевича, 32 лет, б. дворянина, члена партии Национал-Демократ тов.-

П о с т а н о в и л и :

I-За организацию заговора против Советвласти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству ПОСТАНОВЛЕНО:

9/ КИРКОЛИДЗЕ Ясона Матвеевича, 32л., б. дворянина члена партии Н-Д. Участник шпионской работы партии Нац. Дем; по заданиям ЦК п. Д. держал связь с Челокаевым - РАССТРЕЛЯТЬ.- Приговор привести в исполнение в 24-х часовый срок.-

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА

НАЧРАЗОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЙСОВ/

287

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ. 1. გვ. 287.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი


(1897 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23508, 1 ტომი, 45 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობა;
- მემორანდუმები;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენებები;
- წერილი;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.


Архив № 299

30/V 1923 года

Закавкасск. Чрезвыч. Комиссия при Союзсовете

Учтено в 1962 году

ДЕЛО №

Начато „ 1 „ января 1923 г.

Кончено „ 19 „ мая 1923 г.

Архив № 299

ШСს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 2.

ლევან (ლელო) კლიმიაშვილი

...23-24 წლის, საშუალოზე დაბალი, მოგრძო, გაპარსული სახე, შეკრეჭილი პატარა შავი ულვაშები, შავი თვალ-წარბი, კარგად დავარცხნილი შავი თმები, ინგლისური ორბორტიანი ლაბადა მეტალის ღილებით, ინგლისური ჩექმები, თვალებზე ჩამოფხატული კეპი.


სავარაუდოდ, კლიმიაშვილი სადგურ გურჯაანში მატარებლიდან არ ჩავა, ვინაიდან შემოსული შეტყობინებით, ნარიკელაძე მას თელავში აგზავნის...

/აგენტურული ცნობები./



საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის 3 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N18 ორდერი, რომლის მიხედვითაც, ЗАКЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე ტურპისს ევალებოდა ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის დაპატიმრება და ღუნიბინის ქ. N34-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

ОРДЕР № 18

Марта 3 дня 19 23

Выдан сотруднику Закчека Турпису

на производство обыска и ареста Климиашвили Левана Ираклиевича

по адресу Гунибская 34

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Справка

1
3

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 3.

იმავე დღეს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N18 ორდერის საფუძველზე შედგა ჩხრეკის ოქმი[1], საიდანაც ირკვევა, რომ კლიმიაშვილისგან ამოღებულ იქნა მიმოწერა-დოკუმენტაცია შემდეგი ნომრებით: N3849, 267, 15984, 1, 4780, 1353, 68757.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი დააპატიმრეს1923 წლის 3 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N94

გვარი, სახელი, მამის სახელი	კლიმიაშვილი ლევან ირაკლის ძე.
მისამართი	თბილისი, ღუნიბინის ქ. N34.
ასაკი	26 წლის.
განათლება	მეორე დაწყებითი სასწავლებელი.
პროფესია	ყოფილი ოფიცერი.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	1922 წლის 15 თებერვლიდან არ მსახურობს.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	მამის შემოსავლით.
ოჯახური მდგომარეობა	მშობლები, დები და ძმები.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
რის საფუძველზე	არ არის ცნობილი.

ხელმოწერა: **კ. კლიმიაშვილი.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 4-5.



6 4

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 94.

«3» марта 1923 г.

Фамилия Климиашвили Имя и отчество Леван Ираклиевич

Адрес: Тифлис Гунибская №34

Возраст 26 лет

Образование Высшее начальное училище

Профессия бывший офицер

Где работает и долго ли с 15 августа 22 г. без службы

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли нет

На какия средства живет на заработки отца

Имеет ли семью Родителей сестер, братьев

Кем арестован по приказу начгара

На каком основании на подозрении

Подпись: Л. Климиашвили

Приметы:

Сдал *Принял*

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 6.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N94</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	პასუხები
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	კლიმიაშვილი.
2) ***სახელი, მამის სახელი***	ლევან ირაკლის ძე.
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	თბილისის გუბერნია, გორის მაზრა, სოფ. რუისი.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	26 წლის, 1897 წლის იანვარი.
7) ***განათლება***	უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი.
8) ***ოჯახი***	***მამა:*** ირაკლი ივანეს ძე კლიმიაშვილი, 60 წლის, მცხ. ღუნიბის ქ. N34-ში, არქივის გამგე.
	დედა: სოფიო ილიას ასული კლიმიაშვილი, 48 წლის, მცხ. ღუნიბის ქ. N34-ში, დიასახლისი.
	დები: თამარ ირაკლის ასული კლიმიაშვილი, 23 წლის, მცხ. ღუნიბის ქ. N34-ში. ეკატერინე ირაკლის ასული კლიმიაშვილი, 21 წლის, მცხ. ღუნიბსკის ქ. N34-ში, პარტიული მუშაკი.
	ძმები: ივანე ირაკლის ძე კლიმიაშვილი, 17 წლის, მცხ. ღუნიბის ქ.N34-ში. გიორგი ირაკლის ძე კლიმიაშვილი, 15 წლის, მცხ. ღუნიბის ქ.N34-ში. ილარიონ ირაკლის ძე კლიმიაშვილი, 12 წლის, მცხ. ღუნიბის ქ.N34-ში, მოსწავლე.

9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	ალექსანდრე ივანეს ძე კლიმიაშვილი (ნათესაური კავშირი აღნიშნული არ არის), პროპორშჩიკი, ქვეითი, კანცელარიის თანამშრომელი პორტში.
10) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი***	
11) ***პარტიულობა***	უპარტიო.
12) ***პროფესია***	ყოფილი ოფიცერი.
13) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) 1916 წლიდან 1917 წლამდე მსახურობდა 281-ე ქვეით პოლკში, ოფიცრად. ბ) 1918 წლიდან 1921 წლამდე მსახურობდა მე-6 და მე-8 ქართულ ბატალიონებში. 1921 წელს მსახურობდა პირველ ქართულ საბჭოთა პოლკში.
14) ***წოდება***	1922 წლის 15 აგვისტომდე მსახურობდა პირველ ქართულ საბჭოთა პოლკში ოცეულის მეთაურად.
15) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	ცხოვრობდა მამის შემოსავლით.
16) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არა
17) ***ნასამართლეობა***	არა
18) ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება***	ა) იყო ოფიცერი, ოცეულის მეთაური ქვეითთა პირველ საბჭოთა პოლკში. ბ) სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა დაუყოვნებლივ, 1923 წლის 3 მარტის დადგენილებით, მისი დაპატიმრების გამო.
19) ***როდის მოხდა დაპატიმრება***	1923 წლის 3 მარტს.

20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე
21) *სად მოხდა დაპატიმრება*	თბილისში, საკუთარ სახლში.
22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	არ დაუკითხავთ.
23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	არა.
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	თბილისი, ღუნიბის ქ. N34.
პატიმრის ხელმოწერა: **ლ. კლიმიაშვილი.** 3 მარტი, 1923 წ.	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	

Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии.

АНКЕТА № 94

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.
Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
1-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Цинцадзе
2) Имя и отчество	Леван Ражденович
3) Гражданин(ка) какого государства	грузин
4) Место приписки	Губ.: Тифлис уезд/село/город Душети
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	26 лет, родился в январе месяца 1897 года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) Выше начального училища б) окончил ___ школу в) прошел ___ класс/курс ___ школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1 отец	Цинцадзе Иван.	60	Душети ул. Ленина 34	отец б. Дружи за ведывающий
2 мать	Софья Климентьевна			дом. хозяйка
3 сестра	Татьяна Екатер.	23.21		Екатер. кур-
4 брат	Иван. Георгий.	17.15		конторщик
5	Илларион	12.		ученик


9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1	Александр Георг		Канцеляр
2	Иванович	Прапор.	Ский служ
3	Цинцадзе		щий на
4			почте
5			

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Военное звание, род оружия или спец. в Красн. Ар.	Место службы
1			
2			
3			
4			
5			

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 7.



11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит, б) с какого времени	а) состою членом беспартийный партии б) месяца 19 года
12) Профессия	бывший офицер
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1-ш 1917 г.; б) с 1-ш 1917 г. по день ареста	НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ / ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ а) с 1916 года в 281 зап. пех. полку офицером до 1917 г. б) Служил в 6-м и 8-м груз. батальоне с 1918 по 21 год в 1921 году в 1-м груз. сов. полку. комвзвода 1-м груз. сов. полку. по 15 августа 1922 г. после чего с отпуском на его жительство нет.
14) Если состоял на госуд. службе, то в каком чине	нет.
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	
17) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) был офицером потом комвзводом в 1-м сов полку б) уволен бессрочный отпуск по постановлению Тифлисского ком.
19) Когда арестован	3 марта месяц 1923 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	по ордеру закчека
21) Где арестован: а) губер., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) в гор. Тифлисе на б) квартире
22) Когда и кем допрошен в первый раз	ни кем нет
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно	
24) Место жительства перед арестом	Тифлис цинобарная 34.

Подпись заключенного Л. Кецховели

«3» марта 1923 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдел XI Армии

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем) четко, разборчиво, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок

სსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 8.

ოპერატიული დადგენილებების მემორანდუმები (ამონარიდები) [2]

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი - აზნაური, დაამთავრა გორის პროპორშჩიკთა სკოლა, მსახურობდა ძველ არმიაში, ასევე - მენშევიკების დროს ქართულ მე-8 პოლკში, ლეიტენანტად.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე, სანდო პირი.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი ცხოვრობს ღუნიბის ქ. N34-ში, 25 წლის, დაბადებული ქუთაისში, ყოფილი ოფიცერი, მენშევიკურ არმიაში მსახურობდა შტაბში კაპიტნად, ამჟამად არ მსახურობს, არანაირი საქმიანობით არ არის დაკავებული. 1-ელ ქართულ პოლკში იყო ოცეულის მეთაური. მამამისი - ირაკლი ივანეს ძე არის სახალხო სასამართლოს არქივარიუსი, აზნაური. მთელი ოჯახი არისტოკრატიული წარმომავლობისაა.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 6/XII.

ჩვენი საუბარი შეწყვიტა ქართველი ოფიცრის გამოჩენამ, რომელიც ბერიკაშვილად გამეცნო. იგი არის საშუალო სიმაღლის, მკვრივი აგებულების, ახალგაზრდა, 23-24 წლის, წვერგაპარსული, მოკლე ულვაშით, ეცვა ინგლისური მოკლე ფარაჯა და ჩექმები, აქვს შავი, გრძელი თმა.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 13/XII.

ლელო კლიმიაშვილი იყო მეკავშირე ლაშქარაშვილის ბანდასა და სამხედრო ცენტრს შორის. კავშირს აწარმოებდა უშუალოდ თვითონ ან აბულაძის და კვალიაშვილის (იმყოფება N2 გამასწორებელ სახლში) მეშვეობით.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 17/XII.

როგორც კი დავასრულეთ საუბარი, ფანჯარაზე ვიღაცამ დააკაკუნა, ნარიკელაძემ შემოსვლა სთხოვა და თქვა, რომ ჩვენი კაცი მოვიდაო. შემოვიდა ქართველი ოფიცერი, რომელიც მანამდე ბერიკაშვილად გაგვეცნო, მაგრამ ამჯერად სულ სხვა გვარი თქვა, კარგად ვერ გავიგონე, რა გვარი, მაგრამ ბერიკაშვილი ნამდვილად არ უთქვამს. ნარიკელაძემ მას ჰკითხა, „დღეს წახვალთ მარიასთან“, მან უპასუხა: „როგორც მიბრძანებთ“. მეტი საუბარი აღარ ჰქონიათ და შევამჩნიე, რომ ისინი ჩემს წასვლას ელოდნენ.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 20/XII.

მეორე დღეს შევხვდი ძველ ნაცნობებს, ყოფილ ოფიცრებს: პავლე ჩიქოვანს და ლელო

2 ᲡᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 10-17.

კლიმიაშვილს, რომლებმაც ფრთხილი გამომეტყველებით მითხრეს, რომ მათ შესთავაზეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არსებულ ორგანიზაციაში მუშაობა. საუბრიდან გამომდინარე, ვეჭვობ, რომ ეს ორგანიზაცია არის იგივე ორგანიზაცია, როგორიცაა „ფაშისტები“. როგორც მათ მითხრეს, ჯერჯერობით ორივე უარს ამბობდა. ეს შემოთავაზება მიიღეს კლიმიევის მხრიდან, რომელმაც შეძლო დაემყარებინა კავშირი ჩოლოყაევთან.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 20/XII.

ლელო კლიმიაშვილი - 25 წლის, დასაოჯახებელი, ოფიცერი 1916 წლიდან, მსახურობდა მე-6 ქვეით პოლკში, საბჭოთა ხელისუფლების დროს არ მსახურობს.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 31/XII.

კლიმიაშვილი ყვებოდა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს 3 კვირის წინ შეტაკება ჰქონდა სადგურ გურჯაანთან, სადაც დაიჭრა მისი უახლოესი დამხმარე და მარჯვენა ხელი ელიზბარ ვაჩნაძე.

მან და ვინმე ჩიქოვანმა თანამშრომლობის შესახებ წინადადებაც მიიღეს ჩოლოყაევისგან.

როდესაც „გიორგაძემ“ ქუთათელაძეს ჰკითხა, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოქმედებებს გადაიტანენ და მას წასვლა მოუწდება, ვისი მეშვეობით ექნება კავშირი, ქუთათელაძემ უპასუხა, ელიზბარ გულისაშვილის დახმარებითო.

„გიორგაძის“ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ჩიქოვანმა და კლიმიაშვილმა მიიღეს ზემოაღნიშნული შემოთავაზება თანამშრომლობაზე.

ჩიქოვანის მისამართი: მატინოვის 1, კლიმიაშვილის მისამართი: ღუნიბის 34.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 5/I.

კლიმიაშვილმა გვაცნობა, რომ ის კვლავ მენშევიკებთან მსახურობს და ეს უკანასკნელნი გაზაფხულისთვის გამოსვლებს ამზადებენ. მან თქვა, რომ ჩოლოყაევი მუღანლოდან აზერბაიჯანში გადავიდა და რომ მასთან ერთად მუშაობენ ნარიკელაძე და იასონ ჯავახოვი.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 10/I.

6 დ 8 რიცხვებში შევხვდი ლელო კლიმიაშვილს, საუბრიდან გაირკვა, რომ ნარიკელაძე უკვე კარგა ხანია, მინიმუმ გორის გამოსვლების დაგეგმვის დღიდან (1921 წლის სექტემბერი) მსახურობს მენშევიკებთან. სწორედ მისი მეშვეობით ხდებოდა აჯანყებულების სურსათ-სანოვაგით, იარაღით, საბრძოლო მასალითა და ფულით მომარაგება. ნარიკელაძის ზუსტი როლის დადგენა ვერ მოხერხდა, თუმცა კლიმიაშვილის სიტყვებიდან გამომდინარე, იგი ერთ-ერთი საკვანძო პირი უნდა იყოს.

სხვათა შორის, მან ისიც თქვა, რომ დადის ჭორები ნარიკელაძის ЧК-ს აგენტობის შესახებ, რაც, კლიმიაშვილისვე აზრით, ან მენშევიკების მტრების მიერ უნდა იყოს შეთითხნილი, ან პირიქით,

სამხედრო ცენტრის მხრიდან სპეცოპერაციის დონეზე წინასწარ დადგმული და მოფიქრებული, ვინაიდან, ჯერ ერთი, ნარიკელაძემ დეტალებამდე იცოდა გორის აჯანყების შესახებ, თუმცა ინფორმაციას არსად გაუჟონავს და მეორეც, თვით ამბოხის ხელმძღვანელი ლაშქარაშვილი გამოსვლების ჩავარდნის შემდეგ, გარკვეული პერიოდი მის ბინაში იმალებოდა, რის შემდეგაც, მისივე ხელშეწყობით, უპრობლემოდ გაემგზავრა კონსტანტინოპოლს.

ეს ყველაფერი უსიტყვოდ ამტკიცებს, რომ ნარიკელაძე ძალიან საიმედო პიროვნებაა.

კლიმიაშვილმა ასევე მითხრა, რომ ცენტრი მის წევრებს მოუწოდებს, ინტენსიური აგიტაცია-პროპაგანდა აწარმოონ წითელ არმიაში, რის გამოც მათ რიგებში ჩაწერას ურჩევს, რაშიც, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება კიდეც (გაიხსენა, რომ ადრე, ამ წესით თურმე მისთვისაც მიუცია რეკომენდაცია სამხედრო კომისარიატის შტაბის უფროსს, ვინმე ჟღენტს, რომელიც, სავარაუდოდ, თვითონაც ჩანერგილია ბოლშევიკებში). ასეთი შემთხვევების სიხშირეზე სხვა ოფიცრები ადრეც ბევრს მიყვებოდნენ.

დასასრულს, კლიმიაშვილმა გამიმხილა, რომ საქართველოში სპეციალური დავალებით ჩამოსულია მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრი ხომერიკი და გამიმეორა, რომ გაზაფხულისთვის დიდი ამბები იგეგმებოდა, რაზეც ნარიკელაძემ დაამატა, რომ ბოლშევიკების უსათუო დამარცხების შემდეგ, ხელისუფლებისთვის ბრძოლაში მენშევიკების ერთადერთ მოწინააღმდეგეებად ეროვნულ-დემოკრატები დარჩებოდნენ.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე", შეტყობინება 15/I.

14 რიცხვში, კლიმიაშვილთან სადილობისას, იგი მომიყვა გორის აჯანყების დეტალების შესახებ და რომ ცენტრში განსაკუთრებული როლი აქვს თურმე ვინმე ოფიცერ ჭაჭიას. მისი აღწერილობიდან გამომდინარე, სინამდვილეში, იგი შეიძლება იყოს მენშევიკური გვარდიის ყოფილი მოსამსახურე ჭაჭიაშვილი. მას ემორჩილება სტუდენტი-ახალგაზრდობა, რომელთაც ნარიკელაძის მეშვეობით აკონტროლებს. კლიმიევის თქმით, იარაღის საწყობი მდებარეობს ელიზბარის ქუჩის კუთხეში, კირიჩნიდან მარჯვნივ. ამ საწყობიდან აჯანყებულები აგვისტო-სექტემბერში იარაღით მარაგდებოდნენ. კლიმიევი საუბრობდა ოფიცერ პავლე ციციანოვზე, როგორ კარგ მომსახურე პირზე. როგორც ჩანს, ისიც იქ მუშაობდა.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), შეტყობინება 24/I.

ილოევი შეხვდა ნარიკელაძესთან მოკავშირე ოფიცერს (კლიმიევს), რომელიც ამბობდა, რომ ჩოლოყაევს ჰქონდა შეტაკება სოფ. აწყურთან (კახეთი). ელიზბარ ვაჩნაძის მკვლელობა არ დასტურდება, მისმა ახლობლებმა მიიღეს წერილი მისგან.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე", შეტყობინება 25/I.

კლიმიევმა იცის, სად იმყოფება იარაღის საწყობი ელიზბარის ქუჩაზე, თუმცა ამბობს, რომ მისთვის საწყობის ადგილსამყოფელი უცნობია. ამასთან, იგი ელოდა ხალხს კირიჩის და ელიზბარის ქუჩების კუთხეში, რომლებთან ერთადაც წავიდნენ საწყობისკენ, ხოლო ამის შემდგომ ბაგრატიონ-

მუხრანსკიმ მიიღო იარაღი.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 28/I.

კლიმიაშვილმა შეხვედრისას მაცნობა, რომ ქართულ დივიზიაში მიღებაზე განცხადება შეუტანია, რაშიც მას სამხედრო კომისარიატის შტაბის უფროსი დახმარებია. იგი ახასიათებს მას, როგორც საიმედო პიროვნებას.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 2/II.

ჩემ მიერ ადრე მოკავშირედ დასახელებული ოფიცერი კრემნიაშვილი კი არა, კლიმიაშვილია. ნარიკელაძემ გუშინ იგი დამიხასიათა, როგორც ძალიან აზრიანი და შეუპოვარი ოფიცერი, ჩოლოყაევის ერთგული. გასულ წელს კლიმიაშვილს სურდა წასულიყო ჩოლოყაევის ბანდაში, მაგრამ ნარიკელაძემ შეაჩერა.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 2/II.

9 თუ 10 რიცხვში, საღამოს, ნარიკელაძის სახლის შესასვლელთან კლიმიაშვილი შემეფეთა და ბინაში ერთად შევედით. მასპინძელი შინ დაგვხვდა. მან კლიმიაშვილისგან გაიგო, რომ ოზურგეთში მოკლეს რაიონის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე და ორი ქართველი ოფიცერი, რომლებიც დუშეთში ჩოლოყაევის რაზმის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის აქტიური მონაწილეები იყვნენ. ის ხაროობდა, რომ სახალხო ტერორი უკვე დაწყებულია და მათ ცალკე აქვთ გამზადებული შემდგომში გასანადგურებელ პირთა სია.

ამასთან, ნარიკელაძე ამბობდა, რომ აჯანყება აუცილებლად იქნება გაზაფხულზე, რისთვისაც მთლიანობაში ყველაფერი მზადაა. ყველაზე უკეთესი სიტუაცია გურიაში გვაქვს, ოდნავ უარესი კახეთში, ხოლო ყველაზე სუსტი რგოლი ქართლია (გორის მაზრა).

მისი თქმით, საზღვარგარეთიდან ახალი დირექტივები ჩამოიტანა ხომერიკმაც.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 14/II.

10 და 13 თებერვალს მოხერხდა და შევხვდი კლიმიაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ რამდენჯერმე ნახა ნარიკელაძე და მისი თქმით უკვე მალე, გაზაფხულისთვის დაიწყებოდა საყოველთაო - სახალხო აჯანყება, რომელსაც შემოუერთდებოდა აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასიაც და რომ ამ მიმართულებით დაუღალავი მუშაობა მიმდინარეობდა.

კლიმიევი მე ასე წარმომიდგენია: იგი არის ოფიცერთა გარკვეული ჯგუფის ინფორმატორი, იღებს დავალებებს ნარიკელაძისგან. კლიმიევისგან გავიგე, რომ გასული წლის გაზაფხულზე მიხეილ ნაცვალოვი შეუერთდა ჩოლოყაევს იმ ჯგუფთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ელიზბარ ვაჩნაძე. ამის შემდგომ ეს ნაცვალოვი რაღაც პერიოდი იყო ფავლენოვთან და ამის შემდგომ ისევ დაბრუნდა ჩოლოყაევთან და ამ დრომდე მასთან იმყოფება. ნაცვალოვს მისი ნაცნობი ოფიცრები

ახასიათებენ, როგორც არაჩვეულებრივ და მამაც ოფიცერს.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 22/II.

10 საათზე ნარიკელაძესთან კლიმიაშვილი შევიდა და აცნობა, რომ ჩოლოყაევი თავს დაესხა თელავის ადმინისტრაციას, დაიკავა შენობა, ამოიღო სამხედრო აღჭურვილობა და დააპატიმრა რამდენიმე გამოჩენილი ბოლშევიკი. ნარიკელაძემ თქვა, რომ ამ თავდასხმის ინიციატორი იყო თავად ჩოლოყაევი, თუმცა ამ უკანასკნელს ცენტრთან კავშირი სულ ჰქონდა. ასევე თქვა, რომ ამის შესახებ სასწრაფოდ უნდა ეცნობებინათ გურიაში, რათა მათაც დაეწყოთ რეალური საბრძოლო მზადება და მოქმედებები.

ნარიკელაძემ ასევე თქვა, რომ ჯულფის რაიონში თათართა ბანდამ დაიწყო აქტიური მოქმედებები. კლიმიაშვილმა ეს დაადასტურა და აღნიშნა, რომ თავისი თვალით ნახა, როგორ იტვირთებოდა სამხედრო ნაწილები და რომ ტიფლისშიც ვორონცოვკის ორი ბანდა, რომელთაც მეფის გვარდიის ყოფილი ოფიცერი, ვინმე ივანე ივანოვი მეთაურობდა - უკვე მზაობაში იყო. ამ უკანასკნელს კავშირი ჰქონდა ჯულფაში განლაგებულ თათრების ბანდასთანაც. ივანოვს ვიცნობ, იგი იყო ტვერის პოლკის ასეულის მეთაური, მამამისი ყოფილი გენერალია.

ნარიკელაძემ დაავალა კლიმიაშვილს, 12 საათისთვის მასთან გაევლო და ამ დროისთვის უკვე დაზუსტებით ეცოდინებოდა დეტალური ცნობები ბანდების მოქმედებების შესახებ.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 25/II.

ნარიკელაძემ კლიმიაშვილს აუწყა, რომ სამშაბათს, დილის 8 საათზე კახეთში მიემგზავრებოდა (გურჯაანში პატარა მამული ჰქონდა, რომელიც მისი მეუღლის იყო), მოინახულებდა მამულს და ასევე სხვა საქმეც ჰქონდა, სურდა გაერკვია ჩოლოყაევის მდგომარეობა და ზოგადად კახეთში არსებული სიტუაცია. მას უნდოდა კლიმიაშვილის თან წაყვანა, რომელიც ჩოლოყაევთან გარკვეული დავალებით წავიდოდა.

კლიმიაშვილის აღწერილობა: საშუალოზე დაბალი, 23-24 წლის, საშუალო აღნაგობის, აქვს მოგრძო სახე, პატარა შავი შეკრეჭილი ულვაში, გაპარსული სახე, შავი თვალ-წარბი, გადავარცხნილი შავი თმა. აცვია მეტალისღილებიანი ინგლისური პალტო და ჩექმები, ახურავს ქუდი. აქვს შეშუპებული თვალები, შავგვრემანი პირისახე.

კლიმიაშვილი, სავარაუდოდ, გურჯაანის სადგურში არ ჩამოვა, რამდენადაც ნარიკელაძემ თქვა, რომ მას გააგზავნის თელავში.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 3/I-1923 წ.: [3]


გორის აჯანყების დროს ლევან კლიმიაშვილი იყო მეკავშირე სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელსა და მენშევიკების ცეკას წევრის, „ავთანდილ“ ფაღავას შორის.

კლიმიაშვილი 1922 წელს, მთელი პერიოდი ისწრაფვოდა ჩოლოყაევის ბანდასთან მისვლას, მაგრამ მე ვაჩერებდი. იგი ახლო მეგობარია ელიზბარ ვაჩნაძის, რომელიც თავისი პოლკით იმყოფებოდა ჩოლოყაევის ბანდაში. ფინანსური სახსრების არქონის გამო, მან დამოუკიდებლად წასვლა ვერ მოახერხა, ხოლო იცოდა რა, რომ 27 თებერვალს მე მივდიოდი გურჯაანში, კლიმიაშვილმა მთხოვა, ისიც თან წამეყვანა. მას ჩოლოყაევის ნახვა სურდა.

მე ორჯერ გავაგზავნე კლიმიაშვილი ვარდენ წულუკიძესთან, პირველად - გამეგო, მისი ჯანმრთელობის შესახებ, რამდენადაც იგი ავად იყო, ხოლო მეორედ გავგზავნე იმის შესატყობინებლად, რომ მასთან მისვლა არ შემეძლო და ბოდიშს ვუხდიდი ამის გამო.

ჩვენების სისწორეს ვადასტურებ: **ნარიკელაძე.**

ასლი დედანთან სწორია.



ПОКАЗАНИЯ НАРИКЕЛАДЗЕ ИВАНА ИВАНОВИЧА 18
от 1 Марта 1923 года.

О КЛИМИЕВЕ.

По время Горийского восстания КЛИМИАШВИЛИ Леван являлся связью между Симоником БАГРАТИОН-МУХРАНСКИЙ и членом ЦК меньшевиков "Автандилом" ПАГАВА.
В 1922г. КЛИМИАШВИЛИ все время рвался в банды ЧЕЛОКАЕВА я его останавливал. КЛИМИАШВИЛИ большой приятель Елизбара ВАЧНАДЗЕ по полку-Елизбар Вачнадзе находится в банде ЧЕЛОКАЕВА. Знал, что 27 февраля я еду в Гурджаани, КЛИМИАШВИЛИ просил меня взять его с собой, т.к. "он очень хочет повидаться с ЧЕЛОКАЕВЫМ", из-за отсутствия средств КЛИМИАШВИЛИ совместную поездку отложил. Два дня я посылал Климиашвили к Вардену Цулукидзе-первый раз узнать о его здоровьи-он был болен, а второй раз послал сообщить, что к Вардену ЦУЛУКИДЗЕ придти не могу-извиняюсь.

Правильность показаний удостоверяю: НАРИКЕЛАДЗЕ

С подлинным в е р н о:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 18.

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 18.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 27/II-1923 წ.: [4]

ჩოლოყაევთან არანაირი კავშირი არ მქონია. ა.წ. 25 თებერვალს რუსთაველის პროსპექტზე, როდესაც ვაგზალზე მატარებლის გასვლის შესახებ ინფორმაციის გასაგებად მივდიოდი, შევხვდი კლიმიევს და ვუთხარი, რომ საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად გურჯაანში მივდიოდი და თუ სურდა, შეეძლო აეღო უფასო ბილეთი და წამოსულიყო ჩემთან ერთად. კლიმიაშვილი დამთანხმდა და თან დასძინა: „თან, ჩოლოყაევსაც მოვინახულებო“, მაგრამ, როგორც ჩანს, კლიმიევმა უფასო ბილეთის აღება ვერ შეძლო, ფულადი სახსრები ბილეთისთვის მას არ გააჩნდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 27/II-1923 წ.: [5]

1922 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩოლოყაევის აჯანყებამ და ოფიცერთა შემადგენლობის დაპატიმრებამ ოფიცრებს შორის დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ეს მომენტი გათვალისწინებულ იქნა მენშევიკების მიერ. ამ დროს გავიგე, რომ ოფიცერთა ჯგუფი გაემგზავრა გორის მაზრაში ბანდის ორგანიზებისათვის. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი. ჯგუფის შემადგენლობიდან მახსოვს მხოლოდ ჩიქოვანი, სხვა გვარები არ მახსენდება. გორის აჯანყების წინ, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლში შედგა ბანდის მეთაურთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ფავლენოვი და მგონი, კასრაძე. ბანდისთვის წარდგენილი იყო: 1. ფავლენოვი - დუშეთის მაზრაში; 2. მოქმედებები გორის მაზრაში; 3. მოქმედებები დუშეთის მაზრაში.

გორის მაზრაში ჩემთან სანახავად მოსულმა სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მენშევიკების ცეკას სახელით შემომთავაზა გორისა და დუშეთის გაერთიანებული ბანდების ხელმძღვანელობა. მეკავშირე მენშევიკების ცეკასა და გორის აჯანყებულებს (პირადად ს. ბაგრატიონ-მუხრანელთან) შორის იყო ლევან კლიმიაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი). ბანდების ხელმძღვანელობის შემოთავაზებაზე უარი განვაცხადე. გორის აჯანყების ლიკვიდაცია მოხდა მენშევიკების ცეკას გადაწყვეტილებით, კავთისხევში გამოგზავნილ იქნა ადამიანი (ს. ბაგრატიონ-მუხრანელის თქმით), რომელმაც გადმოგვცა აჯანყების გაუქმების შეტყობინება. ამის შემდგომ გლეხები დაბრუნდნენ სახლებში, ხოლო ოფიცერთა დიდი ნაწილი, ამნისტირებულნი დაბრუნდნენ ტიფლისში.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 17/IV-1923 წ.: [6]

1923 წლის გაზაფხულზე ლევან კლიმიაშვილმა, ვაჩნაძის დავალებით, კახეთიდან გაიყვანა ოფიცერთა ჯგუფი, რომლებიც ჩოლოყაევთან მიდიოდნენ. კლიმიევისთვის მიწოდებული იყო კოდური სიტყვები და საგუშაგოს ადგილები, რომლებიც განლაგებული იყო ნავთლუღში. ამ ინფორმაციის ფლობამ მას გაუადვილა უპრობლემოდ გაეყვანა ეს ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიოდნენ:

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 20.
5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 21.
6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 33.

ჯამასპიშვილი, გვერდწითელი და ჩემთვის უცნობი პირები.

1921 წლის სექტემბერში კლიმიევმა ჩემი დავალებით გაარკვია, რა რაოდენობის ხალხი, იარაღი და ტყვიამფრქვევები იყო მიხაილოვის ქუჩაზე მდებარე ყოფილ სამხედრო სასწავლებელში. მე ამ ინფორმაციის გარკვევის შესახებ დავალება მიღებული მქონდა „ჩეკას“ მენშევიკების მიერ, ვინმე სტუდენტ „ნესტორის“ შუამავლობით.

ჩვენების სისწორეს ვადასტურებ: **ნარიკელაძე.**

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ჩვენება (ავტორი უცნობია, სავარაუდოდ, აგენტურული ინფორმაციაა) [7]

კლიმიევმა ორგანიზაციაში თავისი სამუშაო ჩოლოყაევისთვის ოფიცერთა გადმობირებით დაიწყო. გაიგო ქართული და რუსული ნაწილების პაროლები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ნავთლუღში. გაიყვანა მთელი ოფიცრების ჯგუფი გამშვებ პუნქტებზე კახეთისკენ (ამ ჯგუფიდან მხოლოდ ელიზბარ ვაჩნაძე დამამახსოვრდა). ამის შემდეგ მას ჰქონდა დავალება, გაერკვია მიხაილოვის პროსპექტზე მდებარე იუნკერთა შენობაში არსებული იარაღისა და ტყვიამფრქვევების რაოდენობა. მან ეს შეასრულა, ეს ყველაფერი ვიღაც გულუბრყვილო წითელარმიელისგან გაიგო. აქ მას რაღაც გაუგებრობა მოუვიდა მასთან მისულ სამხედრო კომისართან, რომელსაც თავდაპირველად მისი დაპატიმრება სურდა, მაგრამ შემდგომ გაათავისუფლა. ეს ორივე ფაქტი გასული წლის გაზაფხულზე მოხდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ლევან კლიმიაშვილის ჩვენება (თარიღი უცნობია) [8]

1922 წელს, ზუსტად დღე არ მახსოვს, ჩემთან მოვიდა ჩემი მეგობარი რეზო ჩიქოვანი, რომელმაც შემდეგი რამ მომიყვა: „დღეს დილას ჩამოვედი სოფლიდან. ტყეში, გლეხებთან ერთად, ლაშქარაშვილისა და სიმონ ბაგრატიონის მეთაურობით გავედით, მაგრამ ვიღაცამ გაგვცა და დავიშალეთ. მე აქეთ წამოვედი, მალე ჩამოვა სიმონ ბაგრატიონიც თავის ხალხთან ერთად და გთხოვთ, დაგვეხმარო, რადგან ჩვენ გამოჩენა არ შეგვიძლია“. გამიკვირდა და ვუპასუხე, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლო. მაშინ მან მე გამგზავნა ნარიკელაძესთან, რომელმაც სიმონ ბაგრატიონსა და მათ შორის მეკავშირეობა დამავალა. როდესაც სიმონ ბაგრატიონი ჩამოვიდა, ჩემი დახმარებით მოხდა მათი შეხვედრა. არ ვიცი, როგორ შეძლეს გლეხების დარწმუნება, მაგრამ მახსოვს, ერთხელ სიმონიკამ გადმომცა 500 000 მანეთი, რომელიც ორ პირს გადავეცი (მათი გვარები არ მახსოვს). ამით ეს საქმე მოგვარდა. შემდეგ ნარიკელაძემ გამგზავნა ვარდენ წულუკიძესთან თხოვნით, რომ საღამოს მოსულიყო კირიჩის ქუჩის კუთხეში. მისგან წავედი და 2-3 კვირის შემდეგ კვლავ შევხვდით გოლოვინის გამზირზე, რა დროსაც მას ვთხოვე, რომ შემოსავლის გარეშე ვიყავი და იქნებ, სადმე სამხედრო სამსახურში მოწყობაზე დამხმარებოდა. მან წერილი მისწერა ქართული

7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 34.
8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 22-23.

დივიზიის შტაბის უფროს მუსხელოვს, მაგრამ რამდენადაც პასუხი არ მოსულა, კერძო სამსახურში მომიწია მოწყობა. ამის შემდგომ ნარიკელაძეს შევხვდი და ვუთხარი, რომ სამხედრო სამსახურში არ ვიყავი. მან საღამოს 7 საათისთვის თავისთან დამიბარა, რა დროსაც გადმომცა ორი მილიონი და მითხრა: „აი, აიღე ეს თანხა, ვიცი, რომ ძალიან გჭირდება და როდესაც გექნება, მაშინ დამიბრუნებო“. თანხა გამოვართვი. მას არ უთქვამს, საიდან ჰქონდა ეს ფული. ორი კვირის შემდეგ ნარიკელიძე კვლავ შემხვდა და მასთან ერთად გურჯაანში წასვლა შემომთავაზა, მაგრამ მე უარი ვუთხარი. ამის მეტი მას არაფერი უთქვამს და ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მენშევიკი მიშა აბულაძე გორის აჯანყების მცდელობის შემდეგ გავიცანი. როდესაც გლეხები სიმონ მუხრანსკისთან მივიდნენ, მან მიშა აბულაძესთან თანხისთვის შატბერაშვილი და კიდევ ერთი პირი გამოგზავნა. სწორედ ამ დროს გავიცანი მიშა აბულაძე, რომელმაც მათ თანხა არ მისცა, მაგრამ მიცემას დაპირდა. ამის შემდეგ აბულაძეს მხოლოდ ორჯერ შევხვდი გოლოვინის გამზირზე. მისი სახლის მისამართია: კირიჩის N57 ან 47.

სიმონ მუხრანსკიმ მე აბულაძესთან გამგზავნა. ნარიკელაძე მენშევიკებთან აწარმოებდა კავშირს, ხოლო სიმონ მუხრანსკი იყო ლაშქარაშვილის (რომელიც დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა) თანაშემწე.

ლევან კლიმიაშვილი.

ასლი დედანთან სწორია.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის ჩვენება 5/III-1923 წ.: [9]

მენშევიკურ ორგანიზაციასთან კავშირი 1922 წლიდან დავიჭირე. რევაზ ჩიქოვანმა, რომელიც ლაშქარაშვილის დაჯგუფების წევრი იყო, ივანე ივანეს ძე ნარიკელაძესთან გამგზავნა. მე მივედი ნარიკელაძესთან და ვუთხარი, რომ ერთ-ერთი ოფიცერი, რომელიც გორში, ლაშქარაშვილის დაჯგუფებასთან გაემგზავრა, სთხოვდა მას რჩევას, როგორ მოქცეულიყო. ასევე გადავეცი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ხვალ“ ჩამოვიდოდა სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი. 2-3 დღის შემდეგ რევაზ ჩიქოვანისგან გავიგე, რომ სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი თბილისში ჩამოვიდა და გაჩერდა საკუთარ ბინაში, ოლგას ქუჩაზე, რაც დაუყოვნებლივ ვაცნობე ნარიკელაძეს. სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის ჩამოსვლიდან 2-3 დღის გასვლის შემდეგ, ჩემთან მოვიდა სამი გლეხი, როგორც ადამიანთან, რომელიც მუშაობდა სიმონიკა მუხრანსკისთან ან რევაზ ჩიქოვანთან. მათ სურდათ, მიმეცა რჩევა (როგოც ჩემთვის ცნობილია, ეს გლეხები გორის აჯანყების მცდელობაში მონაწილეები იყვნენ). მე ვერაფრით დავეხმარებოდი და ვურჩიე, დაბრუნებულიყვნენ უკან, სოფელში, მაგრამ მათ დაბრუნების ეშინოდათ. მაშინ მე ამის შესახებ სიმონ მუხრანსკის ვაცნობე, რომელმაც დამავალა, გადამეცა გლეხებისთვის თანხა 500 000 მანეთი და ისინი დაბრუნებულიყვნენ სოფელში. მათ აიღეს ეს თანხა და რადგან მაინც სურდათ სიმონ ბაგრატიონის ნახვა, მეორე დღეს მოხდა მათი შეხვედრა. ერთ-ერთმა გლეხმა სიმონ მუხრანსკის მიშა აბულაძის (მენშევიკი) მისამართი სთხოვა. მუხრანსკიმ მე დამავალა, წამეყვანა გლეხები მიშა აბულაძესთან მისამართზე - კირიჩის N47 თუ N57-ში. გლეხებმა მიშა აბულაძეს ფულთან დაკავშირებით დაუწყეს საუბარი, ხოლო მე დავემშვიდობე და წამოვედი. რამდენიმე დღეში გორის აჯანყების მოწყობაში მონაწილე გლეხების ამნისტირება მოხდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, კვლავ დამიბარა ნარიკელაძემ, მომცა ვარდენ წულუკიძის მისამართი და მთხოვა, გადამეცა მისთვის, რომ ის მას საღამოს 6 საათისთვის კირიჩის

9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 29-30.

ქუჩის კუთხეში დაელოდებოდა. რამდენიმე კვირის შემდეგ ნარიკელაძემ კვლავ გამგზავნა ვარდენ წულუკიძესთან შეხვედრის ადგილის გასარკვევად. წულუკიძე დილის 10 საათისთვის გოლოვინის გამზირზე, ხაზინის მიმდებარედ დაელოდებოდა. იმ დროის მონაკვეთში, როდესაც მე ნარიკელაძის დავალებებს ვასრულებდი, ნარიკელაძის სახლში შევხვდი ოფიცერს, რომლის გვარიც არ ვიცი. როგორც ნარიკელაძისგან გავიგე, ეს პირი დაზვერვას ხელმძღვანელობდა.

ჩვენება წავიკითხე და მის სისწორეს ვადასტურებ ხელმოწერით: **ლევან კლიმიაშვილი**.

დაკითხა: კონტრრევოლუციური განყოფილების უფროსი: **აშუკინი.**

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის ჩვენება 9/III-1923 წ.: [10]

ჩემს ჩვენებებში ვიცრუე მხოლოდ სამჯერ:

პირველი, როდესაც დავმალე კოლია ციციანოვის გვარი და მისი მოქმედებები. მეორე, არ ვისაუბრე ნარიკელაძის დავალებაზე იუნკერთა სასწავლებელთან დაკავშირებით და მესამე, მე გავიგე ოფიცრების ჩოლოყაევთან გადასვლის შესახებ, გადასვლიდან 3 დღის შემდგომ. ასევე ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მიცემული ყველა ჩვენება შეესაბამება სინამდვილეს.

ელიზბარ ვაჩნაძე მე არ გამიცილებია კავთისხევის გზაზე და დავემშვიდობე ყაზარმების სიახლოვეს. არანაირი კოდური სიტყვები არ გვქონია. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ნარიკელაძესთან, სავარაუდოდ, სიმთვრალეში დავიკვეხნე, თითქოსდა მე გავაცილე ვაჩნაძე და ხმალაძე, რომელთა წასვლის შესახებ იცოდა მხოლოდ უფროსმა ოფიცერმა - კოვზირიძემ. მათი წასვლის შესახებ მთავრობისთვის არაფერი მითქვამს, რადგან ისინი ჩემი ახლო მეგობრები არიან. კოვზირიძესთან ამ საკითხზე არანაირი საუბარი არ მქონია. ელიზბარ ვაჩნაძის მიერ დატოვებული წერილი კოვზირიძის (მე-6 რაზმის უფროსი) თანდასწრებით დავხიე.

გვერდწითელი და ჯამასპიშვილი ასევე მსახურობდნენ ჩვენს დანაყოფში ჩოლოყაევის წასვლამდე. ისინი უფრო ადრე მიიმალნენ, ვიდრე ელიზბარ ვაჩნაძე. ასევე მახსენდება, რომ გვერდწითელი დათხოვნილი იყო სამსახურიდან. აქვე ვადასტურებ, რომ ელიზბარ ვაჩნაძე და ხმალაძე ერთად წავიდნენ. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ ელიზბარ ვაჩნაძესთან ერთად წასვლს მე არ ვაპირებდი.

ლ. კლიმიაშვილი.

დაკითხა: **პეტროსიანმა.**
ასლი დედანთან სწორია.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის ჩვენება 27/IV-1923 წ.: [11]

ნარიკელაძეს ვიცნობ 1920 წლიდან, მე-8 პოლკში მსახურობის დროს ჩემი უფროსი იყო. ხოლო კონტრრევოლუციურ საქმიანობას რომ ეწეოდა, ამის შესახებ ჩემთვის 1921 წლის ბოლოსკენ გახდა ცნობილი. ეს ინფორმაცია გავიგე ადამიანისგან, რომელსაც ნარიკელაძემ თავად უთხრა, ამ პირის


10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 31.
11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 37

გვარი არის ჭაგუა ან ჭანია. მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მეტჯერ არ მინახავს. ნარიკელაძესთან 1922 წლის თებერვალში დავიწყე მუშაობა, ვასრულებდი მის მიერ მოცემულ დავალებებს, რომელთა შესახებაც წინა დაკითხვებზე უკვე მოგახსენეთ. აქვე დავამატებ, რომ გასული წლის სექტემბერში ნარიკელაძემ დამავალა გამერკვია, რა რაოდენობის იარაღი იყო იუნკერთა სასწავლებელში და რომელი სამხედრო დანაყოფი იმყოფებოდა იქ. თავიდან უარი განვაცხადე დავალების შესრულებაზე, მაგრამ შემდგომ მაინც წავედი და შევეცადე ინფორმაციის მოძიება. მობრუნებულმა ნარიკელაძეს მოვატყუე და ვუთხარი, რომ ინფორმაცია ვითომდა წითელარმიელისგან მივიღე. კონკრეტულად რა რაოდენობის იარაღი იყო იქ, მისთვის არ მითქვამს. მთელი ჩემი მუშაობის პერიოდში, ნარიკელაძისგან მხოლოდ 2 მილიონი მანეთი მივიღე. მოგახსენებთ, რომ 2-3 თვის წინ ბაგრატიონ-მუხრანელი და გოგიტა ფაღავა მე არ გადმომიყვანია. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც ნარიკელაძემ დამავალა წამეყვანა „ვანო“ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან, რომელიც ჩამოსული იყო გორიდან.

ოფიცრების გადაბირებას მე არ ვახდენდი, ჩოლოყაევთან ოფიცრები არასდროს მიმიყვანია და არც მსგავსი სახის დავალება მიმიღია. ჩოლოყაევის დაჯგუფებასთან მთელი ჩემი ურთიერთობა გამოიხატებოდა ელიზბარ ვაჩნაძის მიერ ჩოლოყაევის ბანდისთვის ჩემთან დატოვებული წერილით, რომელშიც ის წერდა, რომ დაპატიმრებების დაწყების გამო შეუძლებელი იყო თბილისში დარჩენა.

კლიმიაშვილი.

დაკითხა: **პეტროსიანმა.**



ПОКАЗАНИЯ

37

I/ НАРИКЕЛАДЗЕ знаю с 1920 года, был моим командиром полка /8-ой Грузин./. Что он занимается контр-разведкой я узнал в конце 1921 года. Узнал от одного типа, которому говорил НАРИКЕЛАДЗЕ, что он занимается контр-разведкой работой. Фамилия этого типа ЧАГУА или ЧАНИЯ. После я его не встречал. К НАРИКЕЛАДЗЕ я заходил часто. /1 неделю раз и реже/. Цель моего хождения к НАРИКЕЛАДЗЕ была - желание получить от него работу для поддержания семьи. Работать я начал у НАРИКЕЛАДЗЕ с февраля /приблизительно/ 22 года. Был я у него для поручений или для связи. О поручениях данных мне НАРИКЕЛАДЗЕ я уже показывал. Добавляю еще: в сентябре прошлого года НАРИКЕЛАДЗЕ дал мне задание выяснить число орудий в здании быв. Гимназии училища, какая часть стоит и что у них имеется, я сперва отказался, после пошел, проехался мимо училища, не сумев чего нибудь узнать. Вернувшись обратно к НАРИКЕЛАДЗЕ, я сказал ему, что сведения удалось добыть через кр-ца, и случай с военкомом. Конкретно о количестве орудий я ему не говорил. За свою работу я от НАРИКЕЛАДЗЕ за все время получил 2 мил. рублей, месяца 2-3 тому назад БАГРАТИОНА-МУХРАНСКОГО к Гогите НАГАЛА я не водил. Был такой случай: НАРИКЕЛАДЗЕ велел мне отвезти "ВАНО" к БАГРАТИОНУ-МУХРАНСКОМУ, приехавшему на Гори.

2/ Вербовкой офицеров к ЧХЕИДЗЕ я не занимался. Офицеров к ЧХЕИДЗЕ ни разу не проводил. Поручений такого рода не получал. Все мои сношения с бандой ЧХЕИДЗЕ исчерпываются одним письмом, оставленным КЕЗЕРАШВИЛИ при уходе в банду, в котором он писал о невозможности остаться в Тифлисе, ввиду начавшихся арестов. К сему КЛИМИАШВИЛИ.

Допросил ПЕТРОСЯН.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 37.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის ჩვენება 30/IV-1923 წ.: [12]

წინა ჩვენებების დასაზუსტებლად მოგახსენებთ: სამი გლეხი - გორის აჯანყების მცდელობაში მონაწილენი ჩემთან მოიყვანა კოლია ციციანოვმა, რომელიც მაშინ გავიცანი. იგი არის შავგვრემანი, 20-21 წლის, არსად არ სწავლობს, აცვია ინგლისური ფარაჯა. ვისი დავალებით მოიყვანა ისინი ჩემთან ციციანოვმა, არ ვიცი, მაგრამ ვვარაუდობ, რომ მუხრანსკი ან ჩიქოვანი იქნებოდა, რომელთაც იცოდნენ ჩემი ნარიკელაძესთან კავშირის შესახებ.

აბულაძესთანაც ციციანოვმა წაგვიყვანა, ხოლო წინა ჩვენებაში, სადაც აღვნიშნავ, რომ მისამართი მუხრანსკიმ გვითხრა, არასწორია და გთხოვთ, შეასწოროთ. აბულაძესთან შევედით მე, გლეხები და კოლია ციციანოვი. მანვე გამაცნო აბულაძე. შევამჩნიე, რომ აბულაძე უკმაყოფილო იყო ჩემი იქ ყოფნით და წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ შემხვდა ერთ-ერთი გლეხი, რომელმაც მითხრა, რომ აბულაძეს არ მოსწონდა ჩემი ამ საქმეში მონაწილეობა. ამ დროს მე გიორგი და კონსტანტინე გაბაევებთან ერთად გვითხრა.

როგორც აღვნიშნე, პირველად ციციანოვმა მოიყვანა ჩემთან გლეხები და თავიდან ისიც გლეხად მივიჩნიე. მისი ვინაობის შესახებ შემდგომი მოსვლისას გავიგე, როდესაც ვკითხე, ვინ იყო და ვისი დავალებით მოიყვანა გლეხები ჩემთან. მაშინ მითხრა, რომ ციციანოვი და გორის შეთქმულთა დავალებით მოქმედებდა. შემდგომში მას კიდევ ორჯერ შევხვდი, ოლგას და გოლოვინის ქუჩებზე. მახსენდება, რომ იგი იყო საშუალო სიმაღლის, საშუალო აღნაგობის, მოკლე ულვაშებით, ეცვა ინგლისური ფარაჯა. სტუდენტია თუ არა, არ ვიცი. ასევე ვადასტურებ მუხრანსკის მიერ გლეხებისთვის თანხის გადაცემის ფაქტს.

დიმიტრი (მიტო) დავითის ძე გვარამაძეს ბავშვობიდან ვიცნობ. ერთ-ერთი შეხვედრის დროს გორის აჯანყების მოწყობის თაობაზე ვისაუბრეთ. ის მატინოვის და ღუნიბის ქუჩების უთხეში ცხოვრობს, არაფერს არ აკეთებს, შესაძლოა სტუდენტია, რადგან სტუდენტურ მოსასხამს ატარებდა. მასთან ხშირად არ მიხდებოდა შეხვედრა და იყო თუ არა ორგანიზაციის წევრი, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

ჩემი სურვილიდან გამომდინარე, წავსულიყავი ელიზბარ ვაჩნაძესთან, რომელიც ჩოლოყაევის ბანდაში იყო, ვამტკიცებ, რომ ამის შესახებ მხოლოდ ნარიკელაძემ იცოდა, რომელიც ამ მომენტისთვის გურჯაანში მიდიოდა და შემომთავაზა მასთან ერთად გამგზავრება. მე, ვითომდა ფული არ მქონდა, უარი ვთქვი წასვლაზე, რამდენადაც იქ საქმე არაფერი მქონდა. იმასთან დაკავშირებით, რომ ბაგრატიონ-მუხრანსკი და გოგია ფაღავა მე წამოვიყვანე, ვაცხადებ, რომ მე ფაღავას მისამართი არ ვიცოდი. შესაძლოა, მუხრანსკიმ მიიყვანა მენშევიკი „ვანო“, რომელიც ნარიკელაძის დავალებით მე მივიყვანე მუხრანსკისთან.

პავლე ჩიქოვანი - ოფიცერი, სად ცხოვრობს, არ ვიცი. მას რამდენჯერმე შევხვდი. მუშაობს თუ არა, ან შესთავაზეს თუ არა რაიმე სამსახური, ამაზე არაფერი ვიცი.

იმის შესახებ, რომ ჩოლოყაევს ჰქონდა შეტაკება, სადაც ვაჩნაძე დაიჭრა, მოვუყევი კონსტანტინე ბაბაევს. თავად კი გავიგე ელიზბარ ვაჩნაძის მამისგან.

იარაღის საცავის შესახებ იცის შალიკო კვალიაშვილმა, ასევე შეიძლება იცოდეს ნარიკელაძე მაც.

კლიმიაშვილი.

დაკითხა: **პეტროსიანმა.**

12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 35-36.

ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის ჩვენება 18/V-1923 წ.: [13]

ნიკოლოზ ციციანოვისგან ნამდვილად მივიღე 500 000 მანეთი, რომელიც მას აბულაძემ გლეხებისთვის გადასაცემად მისცა და მეც გადავეცი ეს თანხა გლეხებს.

გლეხები ციციანოვის შემდეგ ჩემთან ნამდვილად მოვიდნენ. მათ აბულაძესთან შეხვედრა სურდათ და მე ისინი მასთან მივიყვანე.

ამის შემდგომ აბულაძე აღარ მინახავს და მასთან არანაირი კავშირი აღარ მქონია.

ლაშქარაშვილის ბანდაში მისვლას მე არ ვაპირებდი.

ლ. კლიმიაშვილი.

დავკითხე: **პეტროსიანმა.**

ასლი დედანთან სწორია.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის ჩვენება 21/V-1923 წ.: [14]

1922 წლის სექტემბერში ოლგას ქუჩაზე კლიმიევმა ბანდის ხელმძღვანელ კასრაძეს შემახვედრა. ორი დღის შემდეგ ნარიკელაძეს შევხვდი. მან მითხრა, რომ იგი მოვა ჩემთან ორ პირთან ერთად, რომელთაც აუცილებელ საქმეზე უნდა ელაპარაკოს. საღამოს ჩემს სახლში მოვიდა ნარიკელაძე კასრაძესა და გეგენო ფავლენოვთან ერთად. ნარიკელაძემ მათთან ფულის გადაცემასა და ბანდის აღჭურვილობაზე ისაუბრა. მე მათ საუბარში არ ჩავრეულვარ. ამ შემთხვევის შემდეგ, არც კასრაძე და არც ფავლენოვი მინახავს. ფული ფავლენიშვილს და კასრაძეს მენშევიკებისგან უნდა მიეღოთ.

დაკითხვის ოქმი დაწერილია ჩემი სიტყვებით. მის სისწორეს ვადასტურებ ხელმოწერით: ბაგრატიონ-მუხრანსკი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის ჩვენება 25/V-1923 წ.: [15]

თბილისში ჩამოსვლისას, კლიმიევის დახმარებით, ისმაილოვის ქუჩაზე შევხვდი გოგიტა ფაღავას, აღვუწერე მას სიტუაცია და ვკითხე, როგორ მოვქცეულიყავი. ფაღავამ თქვა, რომ წერილი დანაყოფის დაშლის შესახებ მას არ გამოუგზავნია და სავარაუდოდ, რაღაც გაუგებრობა იყო. მან მირჩია ფავლენოვთან წავსულიყავი.

ბაგრატიონ-მუხრანსკი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 42.
14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 40.
15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 39.

ამონაწერი[16]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი, 26 წლის, ყოფილი ოფიცერი, ყოფილი აზნაური, საქართველოს წითელი არმიის I პოლკის ოცეულის ყოფილი უფროსი.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილს, 26 წლის, ყოფილ ოფიცერს, ყოფილ აზნაურს, საქართველოს წითელი არმიის I პოლკის ოცეულის ყოფილ უფროსს, ანტანტის კონტრდაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობის, ჩოლოყაევის დაჯგუფებაში გადაბირების მიზნით სამხედრო მოსამსახურეთა წახალისების და მის წევრებსა და სამხედრო ცენტრს შორის მეკავშირეობისათვის **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 43.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширенного заседания Коллегий Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.
43
Под председательством Предзакчк тов. МЕЖЛАУКСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ/МАЛИНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИЯ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

Слушали: | Постановили:

Докладчик тов. АШУКИН:

1-Дело Военной организации анти-советских партий, по обвинению:

14/КЛИМИАШВИЛИ Левана Аракдиевича, 26 лет, б.дворянина, б.офицера Комвзвода 1 полка Грузкрасармии.

1-За организацию заговора против Советласти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству - ПОСТАНОВЛЕНО:
14/ КЛИМИАШВИЛИ Левана Аракдиевича, 26л, б.дворянина, б офицера, Комвзвода - полка Грузкрасармии, исполнял поручения шпионского характера контр-разведки Ант. К-та. По заданиям [illegible] переотправил к Челокаеву группу офицеров. Служил связью между членами Военнаго Центра - РАССТРЕЛЯТЬ.-
Приговор привести в исполнение в 24-х часовой срок.-

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЙСОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23508. ტ. 1. გვ. 43.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი


(1881 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23507, 1 ტომი, 79 გვერდი.

<u>საქმეში არსებული დოკუმენტაცია:</u>

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- საქმე-ფორმულარი;
- დადგენილებები;
- პატიმრის დაკითხვის ოქმი;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- მემორანდუმები;
- პატიმრის ჩვენებები;
- სამსახურებრივი მიმოწერა;
- ქვითარი;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 2.

ალექსანდრე მაჭავარიანი

„...შემობრუნდა კომენდანტი მხლებლებით და მიადგა კამერა N5-ს. „ისევ დაკითხვა...რა დროს დაკითხვაა, ოხრებო!...” - ამ სიტყვებით პოლკოვნიკმა მაჭავარიანმა დაიწყო ნელა ჩაცმა ბუზღუნით და თან ერთ-ერთი მარში დაუსტვინა „ჩქარა, ჩქარა, - უძახოდა კომენდანტი. რას ნიშნავს ჩქარა - ოხრებო, მოიცადეთ და ნახავთ. კომენდანტმა უბრძანა მცველებს გამოეყვანათ; მაგრამ პოლკ. მაჭავარიანი თვით გამოვიდა: „აი მზათ გახლავართო” და მარშის სტვენით გაემართა კარებისკენ დარაჯების თანხლებით...”

/ალ. ხიმშიაშვილის მოგონებებიდან/.

„...ჩვენ არ გიპირებდით შებრალებას და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას, ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა...”

ალექსანდრე მაჭავარიანი.

ამ სიტყვებით მიმართა მან ჯალათებს სიკვდილით დასჯის წინ.



„...ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, პირველი პოლკის მეთაურის თანაშემწე, 42 წლის, დაბადებული დაღესტანში, ოფიცერი 1905 წლიდან. დაამთავრა თემირ-ხან-შურინის რეალური სასწავლებელი და ტიფლისის იუნკერთა სასწავლებელი. ძველ არმიაში გაიარა თანამდებობები, უმცროსი ლეიტენანტიდან პოლკის მეთაურის თანაშემწეობამდე, აქვს ყველა ძველი ჯილდო გიორგის იარაღის ჩათვლით. ცხოვრობს ოლგას ქ. N40-ში, უყვარს ბუზღუნი. მენშევიკების დროს ლანძღავდა მთავრობას და მათ პოლიტიკას. იგივე ქმედებაში შეიმჩნევა საბჭოთა ხელისუფლების მიმართაც...”

/აგენტურული ცნობები./

საქმის მასალების მიხედვით

როგორც ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის N136 ანკეტაში ჩანს, ერთი წლით ადრე იგი იყო დაპატიმრებული და მის მიმართ აღძრული იყო საქმე. ძველი საქმის მასალები ასევე თან ერთვის აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს.


1922 წლის საქმის მასალები

ამონარიდი ქართული საბჭოთა პოლკის კომისიის შემადგენლობის დახასიათებიდან: [1]

მაჭავარიანი - პოლკის მეთაურის თანაშემწე, კარგი აღნაგობის, სამეურნეო ნაწილის უფროსის მეგობარი, საბოტაჟის მომწყობი, ლოთი, მსოფლმხედველობით მონარქისტი.

5/IV – 22 წელი.

ასლი დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი: ხელმოწერა.


Копия. 16

ВЫПИСКА

Из ХАРАКТЕРИСТИКИ КОМИССИИ 1 ГРУЗИНСКАГО СОЛДАТА.

Начальник-Помкомполка, Хороший строевик, друг Нежхова, саботажник, пьяница, по мировоззрению монархист.

Военком/подпись/. 5/IV-22 года.

С подлинным верно: Делопроизводитель Осведота

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 16.

აგენტურული ცნობა[2]

დაზვერვაზე უფლებამოსილ პირს ***ასლი***

რაპორტი

თქვენი დავალების თანახმად, კერძოდ, 1-ელი პოლკის უფროსის თანაშემწის, მაჭავარიანის პიროვნების დადგენის თაობაზე, მოგახსენებთ, რომ მაჭავარიანი ნამდვილად არის 1-ელი ქართული პოლკის უფროსის თანაშემწე. ძველი ოფიცერი პოლკოვნიკის წოდებით, მენშევიკების მმართველობის დროს იყო ასევე პოლკის უფროსის თანაშემწე. ჰყავს ძმა ჟორჟიკა მაჭავარიანი, ასევე ყოფილი ოფიცერი, რომელიც ამ მომენტისთვის იმყოფება ტიფლისში, მაგრამ სად მსახურობს, არ ვიცი და რომელსაც პირადად ვიცნობ ბავშვობიდან, ქ. თელავიდან. არიან გენერალ-ლეიტენანტის

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. გვ. 16.
2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. გვ. 17-18.

ვაჟები (დედა ჰყავთ რუსი), ცხოვრობდნენ ქ. თელავში, მაგრამ ამჟამად ყველა ცხოვრობს ქ. ტიფლისში. მამა გარდაეცვალათ ძალიან დიდი ხნის წინ, ბავშვები დარჩნენ ძალიან პატარები და ისინი გაზარდა დედამ კადეტთა სასწავლებელში. ეს ყველაფერი მე ქ. თელავიდან ვიცი, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ახლობლებთან ერთად ვცხოვრობდი. რაც შეეხება ალექსანდრე მაჭავარიანის ამჟამინდელ პოლიტიკურ შეხედულებებს, მისი ნაცნობების წრეს, შემიძლია ვთქვა შემდეგი: 5 აპრილს წავედი პირველ პოლკში, სადაც შევხვდი ნაცნობს (ყოფილ ოფიცერს), რომელთანაც დავიწყე საუბარი, რომ მინდოდა შევსულიყავი მათთან პოლკში. აქედან გამომდინარე, დავუწყე გამოკითხვა, ვინ იყო პოლკის ხელმძღვანელი, კომუნისტი იყო თუ არა და ა.შ. ამაზე მან სიცილით მიპასუხა, რომ ხელმძღვანელი ყოფილი მეწაღე იყო. მაგრამ როდესაც პოლკის ხელმძღვანელის თანაშემწის, მაჭავარიანისა და მისი შეხედულებების შესახებ ვკითხე, მან იგი ძალიან აქო და თქვა, რომ ის მხურვალე მონარქისტი იყო. შემდეგ თქვა, რომ ცოტა ხნის წინ მათ ჰქონდათ თათბირი, სადაც პოლკის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მართალია, კარგი თანაშემწე მყავს, მაგრამ მხურვალე მონარქისტიაო. როდესაც მე ჩემს თანამოსაუბრეს ვკითხე, როგორ მიიღო ეს ყველაფერი მაჭავარიანმა, მიპასუხა, რომ მისთვის სულერთია და ალბათ, მალე წავა, რადგან პოლკის ხელმძღვანელთან ხშირად კამათობსო. ჩემი თანამოსაუბრე ასევე ამბობდა, რომ ცოტა ხნის წინ პოლკში ჰქონდათ განგაში, პოლკის ხელმძღვანელი მაუზერით ხელში გარბოდა და ყოფილ ოფიცრებს შემდეგი სიტყვებით ემუქრებოდა: „მე თქვენ ყველას გიჩვენებთო“.

ეს იყო საცდელი განგაში და ყველა ყოფილი ოფიცერი შეხვდა ძალიან მოუმზადებლად, მოქმედებდნენ ზანტად.

6/IV – 22 წ.

სწორია: დაზვერვის უფროსი საქმისმწარმოებელი.

1922 წლის 7 აპრილს საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N4416 ორდერი, რომლის მიხედვითაც ЧЕКА-ს კომისარს, ვინმე ტრუსილაძეს ევალებოდა ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის დაპატიმრება და ოლგას ქ. N40-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.


Чрезвычайная Комиссия Грузии по борьбе с контр-революцией, спекуляцией преступлениям по должности, шпионажем и бандитизмом

20

ОРДЕР №4416

От "7" апреля 1922

Выдан Комиссару Чека

на производство

по адресу

Обыск

Справка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 20.

იმავე დღეს საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N4416 ორდერის საფუძველზე, შედგა ჩხრეკის ოქმი.[3] ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, მაჭავარიანის ბინაში ვერაფერი აღმოაჩინეს.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის მიმართ შედგა ანკეტა N1394.

Ч.К.Г. Ч.К.Г. - სთვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის **ანკეტა N1394** **ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა**	
კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	მაჭავარიანი.
2) ***სახელი, მამის სახელი***	ალექსანდრე მიხეილის ძე.
3) ***მოქალაქეობა***	საქართველოს რესპუბლიკა.
4) ***ჩაწერის ადგილი***	ტიფლისის გუბერნია, თელავის მაზრა.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	40 წლის.
7) ***განათლება***	რეალური სასწავლებელი და სამხედრო სასწავლებელი.
8) ***ოჯახი***	***დედა:*** 73 წლის, გლიკერია დიმიტრის ასული.
	ძმა: 28 წლის, გიორგი მიხეილის ძე, გაერთიანებული წითელი არმიის მასწავლებელი.
	და: ელისაბედ მიხეილის ასული, მუშაობს ტელეგრაფში.
9) ***პარტიულობა***	უპარტიო.

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 21-24.

10) ***პროფესია***	სამხედრო მოსამსახურე, აზნაური.
11) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) 1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე. ბ) 1918 წლამდე იყო სალიანსკის ქვეითი პოლკის შემადგენლობაში ფრონტზე, 1918 წლიდან დაპატიმრებამდე - ქართულ არმიაში.
12) ***წოდება***	პოლკოვნიკი.
13) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	მსახურობდა სამხედრო სამსახურში.
14) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არა
15) ***ნასამართლეობა***	არა
16) ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება***	ქვეითი.
17) ***როდის მოხდა დაპატიმრება***	1922 წლის 7 აპრილს.
18) ***ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი***	N 4416.
19) ***სად მოხდა დაპატიმრება***	ტიფლისში, ოლგას ქ. N 40, „ჩეკა”-დან მივიდნენ დილის 4 საათზე და სთხოვეს, გაყოლოდათ.
20) ***ვის მიერ იყო დაკითხული პირველად***	
21) ***იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს***	
22) ***საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე***	ტიფლისი, ოლგას ქ. N40.

პატიმრის შენიშვნები:


პატიმრის ხელმოწერა: **ალექსანდრე მაჭავარიანი.**

მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)

23) ***პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება***	
24) ***ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N***	
25) ***ვისთან ირიცხება***	
26) ***პატიმრის ნიშნები***	

შენიშვნები:

დაკავების ადგილის უფროსის ხელმოწერა:



141 Ч. К. Г. 23 8.

АНКЕТА № 1394

Для арестованных и задержанных с зачислением за Ч. К. Г.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строж. ответственности.

Вопросы	Ответы
1-я часть (заполняется арестованным)	
1) Фамилия	Мадчавариани
2) Имя и отчество	Александр Михайлович
3) Гражданин(ка) какого государства	Грузинской Республики
4) Национальность	Грузин
5) Место приписки	Губ: Тифлисской губ. уезд: Телав. уез. волость: город:
6) Возраст (год рождения)	40 лет: родился в месяце 1
7) Образование: а) грамотный-ли б) какую школу окончил в) если не окончил, то ск. классов, курс. прошел	а) Реальное уч. и Военное учил. б) школу в) прошел класса, курс. школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)	Степень родства	Фамилия имя и отчество	Возраст	Занятие или место работы и должность или профессия	Место жительства (Адрес)
1.	Мать		73	Пикерна Димитр.	
2.	Сестра	на телеграф.		Елиз. Алекс.	Михайловна
3.	Брат	преподаватель	27	Георгий	Михайлович
4.	Курс.	Ока			
5.					

9) Партийная принадлежность: а) какой партии состоит, б) с какого времени	Беспартийный
10) Профессия	Военнослужащий Б. сословия: Дворянин

11) Место работы (службы): а) сначала войны до 1/III 1917 г. б) с 1/III г. по день ареста.	Название предприятия или учреждения	Профессия или должность
	= 1-й Грузинский стр. полк Командира полка	помощник
а)	В Самтрском полку до 1918 г. на уроке.	
	с 1/я. 1918 г. В Грузинской армии	
б)	по день ареста	

Форма № 1.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 25.

26

12) Если состоял на государ. службе, то в каком чине	Полковник
13) Если не служил и не работал по найму то на какие средства жил	служил на воен. службе
14) Владел-ли недвижимым имуществом, каким и где	нет
15) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	нет
16) Отношение к воинской повинности а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден, то на каком основании	пехота
17) Когда арестован	7 апреля 1922 г.
18) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	№4416
19) Где арестован, а) губ., уезд, вол. село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании и пр.)	г. Тифлис. Ольгинская д №40 Пришли в 4 час. утра и попросили понятых, чекисты.
20) Когда и кем допрошен	
21) Пред'явлено-ли обвинение и в чем именно	
22) Место жительства перед арестом	Тифлис Ольгин. 40.

Примечание арестованного:

Подпись арестованного: А. Мадгаварианц

„ ..... " ..... 19 г.

2-я часть (заполняется администрацией места заключения)

23) Официальное название места заключения	Бюр. Г. К.Т.
24) По чьему ордеру арестован и № ордера	Г. К.Т. №4416.
25) За кем зачислен?	
26) Приметы заключенного	Шпен средня.

Примечание:

Подпись заведующаго местом заключения

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем), четко, разборчиво, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 26.

დადგენილება[4]

1922 წლის 8 აპრილს მე, ГРУЗЧЕКА-ს მორიგე გამომძიებელი, წინასწარ გავეცანი რა საბრალდებო მასალებს განსაკუთრებულ სიაში მყოფი საქართველოს წითელი არმიის 23 სამხედრო პირის შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ კონტრრევოლუციური დანაშაულის ჩადება,

გამოვარკვიე, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად მსახურობენ საქართველოს წითელ არმიაში.

დავადგინე, ყველა მათგანზე არსებული მასალები, შემდგომი გამოძიებისათვის გადაგზავნილ იქნას გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებულ განყოფილებაში. იქვე გადაიგზავნება ა/წ 9 აპრილს მათთვის ჩამორთმეული ნივთები. 23 დაპატიმრებული სამხედროს სია გადაიგზავნება ამ დადგენილებასთან ერთად.

მორიგე გამომძიებელი /**კინუშანი**/.

ვამტკიცებ: საიდუმლო-ოპერატიული განყოფილების ხელმძღვანელი /**პეტროსიანი**/.

ГРУЗЧЕКА-ს თავმჯდომარე /**ცინცაძე**/.

ასლი დედანთან სწორია

გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების

საიდუმლო განყოფილების უფროსი: ხელმოწერა.

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 27.

1922 წლის 10 მაისს გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების მიერ შედგა ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის დაკითხვის ოქმი N952 საქმეზე.

რსფსრ

გაერთიანებული წითელი არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

სრულიად რუსეთის განსაკუთრებული კომისიის განსაკუთრებული

განყოფილების სამმართველო

საიდუმლო განყოფილება

ოქმი[5]

N952 საქმეზე

ტიფლისი, 10 მაისი, 1922 წ.

1. ***გვარი***	მაჭავარიანი
2. ***სახელი, მამის სახელი***	ალექსანდრე მიხეილის ძე.
3. ***ასაკი***	40 წლის.
4. ***წარმომავლობა***	ტიფლისის გუბერნიის თელავის მაზრის აზნაური.
5. ***საცხოვრებელი მისამართი***	ტიფლისი, ოლგას ქ.N40.
6. ***რას საქმიანობს***	სამხედრო.
7. ***ოჯახური მდგომარეობა***	დასაოჯახებელი.
8. ***ქონებრივი მდგომარეობა***	არა

5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 30-32.

9. ***პარტიულობა***	უპარტიო
10. ***პოლიტიკური მრწამსი***	რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტხელი.
11. ***განათლება***	თემირ-ხან-შურინის რეალური სასწავლებელი და ტიფლისის სამხედრო სასწავლებელი.
12. ***რას საქმიანობს და სად მუშაობდა*** ***ა) 1914 წლის ომამდე;*** ***ბ) 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე;*** ***გ) 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე;*** ***დ) ოქტომბრის რევოლუციიდან დაპატიმრებამდე.***	ა) 1906 წლიდან მსახურობდა სალიანსკის ქვეითთა N206-ე პოლკში, სადაც დაიწყო მსახურობა უმცროს ოფიცრად. ბ) იგივე ადგილას პოდპოლკოვნიკის წოდებით, პოლკის მეთაურის თანაშემწედ. გ) აღნიშნული პოლკის მეთაურად. დ) ოქტომბრის ბოლომდე იყო მითითებულ პოლკში; ნოემბრის დასაწყისში გაემგზავრა როსტოვ-კისლოვოდსკში, სადაც იმყოფებოდა 1918 წლის იანვრამდე, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და 1918 წლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მე-6 ქართულ სამშენებლო პოლკს; 1919 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში მსახურობდა ახალციხეში პოლკის მეთაურად, რომლის შემდეგაც 1921 წლის თებერვლამდე იყო ისევ მე-6 სამშენებლო პოლკის მეთაურის თანაშემწე; წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ, დაპატიმრებამდე, ასრულებდა მე-5 და მე-6 სამშენებლო პოლკების მეთაურის და 1-ელი სამშენებლო ქართული პოლკის უფროსის თანაშემწის მოვალეობებს.
13. ***ნასამართლეობა***	არ არის ნასამართლევი

<u>საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი.</u>

კითხვა: როგორია თქვენი შეხედულება წითელი არმიისა და ზოგადად, საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობაზე?

პასუხი: პრინციპში, წითელი არმიის აღმშენებლობას ვეთანხმები, გარდა კომისრის ინსტიტუტისა, რომელიც მეთაურების მომზადების პარალელური ინსტანციაა და ხშირად მათ შორის არის შეუთანხმებლობა ნაწილებთან დაკავშირებულ შიდა საკითხებში, რის გამოც წარმოიშობა უთანხმოება ერთობლივი მოქმედების დროს. სახალხო მეურნეობის სხვა სფეროებზე აზრს ვერ გამოვთქვამ, რადგან მათ შესწავლას ნაკლებ დროს ვუთმობდი.

კითხვა: მოგვახსენეთ თქვენი შეხედულება გადატრიალებასთან დაკავშირებით.

პასუხი: თებერვლის გადატრიალებას ვუთანაგრძნობ და სრულიად ვიზიარებ, ხოლო ოქტომბრის გადატრიალებას ასევე ვუთანაგრძნობ და ვიზიარებ, გარდა რელიგიური საკითხისა.

კითხვა: როგორია თქვენი შეხედულება საქართველოს თვითგარმოკვევის შესახებ?

პასუხი: 120 წლის განმავლობაში რუსეთთან თანაცხოვრების გამო საქართველოს არ შეუძლია მის პატარა ტერიტორიაზე დამოუკიდებლად არსებობა, რუსეთის დახმარების გარეშე. ენის საკითხში ვინარჩუნებ გარკვეულ შეხედულებებს, რომ ქართული ენა ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც ტრადიციები.

კითხვა: როგორია თქვენი შეხედულება თბილისის თებერვლისა და მარტის მოვლენებზე?

პასუხი: აღნიშნულ მოვლენებში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და ამის შესახებ გარკვეული აზრი არ მაქვს.

კითხვა: თუ არის თქვენთვის ცნობილი თქვენი დაპატიმრების მიზეზები?

პასუხი: ჩემთვის უცნობია დაპატიმრების მიზეზი და წარმოდგენაც არ მაქვს, რა შეიძლება იყოს. სავარაუდოდ, იზოლაციის მიზნით დამაპატიმრეს. ჩვენებაში მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია.

ჩემს ჩვენებას ვადასტურებ: **მაჭავარიანი**.

დაკითხა: გაერთიანებული წითელი არმიის საიდუმლო განყოფილების უფროსმა.

აგენტურული ცნობა:[6]

დაზვერვაზე უფლებამოსილ პირს ***ასლი***

რაპორტი

ალექსანდრე მაჭავარიანი - მენშევიკების დროს თელავის მე-6 პოლკის ხელმძღვანელის ყოფილი თანაშემწე, გენერლის ვაჟი, უყვარს თავისი სამსახური, ამჟამად 1-ელი პოლკის მეთაურის თანაშემწეა, მენშევიკი არ არის, მაგრამ ნაციონალისტია, ცუდად საუბრობს ქართულად, მაგრამ კარგი მოსამსახურეა.

3/VI – 22 წ.

ასლი დედანთან სწორია: დაზვერვის უფროსი საქმისმწარმოებელი.

დადგენილება[7]

ქ. თბილისი, 1922 წლის 12 ივნისი. გაერთიანებული წითელი არმიის საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის საიდუმლო განყოფილების უფროსმა, გიორგი ხოხლოვმა აღნიშნულ რიცხვში განვიხილე კონტრრევოლუციური ბრალდების საქმე N340/952, შემდეგი პირების მიმართ: 1. პირველი ქართული სასწავლო ასეულის მეთაური მიხეილ გერასიმეს ძე მიქელაძე, წარმომავლობით გლეხი ტიფლისის გუბერნიიდან, ახალციხის მაზრის სოფ. ქილდა. 28 წლის, უპარტიო. 2. ტვირთგადამზიდი სკოლის ხაზინადარი სამსონ მიხეილის ძე კვარაცხელია, წარმომავლობით გლეხი ქუთაისის გუბერნიიდან, ზუგდიდის მაზრის სოფ. წალენჯიხა. 37 წლის, უპარტიო. 3. 1-ელი ქართული მსროლელთა პოლკის ოცეულის მეთაური კონსტანტინე გიორგის ძე სოხაძე, წარმომავლობით გლეხი ქუთაისის გუბერნიიდან, რაჭის მაზრის სოფ. ცახი. 26 წლის, უპარტიო. 4. მე-3 ბატარეის მეთაური ილია გიორგის ძე მახარაძე, წარმომავლობით აზნაური ქუთაისის გუბერნიიდან, ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვი. 28 წლის, უპარტიო. 5. ქართული მსროლელი პოლკის მეთაურის თანაშემწე, პოლკოვნიკი ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, აზნაური ტიფლისის გუბერნიდან, თელავის მაზრა, 40 წლის, უპარტიო. 6. საქ. სსრ მთავარი მილიციის ორგანიზაციულ-პარტიული განყოფილების ხელმძღვანელი სიმონ გიორგის ძე ბოლქვაძე, 33 წლის, უპარტიო. 7. 1-ელი ქართული მსროლელთა პოლკის არასამწყობრო ასეულის მეთაური ზაქარია ალექსანდრეს ძე ჯორჯაძე, წარმომავლობით აზნაური თბილისის გუბერნიიდან, თელავის მაზრა. 38 წლის, უპარტიო.

გამოვარკვიე:

რომ ზემოაღნიშნული პირები დაპატიმრებულნი იყვნენ 1922 წლის 8 აპრილს, გენუის კონფერენციის გახსნის წინ, როგორც არაკეთილსაიმედო ელემენტები, რომელთაც შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ანტისაბჭოთა პარტიების მიერ მომზადებულ პროტესტში იმ მომენტისთვის საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. გავითვალისწინე რა, რომ აღმოიფხვრა აღნიშნული მოვლენები და ასევე მათ შემდეგ 1 და 26 მაისი,

დავადგინე:

დაკავებული ზემოაღნიშნული მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან N2 გამასწორებელ სახლში (მეტეხი), გათავისუფლდნენ და გაიგზავნონ მათ ბოლო სამუშაო ადგილებზე. დაკავების

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 33.
7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 34.

დროს ჩამორთმეული იარაღები, რომლებიც შემდეგი ქვითრებით N663, 665, 668, 669, 672, 677, 682 არის ГРУЗЧЕКА-ში, დაუბრუნდეთ, გარდა: 1. N665 ქვითრიდან სპილენძის ბეჭდისა და N3300 ნაგანისა, რომელთა კონფისკაციაც მოხდა. ფული ჩაბარებული ქვითრებით N662 და N 627 და მიმოწერა დაუბრუნდეთ მფლობელებს. დანარჩენი 16 პირის შესახებ არსებულ საქმეზე გაგრძელდეს გამოძიება.


საიდუმლო განყოფილების ხელმძღვანელი /**ხოხლოვი**/.

ვეთანხმები: საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსი /**ტალიგინი**/.

ვამტკიცებ: გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი /**კევეშა**/.

ასლი დედანთან სწორია.

დაზვერვის უფროსი საქმისმწარმოებელი.



ПОСТАНОВЛЕНИЕ.

34 15

гор. Тифлис 1922 года Июня 12 дня Я НАЧСЕКРОТДЕЛЕНИЯ СОЧ ООООКА ХОХЛОВ Георгий рассмотрев сего числа дело за № 340/903 по обвинению в контр-революции: 1/ Комроты Учебной I-го Грузполка МИКЕЛАДЗЕ Михаила Герасимовича, происходящего из крестьян, Тифлисской губ., Ахалцихского уезда, сел Ниаль да, 28 лет, беспартийный, 2/ Казначея Грузводной школы КВАРАЦХЕЛИЯ Савасеня Михайловича, происходящего из крестьян Кутаисской губ., Зугдитского уезда, сел. Цаленджих, 37 лет, беспартийный, 3/ Комвзвода I-го Грузстрелполка СОХАДЗЕ Константина Георгиевича, происходящего из крестьян Кутаисской губ., Рачинского уезда, сел. Цахи, 26 лет, беспартийный, 4/ Комбатареи 8 Артдива 2, МАХАРАДЗЕ Ильи Георгиевича, происходящего из дворян Кутаисской губ., Лаштетского уезда, сел. Бахви, 28 лет, беспартийный, 5/ Помкомвзвода I-го Грузстрелполка МАЧАВАРИАНИ Александра Михайловича Дворянина Тифлисской губ., гор. Телави, 40 лет, беспартийный, 6/ Начсостава инвалидного п/отдела Главмилиции С.С.Р.Г. ВАЛИАДЗЕ Семена Георгиевича 33 лет, беспартийный и 7/ Командира пешей роты I-го Грузстрелполка ДЖОРДЖАДЗЕ Бахвара Александровича, происходящего из дворян Тифлисской губ, гор. Телави, 36 лет, беспартийный, ПРИШЕЛ:

Что вышепоименованные лица были арестованы 8 Апреля-22 года перед открытием Генуэзской Конференции, как контрреволюционные элементы могущие принять участие в подготовительных антисоветских партийных событиях, направленных против существующего политического строя в данное время в Грузии. Принимая во внимание, ликвидацию указанных событий, а также и последующих за ними I/У и 26/У, ПОСТАНОВИЛ:

Находящихся под стражей в Исправдоме № 2 /Метех/ вышеупомянутых граждан освободить и направить по месту их последней службы. Отобранное при аресте оружие, сданное в ГРУЗЧЕКА по квитанциям за №№ 663, 665, 668, 669, 672, 677, 682,- возвратить за исключением: 1/ по квитанции № 665-двуспальной печати и 2/ по квитанции № 669-нагана за № 3300, которые конфисковать Деньги сданные по квитанциям за № 622 и 627 и переписку возвратить заинтересованным. Дело по отношению остальных 16-ти человек следственным продолжить

НАЧСЕКРОТДЕЛЕНИЯ /ХОХЛОВ/. СОГЛАСЕН: НАЧСОЧ /ТАЛИНГ/. УТВЕРЖДАЮ: НАЧСОСВОТДЕЛА ОКА /КЕВЕШША/.

С подлинным верно:
НАЧСЕКРОТДЕЛЕНИЯ СОЧ ООООКА

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 34.

ალექსანდრე მაჭავარიანის დახასიათება [8]

ალექსანდრე მაჭავარიანი - 1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე, არ უყვარს მენშევიკები და აქებს მონარქიას. ამ მომენტისთვის რაიმე ცვილილება მისი მხრიდან არ შეინიშნება; საერთოდ ვერ იტანს სოციალიზმს; ძველი სტილის ოფიცერია, კარგი აღნაგობის; რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მთავრობის წინააღმდეგ არ მოქმედებს, თუ არ ჩავთვლით უკმაყოფილებას, რომელსაც არ მალავს და გამოთქვამს თავის მეგობრებთან საუბრებში. ოფიცერთა შორის აქვს დიდი კავშირები.

ხელმოწერა.

ასლი დედანთან სწორია: უფროსი საქმისმწარმოებელი /**ზავერიანი**/.

ალექსანდრე მაჭავარიანის დახასიათება: [9]

როგორც სამხედრო, მაჭავარიანი პროფესიონალია, საკმაოდ კარგად იცის სამხედრო საქმე. პოლიტიკური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის და ცუდად ერკვევა პოლიტიკაში. ერთი სიტყვით, მხოლოდ სამხედრო საქმის ერთგულია.

1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე: **დუმბაძე**.

1923 წლის 26 თებერვალს გაგზავნილ იქნა N320 დავალება[10], რომლის მიხედვითაც, ამხ. კუზნეცოვს ევალებოდა ალექსანდრე მაჭავარიანის თვალთვალი და მასზე ინფორმაციის მოგროვება:

რწმუნებულის თანაშემწეს,

ამხ. კუზნეცოვს

26 თებერვალი 1923 წ.

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

რწმუნებულ ამხ. შუვალოვისგან

აუცილებელია მოხდეს მეთვალყურეობის დაწესება მსროლელთა 1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანზე (ყოფ. პოლკოვნიკი) და გაირკვეს მისი


8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 37.
9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 40.
10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 41.

პოლიტიკური მსოფლმხედველობა, როგორც წარსულში, ისე ამ მომენტისთვის. ასევე გაირკვეს, ამ დროისთვის ვისთან აქვს კავშირები და ნაცნობობა და რა ხასიათისაა ისინი. ამასთან, დადგინდეს მისი ნაცნობების პოლიტიკური შეხედულებები.

დავალება შესრულდეს 2 კვირის განმავლობაში.

განსაკუთრებული განყოფილების უფროსი

რწმუნებული: **დ. შუვალოვი**.



Отделение

Нач Полномочному т. Кузнецову

„26" Февраля 1923 г.

ЗАДАНИЕ № 320.

от Уполном. т. Кузнецова

Необходимо установить наблюдение за нач. Кавказ. стр. полка Мадгавриади, Александром Михайловичем (бывш. полковник) и выяснить его политическую окраску как в прошлом, так и в настоящем и с кем он в данное время имеет связи и знакомства и характер этих связей и знакомств, а также выяснить его политическую физиономию и отношение к Советской власти.

Поручается начальнику 2 отд. Кавказ. стр. полка

Нач. отделения

Уполномоченный

Задание получил 19—22 г.

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 41.

N4 განსაკუთრებული განყოფილების რწმუნებულის თანაშემწეს [11]
რწმუნებულის თანაშემწე კუზნეცოვის

რ ა პ ო რ ტ ი

1923 წლის 26 თებერვლის თქვენი N320 დავალების თანახმად, მოგახსენებთ „ჩურინოვის“ და „პეტროვის“ შემაჯამებელ შეტყობინებებს ალექსანდრე მაჭავარიანზე თვალთვალისა და შეგროვებული მასალების შესახებ, გადმოგცემთ დავალებაში თქვენ მიერ მითითებულ დროში.

შემაჯამებელი შეტყობინებები: **ჩურინოვისა** და **პეტროვისგან**.

რწმუნებულის თანაშემწე **კუზნეცოვი**.

10/II-23 წ.

(შენიშვნა: 10 თებერვალი ორიგინალში მითითებულია შეცდომით, სავარაუდოდ, უნდა იყოს 10 მარტი და არა თებერვალი).

ЗАКЧЕКА-ს რწმუნებულ კუზნეცოვს [12]

შეტყობინება 1-ელი ქართული პოლკიდან

1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე ალექსანდრე მაჭავარიანი, ყოფილი პოლკოვნიკი, ძველი არმიის პოლკის მეთაური, ამაყობდა და მაგალითად მოჰყავდა ახლანდელ წითელარმიელებთან ძველი არმიის მისი პოლკის მებრძოლები. მენშევიკების მმართველობის დროს, ზუსტად ვერ გეტყვით, სად მსახურობდა. დაპატიმრებამდე სამსახურს ექცეოდა გულგრილად და არა ისე, როგორც ახლა. დაპატიმრების შემდეგ მას არც ქართულ და არც რუსულ არმიაში ადგილი არ მისცეს. არ იცოდა, რით დასაქმებულიყო, რადგან სამხედროს გარდა, სხვა საქმე არ იცოდა. როდესაც პოლკში დაბრუნდა, დიდი მონდომებით დაიწყო სამსახური. დუშეთში მაჭავარიანს, პოლიტიკური თვალსაზრისით, თავი არ გამოუვლენია, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით მეთაურობდა რაზმს ამხ. ბრეგვაძის ხელმძღვანელობით. ამჟამად მეტად ახლოსაა და მეგობრობს ბატალიონის ხელმძღვანელ ალექსანდრე შენგელიასთან. უყვარს დალევა, მაგრამ დიდი შემოსავალი არ აქვს. ქართული ენის არცოდნის გამო კავშირები არ აქვს წითელარმიელებთან.

ვაგრძელებ თვალთვალს მასზე.

10/3-23 წ. **პეტროვი**.

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 43.
12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 44-45.

ЗАКЧЕКА-ს რწმუნებულ კუზნეცოვს [13]

1-ელი ქართული პოლკიდან

პოლკის მეთაურის თანაშემწე ალექსანდრე მაჭავარიანთან დაკავშირებით შევაგროვე შემდეგი მონაცემები: ცივი და ჩაკეტილი ხასიათისა, ძველი ოფიცერი (ყოფილი აზნაური). წინა წელს მისი მუშაობა ძალიან უენერგიო იყო, მაგრამ დროის გასვლის და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მისი მუშაობა უფრო მასშტაბური გახდა, ვიდრე უწინ. ასე მაგალითად: როდესაც პოლკის ყოფილი მეთაური ბრელაძე წავიდა დუშეთში, რაზმის დარჩენილი შემადგენლობა საუბრობდა იმაზე, რომ მაჭავარიანი იმედოვნებდა, ის დაინიშნებოდა პოლკის მეთაურად, მაგრამ იმედები არ გამართლდა, რამდენადაც გამოცხადდა ახალი ხელმძღვანელი. როგორ შეხვდა ამ ამბავს იგი, ჩემთვის უცნობია, რადგან მე დუშეთში წავედი. დუშეთის ამ ექსპედიციაში (ჭორების მიხედვით) არ ანდეს საპასუხისმგებლო თანამდებობა. ამ დროისთვის მაჭავარიანი გახდა უფრო მეტად თავაზიანი თავის დაქვემდებარებულებთან მიმართებაში. ორჯერ მოხსენებით გამოვიდა მეთაურთა შემადგენლობის წინაშე და ბოლო მოხსენებისას წაიკითხა ლექცია „მწყობრის მეცადინეობების შესახებ და სხვა“. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მხარეს, ამ მხრივ პოლკში ძალიან პასიურია, რაც ერთი შეხედვითაც ჩანს. თანდათანობით, რაც უფრო დაუახლოვდები, შეიძლება გაარკვიო ზუსტად მისი პოლიტიკური შეხედულება. ყველაზე ხშირად მას ხედავენ პოლკის სამეურნეო ნაწილის ყოფილ უფროს, ხოლო ახლა ბატალიონის უფროს ალექსანდრე შენგელიასთან ერთად. რაც ვთქვი, არაფერს ვიტყუები, რამდენადაც ეს ადამიანი საკმაოდ დაკვირვებულია. ჩემთან საუბრისას და ურთიერთობისას არ ყოფილა შემთხვევა, მას ეთქვას რაიმე პოლიტიკური, რომელიც გამოავლენდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს. ჩემი თვალთვალი მასზე კვლავ გრძელდება.

9/3-23 წ.

ჩურინი.

გადაწყვეტილება[14]

1923 წლის 17 მარტს მე, ЗАКЧЕКА-ს N4 განსაკუთრებული განყოფილების რწმუნებულმა, კოლესნიკოვმა განვიხილე საქმე-ფორმულარი 27 ფურცლად, დაწყებული 1923 წლის 31 იანვარს, 1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწის, ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის, როგორც მონარქისტთა პარტიის წევრის მიმართ.

დავადგინე: N4 განსაკუთრებულმა განყოფილებამ გააგრძელოს თვალთვალი მაჭავარიანზე, მაგრამ რადგან ალექსანდრე მაჭავარიანი დაპატიმრებულ იქნა ЗАКЧЕКА-ს კონტრრევოლუციური განყოფილების მიერ, გავითვალისწინე რა აღნიშნული,

მივიჩნევ: საქმე-ფორმულარი 27 ფურცლად ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის შესახებ გადაგზავნილ იქნას ЗАКЧЕКА-ს კონტრრევოლუციურ განყოფილებაში მათთან არსებულ საქმეზე დასართავად.

რწმუნებული: **კოლესნიკოვი**.


„**ვამტკიცებ**“

N4 განსაკუთრებული განყოფილების უფროსი: **ბაბინი**.

13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 46-47.
14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 50.

სისხლის სამართლის N23507 საქმის მასალები

1923 წლის 13 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N74 ორდერი, რომლის მიხედვითაც, ЗАКЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე ეკატერინინს ევალებოდა ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის დაპატიმრება და ოლგას ქ. N40-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



3

ФЕДЕРАТИВНАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ СОВЕТСКАЯ РЕСПУБЛИКА

Закавказья

Закавказская Чрезвычайная Комиссия

ПРИ СОЮЗНОМ СОВЕТЕ

СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

ОРДЕР № 74.

13 марта дня 1923

Выдан сотруднику Закчека Екатеринину

на производство обыска и ареста

г. Мачабели Александра Михайловича

по адресу Ольгинская N40

исправленному "Кавказская" верно

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Место для печати

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Справка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 3.

იმავე დღეს შედგა N71 ოქმი[15], რომლის საფუძველზეც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად, მაჭავარიანისგან ამოღებულ იქნა: აზიური ქამარი სპილენძის ბალთით, მაჯის შავი ნიკელის საათი N3386320, ოქროს ძეწკვი სინჯით N50.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი დააპატიმრეს 1923 წლის 14 მარტს.[16]

რსფსრ

XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N136

გვარი, სახელი, მამის სახელი	მაჭავარიანი ალექსანდრე მიხეილის ძე.
მისამართი	ტიფლისი, ოლგას ქ. N40.
ასაკი	41 წლის.
განათლება	რეალური და სამხედრო სასწავლებლები.
პროფესია	სამხედრო მოსამსახურე.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	პირველ ქართულ პოლკში.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ხელფასი და სამხედრო ულუფა.
ოჯახური მდგომარეობა	დედა, 73 წლის.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	
რის საფუძველზე	

ხელმოწერა: **ა. მაჭავარიანი.**

15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 4.

16 შენიშვნა: დაპატიმრების ფურცელში დაპატიმრების თარიღად მითითებულია 14 მარტი ხოლო ანკეტაში 13 მარტი, ასევე 13 მარტს არის გაცემული დაკავების და ჩხრეკის ორდერი. შესაძლებელია დაპატიმრების ფურცელში იყოს მექანიკური შეცდომა და 13 მარტის ნაცვლად წერია 14 მარტი.

5

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный Лист № 136.

„14“ марта 1923 г.

Фамилия [illegible] Имя и отчество [illegible]

Адрес: [illegible]

Возраст [illegible]

Образование [illegible]

Профессия [illegible]

Где работает и долго ли [illegible]

Партийность [illegible]

Состоит ли членом какой либо организации и долго ли [illegible]

[illegible]

На какия средства живет [illegible]

Имеет ли семью [illegible]

Кем арестован [illegible]

На каком основании [illegible]

Подпись: [illegible]

Приметы: [illegible]

Сдал: **Принял**

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 5.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

ანკეტა N136

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	პასუხები
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) *გვარი*	მაჭავარიანი.
2) *სახელი, მამის სახელი*	ალექსანდრე მიხეილის ძე.
3) *მოქალაქეობა*	საქართველოს რესპუბლიკა.
4) *ჩაწერის ადგილი*	ტიფლისის გუბერნია, თელავის მაზრა.
5) *ეროვნება*	ქართველი.
6) *ასაკი (დაბ. წელი)*	41 წლის, 1881 წლის აგვისტო.
7) *განათლება*	რეალური და სამხედრო სასწავლებლები.
8) *ოჯახი*	***დედა:*** 73 წლის, მცხ. ტიფლისში.
	ძმა: 28 წლის, მცხ. ტიფლისში. მუშაობს გაერთიანებული წითელი არმიის N7 ჯავშანმატარებელზე.
	სამი და: 33 წლის, 30 წლის, 28 წლის, მცხ. ტიფლისში, უმუშევრები.
9) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი*	არ ჰყავს.

10) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი***	***ძმა:*** გიორგი მიხეილის ძე მაჭავარიანი. მუშაობს გაერთიანებული წითელი არმიის N7 ჯავშანმატარებელზე.
11) ***პარტიულობა***	უპარტიო.
12) ***პროფესია***	სამხედრო მოსამსახურე წითელ არმიაში.
13) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) პირველი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე.
14) ***წოდება***	ამ დრომდე ქართული წითელი არმიის მეთაურის თანაშემწე.
15) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	
16) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არა
17) ***ნასამართლობა***	გასულ წელს იყო დაპატიმრებული და გათავისუფლებული, დაპატიმრების მიზეზი უცნობია.
18) ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება***	
19) ***როდის მოხდა დაპატიმრება***	1923 წლის 13 მარტს.
20) ***ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი***	ЗАКЧЕКА-ს მიერ.

21) *სად მოხდა დაპატიმრება*	ტიფლისში, საკუთარ სახლში.
22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	
23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	
პატიმრის ხელმოწერა: **მაჭავარიანი.** 14 მარტი, 1922 წ.	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	

Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии.

АНКЕТА № 136.

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
1-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Маргиани
2) Имя и отчество	Александр Николаевич
3) Гражданин(ка) какого государства	Грузинской Республики
4) Место прописки	Губ.: Тифлисской вол.: уезд село город
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	47 лет, родился в августа месяца 19 года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) б) окончил школу в) прошел класс курс школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1	Мать		73	Тифлис	
2	Брат		28	"	
3	Три сестры		33		
			30		
			24		
4					
5					

9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1	Нет.			
2				
3				
4				
5				

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Военное звание, род оружия или спец. в Красн. Ар.	Место службы
1	Брат	Маргиани Георгий Михаилов	Ст. Пор.	Окр. Тифлис
2				
3				
4				

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 6.

7

11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какого времени	а) состою членом Безпартийный партии б) месяца 19 года
12) Профессия	Военный служащий Красной Армии
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1/III 1917 г.; б) с 1/III 1917 г. по день ареста	НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ / ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ а) 1-й Грузинский стр. полк — Полковник б)
14) Если состоял на госуд. службе, то в каком чине	По сие время в Грузин Красн. стр. полку
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	нет
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	
17) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	В прошлом году был арестован и освобожден, другого ареста не было.
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) б)
19) Когда арестован	12 марта 1923 месяц 19 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	III Замчека
21) Где арестован: а) губер., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) б) Тифлис в своей квартире
22) Когда и кем допрошен в первый раз	
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно	
24) Место жительства перед арестом	

Подпись заключеннаго Мадраварису

«14» Марта 1923 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключеннаго	

Комендант Особотдел XI Армии

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем) четко, разборчиво, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 7.

XI წითელი არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

სამორიგეო ნაწილი


ნივთების ქვითარი N49

14 მარტი 1923 წ.

13/III-23 წლის N74 ორდერისა და 13/III-23 წლის პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მოქალაქე ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანისგან ამოღებულია ნივთები:

1. მაჯის საათი N3386320 – 1 ცალი.
2. უბრალო ქამარი - 1 ცალი.

ჩავიბარე მორიგე ზედამხედველმა **კაზენკომ.**



56

Особый отдел

при Рев. Военном совете XI красной армии

КОМЕНДАНТСКАЯ ЧАСТЬ

Вещевая квитанция № 49

14 марта 1923 г.

У гражд Магавариани Давида Михаеловича

На основании ордера №74 от 13/III-23 г. Тайного личного обыска от 13/III-23 г.

№ по порядку	Перечень принятых вещей	Количество	СУММА Р.	СУММА К	ВЕС П.	ВЕС Ф.	ВЕС З.
1.	Часы карм. №3386320	1 шт.					
2.	Брезентовый поясной ремень	1 шт.					


Принял!
За дежурного
Надзирател: [illegible]

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 56.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 12/III-1923 წ.: [17]

წითელი არმიის საჯარისო ნაწილების ხევსურეთში შესვლის დროს, რაზმში მოვიდა 1-ელი პოლკის მეთაურის თანაშემწე ალექსანდრე მაჭავარიანი და მითხრა, რომ მას უნახავს დავით ვაჩნაძე, რომელსაც უთხოვია შეჩერების გარეშე გამგზავრებულიყვნენ ხევსურეთში. გამეცინა და ვუთხარი, ნაციონალისტების სურვილი წითელი არმიის ხელმძღვანელობის სურვილს ემთხვევა, ხოლო მენშევიკები კი, პირიქით, საჯარისო ნაწილების შეკავების მომხრენი არიან-მეთქი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 8.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 20/III-1923 წ.: [18]

მეუბნებიან, პოლკში ოფიცრებს იმ ნიშნით ვარჩევდი, რომ შემდგომში სამხედრო ცენტრში შეძლებოდათ მუშაობა, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, ყოველთვის ვარჩევდი სანდო პირებს წითელი არმიისთვის, სწორედ ამ მიზნით ვამტკიცებდი არასანდო პირების - თუხარელისა და მაჭავარიანის გათავისუფლების აუცილებლობას. მათ შეუძლიათ კიდევ ბევრი სარგებელი მოუტანონ წითელ არმიას, ოღონდ არა საკუთარ ნაწილებში მსახურობით, რადგან ისინი პოლიტიკური ორგანიზაციების მხედველობის ცენტრში იმყოფებიან. ამის დადასტურება ლექვთაძეს შეუძლია.


ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

17 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 8.
18 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 11.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 21/III-1923 წ.: [19]

ალექსანდრე მაჭავარიანის ორგანიზაციაში საქმიანობის შესახებ არვიცოდი, ეს გავიგე მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დუშეთში მოვიდა. მანამდე მან მომმართა სამსახურში დაწინაურების თხოვნით, რამდენადაც მაჭავარიანი დამცირებულად თვლიდა თავს, რადგან თელავის ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით, იგი პოლკის ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნეს. მომავალში ამან იმოქმედა მის სამსახურზე. თუმცა მე დავპირდი დახმარებას, თუ ლექვთაძეს ახსოვს, მაინც ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი მის დაწინაურებას, რაშიც მეთანხმებოდა ლექვთაძე. დამატებითი მოტივი იყო მაჭავარიანის მხრიდან ქართული ენის არცოდნაც, მაგრამ მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ მაჭავარიანი კარგი სამხედრო მოსამსახურეა, მაგრამ არა საქართველოს ტერიტორიაზე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 13.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 23/III-1923 წ.:[20]

ამ პერიოდში ვაჩნაძემ მომმართა თხოვნით პოლკის მეთაურის თანაშემწედ, როგორც „ჩვენი (სანდო) ადამიანის“, ალექსანდრე მაჭავარიანის დანიშვნის შესახებ. მე დავპირდი, რომ შევუსრულებდი თხოვნას, მაგრამ როდესაც მაჭავარიანის კანდიდატურა განიხილებოდა, ვთხოვე, არ დაენიშნათ იგი. დუშეთის ექსპედიციის დროს, ლექვთაძის მიერ გამოძახებულმა მაჭავარიანმა მაცნობა, რომ დავით ვაჩნაძე სასწრაფოდ ხევსურეთში ჩასვლას მთხოვდა. ამ შეტყობინების გადმოცემისას მაჭავარიანი ნასვამი იყო. როცა მას ვკითხე, სად იყო ვაჩნაძე, მიპასუხა, იმალებაო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 13.
20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 10.


საქმეში ფიგურირებს ალექსანდრე მაჭავარიანის საქმე-ფორმულარი, ობიექტის მონაცემების დადგენის შესახებ:

საქმე ფორმულარი[21]

ЗАКЧЕКА-ს N4 განსაკუთრებული განყოფილება

სახელი, გვარი, მამის სახელი	მაჭავარიანი ალექსანდრე მიხეილის ძე.
დაბადების წელი და ადგილი	1882 წელი. ქ. თელავი.
წოდებრივი და სოციალური მდგომარეობა	თავადი - ინტელიგენტი.
ქვეშევრდომობა და ეროვნება	საბჭოთა რესპუბლიკა - ქართველი.
პროფესია	სამხედრო მოსამსახურე.
განათლება	რეალური და სამხედრო სასწავლებლები.
ბოლო სამხედრო ან სამოქალაქო წოდება ოქტომბრის რევოლუციამდე	ძველ არმიაში - პოდპოლკოვნიკი.
ამ დროისთვის სამუშაო ადგილი და თანამდებობა	მენშევიკების არმიაში - პოლკოვნიკი.
ოჯახის წევრები, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი	ქართული დივიზიის I პოლკის მეთაურის თანაშემწე.
პირადი მისამართი	დედა, ძმა და და არიან საბჭოთა მოსამსახურეები, ცხოვრობენ ქ. ტიფლისში.
პოლიტიკური შეხედულება (რომელ პარტიაშია)	ოლგას ქ. N40. ბ. 4.
	31 იანვარი 1923 წ.

21 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 15.



Группа Монархист

Ячейка

15

Агентурно
Сов. секрет

Дело формуляр №

Особ. Отделение № 4 Зем[illegible] Отдел

Установочные данные об'екта.

Фамилия, имя, отчество	Мачавариани Александр Николаевич
Год и место рождения	1882 г. гор. Тбилиси
Сословие и социальное положение	Дворянин - интеллигент
Подданство и национальность	Сов. Респ. - грузин
Профессия	Военнослужащий
Образование	Среднее воен. Реальное училище
Последний воинский или гражданский чин до Окт. рево[illegible]	Ротмистр Армии Недомеренного [illegible]
Место службы и занимаемая должность в данное время.	1) Ком. к-ра Грузинского [illegible] полка 2) 3)
Члены семьи, их общественное положение и место жительства	Мать, брат и сестра совмужа-тие, живут в гор. Тбилиси
Личный адрес	Сололакский пр. 40, кв. 4
Политическая эволюция об'екта (в каких партиях состоял)	Как сам указал - интеллигент, придерживающийся монархического мировоззрения.
Где, когда	

ПРИМЕТЫ:

Рост
Телосложение
Лицо
Лоб
Нос
Уши
Губы
Подбородок
Глаза
Походка
Волосы
Борода
Усы
Брови
Ноги
Руки
Особ. прим.
Общ. обл.

Начато " 21 " Января 192[illegible] г.

Кончено " "

Сдано в архив

№

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 15.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[22]

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.)

დოკუმენტი N5.

ფავლენიშვილის წერილი ქაქუცა ჩოლოყაევს. 8 სექტემბერი.

ძვირფასო ქაქუცა,

5 რიცხვში ჩავედით სოფ. კარკუჩაში დასაზვერად და დიდი თავგადასავლები გადაგვხდა თავს. გზაში წავაწყდით მილიციის პატრულს, მაგრამ რაღაცნაირად შევძელით თავის დახსნა. იქ უკვე შევხვდით რამდენიმე მოხევე მწყემსს, რომლებმაც წაგვიყვანეს მთებში თავიანთ სადგომში, სადაც თვითონ იყვნენ გაჩერებულები და გვითხრეს, რომ ხვალ შეიკრიბებოდნენ სალაპარაკოდ და გვეტყოდნენ გადამწყვეტ პასუხს გამოსვლასთან დაკავშირებით.

ჩვენ მათ პასუხს ველოდით გუშინ დღის ბოლომდე, (გადაშლილია: მაგრამ დაზუსტებით ვერ შევძელით გაგვერკვია პასუხი, „კი“ თუ „არა“. გუშინ, 7 სექტემბერს ჩვენ გავგზავნეთ ერთი მოხევე გასარკვევად, მაგრამ ამან არაფერი მოგვიტანა). დუშეთიდან ყაზბეგში ჩამოვიდა სიმონი, რომელიც აპირებდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მოსულიყო შენთან, შემთხვევით გაიგო ჩვენი აქ ყოფნის ამბავი და ჩვენთან გაჩერდა. მან მოიტანა ცენტრიდან გამოგზავნილი წერილები. გიგზავნი ერთ-ერთ წერილს ორიგინალის სახით, ხოლო მეორე გადათარგმნილია რუსულ ენაზე, რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის თავიდან არიდების მიზნით. ცენტრი წერს, მთავარი სამხედრო შტაბის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამოსვლის დღე დაინიშნა ჩვენი დანიშნული დღიდან 12 დღის შემდეგ. გარდა ამისა, ისინი ჩვენგან მოითხოვენ შემდეგი სახის ინფორმაციის მიწოდებას:

1. მაზრაში მყოფ პარტიზანთა საერთო რაოდენობას.
2. ქვეით და ცხენოსან პარტიზანთა საერთო რაოდენობას.
3. ჩვენს განკარგულებაში არსებული იარაღის, ტყვიების, ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების რაოდენობას.
4. ლეკებთან და აზერბაიჯანელებთან კავშირის შესახებ (რა დახმარებას აღმოგვიჩენენ ისინი).
5. აჯანყების დღეებში სასურსათო საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ გადავწყვიტეთ, დღესვე წავიდეთ დუშეთში და იქიდან ვიმოქმედოთ. ყაზბეგში დგას თბილისიდან ჩამოყვანილი ერთი ჯავშნიანი ავტომანქანა. ბარისახოდან ჩვენთან ერთად წამოსული ორი წარმომადგენელი ჩამოგვშორდა იმ ღამესვე და აღარ მოსულან. როგორც ისმოდა, ამ მხარეს მოემართებოდა 800 ადამიანი, მათგან 300 ადამიანი იყო პირველი პოლკიდან (ჩვენები). ცენტრი ითხოვს, ეს ინფორმაცია მივაწოდოთ მას 15 სექტემბრამდე და გვაცნობებენ, რომ განლაგებას გამოგვიგზავნიან 20 სექტემბრისთვის დალუქული პაკეტით.

22 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 59-61.

პ.ს. დღეს საღამოს, 8 სექტემბერს იყო სამი სოფლის წარმომადგენელთა შეხვედრა. ამ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მიიღონ მონაწილეობა საერთო აჯანყებაში ჩვენ მიერ დანიშნულ დღეს. ხვალ გაგზავნიან ხალხს სხვა სოფლებში ინფორმაციის გადასაცემად. ცენტრს ვაცნობებთ, რომ საერთო აჯანყების დღე დაინიშნოს. სიმონი დღეს ღამ მიემგზავრება დუშეთში წინასწარი სამუშაოების მოსამზადებლად. აჯანყების დღისთვის დუშეთის მაზრა იქნება მზად. ჩვენ წამოვალთ სნოდან 2 დღით ადრე. თქვენ შეგხვდებით ბაკურ-ხევში.

შ ა ლ ი კ ო.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 14/I.

დუშეთის მოვლენების დროს, ბანდიტების მთავარი შეხვედრის ადგილი იყო სოფ. ბარისახო. 1922 წლის 8 სექტემბერს ექსპედიციის ჯარებისთვის გაცემული ბრძანებიდან ჩანს, რომ ბარისახოსკენ უნდა წამოსულიყო 3 კოლონა: 1. მარჯვენა კოლონა 832-კაციანი შემადგენლობით მოემართებოდა მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, რომელიც შედიოდა ქართულ საკადრო-სასწავლო ბატალიონსა და ცალკეულ ჩრდ. კავკასიის ესკადრონის შემადგენლობაში (ამ უკანასკნელს შემდგომში მეთაურობდა ალიმოვი). 2. შუა კოლონა შედგებოდა 573 კაცისგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1-ელი ქართული პოლკის მეთაური ბრეგაძე. მასში შედიოდნენ 1-ელი ქართული პოლკის 356 მებრძოლი, 1-ელი ასეულის მე-9 მსროლელი პოლკის, მე-3 დივიზიის, მე-3 გამნამღველი ასეულის, მე-8 საინჟინრო ბატალიონისა და 1-ელი ესკადრონის მე-2 ცხენოსანი ჯარების მებრძოლები. 3. მარცხენა კოლონა, ბიაზის მეთაურობით, შედგებოდა 13 კურსის 6 ასეულისგან, 1-ელი სასწავლო პოლკისგან, მე-2 სამთო ბატალიონისგან, მე-3 მსროლელი დივიზიისგან, მე-3 გამნამღველი ასეულისგან, მე-8 საინჟინრო ბატალიონისა და ერთი მსროლელი პოლკისგან. სოფ. კარკუჩაში იდგა 1-ელი სასწავლო-საკადრო და მე-17 საარტილერიო პოლკები, რომელთაც ივანჩენკო ხელმძღვანელობდა.

9 სექტემბერს შუა კოლონა გაიჭრა ბარისახოს მიმართულებით. არც ერთ კოლონაში, ბრეგაძის კოლონის გარდა, არ იყო პირველ პოლკზე დიდი ნაწილი (300 კაცი). (გვ. 315, 316).

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 13/II.

შუა კოლონას ხელმძღვანელობდა ბრეგაძე. შტაბის უფროსი იყო დევდარიანი, თანაშემწე - ცხაორელი, პოლკის მეთაურის თანაშემწე - ალექსანდრე მაჭავარიანი, ბატალიონის მეთაური - ჯაფარიძე, ასეულის მეთაურები - ხარაძე, შეაშვილი, მიქელაძე, გაგეშლაძე, მოსავა. ტყვიამფრქვეველი პოლკის მეთაური- ჭრელაშვილი, ოცეულის მეთაურები - ჩაპტარია, მამულაშვილი, ჩიგინაძე, გეგეშიძე, ღლონტი, დგებუაძე, ნიკოლოზ ციცქაძე და ვარლამ კელაძე.

მაჭავარიანი აღრიცხვაზეა, როგორც მონარქისტი.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 25/I.

300 „ჩვენია“, სიტყვა გადაუკრა კლიმიევმა 1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე საშა მაჭავარიანს. გვერდწითელი (პირველ ცხენოსანთა პოლკის სერჟანტი, მენშევიკების დროს მსახურობდა ჩოლოყაევის გვარდიაში) აგვისტოს ბოლოს წავიდა ჩოლოყაევთან.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 14/II.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, 1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე, დაბადებულია დაღესტანში. დაამთავრა თბილისის იუნკერთა სასწავლებელი, ძველ არმიაში იყო პოლკის მეთაურის თანაშემწე, ცხოვრობს ოლგას ქ. N40-ში. მენშევიკების დროს ლანძღავდა მათ მმართველობას და პოლიტიკას, მისი მხრიდან საბჭოთა ხელისუფლების დროსაც იგივე ქმედება შეიმჩნევა. სამსახურში არის სამაგალითო მოსამსახურე. შემჩნეულია მონარქისტული შეხედულებების მიმდევრობაში. 1922 წელს მონაწილეობდა თიანეთის მაზრის ექსპედიციაში, მაგრამ გზაში ავად გახდა და უკან მობრუნდა.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), აგენტი, შეტყობინება 14/II.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი ცხოვრობს ოლგას ქ. N40-ში. არის 42 წლის, დაბადებულია თემირ-ხან-შურაში. ყოფილი პოლკოვნიკია, მენშევიკების დროს იყო 1-ელი ქართული პოლკის მეთაური. მისი ნიშნები შეტყობინებაშია.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „რ.ო. ანკ.“.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი წარმომავლობითი აზნაურია თბილისის გუბერნიიდან, ძველ არმიაში მსახურობისას მიიღო ყველა სამხედრო მიღწევა. იყო დაპატიმრებული.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმი (ამონარიდები)[23]

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანზე

N94 საქმესთან დაკავშირებით

1923 წლის 5 აპრილი

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), ამონარიდი პირველი ქართული საბჭოთა პოლკის დახასიათებიდან:

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, პოლკის მეთაურის თანაშემწე, კარგი აღნაგობის, საბოტაჟის მომწყობი, მონარქისტი.

23 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 62-63.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), აგენტურა, შეტყობინება 06/IV.

ალექსანდრე მაჭავარიანი, ყოფილი ოფიცერი, 1-ელ პოლკში მომსახურე ოფიცერთა გადმოცემით - გენერლის ვაჟი, არის მხურვალე მონარქისტი, პოლკში გამოცხადებული საცდელი განგაშის დროს ოფიცრები აღმოჩნდნენ მოუმზადებელნი. სხდომაზე პოლკის მეთაურმა თქვა, რომ მაჭავარიანი მონარქისტია.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), ამონარიდი ГРУЗЧЕКА-ს საგამომძიებლო საქმიდან 08/IV.

მაჭავარიანი არის ГРУЗЧЕКА-ს მიერ 1922 წლის 7 აპრილს კონტრრევოლუციური დანაშაულის ბრალდებით დაპატიმრებულ 23 პირს შორის. ისინი გადაგზავნილნი არიან გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებულ განყოფილებაში შემდგომი გამოძიებისთვის.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), რეგიონული განყოფილების შეტყობინება.

მოქ. მაჭავარიანთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), ამონარიდი ოქმიდან, 10/V.

არ ეთანხმება კომისრის ინსტიტუტის არსებობას წითელ არმიაში, სახალხო მეურნეობის შესახებ აზრს ვერ გამოთქვამს სათანადო კომპეტენციის არქონის გამო. თებერვლის გადატრიალებას უთანაგრძნობს, ასევე იზიარებს ოქტომბრის გადატრიალებას, გარდა რელიგიური საკითხისა. თებერვალსა და მარტში თბილისში განვითარებული მოვლენების შესახებ თავისი აზრი არ თქვა.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), აგენტურა, შეტყობინება 08/VI.

ალექსანდრე მაჭავარიანი, მენშევიკების დროს თელავის მე-6 პოლკის ხელმძღვანელის ყოფილი თანაშემწე, მენშევიკი არ არის, მაგრამ ნაციონალისტია.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), ამონარიდი ЗАКЧЕКА-ს საიდუმლო განყოფილების უფროსის მოხსენებიდან.

გარკვეული მოვლენების თავიდან აცილების გამო, გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით დაპატიმრებული პირები, მათ შორის მაჭავარიანი, გათავისუფლდნენ და გაიგზავნენ სამსახურის ადგილების მიხედვით.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „N7“, შეტყობინება 7/III.

მაჭავარიანი ვერ იტანს მენშევიკებს, აქებს მონარქიას, ასევე არ უყვარს სოციალიზმი, აქვს

დიდი კავშირები ოფიცერთა შორის.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), ამონარიდი სამხედრო კომისარიატის დახასიათებიდან.

მაჭავარიანი კარგი სამხედროა. არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნება და ნაკლებად ერევა პოლიტიკაში.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 15/III.

მაჭავარიანი თავის პოლიტიკურ შეხედულებებს არ ამჟღავნებს. ახლოს არ ვიცნობ. ორჯერ წაუკითხა ლექცია რაზმის მეთაურთა შემადგენლობას.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 26/III.

მაჭავარიანის დაპატიმრების საქმე გადაიგზავნა ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის განყოფილებაში.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „N123322“, შეტყობინება 15/XII.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი მსახურობს 1-ელ ქართულ პოლკში, მეთაურის თანაშემწედ.

რწმუნებული: **კოლესნიკოვი.**

სრულიად საიდუმლოდ

„ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის 1-ელ განყოფილებას

შეტყობინება სანდო პირ N84-სგან N145 დავალებასთან დაკავშირებით [24]

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, პირველი პოლკის მეთაურის თანაშემწე, 42 წლის, დაბადებული დაღესტანში, ოფიცერი 1905 წლიდან. დაამთავრა თემირ-ხან-შურინის რეალური და ტიფლისის იუნკერთა სასწავლებლები. ძველ არმიაში გაიარა თანამდებობები, უმცროსი ლეიტენანტიდან პოლკის მეთაურის თანაშემწეობამდე, აქვს ყველა ძველი ჯილდო გიორგის იარაღის


24 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 65.

ჩათვლით. ცხოვრობს ოლგას ქ. N40-ში. ბუზღუნაა. მენშევიკების დროს ლანძღავდა მთავრობას და მათ პოლიტიკას. იგივე ქმედებაში შეიმჩნევა სამჭოთა ხელისუფლების მიმართაც. არის კარგი თანამშრომელი, მაგრამ პროგრესის მიმართ არალოიალურია. შეიმჩნევა მისი მონარქიისკენ მიდრეკილება (რაც ძალიან იშვიათია ქართველ ოფიცერთა შორის). 1922 წლიდან მონაწილეობდა თიანეთის მაზრის აჯანყების ჩახშობის ექსპედიციებში, მაგრამ გზაში ავად გახდა და მოუწია უკან მობრუნება.

14 თებერვალი, 1922 წელი.

ЗАКЧЕКА-ს საინფორმაციო განყოფილების უფროსი: ხელმოწერა.

რწმუნებული: ხელმოწერა.



Совершенно-Секретно

В I-ое Отделение КРО ЗАКЧЕКА

Сводка № 186 /Осведомитель № 84/

На задание № 145.

МАЧАВАРИАНИ Александр Михайлович-Помощн. Командира I-го полка, 42 лет, уроженец Дагестанской области, офицером с 1906 г. окончил Темир-Хан-Шуринское Реальное училище и Тифлисское Юнкерское училище; в старой Армии занимал должности от младшего офицера до помощника командира полка, имеет старые награды все до Георгиевского оружия включительно. Проживает по Ольгинской улице № 40. Любит много ворчать; во время меньшевиков бранил правительство и их политику; тоже самое замечается и теперь в отношении Совет Власти. В служебном отношении является редким работником но не в полне лоялен к существующему строю и не может до сего времени понять и вникнуть в новое веяние человеческого прогресса. Замечается по психологии -некоторые склонности к монархизму / очень редкое явление среди бывших офицеров - грузин/. В 1922 году участвовал в экспедиции при подавлении восстания в Тионетском уезде в колонне, направлявшейся на БОРИСАХО, но по дороге заболел и вернулся обратно.

" 14 февраля 1922 года

НАЧОСВЕДОТА ЗАКЧЕКА

Уполномоченный

65

320

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 65.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის ჩვენება 3/III-1923 წ.: [25]

დ. ვაჩნაძე 1922 წლის აპრილს, მეტეხის ციხეში ყოფნისას გავიცანი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მას შევხვდი ორჯერ გოლოვინის პროსპექტზე. დუშეთში წასვლამდე, 1922 წლის სექტემბრის დასაწყისში, დ. ვაჩნაძე არ მინახავს. დუშეთში ჩასვლისას მუსხელოვისთვის მე არ მითქვამს, თითქოს დ. ვაჩნაძე იმალება და სთხოვს მათ მალე ჩავიდნენ ხევსურეთში. იმის შესახებ, რომ დ. ვაჩნაძე მოქმედებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არაფერი ვიცი.

დაკითხვის ოქმი დაწერილია ჩემი სიტყვებით. მის სიზუსტეს ვადასტურებ ხელმოწერით: ა. მაჭავარიანი.

დაკითხა: ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა, **აშუკინმა**.

ასლი დედანთან სწორია.

ლევან ირაკლის ძე კლიმიევის ჩვენება 3/V-1923 წ.: [26]

ალექსანდრე მაჭავარიანს პოლკიდან ვიცნობ. მისი პოლიტიკური შეხედულებები ჩემთვის ცნობილი არ არის. რაც შეეხება დოკუმენტებს, რომლებიც ფავლენიშვილს ეხებოდა და გამოქვეყნდა გაზეთში, მე მაჭავარიანზე არავისთან არაფერი მითქვამს.

ლ. კლიმიაშვილი.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანის ჩვენება 3/V-1923 წ.: [27]

დ. ვაჩნაძეს ვიცნობ. მასთან პოლიტიკურ თემაზე არანაირი საუბარი არ მქონია და მას ჩემთვის არანაირი დავალება არ მოუცია. დაპატიმრებამდე ვიყავი 1-ელი ქართული პოლკის მეთაურის თანაშემწე. ხევსურეთის აჯანყების დროს რაზმის უფროსის, ლექვთაძის მიერ ვიყავი გამოძახებული. წავედით მე, მარქაროვი, შამშურინი და ქართული არმიის პოლიტიკური დანაყოფის უფროსის მოადგილე. მარქაროვი მსახურობს ქართული არმიის პოლიტიკურ დანაყოფში. შამშურინი არის მომარაგების დანაყოფის უფროსი. მცხეთაში ოთხივემ დავლიეთ ერთი ბოთლი ღვინო და წავედით დუშეთში, სადაც ჩავედით საღამოს. ყველა ერთად შევედით შტაბში, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო ერთი საერთო ოთახი, ხელმძღვანელი კი იჯდა ცალკე ოთახში. საერთო ოთახში იყვნენ სიჭინავა და მუსხელოვი. მე წარვდექი მუსხელოვის წინაშე და გავეცანი. მან გვითხრა, რომ რაზმის ხელმძღვანელი გამოვა და განკარგულებებს მოგვახსენებსო. ჩემს ჩასვლამდე იყო ბრძანება მარჯვენა კოლონის უფროსად ჩემი დანიშვნის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ტალახაძის ჩამოსვლის გამო მოხდა ბრძანების გაუქმება და მე რაზმის ხელმძღვანელის განკარგულებით დავინიშნე.

25 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 74.
26 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 73.
27 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 70.

მუსხელოვს მარტო არ შევხვედრივარ. აივანზე ნამდვილად გავედი, მაგრამ ვერ ვიხსენებ, იქ კიდევ იყო თუ არა ვინმე. დანამდვილებით მახსოვს, რომ მუსხელოვს ჩემთან არ უსაუბრია. 7 საათზე იყო სხდომა. ვივახშმეთ და ვახშმის შემდგომ აღნიევმა შემომთავაზა ღამით მასთან დარჩენა. დილით აღნიევთან ერთად გავემართე შუა კოლონის პოზიციებისკენ. მთელი დრო შუა კოლონასთან ვიყავი და აღნიევიც გვერდით მახლდა.

პირველ დღეს შტაბში მთვრალი არ მივსულვარ. რაც ვთქვი, ყველაფერი კარგად მახსოვს. არანაირი საუბარი ვაჩნაძის დავალების შესახებ არც მუსხელოვთან და არც არავისთან მქონია.

პოლკის ხელმძღვანელის თანამდებობიდან თელავის მთავრობის თხოვნით მოხსნილი მე არ ვყოფილვარ, არამედ გადაყვანილი ვიყავი ლაგოდეხის მე-6 პოლკის მეთაურის თანამდებობაზე, რადგან მენშევიკების დროს მე თელავში ვმსახურობდი.

მუსხელოვისთვის ჩემი დაწინაურების შესახებ არ მითხოვია და სამსახურთან დაკავშირებით მასთან არაფერზე მისაუბრია.

ა. მაჭავარიანი.

დაკითხა: **პერტოსიანმა**.
ასლი დედანთან სწორია.

გერასიმე მელიქის ძე მარქაროვის ჩვენება 7/V-1923 წ.: [28]

მაჭავარიანთან ერთად მივდიოდით მე და შამშურნი დუშეთში. მცხეთაში გავჩერდით და დავლიეთ მხოლოდ ერთი ბოთლი ღვინო, რომელიც დუშეთში ჩასვლამდე უკვე აღარ გვეტყობოდა. მაჭავარიანი მთვრალი არ ყოფილა, რასაც ვადასტურებ.

მარქაროვი.

დავამატებ: მუსხელოვს ყოველთვის არასასიამოვნო დამოკიდებულება ჰქონდა მაჭავარიანის მიმართ. მაჭავარიანი აპოლიტიკური პიროვნებაა, მონარქისტია.

მარქაროვი.

28 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 69.

როსტომ მუსხელოვისა და ალექსანდრე მაჭავარიანის დაპირისპირება: [29]

1923 წლის 11 მაისი

კითხვა მუსხელოვს: მოყევით დაწვრილებით, სად, როგორ და რა გადმოგცათ მაჭავარიანმა დუშეთში ჩამოსვლისას?

პასუხი: როდესაც მაჭავარიანი დუშეთში ჩამოვიდა, ცნობილი გახდა, რომ იგი მარჯვენა კოლონის მეთაურად ინიშნებოდა. მე გავედი აივანზე, დავინახე იქ მაჭავარიანი და ვუთხარი მას დანიშვნის შესახებ. მან მითხრა, რომ აღნიევმა მას თავისთან დარჩენა შესთავაზა. აშკარა იყო, რომ აღნიევმა შეცვალა გადაწყვეტილება დანიშვნასთან დაკავშირებით და ამის შესახებ უთხრა მაჭავარიანს ისე, რომ ჩვენ არ ჩავუყენებივართ საქმის კურსში. ამასთან, შევამჩნიე, რომ მაჭავარიანს სიხარული სულაც არ ეტყობოდა. მან მითხრა, რომ საჭიროა ძლიერად დადგომა, რამდენადაც დ. ვაჩნაძეც ამბობდა, რომ ასე მოქცევა იყო საჭირო. მახსოვს, ვკითხე, იმალებოდა თუ არა დ. ვაჩნაძე, რაზეც მიპასუხა - კი, მგონი, იმალებაო. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ რამდენადაც მაჭავარიანი იყო ძალიან ნასვამი, არ შემეძლო გამერკვია, რასაც იგი ენეგიულ შეტევაზე გადასვლასთან დაკავშირებით ამბობდა, დ. ვაჩნაძის აზრი იყო თუ მისი, ან იგი გადმომცემდა კი ვაჩნაძის დავალებას ნამდვილად.

მაჭავარიანი: ასეთი საუბარი ჩემსა და მუსხელოვს შორის არ ყოფილა. ვაჩნაძეს საერთოდ არ ვიცნობ. იგი ციხეში ვნახე. რაც შეეხება მის დამალვას, არაფერი შემეძლო მეთქვა, რამდენადაც ვაჩნაძე ციხიდან გამოსვლის შემდგომ ვნახე, როდესაც იგი თავისუფლად სეირნობდა გოლოვინის პროსპექტზე.

კითხვა მუსხელოვს: იქნებ გაიხსენოთ მაჭავარიანთან საუბრის დეტალები?

პასუხი: სხვა თემაზე საუბარი ჩვენ შორის არ ყოფილა. ვლაპარაკობდით გვიან ღამით, დილით კი მაჭავარიანი აღნიევთან ერთად ფრონტზე წავიდა.

რ. მუსხელოვი.

ა. მაჭავარიანი.

29 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 66.

66

П О К А З А Н И Я

ОЧНАЯ СТАВКА МЕЖДУ МУСХЕЛОВЫМ РОСТОМ И МАЧАВАРИАНИ АЛЕКСАНДРОМ МИХАЙЛОВИЧЕМ ОТ 11-го МАЯ 1923 ГОДА.

ВОПРОС МУСХЕЛОВУ. - Расскажите подробно, что, как и где Вам передал МАЧАВАРИАНИ по приезде в Душет

О Т В Е Т - Когда МАЧАВАРИАНИ приехал в Душет, стало известно, что он назначается начальником правой колонны. Я вышел на балкон, увидел там МАЧАВАРИАНИ и сказал ему о назначении. Он ответил, что ему АГНИЕВ предложил остаться при нем. Очевидно АГНИЕВ переменил назначение и поставил об этом в известность МАЧАВАРИАНИ, не сообщив нам. Между прочим я заметил, что МАЧАВАРИАНИ был навеселе. Он мне сказал, что нужно как можно крепче наступать, так как Давид ВАЧНАДЗЕ тоже говорил ему, что нужно наступать. Я помню, спросил его, скрывается ли Давид ВАЧНАДЗЕ, МАЧАВАРИАНИ ответил, что, да, кажется, скрывается. Но определенно не добился, видел ли он Давида ВАЧНАДЗЕ или нет. На вопрос отвечаю, что так как МАЧАВАРИАНИ был сильно выпивши, то я не мог разобрать, говорит ли он об энергичном наступлении, поддерживаемом и взглядом ВАЧНАДЗЕ Давида, как свое мнение, или он передавал мне определенное поручение ВАЧНАДЗЕ.

М А Ч А В А Р И А Н И - Разговора такого между мною и МУСХЕЛОВЫМ не было. ВАЧНАДЗЕ совершенно не знаю. Видел его в тюрьме. Относительно скрывания, я ничего не мог сказать, так как ВАЧНАДЗЕ я видел после моего выхода из тюрьмы, он свободно гулял по Головинскому проспекту.

ВОПРОС МУСХЕЛОВУ. - Может быть Вы вспомните МАЧАВАРИАНИ подробности разговора.

О Т В Е Т - Больше ни о чем говорено не было. Разговор происходил поздно вечером, а утром МАЧАВАРИАНИ выехал с АГНИЕВЫМ на фронт. (подписи)

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 66.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი [30]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამხანაგები: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. **მოგილევსკი.**

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, 41 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი პოლკოვნიკი მეფის არმიაში, I ქართული პოლკის უფროსის თანაშემწე.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანს, 41 წლის, ყოფილ აზნაურს, ყოფილ პოლკოვნიკს, რომელიც მსახურობდა მეფის არმიაში, I ქართული პოლკის უფროსის თანაშემწეს, ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეს, ჩოლოყაევის აჯანყების დროს წითელი არმიის რიგებში ყოფნისას საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროს როსტომ მუსხელოვისთვის ეროვნულ-დემოკრატთა ცეკას დავალების გადაცემისთვის **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

30 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 76.



76

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 г.
Расширенного заседания Коллегии Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.-
Под председательством Председателя тов. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАЛИНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

Слушали: Постановили:

Докладчик тов. АПУХИН:

1-Дело Военной организации анти-советских партий, по обвинению:

12/ НАЧАВАРЛАНИ Александр Михайловича, 41 года, б. дворянина, б. полковника царской службы, пом. командира 1 полка 1 груздивизии.

1-За организацию заговора против Совласти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству

ПОСТАНОВЛЕНО:

12/НАЧАВАРЛАНИ Александра Михайловича, 41 года, б. дворянина, б. полковника царской службы, пом. командира 1 полка 1 груздивизии. Активный участник военной организации нац. демократов. В период Мелокаевского восстания, состоя в рядах Красной армии, передал задания ЦК.Н.-в Нач. Штаба Экспедиционного Отряда Ростому Мухелову - РАССТРЕЛЯТЬ. Приговор привести в исполнение в 24-х часовый срок

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК /МАЙОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23507. ტ. 1. გვ. 76.

როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი


(1888 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23484, 2 ტომი, 208 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობები;
- მემორანდუმი;
- ამონაწერები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- კრებსი;
- დადგენილება ბრალის წარდგენაზე;
- განცხადება;
- დაკითხვის ოქმი;
- სამსახურებრივი მიმოწერა;
- პატიმრის ჩვენებები;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.


Архив № 287
30/I 1923 года
Закавкасск. Чрезвыч. Комиссия
при Союзсовете
ДЕЛО №
Начато „ 4 „ марта 1923 г.
Кончено „ 14 „ мая 1923 г.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 3.

როსტომ მუსხელიშვილი

„...ქართველთა შეუთანხმებლობა ტრაგედია იყო მისთვის. ყველანი უნდა შევთანხმდეთ, - ეუბნებოდა ის ვაჩნაძეს, - ვინც ჩახედულია სინამდვილეში, გვერდში უნდა ამოვუდგეთ მებრძოლ ქართველ ხალხს. თუ დავმარცხდებით, ქართულ ისტორიას პატიოსანი ეროვნული ბრძოლის კვალს ხომ დავუტოვებთ...”

/ყურნალი კარიბჭე. კახაბერ კენჭიშვილი./

* * *

„...როსტომ მუსხელიშვილს ერთადერთი შვილისთვის წერილი დაუტოვებია, რომ იყო მუდამ პატიოსანი ქართველი და კვდება საქართველოსთვის...”


/ყურნალი კარიბჭე. კახაბერ კენჭიშვილი./



„...56 წლის, საშუალოზე მაღალი, ჭაღარა წარბებით, ჭაღარა წვერით, უხეში სახის ნაკვთებით, თავს იპარსავს, ატარებს ფაფახს, აცვია ჯარისკაცის გადაკეთებული რუხი ფერის ფარაჯა, გადაადგილდება ავტომობილით...”

/აგენტურული ცნობები./

1923 წლის 3 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N38 ორდერი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის თანამშრომელს, ვინმე ტალინგს ევალებოდა როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილის (მუსხელოვის) დაპატიმრება და კოჯრის ქ. N6-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

ОРДЕР № 38

Марта 3 дня 19 21

Выдан сотруднику Закчека Тальингу

на производство обыска и ареста Мусхелова Ростома Ильича

по адресу Кавжорская 6.

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Место для печати

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Справка

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 5.

საქმის მასალების მიხედვით

იმავე დღეს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N38 ორდერის საფუძველზე შედგა ჩხრეკის ოქმი,[1] საიდანაც ირკვევა, რომ მუსხელიშვილისგან ამოღებულ იქნა სხვადასხვა მიმოწერა.

როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი (მუსხელოვი) დააპატიმრეს 1923 წლის 3 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N91

გვარი, სახელი, მამის სახელი	მუსხელოვი როსტომ ილიას ძე
მისამართი	კოჯრის ქ. N6.
ასაკი	35 წლის.
განათლება	უმაღლესი სამხედრო განათლება.
პროფესია	სამხედრო მოსამსახურე.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	ქართულ დივიზიაში, მისი დაფუძნებიდან.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ცხოვრობს ხელფასზე, ორჯერ მიიღო დახმარება, ყიდდა საკუთარ და სხვის ნივთებს.
ოჯახური მდგომარეობა	მეუღლე და პატარა შვილი.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
რის საფუძველზე	ბრალდება არ გაუცვნიათ

ხელმოწერა: **რ. მუსხელოვი.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 6-8.



Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 91

„3" Марта 1923 г.

Фамилия Мурсенов Имя и отчество Ростом Ильич

Адрес: Кожевская № 6

Возраст 35

Образование имею высшее военное

Профессия военно-судебный

Где работает и долго ли в Грузинской самостоятельной

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли

Нет.

На какия средства живет на отпускаемое жалованье

Имеет ли семью жену и малолетнего ребенка

Кем арестован Закчк.

На каком основании

об'явленное предъявлено

Подпись: Нач. отд. Р. Мурсенов

Приметы:

Сдал Принял

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 9.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის


<u>ანკეტა N96</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	მუსხელიშვილი
2) ***სახელი, მამის სახელი***	როსტომ ილიას ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო.
4) ***ჩაწერის ადგილი***	ქ. თბილისი.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	35 წლის, 1888 წლის იანვარი.
7) ***განათლება***	საარტილერიო სასწავლებელი და გენერალური შტაბის აკადემია.
8) ***ოჯახი***	***მეუღლე:*** ელისაბედ კორნელის ასული მუსხელიშვილი, მცხ. თბილისში, კოჯრის ქ. N6. ***ქალიშვილი:*** ნონა როსტომის ასული მუსხელიშვილი, მცხ. თბილისში, კოჯრის ქ. N6.
	ძმები: იოსებ ილიას ძე მუსხელიშვილი, მცხ. ქ. თბილისში. გიორგი ილიას ძე მუსხელიშვილი, მცხ. ქ. თბილისში.

9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	***ძმა:*** იოსებ ილიას ძე მუსხელიშვილი, არტილერიის პოდპორუჩიკი, მსახურობს ქართული დივიზიის საარტილერიო პოლკში. ***დეიდაშვილი:*** ალექსი დავითის ძე მაჭავარიანი, ქვეითი ჯარის პოდპორუჩიკი. ***ბიძა:*** ივანე ლევანის ძე მუსხელიშვილი, არტილერიის გენერალი, ქართული დივიზიის არტილერიის მეთაური. ***ახლო მეგობარი:*** აპოლონ დავითის ძე იოსელიანი, არტილერიის კაპიტანი, ქართული საარტილერიო დივიზიის უფროსის დამხმარე.
10) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი***	***ძმა:*** იოსებ ილიას ძე მუსხელიშვილი, ***ბიძა:*** ივანე ლევანის ძე მუსხელიშვილი, ***ახლო მეგობარი:*** აპოლონ დავითის ძე იოსელიანი, ***ძველი მეგობარი:*** ზაალ ვახვახოვი.
11) ***პარტიულობა***	უპარტიო.
12) ***პროფესია***	სამხედრო მოსამსახურე.
13) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე:*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) კავკასიის ფრონტზე მსახურობდა შტაბში (კავკასიის სამხედრო კორპუსში და ბატარეებში სამხედრო მოქმედებების დროს). ბ) გენშტაბის აკადემია, ამიერკავკასიის არმიის ნაციონალური ჯარი. მენშევიკურ არმიაში - გენშტაბში, გასაბჭოების დროს იყო ბათუმის რაზმის შტაბის მეთაური, დივიზიონის შტაბის მეთაური.
14) ***წოდება***	კაპიტანი.
15) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	ყოველთვის მსახურობდა.
16) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არა.
17) ***ნასამართლობა***	არა.
18) ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება***	დივიზიის შტაბის მეთაური.

19) ***როდის მოხდა დაპატიმრება***	1923 წლის 3 მარტს.
20) ***ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი***	საქართველოს საგანგებო კომისიის ორდერის საფუძველზე.
21) ***სად მოხდა დაპატიმრება***	საკუთარ ბინაში.
22) ***ვის მიერ იყო დაკითხული პირველად***	არ დაუკითხავთ.
23) ***იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს***	არა.
24) ***საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე***	ქ. თბილისი.
3 მარტი 1923წ. პატიმრის ხელმოწერა: **რ. მუსხელოვი**	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) ***პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება***	
26) ***ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N***	
27) ***პატიმრის ნიშნები***	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	



Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии.

АНКЕТА №

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.
Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
I-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Мусхелов
2) Имя и отчество	Ростом Ильич
3) Гражданин(ка) какого государства	С.С.Р.Т.
4) Место приписки	Губ.: Тифлисской уезд вол.: село город
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	35 лет, родился в Январе месяца 19[illegible] года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) грамотный б) окончил [illegible] школу в) прошел [illegible] класс, [illegible] курс, [illegible] школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1	Жена	Мусхелова Елизавета Кузьминична	29	Тифлис Кадетская, 6.	безработная
2					
3	дочь	Нонна	2г		
4	брат	Иосиф	32	Тифлис	Кварк. Груздив. Отд.
5	брат	Георгий	34	Тифлис	в управлении ЗЖД

9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1	брат	Иосиф	подпоручик артиллерии	в Кварк. Груздивизии
2	двоюр. брат	Алексей Давидович Мусхелишвили	подпоручик	сейчас в Безрогово-артиллерийской Сакерской [illegible]
3	близкий знакомый	Арсланов Давидович Тбилисский	(помощник продовольствия)	Кавказ. артиллер.
4	дядя	Иван Иванович Мусхелишвили	Генерал артиллер	Кавказ. артиллер. Груздивизии
5				

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Воинское звание, род оружия или спец. в Красн. Ар.	Место службы
1	брат	Иосиф	Военврач, помощник начальника 9 го [illegible]	
2	дядя	Иван Иванович Мусхелишвили		
3		Арсланов Давид		
4	брат	Георгий Мусхелишвили		
5	брат жены	Заал Кахаберович Кадагидзе	Дивизии Грузинской	Груздив.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 10.

11

11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какого времени	а) состою членом беспартийный партии б) месяца 19 года
12) Профессия	военнослужащий
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1ш 1917 г.; б) с 1ш 1917 г. по день ареста	НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ / ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ а) На Кавказском фронте в 1914 г. Кавказской Армейской Корпус в Ковраз зав в Батарее 3х б) Был в Академии Генштаба, затем служил Сначала в Закавказском арм в Национальных Войсках Всеобщей армии дослужился до Капитана;
14) Если состоял на госуд. службе, то в каком чине	За время службы никаких чинов лет;
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	
17) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) Начальник Штаба дивизии, Генштабист б) не освобожден
19) Когда арестован	3. Марта месяц 1923 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	
21) Где арестован: а) губер., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) В тифлисе по Кавказской улице 69. 1926 б) На своей квартире
22) Когда и кем допрошен в первый раз	допроса не было
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно	
24) Место жительства перед арестом	Тифлис.

Подпись заключенного Г. Мусхелова

«3» Марта 1923 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдел XI Армии

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем) четко, разборчиво, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 11.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[2]

როსტომ ილიას ძე მუსხელოვი - ქართული შტაბის ნაკრები ბრიგადის უფროსი, მცხოვრები ისმაილოვის ქ. №38-ში (კოჯრის ქ. №6).

არის ორგანიზაციის სულისჩამდგმელი, ახლოსაა ნარიკელაძესთან, კავშირი აქვს სტრიხართან.

ნარიკელაძე ახასიათებს მუსხელოვს როგორც იდეალურ თანამშრომელს კონტრდაზვერვითი სამუშაოებისთვის.

10/VI-1922 წ. - მუსხელოვი გაემგზავრა ბათუმში, არის ეჭვი, რომ საფრანგეთის აგენტისგან ფულის მისაღებად წავიდა. ინფორმაცია მოგვაწოდა აგენტმა №5-მა.

27/VI-1922 წ. - ნარიკელაძის მიხედვით, მუსხელოვი ჩამოვიდა ბათუმიდან და ჩამოიტანა თანხა, რომელიც ქართველი ვაჭრის ხელით კონსტანტინოპოლიდან გამოაგზავნა მგელაძემ, საზღვარგარეთ მყოფმა ცნობილმა მენშევიკმა. ინფორმაცია მოგვაწოდა აგენტმა №5-მა.

3/VII-1922 წ. - მუსხელოვის ბათუმში გამგზავრებას ადასტურებს აგენტი. მუსხელოვი ბათუმში ვითომდა ქართული ნაწილების სარევიზიოდ გაემგზავრა. ინფორმაცია მოგვაწოდა ცნობის მომწოდებელმა განყოფილებამ.

მონაცემები პირადი ანკეტიდან: წარმოშობით თბილისის გუბერნიის აზნაურთაგანია, უპარტიო, დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, კონსტანტინოვის საარტილერიო სასწავლებელი და გენერალური შტაბის აკადემია. 1914 წლამდე მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადაში, 1917 წლამდე იმყოფებოდა თურქეთის ფრონტზე, 1917 წლიდან 1918 წლის მაისამდე მსახურობდა აკადემიის გენშტაბში. წითელ არმიაში იყო ქართული წითელი არმიის შტაბის უფროსი, ქართული დივიზიის შტაბის უფროსი, რეკომენდაციას უწევს აღნიაშვილი. სანდო, კარგი სპეციალისტია.

3/VII -1922 წ. - როსტომ ილიას ძე მუსხელოვი კავშირშია ქართული არმიის ყველა ოფიცერთან, განსაკუთრებით კეთილგანწყობილია 1-ელი ქართული პოლკის ბატალიონის მეთაურ უთნელოვთან და სამეურნეო განყოფილების უფროს მოდებაძესთან. ქვეშქვეშა, ფრთხილი და წინდახედულია, პოლიტიკურ საკითხებში მცოდნე და დიპლომატიურია. საქალაქო აღმასკომის წევრებში ამხ. ოკუჯავას (საქ. პოლიტიკური განყოფილების უფროსი) დაჟინებული მოთხოვნით მოხვდა, განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავს ბანდიტებთან მიმართებაში, ხშირად მიაქვს სახლში საიდუმლო ქაღალდები და კრებსები. ინფორმაცია მოგვაწოდა ცნობის მომწოდებელმა განყოფილებამ.

22/VIII–1922წ. - მშვიდობიანობის დროს მუსხელოვი იყო კადრის ოფიცერი, იმპერიალისტური ომის დროს მსახურობდა 39-ე ქვეით დივიზიასა და 1-ელ საკავალერიო კორპუსში, სამოქალაქო ომის დროს მსახურობდა ქართულ მენშევიკურ არმიაში. აქვს ძველი ოფიცრის სულისკვეთება და ჩვევები. ამბობდა, რომ არ გაცვლიდა წარსულის უარეს მომენტს აწმყოს საუკეთესო მომენტში. აქვს კავშირები ყოფილ ოფიცრებთან.

27/VIII – 1922 წ. - როსტომ ილიას ძე მუსხელოვი 1922 წლის თებერვლამდე იზმაილოვსკის ქ. №38-ში ცხოვრობდა, სანამ საცხოვრებლად კოჯრის ქ. №6-ში გადავიდოდა. ქართული დივიზიის შტაბის უფროსი, გენშტაბის ოფიცერი, დაბ. 1890 წელს.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 1, გვ. 8-12.

3/IX-1922 წ. - მუსხელოვი ხშირად ხვდება სტრიხარს, ეარშიყება ზასჩუკის შინაბერა დას, რომელიც შტაბის ოპერგანყოფილების თანამშრომელია.

7/IX-1922 წ. - მუსხელოვი ცხოვრობს მატინოვის ქუჩის №23-ში, აპოლონ დავითის ძე იოსელიანის ბინაში, რომელიც ქართული ბრიგადის საარტილერიო განყოფილების უფროსის თანაშემწეა, ყოფილი პოლკოვნიკი, 35 წლის. მუსხელოვი მას ბავშვობიდან იცნობს, მასთან ერთად სწავლობდა კონსტანტინეს სასწავლებელში, პეტროგრადში; კოჯრის ქ. №6-ში ცხოვრობს მუსხელოვის მეუღლე, რომელსაც ის გაეყარა. ამჟამად მუსხელოვი მივლინებაშია ბანდიტების წინააღმდეგ.

12/IX-1922 წ. - სტრიხარის კოჯორში ყოფნის დროს, მასთან თბილისიდან ყველაზე ხშირად სტუმრად ჩადიოდა ქართული დივიზიის უფროსი მუსხელოვი, რომელიც ამჟამად დუშეთშია. სტრიხარის დავალებათა შემსრულებლის, კულჩევსკის გადმოცემით, სტრიხარმა საბჭოთა ფულის გამოცვლის დროს მუსხელოვს გაუცვალა ფულის დიდი პარტიები. მუსხელოვს კარგი ურთიერთობა აქვს წითელი არმიის შტაბის ოპერგანყოფილების საქმისმწარმოებელ მარია იოსების ასულ ზაშჩუკთან, რაც საეჭვო გარემოებაა, რადგან ზასჩუკი, როგორც ქალი, მეტისმეტად შეუხედავია, მაგრამ მეტად ყბედია. მუსხელოვი ხშირად ასეირნებდა მას მანქანით. მუსხელოვის თანამშრომლების გადმოცემით, იგი მეტად უხეირო თანამშრომელია.

17/IX-1922 წ. - დუშეთში მყოფმა მუსხელოვმა გამოიძახა ქართული დივიზიის შტაბის ავტოფარეხის უფროსი გაბელაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შვებულებაში იყო. მუსხელოვი ყველა შვებულებაში დაატარებდა მას.

15/IX -1922 წ. - სერგო გაბელაშვილი - ქართული დივიზიის ავტოფარეხის უფროსი, მისამართი: ფერილინის ქ. №5. გარეგნული ნიშნები: საშუალოზე მაღალი, შავგვრემანი, თვალები - თაფლისფერი, 27 წლის. 13 სექტემბერს მან იმგზავრა მანქანით დუშეთიდან მანგლისში.

21/IX-1922 წ. - როსტომ მუსხელოვზე ამბობენ, რომ იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრია. ქართველ ოფიცერთა შორის ავტორიტეტი აქვს.

21/IX-1922 წ. - მუსხელოვის, როგორც საექსპედიციო განყოფილების /ამჟამად ქართული სამეთაური დივიზიონის ჯართა ჯგუფი/ უფროსის ქმედებებში აღინიშნება ბევრი ნაკლი, რომელიც შესაძლოა განზრახ იყოს დაშვებული: 1. საკუთარი მოხსენებებით /ოპერატიული კრებსებით/ აბნევს არმიის ხელმძღვანელობას და ქმნის დაურწმუნებლობის შეგრძნებას მიცემული მოხსენებების ფარგლებში: 17/9, 16 საათსა და 45 წუთზე დათარიღებულ №525 ოპერატიულ კრებსში ახსენებს: „მარჯვენა კოლონის ნაწილებმა გაიარეს ორი-წყალი და დაიკავეს ქუდნის მთა“, ხოლო იმავე რიცხვის 22 საათსა და 30 წუთზე №539 კრებსში ახსენებს: მარჯვენა კოლონის ნაწილები ბრძოლით მიიწევენ არაგვის მიმართულებით, რათა დაიკავონ ქუდნის მთა“. თითქმის ყველა მოხსენებაში საუბრობს ბანდიტების მიერ გაწეულ შეუპოვარ წინააღმდეგობაზე, მაშინ, როცა ჩვენი დანაკარგი საპირისპიროს ადასტურებს. მუსხელოვი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას დაქვემდებარებული კოლონების მეთაურების ქმედებებს. მაგალითად, 1-ელი ქართული პოლკის მეთაური ბრიგადე, რომლის დავალებაც იყო გუდარეხიდან გამოსვლა და ჩრდილოეთით, აპშოს დასაკავებლად გადაადგილება, გადაადგილდა არა ჩრდილოეთით, არამედ დასავლეთით /ვითომ შემოსავლელად/ და ლოხთობის მთამდე მიღწევისას შებრუნდა აპშოს საპირისპირო მიმართულებით, სოფელ ლოხთობისკენ, რადგან თითქოსდა მთები გაუვალი აღმოჩნდა. ამ მანევრის შესრულებისას მან დაკარგა 2 დღე, რაც არ შეიძლება გამართლებული იქნას შემოვლის სურვილით, რადგან ამისათვის წინასწარ უნდა დაედგინათ ზუსტი მარშრუტი, და გარდა ამისა, ქართველისთვის საქართველოს

მთებში გზის ვერგაგნება წარმოუდგენელია. მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად მუსხელოვის მხრიდან არაფერი გაკეთებულა. მის მიერ გაცემულ ბრძანებებში თითქმის არასდროს იყო მითითებული დავალების შესრულების ვადა და ბანდიტების დამარცხების სურვილი ქაღალდზეც კი არ იკვეთებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გამხნევებასა და შეგულიანებაზე, რაც უკვე ცნობილია არმიის შტაბის ხელმძღვანელობისთვის.

23/IX-1922 წ. - არის ცნობები, რომ მუსხელოვს მჭიდრო კავშირი აქვს მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციასთან; სტრიხართან დიდი ხანია ურთიერთობს, ნდობით სარგებლობს გედევანოვის მხრიდან, რომელმაც მუსხელოვი დამხმარედ აიყვანა. მუსხელოვი ასევე ნდობით სარგებლობს ქართული დივიზიის სამხედრო მეთაურის, სიჭინავას მხრიდან, გადაადგილებისა და კავშირის თვალსაზრისით, რისთვისაც ხშირად გამოიყენება ქართული დივიზიის ავტოფარეხის უფროსი გაბელაშვილი. ეს უკანასკნელი ავტოფარეხში მსხვილ კომბინაციებს ახორციელებს.

25/IX-1922 წ. - აპოლონ იოსელიანი - ქართული დივიზიის სამეურნეო ნაწილის უფროსი, მეფის არმიის ყოფილი კაპიტანი, მენშევიკური არმიის პოლკოვნიკი, კარგი სპეციალისტი, ძლიერ დაინტერესებულია პოლიტიკით.

25/IX-1922 წ. - რადიო-ტელეგრაფის თანამშრომელი ხმიადოვი და ყოფილი პოლკოვნიკი ფურცელაძე მუსხელოვს კარიერისტად და საბჭოთა კავშირისთვის სანდო ადამიანად მიიჩნევენ.

25/IX-1922 წ. - როსტომ მუსხელოვი - 30-33 წლის, საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი, მენშევიკების დროს იყო საარტილერიო შტაბის უფროსი, ნაცნობთა შორის მიჩნეულია თავგამოდებულ მონარქისტად, რომელიც „კომუნისტს“ განასახიერებს.

29/IX-1922 წ. - მუსხელოვის შტაბის გარემოცვა შედგება ყოფილი თავადისგან, ბეგთაბეგოვისგან/ქართული შტაბის უფროსის თანაშემწე/, ფაღავასგან/ოპერატიული განყოფილების უფროსი/, რაზმის მეთაურ ლექვთაძისგან. ბეგთაბეგოვი ქალაქ დუშეთის ყოფილი კომენდანტი და მენშევიკების დროს დივიზიის შტაბის კომენდანტი იყო გენერალ მაზნიევთან. მუსხელოვმა იგი სამხედრო სამსახურში მიიღო იმის მიუხედავად, რომ საატესტაციო კომისიამ იგი დაიწუნა. მაზნიევი იცნობდა მუსხელოვს.

28/IX-1922 წ. - დადგენილია, რომ მუსხელოვთან კავშირშია აბრამ უთნელოვი, მენშევიკების ოფიცერი, რომელიც ეწევა აგიტაციას მენშევიკების სასარგებლოდ.

ნარიკელაძე ამბობდა, რომ მას სთავაზობენ ქართული დივიზიის უფროსის თანაშემწის თანამდებობას, რაზეც უარის თქმას აპირებს, რადგან ურჩევნია ორგანიზაციისთვის მუშაობას უძღვნას თავი. შეთავაზებაზე უარის სათქმელად აპირებს დახმარება სთხოვოს მუსხელოვს. მუსხელოვის ხელშეწყობით, ნარიკელაძემ ბათუმში უნდა ჩაიყვანოს ერთ-ერთი თავისი თანამშრომელი.

7/XII-1922 წ. - მუსხელოვი - ქართული დივიზიის შტაბის უფროსი, ყოფილი კაპიტანი, დაამთავრა გენშტაბის აკადემიის უმცროსი კლასი, წითელ არმიაში მსახურობს 1921 წლის მარტიდან. ენერგიული, პატივმოყვარე, ეშმაკი და დიპლომატიური თანამშრომელია, აქვს ლავირების კარგი უნარი, მისი პოლიტიკური ორიენტაცია დადგენილი არ არის.

15/XII -1922 წ.- /იხ. მემორ. ნარიკელაძე/ საიდუმლო თანამშრომელთან საუბრის დროს ეს უკანასკნელი ამბობდა, რომ აქვთ საკმარისი მტკიცებულებები არმიის ორ ბატალიონამდე და ორ ასეულამდე შემცირების შესახებ - ამის თაობაზე გაიცა საიდუმლო ბრძანება, ქართულ დივიზიაში

მან გაიარა მუსხელოვის, მოდებაძის, ფაღავას, ბერიძესა და გალუსტოვის ხელში.

ამონარიდი ЗАКЧЕКА-ს საიდუმლო განყოფილების №775 ცნობიდან [3]

სასწავლო-საკადრო ბატალიონის ერთ-ერთი ოფიცრისგან, რომელიც ოზურგეთში იმყოფება /მისი გვარი დგინდება/, ცნობილი გახდა, რომ დაპატიმრებულ ოფიცერთაგან რამდენიმეს, კერძოდ, გენერალ წულუკიძეს, მოდებაძესა და მუსხელოვს კავშირი ჰქონდათ რომელიღაც ყოფილ ოფიცერთან, გვარად ყაზბეგთან, რომელსაც უნდა მოეხდინა აჯანყება მოხვევთა შორის ქართულ სამხედრო გზაზე. ოფიცრის სიტყვებიდან ირკვევა, რომ ოზურგეთში მყოფ მოქ. ტალახაძეს ემუქრება მოქ. ობოლაძის ბედი. მან ეს სიტყვები წარმოთქვა: „არ მგონია, ტალახაძე ცოცხალი დაბრუნდეს, რადგან მისი მოკვლა გადაწყვეტილი საქმეაო.“

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ივანე ანტონის ძე ფაღავას ჩვენება 22/III-1923 წ.: [4]

მე, ქვემორე ხელისმომწერი, დაკითხული ვარ, როგორც ბრალდებული: ივანე ანტონის ძე ფაღავა, 29 წლის, ყოფილი თავადი, მცხოვრები ქ. თბილისში, ელიზავეტინსკაიას ქუჩა №178-ში. სამხედრო მოსამსახურე, დაოჯახებული, მყავს ქალ-ვაჟი, თავს ვირჩენ ჯამაგირით, უპარტიო, საბჭოთა წყობის თანამგრძნობი, საშუალო სამხედრო განათლების მქონე, 1914 წლის ომამდე - ვსწავლობდი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, კერძოდ, 1913-1914 წლებში ვსწავლობდი მოსკოვის ალექსეევსკის სამხედრო სასწავლებელში, მისი დამთავრების შემდეგ ვიმყოფებოდი სამხედრო სამსახურში.

მუსხელოვთან ერთად ვმსახურობდი 1921 წლის ნოემბრიდან, სწორედ მაშინ გავიცანი. ურთიერთობა მხოლოდ სამსახურებრივი გვქონდა. მუსხელოვი მენშევიკებთან რომ მუშაობდა, არ ვიცოდი, პირიქით, შტაბში ყველას ლამის კომუნისტი გვეგონა. ხშირად ვხედავდი შტაბში მოსულ ნარიკელაძეს, რომელიც მუსხელოვს კითხულობდა და შედიოდა მასთან. 1923 წლის 1 იანვრიდან მთელ საიდუმლო მიმოწერას მე ვხსნიდი, მაგრამ მუსხელოვთან მოხსენებას დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწე, ამხ. აგლაძე ახდენდა. მახსოვს, ამ უკანასკნელის საშუალებით მუსხელოვმა შემოთვალა: ოპერატიული ინფორმაცია ბანდიტების მოქმედების შესახებ ლენქორანის მაზრაში ამ წელს, რომელიც წითელი არმიის შტაბიდან მოდიოდა, მის შემოსვლამდე ჩვენი რომელი ნაწილი იყო განლაგებული აღნიშნულ მაზრაში, რაზეც პასუხი ვერ გავეცი, რადგან წითელი არმიის სრულ დისლოკაციას ჩვენ არ ვიღებდით. სადაზვერვო ცნობებს მუსხელოვს დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწის მეშვეობით ვაწვდიდი: ერთადერთი დისლოკაცია, რომელიც წითელი არმიის შტაბიდან მოვიდა, იყო 1923 წლის ბანაკის პერიოდის დისლოკაცია, რომელიც მუსხელოვს ასევე აგლაძის მეშვეობით გადავეცი. ჩემთვის უცნობია, საიდან ჰქონდა მუსხელოვს მის მიერ შედგენილი და მისივე ხელით დაწერილი ცნობები წითელი არმიის ნაწილების რაოდენობისა და განლაგების შესახებ, რადგან დივიზიის შტაბს მსგავსი მონაცემები არ აქვს. ხევსურეთის საექსპედიციო რაზმის მოქმედების ამსახველ ანგარიშში ჩემი წვლილი მხოლოდ ის არის, რომ მე ვიწერდი მუსხელოვის

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 36.
4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 37-38.

ნაკარნახევს და ვაწვდიდი მას საჭირო ცნობებს. მუსხელოვის ნაკარნახევს ასევე იწერდა ჩემი თანაშემწე მესხი, დივიზიის მეთაურის ნაშერაძის ადიუტანტი. ამხ. აღნიევის მოხსენება (პირადად) გადმომცა, რათა ის სასწრაფოდ გადამებეჭდა მანქანაზე და დამებრუნებინა მისთვის დედანიც და ასლიც. ასლის დამზადება ორ პირად ითხოვა. ეს იყო მეცადინეობების დროს. დაბეჭდვა მემანქანე ლიმარევას თუ ზაქაშვილს დავავალე. ლიმარევა ახლა სამსახურიდან გათავისუფლებულია, იგი გათხოვდა ამიერკავკასიის საყოველთაო სწავლების მეთაურ ფანცხავაზე. ზაქაშვილი ამჟამადაც შტაბში მსახურობს. მოხსენებას მემანქანეს ვკარნახობდი, თუ თვითონ ბეჭდავდა, არ მახსოვს. დაბეჭდვისთანავე დავუბრუნე მუსხელოვს დედანიც და დაბეჭდილი ორი ასლიც. წაიკითხა თუ არა კიდევ ვინმემ აღნიევის მოხსენების შავად ნაწერი, არ ვიცი. შემდგომში აღნიევის მოხსენება მოექცა მუსხელოვის ზოგადი მოხსენების ფარგლებში, რომელშიც ამ უკანასკნელმა შენიშვნები შეიტანა. მუსხელოვის ზოგადი მოხსენება ჩემს საქმეებში ინახება. იგი მისმა საქმისმწარმოებელმა, ბოჩაროვმა დაბეჭდა. იგი სამ ეგზემპლარად დაიბეჭდა და სამივე საქმეებშია დაცული. ჩემ გარდა, ზოგადი მოხსენება შეეძლოთ წაეკითხათ მოდებაძესა და მუსხელოვს. ამ უკანასკნელს მოხსენება ხშირად თან მიჰქონდა. მოხსენებას შეეძლო გაცნობოდა კიდევ ჩემი თანაშემწე მესხი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 28/II-1923 წ.: [5]

ქართული დივიზიის შტაბის უფროსი მუსხელოვი თანამშრომლობდა მენშევიკების ცეკასთან. მას კავშირი უშუალოდ იოსებ ცინცაძესთან ჰქონდა. დუშეთის აჯანყების დროს მუსხელოვმა, ი. ცინცაძის დავალებით, არასწორად გადააჯგუფა კავალერია, რომელსაც აჯანყება უნდა ჩაეხშო. დუშეთის აჯანყების შესახებ მუსხელოვს ეროვნულ-დემოკრატებისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, რაზეც ჩემთან ამ პარტიის წევრი იასონ ჯავახოვი 1922 წლის ზაფხულში ჩიოდა. მუსხელოვი წითელი არმიის შტაბიდან სამხედრო შინაარსის მქონე ცნობებს სტრიხარისგან იღებდა ეროვნულ-დემოკრატების ცეკას, კერძოდ, იასონ ჯავახოვის დავალებით. მე პირადად მუსხელოვისგან ვიღებდი ცნობებს ქართული წითელი არმიის რეორგანიზაციის შესახებ, ხოლო 1922 წლის ნოემბერ-დეკემბერში მივიღე მისგან ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია ბაქოში განლაგებული ერთი პოლკის საცდელად სამილიციო მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 2/III-1923 წ.: [6]

ჩემი აზრით, მენშევიკების ცეკასთან კავშირი გ. თუხარელს მუსხელოვის საშუალებით ჰქონდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 40.
6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 43.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 2/III-1923 წ.: [7]

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ შეიქმნა 1921 წლის მიწურულს, 1922 წლის დასაწყისში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: მენშევიკებისა და მემარჯვენე ფედერალისტებისგან - გენერალი ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ-დემოკრატებისგან - კოტე აფხაზი, ხოლო სამხედრო ცენტრის შტაბის მეთაური იყო ქართული დივიზიის შტაბის უფროსი მუსხელოვი. მთავარი სამუშაო მუსხელოვის გასაკეთებელი იყო - იგი უზრუნველყოფდა კავშირს ქართულ ნაწილებს შორის. თავდაპირველად, გაერთიანებული ცენტრის საქმიანობა გამოიხატებოდა არსებული ძალის აღრიცხვასა და ადგილზე სამხედრო ორგანიზაციების შექმნაში, ძირითადად, სამხედრო ნაწილებში. მისი ძლიერი ფილიალი იყო ბათუმში. სამხედრო ცენტრის მუშაობის თვალსაზრისით, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გენერალ მაზნიევს, გენერალ ანდრონიკოვს (ტაქტიკის მასწავლებელი კურსანტთა სკოლაში), რომელიც 1921 წელს პირველი ქართული პოლკის მეთაური იყო და ამასთან, ორჯონიკიძის ნათესავი, გენერალ სოსო გედევანოვს და ოფიცერ ხომერიკს, რომელიც ბათუმის მე-2 პოლკში მსახურობდა. მუსხელოვი ბოლო დრომდე მუშაობდა. მენშევიკების ცეკასთან დაკავშირებული იყო მათი თავმჯდომარის, იოსებ ცინცაძის საშუალებით. მე მთელი ეს პერიოდი დაზვერვით მუშაობას ვაწარმოებდი და მენშევიკების ცეკასთან ასევე იოსებ ცინცაძის შუამავლობით ვიყავი დაკავშირებული.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 2/III-1923 წ.: [8]

1922 წლის ზაფხულში მუსხელოვთან საუბრის დროს, რომელიც ჩამოსული იყო რაიონიდან, სადაც ბანდების წინააღმდეგ ოპერაციებს ატარებდა, ვკითხე, რატომ არ მიგზავნიდა ცნობებს დუშეთის რაიონში მომხდარი მოვლენების შესახებ. მუსხელოვმა მიპასუხა, რომ ის სამჯერ იყო ჩამოსული დუშეთის რაიონიდან თბილისში და რომ მთავარი ხელმძღვანელობა მას კავალერიის არასწორად გამოყენებაში ადანაშაულებს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 2/III-1923 წ.: [9]

1923 წლის თებერვლის 20-ში მუსხელოვმა მომიტანა წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოს მიერ თვის განმავლობაში მომზადებული საიდუმლო ცნობები, რომლებიც 1922 წლის დეკემბრისა და 1923 წლის იანვრის თვეებს მოიცავდა. ცნობები მაშინვე გადავეცი მენშევიკების ცეკას „ვანოს“ საშუალებით და ორი დღის შემდეგ, როდესაც მათგან ამოკრიბეს აუცილებელი მონაცემები, ცეკადან კვლავ იმავე „ვანომ“ დამიბრუნა, მე კი მუსხელოვს მივეცი. ეს ორი ცნობა მუსხელოვმა წითელი არმიის შტაბიდან, სტრიხარისგან მიიღო და როგორც ვვარაუდობ, სანაცვლოდ, სტრიხარისთვის გადახდილი იქნა 10 მანეთი ოქროთი. მუსხელოვი ცნობებს წითელი არმიის შტაბიდან ზასჩუკისგანაც იღებდა.


ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 42.
8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 41.
9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 44.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 3/III-1923 წ.: [10]

1921 წელს (გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში შესვლამდე) მუსხელოვი აწარმოებდა დაზვერვით სამუშაოს ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის დავალებით. ეროვნულ-დემოკრატთა ცკ-ს წევრი იასონ ჯავახოვი 1921 წელს მეუბნებოდა, რომ მუსხელოვი ცკ-ს სამხედრო-პოლიტიკური შინაარსის ცნობებს აწვდიდა. 1921 წელს კერესელიძემ და კიდევ ერთმა, ჩემთვის უცნობმა ეროვნულ-დემოკრატმა (საშუალო სიმაღლის, ჭაღარა წვერით, 30-35 წლის), რომელიც ჯარისკაცის პალტოს ატარებდა ლითონის მბზინვარე ღილებით, ასევე დამიდასტურა, რომ მუსხელოვი აწვდიდა ინფორმაციას ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ს. 1922 წლის დასაწყისში, როდესაც მუსხელოვი შევიდა გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში, მას დაევალა შემდეგი შინაარსის კრებსის შედგენა: მომზადებულ ოფიცერთა და ჯარისკაცთა რიცხოვნება და აჯანყების შემთხვევაში არსებული იარაღის რაოდენობა. კრებსის შედგენა გაერთიანებულმა სამხედრო ცენტრმა დაავალა. მუსხელოვისთვის მიცემული ამ დავალების შესახებ, ვარდენ წულუკიძემ მითხრა. 1922 წლის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა მანეთის თავისუფალი კურსი გამოცხადდა, მუსხელოვი მეუბნებოდა, რომ ექმნებოდა შესაძლებლობა, გასწორებოდა ბრიგადის შტაბის ხაზინადარს, რომლისგანაც აღებული ჰქონდა თანხა ქართული ბონებით და რომელსაც ახლა საბჭოთა ფულით დააბრუნებდა. 1922 წლის დეკემბრისა და 1923 წლის იანვრის სადაზვერვო კრებსები პირადად დავუბრუნე მუსხელოვს - წავუღე დივიზიის შტაბში. დავით ვაჩნაძის მითითებით, მუსხელოვისთვის არ მომიმზადებია არავითარი წინადადება აჯანყების ოპერატიული გეგმის შესახებ. 1922 წლის დასაწყისში მუსხელოვს ვთხოვე წითელი არმიის შტაბიდან მობილიზაციის გეგმა მოეპოვებინა, თუმცა მისგან პასუხი არ მიმიღია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.



Выписка

из показания НАРИКЕЛАДЗЕ Ивана Ивановича от 3 марта 23 г.

В 20-х числах февраля 23 г. МУСХЕЛОВ принес мне месячные сек-
ретные сводки Развед.Упр.ОКА за декабрь 22-го года и за январь
23 года. Сводки эти мною были переданы сейчас же в ЦК меньше чем
через "Ваню" и через два дня после выборки из них необходимых
данных возвращены были мне из ЦК через того же "Ваню", а мною
были возвращены МУСХЕЛОВУ. Эти две сводки были получены МУСХЕЛОВЫМ
от СТРИХАРЯ из Штаба ОКА и как предполагаю за это уплачено СТРИХА-
РЮ 10 рублей золотом. Сведения из Штаба ОКА получались МУСХЕЛОВЫМ
также от ЗАЩУКА.

выписка верна:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 44.

10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2, გვ. 44.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [11]

მახსოვს, სხდომა ორჯერ ჩატარდა და ორჯერვე ჩემს ბინაში. პირველი სხდომა იყო თებერვლის პირველ რიცხვებში. მას ესწრებოდნენ: ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი, „ავთანდილი“ (ფაღავა), მე და რ. მუსხელოვი. სხდომის ბოლოს გოგი ხიმშიევი მოვიდა. როგორც მახსოვს, სხდომის ჩატარების ინიციატორი წულუკიძე იყო, მიზეზი კი - პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების გამორკვევა ბანდიტიზმის მიმართ. არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ სხვა პარტიების წარმომადგენლები სხდომას არ ესწრებოდნენ. სხდომა „ავთანდილმა“ გახსნა. მან ისაუბრა პოლიტიკურ მომენტზე, საზღვარგარეთ მყოფ პარტიათა მოლოდინზე, შემდეგ კი შემოთავაზებული იყო, განგვეხილა ბანდების ორგანიზაციის საკითხი და ის პოზიცია, რომელიც სამხედრო ცენტრს მოცემულ მომენტში უნდა დაეკავა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ყველა დამსწრე ერთ დასკვნამდე მივიდა - აუცილებელი იყო არსებული გავლენისა და ძალის გამოყენება ბანდების ფორმირებისა და შეიარაღებული გამოსვლის აღსაკვეთად. იგივე თქვა მენშევიკების ცეკას სახელით „ავთანდილმა“. სხდომის ბოლოს შემოსწრებული გოგი ხიმშიევიც იმავე აზრის იყო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [12]

სამხედრო ცენტრის წევრებისა და ჩემ მიერ მიღებული შეტყობინების (დიეტა) შინაარსთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ვანოს მეშვეობით, ვ. წულუკიძის, აფხაზისა და მუსხელოვისათვის გადასაცემად პარტიული კომიტეტიდან ამანათი გადმოგზავნილი იყო ორჯერ, თანხის ზუსტი ოდენობა არ მახსოვს. მათთვის თითოეულ ჯერზე 25 თურქული ქაღალდის ლირა, ხოლო ჩემთვის - პირველად 16, შემდგომ - 25 ლირა. ელისაბედაშვილის სიტყვებით, მენშევიკების ხაზინადარი იყო ქვარიანი თუ კახიანი. თუ კახიანი იყო, მას გვარდიის მთავარი შტაბის წევრად ვიცნობდი. ნაპოლეონი ერქვა. მენშევიკების მთავრობაში მე ის ყოფილ ოფიცრად მიმაჩნდა, თუმცა ამას დაბეჯითებით ვერ ვამტკიცებ. გვარდიაში ის ერთ-ერთ გამოჩენილ მებრძოლად ითვლებოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 10/III-1923 წ.: [13]

უშუალოდ წითელი არმიის შტაბის მოსამსახურეთაგან ცნობები არ მიმიღია. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ცნობებს სტრიხარი, ზასჩუკი, იაკოვლევი და ზემბლანდი იძლეოდნენ. ჩემი ცნობების მომწოდებლები ამბობდნენ, რომ ინფორმაციებს ამ პირებისგან იღებდნენ, მაგრამ ეს შეეძლოთ ეთქვათ, ჯერ ერთი, ცნობებისათვის ფასის დადების მიზნით, და მეორეც - მეტი თანხის მისაღებად. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ადიუტანტ უშაკოვს დაზვერვასთან არავითარი კავშირი

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 46.
12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 47.
13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 39.

არ აქვს. სტრიხარისგან ცნობების მიღებას აღნიშნავდნენ ამირეჯიბი, გრიგორაშვილი და მგონი, მუსხელოვი, ზასჩუკისგან - ორლოვი, ამირეჯიბი, იაკოვლევისგან - გრიგორაშვილი და ზემბლაძე-მელითაური. შეიძლება სხვებიც აღნიშნავდნენ, მაგამ მე არ მახსოვს. ყველაზე ხშირად სტრიხარის გვარი მესმოდა და მხოლოდ ერთხელ გავიგე იაკოვლევის შესახებ. წითელი არმიის შტაბთან დოღონიძის, ღლონტისა და გიორგაძის კავშირების შესახებ არაფერი მსმენია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 13/III-1923 წ.:[14]

1922 წლის დეკემბრის ბოლოს ან 1923 წლის იანვრის დასაწყისში ქართული დივიზიის შტაბში, მუსხელოვთან მივედი. მან წამაკითხა ამხანაგ აღნიევის მოხსენება საქართველოში პოლიტიკური ბანდიტიზმის შესახებ. ამ დროს კაბინეტში, მგონი, ვარდენ წულუკიძეც იმყოფებოდა. მუსხელოვმა მითხრა, რომ აღნიევის მოხსენების წაღება უნდოდა მენშევიკების ცეკაში, თუმცა უხერხული იქნებოდა, იქ რომ ამ მოხსენების ასლებს გადაიღებდნენ. ამიტომ მუსხელოვს ვურჩიე, მოხსენების შინაარსი ზეპირსიტყვიერად გადაეცა. მოხსენების ბედი ჩემთვის უცნობია. რაც შეეხება თავდასხმას ავტომობილზე, რომლითაც ამხანაგი ოკუჯავა მგზავრობდა დუშეთიდან, მუსხელოვმა მითხრა, რომ ამხანაგ ოკუჯავასთან ერთად, ისიც უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ შეყოვნდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 22/III-1923 წ.: [15]

ჩემი და მუსხელოვის ერთობლივი მუშაობა დაზვერვის მიმართულებით.

დაახლოებით 1922 წლის დასაწყისში მუსხელოვს საუბრისას ვკითხე, თუ შეეძლო წითელი არმიის შტაბის წევრებთან ნაცნობობის გამოყენება და პერიოდულად, გასამრჯელოს სანაცვლოდ, სამხედრო-საინფორმაციო შინაარსის ცნობების მოპოვება. იგი ხალისით დამთანხმდა და მითხრა, რომ კარგად იცნობდა სტრიხარსა და იაკოვლევს, რომლებიც საჭირო ცნობებს მოგვაწვდიდნენ მინიმალურ გასამრჯელოდ, თუნდაც ულუფის საფასურად. ოღონდ აღნიშნული პირები არ უნდა გაგვეცურებინა, როგორც ეს ეროვნულ-დემოკრატებმა გააკეთეს - მუსხელოვის მეშვეობით ხსენებული პირებისგან ცნობებს იღებდნენ, სანაცვლოდ კი არაფერს უხდიდნენ. ამით მუსხელოვი სულელურ მდგომარეობაში ჩააგდეს და ის იძულებული გახდა, თანხა ხაზინადარისგან აეღო და მათთვის გადაეხადა. მუსხელოვს ვუთხარი, რომ გადახდა დროულად იქნებოდა. იგი ჩემს მეორე შეთავაზებას არ დალოდებია და მალევე მომაწოდა ინფორმაცია გარნიზონისა და თბილისის ჯარების განლაგების თაობაზე, ასევე - მანქანაზე დაბეჭდილი ცნობები სვანეთის აჯანყების შესახებ და სხვ. შემდგომ, წულუკიძის თანდასწრებით, მან კიდევ ერთხელ მითხრა, რომ ნებისმიერ მონაცემს მომაწვდიდა, თუკი სიზუსტით გადავუხდიდით. დეტალები არ მახსოვს, ინფორმაციას კვირაში ერთხელ მაწვდიდა. ფული რომ გადავეცი, დავუმატე ის ორი მილიონიც, რომელიც ეროვნულ-დემოკრატებმა არ გადაუხადეს. ამგვარად, წინსწრებით დაახლოებით ექვსი მილიონი

14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 60.
15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 61.

გადავუხადე. მისგან ცნობებს სულ მცირე ორი თვის განმავლობაში ვიღებდი. ამის შემდეგ ცნობების მიღება შეწყდა, რადგან ცეკაში მითხრეს, რომ უსახსრობის მიზეზით სამუშაო დროებით უნდა შემეჩერებინა. აღნიშნულით იგი მეტად უკმაყოფილო იყო, ამბობდა, რომ შემდგომში სამუშაოს განახლება რთული იქნებოდა. ცნობებს, ძირითადად, მანქანაზე დაბეჭდილი სახით მაძლევდა, რომლებიც ხელმოწერილი იყო ოპერატიული განყოფილების უფროსის თანაშემწის მიერ და ყოველ ჯერზე მთხოვდა, გადამეწერა და დამებრუნებინა მისთვის. ასეც ვიქცეოდი. მისივე გადმოცემით, ჩემ გარდა, ცნობებს მენშევიკების ცეკასაც აწვდიდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 29/IV-1923 წ.: [16]

მუსხელოვმა აღნიევის მოხსენება მაჩვენა და მკითხა, უნდა გადაეცა თუ არა ის ცენტრისთვის. ვუპასუხე, რომ აჯობებდა შინაარსის ზეპირად გადაცემა. ამის შემდეგ, მუსხელოვთან აღარ მისაუბრია.

/ი. ნარიკელაძე/

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი თუხარელის ჩვენებიდან (თარიღი უცნობია): [17]

რაც შეეხება თქვენს კითხვას მუსხელოვსა და ჩემს შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ, მოგახსენებთ, რომ წმინდა სამსახურებრივი ურთიერთობის გარდა, არავითარი მეგობრული კავშირი არ გვქონია, ოფიცერთა წრეში ის კარიერისტად იყო მიჩნეული.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილის ჩვენებიდან 10/III-1923 წ.: [18]

ნარიკელაძემ მომცა სარეკომენდაციო წერილი ქართული დივიზიის შტაბის უფროსის, მუსხელოვის სახელზე, რომელშიც ჩემთვის დასაქმებას ითხოვდა. წერილის მიღების მეორე დღეს მუსხელოვთან მივედი. გზაში ნარიკელაძე შემხვდა, რომელმაც მითხრა, რომ წერილის წარდგენა საჭირო აღარ იყო, რადგან პირადად ესაუბრა მუსხელოვს. მუსხელოვმა მითხრა, რომ გაარკვევდა, თუ იყო ადგილი და მეორე დღეს დამიბარა. მეორე დღეს კი მითხრა, რომ ერთი კვირა მოცდა მომიწევდა. ერთი კვირის შემდეგ მუსხელოვმა პატაკის დაწერა შემომთავაზა და მითხრა, რომ ალბათ

16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 155.
17 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 50.
18 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 58.

შესაძლებელი იქნებოდა ჩემი აყვანა. მე წარვადგინე ანკეტა და პატაკი, რომელიც განსაკუთრებულ განყოფილებაში გაიგზავნა, თუმცა იქიდან პასუხი არ მიმიღია.


ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი კონსტანტინე იასონის ძე მოდებაძის ჩვენებიდან 20/III-1923 წ.: [19]

სამხედრო ცენტრის არსებობის შესახებ ЗАКЧЕКА-ში პატიმრობის დროს შევიტყვე. სამხედრო ცენტრში მუსხელოვის მუშაობის შესახებ არაფერი ვიცი. სამუშაო საათებში მასთან მოსულ პირთა შორის, მახსოვს, სამჯერ მოვიდა ნარიკელაძე და სამსახური სთხოვა; რამდენჯერმე იყო მოსული მსახიობი დიევსკიც, რომელსაც მუსხელოვი კონფიდენციალურად ესაუბრებოდა.

დაკითხა **აშუკინმა**.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.


62
копия
ПОКАЗАНИЯ
Мусхелова Константина Ясоновича от 20 марта 1923 г.
О существовании Военного Центра я узнал лишь сидя под арестом в ЗАКЧК. О работе МУСХЕЛОВА в Военном центре мне ничего не известно. Из посещавших МУСХЕЛОВА лиц в служебные часы, помню приходил раза три НАРИКЕЛАШВИЛИ, по словам МУСХЕЛОВА с просьбой о представлении службы и заходил несколько раз артист ДИЕВСКИЙ, с которым МУСХЕЛОВ беседовал о чем-то конфиденциально.
Протокол допроса записан с моих слов: Модебадзе.-
Допросил Ашукин.
Верно:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 62.

19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2, გვ. 62.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 10/III-1923 წ.: [20]

დაახლოებით 15-20 აგვისტო იქნებოდა, როდესაც ჩემთან დავით ვაჩნაძე მოვიდა და მითხრა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ასეთი ვითარება იყო: მოცემულ მომენტში მთელი ჩვენი ინტელიგენცია აუცილებლად უნდა ჩადგომოდა სათავეში მოძრაობას, რომელიც სათავეს სოფლიდან იღებდა. მისი თქმით, სოფელი ქალაქისგან ხელმძღვანელობას საჭიროებდა და აცხადებდა, რომ თუ ხელმძღვანელები სათავეში არ ჩაგვიდგებიან, საკუთარი ინიციატივით გამოვალთო.

ვაჩნაძეს ბოლომდე მოვუსმინე. საკმარისიაო, ამბობდა, ძველი გენერლებისთვის მიმართვა, როგორებიც არიან გედევანოვი, ზაქარიაძე, წულუკიძე და სხვები, ახლა დროა ახალგაზრდებმა ითავონ საქმეო. იქვე დასძინა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი უკვე მზად არის და გამოსვლის მომხრეა და ჩვენ, ანუ ნაციონალისტები, ვვარაუდობთ, გავუგზავნოთ მას ბრძანება 27 სექტემბრის დღესასწაულზე ალავერდში შეკრების თაობაზე, სადაც მოსახლეობას შევუერთდებით და გამოსვლებს დავიწყებთო. ჩვენგან გამოსვლების გეგმასა და მოსაზრებებს ელიან, რომლებიც, ვაჩნაძის თქმით, ჩოლოყაშვილთან უნდა გაეგზავნათ. ვაჩნაძეს განვუცხადე, რომ ეს აფიორა იყო და სხვა არაფერი, რაც იდეას საფუძველშივე მოსპობდა და თუ ამისგან რამეს მოელის თქვენი პარტია, სულ ტყუილად, რადგან მოსახლეობა თავადებს არ გაყვება-მეთქი. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მოსახლეობა თავადებს არ გაჰყვება, ისაა, რომ რუსეთთან დაკავშირებით მას ჩრდილოეთიდან პურის მიღების მოლოდინი აქვს, ამასთან, კახეთი მხარს უჭერს წითელი არმიის საქართველოში შემოსვლას-მეთქი. ვაჩნაძის წინადადება კატეგორიულად უარვყავი და დავძინე, რომ ახლა არ იყო დრო პარტიული ანგარიშსწორებისთვის, ახლა ჩვენ წინაშე იყო მძლავრი წითელი არმია, რომელიც მცირე მოძრაობასაც კი ნაცარტუტად აქცევდა; შემდეგ ვაჩნაძეს ვკითხე, რა აიძულებდა მათ ჩოლოყაშვილთან ერთად გამოსულიყვნენ, რომელსაც ყველა კრეტინად თვლიდა და რომელსაც, საოცრება იქნებოდა, კახეთის მოსახლეობა თუ გაყვებოდა. ამაზე მიპასუხა, რომ ჩვენთვის მთავარია გამოვიდეთ და დასავლეთ საქართველოც შემოგვიერთდებაო. ამას ამბობდა სვანეთის ექსპედიციის შემდეგ, რაზეც გამეცინა და ვუთხარი, რომ აღნიშნულში მონაწილეობა არ შემეძლო, თავად კი ამ საკითხს უფრო სერიოზულად უნდა მიდგომოდნენ და ყოველგვარ აქტიურ ქმედებაზე უარი ეთქვათ. როდესაც ვუთხარი, „ნაციონალისტები“ ხართ და ამავდროულად, ერის მტრებიც-მეთქი, მიპასუხა, სხვა გამოსავალი არ არის და თუ ასეა, შენ ნაცვლად, სხვას მივმართავთო. მაგრამ ვისთვის უნდა მიემართა, არ უთქვამს, მხოლოდ ის მითხრა, რომ ასეთ პასუხს არ ელოდა და გამაფრთხილა, რომ მოღალატეთა შორის აღმოვჩნდებოდი არა მხოლოდ მისი თანამოაზრეების, არამედ სამშობლოს მცირედით მაინც მოყვარული ადამიანების თვალში. ამ სიტყვებით დამემშვიდობა.

ამ საუბარმა ძალიან დამთრგუნა, მის შესახებ არავისთვის მითქვამს და ხელმძღვანელების კეთილგონიერების იმედი მქონდა, მათი, ვისთვისაც ვაჩნაძე აპირებდა მიმართვას.

აგვისტოს დასასრულს მივიღეთ არმიის მეთაურის ბრძანება, რომელშიც ეწერა, რომ ჩოლოყაშვილის დაჯგუფება მოქმედებდა დუშეთის რაიონში, სადაც უკვე მომხდარიყო შეტაკება დუშეთის გარნიზონში განლაგებული წითელი არმიის საჯარისო ნაწილებთან. ბრძანებაში ეწერა, რომ ბანდის პოლიტიკური ხასიათი ეჭვს არ იწვევდა და გაცემული იყო განკარგულება ბანდის ძირფესვიანად განადგურების შესახებ. გამიკვირდა, ბანდა რომ დუშეთის რაიონში იყო და აქტიურად მოქმედებდა, რადგან ვაჩნაძის გეგმის მიხედვით, შეტაკება ალავერდში უნდა მომხდარიყო.

27 სექტემბერს გავეშურე ვაჩნაძესთან იმის გასარკვევად, სრულდებოდა თუ არა მათი ჩანაფიქრი, მაგრამ შინ არ დამხვდა /ზეპირი დაკითხვის დროს აღვნიშნე, რომ ვესაუბრე მას, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, რამეთუ პირველი შეხვედრის შემდეგ ის ოქტომბერში ვნახე, როდესაც იმალებოდა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ/. დუშეთში გამგზავრების ბრძანების მიღების შემდეგ, რაც

20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 64-70.

დივიზიონის მეთაურის ბრძანება გავავრცელე შტაბის ორგანიზაციისა და თბილისდან საჯარისო ნაწილების გაგზავნის შესახებ, ქალაქში გავემგზავრე საყიდლებზე. არ მახსოვს, ბაზარში თუ სასახლის ქუჩაზე შევხვდი სამანქანო რაზმის ექიმს, არდიშვილს, რომელსაც ვკითხე ჩვენი სატვირთო მანქანების მდგომარეობის შესახებ /ეს ინფორმაცია ჩემთვის ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან ყველა სატვირთო მანქანა სამხედრო კომისარიატის განკარგულებაში იყო/. ექიმმა არდიშვილმა არ იცოდა, რა ეპასუხა ჩემთვის. მაშინ მე ვუთხარი, რომ სატვირთო მანქანებით უნდა გაგვემგზავრებინა ნაწილი დუშეთში, ამასთან, გადავეცი ვაჩნაძესთან საუბრის შინაარსი და დავძინე, რომ ბრძოლას ვაპირებდი. ღამის 12 საათზე, ამხ. აღნიაშვილი, დივიზიის მეთაური ლექვთაძე და მე, თანამშრომლებთან - ფაღავასთან, ნიჟარაძესთან, გოცირიძესა და ტატარინცევთან ერთად, გავემგზავრეთ დუშეთში. ჩემ მიერ წარმოებული ოპერატიული სამუშაო მიმდინარეობდა ამხ. აღნიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც მომზადების დონის მიხედვით მაღლა აყენებდა დივიზიის მეთაურ ლექვთაძეს, რომელიც მას ყველაფერში ეთანხმებოდა. ოპერაციის ყველა მონაწილე დაადასტურებს, რომ ყოველი ჩვენი ახალი განკარგულება, ყოველი ჩვენი ახალი საბრძოლო ბრძანება, რომ აღარაფერი ვთქვათ წვრილმანებზე, თავდაპირველად განიხილებოდა აღნიაშვილისა და დივიზიის მეთაურის, ასევე სამხედრო კომისრების - ვ. ენუქიძისა და სიჭინავას მიერ, შემდეგ კი შტაბი აკონტროლებდა. შესაბამისად, შესაძლებელია დოკუმენტურად დარწმუნება იმ აზრთა შეუსაბამობაში, რომლებიც გავრცელდა თითქოსდა ჩემი მოღალატეობრივი ქმედებების შესახებ დუშეთის ექსპედიციის დროს. ოპერაციის პირველი პერიოდის დასრულებისას, დივიზიის მეთაურის ნებართვით დუშეთიდან თბილისში გავემგზავრე, რათა იქიდან მანგლისში ოჯახის მოსანახულებლად ჩავსულიყავი. თბილისში დღის 4 საათამდე გავჩერდი, ვიყავი შტაბში, გავედი ქალაქში, შემხვდა ბევრი ნაცნობი, რომელთაც ვეუბნებოდი, რომ ჩოლოყაშვილი ხევსურეთში იმყოფებოდა და რომ დუშეთის რაიონში სიმშვიდე იყო. იმავე დღეს ქუჩაში წამომეწია ექიმი არდიშვილი და მითხრა, რომ ექიმ ცინცაძეს სურდა ჩემი ნახვა. ამ ცინცაძეს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, არ ვიცნობდი, იგი მენშევიკების სახალხო გვარდიის შტაბში ექიმად მსახურობდა და მახსოვდა, რომ მას ყველა დასცინოდა. რადგან ჯერ კიდევ მქონდა დრო, მასთან ერთად ალექსანდრეს ქუჩაზე, ექიმ ცინცაძესთან გავეშურე. ცალკე ოთახში შემიყვანეს, სადაც საწერ მაგიდასთან ცინცაძე იჯდა. მან მკითხა, რა ხდებოდა დუშეთში. მოვუყევი ვაჩნაძესთან შეხვედრისა და ჩვენი ექსპედიციის შესახებ და დავძინე, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, მე და ლექვთაძე შავ დაფაზე ვხვდებოდით. მან გაიღიმა და მითხრა, რომ ჩვენმა „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ დაადგინა, გამოსვლები არ მომხდარიყოო და იქვე გაკიცხა ვაჩნაძის საქციელი, რომლის გვარიც ჩაიწერა. შემდეგ ცინცაძემ განმიცხადა, რომ ის იყო მეკავშირე პირი დამოუკიდებლობის კომიტეტთან, რომელიც დაჟინებით ითხოვდა ინფორმაციის სრულად მიწოდებას.

თქვენთან დასაკავშირებლად, მითხრა მან, დუშეთში ადამიანს გამოვგზავნი, რომელიც ჩემს გვარს დაგისახელებთო. ჩვენთვის აუცილებელია ინფორმაცია ხევსურების განწყობის შესახებო. იმ გარემოებამ, რომ ის არალეგალური პირი იყო, შემაშფოთა და აღელვებულმა მივუგე: მოხარული ვიქნები ინფორმაცია მოგაწოდოთ, თუმცა ეს ტექნიკურად შეუძლებელია-მეთქი. ცინცაძეს ჩემთვის კითხვა აღარ დაუსვამს, მეც აღარაფერი მითქვამს და ექიმ არდიშვილთან ერთად ქუჩაში გავედი. გამიკვირდა, რატომ არ შემოვიდა ცინცაძესთან ოთახში ექიმი არდიშვილი. სავარაუდოდ, კონსპირაციის მიზნით, რის გამოც მასთან ამ თემაზე აღარ მისაუბრია.

დამავიწყდა მეხსენებინა კიდევ ერთი მოკლე საუბრის შესახებ ექიმ ცინცაძესთან, როდესაც მან ვაჩნაძის ქმედება გაკიცხა და მას სულელური უწოდა. ცინცაძემ თქვა - ვაჩნაძე სულელია, არ ესმის, რომ კომიტეტის სანქციის გარეშე, არავითარი გამოსვლა არ უნდა მოხდესო და მოკლედ მომიყვა კომიტეტის მუშაობის შესახებ ამ მიმართულებით, რომელიც აწარმოებდა ადგილობრივი ძალების აღრიცხვასა და ორგანიზებას. მან გამოავლინა უარყოფითი დამოკიდებულება ბანდის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რომელსაც მოუწევდა წითელ არმიასთან დაპირისპირება, ხოლო

თუ მაინც საჭირო იქნებოდა მოქმედება, მაშინ მომზადებულ საქმეს უკვე სამხედრო სპეციალისტებს გადასცემდნენ. როდესაც ვკითხე, ვის გულისხმობდა, მითხრა, რომ სპეციალისტები იყვნენ როგორც აქ, ისე ადგილებზე. ვუთხარი, რომ ჩემი იმედი ნუ ექნებოდა იმ მოსაზრებებით, რაც დავით ვაჩნაძეს გავუმხილე, რაზეც ცინცაძემ მითხრა, რომ ამ ეტაპზე აღნიშნულზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენ ორგანიზებულნი არ ვართ, ჩვენი მეგობრები დაპატიმრებულები არიან და აღნიშნულისთვის კიდევ მრავალი წელია საჭიროო. მაშინ ვკითხე, თუ ამბობთ, რომ სამხედრო სპეციალისტები გყავთ, როგორღა ამტკიცებთ, რომ ამ ეტაპზე გამოსვლაზე ფიქრიც არ შეიძლებაო. ამაზე მიპასუხა, სპეციალისტები გვყავს, სხვა კი არაფერი გვაქვსო, თუმცა იმედია, ქართველი ოფიცრები მხარში ამოგვიდგებიან, როდესაც იგრძნობენ, რომ უპირატესობა ჩვენ მხარეს არისო. არცთუ კარგი აზრი გქონიათ ჩვენს ოფიცრებზე-მეთქი, განვუცხადე, შევახსენე მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ქართველი ოფიცრების მიმართ და ვუთხარი, რომ ქართველი ოფიცრების უმრავლესობა უმალ წითელ არმიაში იმსახურებს, ვიდრე მენშევიკურში-მეთქი.

ექიმ არდიშვილთან ერთად ალექსანდრეს ქუჩას გავუყევი და კირიჩნის ქუჩაზე დავემშვიდობე, საიდანაც ფრეილინის ქუჩაზე გავეშურე, ბრიგადის შტაბში. 4 საათი იქნებოდა, მანგლისში რომ გავემგზავრე. იმავე ღამეს ტელეფონით დამიკავშირდა ამხ. სიჭინავა და მაცნობა თბილისში ჩემი ჩასვლის აუცილებლობა. დაუყოვნებლივ ჩავედი თბილისში, ტელეფონით დავუკავშირდი ამხ. ლექვთაძეს, რომელმაც სასწრაფოდ დუშეთში ჩასვლა მიბრძანა, სადაც ამხ. აღნიაშვილიც იმყოფებოდა. ლექვთაძემ ერთი ფრაზა მითხრა: „ასეული ორწყალს ტოვებს“. ჩემს კითხვაზე, რაში იყო საქმე, ლექვთაძემ მიპასუხა: „დაუყოვნებლივ ჩამოდით, ბანდიტები ასეულის ნარჩენს დაედევნენ, არმიას არაფერი შეატყობინოთ, ხვალ დილით აღნიევი დაწვრილებითი მოხსენებით თბილისში მიემგზავრება, თქვენ კი ჩამოდით“. მაინც მივიჩნიე ჩემს მოვალეობად, გამოვცხადებულიყავი საქართველოს ცეკას თავმჯდომარესთან, ამხ. ოკუჯავასთან, საიდანაც ჩვენ, ამხანაგ სიჭინავასთან ერთად, გავემგზავრეთ არმიის შტაბში, ამხ. პუგაჩოვთან.

ამხანაგ ოკუჯავასთან ვასაბუთებდი დუშეთში რეალური ძალის გაგზავნის აუცილებლობას, რადგან მიმაჩნდა, რომ არსებული მცირე ძალებით შედეგს ვერ მივიღებდით, მით უფრო, რომ, დამავიწყდა აღმენიშნა, როგორც ლექვთაძემ მითხრა, ხევსურეთის მოსახლეობა უკვე შეიარაღებული იყო. მეჩვენებოდა, რომ თუშეთი და ინგუშეთიც ბანდიტებს იყო მიმხრობილი, რაზეც ადრეც გვქონდა ინფორმაცია.

ამხანაგები ეგოროვი და პუგაჩოვი იმ საღამოს სურამში გამგზავრებას გეგმავდნენ, ამიტომ გვიბრძანეს, არმიის მეთაურის ვაგონში გამოვცხადებულიყავით. აღნიშნულმა ჩემი დუშეთში გამგზავრება შეაფერხა. არმიის შტაბიდან რკინიგზის სადგურზე გავემგზავრეთ, ცოტა ხნის შემდეგ კი არმიის ხელმძღვანელობამ ვაგონში მიგვიწვია. ამხანაგმა ეგოროვმა მოისმინა ჩემი მოხსენება შექმნილი ვითარების შესახებ, რომლის დროსაც მოვიდა ამხანაგი ორჯონიკიძეც. ამ უკანასკნელმა, არმიის მეთაურთან ერთად, ჩემი მოხსენების შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება ხევსურეთში უფრო მეტი ძალით შესვლის შესახებ, რათა უმოკლეს ვადაში ჩაექროთ აჯანყება და არ მიეცათ მისთვის აღმოსავლეთით გავრცელების საშუალება. ვაგონშივე გაიცა შესაბამისი სიტყვიერი განკარგულებები, ხოლო მე და თბილისში დარჩენილი ამხანაგები - პუგაჩოვი და სიჭინავა არმიის შტაბში გავემართეთ, სადაც წერილობითი განკარგულებები უნდა მიგვეღო.

ღამის ორი საათი იქნებოდა, ამხ. პუგაჩოვის კაბინეტში ვიჯექი, როდესაც არმიის შტაბში მოვიდა ამხ. ორჯონიკიძე და მიბრძანა პირდაპირი ხაზით ამხ. აღნიაშვილი გამომეძახა, რათა ვითარება მეკითხა. ამხ. აღნიაშვილს თავად ამხ. ორჯონიკიძე ესაუბრა, ეს უკანასკნელი მხოლოდ ამ ერთხელ ვნახე ახლოს და შევძელი, გავსაუბრებოდი. წაიკითხეთ ეს საუბარი პირდაპირი ხაზით, რომელიც დივიზიის შტაბის საქმეებშია და დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიწრფელეში - შეუძლებელია პატივი არ სცე მსგავს ადამიანს. მის მიმართ ღრმა პატივისცემით განვიმსჭვალე

და ახლა ჩემთვის მეტად საწყენი და მტკივნეულია, რომ მე ღალატს მდებენ ბრალად. მისთვის და ზოგადად კომპარტიისთვის არასდროს მიღალატია და არც არასდროს ვუღალატებ ბედის ყველაზე მუხანათურ წუთებშიც კი. მე ვბაძავ ამხ. კუზნეცოვს და ძველი არმიის სხვა ძველ ოფიცრებს, რომლებიც იდეურად ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლებას, თუმცა კი არ არიან პარტიის წევრები. ახლა კი, ფაქტების დამახინჯების შედეგად, უნდა ვიტანჯებოდე და ვერ უნდა შევძლო თვალებში შევხედო ამხანაგებს - აღნიაშვილს, ორჯონიკიძესა და კუზნეცოვს.

ვუბრუნდები ამხ. აღნიაშვილთან საუბრის ეპიზოდს. ამხ. აღნიაშვილმა ვითარება არ გვაცნობა და ნებართვა ითხოვა ჩამოსულიყო თბილისში მოხსენების გასაკეთებლად, რაზეც. ამხ. ორჯონიკიძემ უარი უთხრა, რის გამოც ამხ. აღნიაშვილი იძულებული გახდა, ხაზით გადმოეცა შექმნილი ვითარება და მოეთხოვა მეტი ძალის გაგზავნა, განსაკუთრებით კურსანტების. ამხ. ორჯონიკიძემ გადასცა, რომ ეს ყოველივე უკვე შესრულებულია, მუსხელოვი ჩამოვა და ყველაფერს გაცნობებთო. მან მე და ამხ. სიჭინავას გვიბრძანა, დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავით დუშეთში. უკვე ხუთი საათი სრულდებოდა, სიბნელეში გავეშურეთ, დუშეთში ჩავედით და ყველაფერი ამხ. აღნიაშვილს მოვახსენეთ, რომელიც კმაყოფილი დარჩა.

შემდგომში, ჩვენი ლაშქრობის დასასრულამდე, ცინცაძისგან ჩემთან აღარავინ მოსულა. დუშეთში, პოლიტბიუროს ხელმძღვანელობის აზრით, მენშევიკების ბევრი აგენტი იმყოფებოდა, რის გამოც სასურველი იყო გვეკითხა პოლიტბიუროსა და ამხ. სიჭინავასთვის, თუ რა ზომები იქნა მიღებული საექსპედიციო რაზმის შტაბის მიერ და თუ იყო ეს ზომები დამაკმაყოფილებელი. 1-ელ რიცხვში, ამხანაგ ლექვთაძის დაჟინებული მოთხოვნით, ჩვენ დუშეთი დავტოვეთ, შტაბი დავშალეთ, თუმცა მე განსხვავებული აზრი მქონდა, რისი დადასტურებაც ამხ. აღნიაშვილს შეუძლია. მე ვთავაზობდი დუშეთში კიდევ რამდენიმე დღით დარჩენას ყველა საწყობის საბოლოოდ გატანამდე, ამ აზრს არმიის შტაბიც იზიარებდა, რამეთუ მას აინტერესებდა, რა რაოდენობით იარაღი იქნა ამოღებული ბანდიტებისგან, ასევე აუცილებელი იყო ხევსურეთიდან მომავალი სასწავლო ბატალიონის გაგზავნა სოფელ მუხრანში ბანდიტური დაჯგუფებების ლიკვიდაციისთვის. ამის მიუხედავად, ამხ. ლექვთაძის მიერ წამოყენებული მოსაზრებების საფუძველზე /რომელთა შინაარსიც ამჟამად არ მახსოვს/, 1 ოქტომბერს გამოვედით.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ოთხი დღე იყო გასული, როდესაც ჩემთან ისევ მოვიდა არდიშვილი. გულახდილად ვამბობ, არ მესიამოვნა მისი წინადადება, კვლავ მივსულიყავი ცინცაძესთან, რომელსაც თითქოს ოპერაციის დეტალები აინტერესებდა. უკვე ყველაფერი დასრულებული იყო და სალაპარაკოც აღარაფერი გვქონდა, მაგრამ მაინც გავყევი არდიშვილს. მე აღვუწერე მას ჩვენი ჯარების განწყობა - წითელარმიელებისა და კომკავშირელების - და ხაზი გავუსვი, რომ ქართული ჯარის შემართება მიუწვდომლად მაღალი იყო. იგი დაინტერესდა ორივე მხარის მიერ განცდილი დანაკარგით, რაზეც ვუპასუხე, რომ ჩვენი დანაკარგი არ ვიცი, მაგრამ მათი მხრიდან 300 კაცია დაჭრილების ჩათვლით-მეთქი. ამ დროს ოთახში შემოვიდნენ და საუბარიც შევწყვიტეთ. განშორებისას მკითხა, მეთაურთაგან ყველაზე მეტად ვინ გამოირჩეოდა. ვუპასუხე, რომ სია გაზეთში გამოქვეყნდებოდა და მეტს ნუღარ დამიძახებდა. დაჯილდოებულთა სიაში მეც მოვხვდი, გვარები ცნობილი გახდა დივიზიის მთელი ხელმძღვანელობისთვის. ასე რომ, ალბათ, ცინცაძეც შეიტყობდა ამის შესახებ. იგი მეტჯერ აღარ მინახავს. სხვათა შორის, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს მან ახსენა, რომ რაიონებში ხელმძღვანელები ჰყავდათ, რომლებიც განკარგულებებს პოლიტიკური ცენტრისგან იღებდნენ. სამხედრო ცენტრის შექმნის შესახებ მას არაფერი უთქვამს, თუმცა აღნიშნა, რომ თბილისში ჰყავდათ სამხედრო სპეციალისტები.

ცინცაძესთან შეხვედრიდან 2-3 დღის გასვლის შემდეგ, ნარიკელაძე ვნახე, რომელმაც მკითხა, შევხვდი თუ არა ვაჩნაძეს და ხომ არ უთხოვია მას ჩემთვის რამე. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რას მეკითხებოდა, რადგან ვაჩნაძეს დიდი ხნის წინ შევხვდი, მაგრამ ნარიკელაძესთან საუბარმა

მიმახვედრა, რომ ვაჩნაძეს ამ უკანასკნელთანაც ჰქონდა საუბარი. ნარიკელაძემ ჩემი პოზიცია არ მოიწონა და მითხრა, მუშაობაა საჭირო და არა განზე დგომაო. ზოგადად, მასთან საუბარს თავს ვარიდებდი, რადგან იგი ყოველთვის შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანად მიმაჩნდა, რომელსაც არ შეეძლო ოდნავ რთულ ვითარებაშიც კი გარკვევა.

ვიმეორებ, პირველი ორი შეხვედრის დროს, პოლიტიკურ თემაზე არც კი გვისაუბრია. ერთხელ ჩემთან იყო და დივიზიაში მოწყობა მთხოვა, თუმცა პოლკის მეთაურის თანამდებობაზე ნაკლებს არ ჯერდებოდა.

მუსხელოვი.

მოქ. მუსხელოვის ჩვენება [21]

მენშევიკური არმიის განადგურება დათბილისის დაკარგვა შეუძლებელია ჩემს ფსიქოლოგიაზე არასახულიყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქალაქ ბათუმში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მიმიწვიეს, რამაც საბოლოოდ შემაგუა იმ აზრს, რომ ეროვნული საქართველო უკვე აღარ არსებობდა, უკვე იყო საბჭოთა საქართველო, რომელიც რსფსრ ფედერაციის საერთო ოჯახის შემადგენლობაში შედიოდა. ამის მიუხედავად, ეროვნული სული ჩემში ჯერ კიდევ გაცხოველებული იყო, თუმცა ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, წითელი არმიის რიგებში შევსულიყავი, რომელიც რევკომის ბრძანებით თურქებისგან იცავდა ბათუმს. ჩემმა სპეციალობამ გამიტაცა და უკვე თბილისში მეტად დავეხმარე სამხედრო ხელმძღვანელს, ამხ. კოლია ოკუჯავას ქართული წითელი არმიის შენების საქმეში, განსაკუთრებით პატიოსანი კადრების შერჩევის თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება მისაღები ყოფილიყვნენ სამხედრო სამსახურისთვის ახალ საქართველოში. ამხანაგი ოკუჯავა ჩემი მუშაობით კმაყოფილი იყო, მაგრამ ჩემ ირგვლივ ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ მუშაობაში ხელი მეშლებოდა, ინტრიგები იხლართებოდა. დივიზიას მაშინ მაზნიევი მეთაურობდა, რომელიც არ იყო წითელ არმიაში სამუშაო სულისკვეთების მქონე. მისი მოქმედებებისა და საუბრების შესახებ უმალ ვაცნობებდი ხოლმე სამხედრო კომისარს, ამხ. ოკუჯავას, რომელიც ამ თემაზე ხშირად მეკითხებოდა რჩევას. ამგვარად, ვიდექი წითელი არმიის სამსახურის მტკიცე გზაზე, რომლის დროსაც ხშირად მახსენდებოდა მენშევიკურ არმიაში გაწეული სამსახური, რომელსაც ამ სამი წლის განმავლობაში მეტად შევეჩვიე. მენშევიკების მთავრობისადმი ზიზღის გრძნობა მაქვს, რადგანაც, ერთი მხრივ, ის ცუდად ექცეოდა ქართულ არმიასა და მეთაურთა შემადგენლობას, და მეორე მხრივ, საზღვარგარეთ გამგზავრების დროს ყველაფერი „ბოლშევიკების გასანადგურებლად“ დატოვა. ამგვარად, მენშევიკური მთავრობის მიმართ სიმპათიას არ განვიცდიდი, თუმცა ეს ვერ გადამაფიქრებინებდა საზღვარგარეთ წასვლას, რომ არა ცოლი და ქალიშვილი, რომლებიც საქართველოში რჩებოდნენ. ამიტომ გადავწყვიტე მოვმკვდარიყავი იმ მიწაზე, სადაც რჩებოდნენ დედაჩემი, მეუღლე და ქალიშვილი.

ამგვარად, სამი თვის განმავლობაში მშვიდად მიმდინარეობდა ჩემი სამსახური წითელ არმიაში, მხოლოდ ოჯახის მდგომარეობა მაღელვებდა, რომელსაც თბილისში, ჩემი სამსახურის მახლობლად ვერ ვაბინავებდი. ეს მანერვიულებდა, რამდენჯერმე სამსახურიდან წასვლაც დავაპირე, რათა ოჯახი მომენახულებინა ქუთაისში, თუმცა შემაჩერა, ერთი მხრივ, მოწოდებამ და ახალ მშენებლობაში მონაწილეობის მიღების სურვილმა და მეორე მხრივ, ხელმძღვანელობის უარმა ჩემს გათავისუფლებაზე. ამიტომ სამსახურში დავრჩი და განვაგრძე ზრუნვა ოჯახის გადმოსაყვანად. 1921 წლის ივლისში, თბილისში, დედა გარდამეცვალა ქოლერისგან, რისი მიზეზიც სისტემატიური

21 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 1, გვ. 19-20; ტ. 2. გვ. 71-76.

კვების ნაკლებობა იყო. ცოლი და შვილი ქუთაისში იყვნენ. დედა მათ გარეშე დავკრძალე. დღე და ღამე პოსტზე ვიყავი. ვფაციფუცობ ბინასა და პირად ნივთებზე, რომლებიც მენშევიკების არმიის უკან დახევის დროს ჩამომერთვა. ხელმძღვანელობასთან ჩემს ბედს ვჩიოდი, რომელიც უძლური იყო დამხმარებოდა. მე კი, ამის მიუხედავად, გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით, სამსახურს განვაგრძობდი.

ბოლოს, როგორც მახსოვს 1921 წლის აგვისტოში, დავით ვაჩნაძემ /საქართველოს დამფუძნებელთა კრების ყოფილი წევრი/ ფინჯან ჩაიზე დამპატიჟა და შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე მესაუბრა, თითქოს მოახლოებულ საქართველოს რესტავრაციაზე და ოცნებობდა ახალ „კოალიციურ მთავრობაზე“, ამასთან, კიცხავდა ყოფილ მენშევიკურ მთავრობას. ამბობდა, ჩვენი არმია ნ. ჟორდანიას მხედრულ სალამს აღარ უნდა აძლევდესო, მომავალი მთავრობის შემადგენლობაში სამშობლოს ჭეშმარიტი შვილები უნდა შევიდნენო მენშევიკთა პარტიიდანაცო და კონკრეტულად ასახელებდა მთავრობის ახალ წევრებს, მათ შორის გრ. ლორთქიფანიძეს, მგონი, ჩხენკელს და რამდენიმე სხვას, ვინც მისაღები იყო ეროვნულ-დემოკრატებისთვის და თანამდებობებსაც კი უნაწილებდა მათ. საკუთარ თავს დ. ვაჩნაძე საქართველოში მოქმედ რომელიღაც მთავრობის წევრად ასახელებდა, რომელსაც უფლებამოსილებით აღეჭურვა ის, ეწარმოებინა სამხედრო საქმეები. იგი ყოფილი სამხედროა, თუმცა ოპერატიული მომზადება არ აქვს და ამ მიმართულების ხელში აღებას მე მთხოვდა. მეუბნებოდა, რომ მთელი სამრეწველო სფერო ნაციონალისტების ხელში იყო და საჭიროების ჟამს შესაძლებელი იქნებოდა საჭირო რაოდენობით სურსათ-სანოვაგის თავმოყრა. მითხრა, რომ კახეთში, ადგილობრივი ეროვნულ-დემოკრატების დახმარებით, მოსახლეობა ჰყავდა აღრიცხული. აღრიცხვა წარმოებდა სვანეთსა და ქუთაისის რაიონშიც, ასევე აპირებდა სხვა რაიონების აღრიცხვასაც. მისი გადმოცემით, მენშევიკები უკვე დიდი ხანია ემზადებოდნენ, მაგრამ მოსახლეობას მათი იმედი დაკარგული ჰქონდა, ამიტომაც მთელი ძალა ეროვნულ-დემოკრატების მხარეზე იყო. მაშინ ჯერ კიდევ პოლიტიკურად მომზადებული არ ვიყავი და არც შექმნილი ვითარების ვიცოდი რამე, მაგრამ მაინც ეჭვი შევიტანე დავით ვაჩნაძის ნათქვამში, თუმცა თანაგრძნობა გამოვხატე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მითხრა, რომ ევროპა მოლაპარაკებას მართავდა საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დატოვების შესახებ, რაც მან მეტად სანდო წყაროებიდან იცოდა. მოვუსმინე, მაგრამ სამსახური ვერ შევთავაზე, თუმცა ვუთხარი, რომ შეძლებისდაგვარად დავეხმარებოდიამ საქმისთვის შერჩეულ ადამიანს. ვაჩნაძემ მითხრა, რომ ეს საქმე გასაკეთებელია, თორემ ჩვენ ყველანი სამშობლოს მოღალატეები ვიქნებითო. თან დასძინა, რომ ქართველ ერს ჩვენი იმედი აქვს, იგი კვნესის ბოლშევიზმის უღლის ქვეშ, გლეხი კი აღარ იხდის სასურსათო გადასახადს, რადგან ჩვენ მიერ მუშავდება ახალი კანონი მიწის შესახებ. შემდეგ მან დაასახელა საქმისთვის მისაღები გენერლები და მიუღებლებიც. მაზნიევის დაპატიმრებაზე მეტად წუხდა. მან ახსენა ანდრონიკოვი და წულუკიძე, ამ უკანასკნელში ცოტა ეჭვი ეპარებოდა, თუმცა გადაწყვიტა ორივეს მოლაპარაკებოდა. ამ საუბრიდან 2-3 დღის გასვლის შემდეგ კვლავ დამიბარა თავის ბინაში, სადაც შევესწარი მის საუბარს გენერალ ანდრონიკოვთან. ანდრონიკოვმა მიიღო ვაჩნაძის წინადადება, თუმცა ჩემთვის გაუგებარი იყო, რაში მდგომარეობდა მისი მომავალი სამუშაო.

ერთი კვირის შემდეგ ვაჩნაძემ დაპატიჟა გენერალი ვ. წულუკიძე და მასთანაც იგივე საუბარი შედგა. შემდეგ შეხვდა წულუკიძესა და ანდრონიკაშვილს. ამ შეხვედრასაც დავესწარი. ვისაუბრეთ თბილისსა და რეგიონებში არსებული ძალების შესახებ. ვარდენ წულუკიძეს ვერ გადაეწყვიტა, აეღო თუ არა დავალება შესასრულებლად. ერთი დღის შემდეგ შემხვდა და მითხრა, რომ რეალური ძალა მენშევიკების ხელშია, ხალხი მათ გაყვება, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებს არაფერი აქვთო. ვაჩნაძის წინადადება მიუღებლად მიაჩნდა და ანდრონიკოვთან სასაუბროდ მიდიოდა. აზრი მკითხა, ვუთხარი, როგორც მიგაჩნიათ, ისე იმოქმედეთ, ოღონდ საქმის კურსში ჩამაყენეთ-მეთქი.

1921 წლის დასასრულს ჩემ თვალწინ ნარიკელაძის ფიგურა გამოჩნდა, რომელიც ვ.

წულუკიძის მარჯვენა ხელი იყო. ვაჩნაძესთან საუბარი წულუკიძის საუბარს წააგავდა, რომელიც თანახმა იყო ემუშავა იმ პირობით, თუ მოხდებოდა მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების ძალთა გაერთიანება. ანდრონიკოვი ვ. წულუკიძის აზრს იზიარებდა, რომელმაც დავით ვაჩნაძეს უთხრა, რომ მენშევიკური ორგანიზაციის რაოდენობას დამატებით შეატყობინებდა. ვარდენ წულუკიძემ დაიჭინა, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური ცენტრის გაერთიანება, რისთვისაც მენშევიკებს ნაციონალისტებისთვის „დამოუკიდებლობის კომიტეტში“ ადგილები უნდა დაეთმოთ. დაიწყო ბრძოლა ნაციონალისტებსა და მენშევიკებს შორის პოლიტიკური ცენტრის შექმნის მიზნით, რაც დიდხანს გაგრძელდა. არც დავით ვაჩნაძე, არც წულუკიძე და არც ანდრონიკოვი ჩემთან სამხედრო საქმეებზე აღარ საუბრობდნენ. ზოგჯერ ვაჩნაძეს ვხვდებოდი, რომელიც თურქეთის სიახლეებს მეკითხებოდა, რატომღაც მას ეს აინტერესებდა. მე მას კიაზიმ-კორაბე-კირე ფაშასა და ფრონტზე მის მიერ გაცემულ განკარგულებებზე ინფორმაციას ვაწვდიდი, რასაც წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოს ყოველდღიური კრებსებიდან ვიგებდი. მან დამავალა, მეცნობებინა საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის დაწყების შესახებ, რადგან თვლიდა, რომ როგორც შტაბის მეთაურისთვის, ჩემთვის ამის გაგება ადვილი იქნებოდა. აღწერილი მოვლენებიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ, არ მახსოვს, 1921 წლის დასასრულს თუ 1922 წელს, შევიკრიბეთ ნარიკელაძესთან. ესწრებოდნენ: ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, ნარიკელაძე და მე. შემდეგ გოგი ხიმშიევი მოვიდა. ბოლოს, მეგობართან ერთად, გოგიტა ფაღავაც შემოგვიერთდა. ყველა ყურადღებით უსმენდა გ. ფაღავას გამოსვლას. მან განმარტა, რომ შეთანხმება უკვე მიღწეული იყო (თუმცა, მოგვიანებით შევიტყვე, რომ დაპირისპირება კიდევ დიდხანს გრძელდებოდა) და იოსებ ციწცაძის დავალებით, გვთხოვდა დაგვეწყო მოქმედება. ფაღავამ დასძინა, რომ პოლიტიკური ცენტრის მიერ სამხედრო ცენტრში არჩეულნი იყვნენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, ხიმშიევი და მუსხელოვი, ხოლო ნარიკელაძეს ჩაბარებული ჰქონდა კონტრდაზვერვა. ანდრონიკოვმა თქვა, რომ ვიდრე მომავალი სამუშაოს გეგმას შევიმუშავებდეთ, აუცილებელია განვსაზღვროთ, რა რეალურ ძალას უნდა დავუპირისპირდეთო. ფაღავამ უპასუხა, ეს ჩვენი საიდუმლოა და როცა საჭირო გახდება, გაგიმხელთ, იქამდე კი განსაზღვრეთ, რა ძალები გჭირდებათ თბილისსა და რეგიონებშიო. ანდრონიკოვი და წულუკიძე ამ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ, კამათი დიდხანს გაგრძელდა. განვიხილეთ გეგმა წითელი არმიის როგორც ნებით, ისე იძულებით ქვეყნის დატოვების შემთხვევაში. ხიმშიევმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო დაზვერვის კარგად დაგეგმვა, რაც ნარიკელაძისთვის იყო მინდობილი. შეხვედრის ბოლოს, ფაღავამ სამხედრო ცენტრს განუცხადა, რომ აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად დიდი თანხაა გამოყოფილი და სამხედრო ცენტრის წევრებისთვის ხელფასიც კი ყოფილა დანიშნული. შეხვედრა ამით დასრულდა. შეხვედრის წევრებმა დაშლა რომ დაიწყეს, გამოვაცხადე, რომ სტრიხარისგან ყოველდღიურ სადაზვერვო ცნობებს ვიღებდი თურქეთსა და სპარსეთში არსებული ვითარების შესახებ და თუ დააინტერესებდათ, შევძლებდი ნარიკელაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შევსებას. რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი ხიმშიევს, რომელმაც იოსებ ციწცაძესთან წამიყვანა. იმ დროისთვის აღწერილ მოვლენებს აღარ ვგულშემატკივრობდი. ვგრძნობდი, რა გაუგებრობა იყო მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის, ამიტომ წარმატებული გამოსავლის აღარ მწამდა, თუმცა შესაძლებელ სამუშაოზე უარი არ მითქვამს, რათა სამშობლოს მოღალატედ არ შევერაცხე. ციწცაძესთან, რომელთანაც პირველად ვიყავი, სამხედრო ცენტრის შესახებ მიმდინარეობდა საუბარი. ასევე იმ ორგანიზაციულ საკითხებსაც განიხილავდნენ, რომლებიც ბოლო შეხვედრის დროს იყო წამოჭრილი. ამგვარად გავიცანი ციწცაძე, რომელსაც ვიცნობდი, თუმცა პირადად არა, მენშევიკურ არმიაში, კერძოდ კი, ამ უკანასკნელის გვარდიაში სამსახურის დროს, სადაც, როგორც ჩემთვის იყო ცნობილი, ის განსაკუთრებულ როლს არ ასრულებდა. ხიმშიევმა და ფაღავამ მის, როგორც სახელმწიფო მოხელის მიმართ, პატივისცემა შთამაგონეს. რამდენიმე დღეში ხიმშიევისგან შევიტყვე, რომ აღნიაშვილი მას ჩოლოყაშვილთან აგზავნიდა, რათა ეს უკანასკნელი საბჭოთა

ხელისუფლებასთან შემოერიგებინა. რჩევა მკითხა და იმ აზრამდე მივედით, რომ აუცილებელი იყო ჩოლოყაშვილის დარწმუნება. ხიმშიევი გამგზავრებას აპირებდა, როდესაც დააპატიმრეს. ეს მოვლენა ჩემთვის დღემდე ამოუხსნელ გამოცანად რჩება.

ნარიკელაძე ჩემგან იშვიათად იღებდა ინფორმაციას თურქეთში არსებული ვითარებისა და საქართველოში მოთარეშე ბანდების შესახებ. მას უნდოდა ბანდების ერთმანეთთან დაკავშირება, თან, თითოეული მათგანი მასთან რომ ყოფილიყო დაკავშირებული და ა.შ. დაზვერვის საკითხი სულ არ მაინტერესებდა, ძირითადად, სამხედრო ცენტრის მუშაობით ვიყავი დაინტერესებული, თუმცა ამ მიმართულებით აქტიურობა არ გამომიჩენია. ყოველთვის ინტერესით ვუსმენდი ვარდენ წულუკიძეს და ყველაფერში ვეთანხმებოდი. დაპირებულ ჯამაგირს ჩვენ არ ვიღებდით. ნარიკელაძე ამბობდა, რომ ნაღდი ფული არ ჰქონდათ, თანხის მიღებას კონსტანტინოპოლიდან ელოდნენ. პირადად მისთვის ხელფასი არასდროს მომითხოვია. იგი ყოველთვის ჩაფიქრებული სახით დადიოდა, ამბობდა, რომ აგენტები ჰყავდა, რომლებიც ფულს ითხოვდნენ, მას კი ფული არ ჰქონდა და არ იცოდა, რა ექნა. ერთი სიტყვით, ნათელი იყო, რომ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ზოგჯერ ჩემთან შტაბში მოდიოდა და სიახლეებს მიყვებოდა. გარკვეული დროის შემდეგ დავასკვენი, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა. მთხოვა, სტრიხარი როგორმე გამაცანი, რომელიც სადაზვერვო ცნობებს გიგზავნისო. თავიდან ვერ მივხვდი, რა უნდოდა, მერე კი, როდესაც შემახსენა სხდომაზე ნათქვამი ჩემი სიტყვა იმის შესახებ, რომ სტრიხარი ცნობებს მაწვდიდა, გამახსენდა, რომ სტრიხარი მაშინ შემთხვევით ვახსენე, რადგან ამ უკანასკნელს დაზვერვის სამმართველოსთან საერთო არაფერი ჰქონდა. ეს გვარი იმიტომ ვახსენე, რომ სამსახურებრივად მხოლოდ მასთან მქონდა შეხება, მხოლოდ მისგან ვიღებდი განკარგულებებს. ამ გაუგებრობის შესახებ ვუთხარი ნარიკელაძეს, რომელსაც სტრიხარის გაცნობის იმედი უკვე აღარ ჰქონდა და ახალ აგენტ ქალბატონზე მითხრა, რომელსაც თითქოსდა კავშირი ჰქონდა თავად პუგაჩოვთან. აქედან გამომდინარე, თავად პუგაჩოვისგან შეძლებდა ინფორმაციის მიღებას. ამ მითმა მაშინვე დამაშორა ნარიკელაძეს, თუმცა მას არაფერი ვუთხარი და არ შევუშალე ხელი მუშაობაში. როგორც ჩანს, ის დიდ ფულს იღებდა, მაგრამ სამხედრო ცენტრის წევრებს ჯამაგირს არ უხდიდა. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ორ-სამჯერ თუ გადაიხადა თვიური სარგო. ამის შესახებ არავისთვის, მათ შორის, არც სამხედრო ცენტრის წევრებისთვის მითქვამს. მეტი ფული არ მიმიღია. თანამშრომლობის დასაწყისში, როგორც სამხედრო ცენტრის წევრები, ისე ნარიკელაძეც საუბრობდა ხელფასზე, რომელიც თვიური საარსებო მინიმუმის ოდენობის იქნებოდა, თუმცა მაშინვე, ფაღავას განცხადების მიუხედავად, ჯამაგირის მიღებაზე უარი განაცხადეს. ამის მიუხედავად, ყოველი შეხვედრისას ნარიკელაძე ბოდიშს მიხდიდა ჯამაგირის დაგვიანებისთვის. სტრიხარისთვის ფული არასდროს მიმიცია. ეს ისეთივე ცილისწამება და მონაჩმახია, როგორც ის, რომ ნარიკელაძე პუგაჩოვისგან აპირებდა ინფორმაციის მიღებას. არც კი მიფიქრია ზასჩუკისა და სტრიხარის გამოყენება. მათთან ისეთი დამოკიდებულება მქონდა, როგორც ხელმძღვანელებთან სამსახურებრივი საკითხების გადაჭრის დროს და ისიც იშვიათად. ერთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც საბჭოთა ფულის კურსის შეცვლის დროს დაშვებული იყო მანეთის ქართულ ფულზე ერთი ერთზე გადაცვლა. ერთხელ სტრიხარმა დამირეკა და მკითხა, თუ იყო შესაძლებელი 2 თუ 3 მილიონი საბჭოთა ფულის გადაცვლა. მე მხოლოდ ნახევრის, ანუ ერთი მილიონის გადაცვლა მოვახერხე. სტრიხარს ვუთხარი, რომ თუ საჭირო იქნებოდა, მეორე დღეს კიდევ შევძლებდი, რადგან ნებართვა იყო, გადაგვეცვალა ბანკში ყველა თანამშრომლის ჯამაგირის 50% ოდენობა. სტრიხარმა მითხრა, კარგია, თუ შესაძლებელი იქნებაო. არმიის შტაბიდან დაბრუნების შემდეგ, ჩემთვის ჩაბარებული შტაბის კარში შემხვდა საზღვრის დაცვის შტაბის უფროსი, რომლის სამსახურიც ჩვენსავე შენობაში მდებარეობდა. მას, ამხანაგ ძაგანიას, ვკითხე, ხომ არ ექნებოდა თანხა სტრიხარისთვის გადასაცვლელად, რაზეც მიპასუხა, რომ თანხა არის, მაგრამ საჭიროა საზღვრის შტაბის მეთაურის, წულუკიძის სანქციაო. მივმართე წულუკიძეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სალაროში

თანხა არ აღმოჩნდა და მან მირჩია, მეორე დღემდე მომეთმინა. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ნარიკელაძე, რომელსაც, სავარაუდოდ, წულუკიძემ სთხოვა და შემომთავაზა სტრიხარისთვის ფულის გადაცვლა. სტრიხარს დავურეკე, მაგრამ უკვე გვიანი იყო, სამუშაო ოთახში არ დამხვდა და როგორც მახსოვს, ნარიკელაძემ ფული წაიღო. მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ ნარიკელაძის ყბედობით სტრიხარი ეჭვმიტანილთა სკამზე ზის და ამასთან, ეჭვი ჩემზეცაა.

მაგონდება კოჯორში მომხდარი შემთხვევა ზასჩუკთან დაკავშირებით, რომელსაც თითქოსდა მომავალში მისი გამოყენების მიზნით, დასთან ერთად მანქანით ვასეირნებდი. მართალია, იგი ოჯახთან ერთად თეთრ დუქნამდე მივიყვანე, მაგრამ მისივე თხოვნით, ყოველგვარი ფარული აზრის გარეშე. ამ მგზავრობის შესახებ უკვე მოვახსენე ხელმძღვანელობას კოჯორში დაბრუნების შემდეგ და ვუთხარი, რომ ზასჩუკმა მთხოვა, წამეყვანა მანგლისში.

ცოტა ხნის შემდეგ შედგა სვანეთის ექსპედიცია. არ ვიცი, ვინ ადევნებდა მას თვალს. სამხედრო ცენტრი თავს არ ავლენდა. მე ამხანაგ აღნიაშვილის დავალებას ვასრულებდი რაზმის ზურგის უზრუნველყოფის ხაზით, რისთვისაც თბილისიდან აუცილებელ მასალებს ვგზავნიდი.

1922 წელს ჩემთან კვლავ მოვიდა დავით ვაჩნაძე, რომელმაც მითხრა, რომ მენშევიკებთან თითქოსდა შემდგარიყოს შეთანხმება, თუმცა ნაციონალისტებს გადაეწყვიტათ პარიტეტული კომიტეტისგან დამოუკიდებლად ემოქმედათ. ამის საფუძველზე დავასკვენი, რომ არავითარი გაერთიანება არ იყო შემდგარი. ვაჩნაძემ კახეთში გამოსვლის აუცილებლობის საკითხი წამოჭრა. მარწმუნებდა, რომ ჩოლოყაშვილი მზად იყო, რომ გლეხებს მეტი ლოდინი აღარ შეეძლოთ, რომ სოფელი ქალაქისგან მოქმედების დაწყებას ელოდა და თუ ინტელიგენცია არ უხელმძღვანელებდა მოძრაობას, სოფელი თავად გამოვიდოდა. მთხოვდა, მომემზადებინა ოპერატიული და პუნქტებთან სურსათ-სანოვაგის მიწოდების გეგმები, რადგან კახეთის გამოსვლის შემდეგ, მისი თქმით, საქართველოს სხვა რეგიონებიც გამოვიდოდნენ. აი, ასეთი საუბარი მქონდა ვაჩნაძესთან. მიკიბულ-მოკიბული პასუხი გავეცი, რადგან პოლიტიკური ცენტრის გარეშე ვერ ვიმოქმედებდი და ამასთანავე, საკითხის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაც გამოვთქვი. ვუთხარი, რომ წითელი არმია ძალიან ძლიერი იყო, რომ გლეხთა ფსიქოლოგიის მიხედვით, საქართველო ჩრდილოეთიდან მოწოდებული პურის გარეშე ვერ იარსებებდა, რის გამოც კახელი გლეხები ხელს უწყობდნენ წითელი არმიის შემოსვლას საქართველოში. სვანეთის მაგალითის მოყვანით დავუსაბუთე, რომ მათ წამოწყებას მხარს არავინ დაუჭერდა, ისინი ერს ნაწილ-ნაწილ გაწყვეტისთვის წირავდნენ, რის გამოც მის წინადადებაზე კატეგორიული უარი განვუცხადე. დამშვიდობებისას ვაჩნაძემ მითხრა, რომ ის გააგზავნიდა ბრძანებას ჩოლოყაშვილთან გადასვლის შესახებ ალავერდში 27 სექტემბრისთვის, ალავერდობის დღესასწაულისთვის, როდესაც ნებადართული იქნება შეიარაღებული მოსახლეობის შეკრება. ის ვარაუდობდა ვინმესთვის ეთხოვა, შეემუშავებინა თბილისში შემოჭრის გეგმა ალავერდიდან. ამ გეგმის განხორციელების არ მჯეროდა და არც იმის, რომ ვაჩნაძე მსგავსი განკარგულების გაცემას გაბედავდა. თუმცა, არმიის მეთაურის 27 აგვისტოს ბრძანებიდან შევიტყვე, რომ ჩოლოყაშვილის ბანდა დუშეთის რაიონში აქტიურობდა და მოძრაობა სერიოზულ პოლიტიკურ ელფერს იძენდა. ვიფიქრე, რომ ეს ვაჩნაძის პროექტი იყო, რომელსაც ჩოლოყაშვილის გამოსვლის თარიღი შეეცვალა. მე და დივიზიის მეთაურმა ლექვთაძემ დუშეთში გამგზავრებისა და აჯანყების ჩახშობის დავალება მივიღეთ. იმ შეხედულების გათვალისწინებით, რაც ვაჩნაძეს ჩემზე გააჩნდა და იმის შიშით, რომ შავ დაფაზე არ მოვხვედრილიყავი, როგორც სამშობლოს მოღალატე, ვაჩნაძესთან წავედი, თუმცა დუშეთში გამგზავრებული დამხვდა. გამგზავრების წინ საყიდლებზე გავედი, ქუჩაში ექიმი არდიშვილი შემხვდა, რომელსაც სატვირთო მანქანების მდგომარეობის შესახებ ვკითხე და ვუთხარი, რომ დუშეთში აჯანყების ჩასახშობად მივდიოდი. თბილისიდან ღამის 12 საათზე გავედი და გზაში ვიფიქრე, რომ სასურველი იქნებოდა იოსებ ცინცაძის ნახვა და

მისი აზრის გაგება. სამხედრო ცენტრის წევრები არ იყვნენ - ანდრონიკოვი სურამში იყო, ხოლო წულუკიძე და ხიმშიევი კი დაეპატიმრებინათ. მხედველობიდან გამომრჩა, რომ ცინცაძესთან დაკავშირება ნარიკელაძის მეშვეობით შემეძლო, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი დიდი ხანი არ მენახა, აღნიშნული ვერ მოვიფიქრე. ოპერაციის პირველმა პერიოდმა ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა. ყველა განკარგულება ამხანაგი აღნიაშვილისა და დივიზიის მეთაურის, ლექვთაძის უშუალო ზედამხედველობით სრულდებოდა. აღსანიშნავია, რომ აღნიაშვილს კარგი სამხედრო მომზადება აქვს და, როგორც კომუნისტს, შეეძლო შეეფასებინა ამა თუ იმ განკარგულების სისწორე, რომელთაც არმიის შტაბიც ამოწმებდა. მე მაბრალებენ კავალერიის მოქმედებების დაყოვნებას, რაც რეალობას არ შეესაბამება და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ. კავალერიის მოქმედება შეიძლება შემოწმდეს კომპეტენტური პირების შექმნილი კომისიის დოკუმენტების მიხედვით, რაშიც ასევე მონაწილეობდა ამხ. აღნიაშვილი.

დამავიწყდა მეხსენებინა, რომ ექიმ არდიშვილთან შეხვედრის დროს, როდესაც დუშეთის გამგზავრების შესახებ ვუთხარი, ასევე მოვუყევი დავით ვაჩნაძესთან შემდგარი ბოლო შეხვედრის შესახებაც.

ოპერაციის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, მანგლისიდან ერთი დღით გასვლის ნებართვა მივიღე. ზუსტად არ მახსოვს, მანგლისიდან გასვლამდე თუ თბილისში ჩასვლის დროს შევხვდი ექიმ არდიშვილს, რომელმაც მითხრა, რომ იოსებ ცინცაძე მეტად აღელვებული იყო და ჩემი ნახვა სურდა. ამ უკანასკნელთან გავემგზავრე მანამ, სანამ დუშეთიდან ცნობებს მივიღებდი ორ-წყალში ასეულის გაგზავნის შესახებ, ანუ ბოლო მომენტის ვითარება ჩემთვის ცნობილი არ იყო. გულახდილად რომ ვთქვა, ეს შეხვედრა არც მინდოდა შემდგარიყო, რადგან სამხედრო ცენტრი უკვე აღარ იყო, ხოლო პოლიტიკური ცენტრის მიერ ვითარების გართულების შემთხვევაში მე არაფრის გაკეთება არ შემეძლო.

ვაღიარებ, რომ თანდათანობით მესახებოდა პოლიტიკური ცენტრის მიერ მზარდი აქტივობის სურათი რესპუბლიკის მასშტაბით, თუმცა დუშეთის რაიონში განლაგებული ქართული ჯარების განწყობა მომაგონდა და ცინცაძესთან უკვე წინასწარი გეგმით, კერძოდ, მისი შეხედულებისა და მის ხელთ არსებული ინფორმაციის გასარკვევად მივდიოდი. მაინტერესებდა, თუ რა შეფასებას აძლევდა პოლიტიკური ცენტრი ჩოლოყაშვილის ხევსურეთში გადასვლას. ცინცაძეს შევხვდი, ზოგადი ვითარება მოვახსენე, ვუთხარი ვაჩნაძესთან გამართული საუბრისა და ხევსურეთში არსებული განწყობის შესახებაც და ისიც, რომ ჩოლოყაშვილს ინგუშეთში კაცი ჰყავდა გაგზავნილი, რომელიღაც გენერლისთვის დახმარების სათხოვნელად. ისიც ვუთხარი, რომ ჩოლოყაშვილს მივეცი საშუალება დაუსჯელი წასულიყო, რისთვისაც კავალერია შევაჩერე, რითიც საკუთარი როლი გამოვკვეთე და გამოვთქვი განცვიფრება, რატომ არ მოქმედებდა სამხედრო ცენტრი თუ მართლაც შესაძლებელი იქნებოდა ვაჩნაძის ოცნებების ახდენა.

ცინცაძემ მითხრა, რომ პარიტეტული კომიტეტი კიცხავდა ვაჩნაძის ქმედებებს. მირჩია დამენდო ხევსურეთი, შეძლებისდაგვარად მცირე მსხვერპლი გამეღო, მაგრამ ჩოლოყაშვილი დამესაჯა. შემდეგ მითხრა, საქმის კურსში ჩამეყენებინა ჩვენი მომდევნო ქმედებებისა და ასევე მთის ხალხის განწყობის შესახებ. ამ დავალების შესრულება ჩემს ძალებს აღემატებოდა, ამიტომ გადავწყვიტე მემსახურა წითელი არმიისთვის. იოსებ ცინცაძე ამბობდა, რომ თუ მოსახლეობის მოძრაობა ფართო მასშტაბს მიიღებდა, იგი განკარგულებას გასცემდა რომელიმე ორ ბანდას, მხარში ამოდგომოდნენ აჯანყებულებს. წარმატების შემთხვევაში, მას იმედი ჰქონდა, რომ ქართული საჯარისო ნაწილები შეუერთდებოდნენ მოძრაობას, ისევე როგორც ოფიცრობა, რითაც საკუთარ ჭეშმარიტ სახეს გამოავლენდნენ. ასევე დამპირდა, რომ დუშეთში კავშირისთვის კაცს გამომიგზავნიდა.

თბილისიდან დუშეთში გამგზავრების დღეს, როდესაც მანგლისიდან თბილისში სასწრაფო

გამოძახების საფუძველზე გამოვცხადდი დივიზიის შტაბში, მივიღე დივიზიის მეთაურის - ლექვთაძის პირადი სატელეფონო განკარგულება დუშეთში დაუყოვნებლივ გამგზავრების შესახებ. ჩემს კითხვაზე, თუ რაში იყო საქმე, მან მოკლედ მითხრა ორ-წყალის რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ და დასძინა, რომ შტაბში არავისთვის გამემხილა, რომ აღნიაშვილი ხვალ მიემგზავრებოდა პირადი მოხსენების გასაკეთებლად. როდესაც შევიტყვე, რომ ასეული კატასტროფულ ვითარებაში იყო, გავეშურე ამხანაგ ოკუჯავასთან და ჩვენ, სიჭინავასთან ერთად, გავემგზავრეთ არმიის შტაბში მოხსენების გასაკეთებლად. მოხსენება მოისმინეს არმიის მეთაურის ვაგონში, რასაც ამხ. ორჯონიკიძეც ესწრებოდა. ჩემი მოხსენების მოსმენის შემდეგ, მან გასცა სიტყვიერი განკარგულება თბილისისა და სხვა პუნქტებიდან გასვლის შესახებ და უბრძანა ამხ. ლექვთაძეს, შეუპოვარი მოქმედებებით ჩაეხშოთ გამოსვლები ხევსურეთში. ლევქთაძისთვის გაცემული ინფორმაციის მიხედვით, რომლის თანახმადაც, ხევსური ქალებიც კი შეიარაღებულნი იყვნენ, შემექმნა საყოველთაო აჯანყების სურათი. მეტად განვიცდიდი შესაძლო მსხვერპლის შესახებ და თავს ვგრძნობდი უსუსურად იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა სამხედრო ცენტრი. დუშეთში ისე გავემგზავრე, რომ ცინცაძის ნახვა ვერ შევძელი. მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ოპერაცია მზადდებოდა საექსპედიციო შტაბში 11 სექტემბრისათვის, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გაცემული იქნა ბრძანება 10 სექტემბრისთვის შეტევის განხორციელების შესახებ. მოძრაობას აფერხებდა რთული ადგილობრივი პირობები, რაც, ჩემი აზრით, ცინცაძეს სამოქმედოდ დროს აძლევდა „ღილაკზე ხელის დასაჭერად“, მაგრამ დღეები ერთმანეთს მისდევდა, წითლები უტევდნენ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მთაში აჯანყება იზრდებოდა, ქართული საჯარისო ნაწილები წითელ არმიას უთანაგრძნობდნენ, ცინცაძისგან კი არაფერი ისმოდა. მოგვიანებით მისგან შევიტყვე, რომ გააჩნდა ინფორმაცია ფრონტის შესახებ და გარკვეული ბანდებისთვის გასცა განკარგულება დახმარებოდნენ ხევსურებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი ადგილიდან არ დაძრულან, რასაც ცინცაძე პროვოკატორის მოქმედებით ხსნიდა. ჩვენ გავანადგურეთ ხევსურეთი, ჩოლოყაშვილი დაუსჯელი გადავიდა თიანეთის მაზრაში, ხოლო წითელი კავალერია თელავის, სიღნაღისა და ახმეტის რაიონებში მოქმედებდა. ჩოლოყაშვილი წარუმატებლად მოქმედებდა: მენშევიკები არ დაეხმარნენ ხევსურებს, ხოლო კახეთის რაიონის მოსახლეობა კი უარყოფითად განეწყო ჩოლოყაშვილის მიმართ. მომხდარი ნაციონალურ მარცხად მიმაჩნდა.

დუშეთიდან შტაბთან ერთად დაბრუნების შემდეგ, შევხვდი ცინცაძეს და ვითარება აღვუწერე. ცინცაძეს ჩემთვის დოკუმენტები არ მოუთხოვია. ჩვენს საუბარს გოგიტა ფაღავა ესწრებოდა. ისინი დაინტერესდნენ ორივე მხარის დანაკარგებით. ჩვენს დანაკარგზე არაფერი ვუთხარი, რადგან მონაცემები არ მქონდა, ხევსურთა მხრიდან კი მგონი 300 კაცი დავუსახელე. ამ შეხვედრიდან ცოტა ხანში ჩემთან იყო მიმალვაში მყოფი დავით ვაჩნაძე, რომელიც ჩოლოყაშვილის ოპერაციას წარმატებულად მიიჩნევდა იმ თვალსაზრისით, რომ მომხდარის ირგვლივ ხმაური ატეხეს. მან გამოთქვა სურვილი, რომ ჩოლოყაშვილის დევნა შეეწყვიტათ, რომელსაც დასვენება სჭირდებოდა. მას ვუთხარი ჩოლოყაშვილისადმი კახეთის მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ, რაზეც დავით ვაჩნაძემ მიპასუხა, რომ მსგავსი არაფერიაო.

როცა ვარდენ წულუკიძეს შევხვდი და აღვუწერე დუშეთის აჯანყების სურათი, მივუთითე პოლიტიკური ცენტრის შეცდომებზე. მათთან მუშაობა არ ღირსო, განაცხადა მან და დამემშვიდობა.

ხშირად ვხვდებოდი ნარიკელაძეს, რომელიც შტაბში მოდიოდა ხოლმე და ადგილს ეძებდა. მესაუბრებოდა ვაჩნაძის წინადადებაზე, რომელიც მან დუშეთის აჯანყებამდე გამიკეთა და მეტად წუხდა, რომ უარი ვუთხარი ოპერატიული გეგმის შედგენაზე. როგორც ჩანდა, ნარიკელაძე მუშაობას აგრძელებდა. მას რამდენიმე ცნობა მოვუმზადე, რომლებიც შემთხვევით ჩემთან ან ფარაჯის ჯიბეში, ან შტაბში, საწერი მაგიდის უჯრაში დარჩა. მართალია, გამოძიებამ დაადგინა, რომ სადაზვერვო ცნობები /წიგნები/ პირადად ჩემ მიერ გადაიცემოდა და ნარიკელაძე პირადად ხელში მაბარებდა,

აღნიშნულს მაინც ვერ ვაღიარებ და ვერ დავეთანხმები, თუმცა როგორც პასუხისმგებელი პირი, მთელ დანაშაულს საკუთარ თავზე ვიღებ. ჩემი მაკომპრომეტირებელი ზოგიერთი დოკუმენტი, რომელიც ჯიბეში და მაგიდის უჯრაში მქონდა, ნარიკელაძეს ვაჩვენე, ზოგიერთი კი მოგვიანებით იყო მომზადებული. ჩემი მაკომპრომეტირებელი ხელწერილები კი, ვფიქრობ, ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს.

ბინაში ნაპოვნი რუკები და ქაღალდები მენშევიკური არმიის ყოფილი გენერალური შტაბის ნარჩენებია. ზოგიერთი საბუთი პირადად ჩემი შედგენილია, ამიტომ ვინახავდი, ზოგი მათგანი შტაბში შემომრჩა, მათ შორის იყო ზოგიერთი ფორტის ან ციხე-სიმაგრის გეგმა. ეს გეგმები იმავე უჯრაში იყო, როდესაც სასაზღვრო დაცვისგან მაგიდა მივიღე. ვაღიარებ, რომ უნდა ჩამებარებინა, მაგრამ უყურადღებობისა და დაუდევრობის მიზეზით, არ ჩავაბარე. გარწმუნებთ, რომ არც ეს გეგმები და არც ყოფილი გენერალური შტაბის ქაღალდები სამხედრო ცენტრთან მუშაობის დროს არ გამომიყენებია. გამოგონილი დისლოკაციის დოკუმენტი, რომელიც შედგენილი იყო დივიზიის შტაბის ოპერატიული რუკისთვის, რომელიც, ვფიქრობდი, დამევალებინა სადაზღვევო სამმართველოში ამხ. ბაშენევისთვის [...], გთხოვთ, არ მიიღოთ მხედველობაში.

დუშეთის ექსპედიციის გაკვეთილიდან გამომდინარე, საერთოდ უნდა შემეწყვიტა საქმიანობა, თუმცა ინერციით მაინც განვაგრძობდი მუშაობას.

ახლა მივედი დასკვნამდე, რომ თუ მენშევიკები და ნაციონალისტები ჯერ კიდევ სარგებლობენ მოსახლეობის პოპულარობით, მათ მხარდამჭერთა რიცხვი მეტად მცირეა. საქართველოს გასაბჭოების პერიოდიდან მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს არიან პარტიზანები, რომლებიც ამოსაძირკვია. შეიძლება ჩემი ქმედებებიდან გამომდინარე საბჭოთა ხელისუფლებამ არ დამიჯეროს, მაგრამ მტკიცედ ვიცი, რომ მას შემდეგ, რაც იყო, გულაცრუებული ნაციონალისტებსა და მენშევიკებზე, ვწყვეტ მათთან კავშირს და ვაწარმოებ მათ წინააღმდეგ ყველაზე სასტიკ ბრძოლას. მათ დაღუპეს ასობით ადამიანი, რომლებიც წარმატებით შეიძლება ყოფილიყვნენ გამოყენებულნი სულითა და შემართებით ძლიერ წითელ არმიაში. აღნიშნულის გულწრფელობის დასადასტურებლად, გთხოვთ, გაზეთში გამოაქვეყნოთ დოკუმენტი სრული სახით, ჩემი ხვედრი კი შემიმსუბუქოთ.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვი.

6/III-23 წ.

პ.ს. გთხოვთ, ჩემი პირველი ჩვენება დამიბრუნოთ.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის დამატებითი ჩვენება 7/III-1923 წ.: [22]

როგორც ჩემთვის ცნობილია, ნაციონალისტებსა და მენშევიკებს შორის არსებულ დაპირისპირებაში, ვინ უნდა აერჩიათ სამხედრო ცენტრში, პირველნი მაზნიევს ასახელებდნენ, მეორენი კი - წულუკიძეს. მალე მაზნიევი დააპატიმრეს და წულუკიძეღა დარჩა. დაპატიმრებამდე, მაზნიევის მიერ ჩატარებული მუშაობის არაფერი მახსოვს.

რაც შეეხება კავშირს სამხედრო ცენტრსა და საჯარისო ნაწილებს შორის, უნდა აღვნიშნო, რომ გვთავაზობდნენ პოლკების გამოყენებას, მაგრამ ნარიკელაძესთან ჩატარებული შეხვედრის დროს ყურადღება მივაქციე ნაწილებში წარმატებით ჩატარებულ პოლიტიკურ სამუშაოებს და ამიტომ ამის განხორციელება გადადეს. არ ვიცი, შემდგომში თუ მიმდინარეობდა ამ მიმართულებით მუშაობა,

22 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 77-78.

ამის შესახებ წულუკიძესა და ნარიკელაძეს უნდა ვკითხოთ. მგონი, ეს უკანასკნელი ამ საქმითაცაა დაკავებული, რადგან ერთხელ მითხრა, რომ ჰყავს ოფიცრები, რომლებიც წითელ არმიაში არ მსახურობენ და მათთვის ჯამაგირის შოვნას აპირებდა, რადგან შიმშილობდნენ.

ვფიქრობ, რომ სერიოზული, დაგეგმილი სამუშაო სამხედრო ცენტრს არ ჩაუტარებია. მხოლოდ საუბრები იყო. ვიმეორებ, პოლიტიკური ცენტრი მას ამ სამუშაოს არ აძლევდა, არ უნდოდა მიეცა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას ბათუმის ორგანიზაციის შესახებ, ვერ გიპასუხებთ, რადგან საქმის კურსში არ ვარ. ზოგადად აღვნიშნავდი, რომ სამხედრო ცენტრი მკვდრადშობილი ორგანიზაცია იყო. როგორც მახსოვს, სავარაუდოდ, წულუკიძის მიერ ნათქვამი, დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკას კოლია ქარცივაძე განსაზღვრავდა, ახლა სად არის, არ ვიცი. თუ რამე გამახსენდა, მოგცემთ დამატებით ჩვენებას და გთხოვთ, გამომიძახოთ.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვი

7 მარტი 1923 წელი.

გთხოვთ, საიდუმლოდ დაკითხოთ ნარიკელაძე, თუ ვის და როდის გაატანა და თუ გაატანა საერთოდ ჩემ მიერ მიწოდებული ცნობები ვლადიკავკაზის კურსანტების თითქოსდა ზურგში ორ კოლონად იერიშის შესახებ სვანეთის [...] დროს. [...] ეს მაგალითი, რომელიც მე სრულებით დამავიწყდა, იძლევა პასუხს იმ საყვედურზე, თითქოს მე ორ ბანაკს შორის ვმუშაობდი. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რაც წითელ ზოლად უნდა გასდევდეს მთელ ჩემს მუშაობას სამხედრო ცენტრში. დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნულს საგამოძიებო მასალაც დაადასტურებს. მე წითელ არმიაში იდეას ვემსახურები, ჩემი ერი მიყვარს და რატომ არ უნდა ვიყენებდე ხელთ არსებულ შესაძლებლობებს.

ლექვთაძესთან სამხედრო ცენტრის შესახებ არანაირი საუბარი არ მქონია. დუშეთის ექსპედიციის დროს კი ვუთხარი, რომ „შავ დაფაზე“ მოვხვდებოდით.

ციცაძე მას რატომღაც „ჩვენიანად“ მიიჩნევდა, თითქოს ამის შესახებ ნარიკელაძე ლაპარაკობდა.

რ. მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის დამატებითი ჩვენება 9/III-1923 წ.: [23]

სამხედრო ცენტრის წევრები აჯანყების საკითხს არ განიხილავდნენ.

როგორც წინა ჩვენებებში აღვნიშნე, დაახლოებით 1922 წლის ივნისსა თუ ივლისში, დუშეთის რაიონსა და კახეთში ბანდიტიზმის სრულ აღმოფხვრამდე, ანუ იმავე წლის ოქტომბრის ბოლომდე, სამხედრო ცენტრის მიერ ეს საკითხი საერთოდ არ ყოფილა განხილული, რადგან დაშლილი იყო და ვერანაირ მოქმედებას ვერ განახორციელებდა. დუშეთის ექსპედიციამდე ცოტა ხნით ადრე, იოსებ ციცაძე ამბობდა, რომ სამხედრო ცენტრის მუშაობა ამ ეტაპზე საჭირო არ არის, რამეთუ ჩვენი ორგანიზაციის ძალები დაქსაქსულია, ისინი უნდა გაერთიანდეს და მხოლოდ მას შემდეგ უნდა ვისაუბროთ სამხედრო ცენტრის ფუნქციების შესახებო.

23 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 81.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ჩემი სირბილი ხან ნაციონალებთან /რომელთა ატანაც არ მქონდა/, ხან იოსებ ცინცაძესთან, როდესაც მივიღე განკარგულება დუშეთში გამგზავრების შესახებ. აჯანყების განვითარება, ვფიქრობ, საკმარისად გავაშუქე წინა ჩვენებებში, თუმცა ზედმეტი არ იქნება ვახსენო ის გარემოება, რომ დ. ვაჩნაძე ჩოლოყაშვილთან ვინმეს გაგზავნას ფიქრობდა, რათა შეეთავაზებინა ალავერდის მხრიდან მოქმედებების დაწყება და ეთხოვა მისთვის, დაეკავებინა საარტილერიო დივიზიის მე-2 ბატარეა, რომელიც იმ დროს მუხროვანთან იყო დაბანაკებული. ამის შესახებ თავად ვაჩნაძისგან შევიტყვე დუშეთის ექსპედიციის დასრულების შემდეგ, მასთან უკანასკნელი შეხვედრის დროს, როდესაც მან სხვათა შორის ახსენა, რომ ბრძანება სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ ჩოლოყაშვილს დროულად არ ჩაუვიდა, რაც, ნაციონალებისთვის მოულოდნელად, გამოიწვია მისმა გამოჩენამ დუშეთის ჩრდილოეთით 1922 წლის პირველ რიცხვებში. თითქოს ჩოლოყაშვილს ეს ბრძანება მიეღოს წითელი არმიის საჯარისო ნაწილებთან შეტაკების დროს და შემდეგ გადასულიყო ხევსურეთიდან პანკისისა და ალავერდის გავლით. ვაჩნაძე მიიჩნევდა, რომ ჩოლოყაშვილის გასვლა ხევსურეთიდან არის ამ ბრძანების შესრულების დასაწყისი. მართლაც, ჩოლოყაშვილმა 10-12 კაცის თანხლებით მიაღწია ალავერდის რაიონს, თუმცა ვეღარ შეძლო ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება.

არაფერი ვიცი, პერიფერიასა და რაიონებში არსებულ ორგანიზაციებთან სამხედრო ცენტრის კავშირის შესახებ. სავარაუდოდ, ეს საკითხი წულუკიძეს ეხებოდა, ნაწილობრივ ნარიკელაძესაც, თუმცა ამ უკანასკნელზე ეჭვი მეპარება. ეს კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მოქმედ სამხედრო ცენტრთან, ხოლო იმ პერიოდში, როდესაც მარტო დავრჩი, პერიფერიასთან არანაირი კავშირი არ მქონია. პოლიტიკურ ორგანიზაციებს თავად ჰქონდათ კავშირი ადგილებზე და მათ კავშირზე სამხედრო ცენტრის წევრებთან ისინი არაფერს საუბრობენ, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ეშინიათ უფრო რთულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაერთიანების. ეს აზრი გამიჩნდა, როდესაც ვისმენდი, ერთი მხრივ - მენშევიკების, მეორე მხრივ კი ნაციონალისტების საუბრებს. აი, ამის კონკრეტული მაგალითიც: როდესაც დავით ვაჩნაძე ჩოლოყაშვილს მუხროვანში აგზავნიდა, მას ბატარეის მეთაურთა იმედი ჰქონდა, რომელთა სახელებიც ჩემთვის არ უხსენებია. ზოგადად, ეს ერთგვარი დაავადებასავით იყო, არც ვაჩნაძე და არც ცინცაძე საკუთარი ძალების შესახებ არავის არაფერს უმხელდნენ.

ნარიკელაძის გარდა, სამხედრო ცენტრის არც ერთი წევრისთვის არანაირი ინფორმაცია არ მიმიწოდებია. იშვიათად, ნარიკელაძეს ვაწვდიდი ხოლმე ცნობებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბანდიტიზმის შესახებ და ერთხელ - ბანდის შესახებ სომხეთის ტერიტორიაზე. 1-2-ჯერ მივაწოდე ცნობა თურქეთის ტერიტორიაზე საჯარისო ნაწილების გადაჯგუფების შესახებ. ერთხელ მივეცი წარმოსახვითი ცნობა ვლადიკავკაზის კურსანტების მოძრაობის შესახებ სვანეთის მიმართულებით. ერთხელ წავაკითხე ცნობა ბანდიტიზმის შესახებ, რომელიც მომზადებული იყო პროექტის სახით ჩემთვის ამხ. აღნიაშვილის მიერ და ერთხელ მივეცი ცნობა წითელი არმიის ნაწილების დისლოკაციის შესახებ ლენქორანის ოლქის ტერიტორიაზე, მისი მოთხოვნის მიხედვით. ეს ცნობები, შეგიძლიათ ჰკითხოთ ჩემს თანაშემწე ფაღავას, შტაბის დივიზიის ოპერატიული განყოფილების 1921 წლის შავი ქაღალდებიდან იყო შედგენილი. ცნობისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, თავად დავამატე დისლოკაციის სქემაში 23-ე პოლკი და 7-8 სასაზღვრო ბატალიონები, მიმოვფანტე ისინი სხვადასხვა ადგილას. თუ რა მიზნით მოვიმოქმედე აღნიშნული, ქვემოთ მოგახსენებთ. [...]

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის დამატებითი ჩვენება 9/III-1923 წ.: [24]

მოქ. პანკრატოვის შეკითხვაზე სასწავლო საკადრო პოლკის მეთაურად თუხარელის დანიშვნისა და ამ უკანასკნელის მიერ სამხედრო ცენტრისთვის სანქციის გამოთხოვის შესახებ, გიპასუხებთ, რომ თუხარელთან მართლაც ვისაუბრე ამ საკითხზე. ამ თემაზე ასევე ვესაუბრე მე-3 კავალერიის პოლკის მეთაურს, ერისტოვს. ორივეს ველაპარაკე ამ პოლკებში კომკავშირლების შეყვანის შესახებ. აღნიშნულს ვფიქრობდი იმ ვარაუდით, რომ თუ მოხდებოდა ქართული დივიზიის დაშლა, რუსულ პოლკებში მომხდარიყო კავკასიური, წმინდა საბრძოლო ტრადიციების დანერგვა, რაც ადვილად გამოსდით ქართველებს.

როდესაც დუშეთის საექსპედიციო შტაბის უფროსი ვიყავი, დუშეთის სამაზრო მილიციის უფროს კომუნისტს (მას ცალი ხელი არ ჰქონდა), გვარი არ მახსოვს, ერთხელ წამოცდა, რომ დუშეთის პოლიტბიუროში მსახურობს მენშევიკების პარტიის ძველი წევრი - ქალი, რომელიც ამბობდა, რომ თეთრგვარდიელები დღეს თავდასხმას აპირებდნენ. ამ ქალის შესახებ შემდგომში ცინცაძისგან შევიტყვე, მისთვის უცნობებია აღნიევის მიერ მჭადიჯვრის რაიონის ზოგიერთი მენშევიკის დაპატიმრების შესახებ.

დუშეთის ექსპედიციის აღწერის დავალება არმიის შტაბისგან მივიღე, თუმცა ვერ დავასრულე, რაზეც გაამახვილა ყურადღება აღნიევმა გამომძიებლისა და ამხ. მოგილევსკის თანდასწრებით. დოკუმენტების მიხედვით, აღწერის შედგენა იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ შტაბში დიდ დროს ვატარებდი. შემდეგ სახლში წავიღე, სადაც ჩხრეკის დროს ჩამომართვეს.

იოსებ გედევანოვის შესახებ ვაცხადებ, რომ სამხედრო ცენტრში ის იყო არჩეული ფედერალისტების მიერ, მაგრამ მგონი თავად თქვა უარი.

სამხედრო ცენტრსა და ქართული არმიის ნაწილებს შორის არსებული შესაძლო კავშირების შესახებ საჭიროდ ვთვლი დავამატო, რომ მთელი მეთაურთა შემადგენლობა /ქართველი ოფიცრები/, მცირე გამონაკლისის გარდა, შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო სამხედრო ცენტრთან.

ამხანაგმა მოგილევსკიმ მაჩვენა დოკუმენტის ასლი, რომელიც მენშევიკის ჩხრეკის დროს აღმოჩნდა და თქვა, რომ რადგან ამ დოკუმენტის ერთადერთი პირი ჩემთან იყო, ცხადი ხდება, რომ ასლი ჩემი გადაცემული იქნება. კიდევ ერთხელ გიჩვენებთ, რომ არასდროს, არც ცინცაძისთვის და არც სხვა რომელიმე მენშევიკისთვის არავითარი წერილობითი ცნობები არ გადამიცია, ეს პრაქტიკა იყო ნარიკელაძესთან, რადგან ინფორმაცია მის ხელში იყრიდა თავს.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის დამატებითი ჩვენება 11/III-1923 წ.: [25]

მასალები, რომლებიც ჩემს ფსიქიკაზე მოქმედებდა. ქართველი მენშევიკების სამწლიანი ბატონობისა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში დარჩენილი სახელისუფლებო პარტიის წევრები ჩემზე ზეგავლენას ახდენდნენ. სამწუხაროდ, პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი ვიყავი და როგორც ქართული მენშევიკური არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტი, წითელი არმიის რიგებში შევედი. ცხადია, რომ ნაციონალისტებისა და მენშევიკების პარტიები ჩემს გამოყენებას დაიწყებდნენ. ნაციონალისტი არასდროს ვყოფილვარ და იმპერიალისტური ომის ბოლომდე საქართველოში არ მიმსახურია, მაგრამ მენშევიკების სამწლიანი

24 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 82-83.
25 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 126-127.

მმართველობის დროს ნაციონალისტებისკენ გადავიხარე და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განვაგრძობდი ქართველებთან ურთიერთობასა და მუშაობას, მათ ინფორმაციას და მათთან აზრთა მიმოცვლას. დუშეთის ექსპედიციის შემდეგ, როდესაც თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ საქართველოს მოსახლეობის მასები საკუთარი თავის ერთგული დარჩა და არ დაყვნენ მენშევიკთა მემკვიდრეების ავანტიურისტულ პროპაგანდას, ჩემში გარდატეხა მოხდა და მათთან აღარ მიმუშავია. შემდეგ კვლავ ვხვდებოდი ნარიკელაძეს და მუშაობა ინერციით ხდებოდა. აღნიშნული კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მომენტით იყო გამოწვეული. მოქალაქე აღნიაშვილმა პირად საუბარში ჩემთან, როდესაც საქმე ეხებოდა დუშეთის ექსპედიციის აღწერას, სხვათა შორის მიმითითა, რომ სიტყვა „ხევსურების“ ნაცვლად, მეხმარა ,,მოწინააღმდეგე“ და დასძინა, რომ თავისიანს არ უპირისპირდებოდა, რაც უხერხული იქნებოდა პოლიტიკური მოსაზრებით. მოქალაქეები - თენგიზ ჟღენტი და იოსებ სიჭინავა კომუნისტები არიან და ლექვთაძისა და ჩემი თანდასწრებით აკრიტიკებდნენ მოქალაქე ობოლაძის პოლიტიკას გურიაში. მოქალაქეებმა - აღნიაშვილმა და კოლია ოკუჯავამ, თანამდებობების დატოვების შემდეგ, ასევე გადაინაცვლეს ერთგვარ იატაკქვეშეთში და მე მთხოვდნენ საიდუმლო მასალებს საბჭოთა პოლიტიკასთან საბრძოლველად. მართალია, მათ რომელიმე მოწინააღმდეგის ცენტრისთვის ეს დოკუმენტები არ გადაუციათ, მაგრამ მოსამართლეების ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, რომ ყველა ეს მონაცემი ჩემს ფსიქოლოგიაზე აისახებოდა. ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, თითქმის შეუწყვეტლივ ვმუშაობდი მათთან ერთად და ეს მაგალითები მათ სასაყვედუროდ კი არ მომყავს, არამედ იმის საჩვენებლად, რომ ამ ეპოქაში ყველა ადამიანს გააჩნია სუბიექტური შეხედულება არსებულ ვითარებაზე და მმართველი პარტიის წევრებზე, მათი შეხედულებები კი ჩემსას დაემთხვა. ახლა ჩემში ისევ გარდატეხაა - კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მომენტია: მე დაპატიმრებული ვარ საბჭოთა ხელისუფლებისთვის გაწეული სამსახურისთვის და როდესაც ჩემს წარსულს ვუსწორებ თვალს, ვასკვნი, რომ ეს ყოველივე გაუცნობიერებლად ჩავიდინე, ისე, რომ ვერც წარმოვიდგენდი იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ახლა ვაგებ მენშევიკებისა და ნაციონალისტების მიზეზით. მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი საქმე დაწვრილებით განიხილება. ვხედავ, რომ საბჭოთა ხელისუფლება სარგებელსაც დაინახავს და შემიმსუბუქებს ხვედრს, მიუკერძოებლად შეაფასებს შექმნილ ვითარებას და შემინარჩუნებს სიცოცხლეს, რათა საქმით დავასაბუთო საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ იღიას ძე მუსხელოვის დამატებითი ჩვენება 12/III-1923 წ.: [26]

რაც შეეხება აღნიევის მიერ მომზადებული დოკუმენტიდან გაკეთებულ ასლს, უნდა აღვნიშნო, რომ იგი ჩემი ნებართვის გარეშე იქნა გადაღებული. თუ რა გზით აღმოჩნდა ის მენშევიკის ხელში, წარმოდგენა არ მაქვს, რადგან ვიცი, რომ ეს დოკუმენტი ნარიკელაძესაც არ გადაუწერია. საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი 3-4 თვის განმავლობაში დივიზიის შტაბი გადატვირთული იყო შტაბში მივლინებული ელემენტით, ძირითადად, სტუდენტებით, რომლებიც იყვნენ გადამწერები. ჩემი და სამხედრო კომისრის იოსებ სიჭინავას პროტესტის მიუხედავად, შტაბის სრული გაწმენდა ვერ მოხერხდა. ვაღიარებ ჩემ მიერ ჩადენილ მავნებლობას, რაც გახდა აღნიაშვილის მიერ მომზადებული დოკუმენტის გაუჩინარების მიზეზი, უმორჩილესად გთხოვთ, დაკითხოთ დაპატიმრებული და გაჩხრეკილი მენშევიკი და გაარკვიოთ, თუ რა გზით მოხვდა მის ხელში ეს

26 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2, გვ. 91-92.

დოკუმენტი - დაე, გამოტყდეს, როგორც რევოლუციონერი, თუკი ოდესმე თავი ასეთად მიაჩნდა. ახლა ის საკითხი, თუ რატომ ვაჩვენე ეს დოკუმენტი ნარიკელაძეს - გულახდილად რომ გითხრათ, არ მეგონა ის სახელმწიფო საიდუმლოების მქონე თუ იყო, ეს იყო შესავალი ჩემი აღწერისათვის, რომელიც ლექვთაძის დავალებით უნდა წარედგინა თბილისისა და სხვა გარნიზონების მეთაურთა შემადგენლობისთვის.

მახსენდება კიდევ ერთი შემთხვევა, რაც ადასტურებს მენშევიკებისა და ნაციონალისტების შეთანხმებულ მუშაობას დუშეთის ექსპედიციის დროს, რაც ასევე ადასტურებს ორგანიზაციების კავშირს ადგილობრივ წარმომადგენლობებთან, კერძოდ: წითელი არმიის საჯარისო ნაწილების ხევსურეთში შესვლის დროს, რაზმში მოვიდა ალექსანდრე მაჭავარიანი, 1-ელი პოლკის მეთაურის თანაშემწე, რომელმაც მითხრა, რომ ნახა დავით ვაჩნაძე, რომელმაც სთხოვა შეჩერების გარეშე გამგზავრებულიყვნენ ხევსურეთში. გამეცინა და ვუთხარი, რომ ნაციონალისტების სურვილი წითელი არმიის ხელმძღვანელობისას ემთხვევა, ხოლო მენშევიკები კი, პირიქით, საჯარისო ნაწილების შეკავების მომხრენი არიან-მეთქი.

[...]

საქართველოში დარჩენილი ყოფილი სახელისუფლებო პარტიის წევრები ჩემზე, როგორც ქართველზე, ზეგავლენას ახდენდნენ, მათ მტრებად არ მივიჩნევდი, ვხვდებოდი, აზრსა და შთაბეჭდილებებს ვუზიარებდი და ა.შ. დუშეთის ექსპედიციის შემდეგ, ორგანიზაციის აქტიურ წევრებს აღარ ვხვდებოდი, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, კვლავ გამოჩნდა ნარიკელაძე და ჩემი მუშაობა ინერციით გრძელდებოდა, მაგრამ არანაირი, ჩემი აზრით, საიდუმლო ცნობები არმიის შესახებ მე არ გადამიცია, პირიქით, დამახინჯებულ ცნობებს გადავცემდი, რათა თანამშრომლად მივეჩნიე. ამჟამად მე ახალი ფსიქოლოგიური მომენტის ზეგავლენის ქვეშ ვარ - დაპატიმრებული ვარ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებისთვის და როდესაც ჩემს წარსულს გადავავლებ თვალს, ვასკვნი, რომ რაც დანაშაულებრივი ჩამიდენია, გაუცნობიერებლად მომხდარა, იმ პასუხისმგებლობის წარმოდგენის გარეშე, რომელიც ახლა მაქვს. მაგრამ ამ დანაშაულთან ერთად, რომელიც მე მხოლოდ აქ, საგანგებო კომისიაში გავიაზრე, ბევრი სასარგებლო გამიკეთებია საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ყოფნის დროს. ამას დამიჯერებდნენ იმ შემთხვევაში, თუ დაპატიმრებამდე დავაბეზღებდი ორგანიზაციის წევრებს, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ წითელ არმიაში მსახურობის დროს მინდოდა იატაკქვეშა სამუშაოების შესახებაც მცოდნოდა. ვფიქრობდი, უკეთესია აღნიევის სამოცი მოხსენება გადავცე მტერს, მაგრამ მათი ზრახვები ვიცოდე-თქო. შეიძლება ეს შეხედულება მცდარია და მეც ჩემი მომეზღვება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მიაკვლევენ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებსაც.

მეტად სასურველი იქნებოდა, რომ გამოძიების პროცესის დასაჩქარებლად მიმეღო დამატებითი შეკითხვები, რადგან სამხედრო ცენტრის არსებობიდან დროის დიდი მონაკვეთის გასვლის შედეგად მეხსიერებას არ შემორჩა ყველა მოვლენა, რაც გამოკვეთდა ჩემს დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელსაც, გულახდილად ვამბობ, მე ვერ ვამჩნევდი.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ მუსხელოვის განცხადება, რომლითაც ამხ. აშუკინს მიმართავს: [27]

სრულიად საიდუმლოდ

20-III-1923 წელი

მოქალაქე აშუკინს

მაზნიევის ქმედებების შესახებ სამხედრო ცენტრსა და ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციაში, სამწუხაროდ, ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მისი მოქმედებები მეტად მკრთალი იყო ჩემს თვალში, ხოლო ნაციონალისტებისგან კი არ მიმიღია მათი ორგანიზაციის სტრუქტურის აღწერილობა.

ახლა კი ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ჩემს უკანასკნელ სიტყვას, რადგან ყველა ჩემი ჩვენება განხილული უნდა იქნას როგორც გამოძიების გაღრმავების საშუალება. ყველა მონაცემით, გამოძიება დასასრულს უახლოვდება და ყველა რომ დაკითხული ყოფილიყო, როგორც საქმესთან კავშირის მქონე, ისე წითელ არმიაში ჩემ გარემოცვაში მყოფი, მაშინ თქვენ გააკეთებდით კონკრეტულ, განსაზღვრულ დასკვნას და მიიღებდით სრულ ინფორმაციას სამხედრო ცენტრის წევრების მოქმედებების შესახებ, ნათელს მოჰფენდით იატაკქვეშა ორგანიზაციების პოლიტიკური ორგანოების მოქმედებებს. ვშიშობ, რომ აღნიშნული არ მომხდარა, ამიტომ გთხოვთ დაფიქრდეთ, რაზეც მე ვსაუბრობ და რაც მკაცრ შესაბამისობაშია მომხდარი მოვლენების თანმიმდევრობასთან. მე იმაზე ვისაუბრებ, რისი მიღებაც თქვენ შეგეძლოთ გამოძიების ჩატარების შედეგად, ჩემი წინა ჩვენებების თანმიმდევრობის გათვალისწინებით. როგორც იცით, სამხედრო ცენტრი, რომელიც თქვენ მიერ არის დაშლილი, ფუნქციონირებდა; ხვალ მის ადგილზე მეორე ცენტრი შეიქმნება, მას მესამე ჩაანაცვლებს და ა.შ. მთელი საიდუმლოება მდგომარეობს არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში, რომელთა წინააღმდეგაც თქვენ უნდა იბრძოდეთ, უცხოური კაპიტალის შემოდინების შეწყვეტითა და ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების კავშირების გაწყვეტით დასავლურ ორგანიზაციებთან. სწორედ ესაა, ჩემი დაკვირვებით, საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ამოცანა საქართველოში. რა არის სამხედრო ცენტრი? სრულებით არაფერი. ერთადერთი, რაც რაღაცას წარმოადგენდა, ნარიკელაძის ორგანიზაცია იყო, რომელიც მეტ-ნაკლებად სოლიდურ სამუშაოს ეწეოდა, თავად ნარიკელაძე არანაირ ცნობაზე უარს არ ამბობდა და ყველაფერი შეჰქონდა პოლიტიკურ ორგანიზაციაში, მათ შორის: არმიის შტაბის მონაცემები, საკუთარი, ქუჩაში წარმოებული დაკვირვებები, ჭორები, ჩემ მიერ მიცემული ინფორმაციები. ეს ყველაფერი პარიტეტულ კომიტეტში მიჰქონდა. მაგრამ ჩემი ინფორმაცია სპეცინფორმაცია იყო. მე განზრახ ვუბნევდი კვალს. ვსარგებლობდი იმით, რომ ნარიკელაძის რწმენით,ცნობებს ვითომდა სტრიხარი მაწვდიდა. ამ გვარს ვიყენებდი და მოვახდინე ნარიკელაძის სერიოზული ორგანიზაციის პარალიზება, რომელსაც უსათუოდ შეეძლო მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონოდა. ცნობებს მოკლე ხნის ვადაში ვაწვდიდი, მეტწილად ინფორმაციის ნაკლებობას ვიმიზეზებდი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ წარმოდგენა არ მაქვს, როგორ აღმოჩნდა მენშევიკის ხელში აღნიაშვილის მოხსენება. ამაში არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. რაც შეეხება სამხედრო ცენტრის სხვა წევრებს, ისინი იშვიათად იკრიბებოდნენ და მათი ქმედებები საუბარს არ გასცილებია. მაშ, რით იყვნენ დაკავებულნი იატაკქვეშა ორგანიზაციები? როგორც თქვენთვის კარგადაა ცნობილი, ისინი ახდენენ მომხრეებისა და იარაღის აღრიცხვას, არსებული წყობის წინააღმდეგ ეწევიან აგიტაციას. ისინი არ აყალიბებენ ბანდებს, პირიქით, პარიტეტული კომიტეტის ინტერესებშია თავიდან აიცილოს ეს საზრუნავი, დანაშაულებრივი ელემენტი და ჩუმად იმუშაოს, რათა შესაბამის მომენტში განახორციელოს დარტყმა. გარდა ამისა, ის მხოლოდ საკუთარი ძალის იმედად არაა, არამედ ქმნის კავშირებს მსგავს

27 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 94-97.

ორგანიზაციებთან სომხეთში, აზერბაიჯანსა და მთიან რეგიონებში. ბანდიტური ელემენტები მას იმდენად ესაჭიროება, რამდენადაც მათი გამოყენება შესაძლებელია აჯანყების საწყის ეტაპზე, შემდეგ კი ისინი შეიძლება აჯანყებულებმა თავად გაანადგურონ. იატაკქვეშა ორგანიზაციასთან ბრძოლა მთავარ ღერძად უნდა გასდევდეს გამოძიების პროცესს. ჩემი ჩვენება იმის შესახებ, რომ ჩოლოყაშვილის ბანდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას მოკლებულია, სინამდვილეს შეესაბამება, დოკუმენტურად დასტურდება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და სამხედრო საჯარისო ნაწილების ხელმძღვანელების ანგარიშებით დუშეთის ექსპედიციის შემდეგ. გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში არ არის ჯარის მოცდენა ბანდიტიზმთან საბრძოლველად. მოსახლეობა სწორედ მაშინ ამოუდგება მხარში ბანდიტებს, თუ ამ უკანასკნელთ ჯარი შეესევა. გარწმუნებთ, ბანდიტიზმთან საბრძოლველად საკმარისია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გაძლიერება, მოსახლეობაც თავად გაუსწორდება ბანდიტებს. თუ თქვენი მთავარი ამოცანა იატაკქვეშა ორგანიზაციების მოქმედებების პარალიზება და სამხედრო ცენტრის წევრთა დახვრეტა იქნება, თქვენ დადებით შედეგს ვერ მიაღწევთ, რადგან ბრძოლის სხვა, მეტად შედეგიანი მეთოდებიც არსებობს, რომელთა შესახებაც თქვენ უკეთ უწყით.

ახლა კი 3 მარტის მოვლენიდან გამომდინარე საკუთარი თავის შესახებ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა, რამაც დიდი მორალური დარტყმა მომაყენა. ტრაბახის გარეშე ვიტყვი, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან ორი წლის განმავლობაში, ვეჭვობ, პარტიულ ამხანაგებს იმაზე მეტი გაეკეთებინოთ საბჭოთა ხელისუფლებისთვის, ვიდრე მე, იმ პირობებშიც კი, როდესაც ჩემს სამუშაოს იატაკქვეშა სამუშაოსაც ვუთავსებდი. მიმაჩნია, რომ ამაში არის ჩემი დამსახურება და მე კომუნისტური პარტიის, წითელი არმიის ხელმძღვანელობისა და საგანგებო კომისიის წინაშე სიამაყით ვაცხადებ, რომ ღირსებით შევასრულე ჩემი ვალი მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე. ვინც კი ახლოს მიცნობს, ვერავინ მისაყვედურებს მოვალეობის შეუსრულებლობას ბანდიტიზმის დამარცხების კუთხით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საქართველოში მიმდინარე ყველა სამოქალაქო ომში მიღებული მაქვს ყველაზე საქმიანი და სასარგებლო მონაწილეობა და დიდად გაკვირვებული ვარ მიკერძოებული ჩვენებების გაცნობით, როგორიცაა, მაგალითად, აღნიევის ჩვენება, რასაც არ ველოდი. ნუთუ ვერც ის და ვერც სხვები ვერ ხედავდნენ ჩემს სურვილს, გავყოლოდი მას? დუშეთის ექსპედიციის დროს საფუძველი ჩავუყარე ჩემს მომავალ სამსახურს, ამის შედეგად კი ციხეში აღმოვჩნდი და დახვრეტა მემუქრება, რაც იქნება გამოუსწორებელი სასამართლო შეცდომა, როდესაც იგი ისტორიული კვლევის საგანი გახდება.

მეუბნებიან, რომ თითქოსდა პოლკში ოფიცრებს იმ ნიშნით ვარჩევდი, რომ შემდგომში სამხედრო ცენტრში შეძლებოდათ მუშაობა. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, წითელი არმიისთვის ყოველთვის სანდო პირებს ვარჩევდი, სწორედ ამ მიზნით ვამტკიცებდი არასანდო პირების - თუხარელისა და მაჭავარიანის გათავისუფლების აუცილებლობას. მათ შეუძლიათ კიდევ ბევრი სარგებელი მოუტანონ წითელ არმიას, ოღონდ არა საკუთარ ნაწილებში მსახურობით, რადგან ისინი პოლიტიკური ორგანიზაციების მხედველობის ცენტრში იმყოფებიან. ამის დადასტურება ლექვთაძეს შეუძლია.

დარწმუნებული ვარ გამოძიება აჩვენებს, რომ მე არ ვარ ბანდიტური ელემენტი, არ ვარ საშიში საბჭოთა ხელისუფლებისთვის. უკვე მე-18 დღეა სამსახურიდან გადაყენებული ციხეში ვზივარ და ყოველ შემხვედრს ჩემი შიში აქვს, ჩემ დანახვაზე რევოლვერზე იკრავენ ხელს. გარწმუნებთ, მსგავს პირობებში ყოფნა არ დამიმსახურებია, მაგრამ გამოძიებისა და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ვითმენ. მოგმართავთ თხოვნით, შემიმსუბუქოთ ხვედრი, გამათავისუფლოთ პატიმრობიდან და დამაბრუნოთ მეგობრებთან წითელ არმიაში, რათა გაორმაგებული ძალისხმევით განვაგრძო მუშაობა და შევძლო საბჭოთა ხელისუფლების ნდობის აღდგენა. სიამაყით გიცხადებთ, რომ მთელი ჩემი სამუშაო მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისკენ და არა - პირიქით. ნუთუ ამას

არ დაადასტურებს ყველა ის ადამიანი, ვინც ახლოს მიცნობს. თუ ჩემი თხოვნა მიუღებელი იქნება, მაშინ უდრტვინველად დაველოდები საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებას. თუ გამოძიების შედეგებიდან უკვე შესაძლებელია, გთხოვთ მაცნობოთ ჩემი ოჯახის ბედის შესახებ.

გთხოვთ, განსაკუთრებით გამოიკვლიოთ დუშეთის ექსპედიციის პერიოდი, რათა გამოიკვეთოს ჩემი როლი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პროცესში.

კიდევ მსურდა რაღაცის დაწერა, მაგრამ ქაღალდი არ მეყო.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის დამატებითი ჩვენება 24/III-1923 წ.: [28]

23 მარტის ჩვენებების დაზუსტების მიზნით, რომლებიც სადაზვერვო-საინფორმაციო მუშაობას ეხება, დამატებით მოგახსენებთ, რომ დავით ვაჩნაძეს ესაჭიროებოდა ინფორმაცია თურქეთისა და ამიერკავკასიაში რუსული ჯარის რიცხობრიობის შესახებ. მასთან ორთვიანი მუშაობის დროს, მივაწოდე ინფორმაცია ზოგიერთი თურქული ნაწილის ყარსის მიმართულებით გადასროლის შესახებ ბერძნულ ფრონტზე და ერთი თურქული კავალერიის დივიზიის გაგზავნის შესახებ დერსინელი ქურთების აჯანყების ჩასახშობად. იაკოვლევთან შეხვედრის შედეგად, ვაჩნაძეს ვაცნობე თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სუსტი მდგომარეობის შესახებ და ვუთხარი, რომ გავრცელებული ხმა თურქეთის მხრიდან ამიერკავკასიაზე იერიშის განხორციელების შესახებ საფუძველს იყო მოკლებული. რუსული ჯარის რიცხობრიობა ვაჩნაძეს განვუსაზღვრე 145 ათასის ოდენობით ჩრდილოეთ კავკასიაში და ამდენივე - ამიერკავკასიაში.

ორი თვის შემდეგ გავწყვიტე კავშირი ეროვნულ-დემოკრატებთან და რამდენიმე თვის შემდეგ, ნარიკელაძესთან შემდგარ პირველ შეხვედრაზე, წარმოვადგინე სადაზვერვო ცნობების მიღების საშუალება, რომლებიც „სტრიხარისგან იქნებოდა მიღებული“. წინადადება მიღებული იქნა, თუმცა სამხედრო ცენტრის მოქმედება შეწყდა. არ ვიცოდი, რომ ნარიკელაძე და ვარდენ წულუკიძე მუშაობდნენ და ვგრძნობდი, რომ ჩემი წინადადება ასეთად დარჩა.

საბჭოთა ფულის კურსის შეცვლის დროს, ვარდენ წულუკიძეს მივმართე თხოვნით, წითელი არმიის ოპერატიული სამმართველოს უფროსისთვის საბჭოთა მანეთი ქართულ ბონებზე გადაეცვალა, მაგრამ სამწუხაროდ სალაროში თანხა არ აღმოჩნდა და ვარდენ წულუკიძემ მირჩია, მეორე დღემდე მომეთმინა. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ნარიკელაძე (რომელსაც, სავარაუდოდ, წულუკიძემ სთხოვა) და შემომთავაზა ფულის გადაცვლა. სტრიხარს ფული აღარ ჭირდებოდა და ასე დავშორდი ნარიკელაძეს.

გარკვეული დროის შემდეგ ნარიკელაძე მოვიდა და მთხოვა, დამეკავშირებინა სტრიხართან. მაშინ გავიგე, რომ ის მენშევიკებთან მუშაობდა. რადგან ამ სამუშაოს შესახებ მეტის ცოდნა მსურდა, ნარიკელაძეს თხოვნაზე უარი ვუთხარი და შევპირდი, რომ ცნობებს თავად მივაწვდიდი, სამაგიეროდ კი, ვითომდა სტრიხარისთვის, თვიური საარსებო მინიმუმი მოვთხოვე. ამ გვარს ბოროტად ვიყენებდი, რათა ჩემი ცნობებისთვის ფასი დამედო და როგორც ადამიანი, რომელიც მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა, ვცდილობდი გამემართლებინა ჩემი მუშაობა იატაკქვეშა ორგანიზაციაში. სამხედრო ცენტრში ჩარიცხვით მიზნად დავისახე გამომერკვია, რა ხდებოდა მენშევიკებსა და ნაციონალისტებში. მიუხედავად იმისა, რომ ვაჩნაძეს ცნობებს აღარ ვაწვდიდი, მისგან ყოველი შეხვედრის დროს ვისმენდი, რომ დამოუკიდებელი სამხედრო ცენტრის შექმნის

28 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 98-99.

სურვილი ჰქონდა, რომელშიც მეც მომიაზრებდა. ამ საუბრების დროს ვსაყვედურობდი და ვეუბნებოდი, თითქოს მე ბრწყინვალედ მქონდა ორგანიზებული დაზვერვა, ისინი კი ფულს არ მაძლევდნენ და ამიტომ მომიწია ორგანიზაციის მენშევიკებისთვის გადაცემა. იქვე დავძინე, რომ ჩემთან თავად სტრიხარი მუშაობდა, რომელიც მათთვის უკვე დაკარგული იყო. ვაჩნაძისთვის არ მითქვამს, რომ ინფორმაციას ვაწვდიდი ნარიკელაძეს, რადგან ვაჩნაძესთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება მსურდა იმ მიზნით, რომ მათი საქმიანობის საქმის კურსში ვყოფილიყავი.

ნარიკელაძეს შემდეგი სახის ინფორმაცია მივაწოდე: 1. ამონაწერები სადაზვერვო კრებსებიდან ზოგიერთი თურქული ნაწილის გადაჯგუფების შესახებ; 2. ქობულეთის სადგურზე, ბანდიტების მატარებელზე თავდასხმის შესახებ და სამხედრო ნაწილების გადაადგილებაზე ვლადიკავკაზიდან სვანეთის მიმართულებით - ორივე ოპერატიული კრებსი პირადად ჩემ მიერ იყო შედგენილი, მათი ნუმერაცია შეფარდებითია არმიის შტაბის ნუმერაციასთან და გაგზავნილია ხელმოსაწერად სტრიხართან; 3. შთაბეჭდილებებს დუშეთის ოპერაციის შესახებ; 4. ჩემ მიერ შედგენილი ლენქორანის მაზრის ტერიტორიაზე ჯარების ფიქტიური დისლოკაციის გეგმა. ნარიკელაძე ცდება, როდესაც ამბობს, რომ მას დაბეჭდილ ოპერატიულ ცნობებს ვაწვდიდი, ზუსტად ვიცი, რომ ის სხვა გზით იღებდა ამ მონაცემებს, სავარაუდოდ, ამიტომ არ სჭირდებოდა ჩემგან მათი მიღება. დუშეთის ექსპედიციის შემდეგ მას რატომღაც ისევ დასჭირდა ინფორმაციის ჩემგან მიღება, თუმცა, მაგალითად, წითელი არმიის ნაწილების განჯაში გადასროლის შესახებ /მამედოვის ბანდის ლიკვიდაციისთვის/ სწორედ მან მაცნობა, ოპერშეტყობინება ამის შესახებ კი მხოლოდ 10 დღის შემდეგ ვნახე.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 27/III-1923 წ.: [29]


დუშეთის შესასვლელში, იქ, სადაც თავდაპირველად /1922წლისაგვისტოში/ იყოგანლაგებული საექსპედიციო რაზმის შტაბი, შემდგომში კი შესახვევი პუნქტი, ბაღის მხრიდან, მარჯვენა ოთახში ერთი ადამიანი ცხოვრობს: მაღალი, წაბლისფერთმიანი, ცოტა ჭაღარაშერეული, გამხდარი, 40-42 წლის, ცოლ-შვილიანი. დუშეთში ჩემი ჩასვლიდან კვირა-ნახევრის თავზე მოვიდა და მითხრა, ლუკამ გამომგზავნაო. ვკითხე, ლუკა ვინაა-მეთქი. მიპასუხა, ნუთუ, ლუკას არ იცნობთო და წავიდა. ორი დღის შემდეგ ისევ გამომეცხადა და მითხრა, იოსებ ცინცაძემ გამომგზავნა ვითარების გასაცნობადო. ვითარებაზე არაფერი მითქვამს, მხოლოდ ვუთხარი, რომ ხევსურეთში მივემგზავრებოდით. მეტი აღარფერი გადამიცია, უბრალოდ, დავამატე, რომ თბილისში ვაპირებდი ჩასვლას და პირადად მოვუყვებოდი ყველაფერს. ერთ კვირაში ისევ მოვიდა ჩემთან და მითხრა, დუშეთში რა ძალები გყავთ, თავდასხმას ვგეგმავთო. შევეხვეწე, ეს არ ჩაიდინოთ, თორემ გაგანადგურებთ-მეთქი. ვუთხარი, რომ დუშეთს ცხენოსანი ჯარი უახლოვდებოდა. სინამდვილეში, არანაირი ძალა არ გაგვაჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც უკვე ხევსურეთში ვიყავით, დუშეთის მაზრის მილიციის უფროსისგან შევიტყვე, რომ მენშევიკ ქალს, რომელიც დუშეთის პოლიტბიუროში მსახურობდა, შეუტყვია, რომ „ამ ღამეს იგეგმებოდა ადგილობრივი სახალხო გვარდიელების თავდასხმა დუშეთზე“. ჩემ მიერ მიღებულ იქნა ქალაქის დაცვის ზომები. თავდასხმა არ განხორციელებულა. ი. ცინცაძისგან გამოგზავნილი პირი დუშეთის საბჭოთა მოსამსახურე იყო. დარწმუნებული ვარ, თუ მას დააპატიმრებთ, გაიხსნება ოკუჯავასა და აღნიაშვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი.

რ. მუსხელოვი.

29 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 100.

დაკითხა: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა /**აშუკინმა**/.

აღსანიშნავია „ჩვენ გვყავს 18 ცხენოსანი მილიციონერი“ - სარწმუნოა **რ. მუსხელოვი**.



ПОКАЗАНИЯ МУСХЕЛОВА РОСТОМА ИЛЬИЧА
от 27/III-23 г.

100 / 117

При в,езде в Душет,там где первоначально помещался / в августе 22 г./ Штаб Экспедиционного Отряда,а впоследствии перевязочный пункт. / При входе со стороны сада,в комнате вправо,дверь с балкона / живет тип: высокого роста,шатен с небольшой проседью, худощавый ,лет 40-42,имеет жену и одного ребенка. Этот человек явился ко мне рано утром недели полтора спустя после моего приезда в Душет и сказал " Я приехал от Луки " . Я спросил от какого ЛУКИ. и по какому делу . тот сказал " Разве Вы не знаете ЛУКИ .и ушел Дня через два этот человек снова пришел ко мне и сказал,что он приехал от ИОСИФА ЦИНЦАДЗЕ с тем,чтобы узнать обстановку. Об обстановке мне ничего не пришлось говорить, я сказал лишь,что мы идем в Хевсуретию. Больше с ним ни о чем не говорил сказавши ему что я сам буду в Тифлисе и расскажу все лично. Спустя неделю этот человек снова пришел ко мне и скпзал " Что у Вас есть в Душете . Мы собираемся нападение устранить " . Я сказал ему " Ради Бога этого не допускайте так как мы Вас всех перебьем " Я сказал далее,что к Душету подходит конница. На самом деле у нас ни каких реальных сил не было. Спустя еще некоторое время,когда мы уже были в Хевсуретии,то от Начальника Душетской Уездной милиции, что женщина меньшевик,которая служит в Душетском Полит-Бюро узнала,что " сегодня ночью будет нападение местных народогвардейцев на Душет". Мной были приняты предохранительные меры по обороне и охране города. Нападения не было . Человек приходивший ко мне от И.ЦИНЦАДЗЕ состоял тогда на Советской службе в Душете. Я уверен,что если арестовать этого типа нападение на ОКУДЖАВА и АГИНАШВИЛИ можно раскрыть.

К сему Р.МУСХЕЛОВ

ДОПРОСИЛ НАЧ КРО / А Ш У К И Н /

Зачеркнутому " Что у нас имеется 18 конных милиционеров и"-ВЕРИТЬ

Р.МУСХЕЛОВ??

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 100.

როსტომ მუსხელოვის განცხადება ამხ. აშუკინს მიმართ:

28/III-1923 წ.

მოქალაქე აშუკინს [30]

ჩემი ბოლო ჩვენების დამატებად გაცნობებთ, რომ ამ ადამიანთან კავშირი დუშეთში არ იქნა გამოყენებული მენშევიკების სასარგებლოდ. ვფიქრობ, ამაში მაშინ დარწმუნდებით, როდესაც ამ პირს დააპატიმრებთ. არ ვიცი, რეალურად რა ძალას ფლობს იგი, ან საერთოდ, თუ ფლობს. მას მხოლოდ ორჯერ შევხვდი და ორივეჯერ მის ქმედებებს ვაკავებდი და გეგმებს ვფუშავდი. ჩანდა, რომ მას ყველაფრის ეშინოდა. მე იგი არ გამიცია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ზიანის მომტანი არ იყო. ასეც მოხდა. ჩემთან შეთანხმების შედეგად, მას არავითარი აქტივობა არ გამოუჩენია. შესაძლებელია, რომ აღნიევსა და ოკუჯავაზე განხორციელებული თავდასხმა მისი მოწყობილი იყოს, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. რომ მცოდნოდა, არ დავუშვებდი. კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც არ გავეცი ეს პიროვნება, უპარტიო ადამიანის ფსიქოლოგია იყო - როდესაც აღნიევი ამბობდა, ნუ წერთ სიტყვა „ხევსურს“, სიტყვა „მოწინააღმდეგე“ წერეთო, რომ არ გამოხატულიყო წინააღმდეგობა საკუთარი ხალხის მიმართ; როდესაც ლექვთაძე აღშფოთდა აღნიევის მიერ სამი ბანდიტის დახვრეტით, როდესაც ერთი მხრივ მენშევიკები, ხოლო მეორე მხრივ კი ჩემი სინდისი და წითელ არმიაში სამსახური, როდესაც ლექვთაძის დევიზი იყო შეძლებისდაგვარად ცოტა სისხლი, ამ ყოველივეს დროს ამოცანა არის ის, რომ ვინც უიარაღოა, მტერი არ არის. ვაღიარებ, რომ ფიცის თანახმად, ის პიროვნება უნდა გამეცა, რომელსაც, ვიმეორებ, არავითარი ზიანი არ მოუტანია, რომელიც მაშინ სერიოზულ ორგანიზატორად არ მიმაჩნდა, სწორედ ამიტომ არ ვაჩვენე მასზედ არაფერი პირველი ჩვენების დროს. ახლა კი ვხედავ, რომ მას გარკვეულ მოვლენებზე ფარდის ახდა ძალუძს და სწორედ ამიტომ გაძლევთ ამ ჩვენებას. იგი გამოავლენს ჩემი მოქმედებების ხასიათსაც. შემდეგ, მოქალაქე აშუკინ, რაც მეტი შემთხვევა მაგონდებოდა, მით მეტად მიჩნდება აზრი, რომ საქმისთვის აუცილებელი და სასარგებლოა ყველაფრის ჩვენება. თქვენ სულ უფრო და უფრო უკმაყოფილო ხართ ჩემით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, მე რომ ეს პიროვნება გამეცა დუშეთის ექსპედიციის დროს, მაშინ ეჭვი გაჩნდებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი ვიყავი. ვწუხვარ, სიტყვებით რომ ვერ გამოვთქვამ იმას, რასაც მაშინ ვგრძნობდი. როდესაც აღნიევის მიმართ ღრმა პატივისცემას განვიცდიდი, როდესაც მხოლოდ მისი მიმდევარი ვიყავი და მსურდა, რომ უსისხლოდ ჩაეხშო დუშეთის ეპოპეა, გაენადგურებინა ჩოლოყაშვილის ბანდა და აჯანყებული ხევსურები. მიმაჩნდა, რომ მათი ლიკვიდაციით აღმოიფხვრებოდა ბანდიტიზმი. სამწუხაროდ, ვხედავ, რომ როდესაც გამოძიება იკვლევს ჩემს მუშაობას იატაკქვეშა ორგანიზაციაში, ის სრულიად არ ინტერესდება ჩემ მიერ გაწეული მუშაობით წითელ არმიაში. ნუთუ, არ აქვს მნიშვნელობა ჩემს მოხსენებას თბილისში, არმიის მეთაურის ვაგონში? მოქალაქე აშუკინ, გთხოვთ, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლიანი იყოთ ჩემსა და ჩემი სამუშაოს მიმართ. მე არ ვითხოვ მოწყალებას. უდავოა, რომ არ ვიმსახურებ პატიებას, როგორც ამას ვხედავ ახლა, მხოლოდ იმის გამოც კი, რომ დროულად არ გავამჟღავნე იატაკქვეშა ორგანიზაციების მოქმედება. მაგრამ თქვენ გთხოვთ გააფართოვოთ გამოძიება, იპოვოთ ეს ადამიანი და თქვენ, როგორც პარტიული და ინტელიგენტი პიროვნება, გაიგებთ, რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი დუშეთის ექსპედიციის განმავლობაში და მაშინ ისე მომეპყრობით, როგორც კანონი გვავალებს, შეურაცხყოფის გარეშე.

დუშეთის ექსპედიციის დროს შევხვდი ცინცაძეს, რომელმაც მითხრა, რომ გასცემდა

30 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 101-108.

განკარგულებას ორი ბანდის ჩამოსაყალიბებლად ხევსურთა დასახმარებლად. ასევე მითხრა, რომ კავშირისთვის გამოაგზავნიდა ადამიანს, რაც მე ისე არ გამომიყენებია, როგორც იოსებ ცინცაძეს უნდოდა.

მოქალაქე ოკუჯავას თურმე არაერთხელ უთქვამს, რომ მუსხელოვი ან კომუნისტია, ან არამზადაო. ის გარკვეულწილად მართალი იყო, მე არამზადა ვიყავი, მაგრამ არა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ყოველე შემთხვევაში, ასე მესმოდა მე საკუთარი როლი. იოსებ ცინცაძე რომ დაგეპატიმრებინათ, დარწმუნდებოდით ჩემი სიტყვების სიმართლეში.

დასასრულს, გთხოვთ, მოქ. აშუკინ, დამეხმაროთ, დავდგე ჩემი ჩვენებით იმ გზაზე, რომელზეც თქვენ და მოქალაქე მოგილევსკი საუბრობთ. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ყველაფერი, რაც ჩემს ხელთ იყო, გახსნილად განვაცხადე და თუ კიდევ რამეა გასარკვევი, გთხოვთ, მკითხოთ. სამსახურის განმავლობაში ჩემი მდგომარეობა ყველაზე მძიმე იყო - ერთი მხრივ, იყვნენ ნაციონალისტები, მეორე მხრივ - მენშევიკები და სამხედრო ცენტრი, აქ კი - საბჭოთა ხელისუფლებისთვის დადებული ფიცი. მე, როგორც უპარტიოს, ასეთად მესმოდა ჩემი ამოცანა და მიმაჩნდა, რომ ასეთი მოქმედებით საბჭოთა ხელისუფლებას არ ვეწინააღმდეგებოდი. ახლა კი უდრტვინველად დაველოდები თქვენს გადაწყვეტილებას ჩემი ბედის შესახებ.

ახლა, მოქალაქე აშუკინ, მსურს კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვა. უკანასკნელი დაკითხვა აისახა რეჟიმზე, რასაც, თავის მხრივ, შეუძლებელია არ ემოქმედა ჩემს მორალურ მდგომარეობაზე. სავარაუდოდ, თქვენ უკმაყოფილო ხართ იმით, რომ თქვენი აზრით, მე ჩემი ქმედებებით მენშევიკების ერთგული ვიყავი და რომ მხოლოდ აქ, ციხეში ვიძლევი საპირისპირო ჩვენებებს. მენშევიკებს სამარემდე შევაჩვენებ და საშუალება რომ მქონდეს ვუთხრა ქართული დივიზიის მეთაურებს, ვეტყოდი: თუ გინდათ დაღუპოთ საკუთარი თავი და სამშობლო, იდექით მენშევიკების გვერდით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოიხსენით ნიღბები და იდეური კომუნისტების რიგებს შეუერთდით. ამას ვამბობ სრულიად გულახდილად და გთხოვთ, მოქალაქე აშუკინ, ნუ გამლანძღავთ ჩვენებების უგერგილოდ მოცემისთვის და არასწორად ჩამოყალიბებული აზრებისთვის.

რ. მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის დამატებითი ჩვენება 28/III-1923 წ.: [31]

დუშეთში ჩასვლისას, საექსპედიციო შტაბის რაზმი ამხანაგ ბრეგაძის რაზმის შტაბის შენობაში განთავსდა. რადგან სივიწროვე იყო, საექსპედიციო რაზმის სამხედრო კომისარმა, ამხ. ვლადიმერ ენუქიძემ, დუშეთის მაზრის სამხედრო კომისართან ერთად, თავად შეარჩია სხვა შენობა ქალაქის შესასვლელში, სადაც უკვე გამზადებულ შენობაში გადავედი. ჩვენს შტაბს მხოლოდ ორი ოთახი გამოუყვეს და რადგან მესამე ოთახში მხოლოდ ერთი კომუნისტი ცხოვრობდა, რომელიც მუხრანის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ იყო დანიშნული (მისი გვარი არ მახსოვს), გვირჩიეს, მისი ოთახიც დაგვეკავებინა. მომიჯნავე ოთახში დედა შვილი ცხოვრობდა.

თბილისში ყოფნისას იოსებ ცინცაძემ მითხრა, რომ დუშეთში ვითარების გასარკვევად მისგან კაცი მოვიდოდა. ადგილზე რომ ჩავედი, ამ უკანასკნელის გამოჩენას ველოდი და მისი ხელში ჩაგდება მქონდა განზრახული. ერთ დილას, როდესაც ბაღში მდებარე აივანზე პირს ვიბანდი, მომიახლოვდა მაღალი, გამხდარი მამაკაცი, უწვერულვაშო, ასე 40 წლის, ქუდი არ ეხურა. მკითხა: მუსხელოვი ხართ? როცა დავუდასტურე, მითხრა, ლუკამ გამომგზავნა თქვენთანო. რომელმა ლუკამ-თქო, შევეკითხე, რადგან არ ვიცოდი, რომ ეს იოსებ ცინცაძის ფსევდონიმი იყო. როცა მიხვდა, რომ

31 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 109-110.

არ ვიცოდი, ვინ იყო ლუკა, მეზობელ ოთახში გავიდა. ერთ-ორ დღეში ისევ მოვიდა და მკითხა, იოსებ ცინცაძეს თუ ვიცნობდი და როდესაც ჩემგან დასტური მიიღო, მითხრა, რომ ვითარების აღსაწერად იყო ჩემთან მოსული. ცინცაძისგან ჰქონდა მიღებული დავალება, ჩამოეყალიბებინა პარტიზანული რაზმები. ვუთხარი, ჩემ გარეშე არაფერი განეხორციელებინათ, ხოლო რაც შეეხება ცინცაძეს, თავად ჩავიდოდი თბილისში და გავესაუბრებოდი. შემდეგ ვუთხარი, რომ ჩვენი საჯარისო ნაწილები ხევსურეთში აპირებდნენ გადასვლას. საუბარი ამით დასრულდა. საექსპედიციო რაზმის შტაბი მალე სხვა შენობაში გადავიდა, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მოვიდა ის პირი და დამსწრეთაგან ყურადღების გადასატანად, ორი ფუთი კარაქის იაფად ყიდვა შემომთავაზა. მითხრა, რომ ფავლენოვი ტყეში მელოდა. გამიკვირდა და ვუთხარი, რომ მე შტაბის მეთაური ვიყავი, წითელ არმიას ვმეთაურობდი და ვერ წავიდოდი. მითხრა, რომ წერილობითი განკარგულების გარეშე ისინი მოქმედებებს არ დაიწყებდნენ და ჩემი განკარგულება იყო საჭირო. ვთხოვე გადაეცა, რომ არაფერი მოემოქმედებინათ, რადგან დღეს-ხვალ აქ ყველაფერი დამთავრდებოდა და ჩვენი საჯარისო ნაწილები უკვე ხევსურეთში იქნებოდნენ. კარგიო, მიპასუხა და თან დააყოლა, რომ მისწერდა ფავლენოვს, პარტიზანული გამოსვლები არ ეწარმოებინათ და რაზმები დაეშალათ. დავეთანხმე, რომ ასე უნდა მიეწერა. დასასრულს მითხრა, რომ ამ შემთხვევაში მოუწევდა გაეცა განკარგულება დუშეთზე თავდასხმის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ნათქვამი მქონდა, ორ საათში ცხენოსანი ჯარი უნდა ამოსულიყო. ხმა არ გაუცია. ისე წავიდა, თითქოს ამ უკანასკნელი აზრის განხორციელებას მაინც ფიქრობდა. ერთ საათში მასთან თავად წავედი, რათა გამერკვია ვითარება და გამეგო, როგორ აღმოჩნდა ფავლენოვი დუშეთში მაშინ, როცა ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ჩოლოყაშვილთან უნდა ყოფილიყო. მან მითხრა, რომ ფავლენოვი ჩოლოყაშვილთან იყო და შემდეგ დაბრუნდაო. როდესაც მისგან შევიტყვე, რომ დუშეთზე თავდასხმას აღარ აპირებდა და ფავლენოვს შეტყობინებაც გაუგზავნა, შტაბში წავედი. სამწუხაროდ, იმ კაცის არც სახელი ვიცოდი და არც გვარი. ცინცაძესთან ბოლო შეხვედრის დროს შევიტყვე, რომ ეს ადამიანი პარტიზანული მოძრაობის გამოცდილი ორგანიზატორი იყო.

როსტომ მუსხელოვი

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 29/III-1923 წ.: [32]

დ. ვაჩნაძემ, ანდრონიკოვის თანდასწრებით შემდგარი პირველი შეხვედრის დროს, როდესაც აწყობდა სამოქმედო გეგმას წითელი არმიის საქართველოდან ნებაყოფლობით წასვლის შემთხვევაში, ამბობდა, რომ აუცილებელი იქნებოდა, დაგვეტოვებინა საქართველოში მოძრავი რკინიგზის საგზაო შემადგენლობა, რისთვისაც საჭირო იყო რუსული არმიის წასვლისთანავე ფოილოს ხიდის აფეთქება. ამბობდა, რომ საჭირო იყო ფული და საჭირო ადამიანის მოძებნა, რომელიც დროიანად მიიტანდა ასაფეთქებელ ნივთიერებებს რაიონში და ყველაფერს მოამზადებდა. შეიარაღებული აჯანყების შემთხვევაში კი ვაჩნაძე საუბრობდა სურამის ქედის დაკავების შესახებ, რათა მომხდარიყო ქუთაისში განლაგებული ნაწილების განცალკევება სხვა ნაწილებისგან. ამბობდა, რომ მას ჰყავდა სანდო კაცი რკინიგზის სადგურზე.

როსტომ მუსხელოვი

დაკითხა: **აშუკინმა**.

32 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 114.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 30/III-1923 წ.: [33]

როდესაც პირველად შევხვდი პირს, რომელიც ჩემსა და ცინცაძეს შორის მეკავშირე უნდა ყოფილიყო (ის აღმოჩნდა ნიკო ზანდუკელი, როგორც ეს გუშინ ჩვენი დაპირისპირების დროს გაირკვა), მან, ზანდუკელმა მითხრა, რომ ცინცაძეს მისთვის დაევალებინა ორი ბანდის ჩამოყალიბება და მას შემდეგ, რაც ჩემგან ვითარებას შეიტყობდა, დაეძრა ისინი ჩემი მითითებით ხევსურეთის დასახმარებლად. ზანდუკელს ვუპასუხე ის, რაც ჩემს წინა ჩვენებებშია ასახული. აქვე ვკითხე, თუ რას ფლობდა, რაზეც კონკრეტული პასუხი ვერ გამცა, როგორც ჩანს, თავად არ იყო საქმის კურსში. ზანდუკელთან მეორე შეხვედრის დროს, როდესაც ჯარები ხევსურეთში შედიოდა, ეს უკანასკნელი ჩემთან შტაბში მოვიდა და განმიცხადა, რომ ფავლენოვი მზად იყო და მისგან (ზანდუკელისგან) ელოდა წერითი განკარგულებების მიღებას და რომ ფავლენოვი აჯანყების მოსაწყობად და ბანდების სახელმძღვანელოდ მიწვევდა. ზანდუკელს ვუპასუხე, მიკვირს ამ წინადადების მისგან და ფავლენოვისგან მიღება, რადგან როგორც ხედავთ, წითელი არმიის ნაწილებს ვხელმძღვანელობ-მეთქი. ფავლენოვი სადაა-მეთქი, ვკითხე, როგორც ვიცი, ჩოლოყაშვილთან-მეთქი, მიპასუხა, ფავლენოვი ჩოლოყაშვილთან იყო, მაგრამ დაბრუნდაო. შემდეგ ვუთხარი, რომ ხევსურეთში ყველაფერი დასრულებული იყო. ხევსურების შეკრება მიმდინარეობდა, ჩოლოყაშვილის ბანდა განადგურებულია და ყველანაირი საბრძოლო ქმედებები უნდა შეეწყვიტათ. ზანდუკელის შემდგომი მოქმედებებით მივხვდი, რომ საქმის ასეთი დაგვირგვინებით კმაყოფილი იყო. საუბრის ბოლოს ზანდუკელმა განმიცხადა, რომ ახლავე შეუთვლიდა ფავლენოვს, არ განეხორციელებინათ აქტიური გამოსვლები და დაშლილიყვნენ. წასვლის წინ ზანდუკელმა მითხრა, იქნებ ცოტა შეგვეშინებინაო? იქნებ დუშეთს დავცემოდითო? იქნებ დაგვეკავა შაშხანები და საწყობიო? ვუთხარი, რომ ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, ტყუილად დაიღვრებოდა სისხლი. „ყველას დაგხოცავენ, ხვალ ოთხ საათზე დუშეთში ცხენოსანი ჯარი შემოდის“. ზანდუკელი დამემშვიდობა და წავიდა. მეორე დღეს მასთან წავედი, რომ დავრწმუნებულიყავი, გააგზავნა თუ არა შეტყობინება ფავლენოვთან და თუ გადაიფიქრა დუშეთზე დაცემა. როდესაც ამ ორივე საკითხზე ზანდუკელისგან დადებითი პასუხი მივიღე, უკან გამოვბრუნდი. ზანდუკელს მეტი არ შევხვედრივარ.

როდესაც დუშეთის ექსპედიციის დროს ცინცაძეს შევხვდი, ამ უკანასკნელმა მითხრა, რომ მოკავშირეს გამომიგზავნიდა. შემდგომში გაირკვა, რომ ზანდუკელს გულისხმობდა. ცინცაძემ იქვე დასძინა, რომ ჩოლოყაშვილი უნდა დაგვემარცხებინა, ხევსურეთი კი - გადაგვერჩინა. როდესაც დუშეთის ექსპედიცია უკვე დასრულებული იყო, ცინცაძეს ვუთხარი, რომ მის მიერ გამოგზავნილ პირს არავითარი აქტიური ქმედება არ განუხორციელებია და საერთოდაც, ხევსურების დახმარება გვიანი იყო, რადგან საჯარისო ნაწილები უკვე ხევსურეთში იყვნენ. სამწუხაროდ, ჩოლოყაშვილი დაუსჯელი წავიდა. ცინცაძემ თქვა, რომ ეს ყველაფერი მისთვის ცნობილი იყო. იქვე გადავეცი ცინცაძეს ლექვთაძის აზრი, რომლის მიხედვით, ხევსურეთიდან გაქცეულ ჩოლოყაშვილს რამდენიმე ოფიცერი რომ დაეტოვებინა ხელმძღვანელის რანგში, წითელი არმია ასე ადვილად ვერ შევიდოდა ხევსურეთში. შემდეგ ცინცაძეს მოვუყევი აღნიევსა და ოკუჯავაზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ. ცინცაძემ არაფერი თქვა, მხოლოდ გაიღიმა.

დავამატებ, რომ აღნიევსა და ოკუჯავასთან ბათუმში სამსახურებრივი მივლინების დროს, ვგონებ, 1922 წლის მაისში, როდესაც ეროვნულ-დემოკრატებთან ვმუშაობდი, დ. ვაჩნაძემ დამავალა, მოვლაპარაკებოდი გიორგი თუხარელს ბათუმში ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და წითელი არმიის გასვლის თაობაზე, მაგრამ თუხარელი არ მინახავს, რადგან დააპატიმრეს. თბილისში რომ დავბრუნდი, ვაჩნაძესთან ამ თემაზე არ მისაუბრია და არც მას უკითხავს რამე.

როსტომ მუსხელოვი. დაკითხა: **აშუკინმა**.

33 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 112-113.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 5/IV-1923 წ.: [34]

აღნიევის მოხსენება მივეცი ფაღავას დასაბეჭდად იმ მიზნით, რომ აღნიევისთვის მისი ხელნაწერი დამებრუნებინა. ფაღავამ დაბეჭდვისთანავე დამიბრუნა დედანი, ასლები კი მასთან დავტოვე, რადგან დრო არ მქონდა მაშინვე შემესწორებინა დაბეჭდილი. გარკვეული დროის შემდეგ ფაღავას ასლების მოტანა ვთხოვე - მგონი ორი ცალი იყო, - შევასწორე და დავუბრუნე. ფაღავას პოლიტიკური კავშირების შესახებ არაფერი ვიცი. დუშეთში ყოფნის დროს ფაღავა ხშირად ესაუბრებოდა ტელეფონით თბილისში მოდებაძეს. თბილისში დივიზიის შტაბში მოდებაძესთან ხშირად მოდიოდა ექიმი არდიშვილი. დივიზიის შტაბის მოსამსახურეთაგან აღნიევის მოხსენებასთან კავშირი ჰქონდათ ფაღავას, მოდებაძესა და მესხს. ზოგჯერ ნიჟარაძეს ვკარნახობდი მოხსენების ტექსტს.

როსტომ მუსხელოვი

დაკითხა **ზალპეტერმა**.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

როსტომ მუსხელოვის წერილი პეტრე სიმონის ძე აღნიაშვილს: [35]

3/IV-1923 წ.

ღრმად პატივცემულო პეტრე სიმონის ძევ!

ჩვენი წარსული ურთიერთობიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ასე მოგმართოთ. ღრმად მწამს, რომ ამ ყველაზე მძიმე წუთებში მხოლოდ თქვენ და კოლია ოკუჯავა არ შემაქცევთ ზურგს და მომცემთ უფლებას - ერთი საათით - პირადად მოგახსენოთ ჩემი გარემოებები, რათა თქვენ, ერთი მხრივ, როგორც განსაკუთრებული კომისიის თავმჯდომარემ, მეორე მხრივ კი, როგორც ჩემმა უშუალო ხელმძღვანელმა, შეძლოთ შექმნათ განსაზღვრული შეხედულება არსებულ ვითარებაზე, ცხადია, გამოძიებასთან მკაცრად შეთანხმებული ფორმით.


დღემდე ვერ გამირკვევია, რაში ვარ დამნაშავე და თუ მომისმენთ, დარწმუნდებით, რომ ნამდვილად, საფუძვლიანად ვერ ვხსნი ჩემს თავს დამტყდარ უბედურებას. თქვენთვისაც ხომ საინტერესოა, რაშია საქმე? ორნახევარი წლის უმწიკვლო სამსახური და უცბად, 3 მარტს გამომჟღავნებული სახელმწიფო ღალატი. აქ მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა იგი შიშველ ფაქტებს მიყვება, რომლებიც მართლაც დიდი დანაშაულის ელფერს კვეთს. თუმცა თუ სინამდვილეს მივუახლოვდებით, საპირისპირო შედეგი უნდა დადგეს. როდესაც გთხოვთ რომ მომისმინოთ, ამით თავს არ გახვევთ, გახდეთ ჩემი დამცველი, ამ აზრისგან შორს ვარ და მხოლოდ ის მსურს, რომ თქვენ, როგორც მოვლენათა მცოდნემ, საკუთარი ჩვენებებით ხელი შეუწყოთ ზოგიერთი საკითხის


34 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 131.
35 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 128-129.

გაშუქებას, რომლებიც, ვგრძნობ, გამომძიებელ პირთა ყურადღების მიღმა რჩება. მინდა ვთქვა, რომ თქვენ მიერ შევსებული ჩემი ისტორიული მასალა, რომლის გამხელაც მსურს, განაპირობებს ჩემი ქმედებების ფრთხილად შეფასებას, იქიდან გამომდინარე, რომ მე იატაკქვეშ მყოფ პირთათვის ვიყავი დიდი ადამიანი და (შემდეგ მოგახსენებთ, რატომაც) წვრილმანებით ვერ დავკავდებოდი (ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე მაბარლებენ ადგილებზე კავშირის უზრუნველყოფასაც, ადგილობრივი ძალების აღრიცხვასაც და სხვ., რისი განხორციელების დროც არ მქონდა). საგანგებო კომისიაში ბოლო შეხვედრის დროს მითხარით, რომ ადრე პატივს მცემდით და მაშასადამე, ჩემგან ბანდიტების გაცემას ელოდით, რაზეც ვერაფერი გიპასუხეთ.

ძვირფასო პეტრე სიმონის ძევ, მხოლოდ თქვენდამი და კოლია ოკუჯავასადმი უსაზღვრო პატივისცემითაც კი არ შემეძლო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლა და ახლაც, როდესაც მეუბნებიან, რომ დასაკარგი არაფერი მაქვს, სამარემდე ვილაპარაკებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ვალი მოვიხადე და სინდისი სუფთა მაქვს. ამით გულწრფელად ვამაყობ. მტკიცედ მწამს, რომ ჩემს თხოვნას უპასუხოდ არ დატოვებთ, გულითად სალამს გიძღვნით.

როსტომ მუსხელოვი.





შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 128-129.

როსტომ მუსხელოვის განცხადება 13/IV-1923 წ.: [36]

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის თავმჯდომარესა და გაერთიანებული წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს მოქალაქე შ. ზ. ელიავას

პატიმარ როსტომ ილიას ძე მუსხელოვის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„მტკიცედ მოეპყარით საბჭოთა ხელისუფლების მტრებს“ - იყო თქვენი სიტყვები, წარმოთქმული ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების წინაშე აღლუმზე, რომელიც საქართველოს გასაბჭოების ორი წლისთავს ეძღვნებოდა. იმ დღეს ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ოდესმე შევავსებდი საბჭოთა ხელისუფლების მტრების რიგებს და საკუთარ თავზე განვიცდიდი თქვენი სიტყვების სრულ მნიშვნელობას. ვბედავ მოგახსენოთ, რომ საქართველოს გასაბჭოების ამ ორი წლის განმავლობაში ვეწეოდი მძიმე, მეტად ძნელ სამუშაოს კომუნისტური საზოგადოების შენებისათვის. იდეურად ვეკიდებოდი დავალებულ სამუშაოს და ბედნიერი ვიყავი საუკეთესო კომუნისტი ამხანაგების ნდობა და პატივისცემა მომეპოვებინა. აღნიშნული ნდობა და პატივისცემა იყო არა ჩემ მიერ ჩატარებული ფოკუსების შედეგი, არამედ სამუშაოს ალალად შესრულებისა, რომელსაც ვეკიდებოდი არა როგორც თეთრგვარდიელი, ან ანტანტის ტიპის თანამებრძოლი, არამედ როგორც ჭეშმარიტი, იდეით შეპყრობილი წითელარმიელი, რასაც დაადასტურებს ყველა, ვინც მიცნობს. მიმდინარე წლის 3 მარტიდან ძიებაში ვარ მიცემული და ამ უკანასკნელებმა ზურგი მაქციეს, ხელმძღვანელობასაც კი არ აინტერესებს მისი ქვეშევრდომის ბედი. თავს იმით ვინუგეშებ, რომ თქვენ და მოქალაქე სერგო ორჯონიკიძე თვალს ადევნებთ ამ საქმის მიმდინარეობას, რადგან მასში ორი პასუხისმგებელი პირი მონაწილეობს - სტრიხარი და მე, რომელთა სამსახურის შესახებაც თქვენ საკმარისი ინფორმაცია გქონდათ, ამიტომ ყოველგვარი უკმაყოფილების გრძნობის გარეშე მივიღებ ყველაზე უკიდურეს და ჩემთვისა და ჩემი ოჯახისთვის სავალალო გადაწყვეტილებას, რომელსაც ამიერკავკასიის საგანგებო კომისია გამოიტანს. თავს იმითაც ვიმშვიდებ, რომ ამ კომისიის თავმჯდომარისა და წევრების სახით მე მყავს არა მხოლოდ ბრალმდებლები, არამედ დამცველებიც. დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიება გამოკვეთავს სრულ სურათს ჩემი მოქმედებების შესახებ, რაც შესაძლოა გარკვეულწილად ჩემი ხვედრის შემსუბუქების საფუძველი გახდეს. მაგრამ საკითხი ასე დგას. ჩემთვის არც ისე საშიშია საგანგებო კომისიის ყველაზე მკაცრი გადაწყვეტილება, საშიში ისაა, რომ აქ არ ჯერათ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რომ არ წავსულვარ. გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ჩემს დანაშაულს მხოლოდ იმაში ვაღიარებ, რომ მონაწილეობას ვიღებდი იატაკქვეშა ორგანიზაციების სამხედრო ცენტრების მუშაობაში და არა იმაში, რომ ვმონაწილეობდი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამუშაოში. პირიქით, მე სისტემატურად ვშლიდი მათ მოქმედებებს, თუმცა ამის დასაბუთება არ შემიძლია. კიდევ დრო მჭირდებოდა, რომ ისინი საკუთარი ფეხით გამეთელა და მხოლოდ მაშინ შევძლებდი ჩემი სიტყვების სიმართლის დამტკიცებას. ასე თუ ისე, ამხანაგო თავმჯდომარევ, დუშეთის მოვლენების დროს ის გავაკეთე, რაც არავის გაუკეთებია სამოქალაქო ომის შემოქმედთაგან. ჩემმა მონაწილეობამ დუშეთის ექსპედიციაში თავიდან აგვაცილა უფრო მძიმე შედეგები, რის შესახებ საუბარიც მხოლოდ ახლა შემიძლია. ჩემი სინდისი სუფთაა და ამაყი ვარ, რომ მონაწილეობა მივიღე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ სამოქალაქო ომში, რადგან ქვეყნის სიყვარულსა და გადარჩენას მხოლოდ

36 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 137-142.

საბჭოთა ხელისუფლებაში ვხედავ. მორალურად შერყეული ვარ, ამიტომ ვერ ვიძლევი ჩვენებებს, სულ მგონია, რომ გამოძიება ჯერ არ დაწყებულა და ერთგვარად მისი დაწყების მოლოდინში ვარ. უკვე ხუთი კვირა შესრულდა, რაც დატუსაღებული ვარ და ჩემი და ჩემი ოჯახის ბედი სრულიად გაურკვეველია.

გამოუვლად, მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფები, რადგან ვერ ვხსნი ჩემს ქმედებებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ღალატისგან შორსაა და მოგმართავთ თქვენ, მოქალაქე თავმჯდომარევ, უმორჩილესი თხოვნით, გადამარჩინეთ მე და ჩემი ოჯახი, თუ, ცხადია, ოდნავ მაინც გჯერათ ჩემი სიტყვების. მომეცით იმედი, რომ ვიმუშავებ, რათა გავანადგურო საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ მუსხელოვის განცხადება 14/IV-1923 წ.[37]

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსს

მოქალაქე აშუკინს

ვიმყოფები რა ბედის დარტყმის სიმძიმის ქვეშ, ვბედავ კიდევ ერთხელ თქვენს შეწუხებას და მოგმართავთ თხოვნით არა როგორც ბრალმდებელს, არამედ როგორც დამცველს. ვიღებ თქვენს შუამდგომლობას საგანგებო კომისიის თავმჯდომარისა და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრების წინაშე ამხანაგ სტრიხარისა და ჩემი ხვედრის შემსუბუქების შესახებ. სინდისის ქენჯნა მაიძულებს გთხოვოთ ამხანაგ სტრიხარის ნაცვლად, ხოლო ჩემთვის იმიტომ გთხოვთ, რომ ჩემ მიერ სამხედრო ცენტრში შესრულებული როლი მოღალატეობრივისგან შორს იყო. საბჭოთა საქართველოს ორი წლის თავზე, მოქალაქე ელიავამ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ჯარებისადმი წარმოთქმულ მიმართვაში აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მტრებისადმი მტკიცედ დგომის შესახებ. მაშინ ვერაფრით ვერ ვიფიქრებდი, რომ საკუთარ თავზე სრული ძალით ვიგრძნობდი ამ სიტყვებს. სამხედრო ცენტრში ჩემი მონაწილეობის მიუხედავად, რაც საქმისთვის აუცილებლად მიმაჩნდა, მძიმე ჯვარს ვატარებდი, როდესაც იდეურად მთელ სულს ვდებდი ჩემთვის დავალებული საქმის განსახორციელებლად, როგორც ჭეშმარიტი წითელარმიელი და არა როგორც თეთრგვარდიელი, ან ანტანტის ტიპის თანამებრძოლი, როგორიც ახლა აქ წარმოგიდგენივართ. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემი მუშაობით ვიმსახურებდი საუკეთესო კომუნისტი მეგობრების პატივისცემას, რომლებთანაც ვურთიერთობდი არა როგორც არამზადა, არამედ როგორც მათი ახლო მეგობარი, მათსავით მონაწილე კომუნისტური საზოგადოების შენებისა. თქვენი აზრით, მოქ. აშუკინ, თითქოს ჩემი სიტყვები არ ეთანხმება ჩემსავე ქმედებებს, მაგრამ თქვენ რომ ჩემი დაცვა გსურდეთ, გამოიკვლევდით სამხედრო ცენტრში ჩემი მონაწილეობის მიზეზებს. მოქალაქე აღნიევი და თქვენ იმას მსაყვედურობთ, რომ თავის დროზე, დუშეთში არ გავეცი ზანდუკელი. შემეძლო კი მისი გაცემა? რა მოყვებოდა ამას? თითოეულ წვრილმანს ვითვალისწინებდი, ამიტომაც სიამაყით ვაცხადებ, რომ ჩემი მოქმედებებით უდანაშაულო ვარ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. დარწმუნებული ვარ, თქვენ არ გესმით ჩემს ქმედებათა მნიშვნელობა და სწორედ ეს მღუპავს. ამის გამო მორალურად შერყეული ვარ, რადგან

37 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 135-136.

დავკარგე რწმენა, რომ გამოძიება შეძლებს ჩემი მოქმედებების სრული სურათის გადმოცემას, რაც ჩემი ხვედრის შემსუბუქების მიზეზი გახდებოდა. მაგრამ მტკიცედ ვდგავარ და იმედს ვიტოვებ, რომ გამომიძახებთ და ნებას დამრთავთ თავის გასამართლებლად რამდენიმე სიტყვა ვთქვა, რითაც გამიჩნდება იმედი, რომ მთავრობა ბედნიერებას მიანიჭებს ჩემს ოჯახს და მეც; მომცემს საშუალებას, ვიმუშაო საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ, რათა ჩემს მეგობრებთან ერთად ვიზეიმო მშრომელი ხალხის ბედნიერება. მოგიწოდებთ, მოქ. აშუკინ, უყურადღებოდ არ დატოვოთ ჩემი თხოვნა, ირწმუნოთ ჩემი გულახდილობა, რომ საბჭოთა საქართველოს მტრების განადგურების სურვილით ვიწვი.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 18/IV-1923 წ.: [38]

თქვენი 17 აპრილის შეკითხვაზე აღნიაშვილის დოკუმენტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ აღნიაშვილის მიერ შედგენილი მასალა, რომელიც ჩემს მოხსენებაში უნდა გამომეყენებინა, აღნიაშვილმა კი არა, მისმა ძმამ - ლევან სიმონის ძემ გადმომცა, მაგრამ არ მახსოვს, რა ვითარებაში, თუმცა ეს არც აღნიაშვილის ბინაში და არც დივიზიის შტაბში არ მომხდარა. ლევან აღნიაშვილის გაფრთხილების საფუძველზე და იმიტომაც, რომ თავად მინდოდა აღნიევისთვის მასალის დაბრუნება, ფაღავას ვთხოვე, სწრაფად დაებეჭდა დოკუმენტი. ზუსტად მახსოვს, რომ ეს ფრეილინის ქუჩაზე ხდებოდა. მალე დივიზიის შტაბი ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობაში გადავიდა, ამასთან დაკავშირებით ბევრი საქმე გამიჩნდა და მოხსენება აღარ გამხსენებია.

როგორც მახსოვს, ბოლოს თავად ფაღავამ შემახსენა მოხსენების შესახებ და შეთანხმებისამებრ, ორი ასლი მომიტანა: ერთი - საქმისთვის, მეორე კი - მოხსენებაში ჩასადებად. რადგან აღნიევის მიერ გადმოცემული მასალის თანმიმდევრობა არ შეესაბამებოდა ჩემი მოხსენების შინაარსს, ერთი ასლი მელნით გადავაკეთე, მეორე კი, როგორც უსარგებლო, უკან დავუბრუნე, აღნიევის ხელნაწერი პირი კი დავიტოვე ამ უკანასკნელისთვის დასაბრუნებლად. სად დავდე ეს მასალა, არ მახსოვს. ჩხრეკის დროს ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში აღმოჩნდა. სამუშაო ბევრი მქონდა და მასალა თვალში რომ მომხვედროდა, შევეცდებოდი აღნიევისთვის გადამეცა, მაგრამ არ მომხვედრია და ერთ კვირა დღეს, როდესაც ფაღავას კაბინეტში ვიჯექი, აღნიევმა დამირეკა და მთხოვა გამეგზავნა მისთვის ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის ოლქების რუკა, მასთან ერთად კიდევ რაღაც და მითხრა, რომ 10 რიცხვისთვის მოსკოვში გამგზავრებას გეგმავდა. როდესაც ფაღავასთან ერთად მოხსენებას ვამზადებდი, რომელიც სწრაფად უნდა მიმეცა აღნიევისთვის გადასახედად, ამ უკანასკნელს მოთხოვნილი ნივთები გავუგზავნე, მასალის გაგზავნა კი დამავიწყდა. გარკვეული დროის შემდეგ გამახსენდა და გადავწყვიტე, დამებრუნებინა, როდესაც გადასახედად ჩემს მოხსენებას ვაჩვენებდი. მახსოვს, როცა შტაბში ეს მასალა მივიტანე, მას ხმამაღლა ვკითხულობდი ნარიკელაძის თანდასწრებით, შემდეგ კი დასაბეჭდად გადავეცი ფაღავას. დაბეჭდვის შემდეგ, აღნიევის ხელნაწერი რომ მივიღე, ის უკვე არავისთვის გადამიცია და არც ჩემს მაგიდაზე მომხვედრია თვალში. როდესაც ნარიკელაძის გვარს ვახსენებ, ზუსტად არ მახსოვს, ასე იყო თუ არა, მაგრამ მგონი, ის უნდა ყოფილიყო.

როსტომ მუსხელოვი.

ასლი დედანთან სწორია.

38 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 151.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 25/IV-1923 წ.: [39]

ვ. წულუკიძე მენშევიკებთან 1921 წლიდან, სამხედრო ორგანიზაციის ხაზით მუშაობს. სამხედრო ცენტრი ფუნქციონირებს 1922 წლის ივნის-ივლისიდან. მისი პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: ანდრონიკოვი, წულუკიძე, ხიმშიევი, იოსებ გედევანოვი და მე. 1922 წლის ოქტომბერში გავიგე, რომ სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში ცვლილება იყო - გავიდა ხიმშიევი - კვლავ შევიდა კონსტანტინე აფხაზი.

სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში ჩემი კანდიდატურა ეროვნულ-დემოკრატების მიერ იყო წამოყენებული, რადგან მენშევიკებს მოგვიანებით დავუახლოვდი, თუმცა 1922 წლის ივნისის შეხვედრაზე გიორგი ხიმშიევი საუბრობდა, რომ ჩემი კანდიდატურა მენშევიკების მიერ იყო წამოყენებული.

მაზნიევის კანდიდატურა სამხედრო ცენტრში წამოაყენეს /როგორც იმ სხდომაზე გ. ფაღავა ამბობდა/ ეროვნულ-დემოკრატებმა, თუმცა მისი საკითხი ციხიდან გათავისუფლებამდე გადაიდო.

1922 წლის აგვისტოში დავით ვაჩნაძისგან შევიტყვე, რომ ის უგზავნიდა განკარგულებას ჩოლოყაევს 27 სექტემბერს გამოსვლის თაობაზე და ამის შესახებ ვუამბე იოსებ ცინცაძეს, რომელსაც აღნიშნულის პარიტეტულ კომიტეტში გაპროტესტება ვთხოვე. ცინცაძეს ვთხოვე არ დაესახელებინა ჩემი გვარი, რათა არ გამერთულებინა ურთიერთობა ეროვნულ-დემოკრატებთან, მაგრამ მან მაინც მთხოვა ჩემი გვარის დასახელების უფლება, რაზეც დავთანხმდი. ვიცი, რომ ეს საკითხი პარიტეტულ კომიტეტში დაისვა. ეროვნულ-დემოკრატებთან შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი. თუ რა გადაწყვეტილება მიიღო პარიტეტულმა კომიტეტმა აღნიშნულთან დაკავშირებით, არ ვიცი. შეიძლება დავუშვა, რომ დავით ვაჩნაძემ დამასახელა მეტსახელით „Myxa“ ისე, რომ წინასწარ ამის შესახებ არ გამაფრთხილა.

1921 წელს ხიმშიევი მენშევიკებთან მუშაობდა, დ. ვაჩნაძე მას მენშევიკების ჯაშუშს უწოდებდა და მისგან თავის შორს დაჭერას მთხოვდა.

დაკითხა **აშუკინმა**.

ასლი დედანთან სწორია.

39 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 158.

158

П О К А З А Н И Я

МУСХЕЛОВА [illegible] ИЛЬИЧА ОТ 25 АПРЕЛЯ 1923 года.

В.ГУЛУКИДЗЕ работает с меньшевиками с 1921 г. по линии военной организации. Военный центр существует с июня-июля 1922 г. - первоначальный его состав: АНДРОНИКОВ, ГУЛУКИДЗЕ, ХИМШИАШВИЛИ, ГЕДЕВАНОВ Иосиф и я. В октябре 1922 г. я узнал, что в личном составе военного центра произошли изменения - выбыл ХИМШИАШВИЛИ - вновь включен АБХАЗИ Константин. Моя кандидатура в состав военного центра была выдвинута национал-демократами поскольку с меньшевиками я сошелся позже. Хотя Георгий ХИМШИАШВИЛИ и говорил на заседании в июня 1922 г., что моя кандидатура выдвинута меньшевиками. Кандидатура МАЗНИЕВА выставлялась [как говорил на этом заседании Г.ПАРАВА] в Военный центр национал-демократами, но вопрос о нем был отложен до его выхода из тюрьмы. В августе м-це 1922 г. узнав от Давида ВАЧНАДЗЕ, что он отдает распоряжение ЧХЕИДЗЕ выступить 27 сентября - я поставил в известность об этом Иосифа ЦИНЦАДЗЕ, которого я просил протестовать против этого в Паритетном Комитете. Я просил ЦИНЦАДЗЕ не называть мою фамилию, чтобы не обострять отношений с национал-демократами, но ЦИНЦАДЗЕ все-же просил разрешения назвать мою фамилию, на что я согласился. Я знаю, что вопрос этот в Паритетном Комитете был поставлен. Была ругань с национал-демократами. Какие решения были приняты по этому поводу Паритетным Комитетом мне не известно. Я допускаю, что Давид ВАЧНАДЗЕ мог прошить мне псевдоним "муха" не предупредив меня об этом. ХИМШИАШВИЛИ в 1921 г. работал у меньшевиков - Д.ВАЧНАДЗЕ называл его меньшевитским шпионом и предлагал беречься его.

Протокол допроса записан с моих слов - протокол правилен, что и удостоверяю г.МУСХЕЛОВ.

ДОПРОСИЛ НАЧ КРО АШУКИН.

Верно:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 158.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 26/IV-1923 წ.: [40]

დღეს საღამოს შეცდომით ვაჩვენე ხიმშიევის შესახებ, თითქოსდა ის, ვაჩნაძის გადმოცემით, მენშევიკებთან მუშაობს და მათ ჯაშუშად ითვლება და რომ აუცილებელია მისგან თავის შორს დაჭერა. დავით ვაჩნაძის ეს სიტყვები ხიშიევს კი არა, ნარიკელაძეს ეხება.

ხიმშიევის მუშაობა ჩემთვის ცნობილი გახდა ნარიკელაძესთან ჩატარებული შეხვედრის დროს. ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

რ. მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 29/IV-1923 წ.: [41]

როგორც წინა ჩვენებებში მოგახსენეთ, მაზნიევის როლი ჩემთვის მეტად ბუნდოვანია. მიუხედავად ამისა, გაცნობებთ, რომ 1921 წლის სექტემბრამდე იგი ეროვნულ-დემოკრატების ბანაკში მთავარი სამხედრო ფიგურა იყო. ეს დავასკვენი, ჯერ ერთი იმის მიხედვით, რომ 1921 წლის აგვისტოში, ანუ უშუალოდ დაპატიმრებამდე, მაზნიევი საუბრობდა არალეგალური ორგანიზაციის არსებობის შესახებ, რომელშიც თავად შედიოდა და მე შევყავდი შტაბის მეთაურად - დაწვრილებით სხვა არაფერი უთქვამს. ასევე, როდესაც მაზნიევი დააპატიმრეს, დაახლოებით1921 წლის აგვისტოს მიწურული იქნებოდა, პირველად მიმიწვია დავით ვაჩნაძემ, რომლისგანაც შევიტყვე, რომ მაზნიევი მათი სამხედრო ორგანიზაციის წევრი იყო და რადგან ის პატიმრობაში იმყოფებოდა, როგორც შტაბის უფროსი, მისი მოადგილე მე ვიყავი. დავით ვაჩნაძემ მაშინვე დაახასიათა მაზნიევი, როგორც უდავოდ პოპულარული ფიგურა მთელ ქართველ ერში და სწორედ ამით იყო განპირობებული მისი, როგორც სამხედრო ხელმძღვანელის ღირებულება. დავით ვაჩნაძის საუბრიდან დავასკვენი, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტად აქტიურად იყო განწყობილი და რადგან ეს უკანასკნელი არ ეთანხმებოდა ჩემს შეხედულებებს, თავად ვურჩიე ანდრონიკოვის მიწვევა, რითაც თავიდან ავიცილე ვაჩნაძის მიერ შემოთავაზებული სამუშაო. ჩემი არჩევანი სწორედ ანდრონიკოვზე შეჩერდა, რადგან ვიცოდი მისი ხასიათი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ის შეძლებდა ეროვნულ-დემოკრატების მართვას და საკუთარი ავტორიტეტით მათ აქტიური ქმედებების განხორციელების უფლებას არ მისცემდა.

დუშეთის ექსპედიციის შემდეგ, არ მახსოვს რომელი თვე იყო, მაზნიევი ციხიდან გაათავისუფლეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ დაპატიმრების შემდეგ ის იატაკქვეშა სამუშაოზე აღარ იფიქრებდა, მაგრამ ერთხელ შეხვედრისას მირჩია, არ დამემყარებინა კავშირი ვარდენ წულუკიძესთან. აქედან დავასკვენი, რომ მაზნიევს კვლავ გაება კავშირი ეროვნულ-დემოკრატებთან და რადგან არ მსურდა სამხედრო ცენტრში მისი კანდიდატურის შესახებ საუბარი, არ გავაფრთხილე სამხედრო ცენტრის წევრები და მაზნიევს განვუცხადე, რომ სამხედრო ცენტრის საპატიო თავმჯდომარეა.

ეს იმიტომ ჩავიდინე, რომ მაზნიევისა და აქტიური ნაციონალისტების ფსიქოლოგიაზე მემოქმედა და დიპლომატიურად ჩამომეშორებინა მაზნიევი ყოველგვარი სამუშაოსგან, რადგან მეგონა, რომ ამ პირობებში აღარ იქნებოდა საუბარი აქტიური მოქმედებების განხორციელების შესახებ.

როგორც ჩანს, ჩემმა განცხადებამ მაზნიევზე იმოქმედა და ის ღამის მეორე დღესვე გაემგზავრა

40 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 152-153.
41 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 154.

სოფელში.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 2/V-1923 წ.: [42]

1) დავით ვაჩნაძემ ბოლო შეხვედრის დროს მთხოვა, რამე მომემოქმედებინა, რათა შეეწყვიტათ ჩოლოყაევის დევნა. ვუპასუხე, ნაციონალისტებს ჩვენი სამუშაოს დასაწყისში ფული რომ მოეცათ, შესაძლებელი იქნებოდა შტაბის არმიის გარკვეულ წევრებზე ზემოქმედება-მეთქი, რაზეც დ. ვაჩნაძემ მითხრა, რომ ნაციონალისტების მთელი ფული ჩოლოყაევთან არისო. ვაჩნაძესთან მოკლე საუბარი მქონდა, დამშვიდობებისას მითხრა, რომ მართალია, ჩოლოყაევის გამოსვლა უშედეგო აღმოჩნდა, მაგრამ დიდი ხმაური გამოიწვიაო. მე კი მივუგე - ლოზანის კონფერენციის „ხმაური“ გადაფარავს ჩოლოყაევის მიერ გამოწვეულ „ხმაურს“ და ამის შედეგად საქართველოს (კახეთის) მთელი გლეხობა ახლა ჩოლოყაევის წინააღმდეგაა შეიარაღებული-მეთქი. ცხადად მახსოვს, დ. ვაჩნაძემ მიპასუხა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებაო. მეტი საუბარი არ გვქონია.

2) ანდრონიკოვი მე დავპატიჟე ვაჩნაძესთან, რადგან ვაჩნაძის წინადადების მიღება არ შემეძლო და გარდა ამისა, მიმაჩნდა, რომ გულგრილი და წინდახედული ანდრონიკოვი, [...] შეძლებდა ვაჩნაძის აქტივობის განეიტრალებას.

3) ჩემს წარმოდგენაში, მენშევიკების სამხედრო ორგანიზაცია 1921 წლის დასაწყისიდან, ანუ საქართველოს გასაბჭოებიდან ფუნქციონირებდა. ამის შესახებ ვაჩნაძესთან თავდაპირველი შეხვედრების დროს შევიტყვე და სწორედ ამით აიხსნება წულუკიძის სურვილი ჩვენი გაერთიანების შესახებ, რომელიც მან ნაციონალისტების მხრიდან ორგანიზაციის საკითხებზე სამსჯელოდ მიწვევისას გამოთქვა.

4) ამერიკული კომიტეტის მატარებელში მომხდარი ძარცვის დროს (შელკოვნიკოვის) ნარიკელაძე მეუბნებოდა, რომ ეს მისთვის ცნობილმა ერთ-ერთმა ბანდამ ჩაიდინა. ისიც კი მახსოვს, ნარიკელაძე რომ მთავაზობდა ამ თავდასხმის დეტალებს უახლოეს დღეებში თავად მონაწილეებისგან გავიგებო. მისივე სიტყვებით, ძარცვა პარტიის საჭიროებებისთვის მოხდა, თუმცა პარტია მას არ დაუსახელებია.

5) გარკვევით ვაცხადებ, რომ არმიის შტაბის არც ერთი თანამშრომელი არ გამომიყენებია.

6) ვაჩნაძის წერილების შესახებ არაფერი ვიცოდი. შესაძლოა, ვაჩნაძემ ჩემი გაფრთხილების გარეშე მომანიჭა მეტსახელი „Myxa“. ეს რომ დაპატიმრებამდე მცოდნოდა, პასუხს მოვთხოვდი. ვფიქრობ, როდესაც მან გამოსვლა დაგეგმა, გადაწყვეტილი ჰქონდა, სამხედრო ცენტრი ფაქტის წინაშე დაეყენებინა. დამშვიდობებისას დავით ვაჩნაძემ მითხრა, რომ გეგმის შემუშავება სხვას სთხოვა, რაზეც ვუთხარი, რომ საქმის კურსში ჩავეყენებინე. არ მეგონა, ვაჩნაძის გეგმა თუ განხორციელდებოდა. შემდეგ კი, როდესაც ი. ცინცაძემ მომხდარის შესახებ შემატყობინა, რეაგირების მოხდენა გადავწყვიტე, ამასთან, გამოვრიცხავდი რაიმე გართულების შესაძლებლობას.

მე-5 პუნქტს დავუმატებდი იმას, რომ სტრიხარისა და იაკოვლევის გვარები მხოლოდ იმიტომ გამოვიყენე, რომ არმიის შტაბის ავტორიტეტზე დაყრდნობით, იატაკქვეშა ორგანიზაციაზე ზეგავლენა შემენარჩუნებინა.

ამის საწინდარი ჩემი სინდისი, ჩემი ცხოვრება და ჩემი ოჯახია. ვცდილობ დაგარწმუნოთ, რომ ჩემი როლი შორს იყო მოღალატეობისგან. არ დავმალავ და გეტყვით, რომ ყველა იატაკქვეშა ორგანიზაციაზე ზეგავლენას შეუპოვარი შრომით მივაღწიე და რამდენადაც შესაძლებელი იყო, შედეგიც მივიღე (ვფიქრობ, ჩოლოყაევის ნაადრევი გამოსვლა ნაციონალისტების თანხმობის

42 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 159-161.

გარეშე მოხდა), ქართულ დივიზიაში ჩემი ავტორიტეტი არ შებღალულა, ქართული საზოგადოება მიცნობდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტერი რომ ვყოფილიყავი, რაღაცას აუცილებლად ჩავიდენდი, მე კი არაფერი ჩამიდენია, პირიქით, სასურველი შედეგისთვის ვიბრძოდი, რადგან მესმოდა საერთაშორისო ვითარება, მესმოდა და ნათლად მქონდა წარმოდგენილი ამ გამოსვლის არა მხოლოდ შედეგები, არამედ გამოსვლები რესპუბლიკისა და მთელი ამიერკავკასიის მასშტაბითაც.

7) ცხადია, ვერაფრით დავადასტურებ, რომ უდანაშაულო ვარ და არავისთვის არავითარი დოკუმენტი არ გადამიცია. ამის საწინდარი კვლავ ჩემი ცხოვრება, სინდისი და ოჯახი იქნება. რაც შეეხება ცინცაძესთან ნაპოვნ დოკუმენტს, მე შევძლებდი დამნაშავის პოვნას, ცინცაძეს თუ შევხვდებოდი. ერთი რამ უდავოა - ის ჩემი შტაბიდანაა გასული, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, რომ ი. ცინცაძეს 2 თუ 3 ოქტომბერს შევხვდი, აღნიაშვილის დოკუმენტი კი ჩემთან დეკემბრის დასაწყისში მოხვდა.

8) მაზნიევზე ვერაფერს ვიტყვი. იქნებ, გამახსენდეს რამე.

9) მენშევიკების კავშირის შესახებ ფავლენოვის ბანდასთან მხოლოდ ზანდუკელისგან ვიცი.

10) არ ვიცი, რაზე ვსაუბრობდი ანდრონიკოვისა და წულუკიძის თანდასწრებით, ზოგადად ამ შეხვედრას ბუნდოვნად ვიხსენებ. მახსოვს, რომ ვარდენ წულუკიძესთან ერთად, ავადმყოფი ანდრონიკოვის ბინაში გავეშურე, სადაც ვსაუბრობდით, როგორ გვემოქმედა ვაჩნაძეზე გაერთიანების საკითხში და როგორ დაგვერწმუნებინა ის, რომ ნაციონალისტების განკარგულებაში რეალური ძალა არ იყო და რომ ისინი მხოლოდ ჩოლოყაევს ეყრდნობოდნენ.

11) დავით ვაჩნაძემ მკითხა, ხომ არ შევთავაზებდი კოლია გედევანოვს [...], შემდეგ კი დასძინა, მართალია, გედევანოვმა და ზაქარიაძემ საქართველო დაღუპეს, ისინი სახალხო სასამართლოს წინაშე აგებენ პასუხსო. ამის შესახებ ნიკოლოზ გედევანოვთან არ მისაუბრია.

როსტომ მუსხელოვი.

2/V-1923 წ.
ასლი დედანთან სწორია.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 3/V-1923 წ.: [43]

ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის შესახებ გაცნობებთ, რომ აქ, ცენტრში /ტიფლისში/ პარტიის სამხედრო საკითხებს განაგებდა დ. ვაჩნაძე და როგორც თავად აცხადებდა, მაზნიევის, მუსხელოვისა და ანდრონიკოვის სამუშაოდ მიწვევას გეგმავდა. ყველა სხვა ძალა კახეთში იყო თავმოყრილი, როგორც მახსოვს, ქართული არმიის ნაწილებში. საჭიროდ ვთვლი დავაზუსტო, რომ ჯერ კიდევ ეროვნულ-დემოკრატ ვაჩნაძესთან პირველი შეხვედრის დროს, მან მთხოვა ჩოლოყაევისთვის გამეფორმებინა მივლინება დეზერტირების დასაჭერად პროვინციაში / მაშინ ჩოლოყაევი მსახურობდა ქართული კავალერიის პოლკში, რომელსაც იროდიონ წულუკიძე მეთაურობდა/. ამ პერიოდში ჩოლოყაევი შეძლებდა მოსახლეობისა და იარაღის რაოდენობის აღწერას ადგილებზე. ეს მივლინება არ შედგა და ჩოლოყაევმა მალე თავი დაანება სამსახურს. დავით ვაჩნაძის შემდგომი საუბრიდან იკვეთებოდა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დიდ იმედს ამყარებდა ჩოლოყაევზე, და უფლებამოსილებას ანიჭებდა მას, ეწარმოებინა მოსამზადებელი სამუშაოები მთელ კახეთში, მათ შორის, თიანეთისა და დუშეთის მაზრებში, სადაც, როგორც ვაჩნაძე ამბობდა,

43 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 165-166.

ქაქუცა ჩოლოყაევს ყველა იცნობდა. ვაჩნაძესთან შეხვედრებით დგინდება, რომ მოსამზადებელი საკითხების ორგანიზაციით სწორედ ვაჩნაძე იყო დაკავებული, მე კი მხოლოდ ოპერატიული გეგმის შესადგენად ვესაჭიროებოდი. სხვათა შორის, მან დამავალა გადამეცა თუხარელისთვის ბათუმში ხელისუფლების ხელში ჩაგდების ორგანიზების შესახებ.

ამგვარად, წინასწარი საორგანიზაციო სამუშაოები ეროვნულ-დემოკრატებმა მხოლოდ კახეთში ჩაატარეს, ხოლო თუკი მსგავსი რამ საქართველოს სხვა რაიონებში წარმოებდა, ამასთან ვაჩნაძეს კავშირი არ ჰქონდა, თუმცა ამ კავშირის აუცილებლობაზე საუბრობდა. იგი თავს იმით იმშვიდებდა, რომ ქუთაისისა და სვანეთის რეგიონებში სანდო პირი - ნესტორ გარდაფხაძე ჰყავდა, რომელიც ადგილზე შესაბამის სამუშაოებს აწარმოებდა. იყო თუ არა ის დაკავშირებული ნ. გარდაფხაძესთან, არ ვიცი. როდესაც დავით ვაჩნაძე ჩოლოყაევისთვის ჩაბარებული რაიონის შესახებ საუბრობდა, როგორც დაშორებულ რაიონს, იგი მცხეთას გამოყოფდა და გეგმავდა რომელიმე ეროვნულ-დემოკრატთან მოლაპარაკებას, რათა მას, საჭიროების შემთხვევაში, 200-300 მხედრის მობილიზაცია შეძლებოდა. ამ რაიონისგან ვაჩნაძეს დიდი მოლოდინი არ ჰქონდა, არც აღნიშნული ციფრის იმედი გააჩნდა.

ამგვარად, მხოლოდ ახლა შემიძლია წარმოვიდგინო ორგანიზაციის სქემა, რომელსაც გთხოვთ, ნუ განიხილავთ როგორც დოკუმენტურს, შეხედეთ მხოლოდ როგორც ჩემს წინადადებას, რადგან ამ სქემის შესახებ ჩემსა და ვაჩნაძეს შორის საუბარი არ ყოფილა.

ტიფლისში - ანდრონიკოვი, ვაჩნაძე და მე.

კახეთში - ჩოლოყაევი.

მცხეთის რაიონში - ერთ-ერთი ეროვნულ-დემოკრატი /გვარი არ მახსოვს/.

ქუთაისში - ნ. გარდაფხაძე.

ბათუმში - თუხარელი.

თბილისში მთელ სამუშაოს დ. ვაჩნაძე აწარმოებდა, პარტიის ცეკაში მოხსენებებს აკეთებდა და ამ უკანასკნელის დირექტივებს ადგილებზე აგზავნიდა. ამ სამუშაოს დ. ვაჩნაძე არც მე და არც ანდრონიკოვს არ გვავალებდა. ყველაზე დიდ ყურადღებას ის კახეთის რაიონს უთმობდა, ხოლო გაგზავნა თუ არა დირექტივები ქუთაისისა და ბათუმის რაიონებში, არ ვიცი.

რ. მუსხელოვი.

P.S. ნესტორ გარდაფხაძე არის ქართული პოლკის ყოფილი კომენდანტი, შემდგომში ქუთაისის სამხედრო ხელმძღვანელი. სად იმყოფება ამჟამად, არ ვიცი.

ასლი დედანთან სწორია.

როსტომ მუსხელოვის განცხადება 6/V-1923 წ.: [44]

მოქალაქე აშუკინს

საკუთარ თავს უფლებას ვაძლევ, კიდევ ერთხელ შეგაწუხოთ, ერთი შეხედვით უსარგებლო მასალის მოსაწოდებლად, რომელიც, ჩემი აზრით, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს გამომძიებისთვის.

1) რათა ჩემი მხრიდან საქმეში შეტანილი არ იქნას რაიმე სახის გაუგებრობა, გთხოვთ,

44 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 169-171.

აგენტურული გზით გამოიკვლიოთ საქმისადმი ნ. გარდაფხაძის დაკავშირებულობა, რადგან მე ვერაფერს ვიტყვი ამ საკითხზე, რამეთუ მისი კავშირი ორგანიზაციასთან ბუნდოვნად წარმომიდგენია.

2) ჩოლოყაევის სოფლებში მივლინების შესახებ კარგად მახსოვს, რომ დ. ვაჩნაძეს სურდა ფრიდონ წულუკიძესთან ესაუბრა, რაც განაპირობა ჩემმა ფრაზამ ამ თემაზე, რომელიც დავით ვაჩნაძეს ვუთხარი: „აი, ნახავთ, თუ ფრიდონი საქმის ნამდვილ ვითარებას შეიტყობს, არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე და არც ჩოლოყაევს“-მეთქი. მაშინ ასე წარმომედგინა, რომ ფრიდონ წულუკიძე საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციებს იზიარებდა.

3) მოქ. ზალპეტერი მეორედ მეკითხება, ჩემი „სამუშაოს“ შესახებ ფაღავასა და მოდებაძისთვის ხომ არაფერი გამიმხელია. ცხადია, არაფერი მითქვამს, რადგან არავითარი სამუშაო არ მიწარმოებია. ჩემი უახლოესი გარემოცვიდან არათუ ვერავინ წარმოიდგენდა ჩემი სამუშაოს შესახებ, არამედ ყველა დარწმუნებული იყო საბჭოთა საქმისადმი ჩემს ერთგულებაში, რადგან მე ყოველთვის ვავითარებდი და ვამტკიცებდი მათში მოვალეობის შეგრძნებას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე, რასაც ვახორციელებდი არა ჩემი კომისრების თანდასწრებით /როგორც თქვენ შეიძლება იფიქროთ/, არამედ მათი არყოფნის დროს.

4) ჩემ მიერ „იატაკქვეშა სამუშაო“, ფაქტობრივად, არ წარმოებულა. თავს მხოლოდ იატაკქვეშა ორგანოების მუშაობის მოწმე შემიძლია ვუწოდო. შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის ვცდილობდი მათი მოქმედებების შეზღუდვას. საერთო ჯამში, მეტად მცირერიცხოვანი შეხვედრები მქონდა, მოკლე საუბრები და სხვა არაფერი. ხომ არ შემეძლო იდეურად მემსახურა საბჭოთა ხელისუფლებისთვის (რაც ადვილი შესამოწმებელია) და ამავე დროს მეწარმოებინა იატაკქვეშა მუშაობაც. ჩემი მეორე ვრცელი ჩვენების საერთო ტონი, რომელიც პირველის ანულირებას ახდენს, ამხ. მოგილევსკის ზეგავლენით ჩამოყალიბდა. მან მითხრა, მაინც ყველაფერი დაკარგული გაქვსო და შემომთავაზა, ნამდვილ მტრად გამოვჩენილიყავი, რადგან თუ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულად დავრჩებოდი, ამით მხოლოდ საქმეს გავიფუჭებდი და არც არავინ დამიჯერებდა. ამ ჩვენებების მოცემით მაინც იმედი მქონდა, რომ გამოძიება აუცილებლად დაადგენდა ჩემს მუშაობას საბჭოთა ხელისუფლებისთვის და რომ იატაკქვეშა ორგანიზაციებში მუშაობის დროს არ შემეძლო დამერღვია სინდისის წინაშე დადებული ფიცი. ცხადია, აქამდე არ ვიცი, იციან თუ არა საგამოძიებო ორგანოებმა ჩემი მოქმედების ხასიათი, მაგრამ ჩემი მეორე ჩვენების ასახსნელად უნდა დავძინო, რომ ვიყავი ისეთ პირობებში /საქართველოს გასაბჭოების დასაწყისში/, ხასიათი მეტად დათრგუნული მქონდა. მიუხედავად ამისა, თავი მთლიანად სამსახურს მივუძღვენი და ძალიან ბევრს ვმუშაობდი. ჩემი დათრგუნული ხასიათი მხოლოდ იმის საშუალებას მაძლევდა, რომ დავით ვაჩნაძისთვის მომესმინა და თან, არ გამეცა, რადგან როგორც ის აღნიშნავდა, ყველა, ვინც არ ისურვებდა მონაწილეობას, „სამშობლოს მოღალატედ“ გამოცხადდებოდა. დროის გასვლასთან ერთად, როდესაც კომუნისტების კეთილგანწყობა ვიგრძენი, რომ ქართველი ერის ფიზიკური არსებობა მხოლოდ საბჭოთა წყობის ხელში იყო შესაძლებელი. ისინი იმიტომ არ გავეცი, რომ მეუხერხულებოდა და ამასთან, არ მჯეროდა მათი გეგმების განხორციელების და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ლაქლაქით დასრულდებოდა. მართლაც, იატაკქვეშა ორგანიზაციების მთელმა საქმიანობამ ჩემი მონაწილეობის გარეშე ჩაიარა და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მათ შეიძლება ღირებული სამუშაოები ჩაეტარებინათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ ველოდი ჩემს დაპატიმრებას. მართალია, თავად არაფერი ჩამიდენია, მაგრამ ჩემს ახლობელ კომუნისტებს რომ ეკითხათ, აუცილებლად ვუპასუხებდი, რადგან თავს უდანაშაულოდ ვთვლი. თქვენ ამბობთ, რომ ჩემი გვარი დუშეთის მოვლენების დროს ამოტივტივდა. მაშინვე შეგეძლოთ ჩემგან გაგეგოთ ყველაფერი. ახლა ვხვდები, რატომ მომესალმა გულცივად მოქ. სერგო ორჯონიკიძე ქუჩაში შეხვედრისას, დუშეთის ექსპედიციის შემდეგ. მაშინ ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე, რადგან დუშეთში გამგზავრებამდე ჩემდამი გაცილებით

თბილი დამოკიდებულება ჰქონდა. რომ მცოდნოდა, რაში იყო საქმე, განა არ მივიდოდი მასთან და არ მოვუყვებოდი მომხდარის შესახებ. მას პატივს სცემს ყველა, ვისაც მისი ესმის. მისი მეც მშვენივრად მესმის. მის ყველა სურვილს გაფიქრების გარეშე შევასრულებდი არა იმიტომ, რომ ამ ძლიერი ადამიანის მიმართ შიშს განვიცდიდი, არამედ იმიტომ, რომ ღრმა პატივს ვცემ, როგორც იდეის მატარებელს. დუშეთის მოვლენებამდე ორჯონიკიძეს ახლოს არ შევხვედრივარ, მისდამი პატივისცემა შთამინერგეს ჩემ ირგვლივ მყოფმა კომუნისტებმა და არმიის შტაბმა, ხოლო ოპერაციის დროს მასთან შეხვედრამ კი საბოლოოდ განმიმტკიცა ეს პატივისცემა. შემეძლო კი მე, რომელიც პატივს სცემდა ასეთ პიროვნებას, ჩამედინა რაიმე სისაძაგლე, მით უფრო, ინტრიგა. მეუბნებიან, თითქოს ცინცაძეს გადავცემდი ორჯონიკიძის მიერ რეკომენდებული დახვრეტების მიერ ცნობებს. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მსგავსი არაფერი მომხდარა და დავძენ, რომ თავად ვიყავი ფრონტზე დახვრეტების მომხრე, რადგან მესმოდა, რომ 3-4 ადამიანის დახვრეტა გადაარჩენდა დახვრეტისგან 100 და მეტ ადამიანსაც კი. ამ აზრს ვავითარებდი როგორც ლექვთაძის, ისე სხვა უპარტიოთა შორისაც.

ახლა მშვენივრად მესმის, რატომ მაქებდა ჩემ მიერ გაცემული სამხედრო განკარგულებებისთვის კოლია ოკუჯავა. თუ მის წინაშეც ამოტივტივდებოდა ჩემი გვარი, ცხადია, ისიც შორს იქნებოდა იმ აზრისგან, რომ მე გულით მსურდა საბჭოთა ხელისუფლების მტერთა სიკვდილი, ესეც იმიტომ, რომ იგი არ ყოფილა ფრონტზე ჩემი მუშაობის მოწმე. ვერ ვხვდებოდი, რატომ მიწოდა კოლია ოკუჯავამ „დიპლომატი“ და რომ მცოდნოდა, აუცილებლად გავანდობდი მას ამ სამუშაოს.

როცა დამაპატიმრეს, ჩვენების მიცემაზე უარი არ მითქვამს, მხოლოდ ჩემი მხრიდან დანაშაულის არსებობას უარვყოფდი, დემორალიზებული ვიყავი და ამ დრომდე ასეთად დავრჩი. ჩემ თავს ვეკითხები, ნუთუ ისეთი დანაშაული ჩავიდინე, რამაც ოჯახიც კი დამაკარგინა, რომლის ნახვის ღირსიც კი არ ვარ. იმედი ფეთქვას, რომ ყველაფერი გაირკვევა ჩემთვის სასურველი შედეგით, ამიტომ მზად ვარ მთელი ძალებით დავეხმარო გამოძიებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცი და ვხედავ, რომ საქმე სულ უფრო და უფრო ჭიანურდება. მძიმე პირობებში ვარ და მოუთმენლად ველი ჩემი ხვედრის შემსუბუქებას.

როსტომ მუსხელოვი.

P.S. ჩემი ჩვენებები ამხანაგმა მოგილევსკიმ თავის მოსულელებად შეაფასა. ასე ვიტყოდი, რომ მთელი ჩემი „იატაკქვეშა სამუშაო“ მხოლოდ თავის მოსულელება იყო, რომელიც ამასთანავე მისი განეიტრალებისკენ იყო მიმართული.

რ. მუსხელოვი.

ასლი დედანთან სწორია.

როსტომ მუსხელოვის განცხადება 6/V-1923 წ.: [45]

მოქალაქე აშუკინს

„სამფერის“ დოკუმენტები ერთი შეხედვით თითქოს ჩრდილს მაყენებს, მაგრამ ჩემი და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობად მიმაჩნია შემდეგი ჩვენებების მოცემა: არ უარვყოფ, რომ დ. ვაჩნაძე მესაუბრებოდა 27 სექტემბერს აქტიური მოქმედებების დაწყების შესახებ, თუმცა კატეგორიულად უარვყოფ მისი წერილების შინაარსს. იგი თავადაც აღიარებს, რომ მის გზაზე არ ვიდექი. მას სხვისთვის უნდოდა მიემართა ოპერატიული გეგმის შესადგენად, მაგრამ საქმის კურსში ჩაყენება მე ვთხოვე. იმედი მქონდა, დ. ვაჩნაძეს 27 სექტემბრამდე შევხვდებოდი და ვიმეორებ, რომ განზრახული მქონდა ამ მოძრაობისთვის ხელი შემეშალა. იქამდე კი ი. ცინცაძე შემხვდა, რომელსაც მკაცრად დავუყენე საკითხი. ამის შემდეგ, გამოვრიცხე, რომ ეროვნულ-დემოკრატები გამოვიდოდნენ, დავით ვაჩნაძეც აღარ მინახავს. არ მესმის, რაში დასჭირდა ვაჩნაძეს, ჩოლოყაევს რომ მისწერა, კავშირი დაემყარებინა „Myxa“-სთან, რომელიც პარიტეტულ კომიტეტთან არსებული სამხედრო ცენტრის წევრი იყო. როდესაც ეს დოკუმენტები გამოქვეყნდა, „Myxa“-სთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა ასე წარმომიდგენია, რომ დავით ვაჩნაძეს სჭირდებოდა დაყრდნობოდა რომელიმე ავტორიტეტულ ორგანოს, როგორიც იყო გაერთიანებული სამხედრო ცენტრი და გენერალური შტაბის სპეცი მუსხელოვი, რომელიც ამ ცენტრის წევრი იყო. მთელი ოპერაცია კი ჩოლოყაევისთვის ჰქონდა დავალებული, შესაბამისად, რა კავშირზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი. უდავოა, რომ ყველა ოპერაცია ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ განახორციელა და ეჭვი არ მეპარება, რომ მათი მეთაურთა შემადგენლობიდან იყვნენ მიწვეულნი. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა სამხედრო ოპერაციას ჩოლოყაევი ხელმძღვანელობდა, რაც დოკუმენტური მონაცემებით დასტურდება. აქედან გამომდინარეობს, რომ თბილისში განსაკუთრებული სამხედრო ხელმძღვანელობის აუცილებლობა არ იყო, ჩოლოყაევს მხოლოდ მატერიალური და მორალური მხარდაჭერა სჭირდებოდა, რაც „სპეციალური ოპერატიული შტაბის“ არსებობის გარეშეც იყო შესაძლებელი. დაბოლოს, ეროვნულ-დემოკრატებმა ჯერ კიდევ აგვისტოში იცოდნენ პარიტეტულ კომიტეტში გამოთქმული ჩემი პროტესტის შესახებ, შესაბამისად, ვაჩნაძეს უფლება არ ჰქონდა ბოროტად ესარგებლა ჩემი და სამხედრო ცენტრის სახელით. როდესაც დუშეთის ექსპედიციის შემდეგ დ. ვაჩნაძეს შევხვდი, რომელმაც მთხოვა ჩოლოყაევის დევნის შეწყვეტა, სხვათა შორის განმიცხადა, რომ მართალია მენშევიკების წევრი ხარ, მაგრამ ეს მაინც შეასრულეო. ეს იყო მისი სიტყვები და მისი წერილები იმ დროს რომ გამოქვეყნებულიყო და რომ მცოდნოდა, მეტსახელ „Myxa“-ს მე რომ მომაწერდა, აუცილებლად ვკითხავდი, რა მიზანს ემსახურებოდა ამ წერილების დაწერა.

ახლა რაც შეეხება ფავლენოვის ბანდას. სხვათა შორის, მხოლოდ დუშეთში შევიტყვე, რომ ფავლენოვის ბანდა ჩოლოყაევს ექვემდებარებოდა. შემდგომში დამყარდა კავშირი ნ. ზანდუკელთან. უმორჩილესად გთხოვთ, თარიღების მიხედვით დაადგინოთ ამ ბანდის დაშლის დრო და მიზეზები. ნუთუ, აქაც მე ვარ დამნაშავე და არასწორი ჩვენებების ავტორი. ჩემი სამუშაო ამ ბანდის ლიკვიდაცია იყო და საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კ. ოკუჯავაც კი მეუბნებოდა, რომ ფავლენოვთან მისული ერთი მენშევიკი პროვოკაციის წყარო იყო, რაც ბანდის წევრისგან გამხდარა ცნობილი.

რაც შეეხება აღნიევზე განხორციელებულ თავდასხმას, მოგახსენებთ, რომ ეს მეტად სერიოზული საკითხია და მისი განხილვა არასდროს იქნება დაგვიანებული. თუ ბედი მარგუნებს და ოდესმე გავთავისუფლდები, ამ მიმართულებით ვიმუშავებ, თუნდაც მხოლოდ აღნიევისა და

45 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 172-175.

ოკუპაციის პატივისცემის მიზეზით.

ახლა კი, მოქ. აშუკინ, თქვენთან პირადი საქმე მაქვს. ჩემი უბედურება ისაა, რომ გამოძიება ვიწრო პარტიულ ჭრილში წარმოებს. მაგალითად, თქვენ ჩაიწერეთ ჩემი ჩვენება ფოილოს ხიდის შესახებ და მხოლოდ იმაზე მიუთითეთ, რომ მისი აფეთქების საკითხი იდგა, მაგრამ მე მივიღე შესაბამისი ზომები /ამ ყველაფრის დასაბუთება შეიძლება/ და შევცვალე ქართული დაცვა რუსულით - თქვენ ამ საკითხს აჩუმათებთ. გამოძიების მასალებიდან არ იკვეთება ჩემი თავგანწირული მუშაობა დუშეთის ექსპედიციის, სვანეთისა და ოზურგეთის მოვლენების დროს. არაერთ ადამიანს შეუძლია დაასაბუთის ჩემი მოქმედებები ამ მოვლენების დროს. ამით იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ სრული გამოძიებისას შეძლებთ ჩემი მოქმედებების ჭეშმარიტი ხასიათის დადგენას, განსაკუთრებით გაურკვეველი გარემოებების თვალსაზრისით. ამის შედეგად, თქვენ ისევე წარმოიდგენთ ჩემს იატაკქვეშა სამუშაოს, როგორც მე წარმოგიდგენთ თქვენ. და თუ ბოლოს და ბოლოს დარწმუნდებით, რომ მე არ ვარ მავნე და საშიში ადამიანი საბჭოთა წყობისთვის, მაშინ საგანგებო კოლეგია ჩემთვის სასიხარულო გადაწყვეტილებას გამოიტანს. ხოლო იმ ვითარებაში, რაც ახლა გვაქვს, იმედს ვიტოვებ, რომ კოლეგია მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას მიიღებს და დახვრეტას პოლიტიკური მოსაზრებით გამორიცხავს. ახლა მე იმას განვიცდი, რომ არ მაქვს საშუალება დავუმტკიცო ჩემს ნაცნობ კომუნისტებს არა მხოლოდ ჩემი ლოიალობა, არამედ ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მტკივა, რომ ისინი, ვისი ყურადღებითაც ვსარგებლობდი, არამზადად მთვლიან. ეს ერთი. მეორე - გთხოვთ, დამრთოთ ნება, ვინახულო ცოლ-შვილი - მათ ჩემი ნახვა სურთ, რადგან მეტად ძნელია არ გქონდეს ცნობები სამი თვის განმავლობაში. გთხოვთ, ამის საშუალება სხვასაც მისცეთ, რათა სალაპარაკო არ გახდეს.

რ. მუსხელოვი

P.S. ვშიშობ, დღევანდელ ჩვენებაში ნ. გარდაფხაძის დასახელებით არ გაფიქრებინოთ, რომ მეტი ვიცი, ვიდრე ვაჩვენებ. გარწმუნებთ, ეს ასე არ არის. ჩემი იატაკქვეშა მუშაობის ფორმულა ასეთია - „ვიცი ყველაფერი და არაფერი“, თუ შეიძლება ასე ითქვას. ჩემი აზრით, აუცილებელია ჰკითხოთ აღნიევს, თუ რა როლს ასრულებდა გარდაფხაძე სვანეთის მოვლენების დროს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ვერაფერს ვიტყვი ვაჩნაძესა და გარდაფხაძეს შორის არსებული მჭიდრო კავშირის შესახებ, რადგან ვაჩნაძეს იშვიათად ვხედავდი, ხოლო გარდაფხაძე მას შემდეგ არ მინახავს, რაც პოლკიდან წავიდა. ვერაფერს ვიტყვი ვერც ვაჩნაძისა და თუხარელის კავშირის შესახებ, მგონი კავშირი არც ჰქონიათ, თორემ თუხარელი მეტყოდა.

რ. მუსხელოვი

კიდევ მინდოდა მეთქვა, რომ ჩემს დაპატიმრებას სამარცხვინო ლაქა და მორალური შერყევა მოყვა. მაგრამ თუ ამ დაპატიმრებას მართლა აქვს მნიშვნელობა, მაშინ გულწრფელად მადლობელი ვარ იმის, რამაც უბიძგა ჩემს დაპატიმრებას, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ სხვა გზა არ მაქვს, არამედ იმიტომ, რომ მას შეუსრულებია საკუთარი მოვალეობა.

მაპატიეთ, ბევრ უსარგებლო წერილს გწერთ, მაგრამ ეს ჩემი პატიმრობითაა გამოწვეული.

რ. მუსხელოვი

კიდევ ერთი. დაპატიმრების პირველივე დღიდან აღელვებული ვარ ერთი დოკუმენტით, რომელიც უარყოფითად მახასიათებს და შესაძლოა გამოძიების დადგენილებაზეც აისახოს. ის თბილისის საბჭოს მიერაა გაცემული /წითელი წიგნაკი/, რომელიც საგანგებო კომისიაში მოსვლისას

ჯიბეში მქონდა. ეს დოკუმენტი ჩხრეკის დროს საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღეს სხვა ქაღალდებთან ერთად. ვინც ჩხრეკას ატარებდა, პირადად გადმომცა და მირჩია ჯიბეში მქონოდა, ახლა კი ისე გამოვიდა, რომ მე არჩეული ვიყავი და ამით მსურდა დამენახვებინა ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ [...].

ასლი დედანთან სწორია.

როსტომ მუსხელოვის განცხადება 15/V-1923 წ.: [46]

მოქალაქე აშუკინს

გთხოვთ, უფლება მომცეთ, საგანგებო კომისიის განკარგულების მიუხედავად, პირქვე დავემხო გაერთიანებული წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წინაშე და ერთგულების ფიცი მივცე მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. იქნებ, შემიწყალონ, თუ ჩემი სასიკვდილო განაჩენი შედგება და საშუალებას მომცემენ გავიზიარო მუშათა ენთუზიაზმი და შაშხანით ხელში დავამტკიცო ჩემი უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი. გთხოვთ თქვენ, როგორც ჩემს ერთადერთ ზნეობრივ საყრდენს, აცნობოთ რევოლუციურ სამხედრო საბჭოსა და კომუნისტურ პარტიას, რომ მსურს სიცოცხლე შევწირო საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლას.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ მუსხელოვის განცხადება 15/V-1923 წ.: [47]

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მოქალაქე მოგილევსკის

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თავს უფლებას ვაძლევ ამ განცხადებით უკანასკნელად შეგაწუხოთ იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიება დასასრულს უახლოვდება.

ჩემდა სამწუხაროდ, რატომღაც მგონია, რომ ჩემი ჩვენებებით ვერ შევძელი გამეშუქებინა ჩემ მიერ განცდილი და ის ჩატარებული სამუშაო, რომლითაც ხელს ვუშლიდი იატაკქვეშა ორგანიზაციების მოქმედებებს. მინდა გითხრათ, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების დამცველი ვიყავი და ჩემი ზედაპირული მუშაობა სამხედრო ცენტრში არათუ ხელს არ უშლიდა აღნიშნულს, არამედ ხშირ შემთხვევაში ამტკიცებდა ჩემში არსებულ რწმენას მთავრობისადმი. მართალია, ეს აზრები არავისთვის გამიზიარებია, რადგან მეშინოდა, არ გამომჟღავნებულიყო ჩემი ქმედებები სამხედრო ცენტრისა და პოლიტიკური ორგანიზაციების შესაბამისი პირების მიერ, მაგრამ ვმუშაობდი, თავიდან რომ ამეცილებინა საბჭოთა ხელისუფლებისთვის შესაძლო არასასურველი შედეგი.

ამრიგად, ცხადია, დამნაშავე ვარ იმაში, რომ მონაწილეობას ვიღებდი სამხედრო ცენტრის

46 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 181.
47 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2, გვ. 183-184.

მუშაობაში; მე, როგორც დივიზიის შტაბის მეთაურმა, არ შევატყობინე აღნიშნულის შესახებ ხელმძღვანელ პირებს, მაგრამ შემიძლია წრფელი გულითა და სუფთა სინდისით მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი ფიზიკური და მორალური ძალები შევალიე საბჭოთა წყობის განმტკიცების საქმეს. ამ ყველაფრის დამტკიცება არ არის რთული.

აქ, საგანგებო კომისიაში, მოგიყევით ყველაფერი, რაც ვიცოდი ან მსმენოდა და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მცირე სარგებელს მაინც ნახავთ ჩემი ჩვენებებიდან.

საქართველოს გასაბჭოების მთელი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით სამოქალაქო იმის დროს, ბედნიერი ვარ, რომ პირნათლად შევასრულე ჩემი მოვალეობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე.

დღეს ჩემი ბედი თქვენს ხელშია და ვბედავ გთხოვოთ, მაპატიოთ ჩემ მიერ ჩადენილი მავნებლობა, რომელსაც სამსახურის დროს ჰქონდა ადგილი. იმის იმედიღა რჩება, რომ გამოძიების შედეგების მიხედვით, თქვენ არ მიმიჩნევთ მავნედ და სახიფათოდ საბჭოთა წყობისთვის და გეფიცებით, რომ მომავალში არათუ მინიშნებაც კი არ იქნება მსგავს ქმედებებზე, არამედ გავაათმაგებ ჩემს ძალისხმევას საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან საბრძოლველად. ჩემთვის დიდი პატივი იქნება ვითვლებოდე საბჭოთა სახელმწიფოს პატიოსან, სრულუფლებიან მოქალაქედ. არ ირღვეოდა და არც დაირღვევა ჩემ მიერ მოცემული ეს სიტყვა, ამიტომ მაქვს საბჭოთა ხელისუფლების ჰუმანურობის ღრმა რწმენა და კიდევ გთხოვთ, მაპატიოთ ჩადენილი შეცდომები და შემიმსუბუქოთ სასჯელი, მე კი საქმით დაგიმტკიცებთ საბჭოთა საქმისადმი ერთგულებას. გთხოვთ, მომცეთ ოჯახის ნახვის უფლება.

როსტომ მუსხელოვი.

როსტომ მუსხელიშვილის წერილი: [48]

2/III-23 წ.

კოჯრის ქუჩა №6

ე. კ. მუსხელიშვილსა და პატარა ნონას

ჩემო ძვირფასო, საყვარელო ლიზა! 3 მარტიდან ცალკე საკანში ვზივარ. წუთი არ გაივლის, შენზე ფიქრმა არ გამიელვოს, შენზე და ჩემს ნონაზე. ჯანზედ თუ ხართ? მტანჯავს იმის გაფიქრება, რომ არავინ დარბის ფულის სასესხებლად და შენთვის და ნონასთვის საჭმლის მოსატანად. ბედის მჯერა და იმედი მაქვს, რომ ფაქტთა ეს დასანანი დამახინჯება, რომლის გამოისობითაც მე ბრალდებულის სკამზე აღმოვჩნდი, შენ კი იტანჯები, მალე გამოირკვევა და უწინდებურ როსტომად დაგიბრუნდები. ძვირფასო, ნუ იღელვებ და გახსოვდეს, რომ იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოს ღალატში მდებენ ბრალს, გამოძიება იმდენად ბეჯითად მიმდინარეობს, რომ მე მშვიდად ვარ. საგანგებო კომისიაზე განსხვავებული აზრი მქონდა, იგი სალხინებელია, სახელმწიფო ფილტრია. მსგავს მდგომარეობაში არასდროს ვყოფილვარ და ვგრძნობ, რომ ერთადერთი, რაშიც ბრალი

48 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 124-125.

მიმიძღვის, ჩემი დაუდევრობა და სუსტი ხასიათია, რასაც ყოველთვის მსაყვედურობდი, მე კი ყურს არ გათხოვებდი. ძვირფასო ლიზა, თუ დიდი ხნით მომიწევს სატუსაღოში ყოფნა, სთხოვე ბესიკ ლომინაძეს სამსახურში მოგაწყოს, უჩემობას ნუ განიცდი, შენს ფრჩხილადაც არ ვღირვარ. თუ მიწერია მალე გავთავისუფლდე, მთელი სისასტიკით დავეცემი ჩემი სამშობლოს „მოყვარულ“ არამზადებს, რამეთუ მშვიდად ვცხოვრობდით, აგვიმღვრიეს წყალი, ახლა კი პასუხი უნდა ვაგოთ. საქართველოში აღარც ვიცხოვრებთ, აჯობებს პეტროგრადში, ან მოსკოვში გავემგზავროთ. მთავარია, ჩემი დატუსაღების ხანას გაუძლო, გაყიდე ის ნივთები, რაც გვაქვს, რუსეთში რამენაირად გავიტანთ თავს. გემუდარები, ნონას გაუფრთხილდი. შენ კოჯრის, მე კი სერგიევსკის ქუჩაზე ვარ, ერთმანეთთან ასე ახლოს და, ამავე დროს, ვერ ვხვდებით ურთიერთს, რადგან გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. მშვიდად იყავი, თუ ბედი დამცინის და ვეღარ დავბრუნდები, სთხოვე ჩემს თანამშრომლებს, ლექვთაძეს, ჟღენტს, სიჭინავასა და აგლაძეს მორალურად მხარში ამოგიდგნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ბესო ლომინაძე სამუშაოს გიშოვის და მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნები. ნონა კი კარგ გოგოდ გაზრდილიყოს დედას გასახარად, მამიკო კი ზოგჯერ გაახსენდეს, ეს იქნება ძეგლი ჩემს საფლავზე.

ნონასა და შენ ყოველდღე გხედავთ სიზმარში. ნუთუ არ დამრთავენ შენი და ნონას ნახვის ნებას, ნუთუ არ დადგება ის ბედნიერი წუთი, რომ თუნდაც ერთხელ მოგკრათ თვალი, ვნახო, რომ ცოცხლები ხართ. ხომ იცი, უკეთესია დაგხვრიტონ, ვიდრე მორალურად გტანჯონ, როგორც მე ვიტანჯები, როცა არაფერი ვიცი შენს შესახებ. გკოცნი ბევრს, მშვიდობით, აკოცე ნონას.

შენი მეგობარი **როსტომი**.

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან 30/III-1923 წ.: [49]

ჩემთვის ცნობილია, რომ მუსხელოვი იღებდა ცნობებს წითელი არმიის შტაბიდან, თუმცა არ ვიცი, ვის გადასცემდა მათ. მე მისგან არაფერი მიმიღია და არც პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარისგან მსმენია, მუსხელოვისგან მიღებული ცნობები პარიტეტულ კომიტეტს მიეღოს. დავით ვაჩნაძესთან არასდროს მიშუამდგომლია თანხის გასაზრდელად კონტრ-დაზვერვითი ცნობების მისაღებად, რომელსაც მუსხელოვი მოიპოვებდა. ეს უკანასკნელი ამბობდა, რომ ანაზღაურება მეტად მწირი იყო და მუშაობის შეწყვეტა მოუწევდა. ვაცხადებ, რომ ფულს კონტრდაზვერვითი ცნობების მოსაპოვებლად ნარიკელაძე იღებდა. მახსოვს, როდესაც მუსხელოვმა განაცხადა, რომ თანხები მწირი იყო, ვთქვი, რომ ამ საკითხზე პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა დავლაპარაკებოდით, თუმცა ეს არ განმიხორციელებია, რადგან მუსხელოვის მიერ მიღებული ცნობები ჩვენთან არ მოდიოდა. შეიძლება მუსხელოვი აწვდიდა კიდეც ცნობებს პარიტეტულ კომიტეტს, მაგრამ ეს ჩემთვის ცნობილი არ არის.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

49 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 134.

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან 24/IV-1923 წ.: [50]

პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძემ გადმომცა, რომ კომიტეტში დასახელებულია ჩემი კანდიდატურა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში და ჩემს ნებართვას ითხოვდა, რაზეც დავთანხმდი. მახსენდება, რომ სამხედრო ცენტრში არჩეულ პირთა სია გამოცხადებული იყო სხდომაზე, რომელსაც ნიკოლოზ ქარცივაძე თავმჯდომარეობდა, პარიტეტული კომიტეტის წევრების - იასონ ჯავახიშვილის, ანდრონიკოვის, აფხაზის, ჩემი და ნარიკელაძის თანდასწრებით. ზუსტად როდის მოხდა ეს, არ მახსოვს, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს, ან ცოტა უფრო ადრე. სამხედრო ცენტრში აგვირჩიეს: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, როსტომ მუსხელოვი და მე. ცენტრის თავმჯდომარე იყო ანდრონიკაშვილი. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეს ვუკავშირდებოდი მე. ანდრონიკაშვილს თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა. ვთხოვდი, არავისთან მისულიყო და არც ვინმე მიეღო სახლში. ფუნქციები ზუსტად გადანაწილებული არ იყო, თუ რამე იყო მისაღები, გადაწყვეტილებას ერთობლივად ვიღებდით ქუჩაში შეხვედრების დროს.

/**ვარდენ წულუკიძე**/.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან 24/IV-1923 წ.: [51]

1921 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში, როგორც ეს წინა ჩვენებებში აღვნიშნე, ჩემთან მოვიდა ნათესავი, აწ გარდაცვლილი დავით მიქელაძე, რომელიც ნაკლებად აქტიური ეროვნულ-დემოკრატი იყო და ჩემში პატრიოტული გრძნობების გაღვივებითა და საქართველოში არსებული მძიმე ვითარების აღნიშვნით შემომთავაზა, მონაწილეობა მიმეღო შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაში. წინადადება მესიამოვნა, ვინაიდან ის ეროვნულ-დემოკრატებისგან მოდიოდა, ამიტომ მაშინვე ვუპასუხე, რომ მუშაობაში მონაწილეობას მივიღებდი იმ პირობით, თუ ორგანიზაციის სათავეში ყველა პარტიის წარმომადგენელი იქნებოდა, რადგან ვერც ერთ რომელიმე პარტიასთან და ვერც ერთი რომელიმე პარტიის ინტერესებისთვის ვერ ვიმუშავებდი. იგივე განვუცხადე ეროვნულ-დემოკრატებს - იასონ ჯავახიშვილსა და დავით ვაჩნაძეს. ვიცი, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა თანამშრომლობა შესთავაზეს ალექსანდრე ანდრონიკაშვილსა და როსტომ მუსხელოვს, რომელთაც იგივე სამუშაო პირობა დაასახელეს, რაც მე, ანუ ორგანიზაციისთვის ყველა პარტიას უნდა ეხელმძღვანელა და არ იყვნენ ერთ რომელიმე პარტიასთან თანამშრომლობაზე თანახმა.

/**ვარდენ წულუკიძე**/

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

50 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 156.
51 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 157.

ამონარიდი ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის დამატებითი ჩვენებიდან 29/III-1923 წ.: [52]

თბილისში გავემგზავრე, იოსებ ცინცაძე მოვძებნე და დუშეთის მაზრაში შექმნილი ვითარება გავაცნე. ცინცაძემ მკითხა, რამდენი დუშელი მიყვებოდა ჩოლოყაშვილს, რამეთუ თბილისში საუბრობდნენ, 200 დუშელი გაყვაო. ვუპასუხე, რომ ჩოლოყაშვილს არც ერთი დუშელი არ გაჰყოლია და ყველა ჩემს სიტყვას ელოდება. ისიც ვუთხარი, რომ ეროვნულ-დემოკრატების აგენტები მაზრაში დადიან და მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდებენ. ცინცაძემ თავდაპირველად არ დამიჯერა, მითხრა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, დუშეთში ეროვნულ-დემოკრატებს ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდათ და შეძლებდნენ მოსახლეობის აჯანყებას. ცინცაძეს ვუთხარი, რომ ეროვნულ-დემოკრატები აჯანყებაში ჩემს მონაწილეობას ითხოვდნენ და რომ დუშეთში გამგზავრება არ მინდოდა. ჩემს შეკითხვაზე პარტიის მიერ აჯანყების წამოწყების თაობაზე, ცინცაძემ არ მიპასუხა. მან მირჩია დუშეთში გავმგზავრებულიყავი, ეროვნულ-დემოკრატებთან ურთიერთობა არ გამეფუჭებინა და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით მემოქმედა. მთავაზობდა მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატების ხელში არ ჩავვარდნილიყავი. ჩემს განცხადებაზე, რომ მარტო საქმეს თავს ვერ გავართმევდი, ცინცაძემ მირჩია როსტომ მუსხელოვისთვის მიმემართა, „ჩვენი კაციაო“, მისი საშუალებით მაქვს კავშირი და გეცოდინება, როგორ უნდა იმოქმედოო. ამით გავემგზავრე დუშეთში. იქ რომ ჩავედი, მეორე ან მესამე დღეს მუსხელოვს ვესაუბრე /საექსპედიციო რაზმის შტაბი ჩემ მიერ დაკავებულ სახლში იყო განთავსებული/. ვკითხე, რა უნდა მოგვემოქმედა. მას განსაზღვრული არაფერი უთქვამს ჩემთვის. დამპირდა, რომ გაარკვევდა ვითარებას. მეორე შეხვედრის დროს მითხრა, რომ არსებობდა წითელი არმიის დადგენილება, მიწასთან გაესწორებინათ ხევსურეთი, ამიტომ ძალას უნდა მოვუხმოთ და ხევსურეთს უნდა დავეხმაროთო. ცინცაძესა და მუსხელოვთან საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ხალხი ავანტიურის მსხვერპლი ხდებოდა. დავმენდი, რომ მუსხელოვი, როდესაც ძალის გამოყენებისა და ხევსურეთის დახმარების შესახებ მესაუბრებოდა, შემომთავაზა აჯანყების მოწყობა დუშეთის მაზრაში, რათა გაჭიანურებულიყო ჯარების ხევსურეთში გადასვლა. მუსხელოვთან საუბრის შემდეგ, ჩემთან მოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატები: ვასილი კობიევი და სიმონ ჭიაბრიშვილი, რომლებიც ისედაც ყოველდღე მოდიოდნენ და მკითხეს, გავყვებოდი თუ არა აჯანყებაში. ვუპასუხე, რომ შევეცდებოდი დავხმარებოდი, მაგრამ დახმარების ნაცვლად, ყველა მათი გეგმა ჩავფუშე, ხალხი არ გამოვიწვიე და აჯანყებაც არ შედგა. ამის გამო, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატებმა მოღალატედ შემრაცხეს. თბილისში გავემგზავრე, სადაც ერთი თვე დავყავი. ი. ცინცაძეს შევხვდი და ვუთხარი /მოვატყუე/, რომ ხალხი აჯანყებაზე არ მოდიოდა. ცინცაძემ თქვა, ძალიან კარგი ასე რომ გამოვიდაო. კოლია ოკუჯავასა და აღნიაშვილზე თავდასხმის შესახებ არაფერი ვიცი. ფავლენიშვილის სურვილი შეხვედროდა მუსხელოვს, ამ უკანასკნელს არ ვაცნობე და ამ საკითხზე არც ვიცი რამე. 1903 წლიდან 1919 წლამდე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წვერი ვიყავი, ხოლო 1919 წლიდან კი - მენშევიკების პარტიის წვერი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

52 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 111.

ამონარიდი ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის დამატებითი ჩვენებიდან (თარიღი უცნობია): [53]

იმ დროს ცეკას სხვა წევრები არ მენახა.


ფავლენოვის ბანდას რაც შეეხება, მისმა აგენტებმა - სიმონ ჭიაბრიშვილმა და ვასო კობიაშვილმა მითხრეს, რომ ხევსურეთიდან იყო დაბრუნებული და მას ჰქონდა დავალებული ხალხის ორგანიზება. „ჩვენ ხელს არ უნდა გვიშლიდე, ხალხს უნდა აუხსნა, რომ საბრძოლველად გამოვიდნენ“.

ფავლენოვის ბანდაში მენშევიკები არ იყვნენ.

დუშეთზე თავდასხმას ფიქრობდნენ, მაგრამ რადგან ხალხმა მხარი არ დაუჭირა, ჩემი დამსახურებითაც გადაიფიქრეს.

მუსხელიშვილს ვუთხარი, რომ ბანდიტები დუშეთზე თავდასხმას აპირებდნენ და ვკითხე, რა მომემოქმედა. მითხრა, დუშეთზე თავდასხმას ურჩევნიათ ხევსურების დასახმარებლად წავიდნენო. ალბათ, ასეც იზამდნენ, მაგრამ იარაღი არ ჰქონდათ და ამიტომ უნდოდათ დუშეთის აღება.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.



ВЫПИСКА ИЗ ПОКАЗАНИЙ ЗАНДУКЕЛИ Н.

176 182

Остальных Членов ЦК я не видел в то время.

По поводу банды ПАВЛЕНОВА его агенты Семен ЧИАБРИШВИЛИ и Васо КОБИАШВИЛИ мне сказали, что вернулся с Хевсуретии и ему доверено и поручено организовать народ и очутиться за войсками. "Ты не должен мешать нам, ты должен раз"яснять народу, чтобы они вышли бы для борьбы."

В банде ПАВЛЕНОВА меньшевиков не было и не входили.

Думали напасть на Душет, но так как народ не пошле за ними, благодаря моей работы приостановили.

Я сказал МУСХЕЛАШВИЛИ, что бандиты предполагают напасть на Душет и я спросил что мне делать. Он мне сказал, что вместо того, чтобы напасть на Душет пусть лучше пойдут помогать хевсурам. Может быть они так и сделали бы, но ввиду того, что у них было мало оружия, хотели сначала взять Душет.

Выписка верна:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 176.

53 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 176.

ამონარიდი ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის დამატებითი ჩვენებიდან (თარიღი უცნობია): [54]

თბილისში ი. ცინცაძეს რომ შევხვდი, ვუთხარი, რომ დუშეთში საქმე ცუდად იყო, ჩოლოყაევის აგენტები დადიან და ხალხს ატყუებენ, თითქოს საყოველთაო აჯანყება იწყება და მასში ყველა პარტია იღებს მონაწილეობას. მკითხა, ხალხი თუ გაყვებაო და დავუდასტურე, რომ ხალხი ჩვენკენ იყო და მათი არ სჯეროდა, აგენტები კი მე არ მაძლევდნენ მოსვენებას. კიდევ ვუთხარი, რომ იქ არ წავიდოდი, რადგან ბანდიტებს ჩემი მოკვლა შეეძლოთ. მითხრა, რომ აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი და მთელი ძალით მეცადა, ხალხი მათ მხარეს არ ყოფილიყო. „რამე თუ გაგიჭირდა, ან ინფორმაცია დაგჭირდა, მუსხელიშვილს მიმართე და ის სწორ გზაზე დაგაყენებსო“, - მითხრა მან.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [55]

სურამიდან დაბრუნების შემდეგ, სექტემბრის ბოლოს, კვლავ შედგა შეხვედრა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, ნიკოლოზ ქარცივაძე (პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე), კ. აფხაზი, ი. ჯავახოვი, წულუკიძე, ერთი პირი მენშევიკური პარტიიდან, რომლის გვარიც არ მახსოვს და კიდევ ერთი პირი, რომლის არც ვინაობა და არც პატიულობა ჩემთვის ცნობილი არ არის. ასევე ესწრებოდა ნარიკელაძეც, რომელსაც დაევალა შეხვედრის ანგარიშის მომზადება. აშკარა იყო მენშევიკური პარტიის მარცხი, რამდენადაც თუ ადრე მუშათა კლასის იმედი ჰქონდათ, ახლა უკვე საწინააღმდეგოს აცხადებდნენ. შემდგომ საუბარი წარიმართა ჩოლოყაევის ხევსურეთში გამოსვლებზე. მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს გამოსვლები დაუშვებელია, რამდენადაც ძალის ფუჭი ხარჯვაა, არც სხვა რაიონების ჩართვაა საჭირო და უკეთესი იქნება ჩოლოყაევთან დაკავშირება და ამ მოქმედებების შეჩერებისკენ მოწოდება. წულუკიძემ და აფხაზმა ჩემი მოსაზრება გაიზიარეს. ამ დროს მოგვახსენეს, რომ მუხრანიდან მოვიდა არტილერისტი სასწრაფო ინფორმაციით. მისგან შევიტყვეთ, რომ ჩოლოყაევი დაკავშირებოდა მუხრანში მყოფ საარტილერიო ბატარეას წინადადებით, მის მხარეზე ნებაყოფლობით გადასვლასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალას გამოიყენებდა. ბატარეის ხელმძღვანელობამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რჩევის საკითხავად ჩვენთან წარმომადგენელი გამოეგზავნათ. ჩვენ მივედით იმ შეთანხმებამდე, რომ ჩოლოყაევის ეს მოქმედება აბსოლუტურად მიუღებელი იყო და ბატარეას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღო მისი წინადადება. ამ ბოლო შემთხვევამ საბოლოოდ ამიხილა თვალი იმაზე, რომ მართალია პარტიებმა თავად აირჩიეს ცენტრი, მაგრამ მაინც თვითნებურად მოქმედებდნენ, რასაც შედეგად მოყვებოდა უაზრო მსხვერპლი და ქვეყნის დაქცევა. ჩოლოყაევის მოქმედება ცენტრისგან დამოუკიდებლად რომ ხდებოდა, ეს ცხადი იყო, უპასუხისმგებლო ცენტრის წევრები თვითნებურად გასცემდნენ განკარგულებებს. დავაფიქსირე რა ეს მომენტი, შესაფერის დროს გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ აღარ მსურდა მუშაობა, აფხაზმა მითხრა, რომ მასაც იგივე სურვილი ჰქონდა და არც მას აღარ სურდა დარჩენა. წულუკიძე გამუდმებით მთხოვდა, რომ არ მომეყვანა სისრულეში ჩემი გადაწყვეტილება, ამასთან ე.წ. ცენტრი პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებდა, არანაირ განკარგულებას არ გასცემდა, იყო უფუნქციო და უნდა გაუქმებულიყო.

54 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 177.
55 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 49.

ოქტომბერში მე ვიყავი სიღნაღში ჩემს დებთან სტუმრად. წულუკიძეს ჰქონდა კავშირი ჩემთან ნარიკელაძის მეშვეობით. ინფორმაციებს ვიღებდი მხოლოდ წულუკიძის, მუსხელოვისა და ნარიკელაძისგან. სხვა პარტიებიც მათი მეშვეობით უნდა დამკავშირებოდნენ. თვითნებური კავშირები სამხედრო ნაწილებთან მე არასოდეს მქონია.

ერთმანეთთან კავშირისთვის ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ჯავახოვი, მენშევიკებიდან - ხიმშიევი, მისი დაპატიმრების შემდეგ ვის ევალებოდა ეს საქმე, ჩემთვის ცნობილი არ არის.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [56]

1921 წლის ბოლოს, ზუსტად დღე არ მახოვს, ნარიკელაძის ბინაში შედგა შეხვედრა, რომელსაც ვესწრებოდით: მე, წულუკიძე, ხიმშიევი, მუსხელოვი და როგორც მახსოვს - თავმჯდომარეც. ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ჯავახოვი, ფედერალისტებსა და სოც-დემოკრატებიდან არავინ იყო. გამომრჩა მეხსენებინა, რომ მანამდე მუსხელოვთან სტუმრობისას ჯავახოვმა აღნიშნა, რომ მათი პარტია მე, მუსხელოვსა და მაზნიევს (რომელიც ამ დროისთვის დაპატიმრებული იყო და შეფარდებული ჰქონდა 5 წელი) გვენდობოდა. ამ შეხვედრაზე, პარტიათა შორის შეუთანხმებლობის გამო, კვლავ ვერ მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ შეთავაზებული იქნა, რომ პარტიებს მისცემოდათ დრო, მოეგროვებინათ თუ რა მონაცემებს ფლობდნენ ისინი, კერძოდ, რა რაოდენობის ცოცხალი ძალა, იარაღი და ფულადი თანხები ჰქონდათ, რადგან ამ მონაცემების გარეშე ცენტრის მუშაობაზე საუბარიც კი გამორიცხული იყო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [57]

არ მახსოვს ზუსტად როდის, ერთხელ სკოლისკენ მიმავალ გზაზე ჯავახოვი შემხვდა და ცენტრისგან შეტყობინება გადმომცა. ყველა პარტია გაერთიანდა და შექმნეს სამხედრო ცენტრი, რომლის წევრებადაც არჩეულები ვიყავით: მე, მუსხელოვი და იოსებ გედევანოვი. ხოლო წულუკიძესა და აფხაზთან დაკავშირებით წევრობის შესახებ საკითხი მე უნდა გადამეწყვიტა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

56 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 52.
57 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 51.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენებიდან 7/III-1923წ.: [58]

იანვარ-თებერვალ-მარტში ავადმყოფობის გამო (ფილტვების ანთება) საქმეს დროებით ჩამოვშორდი, მხოლოდ ერთხელ მუსხელოვის და წულუკიძის სტუმრობის დროს გავიგე, რომ არანაირი ინფორმაციები პარტიებიდან არ შემოსულა და მათ შორის კვლავ შეუთანხმებლობა სუფევდა. აშკარა იყო, რომ არსებობდა ცენტრი, მხოლოდ როგორც სახელწოდება და პარტიები ერთმანეთს არ ენდობოდნენ, ამიტომ რაიმე საქმის კეთებაზე საუბარი არც იყო. საბოლოოდ მთელი პასუხისმგებლობა მოდიოდა ე.წ. ცენტრზე, რომელიც სჯობდა რომ საერთოდ არც ყოფილიყო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მე რამოდენიმეჯერ ავღნიშნე წულუკიძესთან, რომ ვფიქრობდი ცენტრის დატოვებაზე, რაზეც იგი მეუბნებოდა რომ ეს არ გამეკეთებინა, რადგან ყველა პარტია მე ძალიან მენდობოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [59]

არ მახსოვს ზუსტად როდის, მგონი 1921 წლის ზაფხულში როსტომ მუსხელოვმა გადმომცა ეროვნულ-დემოკრატების შეტყობინება, რომელთაც არსებულ მდგომარეობაზე დასალაპარაკებლად შეხვედრა სურდათ. დანიშნულ დროს შევხვდით ეროვნულ-დემოკრატ დავით ვაჩნაძის ბინაში, სადაც, რამდენადაც მახსოვს, ჯავახოვიც იყო. მკითხეს, მეთქვა, თუ როგორ და რა ძალებით იყო შესაძლებელი თბილისის გათავისუფლება, რაზეც ვუპასუხე, რომ ამის განსაზღვრა შესაძლებელი იქნებოდა მას შემდეგ, რაც გვეცოდინებოდა ის მონაცემები, თუ რა ძალებს განკარგავდნენ რუსები და საქართველო. სხვათა შორის, ვაჩნაძემ იმ წუთებშივე თქვა, რომ მათ შეეძლოთ წარმოედგინათ საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა კახეთიდან. რა თქმა უნდა, ასეთი ძალების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მე ვთხოვე ვაჩნაძეს, შეეგროვებინათ აუცილებელი მონაცემები და ამის შემდეგ შემეძლო უკვე თქმა, შეიძლებოდა თუ არა რაიმეს იმედი გვქონოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენებიდან 9/III-1923 წ.: [60]

მორიგი შეხვედრა შედგა უკვე მუსხელოვის ბინაში, რომელსაც ესწრებოდნენ ვარდენ წულუკიძე და ი. ჯავახოვი. ჯავახოვმა მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ რა მდგომარეობა იყო პოლიტიკურ პარტიათა თანამშრომლობის შესახებ. საუბრის მომენტში გამოიკვეთა ერთი ფაქტი, კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატების უნდობლობა ვარდენ წულუკიძის მიმართ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ წულუკიძემ გააკრიტიკა ეროვნულ-დემოკრატთა მოქმედებები. ჯავახოვის თქმით, მათ შორის კონტაქტი დამყარებული იყო პარიტეტულ საწყისებზე და შესათანხმებელი იყო პარტიათა შორის ადგილების რაოდენობა. სამხედრო ცენტრის მუშაობა, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობდა,

58 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 54.
59 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 55.
60 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 53.

რადგან მთელი დრო პარტიათა შორის მოლაპარაკებებს ეთმობოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენებიდან 9/III-1923 წ.: [61]

პოლიტიკური ცენტრი, იგივე პარიტეტული კომიტეტი, იგივე „დამოუკიდებელი კომიტეტი“ საბოლოოდ ოფიციალურად გაფორმდა 1922 წლის სექტემბერში. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ნიკოლოზ ქარცივაძე, მენშევიკების დროს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მეგობარი. ამ ცენტრის გაფორმება მოხდა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, იასონ ჯავახოვი, ნარიკელაძე, ერთი პირი მენშევიკური პარტიიდან, რომლის გვარიც არ მახსოვს და კიდევ ერთი პირი, რომლის არც ვინაობა და არც პატიულობა ჩემთვის ცნობილი არ არის.

პარტიებიდან წარმომადგენლობა შემდეგნაირი იყო: მენშევიკურ პარტიას წარმოადგენდა კომიტეტის თავჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე და კიდევ ის პირი, რომელსაც ვერ ვიხსენებ, ეროვნულ-დემოკრატებიდან იყვნენ კოტე აფხაზი და იასონ ჯავახოვი. ვთვლი, რომ მე, წულუკიძე და ნარიკელაძე მიწვეულები ვიყავით როგორც სამხედრო საქმის მცოდნეები.

სამხედრო ცენტრი, როგორც შეხვედრაზე გაცხადდა, შედგებოდა შემდეგი პირებისგან: ჩემგან, ვარდენ წულუკიძისგან, კოტე აფხაზისგან, მუსხელოვისგან და მგონი იოსებ გედევანოვისგან. სამხედრო საქმესთან ყველაზე ახლოს იყვნენ ვარდენ წულუკიძე და ნარიკელაძე.

ვარდენ წულუკიძემ მაცნობა, რომ პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელობა იქნებოდა შემდეგნაირი: 4 პირი მენშევიკებიდან, 3 - ეროვნულ-დემოკრატებიდან და თითო-თითო წარმომადგენელი ეყოლებოდათ დანარჩენ პარტიებს.

აღნიშნული საუბარი ჩვენ შორის (მე, დავით ვაჩნაძე, მუსხელოვი და იასონ ჯავახოვი) შედგა 1921 წლის გაზაფხულზე. ვაჩნაძის თქმით, მას ჰქონდა ინფორმაცია რუსული ჯარის საქართველოდან გასვლის შესახებ და ქვეყნის ხელისუფლების ცვლილების გამო წარმოშობილი ექსცესების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო, პირველ რიგში, მომხდარიყო თბილისის დაკავება. მისივე თქმით, ამ მიზნისთვის ეროვნულ-დემოკრატებს კახეთში ჰყავდათ საჭირო ძალა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ, წამოსულიყვნენ თბილისისკენ. ამ საუბრიდან გამომდინარე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან ეს იყო სრული ჰეგემონია რუსული არმიის საქართველოდან გასვლის შემთხვევაში.

დაკითხვის ოქმი დაწერილია ჩემი სიტყვებით, რასაც ვადასტურებ: **ა. ანდრონიკოვი**.

დაკითხა **აშუკინმა**.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

61 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 48.

ამონარიდი ლევან კლიმიაშვილის ჩვენებიდან (თარიღი უცნობია): [62]

ამის შემდეგ ნარიკელაძემ გამგზავნა ვარდენ წულუკიძესთან თხოვნით, რომ საღამოს მოსულიყო კირიჩის ქუჩის კუთხეში. ამის შემდეგ წავედი მისგან და 2-3 კვირის შემდეგ კვლავ შევხვდით გოლოვინის გამზირზე, რა დროსაც ვთხოვე რომ ვიყავი საერთოდ შემოსავლის გარეშე და დამხმარებოდა სადმე სამხედრო სამსახურში მოწყობაზე. მან მისწერა წერილი ქართული დივიზიის შტაბის უფროს მუსხელოვს, მაგრამ რამდენადაც საპასუხო წერილი არ მოსულა, მე მომიწია კერძო სამსახურში მოვწყობილიყავი. ამის შემდგომ მე ნარიკელაძეს შევხვდი და ვუთხარი, რომ სამხედრო სამსახურში არ ვიყავი, მან საღამოს 7 საათისთვის დამიბარა თავისთან, რა დროსაც გადმომცა ორი მილიონი და მითხრა: „აი, აიღე ეს თანხა, ვიცი რომ ძალიან გჭირდება და როდესაც გექნება მაშინ დამიბრუნებ“. მე გამოვართვი თანხა, მას არ უთხვამს საიდან ქონდა ეს ფული. ორი კვირის შემდეგ კვლავ შემხვდა ნარიკელიძე და შემომთავაზა მასთან ერთად წასვლა გურჯაანში, მაგრამ მე უარი ვითხარი. ამის მეტი მას არაფერი არ უთქვამს და ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენებიდან 9/III-1923 წ.: [63]

„სამხედრო ცენტრის“ არსებობა ჩემთვის დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. ვისგან გავიგე, არ მახსოვს, იმიტომ რომ ძალიან ბევრჯერ ითქვა. ასახელებდნენ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც ცენტრში შედიოდნენ: ანდრონიკოვს, წულუკიძეს, ნარიკელაძეს, მუსხელოვზე კი ნაკლებად მსმენია. 1922 წლის სექტემბერში მუხროვანში დაირხა ხმები, რომ ჩოლოყაევი ახლოსაა და შემდგომში გამოყენების მიზნით, აპირებს ბატარეაზე თავდასხმას. იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ყვებოდნენ იგი თავს ესხმოდა სოფლებს, აიძულებდა გლეხებს და მილიციელებს მისი მხარე დაეჭირათ, ჭორები ბატარეაზე თავდასხმის შესახებ ძალიან რეალური ჩანდა.

როცა ეს ჭორები უფრო გაძლიერდა (წყარო არ შემიძლია დავასახელო, რადგან მე პირადად არანაირი მითითება არ მიმიღია და ჩემთვის არავის მოუმართავს), ამბობდნენ, რომ ვიღაც გლეხი, თუ გამვლელი ოსი ყვებოდა, თითქოს ჩოლოყაევის ბანდა მთებშია და ა.შ.

არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ბრძანება გამეცა თუ არ მიმენიჭებინა მნიშვნელობა. ამ ჭორებმა ოფიცრებს შორის მითქმა–მოთქმა გამოიწვია, ერთნი ამბობდნენ - „ის ვერ გაბედავს თავდასხმას“, მეორენი კი პირიქით იძახდნენ – „ის გააკეთებს ამას“. ნებაყოფლობით დანებებაზე საუბარი არ ყოფილა. უსაფრთხოების ზომები და მატერიალური ქონების ნაწილის დაცვა დიდი ხნის გაძლიერებული იყო. ამ დროს მომიწია ტიფლისში გამგზავრება, სადაც გადავწყვიტე რჩევა ავტორიტეტის მქონე პირისთვის – ანდრონიკოვისთვის ან წულუკიძისთვის მეკითხა.

გოლოვინის პროსპექტზე შევხვდი ჯავახოვს და ვუთხარი, რომ ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან დალაპარაკება მინდოდა. მითხრა, რომ მომიხერხებდა. საღამოს მივედი ღუნიბის ქუჩაზე, სადაც შევხვდი ნარიკელაძეს, რომელმაც წამიყვანა თავისთან სახლში. ვფიქრობდი, აქ ორიდან ერთ–ერთს შევხვდებოდი, მაგრამ იქ რამდენიმე ადამიანი დამხვდა. ზემოთ დასახელებული

62 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 56.
63 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 59.

ორი პირის გარდა, იქ ისხდა სამოქალაქო სამოსში ჩაცმული ორი ან სამი ადამიანი. ერთ-ერთმა, სამოქალაქო სამოსში ჩაცმულმა მთხოვა მომეთხრო. ამგვარად, ნახევრად ოფიციალური, ერთი-ერთზე საუბრის ნაცვლად, კრებაზე გამოსვლა მომიწია. განვაცხადე, რომ მუხროვანში დადის ჭორები ჩოლოყაევის მიერ ბატარეაზე თავდასხმის სურვილის შესახებ და იმის გათვალისწინებით, რომ ბატარეა თავისთავად ძალზე სუსტია საკუთარი თავის დაცვისთვის, აღარ ვიცი, მივანიჭო ამ ჭორებს მნიშვნელობა, თუ დახმარებისთვის ხელისუფლებას მივმართო. ერთ-ერთმა დამსწრემ მკითხა, რამდენად სარწმუნოა ეს ჭორები და რა გზებით იქნა მიღებული. ვუპასუხე, რომ ამაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო, რადგან არ ვიცოდი, ვინ ავრცელებდა. ჩემს განცხადებაზე სამოქალაქო სამოსში ჩაცმულმა თეთრულვაშიანმა თქვა, რომ ბატარეა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაბარდეს და მზად უნდა იყოს მოულოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად, ხოლო თუ მე ვერ გავთვლი საკუთარ ძალებზე, მაშინ უნდა მოვითხოვო დახმარება.

ამონარიდი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენებიდან 10/III-1923 წ.: [64]

ჯავახიშვილი 1920 ან 1921 წელს, ქუჩაში გავიცანი. მისი გარეგნული ნიშნებია: დაბალი, დაახლოებით 30 წლის, გაპარსული წვერით, ატარებს ულვაშს. ვინ გამაცნო იგი, არ მახსოვს. ვხვდებოდით ხოლმე ქუჩაში. ყოველთვის თვითონ მოდიოდა ჩემთან. 1922 წლის სექტემბერში მუხროვანიდან ჩამოსულს გოლოვინის პროსპექტზე შემხვდა. მომიახლოვდა და მკითხა „რა არის ახალიო“. შევატყობინე, რომ დადის სხვადასხვაგვარი ჭორები, კერძოდ, ბატარეაზე ჩოლოყაევის შესაძლო თავდასხმის შესახებ. არ მახსოვს, რა მიპასუხა. როცა ვუთხარი, არ ვიცი როგორ მოვიქცე, ვის ვკითხო რჩევა-მეთქი, არაფერი მითხრა და ასე დავშორდით ერთმანეთს.

შევასწორებ - ჯავახიშვილს ვუთხარი, ბატარეაზე ჩოლოყაევის შესაძლო თავდასხმასთან დაკავშირებით ვარდენ წულუკიძეს ან ანდრონიკოვს რჩევა მინდა ვკითხო-მეთქი, ჯავახიშვილმა - „კარგიო“ და წავიდა. ამ საუბრამდე, არ მახსოვს ვისგან, მაგრამ ვიცოდი, რომ ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკოვი და მუსხელოვი „სამხედრო ცენტრში“ არიან. დავამატებ, რომ ჯავახიშვილმა ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან შესახვედრად, ღუბინსკის ქუჩაზე საღამოს 7–8 საათისთვის მთხოვა მისვლა. გუბინსკის ქუჩაზე შევხვდი ნარიკელაძეს, რომელმაც მიმიყვანა თავის ბინაში, სადაც უკვე მიმდინარე „სამხედრო ცენტრის“ კრებაზე აღმოვჩნდი. გავიმეორებ, მე პირადად ანდრონიკოვთან მინდოდა შეხვედრა, მისი არყოფნის შემთხვევაში - წულუკიძესთან და არა „სამხედრო ცენტრთან“. სამოქალაქო სამოსში ჩაცმული თეთრულვაშიანი დამსწრის წინადადებით, კრებას, რომელსაც ესწრებოდა ექვსი ადამიანი, მოვახსენე შემდეგი: არის ცნობა (ჭორები) იმის შესახებ, რომ ჩოლოყაევს ბატარეაზე თავდასხმა და ძალის გამოყენებით მისი მიმხრობა უნდა. იმის გათვალისწინებით, რომ ბატარეის ყველა ოფიცერი ძალიან ღელავს, რადგან არავის სურს ამ ავანტიურაში მონაწილეობის მიღება, მე კი არ ვიცი, დავიჯერო თუ არა ეს ჭორები. კრების დამსწრეებმა (მათგან მე სახეზე მხოლოდ ვარდენ წულუკიძეს, ანდრონიკოვს და ნარიკელაძეს ვიცნობდი) ბატარეაზე თავდასხმის შემთხვევაში, თავდამსხმელთა მოგერიება და უკიდურეს შემთხვევაში, დახმარებისთვის ხელისუფლებისთვის მიმართვა მირჩიეს. შემდეგ მოვახსენე, რომ 1922 წლის მაისიდან ვცდილობ ბატარეის ტიფლისში გადაყვანას. ამაზე მითხრეს - „საუკეთესოაო“. ტიფლისიდან მუხროვანში ჩასვლის შემდეგ ბატარეის არც ერთი ოფიცრისთვის „სამხედრო ცენტრში“ ჩემი მოხსენების შესახებ არაფერი მითქვამს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

64 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 57.

ამონარიდი გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევის ჩვენებიდან 16/III-1923 წ.: [65]

ჩემს დაპატიმრებამდე „სამხედრო ცენტრი“ როგორც ასეთი ოფიციალურად არ არსებობდა. ფაღავას თქმით, იგეგმებოდა მისი შექმნა შემდეგი შემადგენლობით: ანდრონიკოვი, ვ. წულუკიძე, მუსხელოვი. ნარიკელაძე ორივე შეხვედრას ესწრებოდა, მაგრამ შედიოდა თუ არა იგი სამხედრო ცენტრში, ჩემთვის ცნობილი არაა. მის შესახებ კითხვაზე პასუხს ფაღავა რატომღაც გაურბოდა. მე უნდა შევსულიყავი სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში როგორც მენშევიკური პარტიის ცეკას წარმომადგენელი, თუმცა მენშევიკური პარტიის წევრი არ ვიყავი. ფაღავამ აღნიშნა, რომ შემადგენლობა, პარტიების მოთხოვნების შესაბამისად, შეიძლება შეცვლილიყო. სამხედრო ცენტრის მუშაობის შესახებ საკითხი იდგა შემდეგნაირად: პარიტეტული კომიტეტი სამხედრო ცენტრს ყველაფრით უზრუნველყოფდა, ხოლო სამხედრო ცენტრი შეიმუშავებდა სამოქმედო გეგმას. წითელარმიელთა შორის კომკავშირელების მიერ სამუშაოების ჩატარებას დაუშვებლად მიიჩნევდნენ, ქართულ ნაწილებში უჯრედების შექმნა პარიტეტში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს უნდა უზრუნველეყოთ. ასე აყენებდა საკითხს ფაღავა, თუმცა სხდომაზე ამაზე არ უსაუბრიათ. კავშირს ფაღავასა და იოსებ ცინცაძესთან ვაწარმოებდი ნაპოლეონ კახიანის მეშვეობით, რომლის ბინაშიც ვხვდებოდი ფაღავას ავჭალის ქუჩაზე, ხოლო ცინცაძეს ნიკოლოზის ქუჩაზე ვიღაც ექიმის ბინაში /კიროჩნაიას ქუჩიდან მარჯვენა მხარეს ორსართულიანი სახლია, მეორე სართულზე, ხელმარჯვნივ/.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ბ. აღნიაშვილის (აღნიევის) წერილი 9/III-1923 წ.: [66]

საიდუმლო

ამხ. აშუკინს

ქართული დივიზიის შტაბის უფროსის, რ. მუსხელოვის შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რომელიც ჩოლოყაშვილის ბანდის მიერ იყო მოწყობილი, მუსხელოვს, როგორც საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსს, არმიის შტაბისთვის აჯანყების სამხედრო ლიკვიდაციის აღწერილობის დაწერა დაევალა. მუსხელოვმა მე და ამხ. ოკუჯავას ამ აღწერილობის შესავალი ნაწილისთვის თეზისების მომზადება გვთხოვა. ხსენებული თეზისები მოვამზადე, სადაც შევეცადე საქართველოში ბანდიტიზმის ხასიათის ზოგადი შეფასება გამეკეთებინა. როდესაც მუსხელოვს ეს თეზისები გადავეცი, გავაფრთხილე, რომ მათი შინაარსი საიდუმლო იყო და გამოყენებისთანავე დაებრუნებინა ჩემთვის. დღეს თქვენთან, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში ვნახე ჩემი თეზისების ასლები, რომლებიც მენშევიკს ჩამოერთვა. ეჭვგარეშეა, რომ მუსხელოვმა ან მისი მითითებით, მისმა უახლოესმა თანამშრომელმა გადაიღო ისინი მენშევიკებისთვის. ეს ახასიათებს მუსხელოვს, როგორც მოღალატეს, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ

65 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 63.
66 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 86.

შორის დიდი ნდობით სარგებლობდა.

დუშეთის მაზრის პოლიტბიუროს უფროსმა, ამხ. მჭედლიძემ, ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის დროს შემატყობინა, რომ ჰქონდა აგენტურული ინფორმაცია ბანდების დუშეთზე თავდასხმის შესახებ, რომელთაც სათავეში ედგნენ ოფიცრები - ფავლენოვი და გვერდწითელი და რომ მუსხელოვს გაეფრთხილებინა ბანდები იმის შესახებ, რომ დუშეთზე თავდასხმა არ შეიძლებოდა, რადგან დუშელებს მიეღოთ ყველა ზომა ქალაქის დასაცავად.

გულახდილად ვაცხადებ, რომ მაშინ ამ ინფორმაციისთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიმიქცევია და ის პროვოკაციად მივიჩნიე; მიუხედავად ამისა, გავეცი განკარგულება პოლიტბიუროს უფროსს, გაეძლიერებინა საექსპედიციო რაზმის შტაბის თვალთვალი და მოეპოვებინა დამატებითი ინფორმაცია. ახლა, მომხდარი მოვლენების შემდეგ, ჩემთვის ცხადია, რომ მუსხელოვს შეეძლო ჰქონოდა კავშირი ბანდიტებთან.

პოლიტბიუროს უფროსმა ამხ. მჭედლიძემ, ხევსურეთის აჯანყების დასრულებისა და საექსპედიციო რაზმის გაუქმების შემდეგ მითხრა, რომ ოფიცერ ფავლენოვის ბანდიდან ერთ-ერთ დაჭერილ ბანდიტს აღმოუჩინეს წერილი მონაცემებით, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე „როსტომი“. ჩემთვის ამჟამად ცხადია, რომ ეს წერილი მუსხელოვის მიერ იყო დაწერილი /მას როსტომი ჰქვია/ და რომ თავდასხმა, რომელიც განხორციელდა ჩემზე ფავლენოვისა და გვერდწითელის ბანდების მიერ საქართველოს სამხედრო გზაზე, მოწყობილი იყო მუსხელოვის მონაწილეობით. ეს იმითაც დასტურდება, რომ თბილისიდან ჩემი გასვლის შესახებ მუსხელოვს ვაცნობე პირდაპირი კავშირით არმიის შტაბიდან და მის გარდა აღნიშნულის შესახებ არავინ იცოდა. როდესაც მუსხელოვს თბილისიდან ჩემი გასვლის საათს ვატყობინებდი, ვფიქრობდი, რომ ის მიიღებდა ზომებს მგზავრობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამის მიუხედავად, ჩემსა და ნ. ოკუჯავაზე მოხდა ჩასაფრებული ბანდიტების თავდასხმა. როგორც მითხრეს, თავდასხმა არ იყო შემთხვევითი, საგანგებოდ ორგანიზებული იყო. აღნიშნული დასტურდება ერთ-ერთი შემდგომში დაკავებული / თავდამსხმელი/ ბანდიტის ჩვენებით, რომლის მიხედვითაც, ბანდამ ზუსტად იცოდა, რომ იმ დღეს დუშეთში უნდა ჩავსულიყავი და თბილისში დავბრუნებულიყავი. როგორც ეტყობა, ბანდიტებს ამის შესახებ მუსხელოვმა აცნობა, იმ მუსხელოვმა, რომელიც ლამის თვალცრემლიანი მილოცავდა სიკვდილისგან გადარჩენას. ეს უკვე მსახიობური ოსტატობით შესრულებული მოღალატეობაა!

ბ. აღნიაშვილი (აღნიევი).

Секретно.

ТОВ. АШУКИН.- 86

Относительно Наштадива Грузинской Р.МУСХЕЛОВА могу сообщить следующее:

1|После ликвидации Левсурского восстания,поднятого бандой ЧЕЛОКАЕВА, МУСХЕЛОВУ как Начальнику Штаба Экспедиционного Отдела,предложено было написать описание военной ликвидации этого восстания для Штаба Армии. МУСХЕЛОВ просил меня и тов.Н.ОКУДЖАВА написать тезисы для введения к этому описанию.Я написал МУСХЕЛОВУ эти тезисы,в которых я постарался дать общую оценку характера бандитизма в Грузии.Передавая МУСХЕЛОВУ эти тезисы,я его предупредил,что тезисы секретные и чтобы он,как только их использует,сейчас же передал бы мне обратно мою рукопись. МУСХЕЛОВ заверил меня,что мою рукопись использует секретно он сам лично и что через несколько дней возвратит ее обратно.Сегодня у Вас в ЗАКЧЕКА я видел копию моих тезисов,отобранных у меньшевика.Ясно,что МУСХЕЛОВ или его ближайший сотрудник по его указанию,снял эту копию для меньшевиков.Это характеризует МУСХЕЛОВА,который пользовался к сожалению у нас большим доверием,как определенного предателя.

2|Начальник Политбюро Душетского уезда тов.МЧЕДЛИДЗЕ во время ликвидации Левсурского восстания сообщил мне,что по агентурным сведениям он узнал относительно подготовляемого нападения на Душет бандой во главе с офицерами ПАВЛЕНОВЫМ и ГВЕРДЦИТЕЛИ и что по тем же сведениям он узнал,что будто МУСХЕЛОВ предупредил банду о том,что на Душет напасть нельзя,ибо душетцы приняли все меры охраны города.

Я тогда,говоря откровенно,не обратил на это достаточного внимания, считая это провакацией;но все же отдал распоряжение Начполитбюро усилить бдительность наблюдения над Штабом Экспедотряда и постараться собрать дополнительные сведения.Теперь,после все совершившегося,для меня ясно, что МУСХЕЛОВ мог иметь связь с бандитами.

3|Тот же Начальник Политбюро тов.МЧЕДЛИДЗЕ уже после окончания восстания в Левсуретии и ликвидации Экспедотряда сказал мне,что у одного из пойманных бандитов шайки офицера ПАВЛЕНОВА найдена записка с какими то сведениями,написанная"Р о с т о м ".Теперь для меня ясно,что это записка писана МУСХЕЛОВЫМ |его зовут Ростом| и что нападение,совершенное бандитами шайки ПАВЛЕНОВА и ГВЕРДЦИТЕЛИ,по Военно-Грузинской дороге на меня было организовано при ближайшем участии МУСХЕЛОВА.Это видно еще из того,что о моем от"езде из Тифлиса я сообщил МУСХЕЛОВУ по прямому проводу из Штаба Армии и кроме него никто об этом не знал.Сообщая предварительно МУСХЕЛОВУ о часе моего от"езда из Тифлиса,я думал,что он примет меры для безопастности пути.Однако,на меня и ОКУДЖАВА Н. было совершено нападение бандитов из засады.Как мне передавали нападение было не случайное, а специально организованное.Это последнее подтверждается показанием одного из в последствии пойманных|нападавших|бандитов,который сказал, что банда знала точно о том,что я должен в этот день проехать в Душет, и обратно в Тифлис.Очевидно,МУСХЕЛОВ сообщил об этом бандитам,тот самый МУСХЕЛОВ,который чуть-ли не со слезами на глазах поздравлял меня с благополучным избавлением от смерти.Это уже артистическое предательство.

Б.АГНИАШВИЛИ|АГНИЕВ|

9|3-23 г.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 86.

დუშეთის მაზრის პოლიტბიუროს უფროსს [67]

პატიმარ ილურაძისგან

გაცნობებთ, რაც ჩემთვისაა ცნობილი: როცა პოლიტბიუროს სამსახურიდან ჩემი გათავისუფლება უნდოდათ, ამხ. მჭედლიძემ რწმუნებულის, ამხ. კობიაშვილის დასაძახებლად კობიანთკარში გამგზავნა. შემხვდა ვასო კობიაშვილი და მკითხა, რისთვის უნდოდათ ჩემი დაპატიმრება. ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. მაშინ მან მითხრა, თუ სამსახურიდან გაგიშვებენ, ჩემთან მოდი და ერთად შევუერთდეთ ბანდასო. მეც დავთანხმდი. როცა სამსახურიდან გამათავისუფლეს, მასთან მივედი და მან ბანდასთან წამიყვანა. 12 დღე-ღამის განმავლობაში ბანდიტებთან ვიმყოფებოდი, შემდეგ დუშეთში დავბრუნდი. ბანდაში იყვნენ შემდეგი პირები: მეთაური იყო 1) შალიკო ფავლენაშვილი, 2) ვასო კობიაშილი, 3) გიორგი ყაზბეგი, ეს იყო მოხუცი გორის მაზრიდან, 4) შურკა ვასილიევი, 5) ზურაბ შაბურიშვილი, 6) სიმონ ჭიაბრიშვილი, 7) სოსო (გვარი ჩემთვის ცნობილი არაა). კიდევ არის ორი პირი სოფელ ბოდორნოდან, სახელად შიოლა და ლადო, რომლებიც ხშირად მოდიან დუშეთში პროდუქტების საყიდლად.

ჩემი იქ ყოფნისას, ბანდაში მიმდინარეობდა შემდეგი საუბრები: რომ ველოდებით ლაშქარაშვილს, რომელიც გადმოვიდა გორიდან და 200 კაცთან ერთად ტყეში იმყოფება. რომ აპირებდნენ დუშეთზე თავდასხმას, მაგრამ გადაიფიქრეს, რადგან ცხენოსანთა რაზმის ექსპედიციის შტაბის უფროსისგან, სახელად როსტომი ერქვა (გვარი არ ვიცი), ჰქონდათ ინფორმაცია, რომ არ მოეხდინათ დუშეთზე თავდასხმა, რადგან ქალაქი გამაგრებული იყო. იქ ვიყავი მეც, როცა ყაზბეგი გორის მაზრაში გაუშვეს ორი ტყვიამფრქვევის ჩამოსატანად, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა.

ბანდიტებთან ყოფნისას ავად გავხდი. ვასო კობიაშვილმა მირჩია დუშეთში დავბრუნებულიყავი, მაგრამ დაპატიმრების მეშინოდა, თუმცა 2 ოქტომბერს მაინც წამოვედი, საღამოს პოლიტბიუროში გამოვცხადდი და თანამშრომელ დულკისს ვკითხე, უფროსი სად არის-მეთქი, მინდოდა მისთვის ზემოაღნიშნული ბანდის შესახებ მეცნობებინა, მაგრამ გავიგე, უფროსი ტიფლისშიაო. როცა ტიფლისდან დაბრუნდით, უკვე შემეშინდა თქვენი ინფორმირება, რადგან შეიძლება კონსპირაცია დარღვეულიყო და ბანდიტებს მოვეკალი, როგორც ეს გოგობერიძის შემთხვევაში მოხდა. ეს ბანდა სოფელ შაშაბურის მოპირდაპირედ, ბოდორის ტყეებში იმყოფება.

ასლი დედანთან სწორია: **ხელმოწერა.**

67 შსს არქივი, (I), ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 164.

ამონაწერი[68]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: როსტომ ილიას ძე მუსხელოვი, 35 წლის, ყოფილი აზნაური, გენშტაბის ყოფილი პოლკოვნიკი, ქართული დივიზიის შტაბის მეთაური.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: როსტომ ილიას ძე მუსხელოვს, 35 წლის, ყოფილ აზნაურს, გენშტაბის ყოფილ პოლკოვნიკს, ქართული დივიზიის შტაბის მეთაურს, რომელიც თანამდებობაზე ყოფნის დროს, შევიდა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში, მუშაობდა მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატებისთვის, აწვდიდა მათ საიდუმლო შინაარსის მქონე ცნობებს. დუშეთის აჯანყების დროს, როდესაც იყო შტაბის რაზმის მეთაური, კავშირი დაამყარა ბანდიტებთან და ხელმძღვანელობდა მათ მოქმედებებს - **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

68 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 188.



198

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 г
Расширенного Заседания Коллегий Закавказской и Грузинской
чайных Комиссий.

Под председательством Предзакчк т. МОГИЛЕВСКАГО
Присутствовали: т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАЛИНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, НА
БЕРИ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

С л у ш а л и :

Докладчик тов. АПУКИН:

I-Дело военной организации анти-советских партий, по обвинению:

4/ МУЖЕЛОВА Ростома Ильича, 35 лет, б.дворянина, б.полковника генштаба, Нач. Штаба Грузсводной дивизии.-

П о с т а н о в и л

I - За Организацию заговора пр
власти Грузии, создание банди
кения в Грузии и участие в нем, ш
в пользу Антанты, предательство и
Рабоче-крестьянскому Госуда
НОВЛЕНО:

4/ МУЖЕЛОВА Ростом Ильича, 35 л., бы
дворянина, б.полковника генштаба, Нач.
Штаба Грузсвод.дивизии. Состоя в назв
ной должности, вошел в состав Военна
Центра, работал по заданиям меньшевик
и нац.-демократов, сообщал им военные
ведения секретного характера и во
время дуцетского возстания, на должно
Нач.-Штаба Отряда поддерживал связь с
бандитами, руководя их действиями -
РАССТРЕЛЯТЬ.- Приговор привести в испо
нение в 24-х часовый срок.-

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧПРИОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАТСОВ/

188

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 188.

ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე


(1883 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23535, 1 ტომი, 47 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობა;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენებები;
- წერილი;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.


Архив № 296
31/I 1923 года
Закавкасск. Чрезвыч. Комиссия
при Союзсовете
ДЕЛО № 153р.
Начато „ 4 „ мая 1923 г.
Кончено „ 19 „ мая 1923 г.
Арх № 296 9120-3

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 3.

ივანე ქუთათელაძე


„...ყოფილი აზნაური, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მონაწილე...”

/აგენტურული ცნობები./



საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის 3 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის მიერ გაიცა N26 ორდერი, რომლის საფუძველზე ЗАКЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე ხოხლოვს ევალებოდა ივანე ქუთათელაძის დაპატიმრება და ბელინსკის ქ. N39-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

5

ОРДЕР № 26.

3 марта дня 1923 г.

Выдан сотруднику Закчека Хохлову

на производство обыска и ареста Кутателадзе Ивана

по адресу Белинская 39

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Место для печати

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Справка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 5.

იმავე დღეს შედგა ოქმი[1] ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N26 ორდერის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ ივანე ქუთათელაძისგან პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა: აჭიმები (ძველი), N862 დოკუმენტი, ბავშვის ნაქსოვი ფაჩუჩები... ხოლო ბინის ჩხრეკისას: იარაღის ბუდე - კავკასიური, „ნაგანის“ 12 ცალი ვაზნა, 2 წიგნი, მიმოწერა და სამსახურებრივი ბარათი.

ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე დააპატიმრეს 1923 წლის 3 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

<u>დაპატიმრების ფურცელი N82</u>

გვარი, სახელი, მამის სახელი	ქუთათელაძე ივანე ნიკოლოზის ძე
მისამართი	თბილისი, ბელინსკის ქ. N39.
ასაკი	40 წლის.
განათლება	უმაღლესი.
პროფესია	ვეტექიმი.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	
პარტიულობა	უპარტიო, თანაუგრძნობს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	პროფესიული შემოსავლით.
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	საგანგებო კომისიის მიერ.
რის საფუძველზე	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე

ხელმოწერა: **ივანე გრ. ქუთათელაძე.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ. 7, 11-12.



Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 82

3 Мая 192 г.

Фамилия [illegible] Имя и отчество Иван Григорьев

Адрес: Большая 39 кв 2

Возраст 40

Образование Высшее

Профессия Инженер

Где работает и долго ли

Партийность Без партии с 07 г. по

Состоит ли членом какой либо организации и долго ли [illegible]

На какия средства живет Практикой

Имеет ли семью семейный

Кем арестован Чрезвычайкой

На каком основании

Подпись: Иван Гр Кутателадзе

Приметы:

Сдал *Принял*

3

ცსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 8.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N96</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	ქუთათელაძე
2) ***სახელი, მამის სახელი***	ივანე გრიგოლის ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველოს სსრ
4) ***ჩაწერის ადგილი***	ქ. ქუთაისი, ივანდიდი
5) ***ეროვნება***	ქართველი
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	40 წლის, 1853 წლის თებერვალი
7) ***განათლება***	უმაღლესი
8) ***ოჯახი***	***მამა:*** გრიგოლ კონსტანტინეს ძე, 70 წლის. ***დედა:*** ევდოკია ნიკოლოზის ასული, 65 წლის.
	მეუღლე: ანა გიორგის ასული, 35 წლის.
	შვილები: გუგული ივანეს ასული, 14 წლის; (სახელი არ იკითხება) ივანეს ძე, 11 წლის; მირიან ივანეს ძე, 8 წლის; ანა ივანეს ასული, 5 წლის; ნატალია ივანეს ასული, 11 წლის.
	და: ანა გრიგოლის ასული, 35 წლის.

9) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი*	მამა მოხუცია, და - დიასახლისი, ისინი ცხოვრობენ ივანდიდში.
10) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი*	
11) *პარტიულობა*	უპარტიო, თანაუგრძნობს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.
12) *პროფესია*	ვეტექიმი
13) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) მსახურობდა ყარსის 26-ე სასაზღვრო ბრიგადაში, ომის გამოცხადების შემდგომ - კავკასიურ არმიაში. ბ) დაპატიმრებამდე მსახურობდა არმიის ვეტერინარიულ ნაწილში, რაშიც იღებდა ჰონორარს.
14) *წოდება*	
15) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	იღებდა ჰონორარს არმიის ვეტნაწილში სამსახურისთვის.
16) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	
17) *ნასამართლობა*	
18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	ა) სამხედრო მოხალისე რეზერვისტი. ბ) ვეტექიმი.
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	
20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	ЗАКЧЕКА-ს მიერ
21) *სად მოხდა დაპატიმრება*	თბილისში, საკუთარ სახლში.

22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	
23) *იყო თუ არა წარდგენილი გრაფლდება დაკითხვის დროს*	
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	თბილისი

პატიმრის ხელმოწერა: **ივანე გრ. ქუთათელაძე.**

3 მარტი, 1923 წ.

მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)

25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	

XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:

Особый Отдел при Реввоенсовете XI армии.


АНКЕТА № 82.

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	О Т В Е Т Ы
I-я часть заполняется заключенным	
1) Фамилия	Кутателадзе.
2) Имя и отчество	Иван Григорьевич
3) Гражданин(ка) какого государства	С.С.Р.Р.
4) Место приписки	Губ. Кутаисск уезд село город Шорапани
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	1883 лет, родился в г. Сухум месяц 19 года
7) Образование: а) грамотный ли б) какую школу окончил, в) если не окончил, то сколько прошел	а) б) окончил Высшее школу в) прошел класс курс школы
8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестр)	Степень родства / Фамилия, имя и отчество / Возраст / Место жительства / Место работы и должность или профессия 1 Отец Григорий Ро 70 г. Шорапани б/р 2 Мать Екатерина Кут 65 г. Шорапани — б. 3 Жена Екатерина 35 г. Шорапани — Шорапани 4 Дочь Грузия 14 г. Екатеринбург — 3 кл. 5 Сын Владимир 11 г.
9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)	Степень родства / Фамилия, имя и отчество / Воинское звание, род оружия в старой армии / Место службы и должности в настоящее время 1 Отец, брат, а сестра жена 2 одного офицера, служат в Красной 3 Армии в Шорапани.
	Степень родства / Фамилия, имя и отчество / Военное звание, род оружия или / Место службы

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 9.



11) Партийная принадлежность
а) в какой партии состоит,
б) с какого времени

а) состою членом _____ партии
б) Февральской _____ месяц 19__ года

12) Профессия

13) Место работы (службы): а) с начала войны до 1/III 1917 г. б) с 1/III 1917 г. по день ареста.

Название предприятия или учреждения	Профессия или должность
а)	
б)	

...состоит на госуд. службе в каком чине

...и не служил и не работал наймУ, то на какие средства ...л

...дел-ли недвижимым имуществом, каким именно и где

...влекался ли к ответствен. суду или в админ. порядке

...ношение к воинской повинности: а) воинское звание, под...ия или специальность; б) ...освобожден от воинской ...ности, то на каком осно-

а) ополченец
б) ...февраля

...л арестован _____ месяц 19__ года

...арестован, по чьему орде... и № ордера

...арестован: а) губер., уезд. ... село гор., улица и № до... б) при каких обстоятельствах арестован (на своей квар...ре в засаде, на собрании, в ...де и проч.

а) На квартире
б)

...ла и кем допрошен, в пер... раз

...д'явлено-ли обвинение при ...росе и в чем именно

...сто жительства перед аре...м

Подпись заключенного Ив. Гр. Кутателадзе

" 1 " марта 1918 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 10.

XI წითელი არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული

განსაკუთრებული განყოფილება

საკომენდანტო ნაწილი

ნივთების ქვითარი N26


3 მარტი 1923 წ.

მოქალაქე ივანე ქუთათელაძის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები:

1. იარაღის კავკასიური ბუდე – 1 ცალი.

2. „ნაგანის“ ვაზნა - 12 ცალი.

3. ჩაიბარა: ЗАКЧЕКА-ს მორიგემ **ივაშკინმა**.



Особый отдел
при Рев. Военном совете XI красной армии
КОМЕНДАНТСКАЯ ЧАСТЬ

Вещевая квитанция № 26

3 марта 1923 г.

У гражд Кутателадзе Ивана Григор

На основании Украинская обыска на Квартире от 3/III-23

№ по порядку	Перечень принятых вещей	Количество	СУММА Р.	СУММА К.	ВЕС П.	ВЕС Ф.	ВЕС З.
	Кавказский кабур	1 шт					
	Двенадцать шт патрон „Наган“	12 шт					


Сдал денщик
Заказа Иванов

Шსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 13.

ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძის ჩვენება 3/III-1923 წ.: [2]

3-4 თვის წინ ქუჩაში შემხვდა ან ჩემთან შინ მოვიდა ყოფილი ოფიცერი კოტე გაბაევი. მან საუბრისას, რომელიც ნელ-ნელა პოლიტიკურ თემებში გადაიზარდა, მითხრა, რომ ჰყავდა ოფიცერთა ჯგუფი, რომლებიც სამხედრო ორგანიზაციაში მუშაობდნენ. იმდენად, რამდენადაც გაბაევთან შეხვედრამდე ერთმა ჩემმა ნაცნობმა ეროვნულ-დემოკრატმა, მე, როგორც ეროვნულ-დემოკრატების გულშემატკივარს, პარტიაში მუშაობა შემომთავაზა, თუმცა, ვთქვი რა უარი პირდაპირ და უშუალო მონაწილეობაზე, გაბაევს შევპირდი, რომ ამ ჩემს ნაცნობს დაველაპარაკებოდი და მისი მეშვეობით შესაფერის კანდიდატურებს შევურჩევდი. როდესაც იმ ჩემს ნაცნობს შევახვედრე გაბაევი, მან ის საეჭვო პირად მიიჩნია და მითხრა, რომ ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ ,,ჩეკას" აგენტები. რადგან გაბაევთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებდა, მასთან ამ თემაზე საუბარი მომერიდა და ამიტომ, შემდგომი შეხვედრების დროს გავურბოდი არალეგალურ ორგანიზაციებზე სიტყვის ჩამოგდებას. ზემოხსენებული ჩემი ნაცნობისგან გაგონილი მქონდა, რომ მათ (ეროვნულ-დემოკრატებს) გააჩნდათ სამხედრო ორგანიზაცია. მისი გვარის დასახელება არ შემიძლია.

ი. გ. ქუთათელაძე.



15

ПОКАЗАНИЯ КУТАТЕЛАДЗЕ ИВАНА ГРИГОРЬЕВИЧА
от 3 марта 1923 года.

Месяца 3-4 тому назад ко мне зашел или встретился на улице гр. Коте ГАБАЕВ бывш.офицер. Во время разговора который перешел на политические темы, он сказал что у него имеется группа офицеров, которая работает в военной организации. Так как до встреча с ГАБАЕВЫМ один мой знакомый национал-демократ предложил мне как сочувствующему национал-демократам работать в партии, на что я отказавшись от прямой работы, согласился рекомендовать ему подходящих для партийной работы людей, то я обещал ГАБАЕВУ переговорить о нем с этим моим знакомым национал-демократом. Когда я подвел моему знакомому ГАБАЕВА, он сказал, что ГАБАЕВ человек подозрительный, что теперь развелось много агентов ЧК. Мне, давно знавшему ГАБАЕВА неловко было говорить ему о том, что я услышал от моего знакомого и я поэтому при последующих встречах с ГАБАЕВЫМ уклонялся от прямых разговоров на тему об нелегальных организациях. От вышеуказанного знакомого я слышал, что у них [нац.дем.] имеется военная организация. Фамилию моего знакомого нац.демократа назвать не могу.

Ив.Г. КУТАТЕЛАДЗЕ.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 15.

ამონარიდი მიხეილ საბას ძე ჯავახოვის ჩვენებიდან 29/III-1923 წ.:[3]

პარტიულ წრეებში ქუთათელაძეს შევხვედრილვარ, თუმცა კონკრეტულად რას საქმიანობდა, დაზუსტებით არ ვიცი. გასაბჭოებამდე ცენტრალური კომიტეტის აქტიურ წევრებად ითვლებოდნენ: პართენ გოთუა, დიმიტრი დუმბაძე, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი იოსებ მაჭავარიანი, წვერავა (თუმცა არც ერთ სხდომას არ დასწრებია), ანუ სოვეტიზაციამდე ყველა პირი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ.15
3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ.17

ფ ს ს რ

საკავშირო საბჭოს ამიერკავკასიის საგანგებო კომისია

კონტრდაზვერვის განყოფილება

ოქმი[4]

N საქმეზე

ტიფლისი, 16 მარტი, 1922 წ.

1. ***გვარი***	ქუთათელაძე
2. ***სახელი, მამის სახელი***	ივანე გრიგოლის ძე
3. ***ასაკი***	40
4. ***წარმომავლობა***	ქუთაისის გუბერნიის აზნაურთაგან
5. ***საცხოვრებელი მისამართი***	ქ. ტიფლისი, ბელინსკის ქ. 39
6. ***რას საქმიანობს***	ვეტექიმი
7. ***ოჯახური მდგომარეობა***	დაოჯახებული, მეუღლე, 5 შვილი, დედა, მამა და გაუთხოვარი და
8. ***ქონებრივი მდგომარეობა***	არა
9. ***პარტიულობა***	ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის მომხრე, პარტიის წევრი არ ყოფილა
10. ***პოლიტიკური მრწამსი***	იხ. § 9
11. ***განათლება***	საშუალო, ვეტერინარიის ინსტიტუტი

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ. 19-21.

12. ***რას საქმიანობს და სად მუშაობდა*** ***ა) 1914 წლის ომამდე;*** ***ბ) 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე;*** ***გ) 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე;*** ***დ) ოქტომბრის რევოლუციიდან დაპატიმრებამდე.***	ა) 1914 წლამდე - 1911 წლამდემსახურობდა სპარსეთის საზღვარზე, იყო უმცროსი ექიმი ყარსის 26-ე სასაზღვრო ბრიგადაში. ბ) 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე - 1915 წლამდე მსახურობდა საარტილერიო დივიზიონში, ასევე ვეტერინარ ექიმად 39-ე საარტილერიო ბრიგადის 1-ელ დივიზიაში. გ) 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე - 1917 წელს დაბრუნდა ქ. ტიფლისში, მუშაობდა ვეტექიმად.მენშევიკური მთავრობის დროს იყო მე-2 საარტილერიო ბრიგადის ექიმი, შემდეგ გაათავისუფლეს და გადაიყვანეს თადარიგში. დ) ოქტომბრის რევოლუციიდან დაპატიმრებამდე - გასაბჭოებიდან 1921 წლის მაისამდე ვეტერინარიული სამმართველოს ხელმძღვანელი, შემდეგ ეწეოდა კერძო პრაქტიკას.
13. ***ნასამართლობა***	ნასამართლევი არ ყოფილა, ერთი თვე დაპატიმრებული იყო მეტეხის ციხეში, ბრალი არ წარდგენია.

<u>საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი:</u>

ნიკოლოზ კაიშაური - ვიცნობ მას როგორც გაზეთ ,,სოფლის ცხოვრების“ რედაქტორს. მენშევიკური მთავრობის დროს მის გაზეთში ვბეჭდავდი სტატიებს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგში. ეს არის ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი, ამიტომ ვფიქრობ, რომ კაიშაური ეროვნულ-დემოკრატია. აღნიშნულის სავარაუდოდ სხვა საფუძველი არ მაქვს. მასთან პოლიტიკურ თემებზე არ მისაუბრია, ჩემს ბინაში არ მოსულა. მას ორჯერ შევხვდი კოოპერატივში, 2-3-ჯერ კი - ქუჩაში. ვფიქრობ, კოოპერატივში მუშაობდა. მას მივმართე ქინინის მისაღებად, რომელიც უნდა გამეყიდა სოფელში და გადამეცვალა პურსა და პროდუქტებზე. ეს ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე. სხვა საქმეზე მისთვის არ მიმიმართავს. ეს იყო 1922 წლის აგვისტოში.

ვიქტორ ყარანგოზოვი, 20-28 წლის, იურისტი, ყოფილი ნაფიცი ვექილი, ჩემთან 1922 წლის ოქტომბერში მოვიდა და მთხოვა, დაავადებული კატის სანახავად მივსულიყავი. მივედი მასთან სახლში და გავუწიე დახმარება. ამის შემდეგ ორჯერ შევხვდი ქუჩაში. ვსაუბრობდით მისი კატის შესახებ. იქამდე მას არ ვიცნობდი. მისი პოლიტიკური ორიენტაცია ჩემთვის უცნობია.

ავთანდილ კვიტაშვილი, სასაკლაოს ვეტერინარი ექიმი, არავითარი პოლიტიკური საქმიანობა მასთან არ მაკავშირებდა.

სასაკლაოს თანამშრომლებიდან მის გარდა არავის ვიცნობ.

ხელმოწერა.

საკავშირო საბჭოსთან არსებული[5]

ამიერკავკასიის საგანგებო კომისია

სამედიცინო ნაწილის უფროსი

ამხანაგ თავმჯდომარის მოადგილეს,

ამხ. ზალპეტერს

ქუთათელაძე გაიგზავნება სამკურნალო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. გამოიძახეთ მისი მეუღლე და ჩამოართვით გაუსვლელობის ხელწერილი.

25/III/1923 წ.

ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძის ჩვენება 14/III-1923 წ.: [6]

დაახლოებით 3 ან 4, შეიძლება სულაც 1 თვის წინ შევხვდი ამხანაგ იასონ ჯავახოვს, რომელმაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობა შემომთავაზა, თუმცა მე, ვინაიდან ძალიან დაკავებული ვიყავი ოჯახისა და ბავშვების საქმეებით, უარი ვუთხარი. ამავდროულად, სანაცვლოდ შევთავაზე ერთი ჩემი კარგი ნაცნობის კანდიდატურა, რომელიც, ჩემი აზრით, აღნიშნულ წინადადებას უნდა დასთანხმებოდა.

სულ რამდენიმე დღის შემდეგ, არ მახსოვს ქუჩაში თუ ჩემთან სახლში, შევხვდი კოტე გაბაევს და საუბრისას მან მითხრა, რომ ჰყავდა საჭირო ხალხი, რომლებიც მზად იყვნენ პოლიტიკურ ორგანიზაციაში საქმიანობისთვის.

ამის შემდეგ, სულ მალე ქუჩაში, თეატრ „რუსთაველის“ მახლობლად შევხვდი იასონ ჯავახოვს და ვუთხარი, რომ კოტე გაბაევია ის პირი, ვისაც მასთან სამუშაოდ რეკომენდაციას ვუწევდი, თუმცა იასონმა თქვა, რომ ის საეჭვო პიროვნებაა. ამის შემდეგ იასონ ჯავახიშვილი აღარ მინახავს და აღარც შევხვედრილვარ სადმე.


ხელმოწერა: **ი. გ. ქუთათელაძე.**

ოქმი შეადგინა: კონტრდაზვერვის I ქვეგანყოფილების უფროსმა, **ტალინგმა.**

დედანთან სწორია: კონტრდაზვერვის I ქვეგანყოფილების უფროსი საქმისმწარმოებელი

15/03/1923 - ტიფლისი.

5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ.22
6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ.23



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 23.

სრულიად საიდუმლოდ

წერილი[7]

საქართველოს საგანგებო კომისიის კონტრდაზვერვის I ქვეგანყოფილებას

14 აპრილი, 1923 წ.

N2613

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის (ЗАКЧЕКА) N1 გამასწორებელ სახლში ჩვენ მიერ გადმოგზავნილ იქნა პატიმარი ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე. გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რათა იგი იყოლიონ მკაცრ იზოლაციაში, არ მისცენ სხვა პატიმრებთან და გარე სამყაროსთან ნებისმიერი სახით კონტრაქტის უფლება და ჰყავდეთ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **პანკრატოვი.**

კონტრდაზვერვის I განყოფილების უფროსი **აშუკინი.**

კონტრდაზვერვის I ქვეგანყოფილების უფროსი **ტალინგი.**

7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ.29.

ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძის ჩვენება 9/V-1923 წ.: [8]

1922 წლის სექტემბერში გოლოვინის პროსპექტზე შევხვდი იასონ ჯავახოვს, რომელთან ერთადაც ვსწავლობდი გიმნაზიაში და რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ. მან შემომთავაზა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრიანება და მითხრა, რომ მე, როგორც ნამდვილი ქართველი, ვალდებული ვიყავი ეს გამეკეთებინა. ვუთხარი, რომ არ შემეძლო, ვინაიდან მყავდა დიდი ოჯახი, რომელსაც რჩენა სჭირდებოდა, ხოლო თუ პოლიტიკაში წავიდოდი, მაშინ ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი. ამასთანავე, ვუთხარი, რომ მყავდა ადამიანი, რომელიც, სავარაუდოდ, ისურვებდა მასთან მუშაობას და თუკი დათანხმდებოდა, გვარსაც მერე ვეტყოდი. ამ სიტყვით დავშორდით ერთმანეთს.

მანამდე ნანახი მყავდა კონსტანტინე გაბაევი, რომელთან საუბრის შემდეგაც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მას სურდა მსგავს ორგანიზაციაში მუშაობა. იასონთან საუბრის შემდგომ კიდევ ერთხელ შევხვდი გაბაევს და ზუსტად აღარ მახსოვს, თავდაპირველად მისი მხრიდან წამოვიდა ინიციატივა თუ პირველმა მე შევთავაზე პარტიაში მუშაობის დაწყება. აღნიშნულის შემდეგ კვლავ მოვინახულე იასონ ჯავახოვი და გადავეცი გაბაევის თამხმობის შესახებ, თუმცა მან მიპასუხა, რომ არ მოსწონდა და საეჭვოდ მიაჩნდა ეს პიროვნება.

აღნიშნული საუბრის შემდეგ, ზუსტად აღარ მახსოვს და რამდენიმე დღეში იასონ ჯავახოვი ჩემთან შინ მოვიდა ერთ ქართველთან ერთად (გვარი არ ვიცი) და მითხრა, რომ ამიერიდან ეს ამხანაგი ივლიდა ჩემთან და მოიტანდა მისგან ცნობებსა და ინფორმაციებს, რომელთაც საჭიროების მიხედვით გადავცემდით სხვებსაც, ანუ, ერთი სიტყვით, ეს კაცი იქნებოდა „მეკავშირე“ იასონსა და ორგანიზაციის დანარჩენ წევრებს შორის. როდესაც მე მისი გვარი ვიკითხე, იასონმა მითხრა, რომ ამის ცოდნა ჩემთვის საჭირო არ იყო.

მისი გარეგნული ნიშნებია: საშუალო სიმაღლის, შატენი, გაპარსული წვერ-ულვაშით, ემოსა პალტო. სხვა დანარჩენ დეტალებს ვერ ვიხსენებ.

ჩემი აზრით, „მეკავშირე“ ახლო ურთიერთობებში იყო ვიქტორ ყარანგოზოვთან, ვინაიდან ორი შემთხვევა მახსენდება, როდესაც ჯერ თვითონ მოვიდა და ორიოდე წუთში ვიქტორიც მოყვა. ისინი ფულის შესახებ საუბრობდნენ და მალევე იშლებოდნენ. „მეკავშირე“ არწმუნებდა მას, რომ აუცილებელი იყო საჭირო თანხების შეგროვება, რაზეც ყარანგოზოვი პასუხობდა, რომ ფულად სახსრებს ნაცნობებს შორის მოიძიებდა.

ანალოგიური წინადადება „მეკავშირემ“ მეც გამიკეთა, თუმცა ვუთხარი, რომ არაფრის შეგროვება არ შემეძლო და ჩემს იმედზე მაინცდამაინც ნუ იქნებოდნენ.

8 ნოემბერს ჩემს ბინაში შედგა შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ ვიქტორ ყარანგოზოვი, გაბაევი, „მეკავშირე“ და კიდევ ერთი, რომლის სახელი და გვარიც ასევე არ ვიცი. მისი გარეგნული ნიშნებია: ჩემზე ოდნავ დაბალი, საშუალო სიმსუქნის, ღია ფერის თმებით. ყოველ შემთხვევაში, ნიკო კაიშაური (სსს N43862) ნამდვილად არ იყო.

„მეკავშირემ“ ანგარიში წარმოადგინა იმის შესახებ, რომ კონსტანტინოპოლიდან გვქონდა ახალი ცნობები, რომ ვიღაც ჩამოსულიყო (ზუსტად არ მახსოვს) და რომ ფულიც გადმორიცხულია. ამასთან, მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს სასარგებლოდ იყო შეცვლილი და ბევრი მუშაობა მოგვიწევდა, მათ შორის, დამატებითი ფულის შეგროვებაც, ვინაიდან უკვე გადმორიცხული რესურსი საკმარისი არ იქნებოდა გაზეთის გამოსაცემად.

ფულის შესახებ ყარანგოზოვიც საუბრობდა. მან დაამატა, რომ ახლობლებისაგან გარკვეული თანხა უკვე შეკრებილი ჰქონდა და იგივეს გაკეთებას დანარჩენებსაც გვირჩევდა.

ამის შემდეგ ნელ-ნელა დავიშალეთ. ამ საუბარს გაბაევი არ ესწრებოდა. როდესაც ის მოვიდა,

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 39-40.

„მეკავშირე“ და ის მეორე დაუყოვნებლივ წავიდნენ. დარჩნენ მხოლოდ ყარანგოზოვი და გაბაევი. მათ რაზე ისაუბრეს, არ ვიცი, მოშორებით ვიდექი.

ერთხელ, ძველით ახალი წლის წინა დღეს, ნიკო კაიშაური მოვიდა და მითხრა, რომ აუცილებელი იყო ფულის შეგროვება. სამხედრო ორგანიზაციის არსებობის შესახებ პირველად, „მეკავშირისგან“ შევიტყვე. ის საუბრობდა რაღაც ერთიან სტრუქტურაზე, რომელშიც მხოლოდ ოფიცრები უნდა შესულიყვნენ.

გაბაევთან დაკავშირებით ისე გამოდიოდა, რომ მერიდებოდა მისთვის ჯავახოვის ეჭვების გამხელა, არადა მან თვითონ შემომთავაზა მოხალისეთა სიები თავის ნაცნობ ოფიცერთა წრიდან, თუმცა მათი შედგენის შესახებ დავალება არავისგან ჰქონდა მიღებული.

კითხვაზე, მოდიოდა თუ არა ჩემთან კაიშაური ყარანგოზოვთან ერთად, გეტყვით, რომ არ მახსოვს. ასევე, ვარდენ წულუკიძესთან მოლაპარაკებების შესახებ რაიმე საუბარი შეკრებებზე არ მქონია.

აქვე დავამატებ - „მეკავშირემ“ მთხოვა მომეძებნა კაცი ექსპროპრიაციისათვის. მე ვუპასუხე, რომ ამის მოწყობა შესაძლებელი იქნებოდა გაბაევის მეშვეობით, თუმცა, მას შემდეგ, რაც იასონ ჯავახიშვილმა მასთან დაკავშირებით არსებულ ეჭვებზე ისაუბრა, ექსპროპრიაციაზე ლაპარაკი აღარ ყოფილა. გაბაევის მოცემული სია მაშინათვე დავხიე, ვინაიდან პროვოკაციის მეშინოდა.

სამხედრო კოლეგიის შემადგენლობის შესახებ არაფერი ვიცი. ასევე არაფერი ვიცი გულისოვის საქმიანობის შესახებ.

გაბაევი ამბობდა, რომ მისი დაპატიმრების შემთხვევაში ცოცხლად არ ჩაბარდებოდა და რომ ჩვენთან მხოლოდ საიმედო ხალხი მოვიდოდა.

ვლადიმერ ანთიძეს არ ვიცნობდი.

ი. გ. ქუთათელაძე.

დაკითხვას აწარმოებდა: **პეტროსიანი**.

ასლი დედანთან სწორია.

თბილისის გამასწორებელ სახლთა ცენტრალური საავადმყოფო[9]

ამიერკავკასიის საგანგებო კომისია

თბილისი, ვორონცოვის ქ. N27, ორთაჭალა, ტელ: 15-31.

გამოკვლევის აქტი N1043 (30/IV/1923 წ.)

გამასწორებელი სახლის ექიმის 30 აპრილის №49 მოთხოვნის საფუძველზე, შემოწმებული იქნა პატიმარი პაციენტი ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე. ქუთათელაძე უჩივის ხველას, ქოშინს, ღამე ოფლიანობასა და სისუსტეს. 1907 წელს გადაიტანა ფილტვების ავადმყოფობა და იღებდა ტუბერკულინს ექიმი შალვა მიქელაძის დაკვირვების ქვეშ. 1917 წელს გაუმწვავდა ფილტვის დაავადება, დაეწყო სისხლიანი ხველა და ამიტომ გაიარა მკურნალობის კურსი ბრიგადის ექიმ გენევოლსკისთან.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პაციენტს კვლავ აღენიშნებოდა გაძლიერებული ხველა და გამოხატული სიგამხდრე, ასევე ოფლიანობა.

ობიექტურად: სუსტი კვების, კანის საფარი ფერმკრთალი, ფილტვებში მარცხენა ლავიწზედა და ლავიწქვედა ფოსოებში ისმინება გაგრძელებული მკვეთრი სუნთქვა, პერკუსიულად ხმა მოყრუებულია, მარჯვენა ლავიწზედა ფოსოში ამოსუნთქვა გაგრძელებულია.


ნერვული სისტემის მხრივ: ექიმ-ნევროპათოლოგის, ელიზაროვის მიმდინარე წლის 26 აპრილის დასკვნის თანახმად, პაციენტი ქუთათელაძე უაღრესად აღგზნებული და აფექტურია, საკუთარი თავის მიმართ აღძრავს ნდობას, აღენიშნება კანის ჰიპერესთეზია, კანის რეფლექსები მკვეთრად გამოხატულია, ასევე მკვეთრადაა გამოხატული მუხლის რეფლექსებიც. ძირითადი დაავადების გარდა, აღენიშნება საშუალო ხარისხის ცერებროსპინალური ნევრასთენია.

ზემოთქმულის საფუძველზე, კომისია ადგენს, რომ ქუთათელაძეს აღენიშნება მარცხენა ფილტვის ქრონიკული კატარი და ცერებროსპინალური ნევრასთენია.

კომისიის თავმჯდომარე **მელიქ მურადოვი.**

წევრები, ექიმები: **ნემოვი, გაბინოვი.**

9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ. 37-38.



Акт освидетельствования

30 апреля 1923
№ 1043

На основании приказа ст. врача больницы Исправдомов от 30 апреля с.г. за № 49 был освидетельствован заключенный больной Кутателадзе Иван Григорьевич.

Кутателадзе жалуется на кашель, одышку, боли под ложечкой. В 1907 г. болел легкими и тогда же лечился туберкулезом у врача Ахвледиани. В 1917 был процесс легочный, поправился, работал в Кавкарзаме и больной вновь поправился лечению у бывшего врача Челидзе.

За последние 2 года больной вновь стал сильно кашлять и особенно худеть, давая по ночам поты.

Объективно: питание ослабленное, хорошее сложение. Бледноват. В легких: в левой над и подключичных линиях удлиненный шестой вдох, перкуторный тон там же несколько притуплен; в правой надключичной линии удлиненный вдох.

Со стороны нервной системы: по заключению врача Невропатолога Бицадзе от 26 апреля с.г. больной Кутателадзе в высшей степени возбудимый и аффективный больной, внушающий к себе полное доверие. Имеется гиперестезия кожи, повышение кожных рефлексов и со стороны слизистых оболочек. Каленные рефлексы сильно повышены. Дермографизм красный выражен резко. Страдает хронической основной болезни невростенией церебро-спинальной средней степени.

На основании вышеприведенного комиссия приходит к заключению, что Кутателадзе страдает хроническим катарром левого легкого и церебро-спинальной невростенией.

п. п. Пред. ком. Мелик-Мурадов

Члены врачи: Жилов. Габинов.

С подлин. верно: ст. врач. Вуштин

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 37-38.

ამონაწერი[10]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე, 40 წლის, ყოფილი აზნაური, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მონაწილე.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძეს, 40 წლის, ყოფილ აზნაურს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მონაწილეს, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ქმნიდა ოფიცერთა კონტრრევოლუციურ დაჯგუფებასა და ექსპროპრიატორთა ჯგუფს, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ.1. გვ. 4.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширенного Заседания Коллегий Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.

Под председательством ПРЕДЗАКЧК тов. МОГИЛЕВСКАГО
Присутствовали т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАЛКОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИЯ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

Слушали:

Докладчик тов. АШУКИН.

I/ Дело Военной организации анти-советских партий, по обвинению:

IO/ КУТАТЕЛАДЗЕ Ивана Григорьевича, 40 лет, б. дворянина, члена партии Н.-Д., участник военной организации Партии Н.-Д.

Постановили:

I-За организацию заговора против Совласти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству

ПОСТАНОВЛЕНО:

IO/ КУТАТЕЛАДЗЕ Ивана Григорьевича, 40л б. дворянина, члена партии Н.-Д., участника военной организации партии н.-д. По заданиям Ц.К.Н.-Д создавал офицерск; контр-революционную группу. Создавал группу экспроприаторов - РАССТРЕЛЯТЬ.

Приговор привести в испол. 24 час. срок.

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРАЗГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАИСОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23535. ტ. 1. გვ. 4.

ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი


(1898 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23497, 1 ტომი, 48 გვერდი.

<u>საქმეში არსებული დოკუმენტაცია:</u>

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობა;
- ქვითრები;
- მემორანდუმები;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენება;
- სომხურენოვანი ბროშურის გვერდები;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.


Архив № 289
30/I- 1923 года
3
Закавкасск. Чрезвыч. Комиссия
при Союзсовете
ДЕЛО № 147.р
по об. Караулова Гарнаев
Ревазович в кон. ме.
чато „ 4 „ марта 1923 г.
нчено „ 19 „ мая 1923 г.
Арх № 289 9796-57
9796

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 3.

ფარნაოზ ყარალაშვილი

„...გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! - ამ შემახილებით შეხვდნენ გმირები სიკვდილს“...


ამ 15 გმირს შორის იყო ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი, 24 წლის, როსმეისტერი, სამხედრო ცენტრის წევრი.



ფოტო არ წარმოადგენს ფ. ყარალაშვილის ფოტოსურათს. შსს. არქივი.

საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის 3 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N21 ორდერი, რომლის მიხედვითაც, ЗАКЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე ბარაცს ევალებოდა ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილის (ყარალოვის) დაპატიმრება და ნიკოლოზის ქ. N33-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

ОРДЕР № 21

Марта 3 дня 19 21

Дан сотруднику Закчека Барац

На производство обыска и ареста Карало[в]
[Ф]арнаоз

По адресу Николаевская 33

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Место для печати

[З]акавка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 4.

იმავე დღეს შედგა ოქმი[1], ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N21 ორდერის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ ყარალოვის ბინიდან ამოღებულ იქნა 3 წერილი, მაუზერი АП514 2 ვაზნითა და ბუდით, ხოლო პირადი ჩხრეკისას: ქამარი და დოკუმენტები შემდეგი ნომრებით: N207, 10582.

ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი დააპატიმრეს 1923 წლის 3 მარტს.

რსფსრ

XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N81

გვარი, სახელი, მამის სახელი	ყარალოვი ფარნაოზ რევაზის ძე.
მისამართი	ნიკოლოზის ქ. N33.
ასაკი	24 წლის.
განათლება	გიმნაზიის 5 კლასი.
პროფესია	სამხედრო.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	არსად.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ხელფასით.
ოჯახური მდგომარეობა	არა
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	**ЗАКЧЕКА**-ს მიერ.
რის საფუძველზე	არ ვიცი.

ხელმოწერა: ***ყარალოვი.***

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 5, 11-12.

6
3

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 81

" " 3/III 1923 г.

Фамилия Карали Имя и отчество Пирпая Гивазович

Адрес: Николаевская № 33

Возраст 24 года.

Образование 6 класс гимназии

Профессия Военный

Где работает и долго ли нигде.

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли

Нет.

На какия средства живет не знаю

Имеет ли семью Нет.

Кем арестован Зикчем.

На каком основании не знаю.

Подпись: Карали

Приметы:

Сдал *Принял*

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 6.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N82</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	ყარალოვი.
2) ***სახელი, მამის სახელი***	ფარნაოზ რევაზის ძე.
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	ტიფლისის გუბერნია, თელავის მაზრა, სოფ. არტანი.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	24 წლის, 1898 წლის იანვარი.
7) ***განათლება***	თელავის გიმნაზიის 5 კლასი.
8) ***ოჯახი***	***მამა:*** რევაზ მიხეილის ძე ყარალოვი, 68 წლის, მცხ. სოფ. არტანში.
	დედინაცვალი: მარია ყარალოვა, 56 წლის, მცხ. სოფ. არტანში.
	ძმები: ნიკოლოზ რევაზის ძე ყარალოვი, 21 წლის, მცხ. სოფ. არტანში. შოთა რევაზის ძე ყარალოვი, 32 წლის, მცხ. ქ. თბილისში, მუშაობს საბაჟოზე.
	და: ნინა რევაზის ასული ვაჩნაძე, 35 წლის, მცხ. ქ. თბილისში.

9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	***ნათესავი:*** კოხტა ყარალოვი, კაპიტანი, მსახურობს. სოფ. არტანში. საშა ყარალოვი, პოლკოვნიკი, არსად არ მსახურობს. ლევან ყარალოვი, პორუჩიკი, არსად არ მსახურობს. ***ძმა:*** შოთა ყარალოვი, პროპორშჩიკი საბაჟოზე.
10) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი***	***ნაცნობი:*** ნიკო მიქელაძე, მუშაობს ასეულში მეკავშირედ.
11) ***პარტიულობა***	უპარტიო.
12) ***პროფესია***	სამხედრო.
13) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) მოხალისედ ლაგოდეხში. ბ) მეწშევიკების დროს მსახურობდა მე-6 პოლკში, ხოლო არსებული ხელისუფლების დროს პირველ ქართულ პოლკში.
14) ***წოდება***	მსახურობდა 281-ე პოლკში ოფიცრად
15) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	ხელფასით
16) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არა
17) ***ნასამართლობა***	არა

18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	ა) მესამე ასეულის პირველი პოლკის ასეულის მეთაურის დამხმარე.
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	1923 წლის 3 მარტს.
20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	ЗАКЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.
21) *სად მოხდა დაპატიმრება*	თბილისში, ნიკოლოზის ქ. N33-ში, საკუთარ სახლში.
22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	არ დაუკითხავთ.
23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	არა.
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	თბილისი, ნიკოლოზის ქ. N33.

პატიმრის ხელმოწერა: **ყარალოვი.**

3 მარტი, 1923 წ.

მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)

25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	

XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:

Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии.

АНКЕТА № 81

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел

ица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
1-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Арабидзе.
2) Имя и отчество	Карпэ Ревазович
3) Гражданин (ка) какого государства	Грузии
4) Место приписки	Губ.: Тифлисской уезда Телавского волость: село Артана город
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	24 лет, родился в январе месяца 1908 года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) Б/классов читает б) окончил Телавскую школу в) прошел — класс — курс — школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ и ОТЧЕСТВО	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1 отец	Реваз Михайлов Карапов	68	сел. Артана	
2 мачеха	Мария Карапо		сел. Артана	
3 брат	Николай Ревазович Карапов	21	сел. Артана	
4 брат	Илья Ревазович Карапов	32	Г. Тифлис	служит в милиции
5 сестра	Ольга Ревазовна Карапова	35	Г. Тифлис	

9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ и ОТЧЕСТВО	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1 родст.	Коста Карпэ Карапов	Капитан	сел. Артана
2 — —	Сына Карапов	полковник	нигде
3 брата	Илья Карапов	Прапорщик	в Тифлисе
4 родст.	Левон Карапов	Подпоручик	нигде.
5			

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ и ОТЧЕСТВО	Военное звание, род оружия или спец. в Красн. Ар.	Место службы
1 Знако.	Нико Александр	Рота Красн	
2			
3			
4			

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 8.

8

11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какого времени — а) состою членом партии; б) Не состоял месяца 19 года

12) Профессия — Военный

13) Место работы (службы): а) с начала войны до Iш 1917 г.; б) с Iш 1917 г. по день ареста — НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ / ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ

а) в Военнопленных в Германии — в военнопленных

б) При мобилизации служил в нашем полку и при совластии 1-ым груз. полку служил офицером 2 Взв нашего

14) Если состоял на госуд. службе, то в каком чине — На жалования

15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил — нет.

16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где — нет.

17) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке — а) Командиром 1-го полка 3-ей роты

18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании — б) не освобожден.

19) Когда арестован — 3-го марта месяц 1923 года

20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера — по ордеру ВЧКчека

21) Где арестован: а) губер., уезд, воп., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании, в поезде и проч. — а) Гор Тифлис Николаевск ул. 33 б) на своей квартире

22) Когда и кем допрошен в первый раз — никем

23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно — нет.

24) Место жительства перед арестом — Тифлис Николаевская №33

Подпись заключенного Карапет.

3 марта 1923 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения

26) По чьему ордеру арестован и № ордера

27) Приметы заключенного

Комендант Особотдел XI Армии

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем)

სსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 8.

XI წითელი არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული

განსაკუთრებული განყოფილება

სამორიგეო ნაწილი

ნივთების ქვითარი N38

3 მარტი 1923 წ.


მოქალაქე ყარალოვის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები

1. რევოლვერი „მაუზერი“ N115124 ბუდით – 1 ცალი.
2. ვაზნა - 2 ცალი.

ჩაიბარა: ЗАКЧЕКА-ს მორიგემ

რეზოლუცია: ვერცხლი აუნაზღაურდეს ფულად.

3/III-23 წ.



Особый отдел
при Рев. Военном совете XI красной армии /0
КОМЕНДАНТСКАЯ ЧАСТЬ

Вещевая квитанция № 38

3 Марта 1923 г.

У гражд Карапьева

На основании Постановления обыска на квартиры от 3/III-23 г.

№ по порядку	Перечень принятых вещей	Количество	СУММА Р.	К.	ВЕС П.	Ф.	З.
1	Рев-р „Маузер“ № 115124 с кобурой и наборной ручкой	1					1 шт
2	Патрон (с осечкой)	2					2 шт

Вещи денсодержателя гражданина Карапьева

Вернуть

Шлс архиви, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 10.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[2]

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1922 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 24/I.

23 დეკემბერს ვსადილობდი რამდენიმე ოფიცერთან ერთად, რომელთა შორისაც იყო ფარნაოზ ყარალოვი (პირველი ქართული ქვეითი პოლკის შემადგენლობის მეთაური). ღვინის სმისას მომიყვა, რომ საზოგადოება „ქართულმა ფაშისტებმა“ შესთავაზა სამსახური. ჩემს კითხვაზე, როგორი პასუხი გასცა მან, ირიბად მიპასუხა. ივანე ქუთათელაძე ცხოვრობს ბელინსკის ქ. N39-ში.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი, შეტყობინება 25/I.

ფარნაოზ ყარალაშვილი - დაბ. 1891 წელს, აზნაური, პირველი ქართული მსროლელთა პოლკის ასეულის უფროსის თანაშემწე, დაამთავრა ტიფლისის პროპორშჩიკთა სკოლა, წითელ არმიაში 1921 წლის მაისიდან, სამსახურიდან ხასიათდება დადებითად, ცხოვრობს ნიკოლოზის ქ.N33-ში.

ЗАКЧЕКА, ლიტერული საქმე (1923 წ.), სანდო პირი „გიორგაძე“, შეტყობინება 23/I.

„გორის აჯანყება“. ამ სახელწოდებით მოიხსენიებოდა წარუმატებლად დასრულებული მოძრაობა, რომელიც ორგანიზებული იყო კავთისხევის რაიონში სახელგანთქმული ქაქუცა ჩოლოყაევის მხარდასაჭერად. როდის დაიწყო პროპაგანდა, ზუსტად დადგენა შეუძლებელია, მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით მან გაზაფხულზე იჩინა თავი. ყველაზე აქტიური პროპაგანდისტი იყო მენშევიკური პარტიის წევრი ლაშქარაშვილი, მოხერხებული, ჭკვიანი და პოპულარული მთელს გორის მაზრაში, განსაკუთრებით კავთისხევის რაიონში. ლაშქარაშვილი იღებდა ინსტრუქციებს მენშევიკების ცენტრისგან და თავის გარშემო იკრებდა როგორც ყოფილი სახალხო გვარდიის წევრებს, რომლებიც მენშევიკების მთავრობაში ყოფნის დროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ და სხვა სახის თანამდებობებზე იყვნენ, ასევე ახალი წყობით უკმაყოფილო ყველა პირს. მთელი პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა გადასახადებისგან მოგროვებული თანხები ამ ადამიანებმა ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის გამოიყენეს. პროპაგანდის წარმატება უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, ადგილებზე სახელისუფლებო ორგანოების წარუმატებელი საქმიანობით, გამოცდილი და საქმისადმი ერთგული პარტმუშაკების მცირერიცხოვნობით, მეორე მხრივ კი, კომპარტიის ზოგიერთი წევრის უკიდურესი არაკეთილსინდისიერებით, რომლებიც პარტიაში შევიდნენ გამორჩენისა და საკუთარი ბინძური საქმეების მოსაგვარებლად. ამ მხრივ, კავთისხევში გამოირჩეოდნენ: ადამაშვილი (სოფ. ქვემო ხანდაკი), ხუტაშვილი (სოფ. ზემო ნიჩბისი), ნადირაშვილი (სოფ. ნადირაანთკარი). ისინი იმდენად ავიწროვებდნენ მოსახლეობას, რომ სწორედ მათ გამო გაერთიანდა ლაშქარაშვილის ბანდაში გლეხთა დიდი ნაწილი და იარაღი აიღო ხელში. სხვათა შორის ეს სამეული, მიუხედავად თანასოფლელების დიდი თხოვნისა მათი მოქმედებების აღკვეთის შესახებ, და ასევე, მიუხედავად აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამოწმებული მოსახლეობის განაჩენისა, მაინც დაუსჯელი დარჩა და უფრო მეტად გათავხედდა. მოსავლის აღების პერიოდისთვის, ყოველ სოფელში მზად იყვნენ კადრები, აღჭურვილნი იარაღითა და საბრძოლო მასალით. ვრცელდებოდა ხმები ბოლშევიკების მოახლოებული

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 13-19.

აღსასრულის, ნოეს ჩამოსვლის, გამომგზავრებული ინგლისური საჯარისო ტრანსპორტისა და ნოეს ბრძანების შესახებ - დამორჩილებოდნენ ძველ მთავრობას; პროპაგანდამ, რომელიც წინააღმდეგობას არ ხვდებოდა, ეპოპეას მიაღწია, გარემო მაქსიმუმამდე იყო დამუხტული. ამავდროულად თბილისში მიმდინარეობდა პროპაგანდა ოფიცრებსა და მმართველ წრეებში, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებას დიდად ვერ მიაღწია. ამ პირთა გადმობირებას ახდენდნენ ყოფილი პოლკოვნიკი ნარიკელაძე და პორუჩიკი კლიმიაშვილი. კონსპირაციული შეხვედრები ხდებოდა კიროვის ქუჩაზე, ხის რესტორნის უკანა ეზოში /პირველი ხიდის შემდეგ, ვიდრე „სახალხო სახლთან“ მივიდოდეთ/. ცენტრიდან სხდომას ყოველთვის ესწრებოდნენ პარტიის წევრები: მიშა აბულაძე, კვალიაშვილი (დააპატიმრეს გასული წლის ოქტომბერში) და კიდევ ერთი პირი - საშუალო სიმაღლის, მეტად კოჭლი, რომლის გვარიც პარტიის წევრებმა არ იცოდნენ. სექტემბრის დასაწყისში, ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად, გადაბირებული იქნენ შემდეგი პირები: სახალხო გვარდიის ცხენოსანი პოლკის ასეულის ყოფილი მეთაური სიმონიკ ბაგრატიონ-მუხრანელი, რევაზ ჩიქოვანი /1-ელი ქართული მსროლელთა პოლკის მეთაურთა შემადგენლობიდან/, ფარნაოზ ყარალოვი /1-ელი ქართული მსროლელთა მეტყვიამფრქვევე პოლკის მეთაური/, ავთანდილ გედევანოვი /სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი/, ნიკოლოზ ციციანოვი /ამჟამად ირიცხება ქართველ კურსანტთა სკოლაში/, საყვარელიძე /სოფელ კავთისხევის მემამულე/ და კიდევ 10-15 ადამიანი, რომელთა გვარებიც ჩემთვის უცნობია. 18 სექტემბერს ცენტრიდან სიმონ ბაგრატიონმა მიიღო: 4 მაუზერი, 6 ნაგანი, ჭოგრიტი, კომპასი, რუკები, მედიკამენტები, თანხა 60 მილიონის ოდენობით და დავალება. 21 სექტემბერს ეს პირები სხვადასხვა დროს მატარებლით გაემგზავრნენ კავთისხევში. შეკრების პუნქტად დანიშნული იყო ადგილი ტყეში, სოფ. ხანდაკიდან 15 ვერსის მოშორებით მონასტრიდან, სადაც მათ უკვე ელოდნენ მ. აბულაძე და ლაშქარაშვილი 60 შეიარაღებულ პირთან ერთად. რაზმის ხელმძღვანელი იყო ბაგრატიონი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ეს თანამდებობა რამდენიმე დღეში უნდა გადაეცა პოლკოვნიკ დათიკო წერეთლისთვის /სახალხო გვარდიის საცხენოსნო პოლკის ყოფილი პოლკოვნიკი/. რაზმს ყოველდღიურად ემატებოდნენ გორის მაზრის მცხოვრებნი. 23-ში მოვიდნენ დელეგატები ყაზბეგის რაიონიდან, რომელთაც გადასცეს, რომ 28-ში მათ შეუერთდებოდათ კიდევ 50 შეიარაღებული პირი. ამავე დღეს რაზმში მოვიდა გიორგი გაბაევი, რომელმაც თავიდან უარი განაცხადა თანამშრომლობაზე, მაგრამ მოარულმა ხმებმა მისი ძმის დახვრეტის შესახებ, რომელიც იმ დროისთვის საგანგებო კომისიის მიერ იყო დაპატიმრებული, ხოლო იგი ემალებოდა მის აგენტებს, გადააწყვეტინა საქმეში ჩართვა. დამყარებული იქნა კავშირი შალიკო ფავლენიშვილთან, შემდგომ კი ფარნაოზ ყარალოვთან, რომელიც ძეგვის ხიდს იცავდა 4 ტყვიამფრქვევით და რომელიც, სამხედრო მოქმედებების დაწყების დროს, რაზმითა და ტყვიამფრქვევებით აჯანყებულების მხარეს უნდა გადასულიყო. მიმდინარეობდა ასევე მოლაპარაკებები (როგორც ამბობენ, საკამოდ წარმატებით) მცხეთის სადგურში მდგომ ჯავშანმატარებლის შემადგენლობასთან. 27-ში დაჭერილი და რაზმში მიყვანილი იქნა სოფ. თვალადში მცხოვრები ნაცვალიშვილი, რომელსაც რაზმში მყოფი თანასოფლელები ბრალს სდებდნენ ჯაშუშობაში და რომელსაც იმპროვიზირებული „სასამართლოს“ მიერ დახვრეტა მიესაჯა /განაჩენის სისრულეში მოყვანა ვერ მოასწრეს/. 28-ში შემუშავებულ იქნა გეგმა, რომლის მიხედვითაც ორ ნაწილად გაყოფილი რაზმი 29-ში, ღამე თავს უნდა დასხმოდა დუშეთს (შეუერთდებოდნენ შ. ფავლენოვს) და ახალქალაქს (გორის მაზრა). 28-ში ღამე სოფ. ხანდაკში ჩამოვიდა კ. გაბაევი, რომელმაც თავისთან მოიხმო თავისი ძმა და ხელმძღვანელი პირები. მოლაპარაკებები სოფლების წარმომადგენლებთან დილამდე მიმდინარეობდა. ყველას, ვინც იარაღი დაყარა, კ. გაბაევი, ხელისუფლების სახელით, სრულ ამნისტიას დაპირდა. შემდეგ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ლაშქარაშვილთან, რომელიც დასრულდა იმით, რომ ლაშქარაშვილმა მსურველებს დაშლისკენ მოუწოდა. საღამოს მიღებული იქნა ცენტრის მითითება, რომელიც, ჩოლოყაევის წარუმატებული გამოსვლის გათვალისწინებით, რაზმს მოუწოდებდა არ ეაქტიურა და მცირე


ჯგუფებად დაყოფილიყო. დილით მთელი რაზმი დაიშალა, გამოიყო 15- კაციანი დელეგაცია, რომლებიც კ. გაბაევთან ერთად გაემგზავრნენ თბილისში. აბულაძე, ლაშქარაშვილი და მუხრანელი მიიმალნენ. მუხრანელი გაბაევის დახმარებით წარდგა საქართველოს საგანგებო კომისიის წინაშე და მოხდა მისი შეწყალება.

აჯანყებულებს ქმედით დახმარებას უწევდნენ აღნიშნული მონასტრის ბერები, რომლებიც აგროვებდნენ მათთვის სურსათ-სანოვაგეს, ეწეოდნენ დაზვერვით საქმიანობას და სხვ.

ქაქუცას წერილში ნახსენები სიმონი, ვფიქრობ, რომ არის სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც იმ პერიოდში გორის მაზრაში მოძრაობდა; ამასთან, ეს მუხრანსკი კ. ჩოლოყაევისა და შ. ფავლენოვის ახლო მეგობარია.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სთხოვა საშა გეგეჭკორს, რომ ეშუამდგომლა მძევლების სახით დაპატიმრებულ მისი ოჯახის წევრების გათავისუფლებაზე.

1. მიშა აბულაძე, ცხოვრობს თბილისში, კიროჩნაიას ქუჩაზე.
2. მუხრანსკი ცხოვრობს ევგენიევსკის ჩიხი N3-ში.
3. ჩიქოვანი გადაეცა პარტტრიბუნალის სასამართლოს, სასახლის პოსტის დატოვების გამო.
4. ყარალოვი, მსახურობდა და ამჟამადაც მსახურობს პოლკში.
5. კვალიაშვილი, მგონი, გადაასახლეს.
6. გედევანოვი სწავლობს უნივერსიტეტში, ცხოვრობს ვარდისუბნის N14-ში.
7. საყვარელიძე ცხოვრობს სოფელში.
8. ლაშქარაშვილი გაიპარა კონსტანტინოპოლში.
9. დათიკო წერეთელი ქართულ სახალხო ბანკში საწყობის გამგის თანამდებობაზეა.



"ГОРИЙСКОЕ ВОССТАНИЕ". Под этим названием существовало то движение, окончившееся неудачей, которое было организовано в Каспихевском районе для поддержки пресловутого НАЦИЯ ЧЕЛОКАЯ. Когда началась пропаганда, - установить трудно, но особенную остроту она начала проявлять к весне п.г. С этим деятельным пропагандистом был член партии меньшевиков ЛАШКАРАШВИЛИ, ловкий, умный, разбитого сам по себе и популярный в Горийском уезде вообще и в Каспихевском районе особенно. Лашкарашвили получая инструкции от меньшевитстского центра, собирал вокруг с бя бывших народно-гвардейцев, занимающих при правлении меньшевиков разные административные и прочие должности и вообще всех недовольных новым строем. Все периоды сборов разнородных недоров использованы были этими людьми в целях антисоветской пропаганды. Успех последней должен быть приписан во первых бездействию властей на местах, малочисленности опытных и преданных делу партработников, а во вторых крайней недобросовестности некоторых членов компартии, куда эти последние поступили в целях наживы и обделывания своих личных грязных делишек. Особенно выделялись в Каспихевском районе АДАМАШВИЛИ /село Квемо Хандаки/, ХУТАШВИЛИ /Земо Начсиби/, НАДИРАШВИЛИ /с.п. Надират-Кари/ настолько терроризовавшие население, что очень много крестьян впоследствии укомплектовавшие отряд Лашкарашвили взялись за оружие исключительно благодаря этим трем лицам. Между прочим эта "тройка" несмотря на все неоднократные просьбы односельчан укротить нрав этой "тройки" и даже на приговор крестьян засвидетельствованный Исполкомом, - осталась совершенно безнаказанной и еще больше обнаглела. К сбору урожая в каждой деревне были готовы кадры, снабженные оружием и боевыми припасами, усиленно муссировались слухи о близком конце большевиков, о скором приезде НОЙ, о идущих транспортах Английских войск и о приказе НОЙ - подчиняться старым властям; пропаганда не встречая противодействия, достигла апогея, атмосфера была наэлектризована до максимума. Одно время с этим в Тифлисе шла пропаганда среди офицерства и вообще правых кругов, которая, впрочем, с полной очевидностью можно констатировать успеха, особенного не имела. Вербовкой этих лиц в числе других занимались б. полковник НАРИМАНИДЗЕ и поручик КЛИМИАШВИЛИ. Конспиративные собрания устраивались по Кирочной ул. в заднем дворе деревянного ресторанчика /пройдя мост первый не доходя "Народного дома"/ От Центра всегда присутствовали на этом собрании члены партии: Миша АХУЛАДЗЕ, КАЛАНДАРИШВИЛИ /в октябре п.г. был арестован/ и еще один среднего роста, сильно хромающий, фамилию которого не партийные не знают. К началу сентября были завербованы след. лица для занятия командных должностей: бывш. ком. сотни конного полка в народной Гвардии Симоник АГРАТИОН-ШУ ГАНСКИЙ, Резо ЧИКОВАНИ /консостав 1-го Груз. Стр. полка/, Парнаоз КАРАЛОВ /нач. Пул. 1-го Груз. стр. полка/ Автандил ГЕДЕВАНОВ /студент Гос. унив./, Николай ЦИЦИАНОВ /состоит в данное время в Груз. Ш коде Курсантов/, САКАРЕЛИДЗЕ /помещик села Каптис-Хеви/ и еще человек 10-15, фамилии которых мне не известны. 18-го сентября из центра было получено С. Шухранским для Комсостава: 4 маузера, 6 наганов, бинокли, компасы, карты, медикаменты, 60 миллионов и задача. С 21-го эти лица выехали по жел. дороге разновременно в Каптис-хевский район; сборный пункт был назначен в 15 верстах от сел. Хандаки в лесу на монастыря, где их уже ждали. М. Абуладзе и Лашкарашвили с 60 вооруженными. Во главе отряда стал С. Шухранский, который говорят эту должность должен был передать через несколько дней Датико ЦЕРЕТЕЛЛИ /б. полк. Ком. полка Нар. Гвардии/. Ежедневно в отряд прибывали новые лица - жители Гор. уезда. 23-го приезжали делегаты от жителей Казбекского района, которые передали, что 28-го прибудут 50 вооруженных. В этот же день в отряд прибыл Георгий ГАБАШ, отказавшийся в начале от какого бы то ни было участия, но возбужденный слухами о расстреле брата своего, сидевшего в тот время в ЧК и скрываясь от преследования агентов ЧК решил работать. Была установлена связь с Шалико Парденашвили, а затем со стоящим на охране Дзагинского моста с 4-мя пулеметами Парнаосом Каралоным, который должен был по открытии военных действий, с командой и пулеметами перейти на сторону повстанцев. Велись также переговоры /говорят очень успешно/ с командой бронепоезда, стоящего на ст. Мцхет. 27-го был пойман и доставлен в отряд жит. с. Тквлади Пацалашвили, о гибели своих односельчанами, находя-

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ. 1 გვ. 18. ამონარიდი ოპერატიული დადგენის მემორანდუმიდან.

19 7

щимися в отряде, в шпионаже и импровизированным "суд[illegible]" был приговорен к расстрелу /приговор в исполнение не успели привести/ 28-го был выработан план, по которому отряд, разбившись на две части должен был 29-го ночью напасть на Душет /присоединившись к Ш.Пайленову/ и Ахалкалаки /Гориск./. 28-го ночью в с.Хандаки приехал К.ГАБАЕВ, который вызвал своего брата и всех занимающих ком.должности. Переговоры велись до утра с представителями деревень. К.Габаев от имени властей передал всем сдавшим оружие полную амнистию. Затем велись переговоры с Дашкарашвили, которые закончились тем, что Дашкарашвили предложил желающим разойтись. К вечеру было получено предписание от центра, ввиду неудачи Челокаева, активности отряду не проявлять и разбиться на маленькие группы. К утру весь отряд разошелся, выделив из себя 15 человек делегацию, которая вместе с К.Габаевым выехала в Тифлис. Абуладзе, Дашкарашвили и Мухранский скрылись. Впоследствии Мухранский при помощи Габаева явился к ПредЧК Грузии, которым был амнистирован.

Повстанцам оказывали деятельную помощь монахи указанного монастыря сбором продовольствия, разведывательной службы и т.д.

Указанный в письме Какуца С емену думаю, что с. Багратион-Мухранский, который в этот период раз"езжая по Душетскому уезду, к тоже этот Мухранский личный друг К.Челокаева и Ш.Пайленова к Саше Гегечкори в августе п.г., где К.Ч. просит Гегечкори похлопотать об освобождении арестованных в качестве заложников членов семьи Ч.К.

1/ Миша Абуладзе в Тифлисе проживает на Кирочной ул.
2/ Мухранский, проживает Евгеньевский туп. д.№ 8.
3/ Чикогани предан суду Реотрибунала за оставление поста во Дворце.
4/ Коралов служит и сейчас в полку.
5/ Кралиашвили кажется выслан
6/ Гедеванов учится в Университете, прож. по Гарди-Собанской д.№ 14.
7/ Сакварелидзе проживает в деревне.
8/ Дашкарашвили удрал в Константинополь.
9/ Датико Церетели занимает должность Зав.складом Нар.Банка Гр.

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ. 1 გვ. 19. ამონარიდი ოპერატიული დადგენის მემორანდუმიდან.

ამონარიდი გიორგი დავითის ძე გაბაევის ჩვენებიდან 19/IV-1923 წ.: [3]

ლაშქარაშვილი ფარნაოზ ყარალოვზე მეუბნებოდა, რომ იგი უნდა შეერთებოდა მათ ჯგუფს. მე კი მათ შევუერთდი მას შემდეგ, რაც ამ ჯგუფის დაარსების შესახებ გავიგე თავად ლაშქარაშვილისგან, რომელსაც შევხვდი 1922 წლის აგვისტოში, ქვათახევის მონასტერში საეკლესიო დღესასწაულზე.

გაბაევი.
ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი გიორგი დავითის ძე გაბაევის მოხსენებიდან 19/IV-1923 წ.: [4]

რაც შეეხება ყარალოვს, მას გაქცევის დროს, ძეგვის ხიდზე შევხვდი, რომელსაც ის იცავდა. ვუთხარი, რომ გამოვიქეცი და გზა განვაგრძე. ორგანიზაციაში მისი მონაწილეობის შესახებ საუბარი ჩვენ შორის არ ყოფილა. მისი გვარი მხოლოდ ლაშქარაშვილისგან მქონდა გაგონილი, ისიც ორგანიზაციის ლიკვიდაციის წინ. რამდენად სერიოზული და სიმართლესთან ახლოს იყო ეს საუბრები - ვერ განვსჯი. ხოლო რაც შეეხება მოწმეთა მტკიცებას მასზედ, რომ ჩემთვის დეტალურად იყო ცნობილი მისი როლის შესახებ - უარვყოფ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის დაკითხვის ოქმიდან 25/IV-1923 წ.: [5]

ლაშქარაშვილთან საუბრისას გავიგე, რომ იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას ფარნაოზ ყარალოვთან (რომელიც იყო ძეგვის ხიდზე მდგომ ტყვიამფრქვეველთა რაზმის უფროსი) მათთან შეერთების თაობაზე და რაზეც ყარალოვმა თანხმობა განაცხადა. ლაშქარაშვილის სიტყვებით, მას კავშირი ჰქონდა ჯავშანმატარებელთან, რომელიც მცხეთაში იდგა.

მუხრანსკი.
ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ფარნაოზ ყარალოვის ჩვენება 27/IV-1923 წ.: [6]

1922 წლის სექტემბერში, როგორც პოსტის უფროსი, ძეგვის ხიდის დაცვაში ვიდექი. ამავე თვეში ჩემთან მოვიდა უცნობი გლეხი, რომელმაც მითხრა, რომ ქვათახევში იმყოფებოდნენ სიმონ

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 20.
4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 21.
5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 22.
6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 23.

ბაგრატიონ-მუხრანელი და რევაზ ჩიქოვანი, რომლებიც მთხოვდნენ დაუყოვნებლივ მივსულიყავი მათთან. მეორე დღეს დილიდანვე გავემგზავრე ქვათახევში, სადაც შევხვდი სიმონ ბაგრატიონს, რევაზ ჩიქოვანსა და ლაშქარაშვილს, რომელთაც ამ დღემდე არ ვიცნობდი. ბაგრატიონმა და ლაშქარშვილმა მითხრეს, რომ მათ ჩამოყალიბებული ჰქონდათ დაჯგუფება და სურდათ აჯანყების მოწყობა. ამასთან შემომთავაზეს ჩემდამი დაქვემდებარებულ 21-კაციან ჯგუფთან ერთად შევერთებოდი მათ და ერთიანი ძალებით მიგვეღო მონაწილეობა აჯანყებაში. პასუხი მაშინვე არ გამიცია. მითხრეს, დაფიქრდი და ხვალ გვიპასუხეო. მომდევნო დღეს თვითნებურად გავემგზავრე თბილისში, რამდენადაც არ მსურდა ამ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. იქიდან იმავე საღამოს დავბრუნდი და ჩემს თანაშემწეს ეგრევე ვკითხე, ვინმემ ხომ არ მიკითხა-მეთქი, რაზეც უარყოფითი პასუხი მივიღე. ამით ეს ამბავი დასრულდა. ის, რომ მე არ მსურდა ბაგრატიონსა და ლაშქარაშვილთან ერთად აჯანყებაში მონაწილეობა, ამის შესახებ არავისთვის მიცნობებია და არც ამ შეხვედრის შესახებ მითქვამს ვინმესთვის.

დაკითხა: ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი[7]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: ფარნაოზ რევაზის ძე ყარალოვი, 24 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი ოფიცერი, საქართველოს წითელი არმიის I პოლკის ოცეულის ყოფილი უფროსის თანაშემწე.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: ფარნაოზ რევაზის ძე ყარალოვს, 24 წლის, ყოფილ აზნაურს, ყოფილ ოფიცერს, საქართველოს წითელი არმიის I პოლკის ოცეულის უფროსის ყოფილ თანაშემწეს, რომელიც მეთაურობდა ტყვიამფრქვეველთა პოლკს და განლაგებული იყო ძეგვის ხიდზე 1922 წლის სექტემბერში, შევიდა კავშირში ლაშქარაშვილის ბანდასთან და თანხმობა განუცხადა შეერთებაზე, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23497. ტ.1. გვ. 47.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширеннаго Заседания Коллегии Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.

Под председательством Предзакчк тов. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ БЕРИ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

С л у ш а л и :

Докладчик тов. АШУКИН:

I/ Дело военной организации анти-советских партий, по обвинению:

8/ КАРАЛОВА Парнаоза Ревазовича, 24 лет, б. дворянина, б. офицера. Пом. Ком. роты I полка Грузкрасармии.

П о с т а н о в и л и :

I-За организацию заговора против Совласти Грузии, создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству ПОСТАНОВЛЕНО:

8/ КАРАЛОВА Парнаоза Ревазовича, 24 л., б. дворянина, б. офицера. Пом. ком. роты I полка Грузкрасармии. В сентябре 1922 г. являясь нач. пулеметной к-ды, стоявшей на охране Дзегвинскаго Моста, вошел в связь с бандой Лашкарашвили, дал свое согласие на присоединение к этой банде - РАССТРЕЛЯТЬ. - Приговор привести в исполнение в 24-х часовый сро

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЙСОВ/

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 47.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი


(1897 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23511, 1 ტომი, 37 გვერდი.

<u>საქმეში არსებული დოკუმენტაცია:</u>

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობა;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენება;
- განცხადება;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 2.

დიმიტრი (მიტო) ჩრდილელი

„უთხარი მათ, რომ მე დამხვრიტეს; ვკვდები, როგორც შეშვენის ნამდვილ ქართველს...“

/ალ. ხიმშიაშვილის მოგონებებიდან/

„რუსეთში დაივიწყეს იდეისთვის თავგანწირულად სიკვდილი. წადით და უთხარით მათ, თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის...“


დიმიტრი ჩრდილელი.

ამ სიტყვებით მიმართა მან ჯალათებს სიკვდილით დასჯის წინ.



საქმის მასალების მიხედვით

1923 წლის მარტში (რიცხვი არ არის მითითებული) რსფსრ მე–11 წითელი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილების მე–3 ქვეგანყოფილების მიერ გაიცა N56 ორდერი, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებული განყოფილების უფროსის თანაშემწე მაქსიმენკოს ევალებოდა 1-ლი ბატარეის მეთაურის, ჩრდილელის დაპატიმრება და სოფელ მუხროვანში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Реввоенсов. XI-ой Красной армии

Отделение № 3.

3

Ордер №_____

пом. н-ка

Комиссару о.о. сч. Максименкову

Поручается с получ. сего произвести

обыск арест выемку.

Гражд. Чиаурели к-ра 1-ой Батареи.

Прожив. с. Мухровань

Начособотделения № 3

Начагентур

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 3.

რსფსრ მე–11 წითელი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილების მიერ გაცემული N56 ორდერის საფუძველზე შედგა ჩხრეკის ოქმი[1], საიდანაც ირკვევა, რომ ჩრდილელისგან ამოღებულ იქნა: ერთი ქამარი, დოკუმენტები (NN 508; 2308; 5738; 5739; 5740; 743) ერთი ქაღალდი ნომრის გარეშე, ერთი ფოტოსურათი და ერთი წყვილი დეზები.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი დააპატიმრეს 1923 წლის 9 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

დაპატიმრების ფურცელი N128

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჩრდილელი დიმიტრი ნიკოლოზის ძე.
მისამართი	ტიფლისი, ლერმონტოვის ქ. 20.
ასაკი	29 წლის.
განათლება	საშუალო და სპეციალური.
პროფესია	სამხედრო.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	არტილერისტი.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ხელფასით.
ოჯახური მდგომარეობა	დედა, დები, დისშვილი (ვაჟი).
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	
რის საფუძველზე	

ხელმოწერა: **დ. ჩრდილელი.**

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 4.



Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 103

„ 9 „ Мая 192 г.

Фамилия [illegible] Имя и отчество Дмитри Николаевич

Адрес: Ленинская 20

Возраст 29 л.

Образование среднее

Профессия [illegible]

Где работает и долго ли [illegible]

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли [illegible]

нет

На какия средства живет [illegible]

Имеет ли семью мать сестра племянница

Кем арестован [illegible]

На каком основании [illegible]

Подпись: [illegible]

Приметы: [illegible]

Сдал *Принял*

5

3

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 5.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N128</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	ჩრდილელი
2) ***სახელი, მამის სახელი***	დიმიტრი ნიკოლოზის ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	ტიფლისი
5) ***ეროვნება***	ქართველი
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	29 წლის, 1893 წლის ნოემბერი
7) ***განათლება***	საშინაო
8) ***ოჯახი***	***დედა:*** 60 წლის, მცხ. ტიფლისში, კმაყოფაზე მყოფი.
	და: 42 წლის, მცხ. ტიფლისში, მასწავლებელი. ***და:*** მცხ. ტიფლისში, მკერავი.
	დისშვილი: მცხ. ტიფლისში, მოსწავლე.

9) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი*	ოფიცერი ნათესავები არ მყავს
10) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი*	ოფიცერი ნათესავები არ მყავს
11) *პარტიულობა*	უპარტიო.
12) *პროფესია*	სამხედრო.
13) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) მსახურობდა მე–13 გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში პორუჩიკად, შემდეგ ჩავარდა ტყვედ გერმანელებთან. ბ) საქართველოს არმიაში და შემდეგ წითელ არმიაში ბატარეის მეთაური
14) *წოდება*	ბატარეის მეთაური.
15) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	ხელფასით
16) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	არა
17) *ნასამართლეობა*	არა

18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	არტილერისტთა ბატარეის მეთაური
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	1923 წლის 9 მარტი
20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	
21) *სად მოხდა დაპატიმრება*	ა) ტიფლისში. ბ) ელოდება დივიზიონის სამმართველოში
22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	
23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	
24) *საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	


პატიმრის ხელმოწერა: **ჩრდილელი.**

9 მარტი, 1923 წ.

მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)

25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	

XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:



Особый Отдел при Реввоенсовете XI армии.

АНКЕТА № 193

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
I-я часть заполняется заключенным	
1) Фамилия	[illegible]
2) Имя и отчество	Дмитрий Николаевич
3) Гражданин(ка) какого государства	Грузинской С.С.Республики.
4) Место приписки	Губ. [illegible] уезд [illegible] вол.: [illegible] село [illegible] город [illegible]
5) Национальность	Грузин.
6) Возраст (год рождения)	1893 29 лет, родился в [illegible] месяц 19[illegible] года
7) Образование: а) грамотный ли б) какую школу окончил, в) если не окончил, то ск. прошел	а) [illegible] б) окончил [illegible] школу [illegible] класс [illegible] курс в) прошел [illegible] школы [illegible] класс [illegible] курс
8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестр)	1 Мать [illegible] 60 [illegible] 2 [illegible] 43 [illegible] 3 [illegible] [illegible] 4 [illegible] [illegible] 5 [illegible]
9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)	1 [illegible] 2 [illegible] 3 [illegible] 4 [illegible] 5 [illegible]
10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)	1 [illegible] 2 [illegible] 3 [illegible] 4 [illegible] 5 [illegible]

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Воинское звание, рода оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1	[illegible]	[illegible]	[illegible]
2			
3			
4			
5			

Степень родства	Фамилия, имя и отчество	Воинское звание, рода оружия и где служит в Красной арм.	Место службы
1	[illegible]	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	[illegible]
5			

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 6.

7

11) Партийная принадлежность а) в какой партии состоит, б) с какого времени	а) состою членом ... партии б) ... месяц 19 года
12) Профессия	[illegible]
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1/III 1917 г. б) с 1/III 1917 г. по день ареста..	**Название предприятия или учреждения** / **Профессия или должность** а) [illegible] — [illegible] б) [illegible] — [illegible]
14) Если состоит на госуд. службе то в каком чине	[illegible]
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	[illegible]
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	[illegible]
17) Привлекался ли к ответствен. по суду или в админ. порядке	[illegible]
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности то на каком основании	а) [illegible] б)
19) Когда арестован	[illegible] месяц 19 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	
21) Где арестован: а) губер., уезд. вол.. село гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) [illegible] б) [illegible]
22) Когда и кем допрошен в первый раз	
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно	
24) Место жительства перед арестом	

Подпись заключенного [illegible]

„9" Марта 19[illegible] года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

Комендант Особотдела XI армии ...

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилам[illegible] (в случае химическим карандашем)

კონსტანტინე აფხაზის ჩვენება 5/III-1923 წ.: [2]

1922 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩემთან მოვიდა იასონ ჯავახოვი და განმიცხადა, რომ მე, აფხაზი, უნდა გამოვცხადდე პოლკოვნიკ ნარიკელაძის ბინაში, სადაც უნდა განიხილონ მნიშვნელოვანი საკითხი სხვა პირებთან ერთად, რომელთა ვინაობა ი. ჯავახოვს არ დაუსახელებია. იმ საღამოსვე მივედი ნარიკელაძის ბინაში, სადაც უკვე დამხვდნენ ჯავახოვი, პარტკომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე, ვარდენ წულუკიძე, თავად ნარიკელაძე და კიდევ ერთი სამოქალაქო სამოსში ჩაცმული პირი, რომლის გვარიც არ ვიცი. მისი გარეგნული ნიშნები – მაღალი, პალტოში გამოწყობილი. კრება გახსნა ქარცივაძემ, გააკეთა მოხსენება საზღვარგარეთ არსებულ ზოგად მდგომარეობაზე. ძირითადად, საუბარი იყო კონფერენციებსა და მენშევიკების მუშაობაზე. მოგვიანებით განაცხადა (ქარცივაძემ) აზერბაიჯანთან შესაძლო ურთიერთობაზე, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში შეუძლებელია ხალხის ორგანიზება და იქვე უარყო ამ კავშირის შესაძლებლობა. შემდგომ (ქარცივაძე) შეეხო სომხეთს. რამდენადაც მახსოვს, ქარცივაძემ განაცხადა, რომ სომხები ქართველებთან არ არიან გულწრფელნი და ამის გამო მათთან კავშირი სარისკოა. მიმოხილვის დასრულების შემდეგ ქარცივაძემ თქვა ზუსტად არ მახსოვს, გომბორიდან თუ მუხროვანიდან, ჩამოვიდა არტილერისტი ოფიცერი, განსაკუთრებული დავალებით, რომელსაც მოახსენებს კრებასო. ამის შემდეგ გამოიძახეს ეს ოფიცერი, რომელმაც განაცხადა, რომ ბატარეამ ჩოლოყაევისგან მიიღო ბრძანება მზადყოფნაზე. ბატარეის ოფიცრებმა განიხილეს ეს საკითხი და დაადგინეს, „ცენტრში“ მიევლინათ იგი (ჩრდილელი), შემდგომი მითითებების მისაღებად. მომხსენებელმა ითხოვა, დაუყოვნებლივ გაეცათ პასუხი. კრებაზე ამ მოულოდნელმა განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, გადაწყვეტილება მიღებული იქნა დიდი განსჯის გარეშე. იგი დაახლოებით შემდეგი შინაარსის იყო: კომიტეტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ყოველგვარ „გამოსვლას“. ეს გადაწყვეტილება სიტყვიერად გადაეცა ჩამოსულს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო უკან. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კრებას მე ჩამოვუყალიბე და შევთავაზე. ვარდენ წულუკიძეს აღარ შეხვედრივარ არც შეკრებებზე და არც ქუჩაში. პოლკოვნიკ ნარიკელაძეს კი შევხვდი ტრამვაიში ერთხელ ან ორჯერ, თუმცა ჩვენ შორის არანაირი საუბარი აღარ შემდგარა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [3]

მეორე სხდომაც ჩემს ბინაში შედგა, 1922 წლის შემოდგომას. შეკრებას ესწრებოდნენ: ქარცივაძე (მენშევიკი), ჯავახოვი (ეროვნულ–დემოკრატი), ვ. წულუკიძე, ანდრონიკოვი და აფხაზი. მე შეკრებას არ ვესწრებოდი. შევედი მაშინ, როცა „სამხედრო ცენტრში“ მოხსენებისთვის საარტილერიო ბატარეის მეთაური ჩრდილელი მოვიდა. მოხსენება ჩემი თანდასწრებით გაკეთდა. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: ჩოლოყაევმა მუხროვანში (სადაც მაშინ განლაგებული იყო ბატარეა) გამოგზავნა კაცი წინადადებით, რომ საარტილერიო ბატარეა ნებაყოფლობით შეერთებოდა მის დაჯგუფებას, როცა იგი (ჩოლოყაევი) ამას შეატყობინებდა (სავარაუდოდ, ალავერდობის დღესასწაულზე, თელავთან ახლოს). იმ შემთხვევაში, თუკი არტილერია ნებით არ შეუერთდებოდა მის დაჯგუფებას, მაშინ იგი (ჩოლოყაევი) ძალის გამოყენებით დაემუქრა. დასასრულს, ჩრდილელმა ითხოვა „ცენტრის“ გადაწყვეტილება შესასრულებლად. ერთხმად გადაწყვიტეს: ბატარეებმა

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 9.
3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 10-11.

ჩოლოყაევთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარი უნდა თქვან და ჩოლოყაევის მხრიდან ბატარეაზე თავდასხმის შემთხვევაში, გაუწიონ შეიარაღებული წინააღმდეგობა. ეს დადგენილება უნდა გააცნონ ჩოლოყაევის მიერ გამოგზავნილებს.

საუბრის ყველა წვრილმანი და დეტალი არ მახსოვს. გადაწყვეტილების მიღებისთანავე შეკრება ყველა მონაწილემ დატოვა.

ვ. წულუკიძემ შემდგომი შეხვედრისას მომითხრო, დაახლოებით რაზე საუბრობდნენ და რა გადაწყვეტილებები მიიღო კრებამ. მან მითხრა, რომ „სამხედრო ცენტრი“ სხვა პოლიტიკური დაჯგუფებების წარმომადგენლებთან ერთად განიხილავდა, გამოსულიყო თუ არა იარაღით ხელში და თუ არ გამოვიდოდა, მაშინ რაში უნდა გამოხატულიყო „სამხედრო ცენტრის“ მუშაობა. დაადგინეს, მონაწილეობა მიეღოთ ადგილებზე ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ა.შ. თავის მხრივ, პარტიებს უნდა მოეგროვებინათ მონაცემები პარტიის განკარგულებაში მყოფი ცოცხალი ძალისა და იარაღის შესახებ და ჩამოეყალიბებინათ ცალკეული დაჯგუფებები ცკ–სთვის. აქედან კი ყველა ეს მონაცემი უნდა გადაცემულიყო „სამხედრო ცენტრის“ განკარგულებაში და საქართველოში საყოველთაო გამოსვლების შემთხვევაში, ისინი საერთო გეგმის სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ მონაცემებს „სამხედრო ცენტრში“ საბოლოოდ არ მიუღწევია. აი, სულ ესაა, რაც ვიცი ორი შეკრების შესახებ. სხვა შეკრებები არ ყოფილა, რამეთუ ეს ჩემთვის ცნობილი იქნებოდა. ანდრონიკოვი არ იყო „სამხედრო ცენტრის“ წევრი, ის მოწვეული იყო როგორც სამხედრო სპეციალისტი. არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი „სამხედრო ცენტრსა“ და საჯარისო ორგანიზაციებს შორის, ჩემთვის უცნობია, და თუ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, „სამხედრო ცენტრის“ დირექტივების გარეშე, ალბათ, პერსონალურად. დასასრულს, ეს საკითხიც ჩემთვის საკმაოდ ბურუსითაა მოცული.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 16/III-1923 წ.: [4]

1922 წლის 12 აგვისტოს დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძემ მითხრა, რომ მე–2 ქართულ არტდივიზიონში მას ჰყავს საიმედო ადამიანები, თუმცა გვარები არ დაუსახელებია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან (თარიღი უცნობია): [5]

ამის შემდეგ იგივე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მუხროვანიდან ჩამოვიდა ოფიცერი–არტილერისტი, რომელსაც მოხსენების გაკეთება სურდა. ოთახში შემოსვლის შემდეგ არტილერისტმა განაცხადა: მუხროვანიდან 12 ვერსში გამოჩნდა ჩოლოყაევის პარტიზანთა მცირე ნაწილი, რომლის (ჩოლოყაევის) სახელითაც პარტიზანებისგან გამოგზავნილი მოითხოვდა არტილერიის ჩოლოყაევის მიერ კახეთში მობილიზებულთა მხარეს გადასვლას, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 12.
5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 13.

ჩოლოყაევი ძალის გამოყენებით იმუქრებოდა. არტილერისტს დაავალეს, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო მუხროვანში, შეუპოვრად და კატეგორიულად უარეყოთ (ჩოლოყაევის) მოთხოვნა და არ შეშინებოდათ არანაირი ძალადობის, რადგან ამგვარი ძალადობა შეუძლებლად და განუხორციელებლად ჩათვალეს.

მშვენივრად მახსოვს, როგორ განაცხადა აღელვებულმა არტილერისტმა–ოფიცერმა: „რას ამბობთ, რას იფიქრებს საბჭოთა ხელისუფლება – თითქოს ჩვენ კავშირში ვართ ჩოლოყაევსა და მის პარტიზანებთან“.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 9/III-1923 წ.: [6]

„სამხედრო ცენტრის“ კრებაზე, რომელიც 1922 წლის სექტემბერში ჩემს ბინაში გაიმართა, კრების თავმჯდომარე ქარცივაძემ გადმომცა, რომ მუხროვანიდან ჩამოვიდა ოფიცერი–არტილერისტი, რომელსაც გასაუბრება უნდოდა „ცენტრთან“ და მთხოვა, მომეხმო მისთვის (მითხრა, რომ იგი გარეთ იცდიდა). ქუჩაში გავედი და მას ჩემი ბინის მოპირდაპირე ტროტუარზე მდებარე სახლის სადარბაზოსთან შევხვდი. ბნელოდა, ოფიცერმა–არტილერისტმა დამიძახა: „ეს თქვენ ხართ, ბატონო პოლკოვნიკო“. გავარკვიე რა, რომ ეს ის ადამიანია, ვინც მჭირდება, შევიყვანე ბინაში. ამ ოფიცერმა, როგორც შემდგომ გაირკვა, გვარად ჩრდილელმა, კრებას განუცხადა, რომ მასთან ჩოლოყაევისგან მივიდა პირი წინადადებით, შეერთებოდა მას (ჩოლოყაევს) თავისი ბატარეით მაშინ, როცა იგი (ჩოლოყაევი) მიუთითებდა. ჩრდილელმა მოითათბირა თავისი ბატარეის ოფიცრებთან და მათ გადაწყვიტეს მისი (ჩრდილელის) „სამხედრო ცენტრში“ გაგზავნა. ბატარეის შეერთება უნდა დაემთხვეს კახეთში საყოველთაო გამოსვლას ალავერდის ტაძრის დღესასწაულზე. „სამხედრო ცენტრმა“ ჩრდილელს მისცა მითითება, რომელიც წინა ჩვენების დროს მოგახსენეთ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 9/III-1923 წ.: [7]

კონკრეტული მაგალითით მიგითითებთ, თუ როგორ მესმოდა ერთი მხრივ ნაციონალისტების და მეორე მხრივ მენშევიკების საუბრები. „დავით ვაჩნაძეს, აგზავნის რა ჩოლოყაევს მუხროვანისკენ, ბატარეის საიმედო ხელმძღვანელ პირთა შემადგენლობის იმედი აქვს, რომლებიც ჩემთან არ უხსენებია“. ზოგადად, ეს იყო ვაჩნაძისა და ცინცაძის დაავადება - თავის ძალებზე არავისთან და არაფერი ეთქვათ, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის საერთოდ არაფერი არ იყო ცნობილი.

კ. სადაზვერვო ხასიათის რა მონაცემები გადასცეს ი. ცინცაძეს და ნარიკელაძეს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 14.
7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 15.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 9/III-1923 წ.[8]

მიმაჩნია, რომ არ იქნება ზედმეტი აქვე აღვნიშნო ის, რომ დ. ვაჩნაძემ, განიზრახა რა გაეგზავნა ჩოლოყაევისთვის ბრძანება ალავერდის მხრიდან სამხედრო ქმედების დაწყებაზე, სთხოვა მას (ჩოლოყაევს), ეცადა მე–2 არტდივიზიის ბატარეის დაკავება, რომელიც იმ დროს მუხროვანთან იყო განლაგებული. ამის შესახებ, დუშეთის ექსპედიციის შემდეგ მასთან ბოლო შეხვედრისას, თვით ვაჩნაძისგან შევიტყვე, როცა მან სხვათა შორის ახსენა, რომ ბრძანება სამხედრო ქმედების დაწყების შესახებ ჩოლოყაევისთვის დროულად არ იქნა მიწოდებული, ნაციონალისტებისთვის მოულოდნელად კი ჩოლოყაევი 1922 წლის 2 აგვისტოს დუშეთის ჩრდილოეთით გამოჩნდა. ჩოლოყაევმა, თითქოსდა ეს ბრძანება წითელარმიელებთან ბრძოლის დროს მიიღო და შემდეგ წავიდა ხევსურეთიდან პანკისისა და ალავერდის გავლით. ვაჩნაძეს მიაჩნია, რომ ჩოლოყაევის ხევსურეთიდან გასვლა ამ ცნობილი ბრძანების შესრულებას ნიშნავდა. მართლაც, ჩოლოყაევმა 10–12 მხედართან ერთად მიაღწია ალავერდის რაიონს და უკვე აღარ შეეძლო ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე ანდრონიკოვის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [9]

1922 წლის სექტემბრის ბოლოს, სურამიდან რომ დავბრუნდი, ნარიკელაძის ბინაში შედგა კრება, რომელსაც ვესწრებოდით: მე, ნიკოლოზ ქარცივაძე, როგორც მითხრეს, პარიტეტული კომისიის წარმომადგენელი, კ. აფხაზი, იასონ ჯავახოვი, წულუკიძე, ერთი ჩემთვის უცნობი პირი მენშევიკების პარტიიდან და თუ არ ვცდები, იყო კიდევ ერთი ჩემთვის უცნობი ადამიანი პარტიულობითაც და გვარითაც. თავმჯდომარეობდა ქარცივაძე. მან პოლიტიკურ მომენტზე გააკეთა მოხსენება, რომელიც მუქ ფერებში იყო დახატული. აშკარა იყო მენშევიკური პარტიის ჩავარდნა. რამდენადაც ადრე გათვლა მუშათა კლასზე კეთდებოდა, ახლა პირიქით, საწინააღმდეგო ფიქსირდებოდა. შემდეგ საუბარი გაგრძელდა მიმდინარე მოვლენაზე – ჩოლოყაევის გამოსვლაზე ხევსურეთში. მე გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ ეს გამოსვლა სრულიად მიუღებელია, რადგან რუსეთს ამის ჩასახშობად ისეთი საშუალებები გააჩნია, რომ მის მხარდაჭერას აზრი არა აქვს. ამას მოყვება მხოლოდ მოსახლეობის ფუჭი შრომა და ძალების გაფლანგვა. ფიქრი სხვა რაიონების აყოლიებაზე დანაშაულია. იქნებ, შესაძლებელია ჩოლოყაევთან კავშირის დამყარება და გამოსვლების შეწყვეტა-მეთქი. წულუკიძეც და აფხაზიც ამ სულისკვეთებით გამოვიდნენ. ამ დროს გვითხრეს, რომ მუხროვანიდან ძალიან სასწრაფო საკითხით არტილერისტი ჩამოვიდა. იგი დაუშვეს. ჩვენ წინაშე წარდგა და მოგვახსენა, რომ ჩოლოყაევმა ბატარეას მის მხარეს ნებაყოფლობით გადასვლა შესთავაზა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებით დაემუქრა. აღელვებულმა მეთაურთა შემადგენლობამ გამოგზავნა იგი კითხვით, როგორ მოქცეულიყვნენ, რადგან სრულიად დაუცველები არიან. ყველანი მივედით დასკვნამდე, რომ ჩოლოყაევის მსგავსი ქმედებები დაუშვებელია და ბატარეა აღნიშნულ შეთავაზებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს. ამ ბოლო მოვლენამ საბოლოოდ დამანახა, რომ მართალია, პარტიებმა თვითონვე აირჩიეს ცენტრი, მაგრამ მუშაობენ შეუთანხმებლად, რისი შედეგიცაა გაუმართლებელი მსხვერპლი და გაღატაკებული მოსახლეობა. ჩოლოყაევის გამოსვლა რომ ცენტრის ნებართვით არ იყო, ცხადია, რადგან ცენტრს არანაირი მითითება არ გაუცია; პირიქით, როგორც ჩანს, პარტიის ცალკეული უპასუხისმგებლო წევრი თვითნებურად გასცემდა განკარგულებებს.

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 16.
9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 17.

ვიხელმძღვანელე რა ამ მოსაზრებით, მაშინვე მოხერხებულ დროს გამოვთქვი აზრი, რომ აღარ შემიძლია მუშაობა. ამაზე არაერთხელ მესაუბრა წულუკიძე, აგრეთვე აფხაზიც, რომელმაც მითხრა, რომ მასაც უარის თქმა უნდა. წულუკიძე გამუდმებით მთხოვდა, არ მომეყვანა სისრულეში ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ ეგრეთ წოდებული ცენტრი, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებდა, არანაირ განკარგულებებს არ გასცემდა, უფუნქციო იყო და უნდა გაუქმებულიყო. ოქტომბრის თვეში შვებულებაში ვიყავი სიღნაღში, დებთან. ჩემთან კავშირის დამყარება შესაძლებელი იყო ნარიკელაძის მეშვეობითა და წულუკიძის თავმჯდომარეობით. მე აბსოლუტურად არავისთან არ ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს, სრულ ინფორმაციას ვიღებდი წულუკიძის, მუსხელოვის და ნარიკელაძის მეშვეობით. როგორ და ვისთან ჰქონდათ მათ კავშირი დამყარებული, ჩემთვის უცნობია. მე მხოლოდ მზა მონაცემებს მაწვდიდნენ. ზუსტად ასევე, ცენტრთან კავშირისთვის დანიშნული პარტიის წარმომადგენლები უნდა დამკავშირებოდნენ ზოგჯერ ნარიკელაძის, ზოგჯერ მუსხელოვის და წულუკიძის მეშვეობით. თვითნებური უშუალო კავშირი სამხედრო ნაწილებთან, დაწესებულებებთან არასოდეს მქონია. კავშირისთვის ეროვნულ–დემოკრატების წარმომადგენელი იყო ჯავახოვი, მენშევიკების - ხიმშიევი, მაგრამ მისი დაპატიმრების შემდეგ, არ ვიცი, ვისით ჩაანაცვლეს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენება 9/III-1923 წ.: [10]

„სამხედრო ცენტრის“ არსებობა ჩემთვის დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. ვისგან გავიგე, არ მახსოვს, იმიტომ რომ ძალიან ბევრჯერ ითქვა. ასახელებდნენ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც ცენტრში შედიოდნენ: ანდრონიკოვს, წულუკიძეს, ნარიკელაძეს, მუსხელოვზე კი ნაკლებად მსმენია. 1922 წლის სექტემბერში მუხროვანში დაირხა ხმები, რომ ჩოლოყაევი ახლოსაა და შემდგომში გამოყენების მიზნით, აპირებს ბატარეაზე თავდასხმას. იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ყვებოდნენ იგი თავს ესხმოდა სოფლებს, აიძულებდა გლეხებს და მილიციელებს მისი მხარე დაეჭირათ, ჭორები ბატარეაზე თავდასხმის შესახებ ძალიან რეალური ჩანდა.

როცა ეს ჭორები უფრო გაძლიერდა (წყარო არ შემიძლია დავასახელო, რადგან მე პირადად არანაირი მითითება არ მიმიღია და ჩემთვის არავის მოუმართავს), ამბობდნენ, რომ ვიღაც გლეხი, თუ გამვლელი ოსი ყვებოდა, თითქოს ჩოლოყაევის ბანდა მთებშია და ა.შ.

არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ბრძანება გამეცა თუ არ მიმენიჭებინა მნიშვნელობა. ამ ჭორებმა ოფიცრებს შორის მითქმა–მოთქმა გამოიწვია, ერთნი ამბობდნენ - „ის ვერ გაბედავს თავდასხმას“, მეორენი კი პირიქით იძახდნენ – „ის გააკეთებს ამას“. ნებაყოფლობით დანებებაზე საუბარი არ ყოფილა. უსაფრთხოების ზომები და მატერიალური ქონების ნაწილის დაცვა დიდი ხნის გაძლიერებული იყო. ამ დროს მომიწია ტიფლისში გამგზავრება, სადაც გადავწყვიტე რჩევა ავტორიტეტის მქონე პირისთვის – ანდრონიკოვისთვის ან წულუკიძისთვის მეკითხა.

გოლოვინის პროსპექტზე შევხვდი ჯავახოვს და ვუთხარი, რომ ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან დალაპარაკება მინდოდა. მითხრა, რომ მომიხერხებდა. საღამოს მივედი ღუნიბის ქუჩაზე, სადაც შევხვდი ნარიკელაძეს, რომელმაც წამიყვანა თავისთან სახლში. ვფიქრობდი, აქ ორიდან ერთ–ერთს შევხვდებოდი, მაგრამ იქ რამდენიმე ადამიანი დამხვდა. ზემოთ დასახელებული ორი პირის გარდა, იქ ისხდა სამოქალაქო სამოსში ჩაცმული ორი ან სამი ადამიანი. ერთ-ერთმა, სამოქალაქო სამოსში ჩაცმულმა მთხოვა მომეთხრო. ამგვარად, ნახევრად ოფიციალური, ერთი-

10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 18-19.

ერთზე საუბრის ნაცვლად, კრებაზე გამოსვლა მომიწია. განვაცხადე, რომ მუხროვანში დადის ჭორები ჩოლოყაევის მიერ ბატარეაზე თავდასხმის სურვილის შესახებ და იმის გათვალისწინებით, რომ ბატარეა თავისთავად ძალზე სუსტია საკუთარი თავის დაცვისთვის, აღარ ვიცი, მივანიჭო ამ ჭორებს მნიშვნელობა, თუ დახმარებისთვის ხელისუფლებას მივმართო. ერთ-ერთმა დამსწრემ მკითხა, რამდენად სარწმუნოა ეს ჭორები და რა გზებით იქნა მიღებულიო. ვუპასუხე, რომ ამაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო, რადგან არ ვიცოდი, ვინ ავრცელებდა. ჩემს განცხადებაზე სამოქალაქო სამოსში ჩაცმულმა თეთრულვაშიანმა თქვა, რომ ბატარეა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაბარდეს და მზად უნდა იყოს მოულოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად, ხოლო თუ მე ვერ გავთვლი საკუთარ ძალებზე, მაშინ უნდა მოვითხოვო დახმარება. შემდეგ განვაცხადე, რომ ჯერ კიდევ მაისში დავიწყე ფუსფუსი ბატარეის ტიფლისში გადაყვანაზე, რადგან ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნა, ყოველ წუთს თავდასხმის მოლოდინში ყოფნა ნამდვილად არ მინდოდა, მით უმეტეს, რომ ბატარეის წითელარმიელებთან ერთად არაერთხელ გამოვსულვარ ღამით მუხროვანის მახლობლად მცხოვრებლებზე თავდამხსმელ ყაჩაღთა ბრბოს წინააღმდეგ. მითხრეს, რომ ეს ყველაზე კარგია. მუხროვანში დაბრუნებისას, ეს ჭორები ნელ–ნელა მიწყნარდა და აღარ ჩავთვალე საჭიროდ, მომეთხოვა გამაგრება. ამასთან ერთად, დავიწყე უფრო გულმოდგინე მცდელობები ბატარეის ტიფლისში გადასაყვანად. ის, რასაც უკვე მაისის თვიდან ვთხოვდი დივიზიონის მეთაურს. ამ შემთხვევის შემდეგ, ცენტრთან არანაირი კავშირი არ მქონია და მივხვდი, როგორი შეცდომა დავუშვი, როცა მათგან მოვინდომე რჩევის მიღება. არაფერი მაინტერესებდა, განვაგრძობდი ბატარეის ინტერესების გატარებას, რასაც მანამდეც ვცდილობდი. სამწყობრო საქმიანობისგან თავისუფალ დროს, სამეთაურო შემადგენლობასთან ერთად, მინდორში ან ბაღჩაში საველე სამუშაოებზე ვატარებდი.

დაკითხა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა**.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენება 10/III-1923 წ.: [11]

ჯავახიშვილი 1920 ან 1921 წელს, ქუჩაში გავიცანი. მისი გარეგნული ნიშნებია: დაბალი, დაახლოებით 30 წლის, გაპარსული წვერით, ატარებს ულვაშს. ვინ გამაცნო იგი, არ მახსოვს. ვხვდებოდით ქუჩაში. ყოველთვის თვითონ მოდიოდა ჩემთან. 1922 წლის სექტემბერში მუხროვანიდან ჩამოსულს გოლოვინის პროსპექტზე შემხვდა. მომიახლოვდა და მკითხა „რა არის ახალიო“. შევატყობინე, რომ დადის სხვადასხვაგვარი ჭორები, კერძოდ, ბატარეაზე ჩოლოყაევის შესაძლო თავდასხმის შესახებ. არ მახსოვს, რა მიპასუხა. როცა ვუთხარი, არ ვიცი როგორ მოვიქცე, ვის ვკითხო რჩევა-მეთქი, არაფერი მითხრა და ასე დავშორდით ერთმანეთს.

შევასწორებ - ჯავახიშვილს ვუთხარი, ბატარეაზე ჩოლოყაევის შესაძლო თავდასხმასთან დაკავშირებით ვარდენ წულუკიძეს ან ანდრონიკოვს რჩევა მინდა ვკითხო-მეთქი, ჯავახიშვილმა - „კარგიო“ და წავიდა. ამ საუბრამდე, არ მახსოვს ვისგან, მაგრამ ვიცოდი, რომ ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკოვი და მუსხელოვი „სამხედრო ცენტრში“ არიან. დავამატებ, რომ ჯავახიშვილმა ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან შესახვედრად, ღუნიბის ქუჩაზე საღამოს 7–8 საათისთვის მთხოვა მისვლა. ღუნიბის ქუჩაზე შევხვდი ნარიკელაძეს, რომელმაც მიმიყვანა თავის ბინაში, სადაც უკვე მიმდინარე „სამხედრო ცენტრის“ კრებაზე აღმოვჩნდი. გავიმეორებ, მე პირადად ანდრონიკოვთან მინდოდა შეხვედრა, მისი არყოფნის შემთხვევაში -

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 20.

წულუკიძესთან და არა „სამხედრო ცენტრთან“. სამოქალაქო სამოსში ჩაცმული თეთრულვაშიანი დამსწრის წინადადებით, კრებას, რომელსაც ესწრებოდა ექვსი ადამიანი, მოვახსენე შემდეგი: არის ცნობა (ჭორები) იმის შესახებ, რომ ჩოლოყაევს ბატარეაზე თავდასხმა და ძალის გამოყენებით მისი მიმხრობა უნდა. იმის გათვალისწინებით, რომ ბატარეის ყველა ოფიცერი ძალიან ღელავს, რადგან არავის სურს ამ ავანტიურაში მონაწილეობის მიღება, მე კი არ ვიცი, დავიჯერო თუ არა ეს ჭორები. კრების დამსწრეებმა (მათგან მე სახეზე მხოლოდ ვარდენ წულუკიძეს, ანდრონიკოვს და ნარიკელაძეს ვიცნობდი) ბატარეაზე თავდასხმის შემთხვევაში, თავდამსხმელთა მოგერიება და უკიდურეს შემთხვევაში, დახმარებისთვის ხელისუფლებისთვის მიმართვა მირჩიეს. შემდეგ მოვახსენე, რომ 1922 წლის მაისიდან ვცდილობ ბატარეის ტიფლისში გადაყვანას. ამაზე მითხრეს - „საუკეთესოაო“. ტიფლისიდან მუხროვანში ჩასვლის შემდეგ ბატარეის არც ერთი ოფიცრისთვის „სამხედრო ცენტრში“ ჩემი მოხსენების შესახებ არაფერი მითქვამს და ვცდილობდი ჩოლოყაევის თავდასხმის შესახებ მოარული ჭორების გაქარწყლებას.

დაკითხვის ოქმი ჩაწერილია ჩემი სიტყვების მიხედვით, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით (**ჩრდილელი**).

დაკითხა: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა.**

მე ვეძებდი შეხვედრას **ანდრონიკოვთან** ან **წულუკიძესთან**.

ამხანაგ აშუკინს[12]

განცხადება

გთხოვთ, გადამიყვანოთ საერთო კამერაში, რადგან ცალკე საკანში ექვსი კვირის განმავლობაში ჯდომამ საბოლოოდ ბოლო მოუღო ჩემს ისედაც დაავადებულ ნერვებს. დავკარგე ყოველგვარი თავდაჭერილობა. არასოდეს ვყოფილვარ საბჭოთა ხელისუფლების მტერი და ორი წლის მუშაობის განმავლობაში სრულად ვხარჯავდი საკუთარ ძალებსა და ცოდნას.

გთხოვთ, შემიმსუბუქოთ რეჟიმი, თუნდაც დროებით.

ჩრდილელი.


12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 24.

ამონარიდი მე–2 არტდივიზიონის ყოფილი სამხედრო კომისრის შეტყობინებიდან 2/V-1923 წ.: [13]

(ფანქრით გაკრული ხელით მიწერილია: გრიგორიანი.)

გაცნობებთ, რომ სამხედრო მეთაურები: ანთაძე, ჩრდილელი, რცხილაძე, ჯანდიერი და მესხი – ყველანი გამოკვეთილი ნაციონალისტები არიან, ვერ იტანენ კომუნისტებს, არმიაში პარტიულ სამსახურს და საერთოდ, იძულებით ემორჩილებოდნენ ბრძანებებს. ყველა ზემოჩამოთვლილ სამხედრო მეთაურთა შემადგენლობას იცნობს ამხ. ჯვარშეიშვილი, იმდენად, რამდენადაც იგი დივიზიონში მენშევიკების დროსაც მსახურობდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.



Выписка

из сообщения быв.военкома 2 Артдивизиона от 2/У-23 г.

Сообщаю, что комсостав АНТАЛИЗЕ, ЧРДИЛЕЛИ, РЦХИЛАДЗЕ, ДЖАНДИЕРИ и МЕСХИ все они ярые националисты, не навидят коммунистов и не переваривают парт.работу в армии и вообще по незволе подчинялись приказам. Всех вышеуказанных комсостава знает тов.ДНЕВАРЕШВИЛИ так как он служил с ними в дивизионе при меньшевиках.

Выписка верна:

Шსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 25.

ტექსტი არ არის დასათაურებული [14]

(სავარაუდოდ, ამონარიდია ნ. ჩრდილელის ჩვენებიდან)

მინდოდა დამემატებინა, რომ ტიფლისში ჩემი ჩამოსვლა არ იყო სპეციალურად მოწყობილი, სასწავლო სროლებს შორის თავისუფალი დრო გამიჩნდა და მცირევადიანი შვებულება ავიღე. ჩვენებაში, რომელიც ამხ. აშუკინს მივეცი, არის ფრაზა - „მანამდე მქონდა გაგონილი, რომ ანდრონიკოვი და წულუკიძე „სამხედრო ცენტრში“ არიან. ამ ფრაზას მაშინ ვაპროტესტებდი, რადგან ტიფლისში ჩამოსვლისას, ეს საერთოდ ამოშლილი იყო ჩემი მეხსიერებიდან, რადგან ამაზე არ ვფიქრობდი და სავარაუდოდ, იმ მომენტში ნამდვილად არ ვიცოდი. ყოველ შემთხვევაში, როდესაც გადავწყვიტე ანდრონიკოვისგან რჩევის მიღება (ეს აზრი კი ტიფლისში ყოფნისას გამიჩნდა),

13 Шსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 25.
14 Шსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 26.

მიმაჩნდა, რომ მისგან შევძლებდი დარიგების მიღებას და თან, არა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულს, რადგან ანდრონიკოვზე ამბობდნენ, პოლიტიკაში არ ერევაო. გარდა ამისა, შემეძლო მეკითხა რჩევა მხოლოდ იმაზე, მომეხსენებინა კი ხელმძღვანელობისთვის ამ ჭორების შესახებ, თუ არ მიმენიჭებინა მათთვის არავითარი მნიშვნელობა. რადგან წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით არაფერი მექნებოდა საყოყმანო, ე.ი. გამეტარებინა ის ხაზი, რომელსაც ვატარებდი ბანდიტურ ხროვათა წინააღმდეგ. ბატარეა, წითელარმიელებთან ერთად არაერთხელ, განგაშით გასულა მოსახლეობის, გამვლელი ავტომობილების, სამხედრო ნაწილთა ტვირთების თავდამსხმელთაგან დასაცავად, რომლებსაც არ ატარებდნენ, თავს ესხმოდნენ ბანდიტები. როგორც კავალერისტთა დივიზიის ავტორაზმის შემთხვევაში, რომელიც თელავში მიდიოდა და რომელსაც თავს დაესხნენ ბანდიტები.

ჩრდილელი.

ასლი დედანთან სწორია.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენება 5/V-1923 წ.: [15]

ადრე მოცემული ჩვენებების გასწორებისთვის გაცნობებთ:

„სამხედრო ცენტრის“ კრებაზე ნამდვილად ვთქვი, რომ პარტიზანებისგან გამოცხადდა ერთი პირი ჩოლოყაევისგან დაბარებული წინადადებით, შევერთებოდით მათ და რომ ოფიცრები ამ საკითხს განიხილავდნენ. ჩემთან ჩოლოყაევისგან არავინ მოსულა. ვისთან იყო მოსული – არ ვიცი. ამის შესახებ მომიყვა ჯანდიერი - პირველი ბატარეის მეთაურის თანაშემწე. მეთაურთა შემადგენლობის ოფიციალური შეკრება ამ საკითხის განსახილველად არ ყოფილა. რამდენიმე დღე იყო საუბრები ვერანდაზე. ჩოლოყაევის „შემოთავაზების“ განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ: მესხიევი - დივიზიონის ადიუტანტი, ჯანდიერი, იშხნელი - დივიზიონის მეთაურის თანაშემწე, ქელბაქიანი, მესხი - ოცეულის მეთაური, შეიძლება იყო მოსიძეც. საუბრებში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა უსაფრთხოების ზომების მიღება. ანდრონიკოვისგან რჩევის მიღების აზრი გამიჩნდა ტიფლისში. მე სპეციალურად არავის გამოვუგზავნივარ.

ვადასტურებ **ჩრდილელი.**

დაკითხა **პეტროსიანმა.**
ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ქ. ტიფლისის მილიციის 1–ლი რაიონის უფროსის, მოქ. ვასილ ეფიმის ძე სანაკოევის ჩვენება: [16]

დაახლოებით შარშან, ივნისში, როცა მე–2 არტდივიზიონი გაჩერებული იყო მუხროვანში, გვიან ღამით პოლიტხელმა მათითაშვილმა მომახსენა, რომ მეთაურთა შემადგენლობა შეკრებილია ტყეში, კაზარმების უკანო. ამ დროს მთელ დივიზიონს უკვე ეძინა. მე მათითაშვილთან ერთად

15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 27.
16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 28.

წავედი შესამოწმებლად. შეკრების ადგილთან გარკვეულ მანძილზე მიახლოებისას, დავინახეთ კოცონთან მიმსხდარი დაახლოებით 10 ადამიანი ხელმძღვანელი შემადგენლობიდან. ჩვენ დავწექით, რომ მოგვესმინა, რაზე საუბრობდნენ. უეცრად ერთი წითელარმიელი მოგვიახლოვდა და გვკითხა, ვინ ვიყავით. ჩვენი პასუხის შემდეგ, რომ შინაურები ვართ, იგი ხელმძღვანელ შემადგენლობასთან გაიქცა. მოგვიახლოვდა მოსიძე. ჩემს დანახვაზე დაიწყო ჩხუბი, მუქარა, რომ დაგვხვრეტდა, თუ არ გავეცლებოდით. შემდეგ პოლიტხელიც იცნო. კაზარმებში დაბრუნებისას კიდევ ერთ წითელარმიელს შევხვდით, რომელიც, როგორც ჩანს, ხელმძღვანელ შემადგენლობას ჰყავდა თვალთვალისთვის გამოყოფილი. როცა ჩვენ ამის შესახებ სამხედრო კომისარს მოვახსენეთ და ამ უკანასკნელთან ერთად წამოვედით შესამოწმებლად, ადგილზე მისულებს ხელმძღვანელი შემადგენლობიდან არავინ დაგვხვდა. ეს ქეიფი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან წითელარმიელს, რომელიც ჩვენ წაგვაწყდა, მხოლოდ ერთი კვარტი ღვინო მიჰქონდა, ხელმძღვანელ შემადგენლობას სასმელი არ ჰქონდა და არც ერთი მათგანი მთვრალი არ იყო. მოსიძემ გაბრაზებულმა გვითხრა, თითქოსდა ჩვენ განსაკუთრებული განყოფილების აგენტები ვიყავით, მაგრამ მე უკეთესი აგენტები მყავს, ვიდრე თქვენ ბრძანდებითო.

გადმოცემულს ვადასტურებ **ვ. სანაკოევი**.
დაკითხა **ზალპეტერმა**.
ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენება 10/V-1923 წ.: [17]

ჩოლოყაევის შემოთავაზების შესახებ გლეხმა რომ მოყვა, ჯანდიერმა მითხრა. ზუსტად ვერ ვიტყვი, გლეხი სპეციალურად იყო გამოგზავნილი ჯანდიერთან თუ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. სად შეხვდნენ - მახსოვს, რომ ჯანდიერმა მითხრა, გლეხს რომელიღაც დასახლების დუქანში შევხვდიო. ამ გლეხის შესახებ სამხედრო კომისრისთვის ან სხვა ხელმძღვანელისთვის არ მიცნობებია.

ხელმძღვანელი შემადგენლობა განიხილავდა ამ საკითხს – ვმონაწილეობდით: მე, ჯანდიერი და გიორგი მესხიევი, ესენი კარგად მახსოვს. მგონი, კიდევ იყვნენ ან შემოვიდნენ აივანზე იშხნელი და ქელბაქიანი. მოსიძე ნამდვილად არ იყო. აზრი, მიმემართა ანდრონიკოვისთვის, პირადად მე, ტიფლისში ყოფნისას გამიჩნდა. მუხრანში ხელმძღვანელი შემადგენლობის საუბრებს, მიეღოთ დადგენილება რაიმე ფორმით, შედეგი ვერ მოყვა. ანდრონიკოვის ნახვის სურვილის შესახებ იასონ ჯავახიშვილს ვაცნობე. მანვე მიმითითა ნარიკელაძის მისამართი. კრებაზე (როგორც შემდგომ გავიგე, „პარიტეტული კომიტეტის“, იგივე „სამხედრო ცენტრის“) მე ნამდვილად ვთქვი, რომ ჩოლოყაევმა მოაგზავნა კაცი, რომ ხელმძღვანელი შემადგენლობა ღელავს და რომ ხელმძღვანელმა შემადგენლობამ გამომგზავნა მათთან მათი გადაწყვეტილების გასაგებად. მუხროვანში დაბრუნების შემდეგ ამაზე არავისთან მისაუბრია, თუმცა შეიძლება ნასვამს ვინმესთან რამე წამომცდა.

ჩრდილელი.
დაკითხა: **პეტროსიანმა.**
ასლი დედანთან სწორია.

17 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 29.

П О К А З А Н И Я

ЧРДИЛЕЛИ ДИМИТРИЯ ОТ 10 МАЯ 1923 ГОДА.

29

О том, что крестьянин говорил о предложении ЧЕЛОКАЕВА, мне говорил ДИАНДИШВИЛИ. Точно не могу сказать был ли прислан крестьянин к ДИАНДИШВИЛИ специально или встретились случайно. Где встретились - помню, что ДИАНДИШВИЛИ говорил мне, что встретил крестьянина в духане какого то селения. Об этом крестьянине военкому или другим старшим начальникам сообщено ничего было с моей стороны не было.

Комсостав обсуждал этот вопрос - участвовали: я, ДИАНДИШВИЛИ, МЕСХИЕВ Георгий, этих я помню хорошо. Кажется были еще или приходили на балкон ИТОНЕЛИ и КЕЛЕНДЖЕРИ. МОСИДЗЕ определенно не был. Мысль обратиться к АНДРОНИКОВУ зародилась у меня лично уже в Тифлисе. В разговорах комсостава в Мухрани ни к чему не пришли в форме какого либо постановления. О желании видеть АНДРОНИКОВА я сообщил при встрече с ДИАМАНДИШВИЛИ Ясоном. Он не указал адрес НАРИМАНОВА. На заседании /как я после узнал Паритетного Комитета или Госп.центра/ я действительно говорил, что ЧЕЛОКАЕВ прислал человека, и что комсостав волнуется и что комсостав меня послал к ним узнать их решение. По приезде моем в Мухрани я больше об этом ни с кем не разговаривал, может быть в пьяном виде кому нибудь проболтался.-

К сему ЧРДИЛЕЛИ.

Допросил ПЕТРОСЯН.

Верно:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 29.

სტილი დაცულია

მოწმობა N5738[18]

ეძლევა ესე 2-რე ქართული შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის 1-ლ ბატარეის უფროსს ამხ. ჩრდილელ დიმიტრი ნიკოლოზის ძეს მას შინა, რომ მას ნამდვილად ჰყავს სარჩენი დიდი და და, რასაც ხელის მოწერით და სათანადო ბეჭდის დასმის ვამოწმებ.

„14“ ნოემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი.

2-რე ქართულ შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის უფროსი: ჟურული.

სამხკომი: ხელმოწერა.

დრ. ადიუტანტი: ხელმოწერა.

სტილი დაცულია

მოწმობა N5739[19]

ეძლევა ესე 2-რე ქართული შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის 1-ლ ბატარეის უფროსს ამხ. ჩრდილელ დიმიტრი ნიკოლოზის ძეს მას შინა, რომ მას მისდამი რწმუნებულ ბატარეიაში და ქალ. ტფილისში საბინაო ოთახები არ მოეპოვება და განიცდის დიდ გაჭირვებას ოთახების უქონლობის გამო, რასაც ხელის მოწერით და სათანადო ბეჭდის დასმით ვამოწმებ.


„14“ ნოემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი.

2-რე ქართულ შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის უფროსი: **ჟურული**.

სამხკომი: ხელმოწერა.

დრ. ადიუტანტი: ხელმოწერა.

18 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 31.
19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 35.



ს ა ნ ო ტ ა რ ო

№-..5738.

31


ვიძლევი ესე 2-რე ქალაქის შეერთებულ საავტომობილო დეპოზიტორიის I-ს ბატალიონის უფროსს იმის, რომ დ ე ს ი ლ ი დაბეჭდილი ნაკლოზისძის ცხენ მინდა, რომ ცხენ ნამდვილად ჰყავს საჭირო დედ და დ, რასაც ხილის ნოშირია და საჭიროდ ვიკვდის დასწერა ეს ნოშირ.

"14" ნოემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი.

2-რე ქალაქის შეერთებულ საავტომობილო
დეპოზიტორიის უ ფ რ ო ს ი

ს ე ნ ხ ა რ ო ს

დრ. ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი



ს ა ნ ო ტ ა რ ო

№-..5739.

35

ვიძლევი ესე 2-რე ქალაქის შეერთებულ საავტომობილო დეპოზიტორიის I-ს ბატალიონის უფროსს იმის, რომ დ ე ს ი ლ ი დაბეჭდილი ნაკლოზის-ძის ცხენ მინდა, რომ ცხენ მისდგმა რუსეთისაც ბატალიონში და ქალ. ტფილისში საჭიროდა ოთახში არ ნოშირია და გასაცდის დიდ გაჭირვებას ოთახების უქონლობის გამო, რასაც ხილის ნოშირია და საჭიროდ ვიკვდის დასწერა ეს ნოშირ. "14" ნოემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი.

2-რე ქალაქის შეერთებულ საავტომობილო
დეპოზიტორიის უ ფ რ ო ს ი

ს ე ნ ხ ა რ ო ს

დრ. ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 31, 35.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი [20]

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი, 29 წლის, ყოფილი აზნაური, დაამთავრა კადეტთა კორპუსი, არტილერისტი, ქართული წითელი არმიის არტდივიზიონის ბატარეის მეთაური.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელს, 29 წლის, ყოფილ აზნაურს, არტილერისტს, ქართული წითელი არმიის არტდივიზიონის ბატარეის მეთაურს, ეროვნულ–დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის აქტიურ წევრს, რომელმაც ოფიცერთა დავალებით „სამხედრო ცენტრს“ მოახსენა ბატარეის ჩოლოყაევისთვის გადაცემის მზადყოფნის შესახებ ინფორმაცია, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ.1. გვ. 30.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № I9 от I9 Мая I923 г.
Расширенного заседания Колдегий Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.
Под председательством Предзакчк т. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали т.т. ПАНКРАТОВ,ЗОНОВ,,МАХНОВСКИЙ,НИКОЛАЕВ,КВАНТАЛИАНИ, БЕРИ,МИКЕЛАДЗЕ,ЭЛИАВА,ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

С л у ш а л и :

Докладчик тов.Ашукин:

I - дело Военной организации антисоветских партий по обвинению:

I5/ ЧРДИЛЕЛИ Дмитрия Николаевича, 29лет,б.дворянина,окончил Кадетский Корпус,артиллерист,командир батареи Артдивизиона Грузкрасармии.

П о с т а н о в и щ и :

I-За организацию заговора против Совласти Грузии,создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем,шпионаж в пользу Антанты,предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству -

ПОСТАНОВЛЕНО:

I5/ЧРДИЛЕЛИ Дмитрия Николаевича,29 лет б.дворянина, окончил Кадетский корпус, артиллерист,командир батареи Артдивизиона Грузкрасармии.Активный участник военной организации Нац.Дем.По поручению группы офицеров докладывал Военном Центру о готовности его сдать вверенную ему батарею Челокаеву - РАССТРЕЛЯТ Приговор привести в исполнение в 24-х часовой срок.

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЙСОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23511. ტ. 1. გვ. 30.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე


(1865 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23511, 2 ტომი, 131 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- პირადი ჩხრეკის ოქმი;
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ცნობები;
- მემორანდუმი;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- კრებსი;
- დადგენილება ბრალის წარდგენაზე;
- განცხადება;
- დაკითხვის ოქმი;
- სამსახურებრივი მიმოწერა;
- პატიმრის ჩვენებები;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 2.

ვარდენ წულუკიძე

„...სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასათ გაამრავლებს მებრძოლთ... “

ვარდენ წულუკიძე

ამ სიტყვებით მიმართა მან ჯალათებს სიკვდილით დასჯის წინ.



„...56 წლის, საშუალოზე მაღალი, ჭაღარა წარბებით, ჭაღარა წვერით, უხეში სახის ნაკვთებით, თავს იპარსავს, ატარებს ფაფახს, აცვია ჯარისკაცის გადაკეთებული რუხი ფერის ფარაჯა, გადაადგილდება ავტომობილით...”

/აგენტურული ცნობები./

საქმის მასალების მიხედვით:

როგორც ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძის საქმიდან ჩანს, იგი 1922 წელსაც იყო დაპატიმრებული და მის მიმართ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე.

1922 წლის საქმის მასალები

1922 წლის 7 აპრილს საქართველოს საგანგებო კომისიის (ГРУЗЧЕКА) მიერ გაიცა ორდერი N4435, რომლის მიხედვითაც, ГРУЗЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე ხაჩიკოვს ევალებოდა ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძის დაპატიმრება და მიხაილოვის ქ. N117-ში მდებარე ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Чрезвычайная Комиссия Грузии по борьбе с контр-революцией, спекуляцией, преступлением по должности, шпионажем и бандитизмом.

ОРДЕР № 4435

От „7" апреля 1922 г.

Выдан Комиссару Чека

Хачикову

на производство арестов и обыска Цулукидзе Вардена

по адресу Михайловская. 117 дом Ведущ кв доктора

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказать указанному Комиссару полное содействие.

Председатель Ч. К. Г.

Зав. Секретный Сек.

Зав. Отделом

Справка

3

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 3.

ოქმში[1], რომელიც 4 აპრილითაა დათარიღებული, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაცემული N4435 ორდერიის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ წულუკიძისგან ამოღებულ იქნა ერთი კარაბინი ოცდახუთი ვაზნით, ერთი ბრაუნინგი №637074 ოცდაცამეტი ვაზნით და ერთი ნაგანი №006665 თორმეტი ვაზნით.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე დააპატიმრეს 1922 წლის 8 აპრილს.


ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძის მიმართ შედგა ანკეტა N1413.

Ч.К.Г. Ч.К.Г. - სთვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის **ანკეტა N1413** **ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა**	
კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	წულუკიძე
2) ***სახელი, მამის სახელი***	ვარდენ გრიგოლის ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	ქუთაისის მაზრა, სოფ. საწულუკიძეო.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	56 წლის, 1865 წლის 8 ნოემბერი.
7) ***განათლება***	თბილისის კადეტთა კორპუსი და სამხედრო სასწავლებელი

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 5-7.

8) *ოჯახი*	***მეუღლე:*** ნინო ვიქტორის ასული წულუკიძე, მცხ. თბილისში, მიხაილოვის ქ. N117
	და: ელისაბედ გრიგოლის ასული წულუკიძე, მცხ. ქუთაისის მაზრის სოფ. გეგუთში. ***ძმა:*** ანტონ გრიგოლის ძე წულუკიძე, მცხ. ქუთაისის მაზრის სოფ. გეგუთში.
9) *პარტიულობა*	უპარტიო.
10) *პროფესია*	სამხედრო მოსამსახურე.
11) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) 1886 წლიდან სამხედრო მოსამსახურეა. იყო ლორეს 208-ე პოლკის მეთაური, შემახის 205-ე ქვეითი პოლკის მეთაური და ქ. ვლადიკავკაზში განლაგებული მე-15 სათადარიგო ბრიგადის მეთაური. ბ) 23.05.18-მდე იყო 15-ე ბრიგადის მეთაური. 23.05.1918-დან 16.08.1918-მდე იმყოფებოდა რეზერვში. 16.08.1918 დაინიშნა სამხედრო სამინისტროში პირადი შემადგენლობის განყოფილების უფროსად. 09.1919-დან 20.02.1921-მდე იყო მე-3 ქვეითი ბრიგადის მეთაური. 20.02.1921-დან დაინიშნა ზურგის არმიის მეთაურად. 09.04.1921-დან 15.11.1921-მდე დაინიშნა I მსროლელი ბრიგადის მეთაურად. 15.11.1921-დან 06.12.1921-მდე იმყოფებოდა რეზერვში. 6.12.1921-დან დაინიშნა სასაზღვრო ბრიგადის მეთაურად.
12) *წოდება*	
13) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	ცხოვრობს ცოლის შემოსავლით.
14) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	არა
15) *ნასამართლეობა*	არა
16) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	
17) *როდის მოხდა დაპატიმრება*	1922 წლის 8 აპრილს
18) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	ГРУЗЧЕКА-ს ორდერის საფუძველზე.

19) ***სად მოხდა დაპატიმრება***	თბილისში, მიხაილოვის ქ. N117-ში.
20) ***ვის მიერ იყო დაკითხული პირველად***	არ დაუკითხავთ.
21) ***იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს***	არა
22) ***საცხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე***	ტიფლისი, მიხაილოვის ქ. N117.
პატიმრის ხელმოწერა: **ვარდენ წულუკიძე**.	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
23) ***პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება***	
24) ***ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N***	
25) ***ვისთან ირიცხება***	
26) ***პატიმრის ნიშნები***	
შენიშვნები: დაკავების ადგილის უფროსის ხელმოწერა:	



Ч. К. Г.

АНКЕТА №413.

Для арестованных и задержанных с зачислением за Ч. К. Г.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строж. ответственности.

Вопросы	Ответы
1-я часть (заполняется арестованным)	
1) Фамилия	Цулукидзе
2) Имя и отчество	Вардэн Григорьевич
3) Гражданин(ка) какого государства	Грузинского
4) Национальность	Грузин
5) Место приписки	Губ: Кутаисской уезд: Кутаисского вол: сел. Цаишхидзе
6) Возраст (год рождения)	36 л. лет: родился в 1868 г. месяце 1 Ноябрь
7) Образование: а) грамотный-ли	а) Грамотен
б) какую школу окончил	б) Тифлисский кадетский корпус Военное училище
в) если не окончил, то ск. класс курс прошел	в) прошел класса курс школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

	Степень родства	Фамилия имя и отчество	Возраст	Занятие или место работы и должность или профессия	Место жительства (Адрес)
1.	Жена	Нина Викторовна	41 г.	—	Тифлис Мейданская пер. № 7.
2.					
3.					
4.		Брат Иван Григорьевич		Советская власть	Сел. Цецути Кутаисского уезда
5.		и сестра Елизавета Григорьевна			

9) Партийная принадлежность: а) какой партии состоит, б) с какого времени — Беспартийный

10) Профессия — Военная — Б. сословия: Потомственный дворянин

11) Место работы (службы): а) сначала войны до 1/III 1917 г. б) с 1/III г. по день ареста.	Название предприятия или учреждения	Профессия или должность
	а)	(Командир Грузинского гренадерского Императора Александра III полка. Командующий 2-ой бригадой 4-ой Кавказской пехотной дивизии. Командующий 4-ой Кавказской пехотной дивизией с 16 Августа 1918 состоял в Грузинской армии. Начальник [illegible] Командующий [illegible]
	б)	

Форма № 1.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 8.

9

12) Если состоял на государ. службе, то в каком чине	Прапорщик 9-го полка
13) Если не служил и не работал по найму то на какие средства жил	—
14) Владел-ли недвижимым имуществом, каким и где	Не имел
15) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	Нет
16) Отношение к воинской повинности а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден, то на каком основании	Служил в войсках
17) Когда арестован	8 апреля месяца 1922 г.
18) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	Зам. Губ. по ордеру №2/435
19) Где арестован, а) губ., уезд, вол. село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании и пр.)	В Тифлисе Михайловский пр. дом №12, на своей квартире
20) Когда и кем допрошен	Пока не допрошен
21) Пред'явлено-ли обвинение и в чем именно	Нет
22) Место жительства перед арестом	Тифлис

Примечание арестованного:

Подпись арестованного: Варден Цуцулашвили

„ ..... " ..... 19 ..... г.

2-я часть (заполняется администрацией места заключения)

23) Официальное название места заключения	
24) По чьему ордеру арестован и № ордера	
25) За кем зачислен?	
26) Приметы заключенного	

Примечание: .....

Подпись заведующего местом заключения .....

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем), четко, разборчиво, полностью выписывая слова, по возможности без помарок и поправок.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 9.

დადგენილება[2]

1922 წლის 8 აპრილს, მე, საქართველოს საგანგებო კომისიის მორიგე გამომძიებელმა, განვიხილე ქართული წითელი არმიის 23 სამხედრო პირის წინააღმდეგ არსებული წინასწარი საბრალდებო მასალა, რომლის მიხედვითაც, მათ ბრალი ედებათ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში და დავადგინე, რომ ყველა სამხედრო პირი, მათზე არსებულ მასალასთან ერთად, გადაგზავნილი იქნას გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებულ განყოფილებაში. ჩამორთმეული ნივთები გაიგზავნოს 9 აპრილს. 23 დაპატიმრებული სამხედრო პირის სია იგზავნება წინამდებარე დადგენილებასთან ერთად.

მორიგე გამომძიებელი /**კიკუშიანი**/.

ვამტკიცებ: საიდუმლო-ოპერატიული განყოფილების უფროსი.

/**პეტროსიანი**/

ГРУЗЧЕКА-ს თავმჯდომარე /**ცინცაძე**/.

№1108 ***ასლი***

რეგ. რწმუნებულს[3]

პატაკი

გიორგი წულუკიძე

გაცნობებთ, რომ ვაკის ქუჩის №9-ში მდებარე სახლში გენერალი წულუკიძე არ ცხოვრობს. სამისამართო ბიუროში ჩემ მიერ მიღებული ცნობის საფუძველზე, იგი ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

19/V-22 წ. თანამშრომელი 23/H

ასლი დედანთან სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 12.
3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 13.

№781 და 895 *ასლი*

საიდუმლო-ოპერატიული ნაწილი აგენტურის რწმუნებულს[4]

პ ა ტ ა კ ი

ყოფილი გენერალი ვარდენ წულუკიძე მენშევიკების დროს იყო ახალციხე-ახალქალაქის რაზმის მეთაური, განწყობილია მონარქისტულად. გასაბჭოების შემდეგ იყო სასაზღვრო ბრიგადის მეთაური, ხოლო ბრიგადის რეფორმირების შემდეგ იყო ქართული არმიის შტაბის რეზერვში. მოქალაქე წულუკიძე მოქალაქე მუსხელოვს იცნობს მეფის დროიდან და მენშევიკური მმართველობის პერიოდიდან. მოქ. მუსხელოვი იყო გენშტაბის დაჩქარებული გამოშვების პოლკოვნიკი, მენშევიკების დროს იყო შტაბის სამწყობრო განყოფილების უფროსი. მრწამსით მონარქისტია.

ექიმი მიქელაძე ცხოვრობს იმავე სახლში, რომელშიც ვარდენ წულუკიძე, მეზობელ ოთახში მიხაილოვის პროსპექტზე, №117, რეერის სახლში.

№39/ВН 5/VI-22 წელი.

ასლი დედანთან სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

781 *ასლი*

აგენტურის რწმუნებულს[5]


პ ა ტ ა კ ი

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით გაცნობებთ, რომ ყოფილი გენერალი ვარდენ წულუკიძე მონარქისტულადაა განწყობილი და მენშევიკების ერთგული პირია. მენშევიკების ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო ახალციხე-ახალქალაქის ჯგუფის მეთაური, შემდგომში კი ამავე რაიონის გენერალ-გუბერნატორი. სამხედრო მოქმედებების დროს, ქართული მენშევიკური არმიის რიგებში აფერხებდა წითელი არმიის ნაწილების შეტევას მარცხენა ფლანგზე. ამჟამად არის სასაზღვრო ძალების ბრიგადის მეთაური, ცხოვრობს მიხაილოვის პროსპექტზე, №117-ში, რეერის სახლში ექიმ მიქელაძესთან /ყოფილი თავადი/ ერთად. შალვა ანტონის ძე მენშევიკია, მსახურობდა ექიმად სამხედრო ნაწილებში, ამჟამად მისდევს კერძო პრაქტიკას.

30/III-22წ. 39/ Н

ასლი დედანთან სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 14.
5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 15.



781.

УПОЛНОМОЧЕННОМУ АГЕНТУРЫ

Р а п о р т.

Доношу что по достоверно собранным сведениям,быв. генерал ЦУЛУКИДЗЕ Варден является настроенным монархически и преданное лицо меньшевикам. При меньшевитском правительстве был начальником вооруженной силы Ахалцих-Ахалкалакской группы, впоследствии генерал губернатором названного района. При военных действиях с грузинской меньшевической арм. задерживал наступление Красных войск с левого фланга и был командующим. Ныне находится Комбригом пограничных войск СОРГ,проживает по Михаиловской ул. № 117 дом РЕЕРА совместно с докфором МИКЕЛАДЗЕ/быв.князь/ Шалва Антонович-меньшевик,ранее был врачем в воинских частях,ныне занят частной практикой.

30/III-22г. 39/Н.

В е р н о: Ст.Делопроизв. Агентуры

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 15.

ასლი აგენტურის რწმუნებულს [6]

პ ა ტ ა კ ი

საბჭოთა საქართველოს სასაზღვრო ჯარების ბრიგადაში მუშაობის დროს, ყოფილმა თავადმა და გენერალმა ვარდენ წულუკიძემ შემოიკრიბა თანამებრძოლები და თანამოაზრეები, მათ შორის ამჟამად შტაბში მომუშავე ყოფილი თავადი და პოლკოვნიკი მუსხელოვი, რომელიც მენშევიკური მთავრობის დროს იყო სამწყობრო განყოფილების უფროსი, ასევე ამჟამად სამხედრო სამინისტროს კონტრდაზვერვის განყოფილების ყოფილი პოლკოვნიკი ძაგანია - ჭკვიანი და ცბიერი პიროვნება, აბსოლუტური მენშევიკი.

31/III-22წ. თანამშ. №39/Н

სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

ყოფილი გენერლის, ვარდენ წულუკიძის ნიშნებია: ჭაღარა წარბები, ჭაღარა წვერი, უხეში სახის ნაკვთები, თავს იპარსავს, ატარებს ფაფახს, აცვია ჯარისკაცის გადაკეთებული რუხი ფერის ფარაჯა, გადაადგილდება ავტომობილით.

თანამშ. №39/

სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 16-17.

აგენტურის უფროსს[7]

საქართველოს ყოფილი სასაზღვრო ბრიგადის მეთაური ვარდენ წულუკიძე ეჭვმიტანილია კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობაში. მუშაობს ბრიგადის შტაბში, ფრეილინის ქ. №11-ში, ცხოვრობს მიხაილოვის ქუჩაზე, იმავე სახლში, რომელშიც ექიმი მიქელაძე. ნიშნები: მოხუცი გრძელი თეთრი წვერით. მასზე დაწესდეს საგულდაგულო მეთვალყურეობა. მარცხის თავიდან აცილების მიზნით, უკეთესი იქნება შინაგანი ჯგუფის გამოყენება, რომელიც ექიმს გაიცნობს. ვცადოთ ჩანერგვა. არ იქნას გამოთხოვილი განყოფილების პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან მის შესახებ არანაირი ოფიციალური ცნობები.

საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსი **ტალინგი.**

მინაწერი: მეტად ფრთხილად, გამოცდილი და სანდო თანამშრომლის საშუალებით წინასწარ დადგინდეს ქართული სასაზღვრო ბრიგადის ყოფილი მეთაურის, ვარდენ წულუკიძის მისამართი. წულუკიძე მუშაობს ბრიგადის შტაბში ფრეილინის ქუჩა №11-ში. ინფორმაციის მიხედვით, ცხოვრობს მიხაილოვის ქუჩაზე, ექიმ მიქელაძის მეზობლად. წულუკიძე ეჭვმიტანილია კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობაში. თავდაპირველად უნდა მოხდეს ექიმის გაცნობა, მის პაციენტად თავის მოჩვენება, შემდეგ უნდა დაიჩივლოს საბინაო კრიზისზე და დაითანხმოს ექიმი მოუძებნოს ბინა იმავე სახლში, რომელშიც ექიმი და წულუკიძე ცხოვრობენ. თანდათანობით დაუსვას შეკითხვები. ექიმის მეშვეობით სცადოს წულუკიძის გაცნობა. დადგინდეს მისი ნიშნები და დამოკიდებულება ექიმისადმი, ასევე საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიისადმი, განისაზღვროს მისი სანაცნობო წრე, ორგანიზაციისადმი კუთვნილება, ორგანიზაციის შემადგენლობა და მის მიერ წარმოებული სამუშაოები, მათში წულუკიძისთვის დაკისრებული როლი. ყველაფერი ეს მეტად ფრთხილად უნდა განხორციელდეს, უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ ერთი თანამშრომელი, რათა არ გახმაურდეს წარმოებული სამუშაოს დეტალები.

25/III-22 წ.

სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 18-19.

№895 – 781 *ასლი*

საიდუმლო-ოპერატიული ნაწილი აგენტურის რწმუნებულს [8]

პატაკი

გაცნობებთ, რომ სასაზღვრო ბრიგადის მეთაური, გენერალი ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, სამისამართო მაგიდის მონაცემებით, ცხოვრობს მიხაილოვის ქუჩა №117-ში, ამჟამად კი იმყოფება გამასწორებელ სახლში. აქვე დავძენ, რომ ხსენებულ გენერალს ჰყავს ძმა, გენერალი გიორგი გრიგოლის ძე წულუკიძე, გეორგიევსკის კავალერი, რაზმის ყოფილი მეთაური და საპან[..] ბრძოლების გმირი, ნაციონალისტი-მენშევიკი.

29/VI-22წ. თანაშრომელი 66/ВН

სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

781-895 *ასლი*

აგენტურის რწმუნებულს[9]

მუსხელოვი, მენშევიკების გენშტაბის ყოფილი ოფიცერი /სამწყობრო განყოფილების უფროსი/, მონარქისტულად განწყობილი პირი, სრულიად ერთგულია მენშევიკებისადმი, არის დაჩქარებული გამოშვების კურსდამთავრებული, იცნობს მეფის დროინდელ ყოფილ გენერალ ვარდენ წულუკიძეს /ორივე ყოფილი თავადია/, საბჭოთა საქართველოში მენშევიკების ხელისუფლებაში ყოფნის დროს გენერალი წულუკიძე იყო შეიარაღებული რაზმის უფროსი ახალციხის რაიონში, სამუშაო მითითებებს მუსხელოვისგან იღებდა.

მუსხელოვის ნაცნობები: 1. ყოფილი პოლკოვნიკი, თავადი ვაჩნაძე, ჰუსარი, მცხ. სანაპიროს ქ. №7-ში, 2. ჩილიაევი, ყოფილი პოლკოვნიკი, თავადი გურამოვი. ნიშნები: მაღალი, გამხდარი, მოკლედ შეკრეჭილი ულვაშით, ატარებს ოფიცრის ნაცრისფერ პალტოს, ლურჯი ფერის შარვალს, ძველმოდურ, ყავისფერ ოფიცრის ქუდს.

29/IV-22 წ. № 39/ВН

სწორია: აგენტურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 20-21.
9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 22.

განსაკუთრებული განყოფილების საიდუმლო აგენტურის უფროსს[10]

მიმდინარე წლის 26 თებერვალს მომხდარი ხელისუფლების ცვლილებამ და მენშევიკური მთავრობის გაქცევამ, თავდაპირველად ტიფლისიდან, შემდეგ კი ბათუმიდან, ვერ დაამშვიდა ქართველი ერის აღელვებული გონება.

იმ შეჩვენების მიუხედავად, რომელსაც გაქცეულ მენშევიკურ მთავრობას უთვლიდა მოსახლეობა, მალე გავრცელდა ხმა, რომ მენშევიკური მთავრობა გონიერად მოიქცა, როდესაც თან გაიყოლა მილიარდის ღირებულების ფასეულობა. ამ ხმებს ქვეყანაში მყოფი მენშევიკი აგიტატორები ავრცელებდნენ. აღნიშნული თითქოს იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ევროპა აღმართულიყო საქართველოში ძალისმიერად შეჭრის წინააღმდეგ, დაპირისპირებოდა საძულველ საბჭოთა ხელისუფლებას.

დეკრეტის თანახმად, გაქცეული მთავრობის ყოფილი მიმდევრების ქუთაისიდან და ბათუმიდან დაბრუნებამ და მათ მიერ საბჭოთა დაწესებულებებში საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავებამ, გააღრმავა მოსახლეობის განწყობა. ისინი საკუთარ თავზე ნებით იღებენ გაქცეული ხელისუფლების გმირობის მქადაგებლის მოვალეობას და მოსახლეობაში ხელოვნურად ქმნიან განწყობას, რომ გაქცეული მთავრობა დაბრუნდება ანტანტის ჯარებთან ერთად. ამის იმედი მალე გავრცელდა მოსახლეობაში, იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ მეტად ხანმოკლე იქნებოდა. ტიფლისიდან სამხედრო ნაწილის გასვლა, ასევე ზოგიერთი საბჭოთა საჯარისო ნაწილის ლიკვიდაცია და ადგილზე ძველი მილიციის დატოვება, ისევე როგორც დაწესებულებათა კოლეგიებში გადაღებილი მენშევიკების არჩევამ, დაბოლოს, რევკომის შემადგენლობამ, რომელშიც ყველა წევრი ქართული გვარის მქონე იყო, ადასტურებდა ხმებს ხელისუფლების ძველი წყობის დაბრუნების შესახებ.

ზემოთქმულს დიდი მნიშვნელობის მქონე გარემოებაც დაერთო - ქართული სამხედრო ნაწილების ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ძველი ოფიცრები გახდნენ; ბრიგადებისა და არმიის ჩამოყალიბების მიზნით გენერლების - წულუკიძის, ციციანოვისა და ანდრონიკოვის, ასევე თავადებისა და ძველი რეჟიმის კადრების მიწვევამ დაანახა მოსახლეობას, რომ მოკლე დროში აღდგენილი იქნებოდა მისი ეროვნული არმია. თავისთავად ცხადია, რომ ნიკოლოზის დროინდელმა თანამებრძოლებმა ძველი თანამშრომლები მიიწვიეს, მაგალითად, ქართული არმიის შტაბის მეთაურად დანიშნული იქნა ყოფილი პოლკოვნიკი გედევანოვი, მენშევიკების მთავრობის გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი და სამხედრო მინისტრის თანაშემწის ნათესავი; I პოლკის მეთაურად დაინიშნა ყოფილი პოლკოვნიკი მაჭავარიანი, რომელიც საკუთარ თანაშემწესთან, ყოფილ მაიორ უთნელოვთან ერთად ეწეოდა მენშევიკურ პროპაგანდას მისდამი დაქვემდებარებულ მეთაურთა შემადგენლობას შორის; ქართულ შტაბში მომუშავე ყოფილი ოფიცერი ძაგანია და სხვები. პროპაგანდამ, რომელიც სამხედრო მეთაურებსა და საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა შორის წარმოებდა და რომელიც ოფიციალურად აცხადებდა, რომ „ჩვენ თავს ვიკავებთ აუცილებელი აღმშენებლობისგან და ველით სახელისუფლებო კურსის ცვლილებას“, აი, ამ პროპაგანდამ თავისი როლი შეასრულა.

ამჟამად არა მხოლოდ ქალაქი, არამედ სოფელიც კი იმყოფება ნერვული დაძაბულების

10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 23-27.

მდგომარეობაში, ელის ხელისუფლების სწრაფ ცვლილებას. საკმარისია შევიხედოთ ნებისმიერ სოფელში, რომ მოვისმინოთ საბჭოთა ხელისუფლების ძაგება, თუკი გლეხი დარწმუნდება, რომ ქართული არ იცით. აგიტაცია ღიად წარმოებს, მასში მონაწილეობას იღებენ ყოფილი თავადები და აზნაურები, სოფლის რევკომების წევრებიც კი. ჩემთვის პირადად ცნობილია, რომ გლეხები ცვლიან პურს იარაღზე.

რაც შეეხება გლეხებისა და რკინიგზის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა დაწესებულებათა მუშების დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მე ვხედავ მზადყოფნას აჯანყებისადმი, რომელიც მენშევიკების მიერ არის პროპაგანდირებული. საქართველოს რევკომის წევრებს უწოდებენ უზურპატორებს, რომლებმაც ძალისმიერი მეთოდით წაართვეს ხელისუფლება საქართველოს პროლეტარიატს. „ის უნდა გადავაგდოთ, გავანადგუროთ“, ასე გაიძახის მოსახლეობა და ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უახლოეს დღეებში გეგმავენ საოცნებო აჯანყების მოწყობას ისე, რომ არ სვამენ კითხვას მოსალოდნელი რეალური შედეგის შესახებ. აჯანყების მიზანია დაანახონ ევროპას არსებული ვითარება - რომ საქართველოს არ სურს ჰყავდეს ძალით თავს მოხვეული საბჭოთა ხელისუფლება და ასევე, ხელი შეუწყონ ჟორდანიას, რამიშვილისა და სხვათა მიერ წარმოებულ მუშაობას.

განსაკუთრებით დაძაბული განწყობა იყო მოსახლეობაში მაშინ, როდესაც ბათუმის ნავსადგომში ამერიკული კრეისერი იდგა. კედიას (განსაკუთრებული რაზმის ყოფილი უფროსი, ამჟამად კი ძიების ინსტრუქტორი და იმ პირთა შემმოწმებელი, რომლებიც კონსტანტინოპოლში საქართველოდან ჩადიან) მიერ მოგზავნილი მენშევიკი აგიტატორები ავრცელებდნენ ხმებს, რომ საქართველოსკენ მოემართებოდა ფრანგული ნაწილები და მალე მოხდებოდა საქართველოს გათავისუფლება.

მოსახლეობა ემზადება და დიდ იმედს ამყარებს ქართული არმიის მოკლე დროში გამოსვლაზე.

ღოღობერიძე.

1921 წლის 21 აგვისტო.

№21

ქ. ტიფლისი.

1922 წლის 15 მაისს გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების მიერ შედგა ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძის დაკითხვის ოქმი.

რსფსრ

გაერთიანებული წითელი არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

სრულიად რუსეთის განსაკუთრებული კომისიის განსაკუთრებული

განყოფილების სამმართველო

საიდუმლო განყოფილება

ოქმი[11]

საქმეზე N

ტიფლისი, 15 მაისი, 1922 წ.

1. ***გვარი,***	წულუკიძე
2. ***სახელი, მამის სახელი***	ვარდენ გრიგოლის ძე
3. ***ასაკი***	56 წლის.
4. ***წარმომავლობა***	ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფ. საწულუკიძეო თავადი.
5. ***საცხოვრებელი მისამართი***	ტიფლისი, მიხაილოვის ქ. N117.
6. ***რას საქმიანობს***	უმაღლესი განათლება, სასაზღვრო ბრიგადის მეთაური.
7. ***ოჯახური მდგომარეობა***	დაოჯახებული.
8. ***ქონებრივი მდგომარეობა***	არა, ცხოვრობს ხელფასით.

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1, გვ. 28-31.

9. ***პარტიულობა***	უპარტიო
10. ***პოლიტიკური მრწამსი***	აპოლიტიკური.
11. ***განათლება***	თბილისის კადეტთა კორპუსი და სამხედრო სასწავლებელი
12. ***რას საქმიანობს და სად მუშაობდა*** ***ა)1914 წლის ომამდე;*** ***ბ) 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე;*** ***გ) 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე;*** ***დ) ოქტომბრის რევოლუციიდან დაპატიმრებამდე.***	ა) 1886 წლიდან სამხედრო მოსამსახურეა. იყო ლორეს 208-ე პოლკის მეთაური, შემახის 205-ე ქვეითი პოლკის მეთაური და ქ. ვლადიკავკაზში განლაგებული მე-15 სათადარიგო ბრიგადის მეთაური. ბ) 23.05.18-მდე იყო 15-ე ბრიგადის მეთაური. 23.05.1918-დან 16.08.1918-მდე იმყოფებოდა რეზერვში. 16.08.1918 დაინიშნა სამხედრო სამინისტროში პირადი შემადგენლობის განყოფილების უფროსად. 09.1919-დან 20.02.1921-მდე იყო მე-3 ქვეითი ბრიგადის მეთაური. 20.02.1921-დან დაინიშნა ზურგის არმიის მეთაურად. 09.04.1921-დან 15.11.1921-მდე დაინიშნა I მსროლელი ბრიგადის მეთაურად. 15.11.1921-დან 06.12.1921-მდე იმყოფებოდა რეზერვში. 6.12.1921-დან დაინიშნა სასაზღვრო ბრიგადის მეთაურად.
13. ***ნასამართლობა***	არ არის ნასამართლევი

<u>საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი:</u>

კითხვა: რა დამოკიდებულება გაქვთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური აღმშენებლობის საქმისადმი?

პასუხი: როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში აკეთებდა და აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ შექმნას ძლიერი არმია, ყოველმხრივ ორგანიზებული და აღჭურვილი, თუმცა ჯერ სასურველი შედეგი მიღწეული არ არის, რისი მიზეზიც მატერიალური სიდუხჭირე, უსახსრობაა.

სამეურნეო მდგომარეობის ვითარება ჩემთვის ცნობილი არ არის, რაც შეეხება მიწის რეფორმას, ანუ მიწის გადაცემას მშრომელთათვის (გლეხებისთვის) მიმაჩნდა და მიმაჩნია სამართლიანად.

პოლიტიკური სფეროს ბევრი ღონისძიება ჩემთვის ცნობილი არ არის, რადგან პოლიტიკურ საკითხებში ცუდად ვერკვევი, მაგრამ ზოგიერთი ღონისძიება, მაგალითად ეკლესიის გამოყოფა

სახელმწიფოსგან მიმაჩნდა და მიმაჩნია მიზანშეუწონლად.

კითხვა: როგორ ახსნით თქვენს აპოლიტიკურობას ამჟამად და აქტივობას მენშევიკების ხელისუფლებაში ყოფნის დროს?

პასუხი: მენშევიკური მთავრობის დროს ვმსახურობდი და ვასრულებდი მოვალეობებს და მთავრობის განკარგულებებს. ზუსტად ასევე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დავინიშნე უმაღლეს თანამდებობაზე. ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს კეთილსინდისიერად ვასრულებდი, რაც შეუძლიათ დაადასტურონ იმ სამხედრო პირებმა, რომლებიც ჩემთან ერთად მსახურობდნენ 1-ელ ქართულ სამწყობრო ბრიგადასა და ქართულ სასაზღვრო ბრიგადაში. მათ შეუძლიათ დაადასტურონ, რომ მთლიანად ვუძღვნიდი თავს ნაწილის მოწყობის, სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

კითხვა: როგორ უყურებთ საქართველოს თვითგამორკვევის საკითხს და მის მიერ დადებულ ფედერაციულ მოკავშირეობას ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან?

პასუხი: საქართველო აღიარებულია დამოუკიდებელ ქვეყნად. როგორც ჩემთვის ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლება საშუალებას აძლევს ერს თვითგამორკვევისთვის. რაც შეეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციულ კავშირს, მიმაჩნია, რომ რესპუბლიკების მიერ ერთმანეთის მიმართ ნაკისრი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, კავშირის არსებობა მისაღები იქნება. შეკითხვაზე, საჭირო იყო თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნა, გიპასუხებთ, რომ თუ ეს არის ყველა რესპუბლიკის ერის სურვილი, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი მიზანშეწონილობისა თუ მიზანშეუწონლობის შესახებ, რადგან მე ვემსახურები ერს და აღვასრულებ მის ნებას.

კითხვა: რა შეგიძლიათ განაცხადოთ თქვენი დაპატიმრების შესახებ?

პასუხი: ჩემი დაპატიმრების მიზეზი ჩემთვის ცნობილი არ არის.

დაკითხვას აწარმოებდა საგანგებო განყოფილების უფროსი.

ხელმოწერილია.

დადგენილება[12]

1922 წლის 30 ივნისს, მე, გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების საიდუმლო სამმართველოს უფროსმა, გიორგი ხოხლოვმა განვიხილე №340 საქმე, აღძრული 23 მოქალაქეზე, რომელთაც ბრალად ედებათ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობა: 1. ქართული სასაზღვრო ბრიგადის მეთაური ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, წარმოშობით თავადი, ქუთაისის მაზრის სოფ. საწულუკიძეოს მკვიდრი, 56 წლის, უპარტიო; 2. საქართველოს მე-2 სამწყობრო პოლკის ბატალიონის მეთაური ვიქტორ სევერიანის ძე ჯაფარიძე, რაჭის მაზრის სოფ. შარდომედის მკვიდრი, 43 წლის, უპარტიო; 3. მე-3 ქართული მსროლელი პოლკის ასეულის უფროსი იროდიონ სტეფანეს ძე შელია, ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფ. კახათის მკვიდრი, 26 წლის, უპარტიო; 4. ქართული მსროლელი პოლკის ოცეულის მეთაური არჩილ მიხეილის ძე ანდრონიკაშვილი, თავადი, ტიფლისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის სოფ. ვეჯინის მკვიდრი, 23 წლის, უპარტიო; 5. ქართული პოლკის ოცეულის მეთაური სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, თავადი, ტიფლისის გუბერნიის დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანის მკვიდრი, 26 წლის, უპარტიო; 6. ქართული მსროლელი პოლკის ოცეულის მეთაური რაფაელ დავითის ძე ერისთოვი, თავადი, ტიფლისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფ. ქისტაურის მკვიდრი, 22 წლის, მრწამსით ფედერალისტი და 7. ქართული მსროლელი პოლკის ასეულის მეთაური პავლე დავითის ძე ხარაძე, გლეხი, ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. ფარცხნალის მკვიდრი, 28 წლის, უპარტიო.

გამოვარკვიე:

რომ ზემოაღნიშნული პირები იყვნენ დაპატიმრებულნი მიმდინარე წლის 8 აპრილს, გენუის კონფერენციის გახსნის წინ, როგორც არაკეთილსაიმედო ელემენტები, რომელთაც შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა ანტისაბჭოთა პარტიების მიერ მომზადებულ პროტესტში იმ მომენტისთვის საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. გავითვალისწინე რა, რომ აღმოიფხვრა აღნიშნული მოვლენები და ასევე მათ შემდეგ 1 და 26 მაისი,

დავადგინე:

დაკავებული ზემოაღნიშნული მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან N2 გამასწორებელ სახლში (მეტეხი), გათავისუფლებულნი და გაგზავნილნი იქნან მათ ბოლო სამუშაო ადგილას. დაკავების დროს ჩამორთმეული იარაღები, რომლებიც შემდეგი ქვითრებით N662, 668, 683, 698 არის ГРУЗЧЕКА-ში, დაუბრუნდეთ, გარდა 2 ხმლისა და ხანჯლის N668 ქვითრით. N698 ქვითრით აღნიშნული ორი ბეჭედი, N658-I ქვითრით აღნიშნული ბეჭედი და გასაღები დაუბრუნდეს 1-ელ ქართულ პოლკს. დაპატიმრების დროს ამოღებული მიმოწერა დაბრუნებული იქნას.


დანარჩენი 9 პირის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიება გაგრძელდეს.

საიდუმლო განყოფილების ხელმძღვანელი.

ვეთანხმები: საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსი /**გულბისი**/.

ვამტკიცებ: გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი /**კევეიშა**/.

12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 32.



ПОСТАНОВЛЕНИЕ

г. Тифлис 1922 года июня 30 дня я Начсекотделения ОГПУ по ОКА ХОХЛОВ Георгий рассмотрев сего числа дело за № 340 по обвинению в контр революции, из числа 28-х граждан, 1/ Командира Погранбригады Грузии Кардена Григорьевича, происходящего из князей Кутаисского губ. того же уезда с.л. Соцулукидзево, 45 лет, беспартийный, 2/ Комбата 2 Грузстрелполка I ДЖАПАРИДЗЕ Виктора Северьяновича, происходящего из дворян Кутаисской губ., Рачинского уезда, сел. Кардомеда 43 лет, беспартийный, 3/ Комроты 3 Грузстрелполка I ДЖАПАРИДЗЕ Иродиона Степановича, происходящего из дворян Кутаисской губ., Зугдидского уезда, дер. Ахати, 26 лет, беспартийный, 4/ Помзавода пулькоманды Грузстрелполка I АНДРОНИКАШВИЛИ Архила Михайловича, происходящего из князей Тифлисской губ., Сигнахского уезда, сел. Ведзини, 23 лет, беспартийный, 5/ Помзавода Грузкавполка БАГРАТИОН-ДАВРАНОВА Семена Леонтьевича, происходящего из дворян Тифлисской губ. Душетского уезда с.л. Ухрань, 26 лет, беспартийный, 6/ Помзавода пулькоманды Грузстрелполка ДАВРИТОВА Гаяна Давидовича, происходящего из князей Тифлисской губ., Телавского уезда, сел. Ананаури, 24 лет, по убеждениям эсеровский и 7/ Комроты Грузстрелполка I ХАРЧИЛАВА Павла Давидовича, происходящего из крестьян Кутаисской губ. Шаропанского уезда, с.л. Наружнели, 28 лет, беспартийный, ШКЛ. что вышеименованные граждане были арестованы 8/IV с/г перед открытием Генуэзской конференции, как политически не благонадежные и могущие принять участие в подготовляемых анти-советскими партиями событиях-протестах против существующего политического строя в данное время в СССР.

Принимая во внимание ликвидацию указанного и последующих, первого и двадцать шестого мая, событий, ПОСТАНОВЛЯЮ: означенных выше граждан, находящихся под стражей в испрадоме № 2 /детохи/, освободить и направить в распоряжение Наркомвоенмора Грузии на предмет демобилизации из армии, как чуждых, по психологии и принципам, строительству вооруженных рядов пролетариата та. Отобранные при аресте оружие с принадлежностями, сданные в ГРУЗЧК-А по квитанциям за №№ 62, 688, 683 и 698, кои исковать, за исключением 2-х шашек и кинжала по квитанции № 688, Числящиеся по квитанции № 698- две печати и по квитанции № 688-1 печать и ключ направить Помпокома I Грузинского. Изъятую при аресте переписку возвратить.

Дело по отношению остальных 9-ти чел. следствием продолжить.

НАЧСЕКОТДЕЛА ОГПУ

Согласен: НАЧСЕКО

Утверждаю: НАЧСЕКОТДЕЛА ОГПУ

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 32.

რეგიონულ განყოფილებას [13]

განყოფილებაში არ არის მონაცემები მოქ. ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძის შესახებ.

მილოვა.

ცნობა: მონაცემები არ არის. **ივანოვა.**

სწორია: საიდუმლო განყოფილების უფროსი.

ხელმოწერილია.

იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანოვის ჩვენება 03/04-1923 წ.: [14]

1922 წელს, დაახლოებით წლინახევრის წინ, ვარდენ წულუკიძემ საკუთარ ბინაში მიმიწვია, სადაც დამხვდა გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. საუბრის დროს წულუკიძემ გვაცნობა, რომ მიღებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსული ჯარი უახლოეს მომავალში დატოვებს საქართველოს, რასაც შესაძლებელია არეულობა მოყვეს და უცხო ქვეყნის ჯარი საქართველოში შემოიჭრასო, რაშიც თურქეთის ჯარს გულისხმობდა. მისი თქმით, ამ მომენტისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით. ამიტომ ყველა პარტიას გადაწყვეტილი ჰქონდა მომზადება და გაერთიანება და ჩვენც მზადყოფნისკენ მოგვიწოდებდა. იმ მომენტში ვარდენ წულუკიძეს სამხედრო ცენტრი არ უხსენებია, საუბარი აზრთა ზოგად გაცვლა-გამოცვლაში მდგომარეობდა. საუბრის ბოლოს, წულუკიძეს განვუცხადე, რომ ჩემი მონაწილეობის იმედი ნუ ექნებოდა, რადგან სოფლის მეურნეობის სამუშაოებით ვიყავი დაკავებული და პოლიტიკისგან შორს ვიდექი.

სხვა საუბარი წულუკიძესთან ან ანდრონიკოვთან ამ თემაზე არ მქონია. არც ვინმეს შევხვედრივარ.

იოსებ გედევანოვი.

დაკითხა: **ნეიმანი**.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ვარდენ წულუკიძის ჩვენება 24/IV-1923 წ.: [15]

1921 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში, როგორც ეს წინა ჩვენებებში აღვნიშნე, ჩემთან მოვიდა ნათესავი, აწ გარდაცვლილი დავით მიქელაძე, რომელიც ნაკლებად აქტიური ეროვნულ-დემოკრატი იყო. ჩემში პატრიოტული გრძნობების გაღვივებითა და საქართველოში არსებული მძიმე ვითარების აღნიშვნით, შემომთავაზა მონაწილეობა მიმეღო შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაში. წინადადება მესიამოვნა, ვინაიდან ის ეროვნულ-დემოკრატებისგან მოდიოდა, ამიტომ მაშინვე

13 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 33.
14 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 35.
15 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 36-39.

ვუპასუხე, რომ მუშაობაში მონაწილეობას მივიღებდი იმ პირობით, თუ ორგანიზაციის სათავეში ყველა პარტიის წარმომადგენელი იქნებოდა, რადგან ვერც ერთ პარტიასთან და ვერც ერთი პარტიის ინტერესებისთვის ვერ ვიმუშავებდი. იგივე განვუცხადე ეროვნულ-დემოკრატებს - იასონ ჯავახიშვილსა და დავით ვაჩნაძეს. ვიცი, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა თანამშრომლობა შესთავაზეს ალექსანდრე ანდრონიკაშვილსა და როსტომ მუსხელოვს, რომელთაც იგივე სამუშაო პირობა დაასახელეს, რაც მე. ივანე ნარიკელაძემ კონტრდაზვერვითი სამუშაო ჯერ კიდევ სამხედრო ცენტრის შექმნამდე დაიწყო, თუ არ ვცდები, ეს შეთავაზება მან მენშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტისგან მიიღო. ცენტრის შექმნამდე ნარიკელაძემეთანხმებოდა, რომერთპარტიასთან მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა, ამავე შეხედულებით მუშაობდა ცენტრის შექმნის შემდეგაც. ეჭვგარეშეა, რომ მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს ჰქონდათ საკუთარი ორგანიზაცია, თითოეულ მათგანს ჰყავდა მომხრეები ოფიცერთა შორის, თუმცა კონკრეტულად რომელი ოფიცრები იყვნენ, არ ვიცი. შემიძლია დავასახელო მხოლოდ გოგი ხიმშიევი, რომელიც მენშევიკებთან მუშაობდა. არც ერთი ოფიცრისთვის არასდროს მიკითხავს, რომელ პარტიასთან თანამშრომლობდნენ, რადგან ძველი ჩვეულების მიხედვით, ოფიცრები აპოლიტიკურ მოსამსახურეებად მიმაჩნდა. ამგვარად, ჩემი ურთიერთობა ეროვნულ-დემოკრატებთან იმ წინადადებით დაიწყო, რომელიც დავით მიქელაძემ შემომთავაზა. ჩემი განცხადება, რომ ვერ ვითანამშრომლებდი მხოლოდ ერთ პარტიასთან, არ მოეწონათ ეროვნულ-დემოკრატებს - მიქელაძეს, ჯავახიშვილსა და ვაჩნაძეს. 1922 წლის აპრილის, მაისისა და ივნისის თვეებში, საპყრობილეში ყოფნის დროს, სპირიდონ კედიასა და ასათიანს განვუცხადე იგივე, რაც ზემოთ ჩამოთვლილ პირებს.

დოკუმენტების შინაარსი, რომელიც მოკლულ ფავლენოვს აღმოაჩნდა და გაზეთებში იქნა გამოქვეყნებული, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. უცნობი იყო ფსევდონიმი „სამფერ“, რომლითაც ხელს აწერდა შტაბის მეთაური და ის უფლებამოსილება, რის საფუძველზეც იძლეოდა იგი მსგავს განკარგულებებს. დოკუმენტების გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, შევხვდი ნარიკელაძეს, რომელმაც ასევე არ იცოდა „სამფერას“ ვინაობა. მხოლოდ ერთი თვის თუ უფრო მეტი ხნის გასვლის შემდეგ, შეხვედრისას მითხრა ნარიკელაძემ, რომ „სამფერა“ დავით ვაჩნაძე იყო. ნარიკელაძეს ვაჩნაძისთვის უთქვამს, რომ არასწორი საქციელი იყო მეგობრის სახელის „ბუზის“ ფსევდონიმით დაფარვა და წულუკიძის გვარის სრულად დაწერა. ამაზე დავით ვაჩნაძეს უპასუხია, ეს წარსულის ამბავია და ახალი საქმე დავიწყოთო. ამგვარად, დავით ვაჩნაძეს არ უარუყვია, რომ „სამფერა“ მისი ფსევდონიმი იყო, და თუ ეს ასეა, ეჭვგარეშეა, რომ ბრძანებები გამოსაქვეყნებლად გაზეთში ეროვნულ-დემოკრატების მიერ იყო გაგზავნილი. იმის თქმა როდი მინდა, რომ ისეთ ავანტიურაში, როგორიც დუშეთის აჯანყება იყო, ეროვნულ-დემოკრატების პარტია სრული შემადგენლობით იღებდა მონაწილეობას, თუმცა ამ პარტიის ზოგიერთი წევრი, დავით ვაჩნაძის თანამოაზრეები, უდავოდ იღებდნენ ამაში მონაწილეობას. ვინ იყვნენ ისინი, არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ იასონ ჯავახიშვილიც მონაწილეობდა ამ ბრძანებების მომზადებაში. დოკუმენტებში აღნიშნული მითითება პარიტეტულ კომიტეტსა და სამხედრო ცენტრზე, თითქოს ამ ორგანოებისგან მომდინარეობდა განკარგულებები, და რომ პარიტეტული კომიტეტი იძლეოდა სანქციას 27 სექტემბრის საერთო გამოსვლაზე, მტკნარი სიცრუეა. შტაბში, რომლის სახელითაც დავით ვაჩნაძე განკარგულებებს იძლეოდა, მე არ შევდიოდი და ვერც ვიქნებოდი შტაბში დავით ვაჩნაძესთან ერთად, ადამიანთან, რომელიც ხელის ერთი მოსმით იღებდა გადაწყვეტილებებს, ყოველგვარი გააზრებისა და შედეგების განჭვრეტის გარეშე. გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ეწერა: „შეწყვიტეთ კავშირი ვარდენთან, იგი აქტიური მოქმედებების წინააღმდეგია“. მე რომ ცალკეული გამოსვლების წინააღმდეგი ვიყავი, ამის შესახებ დავით ვაჩნაძემ ჯერ კიდევ ჩემი ციხეში ყოფნის დროს იცოდა. ბანდიტიზმის მიმართ ჩემს უარყოფით დამოკიდებულებაზე ვესაუბრებოდი ვაჩნაძესა და პარტიის სხვა წევრებს, მათ შორის კედიასა და ასათიანს. რაც შეეხება კავშირს ჩოლოყაშვილთან,

ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ მასთან კავშირი არ მქონია. 1922 წლის 8 აპრილს დამაპატიმრეს. დაპატიმრებამდე გაგონილიც არ მქონდა, რომ ჩოლოყაშვილი ბანდას აყალიბებდა და ტყეში იყო გასული. ამის შესახებ ციხეში შევიტყვე, სადაც სამი თვე გავატარე. ციხიდან 3 ივლისს გამოვედი და ცხადია, ჩოლოყაშვილთან კავშირი ვერ მექნებოდა. დოკუმენტი, რომელშიც ჩემი გვარი მოიხსენიება, 26 ივნისითაა დათარიღებული. ვაცხადებ, რომ არც 26 ივლისამდე, არც შემდეგ, ჩოლოყაშვილთან კავშირი არ მქონია და არც ვცდილობდი მქონოდა. ჩემთვის ცხადია, რომ დავით ვაჩნაძე იღებდა ზომებს იმისათვის, რომ ჩოლოყაშვილი არ დამკავშირებოდა, რათა მისი ცრუ ბრძანებების ამბავი არ გახმაურებულიყო. დამავიწყდა მეთქვა, რომ იასონ ჯავახიშვილი და დავით ვაჩნაძე მდევნიდნენ. გავიგე, რომ იასონ ჯავახიშვილი ჩემს დაპატიმრებას გაუხარებია და უთქვამს, ახია მასზე რომ გვიღალატაო. ნარიკელაძე მეუბნებოდა, რომ ჯავახიშვილი შეხვედრია და უთქვამს, წულუკიძე მენშევიკი გამხდარა და მათთან თანამშრომლობსო. ნარიკელაძე მეუბნებოდა, რომ იასონ ჯავახიშვილსა და დავით ვაჩნაძეს ოფიცრებში ხმა გაუვრცელებიათ, რომ მე მხოლოდ მენშევიკური პარტიის ინტერესებისთვის ვმუშაობდი. და ამას მას შემდეგ ამბობდნენ, რაც მე კატეგორიულად მქონდა მათთვის განცხადებული, რომ არც ერთი პარტიის სასარგებლოდ არ ვიმუშავებდი, რაც შევასრულე კიდეც.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების პირდაპირ დამოკიდებულებას ბანდიტიზმთან, უნდა განვაცხადო, რომ მენშევიკი, პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენელი ქარცივაძე, ისევე როგორც თავად კომიტეტი, ბანდიტიზმის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი. როგორც ცენტრისთვისაა ცნობილი, კომიტეტი იღებდა ზომებს ბანდების ლიკვიდაციისთვის. ნიკოლოზ ქარცივაძის გარდა, არც ერთ მენშევიკთან ბანდიტიზმისა და დუშეთის გამოსვლის შესახებ არ მისაუბრია, ეს უკანასკნელი კი ყოველთვის წუხილს გამოთქვამდა აღნიშნულ საკითხებზე საუბრის დროს. გორის აჯანყებაში მენშევიკების მონაწილეობას ქარცივაძე კატეგორიულად უარყოფდა. ბანდიტიზმის მიმართ ეროვნულ-დემოკრატების დამოკიდებულება ჩემთვის უცნობია, თუმცა როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, პარტიის ცალკეული წევრები არა მხოლოდ უთანაგრძნობდნენ აქტიურ გამოსვლებს, არამედ ხელს უწყობდნენ მათ და შესაბამის განკარგულებებსაც იძლეოდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა პარტიებიც უკმაყოფილონი იყვნენ ბანდიტური და სხვა გამოსვლებით.

პარტიებისგან ინფორმაცია ბანდების შესახებ არ მიმიღია, ამა თუ იმ მაზრაში გამოსვლების შესახებ ინფორმაციას კონტრდაზვერვის უფროსისგან ნარიკელაძისგან ვიღებდი, რომელსაც ყოველთვის როდი ჰქონდა ზუსტი და დროული მონაცემები.

პარიტეტული კომიტეტისგან ბანდებთან დაკავშირებით არავითარი მითითება არ მიმიღია. კომიტეტმა მხოლოდ აცნობა ცენტრს, რომ მის მიერ მიღებული იქნებოდა ზომები ბანდების ლიკვიდაციისთვის.

პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ქარცივაძემ გადმომცა, რომ კომიტეტში დასახელებულია ჩემი კანდიდატურა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში და ჩემს ნებართვას ითხოვდა, რაზეც დავეთანხმე. მახსენდება, რომ სამხედრო ცენტრში არჩეულ პირთა სია გამოცხადებული იყო სხდომაზე, რომელსაც ნიკოლოზ ქარცივაძე თავმჯდომარეობდა, პარიტეტული კომიტეტის წევრების - იასონ ჯავახიშვილის, ანდრონიკოვის, აფხაზის, ჩემი და ნარიკელაძის თანდასწრებით. ზუსტად როდის მოხდა ეს, არ მახსოვს, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს, ან ცოტა უფრო ადრე. სამხედრო ცენტრში არჩეულნი იყვნენ: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, როსტომ მუსხელოვი და მე. ცენტრის თავმჯდომარე იყო ანდრონიკაშვილი. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეს ვუკავშირდებოდი მე. ანდრონიკაშვილს თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა. ვთხოვდი, არავისთან მისულიყო და არც ვინმე მიეღო სახლში. ფუნქციები ზუსტად გადანაწილებული არ იყო, თუ რაიმე გადაწყვეტილი იყო მისაღები, ერთობლივად

ვიღებდით ქუჩაში შეხვედრების დროს.

ვარდენ წულუკიძე.

მინაწერი: **იასონ ჯავახიშვილი, დავით ვაჩნაძე, ქარცივაძე** ენდობიან **ვარდენ წულუკიძეს**.

ასლი დედანთან სწორია.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 25.04.1923 წ.: [16]

ვარდენ წულუკიძე 1921 წლიდან თანამშრომლობს მენშევიკებთან სამხედრო ხაზით. სამხედრო ცენტრი არსებობს 1922 წლის ივნისი-ივლისიდან. თავდაპირველად მის შემადგენლობაში შევდიოდით: მე, ანდრონიკოვი, წულუკიძე, ხიმშიევი და იოსებ გედევანოვი.

1922 წლის ოქტომბერში გავიგე, რომ სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში მომხდარა ცვლილებები, ხიმშიევის მაგივრად ჩართულა კონსტანტინე აფხაზი.

რ. მუსხელოვი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ჯავახოვის დამატებითი ჩვენებიდან 16/IV-1923 წ.: [17]


3. ჩემ მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც შეეხება გენ. წულუკიძესა და ჩოლოყაევს შორის არსებულ კავშირს, საჭიროებს დაზუსტებას. ჯერ კიდევ გასულ წელს, გაკვრით მოვისმინე ცეკას ერთ-ერთი წევრისგან (არ მახსოვს ვისგან), რომ კახეთიდან ჩამოსულ პირს რაღაც უნდა ეცნობებინა წულუკიძისთვის. აქედან დავასკვენი და ვაღიარებ, რომ ვიჩქარე, თითქოს წულუკიძეს ჰქონდა კავშირი ჩოლოყაევთან. აღნიშნულ ჩვენებას გაძლევთ იმის შიშით, რომ არ დავწამო ცილი უდანაშაულო ადამიანს.

1923 წლის 16 მარტი

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

16 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 47.
17 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 56.

1923 წლის 3 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ გაიცა N17 ორდერი, რომლის მიხედვითაც, ЗАКЧЕКА-ს თანამშრომელს, ვინმე შმენს ევალებოდა ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძის დაპატიმრება და მიხაილოვის ქ. N117-ში მდებარე მის ბინაში ჩხრეკის ჩატარება.



Ф. С. С. Р.
Закавказья
Закавказская Чрезвычайная Комиссия
при союзном совете
СЕКРЕТНО-ОПЕРАТИВНАЯ ЧАСТЬ

/3

ОРДЕР № 17

Марта 3 дня 1923

Выдан сотруднику Закчека Шмена

на производство обыска и ареста Цулукидзе Вардена Григорьевича

по адресу Михайловская 117 кв 1

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказывать лицу на имя которого выписан ордер полное содействие для успешного его выполнения.

Председатель Закчека

Нач. СОЧасти

Место для печати

Справка

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 3.

იმავე დღეს შედგა N21 ოქმი[18], რომლის საფუძველზეც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად, წულუკიძისგან ამოღებულ იქნა ერთი ქამარი.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე დააპატიმრეს 1923 წლის 3 მარტს.

რსფსრ


XI არმიის სამხ. რევოლ. საბჭოს განსაკუთრებული განყოფილება

<u>დაპატიმრების ფურცელი N78</u>

გვარი, სახელი, მამის სახელი	წულუკიძე ვარდენ გრიგოლის ძე
მისამართი	ტიფლისი, მიხაილოვის ქ. N117.
ასაკი	57 წლის.
განათლება	საშუალო.
პროფესია	სამხედრო მოსამსახურე.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	ამჟამად სამხედრო სამსახურს არ ეწევა. 3 იანვრიდან მუშაობს ქარხანაში.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	ხელფასით
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	
რის საფუძველზე	

ხელმოწერა: **ვ. წულუკიძე.**

18 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 3.



Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный лист № 78.

„3" марта 1923 г.

Фамилия Шулухидзе Имя и отчество Варлам Григорьевич

Адрес: Тифлис, Авлабарский пр., № 12

Возраст 37 лет

Образование средне

Профессия плотник

Где работает и долго ли На воен. службе не состоит, работал на дороге с 3 янв. 23 г.

Партийность беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли

Не состоял и не состоит

На какия средства живет случ.

Имеет ли семью нету

Кем арестован

На каком основании

Подпись: В. Шулухидзе

Приметы:

Сдал Принял

ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 6.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N78</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	**პასუხები**
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	წულუკიძე.
2) ***სახელი, მამის სახელი***	ვარდენ გრიგოლის ძე.
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო.
4) ***ჩაწერის ადგილი***	ტიფლისი.
5) ***ეროვნება***	ქართველი.
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	57 წლის, 1865 წლის ნოემბერი
7) ***განათლება***	საშუალო, სამხედრო სასწავლებელი.
8) ***ოჯახი***	***მეულლე:*** ნინო ვიქტორის ასული, მცხ. თბილისში.

9) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი*	***ძმისშვილი:*** [...] ალექსანდრეს ძე წულუკიძე, კავალერისტი. ***დიშვილი:*** დავით აპოლონის ძე წერეთელი, კავალერისტი, მუშაობს სახელმწიფო ბანკში.
10) *ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი*	
11) *პარტიულობა*	უპარტიო.
12) *პროფესია*	სამხედრო მოსამსახურე.
13) *სამუშაო ადგილი:* *ა) 1917 წლამდე;* *ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე*	ა) 1915 წლის სექტემბრის ჩათვლით იყო პოლკის მეთაური, შემდგომ იმყოფებოდა არმიის რეზერვში. ბ) მეთაუროზდა მე-15 ბრიგადას, მსახურობდა ქართულ არმიაში 1922 წლის 6 დეკემბრამდე.
14) *წოდება*	
15) *თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს*	აბრეშუმის ქარხანაში მუშაობით.
16) *ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად*	არა
17) *ნასამართლეობა*	
18) *სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება*	1922 წლის 6 დეკემბრიდან იმყოფება უვადო შვებულებაში.
19) *როდის მოხდა დაპატიმრება*	
20) *ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი*	

21) *სად მოხდა დაპატიმრება*	ტიფლისში, საკუთარ სახლში, მიხაილოვის ქ.117.
22) *ვის მიერ იყო დაკითხული პირველად*	
23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	
24) *სავხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	
პატიმრის ხელმოწერა: **ვ. წულუკიძე**. 3 მარტი, 1922 წ.	
მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)	
25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	
XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:	

4. 7

Особый Отдел при Реввоенсовете XI армии.

АНКЕТА № 48

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.
Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
I-я часть заполняется заключенным	
1) Фамилия	Цамалашвили
2) Имя и отчество	Варден Григорьевич
3) Граждан ин ка какого государства	Грузин
4) Место приписки	Губ. Тифлисск. уезд село вол.: город Тифлис
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	57 лет, родился в месяц 1965 года
7) Образование: а) грамотный ли б) какую школу окончил, в) если не окончил, то ск. класс курс прошел	а) грамотен, высшее образование б) окончил школу в) прошел класс курс школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестр)

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1					
2			48		
3					
4					
5					


9) Родственники и близкие знакомые — бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1				
2				
3				
4				
5				

10) Родственники и близкие знакомые — офицеры Красной армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Военное звание, род оружия или спец. в Красн. ар.	Место службы
1				
2				
3				

ცსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 7.



11) Партийная принадлежность а) в какой партии состоит, б) с какого времени	а) состою членом Большевистской партии б) ..... месяц 19 года
12) Профессия	Военная
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1/ш 1917 г. б) с 1/ш 1917 г. по день ареста.	Название предприятия или учреждения / Профессия или должность а) ..... Командующий полка по сент. 1915 г. до ноября в резерве чина б) ..... Командовал 153 пех. полк, служил в 1 арм. корпусе, служил в Зап. зем. войск Тифлисск. 6 арм. 1922 г. в отставке
14) Если состоит на госуд. службе то в каком числе	
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	Служил на нефтепромышленных заводах
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	не имею
17) Привлекался ли к ответствен. по суду или в админ. порядке	
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) ..... б) Взят в заложники отцом Варлаамом вместе с другими [illegible]
если когда арестован	месяц 19 3 года
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	
21) Где арестован: а) губер., уезд. вол.. село гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) [illegible] Тифлисской губ. б) На квартире
22) Когда и кем допрошен в первый раз	
23) Предъявлено-ли обвинение при допросе и в чем именно	
24) Место жительства перед арестом	г. Тифлис, Михайловская ул., № 112

Подпись заключенного В. Цулукидзе

"3" марта 19 23 года.

2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключенного	

ᲨᲡᲡ არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 8.

ოპერატიული დადგენის მემორანდუმები (ამონარიდები)[19]

ცნობების მიმწოდებელი განყოფილება, შეტყობინება 21/VII.

ნარიკელაძე ყოფილი პოლკოვნიკია, 1917 წელს თავს ასაღებდა ნაციონალისტად, ამჟამად - ფედერალისტად, იყო შტაბის მეთაური და სამხრეთ ოსეთში გაგზავნილი სადამსჯელო რაზმის მეთაური. კავშირი აქვს გენერალ წულუკიძესთან, ფურცელაძესთან, შავდიასთან და სხვებთან.

აგენტურული შეტყობინება 28/IX.

მიხაილოვის №117-ში, მე-2 სართ. ბინა 1, ცხოვრობს ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, 57 წლის, ყოფილი გენერალი, მისი ნიშნებია: საშუალოზე მაღალი, მსუქანი, მუქი ფერის თმით, სავსე სახით, ჭაღარა წარბებით, სწორი ცხვირით, ჭაღარა წვერ-ულვაშით; აცვია თეთრი პერანგი შემოჭერილი შავი ქამრით და შავი რუსული ჩექმები. ამავე ბინაში ცხოვრობს ექიმი შალვა ანტონის ძე მიქელაძე, 38 წლის, საქართველოს მოქალაქე. ბინაში ხშირია სტუმრიანობა.

აგენტურული შეტყობინება 29/IX

დაფიქსირდა ნარიკელიძისა და წულუკიძის შეხვედრა.

აგენტურული შეტყობინება 30/IX

ნარიკელაძე გამოვიდა საზღვაო-სამხედრო კომისარიატის შენობიდან წულუკიძესთან ერთად, შევიდა ქართული ბრიგადის მომარაგების სამმართველოში და ალექსანდროვის ბაღში, სადაც გარკვეულ საკითხზე სერიოზულად საუბრობდნენ.

აგენტურული შეტყობინება 27/X, სანდო პირი „ილოევი“.

ნარიკელაძე ამბობდა, რომ იგი, ანუ ნარიკელაძე, არის საქართველოში მოქმედი რაზმების ორგანიზატორი, ჩიოდა მისი ახალგაზრდა დამხმარის ავადმყოფობასა და მცირე გამოცდილებაზე, ასევე იმაზე, რომ ცენტრში არ ესმით დაზვერვის სამხედრო ამოცანები, რადგან მათ შორის არ არიან სამხედრო სპეციალისტები, ამიტომ უწევს ხანგრძლივი მოხსენებებისა და ახსნა-განმარტებების მიცემა. მიაჩნდა, რომ ყველა ფულადი სახსარი და ანგარიშსწორება უნდა გადაცემულიყო გენერალ წულუკიძისთვის, როგორც სამხედრო პირისთვის.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილება

ვარდენ წულუკიძე საქართველოს ჯარის ბრიგადის ყოფილი მეთაურია, მენშევიკების გენერალი, მეთაურობდა სამხედრის ჯგუფის ფრონტს. აქტიურ მონაწილეობას იღებდა წითელი

19 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 11-16.

არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1920-1921 წლებში, მისი განკარგულებით დახვრეტილი იქნა ბოლშევიკური მრწამსის მქონე 16 ქართველი მენშევიკი ჯარისკაცი, რისი დადასტურებაც შეუძლია დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარ ციხელაშვილს. მონარქისტია. საქართველოს წითელ არმიაში ითხოვდა სამხედრო წესით სალმის მიცემას. ახლო ურთიერთობა აქვს ნარიკელაძესა და ფურცელაძესთან. მატერიალურად სავალალო მდგომარეობაშია. ცხოვრობს პლეხანოვის პროსპექტზე, სასტუმრო „ნოე“-ს მახლობლად, ექიმ მიქელაძის ბინაში.

I/XI – PO ვარდენ წულუკიძე დაპატიმრებულია მიმდინარე წლის 8-IV ГРУЗЧЕКА-ს მიერ.

I/XI – PO ცნობები ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძის ანკეტიდან: 55 წლის, თავადი, ქუთაისის გუბერნიის მკვიდრი, ყოფილი გენერალი. სწავლობდა ტიფლისის კადეტთა კორპუსში და ალექსანდროვსკის მე-2 სამხედრო სასწავლებელში. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი №117. ქართულ არმიაში მსახურობს მე-3 ქვეითი ბრიგადის მეთაურად.

II/XI აგენტურა – გენერალ ვარდენ წულუკიძეს აქვს პოლიტიკური კავშირი ნარიკელაძესთან.

ცნობების მიმწოდებელი განყოფილება, შეტყობინება 24/XI.

ვარდენ წულუკიძე - მენშევიკების არმიის გენერალ კვინიტაძის გაქცევის შემდეგ დარჩა მის მოადგილედ. იქამდე იყო ქართული სასაზღვრო ბრიგადის მეთაური. დაპატიმრებული იქნა ამა წლის ზაფხულში, შემდეგ კი გათავისუფლებული. ჰქონდა კავშირი გედევანოვთან, პოლკოვნიკ ნარიკელაძესთან, მუსხელოვთან და სახელმწიფო ოპერის არტისტ ქარცივაძესთან, რომელიც გენერალ კვინიტაძესთან ერთად საზღვარგარეთ გაიქცა და ახლახან დაბრუნდა თბილისში.

სანდო პირი „ილოევი“, შეტყობინება 26/XI.

ნარიკელაძე ამბობს, რომ ფავლენიშვილთან აღმოჩენილ დოკუმენტებში საუბარია, რომ თბილისის ორგანიზაცია ჩოლოყაშვილს ავალებდა, არ შესრულებულიყო ვარდენ წულუკიძის მითითებები, რადგან ეს უკანასკნელი აქტიური მოქმედებების წინააღმდეგი იყო.

ნარიკელაძე ამბობს, რომ ეს ორგანიზაცია მისთვის უცნობია და სავარაუდოდ, იგი იმ ორგანიზაციის პარალელურად ფუნქციონირებს, რომელშიც ნარიკელაძეა გაერთიანებული. იგი შეშფოთებული იყო, რადგან ეშინოდა არ დაეპატიმრებინათ ვარდენ წულუკიძე, რომელსაც იცავს როგორც კარგ თანამშრომელს.

ГРУЗЧЕКА-ს საინფორმაციო განყოფილება.

გენ. წულუკიძე 1918 წელს მეთაურობდა სადამსჯელო რაზმს. მის მიერ გაგზავნილი იქნა

პოლკოვნიკი ჩახავა, რომელიც თავისუფლად დაიარებოდა ტიფლისში, რათა ამ უკანასკნელს ჩაეხშო აჯანყება თეთრწყაროში. ჩახავა პირადად როზგავდა მოსამსახურე კირზნერს, რომელიც თითქოსდა აჯანყების მონაწილე იყო. გენ. წულუკიძის ბრძანებით, კირზნერი დახვრიტეს დღის 4 საათზე. თეთრიწყაროს მოსახლეობას შეუძლია დაადასტუროს კირზნერის მიმართ გამოხატული მხეცური მოპყრობა წულუკიძისა და ჩახავას მხრიდან, მათ შორის ლივშიცების ოჯახსაც.

სანდო პირი 7/II.

დასტურდება, რომ მემორანდუმში მე-8 ნომრად ნახსენები გიორგი ქარცივაძე, რომელიც თითქოსდა საზღვარგარეთიდან გაზაფხულზე დაბრუნდა და რომელიც ამჟამად სახელმწიფო ოპერაშია დაკავებული, ბათუმიდან ჩამოვიდა გაზაფხულზე. რაც შეეხება მის ყოფნას კონსტანტინოპოლში, ეს მხოლოდ ხმებია. მისი საქციელი ადასტურებს, რომ იგი გარკვეული პარტიის წევრია. ქარცივაძის ნიშნებია: საშუალოზე მაღალი, შავგვრემანი, მოკლედ შეკრეჭილი ულვაშით და ესპანურა წვერით, თმები უკან აქვს გადავარცხნილი.

ცნობა.

გიორგი ქარცივაძე არ არის საზღვარგარეთიდან შემოსულთა სიაში.

ГРУЗЧЕКА-ს ცნობა 5/XII.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე გადის №952 საქმეში და ბრალდებულია კონტრრევოლუციურ საქმიანობაში.

სანდო პირი „კავერინი“ 24/XII.

ვარდენ წულუკიძე საჩხერე-ჭიათურის რაიონში რკინიგზით გამგზავრებას გეგმავს.

სანდო პირი „გიორგაძე“ 13/XII.

8 ოქტომბერს ვეტექიმ ივანე ქუთათელაძის ბინაში შემდგარ შეხვედრაზე ვიღაცამ იკითხა, თუ რა ეტაპზეა მოლაპარაკება ვარდენთან. მომხსენებლმა უპასუხა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს და რომ ვარდენის მიერ წამოყენებული პირობები განხილული იქნება სამხედრო კოლეგიის სხდომაზე.

სანდო პირი 9/I.

წულუკიძე იმყოფება ტიფლისში და არსად არ მიემგზავრება. /გვ. 203/, საქმე 39-3.

აგენტი 23/XII.

ივლიანე მაქსიმეს ძე ჩახავა, მცხ. ოლგას ქ. №47, 31 წლის, მსახურობს სურსათის კომისარიატში კომერციულ აგენტად, მენშევიკების დროს იყო 1-ელი ქართული ესკადრონის მეტყვიამფრქვევე, იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ, 1922 წლის მაისში დაპატიმრებული იყო პოლიტიკურ საქმეზე /გვ. 204/.

სანდო პირი 11/I.

გიორგი ქარცივაძე, მცხ. მესანგრის ქ. №23-ში, ბიძასთან, პოლკოვნიკ გრიგოლი ქარცივაძესთან. წულუკიძესთან მისი კავშირი გამოიხატა ერთი შეხვედრით. /გვ. 205/.

ГРУЗЧЕКА-ს საქმე №952.

ვარდენ წულუკიძე დაპატიმრებული იყო 3/IV, სხვა ოფიცრებთან ერთად, გენუის კონფერენციის გახსნის წინ. გათავისუფლებულია გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების 30/VI-22 წლის დადგენილებით და დათხოვნილია წითელი არმიის რიგებიდან /გვ. 206, 207/.

სანდო პირი „ილოევი“ 24/XI.

ამბობდა, რომ შაბათს აუცილებლად უნდა შეხვედროდა ყოფილ გენერალ ვარდენ წულუკიძეს და განეხილა მასთან სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხები, სხვათა შორის, უნდა ესაუბრა ჩემ შესახებაც.

სანდო პირი „ილოევი“ 28/XI.

26 ნოემბერს ვიყავი ნარიკელაძესთან. მან თავიდანვე დაიწყო საუბარი ფავლენიშვილზე, კერძოდ კი გაზეთში „Правда Грузии“ დაბეჭდილი სტატიის შესახებ, რომელშიც საუბარი იყო ფავლენიშვილთან ნაპოვნი მასალების თაობაზე. აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდა რაღაც საიდუმლო ქაღალდები, რომელიც ნარიკელაძისთვის უცნობ ორგანიზაციას გაეგზავნა ჩოლოყაევთან და რომელსაც ხელს აწერდა ვინმე მეტსახელებით „ბუზი“ და ,,სამფერა“. გაუკვირდა, რატომ მუშაობდა ეს ორგანიზაცია ცენტრის დაუკითხავად, რადგან არც იმ ორგანიზაციამ იცოდა მის შესახებ, რომლის წევრიც ნარიკელაძე გახლდათ და თან აღშფოთებული იყო, რატომ ინახავდა ისეთი ჭკვიანი ადამიანი, როგორიც ფავლენიშვილია, ამ დოკუმენტებს, მით უმეტეს, რომ ისინი დიდი ხნის წინ იყო დაწერილი. ნარიკელაძე ამბობდა, რომ ამ დოკუმენტებში ეწერა, თითქოს ჩოლოყაევი არ შეასრულებდა ვარდენ წულუკიძის მითითებებს, რადგან ეს უკანასკნელი აქტიური მოქმედებების წინააღმდეგი იყო. ნარიკელაძე შეშფოთებული იყო, რადგან ეშინოდა ისეთი ფასეული თანამშრომლის დაკარგვის, როგორიც წულუკიძე გახლდათ /იგი ვარაუდობდა, რომ ამ უკანასკნელს დააპატიმრებენ/, თუმცა დასძენდა, რომ დაპატიმრების დროს მაინც ვერაფერს აღმოაჩენდნენ.

ГРУЗЧЕКА 5/XII.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, საქმე №952, ბრალდებულია კონტრრევოლუციურ საქმიანობაში. ყველა ჩამოთვლილი პირი კავშირშია ნარიკელაძესთან.

სანდო პირი „გიორგაძე“ 10/I.

კლიმიაშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ვარდენ წულუკიძე მენშევიკებთან მუშაობს.

სანდო პირი „გიორგაძე“ 14/II.

როდესაც კლიმიევს ვკითხე, რას წარმოადგენდა ნარიკელაძე, მიპასუხა, რომ ის მოიპოვებდა მეტად ფასეულ ცნობებს გაერთიანებული წითელი არმიის შტაბიდან, რომელსაც სამხედრო ცენტრს გადასცემდა. იქამდე კი, როდესაც კლიმიევს ჰკითხეს, თუ ვინ იყო ცნობილ ოფიცერთაგან სამხედრო ცენტრის წევრი, მან ვარდენ წულუკიძე და ნარიკელაძე დაასახელა.

სანდო პირი, 24/XI.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე /მიხაილოვის №117/, ყოფილი გენერალი და მენშევიკების დროს სასაზღვრო ბრიგადის ყოფილი მეთაური, ნაციონალ-მენშევიკი. დაპატიმრებული იყო ГРУЗЧЕКА-ს მიერ, ახლა უცნობია, სად არის. წულუკიძე ნარიკელაძის მეგობარი და ახლობელი.

აგენტი. 25/III.

ქართული სასაზღვრო ბრიგადის ყოფილი მეთაური ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე ეჭვმიტანილია კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში.

აგენტი. 30/III.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, ყოფილი გენერალი, მონარქისტი. მენშევიკური მთავრობის დროს იყო ახალციხე-ახალქალაქის შეიარაღებული ჯგუფის მეთაური, შემდგომში კი ამავე რაიონის გენერალ-გუბერნატორი. აქტიურად მოქმედებდა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი ებრძოდა მენშევიკურ არმიას. იყო მეთაური, შეაფერხა წითელი არმიის იერიში მარცხენა ფლანგიდან. ცხოვრობს რეერის სახლში, მიხაილოვის პროსპექტის №117-ში.

აგენტი. 31/III.

საბჭოთა საქართველოს სასაზღვრო ჯარების ბრიგადაში მუშაობის დროს, ყოფილმა თავადმა და გენერალმა ვარდენ წულუკიძემ შემოიკრიბა თანამებრძოლები და თანამოაზრეები, მათ შორის, ამჟამად შტაბში მომუშავე ყოფილი თავადი და პოლკოვნიკი მუსხელოვი, რომელიც მენშევიკური

მთავრობის დროს იყო სამწყობრო განყოფილების უფროსი, ასევე ამჟამად სამხედრო სამინისტროს კონტრდაზვერვის განყოფილების ყოფილი პოლკოვნიკი ძაგანია - ჭკვიანი და ცბიერი პიროვნება, აბსოლუტური მენშევიკი.

ვარდენ წულუკიძის ნიშნებია: ჭაღარა წარბები, ჭაღარა წვერი, უხეში სახის ნაკვთები, გადაპარსული თავი. ატარებს ფაფახს, აცვია ჯარისკაცის გადაკეთებული რუხი ფერის ფარაჯა, გადაადგილდება ავტომობილით.

აგენტი. 29/VI.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, სამისამართო მაგიდის მონაცემების თანახმად, ცხოვრობს მიხაილოვის ქუჩა №117-ში, ამჟამად იმყოფება გამოსასწორებელ სახლში.

ГРУЗЧЕКА-ს საგამოძიებო საქმე N952.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე დაპატიმრებულია ГРУЗЧЕКА-ს №4435 ორდერის თანახმად 7/IV-22 წელს; დაპატიმრების დროს ჩამოერთვა იარაღი: 1 კარაბინი, ბრაუნინგი, ნაგანი და 33 ვაზნა.

გაერთიანებული წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილება.

30/VI-22 წლის დადგენილებით, ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე პატიმრობიდან გათავისუფლებულია და გაგზავნილია სამხედრო კომისარიატში არმიიდან დემობილიზაციის მიზნით, როგორც ფსიქოლოგიურად და პრინციპულად უცხო ელემენტი პროლეტარიატის შეიარაღებული ძალებისათვის.

ამონარიდი მუსხელოვის ჩვენებიდან 06/IV-1923 წ.: [20]

1921 წლის დასასრულს ჩემ თვალწინ ნარიკელაძის ფიგურა გამოჩნდა, რომელიც ვ. წულუკიძის მარჯვენა ხელი იყო. ვაჩნაძესთან საუბარი წულუკიძის საუბარს წააგავდა, რომელიც თანახმა იყო ემუშავა იმ პირობით, თუ მოხდებოდა მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების ძალების გაერთიანება. ანდრონიკოვი ვ. წულუკიძის აზრს იზიარებდა, რომელმაც დავით ვაჩნაძეს უთხრა, რომ მენშევიკური ორგანიზაციის რაოდენობას დამატებით შეატყობინებდა. ვარდენ წულუკიძემ დაიჟინა, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური ცენტრის გაერთიანება, რისთვისაც მენშევიკებს ნაციონალისტებისთვის „დამოუკიდებლობის კომიტეტში“ ადგილები უნდა დაეთმოთ. დაიწყო ბრძოლა ნაციონალისტებსა და მენშევიკებს შორის პოლიტიკური ცენტრის შექმნის მიზნით ახალ საწყისებზე, რაც დიდხანს გაგრძელდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

20 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 20.

ამონარიდი ალექსანდრე ანდრონიკოვის ჩვენებებიდან 7/III-1923 წ.: [21]

იანვარში, თებერვალსა და მარტში მე, ფილტვების ანთების მიზეზით, სამუშაოსგან განზე ვიდექი. ერთხელ მეწვივნენ წულუკიძე და მუსხელოვი, რომელთაგანაც შევიტყვე, რომ პარტიებიდან სიახლეები არ იყო და არც პარტიებს შორის შეთანხმებას უჩანდა პირი. ნათლად ვხედავდი, რომ ცენტრის მხოლოდ სახელწოდება არსებობდა, მასში შემავალი პარტიები კი ერთმანეთს არ ენდობოდნენ, ხოლო ერთობლივ სამუშაოზე კი საუბარიც ზედმეტი იყო. საბოლოოდ, მთელი პასუხისმგებლობა ამ უსიცოცხლო ცენტრს უნდა აეღო, რომელსაც ჯობდა საერთოდ არ ეარსება. ამაზე არაერთხელ მისაუბრია წულუკიძესთან და დამიმატებია, რომ ცენტრს თავს დავანებებდი. იგი ჩემსავით წუხდა პარტიების ასეთი მუშაობის გამო და მთხოვდა ცენტრიდან არ გავსულიყავი, რადგან პარტიები მენდობოდნენ.

მუსხელოვის ბინაში შედგა ერთი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ვარდენ წულუკიძე, ი. ჯავახოვი და მე. ჯავახოვმა მოგვიყვა, თუ რა ვითარება სუფევდა პოლიტიკურ პარტიებს შორის. საინტერესო იყო ერთი გარემოება, რის შემდეგაც ჩამოვარდა უნდობლობა ეროვნულ-დემოკრატებსა და ვარდენ წულუკიძეს შორის. უნდობლობის მიზეზი კი ის იყო, რომ წულუკიძე კრიტიკულად აფასებდა ეროვნულ-დემოკრატების მოქმედებას. ჯავახოვი ამბობდა, რომ პარტიებს შორის პარიტეტული შეთანხმება იყო და ახლა მხოლოდ პარტიებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა იყო დასაზუსტებელი, რაც, მისი აზრით, რამდენიმე დღეში გადაწყდებოდა. სამხედრო ცენტრის სამუშაოები ფაქტობრივად არ წარმოებდა, რადგან მთელი დრო ეთმობოდა მოლაპარაკებებს პარიტეტის შესახებ.

1921 წლის ბოლოს შედგა შევხედრა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით მე, წულუკიძე, ხიმშიევი, მუსხელოვი და ი. ჯავახიშვილი. ისევ გამოირკვა, რომ პარტიათა შორის საბოლოო შეთანხმება მიღწეული არ იყო. გადავწყვიტეთ, შეგვეთავაზებინა პარტიებისთვის შეეკრიბათ საერთო მონაცემები, რომლებსაც მიაწვდიდნენ ცენტრს - არსებული მხარდამჭერების, შეიარაღებისა და ფულადი სახსრების შესახებ.

ერთხელ ქუჩაში შემხვდა ჯავახოვი და მითხრა, რომ პარტიის ცენტრისგან მიღებული ჰქონდა დავალება ეცნობებინა ჩემთვის, რომ ყველა პარტია გაერთიანდა და მათ სურთ შექმნან სამხედრო ცენტრი, რომელშიც არჩეულნი ვართ მე, მუსხელოვი და იოსებ გედევანოვი. მათ გარდა, უნდა მიმეღო გადაწყვეტილება წულუკიძისა და კ. აფხაზის შესახებ.

სურამიდან დაბრუნების შემდეგ, 1922 წლის სექტემბრის ბოლოს, ნარიკელაძის ბინაში შედგა შეხვედრა, რომელსაც ვესწრებოდით ნიკოლოზ ქარცივაძე, როგორც მითხრეს, პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენელი, ასევე კ. აფხაზი, ი. ჯავახოვი, წულუკიძე, მე, მენშევიკური პარტიის ერთი ჩემთვის უცნობი წევრი და კიდევ ერთი რომელიღაც პარტიის წარმომადგენელი. თავმჯდომარე ქარცივაძე იყო. მან გააკეთა მოხსენება პოლიტიკური მომენტის შესახებ, რაც მუქ ფერებში იყო წარმოდგენილი. ნათელი იყო მენშევიკების პარტიის ჩავარდნა. თუ უწინ მუშათა კლასის იმედი ჰქონდათ, ახლა საპირისპირო ფაქტის წინაშე იდგნენ. შემდეგ მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო, კერძოდ, ჩოლოყაშვილის გამოსვლას ხევსურეთში. მე გამოვთქვი აზრი, რომ ეს გამოსვლა დაუშვებელი იყო, რადგან მისი ჩახშობისთვის რუსეთს იმხელა შესაძლებლობები გააჩნდა, მასზე ფიქრიც კი შეუძლებელი ხდებოდა. ყველაფერი ფუჭი მუშაობით, ძალებისა და მოსახლეობის დასუსტებით დასრულდებოდა. სხვა რაიონებში აჯანყების მოწყობაზე ფიქრი კი დანაშაული იქნებოდა, ამიტომ სასურველი იყო ჩოლოყაშვილთან დაკავშირება და გამოსვლების შეწყვეტა. წულუკიძემ და აფხაზმა მხარი დამიჭირეს. ამ დროს გვაცნობეს, რომ მუხრანიდან ჩამოვიდა არტილერისტი, რომელსაც სასწრაფო შეტყობინება ჰქონდა. მან გვითხრა, რომ ჩოლოყაშვილმა

21 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 30.

ბატარეას შესთავაზა საკუთარი სურვილით შეერთებოდნენ მის რაზმს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ძალით დაიკავებდა. ბატარეის ხელმძღვანელობამ არტილერისტი გამოგზავნა იმის საკითხავად, თუ რა უნდა მოემოქმედა. ყველამ დავასკვენით, რომ ჩოლოყაშვილის ამგვარი მოქმედება დაუშვებელი იქნებოდადაბატარეასმისიწინადადებაარუნდამიეღო.ამგარემოებამნათელიმოჰფინაიმმოსაზრებას, რომ ჩოლოყაშვილი ცენტრის მიერ არ იმართებოდა, პირიქით, ზოგიერთი უპასუხისმგებლო პარტია დამოუკიდებლად გასცემდა განკარგულებებს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მაშინვე განვაცხადე, რომ ცენტრში მუშაობას ვეღარ შევძლებდი. ამ თემაზე შემდეგ საუბრობდნენ წულუკიძე და აფხაზიც. ოქტომბრის თვე სიღნაღში, დებთან გავატარე. კავშირი ნარიკელაძის მეშვეობითა და წულუკიძის ხელძღვანელობით იყო. არავისთან მოლაპარაკება არ მქონია, ინფორმაციას მაწვდიდნენ წულუკიძე, მუსხელოვი და ნარიკელაძე. პარტიების წარმომადგენლები ცენტრს ასევე ნარიკელაძის, ზოგჯერ კი მუსხელოვისა და წულუკიძის საშუალებით უკავშირდებოდნენ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ალექსანდრე ანდრონიკოვის ჩვენებიდან (დაუთარიღებელი): [22]

პოლიტიკური ცენტრი, იგივე პარიტეტული კომიტეტი, იგივე „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ საბოლოოდ 1922 წლის სექტემბერში გაფორმდა. თავმჯდომარე გახლდათ ნიკოლოზ ქარცივაძე, რომელიც მენშევიკების დროს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი იყო. ვფიქრობ, რომ გაერთიანებული სამხედრო ცენტრი ჩამოყალიბდა სექტემბრის თვეში ნარიკელაძის ბინაში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ვესწრებოდით მე, ქარცივაძე, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, იასონ ჯავახოვი, ნარიკელაძე, მენშევიკი, რომლის გვარიც არ მახსოვს და კიდევ ერთი პირი, რომლის არც გვარი ვიცი და არც პარტიულობა. ჩამოთვლილთაგან მენშევიკურ პარტიას წარმოადგენდნენ ქარცივაძე, რომელიც სხდომის თავმჯდომარე იყო და კიდევ ერთი პირი, რომლის გვარიც არ მახსოვს, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებს კი კოტე აფხაზი და ი. ჯავახოვი. მიმაჩნდა, რომ მე, ვ. წულუკიძე და ნარიკელაძე მიწვეულნი ვიყავით როგორც სამხედრო სპეციალისტები. შეხვედრაზე გამოცხადდა, რომ სამხედრო ცენტრი შედგებოდა შემდეგი პირებისგან: ჩემგან, ვარდენ წულუკიძისგან, კოტე აფხაზისგან, მუსხელოვისგან და ვგონებ, იოსებ გედევანოვისგან. ყველაზე მეტად სამხედრო ცენტრის მუშაობაში ჩართულნი იყვნენ ნარიკელაძე და ვარდენ წულუკიძე. ვარდენ წულუკიძემ მაცნობა, რომ პარიტეტულ კომიტეტს განესაზღვრა მომავალი მთავრობის შემადგენლობა შემდეგი სახით: ოთხი წევრი მენშევიკებისგან, სამი წევრი ეროვნულ-დემოკრატებისგან და თითო წევრი სხვა პარტიებისგან.

ა. ანდრონიკაშვილი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

22 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 31.

ამონარიდი კოტე აფხაზის ჩვენებიდან 05/III -1923 წ.: [23]

1922 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩემთან მოვიდა იასონ ჯავახოვი და მითხრა, რომ მე, კოტე აფხაზი უნდა მივსულიყავი პოლკოვნიკ ნარიკელაძესთან ბინაში, სადაც ასევე იქნებოდნენ სხვა პირებიც, თუმცა მათი გვარები არ დაუსახელებია. შეხვედრაზე უნდა გამართულიყო კრება და განხილულიყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. იმავე საღამოს გავემართე დანიშნულების ადგილას, სადაც უკვე მისულიყვნენ თავად იასონ ჯავახოვი, პარტკომის თავმჯდომარე ქარცივაძე (ზუსტად არ მახსოვს), ვარდენ წულუკიძე, თავად ნარიკელაძე და კიდევ ერთი პირი სამოქალაქო სამოსით, რომლის გვარიც არ ვიცი. გარეგნული ნიშნებით ეს უკანასკნელი იყო მაღალი და მგონი პალტო ეცვა.

კრება ნარიკელაძემ გახსნა და საზღვარგარეთიდან ზოგადი ხასიათის ცნობები მოგვაწოდა, უმეტესწილად მენშევიკების მუშაობისა და კონფერენციების შესახებ. ბოლოს გვითხრა აზერბაიჯანთან კავშირის შესაძლო დამყარების შესახებ, თუმცა იქაური სიტუაციის დახასიათების შემდეგ თავადვე უარყო ეს ვარიანტი, რაც იმით ახსნა, რომ აზერბაიჯანში არ არსებობს მოსახლეობის ორგანიზების შესაძლებლობა.

შემდეგ ის სომხეთს შეეხო და თქვა, რომ სომხები ქართველებთან მიმართებაში გულწრფელები არ იქნებოდნენ, ამიტომ მათთან საქმის დაჭერა არ ღირდა.

მიმოხილვის შემდეგ ნარიკელაძემ გვითხრა, რომ გომბორიდან თუ მუხროვანიდან (ზუსტად არ მახსოვს) ჩამოსული იყო ოფიცერი, რომელსაც კრებაზე მოხსენებით გამოსვლა სურდა. ამ ადამიანმა მოგვახსენა, რომ ბატარეამ ჩოლოყაევისაგან მზადყოფნის ბრძანება მიიღო.

ოფიცრობამ განიხილა აღნიშნული საკითხი და გადაწყვიტა შემდგომი მითითებების მისაღებად იგი ცენტრში მიევლინათ, თუმცა მომხსენებელი პასუხის დაუყოვნებლივ მიცემას ითხოვდა. აღნიშნულმა გარემოებამ კრებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და გადაწყვეტილებაც ხანგრძლივი ბჭობის გარეშე იქნა მიღებული. იგი, ძირითადად, შემდეგში მდგომარეობდა: კომიტეტი კატეგორიულად კრძალავდა მასთან შეთანხმების გარეშე რაიმე სახის გამოსვლების ორგანიზებასა და დაწყებას. ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა მომხსენებელს, რომელიც მაშინვე უკან გაემგზავრა დანაბარების ადრესატისათვის გადასაცემად. მიღებული გადაწყვეტილება დოკუმენტირებულ იქნა ჩემ მიერ. ამის შემდგომ, რაიმე სახის შეკრებაზე, ქუჩასა თუ ჭერქვეშ, როგორც მახსოვს ვ. წულუკიძეს აღარ შევხვედრილვარ. რას შეეხება პოლკოვნიკ ნარიკელაძეს, ორჯერ შევხვდი ტრამვაიში, თუმცა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბარი არ გვქონია.

კითხვა - რა როლს თამაშობდით კოოპერატივ „დახმარებაში“ ?

პასუხი - მე კოოპერატივ „დახმარების“ წევრი და შემომწირველი ვიყავი. მმართველობით საბჭოში არ შევდიოდი, მხოლოდ დროებით ვირიცხებოდი ძველი მმართველობის დაშლის შემდეგ პერიოდში, 1923 წლის იანვარსა და თებერვალში. ამჟამად, მმართველობით საბჭოში შედიან მიხეილ ჯავახიშვილი, დავით კალანტაძე და მგონი ჯამილიძე (ზუსტად არ მახსოვს), რომლებიც არჩეულნი იქნენ იანვრის საერთო კრებაზე.

დაახლოებით დეკემბრის თვეში დვალის ბინაში შედგა რამდენიმე წევრის შეხვედრა, სადაც განიხილებოდა გაზეთის გამოშვების შესაძლებლობა. ზეპირად იქნა შედგენილი ხარჯთაღრიცხვაც და გაირკვა, რომ მისი გამოსაცემი სახსრები არ გაგვჩნდა და საკითხი კვლავ ღიად დაგვრჩა.

კონსტანტინე აფხაზი.

დაკითხვას აწარმოებდა **პანკრატოვი.**

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

---

23 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 44.

ამონარიდი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელის ჩვენებიდან 09/III-1923 წ.: [24]

სამხედრო ცენტრის არსებობის შესახებ დიდი ხანია ვიცი, თუმცა ვერ ვიხსენებ, ვისგან გავიგე, რადგან ირგვლივ ყველა ამაზე საუბრობდა. რამდენიმე პირს ასახელებდნენ, მათ შორის ანდრონიკოვს, წულუკიძეს, ნარიკელაძეს, ზოგჯერ ახსენებდნენ მუსხელოვსაც. 1922 წლის სექტემბერში მუხრანში გავრცელდა ხმები, რომ ახლოს იყო ჩოლოყაშვილი და აპირებდა ბატარეაზე თავდასხმას. ყვებოდნენ, რომ სოფლებში შესვლის დროს იგი ძალის გამოყენებით აიძულებდა გლეხებსა და მილიციელებს მის რაზმში ჩაწერილიყვნენ, ამიტომ ხმა ბატარეაზე თავდასხმის შესახებ დამაჯერებლად ჟღერდა. ამ დროს მომიწია თბილისში გამგზავრება, სადაც გადავწყვიტე რჩევა მეკითხა რომელიმე ავტორიტეტული პირისთვის, მაგალითად, ანდრონიკოვისთვის ან წულუკიძისთვის. გოლოვინზე ჯავახოვს შევხვდი და ვუთხარი, რომ ანდრონიკოვთან ან წულუკიძესთან მინდოდა საუბარი. მან დახმარება აღმითქვა. საღამოს ღუნიბის ქუჩაზე წავედი, სადაც ნარიკელაძეს შევხვდი. მასთან ერთად რამდენიმე კაცი იმყოფებოდა, მათ შორის იყვნენ სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმულებიც. მათ მთხოვეს მომეხსენებინა ვითარება. მოვუყევი გავრცელებული ხმების შესახებ, მკითხეს, რამდენად სერიოზულად მიმაჩნდა თავდასხმის შესაძლებლობა, რაზეც მივუგე, რომ დაზუსტებით ვერაფერს ვეტყოდი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი მ. ჯავახოვის ჩვენებიდან 06/III-1923 წ.: [25]

უცებ განვითარდა დუშეთის მოვლენები. ეს ჩვენთვის სრული მოულოდნელობა იყო. არც კი მინდოდა დამეჯერებინა, რომ ამაში ჩოლოყაშვილის ხელი ერია, მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო. მხოლოდ მოგვიანებით, გაზეთებიდან შევიტყვეთ ბრძანების შესახებ, რომელიც თვითნებურად გასცა დავით ვაჩნაძემ. მას შემდეგ, ჩოლოყაშვილს კომიტეტის სხდომებზე არ ვახსენებდით. საბოლოოდ გაცხადდა, რომ ის ყველაფერს ღუპავდა და იაფფასიანი სახელის ძიებაში იყო.

მსმენოდა, რომ მას არაერთხელ მიუგზავნია ხალხი მენშევიკებთან, რომლებიც ეხმარებოდნენ. ბოლოს შევიტყვე, რომ პარიტეტული კომიტეტიც ეხმარებოდა მატერიალურად. მასთან მუდმივად ურთიერთობდნენ ვაჩნაძე, ციზანგვაროვი, და მგონი, ვ. წულუკიძე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი შალვა ლავრენტის ძე კვალიაშვილის ჩვენებიდან 23/III-1923 წ.: [26]

რამდენიმე დღის შემდეგ, დიმიტრაშვილმა მაცნობა, რომ არსებობდა სამხედრო შტაბი, რომელშიც მენშევიკებიდან მუშაობდა ნარიკელაძე, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებს წამოყენებული ჰქონდათ ვარდენ წულუკიძის კანდიდატურა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

24 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 19.
25 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 35.
26 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 60.

ამონარიდი მუსხელოვის ჩვენებიდან: [27]

21 წლის ბოლოს ან 22 წელს ნარიკელაძის ინიციატივით მის ბინაში შეკრება მოხდა. ესწრებოდნენ ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, თავად ნარიკელაძე, გოგა ხიმშიევი და გოგიტა ფაღავა მეგობართან ერთად. ყველა ყურადღებით უსმენდა გ. ფაღავას სიტყვას, რომელმაც განმარტა, რომ შეთანხმება უკვე მიღწეული იყო (თუმცა, მოგვიანებით შევიტყვე, რომ დაპირისპირება კიდევ დიდხანს გრძელდებოდა) და იოსებ ცინცაძის დავალებით, გვთხოვდა დაგვეწყო მოქმედება. ფაღავამ დასძინა, რომ პოლიტიკური ცენტრის მიერ სამხედრო ცენტრში არჩეულნი იყვნენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, ხიმშიევი და მუსხელოვი, ხოლო ნარიკელაძეს ჩაბარებული ჰქონდა კონტრდაზვერვა. ანდრონიკოვმა თქვა, რომ ვიდრე მომავალი სამუშაოს გეგმას შევიმუშავებდეთ, აუცილებელია განვსაზღვროთ, თუ რა რეალურ ძალას უნდა დავუპირისპირდეთო. ფაღავამ უპასუხა, ეს ჩვენი საიდუმლოა და როდესაც საჭირო გახდება გაგიმხელთ, იქამდე კი განსაზღვრეთ, რა ძალები გჭირდებათ თბილისსა და რეგიონებშიო. ანდრონიკოვი და წულუკიძე ამ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ, კამათი დიდხანს გაგრძელდა. განვიხილეთ გეგმა წითელი არმიის, როგორც ნებით, ისე იძულებით ქვეყნის დატოვების შემთხვევაში. ხიმშიევმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო დაზვერვის კარგად დაგეგმვა, რაც ნარიკელაძისთვის იყო მინდობილი. შეხვედრის ბოლოს, ფაღავამ განუცხადა სამხედრო ცენტრს, რომ აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად დიდი თანხაა გამოყოფილი და სამხედრო ცენტრის წვრებისთვის ხელფასიც კი ყოფილა დანიშნული.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი მუსხელოვის ჩვენებიდან 06/III-1923 წ.: [28]

ვაჩნაძემ განაცხადა, რომ ქართველ ერს ჩვენი იმედი აქვს, იგი კვნესის ბოლშევიზმის უღლის ქვეშ, გლეხი კი აღარ იხდის სასურსათო გადასახადს, რადგან ჩვენ მიერ მუშავდება ახალი კანონი მიწის შესახებ. შემდეგ მან დაასახელა საქმისთვის მისაღები და მიუღებელი გენერლები. მაზნიევის დაპატიმრების გამო ვაჩნაძე მეტად წუხდა. მან ახსენა ანდრონიკოვი და წულუკიძე, ამ უკანასკნელში ცოტა ეჭვი ეპარებოდა, თუმცა გადაწყვიტა ორივეს მოლაპარაკებოდა. ამ საუბრიდან 2-3 დღის გასვლის შემდეგ, კვლავ დამიბარა თავის ბინაში, სადაც შევესწარი მის საუბარს გენერალ ანდრონიკოვთან. ანდრონიკოვმა მიიღო ვაჩნაძის წინადადება, თუმცა ჩემთვის გაუგებარი იყო, რაში მდგომარეობდა მისი მომავალი სამუშაო.

ერთი კვირის შემდეგ ვაჩნაძემ დაპატიჟა გენერალი ვ. წულუკიძე და მასთანაც იგივე საუბარი შედგა. შემდეგ შეხვდა წულუკიძესა და ანდრონიკაშვილს, ამ შეხვედრასაც დავესწარი. ჩვენ ვისაუბრეთ თბილისსა და რეგიონებში არსებული ძალების შესახებ. ვარდენ წულუკიძეს ვერ გადაეწყვიტა, აეღო თუ არა დავალება შესასრულებლად. ერთი დღის შემდეგ შემხვდა და მითხრა, რომ რეალური ძალა მენშევიკების ხელშია, ხალხი მათ გაყვება, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებს არაფერი აქვთო. ვაჩნაძის წინადადება მიუღებლად მიაჩნდა და ანდრონიკოვთან სასაუბროდ მიდიოდა. აზრი მკითხა, ვუთხარი, როგორც მიგაჩნიათ, ისე იმოქმედეთ, ოღონდ საქმის კურსში ჩამაყენეთ-მეთქი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

27 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 36-37.
28 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 38-39.

ამონარიდი მუსხელოვის ჩვენებიდან 23/III-1923 წ.: [29]

საბჭოთა მანეთის თავისუფალი კურსის გამოცხადების დროს, რასაც კურსის ვარდნა მოჰყვა, ფინანსურ გაჭირვებას განვიცდიდი. საჭირო იყო შემოსავლის წყარო და ამიტომ სადაზვერვო სამუშაოს მივყავი ხელი, რათა ანაზღაურება მიმეღო იმ ცნობებისათვის, რომლის მოპოვებასაც შევძლებდი. ერთხელ ქუჩაში ვარდენ წულუკიძე შემხვდა და ვუთხარი, აქამდე წითელი არმიის შტაბიდან სტრიხარისგან სამხედრო შინაარსის მქონე ცნობებს ვიღებდი, ვაჩნაძეს გადავცემდი, მაგრამ დაპირებულ ანაზღაურებას არ მაძლევს და სულელურ ვითარებაში აღმოვჩნდი-მეთქი. წულუკიძემ დახმარება აღმითქვა. ამ საუბრიდან კვირანახევრის გასვლის შემდეგ, ჩემთან ნარიკელაძე მოვიდა და შემომთავაზა ცნობების მოპოვება. ვუთხარი, რომ ცნობებს სტრიხარისა და იაკოვლევისგან მივიღებდი, რისთვისაც მათთვის თვიური სასიცოცხლო მინიმუმის ოდენობის თანხის გადახდა მომიწევდა. ვუთხარი, რომ მათ ფულს თავად გავუნაწილებდი. იაკოვლევსა და სტრიხართან ამის თაობაზე არ მისაუბრია. ნარიკელაძეს ჩვენებებს რეგულარულად არ ვაწვდიდი, ეს მხოლოდ 1922 წლის ივნის-ივლისში ხდებოდა. მისგან ანაზღაურება ორ-სამჯერ მივიღე. დროის ამ მონაკვეთში ნარიკელაძეს შემდეგი სახის ინფორმაცია მივაწოდე:

რამდენჯერმე მივაწოდე ცნობები გურიის შესახებ. ამბებს ვიგებდი იაკოვლევთან საუბრის დროს, ვიწერდი და წარვუდგენდი ნარიკელაძეს;

1) სამხედრო ნაწილების დისლოკაციის შესახებ ლენქორანის მაზრაში; დისლოკაცია პირადად შევადგინე, რის საფუძვლადაც 1921 წლის დისლოკაცია ავიღე, რომელიც დივიზიის შტაბში ინახებოდა;

2) ოპერცნობები საქართველოს ტერიტორიაზე ბანდიტური დაჯგუფებების გადაადგილების შესახებ მივაწოდე ორჯერ. ცნობები შევადგინე წითელი არმიის შტაბის მონაცემების მიხედვით. ქვეშ ვაკეთებდი მინაწერს: „წითელი არმიის შტაბის ოპერსამმართველოს უფროსი, სტრიხარი“, მისამართად ვუთითებდი წითელი არმიის შტაბს და გადაცემის დროს ვამბობდი, რომ ინფორმაცია სტრიხარისგან იყო მიღებული;

3) მოვამზადე წითელი არმიის დისლოკაციის სქემა, რომელიც ჩემს კაბინეტში, საწერი მაგიდის უჯრაში იქნა ნაპოვნი. ეს დისლოკაცია მეხსიერებით შევადგინე. გავუკეთე მინაწერი: ,,გთხოვთ გადასცეთ, რომ მონაცემები სრული არ არის, რადგან სტრიხარს არ აქვს მონაცემები მე-12 კორპუსის შესახებ. ამ დისლოკაციის გადაცემა ვერ მოვასწარი, ნარიკელაძე ქუჩაში შემხვდა და მითხრა, რომ წითელი არმიის სრული დისლოკაციის სქემა უკვე ჰქონდა. ცნობები მენშევიკების ცეკასთვის, ნარიკელაძის გვერდის ავლით, არ გადამიცია.

ასლი დედანთან სწორია.

ამონარიდი როსტომ იღიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 24/03-1923 წ.: [30]

ორი თვის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატებთან კავშირი გავწყვიტე, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ კი, პირველ შეხვედრაზე, რომელიც ნარიკელაძესთან შედგა, წარმოვადგინე სადაზვერვო ცნობები, რომლებსაც „სტრიხარი მაწვდიდა“. წინადადება მიიღეს, თუმცა სამხედრო ცენტრის ფუნქციონირება შეწყდა. არ მქონდა ინფორმაცია, მუშაობდა თუ არა ნარიკელაძე, არც ის ვიცოდი,

29 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 58-59.
30 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 62-63.

რომ ვარდენ წულუკიძეც მუშაობდა და ვგრძნობდი, რომ ჩემი წინადადება წინადადებად დარჩა. საბჭოთა მანეთის კურსის დაცემის დროს ვარდენ წულუკიძეს მივმართე და ვთხოვე საბჭოთა ფული გადაეცვალა ქართულ ბონებზე, რომლებიც წითელი არმიის წარმომადგენლისთვის უნდა მიმეცა, რადგან სასაზღვრო ბრიგადის სალაროში არ აღმოჩნდა თანხა. წულუკიძემ აღმითქვა დახმარება ,,ხვალ“, რადგან ძალიან ვთხოვდი. მართლაც, ერთი თუ ორი დღის შემდეგ ჩემთან ნარიკელაძე მოვიდა, რომელმაც ფულის გაცვლა შემომთავაზა. სტრიხარს ფული აღარ ჭირდებოდა და ნარიკელაძეს ასე დავშორდი. ცოტა ხნის შემდეგ ნარიკელაძე ისევ მოვიდა და მთხოვა სტრიხართან დამეკავშირებინა, ამ დროს გავიგე, რომ ის მენშევიკებთან მუშაობდა. რადგან ამ სამუშაოზე მეტი მინდოდა მცოდნოდა, ნარიკელაძეს თხოვნაზე უარი ვუთხარი და ცნობების თავად მიწოდება შევთავაზე, ამასთან, ანაზღაურების სახით ერთი თვის საარსებო მინიმუმი მოვთხოვე, რომელიც ვითომ ,,სტრიხარისთვის“ უნდა გადამეცა. მომავალში ამ გვარს ბოროტად ვიყენებდი, რათა ცნობებისთვის ფასი დამედო, რაც ჩემი დუხჭირი ყოფით იყო გამოწვეული. სამხედრო ცენტრში ყოფნის დროს მიზნად დავისახე გამერკვია, რა ხდებოდა მენშევიკებისა და ნაციონალისტების პარტიაში და მიუხედავად იმისა, რომ ვაჩნაძეს ცნობებს აღარ ვაწვდიდი, მასთან ყოველი შეხვედრის დროს ვისმენდი სურვილს, შექმნილიყო პარიტეტული კომიტეტისგან დამოუკიდებელი სამხედრო ცენტრი, რისთვისაც ჩემს კანდიდატურას მოიაზრებდა. ამ საუბრების დროს ვსაყვედურობდი, თითქოს დაზვერვა კარგად მქონდა ორგანიზებული, თქვენ კი არ გადამიხადეთ და მომიწია ეს ორგანიზაცია მენშევიკებისთვის გადამეცა-მეთქი, თან დავძენდი, რომ ჩემთან თავად სტრიხარი მუშაობდა, რომელიც ახლა თქვენთვის დაკარგულია-თქო. ვაჩნაძისთვის არაფერი მითქვამს იმის შესახებ, რომ ინფორმაციას ნარიკელაძეს ვაწვდიდი, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ვაჩნაძესთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება იმ მიზნით, რომ მცოდნოდა, თუ რა ხდებოდა მათთან.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან:[31]

როგორც ჩემთვის ცნობილია, ნაციონალისტებსა და მენშევიკებს შორის არსებულ დაპირისპირებაში თუ ვინ უნდა აერჩიათ სამხედრო ცენტრში, პირველნი მაზნიევს ასახელებდნენ, მეორენი კი წულუკიძეს. მალე მაზნიევი დააპატიმრეს და წულუკიძეღა დარჩა. დაპატიმრებამდე მაზნიევის მიერ ჩატარებული მუშაობის არაფერი მახსოვს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 27II-1923 წ.: [32]

1922 წლამდე არ მქონდა ცნობები სამხედრო ორგანიზაციების არსებობის შესახებ. 1922 წლის დასაწყისში შედგა „პარიტეტული კომიტეტი“, რომელშიც შედიოდნენ მენშევიკების, მემარჯვენე-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატებისა და ქართველი სოციალისტი რევოლუციონერების

31 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 43.
32 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 45.

პარტიების წარმომადგენლები. მენშევიკებიდან შედიოდნენ: იოსებ ცინცაძე, ქვარიანი, ფედერალისტებიდან - ლაშხი, ეროვნულ-დემოკრატებისგან - კეცხოველი, სპირიდონ კედია, ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერებისგან - არ ვიცი ვინ. პარიტეტულმა კომიტეტმა გამოყო გაერთიანებული სამხედრო ცენტრი. ეს იყო მკვდრად შობილი ორგანიზაცია, რამეთუ პარტიები ცალკეულ სამხედრო ცენტრებს ქმნიდნენ. მენშევიკების ცენტრის შემადგენლობა არ ვიცი, ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან კი შედიოდნენ დავით ვაჩნაძე, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი და ვიცე-პოლკოვნიკი ცაგურია.


ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 02/III-1923 წ.: [33]

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ შეიქმნა 1921 წლის დასასრულს, ან 1922 წლის დასაწყისში. გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში შედიოდნენ: მენშევიკებისა და მემარჯვენე ფედერალისტებისგან გენერალი ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ-დემოკრატებისგან - კოტე აფხაზი, ხოლო სამხედრო ცენტრის შტაბის მეთაური ქართული დივიზიის შტაბის უფროსი მუსხელოვი გახლდათ. მთავარი სამუშაო მუსხელოვის გასაკეთებელი იყო - იგი უზრუნველყოფდა კავშირს ქართულ ნაწილებს შორის. თავდაპირველად, გაერთიანებული ცენტრის სამუშაო გამოიხატებოდა არსებული ძალის აღრიცხვასა და ადგილზე სამხედრო ორგანიზაციების შექმნაში, ძირითადად, სამხედრო ნაწილებში. გაერთიანებული ცენტრის ძლიერი ფილიალი იყო ბათუმში. სამხედრო ცენტრის მუშაობის თვალსაზრისით, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გენერალ მაზნიევს, გენერალ ანდრონიკოვს (ტაქტიკის მასწავლებელი კურსანტთა სკოლაში), რომელიც იყო 1921 წელს პირველი ქართული პოლკის მეთაური და ორჯონიკიძის ნათესავი, გენერალ სოსო გედევანოვს, ოფიცერ ხომერიკს, რომელიც ბათუმის მე-2 პოლკში მსახურობდა. მუსხელოვი ბოლო დრომდე მუშაობდა, დაკავშირებული იყო მენშევიკების ცეკასთან მათი თავმჯდომარის, იოსებ ცინცაძის საშუალებით. მე მთელი ეს პერიოდი დაზვერვით მუშაობას ვაწარმოებდი და უშუალოდ დაკავშირებული ვიყავი მენშევიკების ცეკასთან, ასევე იოსებ ცინცაძის შუამავლობით.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

33 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 46.



Выписка

из показания НАРИКЕЛАДЗЕ Ивана Ивановича от 2 марта 23 г.

"Об-единенный военный центр" создался в конце 1921 г. или в начале 1922 г. В состав об"единенного военного центра входят: от меньшевиков и правых федералистов генерал Вардан ЦУЛУКИДЗЕ, от национал-демократов КОТЕ АФХАЗИ, Нач.штаба об"единенного военного центра Нач.Штаба Грузинской Дивизии МУСХЕЛОВ. Главная работа лежала на МУСХЕЛОВЕ - все связи с грузинскими частями сосредотачивались в его руках. Первоначальная работа об"единенного центра заключалась в учете сил и создании организаций на местах в частности в Грузинских военных частях - эта часть работы лежала также главным образом на Мусхелове. Сильный филиал "об-единенного центра" был в Батуме, по работе близко в об"единенным военным центром были связаны следующие лица: генерал МАЗНИЕВ, генерал АНДРОНИКОВ (преподаватель тактики в школе курсантов), бывший командир I-го грузполка в 1921 г., родственник ОРДЖОНИКИДЗЕ, сейчас живет в деревне, генерал Сосо ГЕДЕВАНОВ, ХОМЕРИКИ офицер, служил во 2-м полку в Батуме. МУСХЕЛОВ работает вплоть до последнего времени, будучи непосредственно связан с ЦК меньшевиков в лице Председателя ЦК Иосифа ЦИЦИАДЗЕ. Я все время ведал разведывательной работой, будучи непосредственно связан с ЦК меньшевиков, в лице того же Иосифа ЦИЦИАДЗЕ.

Верно

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 46.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 03/III-1923 წ.: [34]

1921 წელს (გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში შესვლამდე) მუსხელოვი აწარმოებდა დაზვერვით სამუშაოს ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის დავალებით. ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრმა იასონ ჯავახოვმა 1921 წელს მითხრა, რომ მუსხელოვი ცეკას სამხედრო-პოლიტიკური შინაარსის ცნობებს აწვდიდა. 1921 წელს კერესელიძემ და კიდევ ერთმა ჩემთვის უცნობმა ეროვნულ-დემოკრატმა (საშუალო სიმაღლის, ჭაღარა წვერით, 30-35 წლის), რომელიც ჯარისკაცის პალტოს ატარებდა ლითონის მბზინვარე ღილებით, ასევე დამიდასტურა, რომ მუსხელოვი აწვდიდა ინფორმაციას ეროვნულ-დემოკრატების ცეკას. 1922 წლის დასაწყისში, როდესაც მუსხელოვი შევიდა გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში, მას დაევალა შემდეგი შინაარსის კრებსის შედგენა: ოფიცერთა, ჯარისკაცთა და აჯანყების შემთხვევაში არსებული იარაღის რაოდენობა. კრებსის შედგენა მას გაერთიანებულმა სამხედრო ცენტრმა დაავალა. მუსხელოვისთვის მიცემული ამ დავალების შესახებ ვარდენ წულუკიძემ მითხრა. 1922 წლის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა მანეთის თავისუფალი კურსი გამოცხადდა, მუსხელოვი მეუბნებოდა, რომ ექმნებოდა შესაძლებლობა გასწორებოდა ბრიგადის შტაბის ხაზინადარს, რომლისგანაც აღებული ჰქონდა თანხა ქართული ბონებით და რომელსაც ახლა დააბრუნებდა საბჭოთა ფულის ნიშნებით. 1922 წლის დეკემბრისა და 1923 წლის იანვრის სადაზვერვო კრებსები პირადად დავუბრუნე მუსხელოვს

34 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 47.

- წავუღე დივიზიის შტაბში. დავით ვაჩნაძის მითითებით, მუსხელოვისთვის არ მომიმზადებია არავითარი წინადადება აჯანყების ოპერატიული გეგმის შესახებ. 1922 წლის დასაწყისში მუსხელოვს ვთხოვე წითელი არმიის შტაბიდან მობილიზაციის გეგმა მოეპოვებინა, თუმცა მისგან პასუხი არ მიმიღია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 03/III-1923 წ.: [35]

პარიტეტული კომიტეტის ბაზაზე სამხედრო ცენტრის შექმნის შესახებ

სამხედრო ცენტრის ჩამოყალიბება პარიტეტული კომიტეტის შექმნის პარალელურად მოხდა. პარტიებმა ცენტრში საკუთარი წარმომადგენლები დაასახელეს - მენშევიკებმა და ფედერალისტებმა - ვ. წულუკიძე, ეროვნულ-დემოკრატებმა კი - აფხაზი. თუ ვინ ხელმძღვანელობდა იქამდე თითოეული პარტიის ცენტრს, არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ სამხედრო ცენტრებში შედეგის მომცემი სამუშაოები არ ტარდებოდა, რადგან სხვადასხვა პარტიები ერთმანეთთან ძველი ანგარიშსწორებით იყვნენ დაკავებულნი. მათ არასდროს არ დაუსახავთ მოქმედების კონკრეტული გეგმა. ზოგჯერ ინფორმაციას მაწვდიდა წულუკიძე. სამხედრო ცენტრის შექმნა, ვფიქრობ, წულუკიძის დაპატიმრებას დაემთხვა. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შემიძლია ვაჩვენო, რომ წულუკიძე ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ გამოსვლებს და ამბობდა, რომ ნებისმიერი გამოსვლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, საქართველოს სრულ თავისუფლებას ვერ მოუტანდა. მიიჩნევდა, რომ ყველაფერი ეს თავად ქვეყნის მიერ უნდა ყოფილიყო აღმოფხვრილი. ამ აზრს ხშირად გამოთქვამდა და მტრები თუ არ მოუპოვებია, საკუთარი პოპულარობა მაინც შეუმცირებია იმ ადამიანების თვალში, რომლებიც აქტიური მოქმედებების მომხრენი იყვნენ. მასთან შეხვედრები ყოველთვის მეგობრული ხასიათის იყო. კლიმიაშვილის შუამდგომლობით შემდგარი დაგეგმილი შეხვედრა ვერის დაღმართის კუთხეში იმიტომ შედგა, რომ დაპირებული ვიყავი, ვესტუმრებოდი, თუმცა ვერ ვესტუმრე. წულუკიძეს კიდევ ერთხელ შევხვდი შემთხვევით, გზაში ანდრონიკოვიც შეგვხვდა. იგი იმავე აზრს გამოთქვამდა, რაშიც ანდრონიკოვი ეთანხმებოდა. სამხედრო შეკრებებს არ დავსწრებივარ, რადგან, ჯერ ერთი, მათთან შეხება არ მქონია, და, გარდა ამისა, სამხედრო ფუნქციებს, შტაბის გარეშე, თავად პარტიები ასრულებდნენ, მაგალითად, როგორც იყო ეს „გორის აჯანყების“ შემთხვევაში. ვიცი ერთი შემთხვევა, როდესაც ცეკამ მითითებები მისცა სამხედრო ცენტრს, როდესაც 1922 წლის დასაწყისში (წულუკიძის გადმოცემით) განსახილველი იყო მოქმედებების ტაქტიკა, რაზეც წულუკიძე მის ცნობილ აზრს აფიქსირებდა.

ხელმოწერილია: **ი. ნარიკელაძე.**

დაკითხა: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა**.

3/III-23 წ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

35 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 48-49.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 07/III-1923 წ.: [36]

მახსოვს სხდომა ორჯერ ჩატარდა და ორჯერვე ჩემს ბინაში. პირველი სხდომა იყო თებერვლის პირველ რიცხვებში. მას ესწრებოდნენ ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი, „ავთანდილი“ (ფაღავა), მე და რ. მუსხელოვი. ბოლოს გოგი ხიმშიევი მოვიდა. როგორც მახსოვს, სხდომის ჩატარების ინიციატორი წულუკიძე გახლდათ, მიზეზი კი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების გამორკვევა იყო ბანდიტიზმის მიმართ. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ სხვა პარტიების წარმომადგენლები სხდომას არ ესწრებოდნენ. სხდომა „ავთანდილმა“ გახსნა. მან ისაუბრა პოლიტიკურ მომენტზე, საზღვარგარეთ მყოფ პარტიათა მოლოდინზე, შემდეგ კი შემოთავაზებული იყო განგვეხილა ბანდების ორგანიზაციის საკითხი და ის პოზიცია, რომელიც უნდა დაეკავებინა სამხედრო ცენტრს მოცემულ მომენტში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ყველა დამსწრე ერთ დასკვნამდე მივიდა - აუცილებელი იყო არსებული გავლენისა და ძალის გამოყენება ბანდების ფორმირებისა და შეიარაღებული გამოსვლის აღსაკვეთად. იგივე თქვა მენშევიკების ცეკას სახელით „ავთანდილმა“. სხდომის ბოლოს შემოსწრებული გოგი ხიმშიევიც იმავე აზრის იყო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 07/III-1923 წ.: [37]

1922 წლის სექტემბერში ჩემს ბინაში მეორე სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე (მენშევიკი), ი. ჯავახოვი (ეროვნულ-დემოკრატი), ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი და აფხაზი. მე გვიან მოვედი, მაშინ, როდესაც სამხედრო ცენტრს ინფორმაციას აწვდიდა ბატარეის მეთაური ჩრდილელი. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩოლოყაშვილს გაეგზავნა მუხრანში, სადაც იმ დროს ბატარეა იყო განლაგებული, თავისი თანამებრძოლი და შეეთავაზებინა, ნებაყოფლობით შეერთებოდნენ მის რაზმს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებით ემუქრებოდა. ჩრდილელი სთხოვდა ცენტრს ერჩიათ, რა პასუხი გაეცა ჩოლოყაშვილისთვის. სხდომამ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო და ჩრდილელს ურჩია, უარი შეეთვალა ჩოლოყაშვილისთვის, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევაში, გაეწია შეიარაღებული წინააღმდეგობა. საუბრის სხვა დეტალები არ მახსოვს. ამის შემდეგ სხდომა დაიშალა. მოგვიანებით, ვ. წულუკიძესთან პირველივე შეხვედრის დროს, მან მოკლედ მომიყვა, რაზე საუბრობდნენ სხდომაზე და რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. მითხრა, რომ ცენტრისა და პარტიათა წარმომადგენლები განიხილავდნენ შესაძლო შეიარაღებული გამოსვლის საკითხს, ხოლო გამოსვლაზე უარის შემთხვევაში მსჯელობდნენ სამხედრო ცენტრის ფუნქციებზე. დაადგინეს, ეწარმოებინათ მუშაობა ადგილზე ბანდიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო პარტიებს კი აქტივისტების მეშვეობით უნდა შეეკრიბათ ინფორმაცია მხარდამჭერებისა და იარაღის რაოდენობის შესახებ და დაეჯგუფებინათ ის ცალკეულ ცენტრალურ კომიტეტებში, საიდანაც დაჯამებული ინფორმაცია გადაეგზავნებოდა სამხედრო ცენტრს. ეს მონაცემები საფუძვლად დაედებოდა საერთო გეგმას იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდებოდა გამოსვლების ორგანიზაცია საქართველოს მასშტაბით. როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს მონაცემები, ბოლო წუთამდე, სამხედრო ცენტრში არ გადაგზავნილა. აი, ყველაფერი, რაც ვიცი ამ ორი სხდომის შესახებ. სხვა სხდომები არ ჩატარებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეცოდინებოდა მათ შესახებ.

36 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 51.
37 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 52-53.


ანდრონიკოვი სამხედრო ცენტრის წევრი არ გახლდათ, მოწვეული სპეციალისტი იყო. არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი სამხედრო ცენტრსა და საჯარისო ნაწილებს შორის, ჩემთვის უცნობია. თუ არსებობდა, ეს ცენტრის განკარგულებით არ მომხდარა, არამედ პირადი მოქმედებების საფუძველზე. ეს საკითხი ჩემთვის მეტად ბუნდოვანია.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 07/III-1923 წ.: [38]

„სამხედრო ცენტრის“ წევრებისა და ჩემ მიერ მიღებული შეტყობინების (დიეტა) შინაარსთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ვანოს მეშვეობით, ვ. წულუკიძის, აფხაზისა და მუსხელოვისთვის გადასაცემად პარტიული კომიტეტიდან ამანათი გადმოგზავნილი იყო ორჯერ, თანხის ზუსტი ოდენობა არ მახსოვს. მათთვის თითოეულ ჯერზე 25 თურქული ქაღალდის ლირა, ხოლო ჩემთვის - პირველად 16, შემდგომ 25 ლირა. ელისაბედაშვილის სიტყვებით, მენშევიკების ხაზინადარი იყო ქვარიანი თუ კახიანი. თუ კახიანი იქნებოდა, მაშინ მე მას ვიცნობდი, როგორც გვარდიის მთავარი შტაბის წევრს. მისი სახელი იყო ნაპოლეონი. მეგონა, მენშევიკების მთავრობაში ის ყოფილი ოფიცერი იყო, თუმცა ამას დაბეჯითებით ვერ ვამტკიცებ. გვარდიაში ის ერთ-ერთ გამოჩენილ მებრძოლად ითვლებოდა.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.



ВЫПИСКА
ИЗ ПОКАЗАНИЙ НАРИКЕЛАДЗЕ ИВАНА КРАНОВИЧА
от 7 Марта 1923 года.

Относительно содержания /диеты/ получаемого членами "военного центра" и мной докладываю:что мне,через "ВАНО" /связь для передачи было прислано из партийного комитета дважды.Общую сумму не помню, для выдачи Т.ЦУЛУКИДЗЕ,АБХАЗИ и МУСХЕЛОВУ./как первый так и второй/ каждый раз/кажется/ по 25 турецких бумажных лир,а мне первый раз 16,а второй раз 25 лир.Казначеем ЦК партии меньшевиков со слов ЭЛИСАВЕДАШВИЛИ был КВАРИАНИ или КАХИАНИ. Если КАХИАНИ,то я его знаю, как члена главн.Штаба Гвардии .Звать его НАПОЛЕОНОМ.При меньшев. прав-стве я считал его б.офицером по этого не утверждаю.В Гвардии он считался одним из видных "боевиков".

Выписка в е р н а:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 50.

38 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2, გვ. 50.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 13/III-1923 წ.: [39]

1922 წლის დეკემბრის ბოლოს ან 1923 წლის იანვრის დასაწყისში მივედი მუსხელოვთან ქართული დივიზიის შტაბში. მუსხელოვმა მიჩვენა ამხანაგ აღნიევის მოხსენება საქართველოში პოლიტიკური ბანდიტიზმის შესახებ. მოხსენება წავიკითხე. ამ დროს, მუსხელოვის კაბინეტში შემოვიდა ვარდენ წულუკიძე. მუსხელოვმა მითხრა, რომ აღნიევის მოხსენების წაღება უნდოდა მენშევიკთა ცეკაში, თუმცა მოუხერხებელი იქნებოდა ის გარემოება, რომ იქ მოხსენების ასლს გადაიღებდნენ. ამიტომ მუსხელოვს ვურჩიე, რომ მოხსენების შინაარსი ზეპირად გადაეცა. მოხსენების შემდგომი ბედი ჩემთვის უცნობია. რაც შეეხება თავდასხმას ავტომობილზე, რომელშიც ამხანაგი ოკუჯავა მგზავრობდა დუშეთიდან - მუსხელოვმა მითხრა, რომ ის ამხანაგ ოკუჯავასთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ შეყოვნდა.

ი. ნარიკელაძე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 22/III-1923 წ.: [40]

ჩემი საზიარო მუშაობა დაზვერვის მიმართულებით მუსხელოვთან ერთად

დაახლოებით 1922 წლის დასაწყისში, მუსხელოვს საუბრის დროს ვკითხე, თუ შეეძლო გამოეყენებინა ნაცნობობა წითელი არმიის შტაბის წევრებთან და პერიოდულად, გასამრჯელოს სანაცვლოდ, მოეპოვებინა სამხედრო-საინფორმაციო შინაარსის მქონე ცნობები. იგი ხალისით დამთანხმდა და მითხრა, რომ კარგად იცნობდა სტრიხარს და იაკოვლევს, რომლებიც საჭირო ცნობებს მინიმალურ გასამრჯელოდ მოგვაწვდიდნენ, თუნდაც ულუფის საფასურად. ოღონდ აღნიშნული პირები არ უნდა მოგვეტყუებინა ისე, როგორც მოატყუეს ეროვნულ-დემოკრატებმა, რომლებიც მუსხელოვის მეშვეობით ხსენებული პირებისგან ცნობებს იღებდნენ, მაგრამ არაფერს უხდიდნენ, რითაც მუსხელოვი სულელურ მდგომარეობაში ჩააყენეს და ის იძულებული გახდა ხაზინადარისგან თანხა აეღო და მათთვის გადაეხადა. მუსხელოვს ვუთხარი, რომ გადახდა დროული იქნება. იგი ჩემს მეორე შეთავაზებას არ დალოდებია და მალევე მომაწოდა გარნიზონისა და თბილისის ჯარების განლაგების ცნობა, ასევე მანქანაზე დაბეჭდილი ცნობები სვანეთის აჯანყების შესახებ და სხვ. შემდგომ, წულუკიძის თანდასწრებით, მან კიდევ ერთხელ მითხრა, რომ ნებისმიერ მონაცემს მომაწვდიდა, თუკი გულდასმით გადავუხდიდი. დეტალები არ მახსოვს, ინფორმაციას კვირაში ერთხელ მაწვდიდა. ფული გადავეცი, ასევე დავუმატე ის ორი მილიონიც, რომელიც ეროვნულ-დემოკრატებმა არ გადაუხადეს. ამგვარად, წინსწრებით დაახლოებით ექვსი მილიონი გადავუხადე. სულ მცირე ორი თვის განმავლობაში ვიღებდი მისგან ცნობებს. ცნობების მიღება ამის შემდეგ შეწყდა, რადგან ცეკაში მითხრეს, რომ სამუშაო დროებით უნდა შემეჩერებინა უსახსრობის მიზეზით. აღნიშნულით იგი მეტად უკმაყოფილო იყო, ამბობდა, რომ შემდგომში სამუშაოს განახლება რთული იქნებოდა. ცნობებს, ძირითადად, მანქანაზე დაბეჭდილი სახით მაძლევდა, რომლებიც ხელმოწერილი იყო ოპერატიული განყოფილების უფროსის თანაშემწის მიერ და ყოველ ჯერზე მთხოვდა, გადამეწერა და დამებრუნებინა მისთვის. ასეც ვიქცეოდი. მისივე გადმოცემით, ჩემ გარდა ცნობებს მენშევიკების ცეკასაც აწვდიდა.

39 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 17.
40 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 54.

ი. ნარიკელაძე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან: [41]

მენშევიკების პარტიის ყოფილი წევრი ვინმე ვაჩნაძე, რომელიც კახეთის რკინიგზაში მუშაობდა, შემხვდა და მითხრა, რომ კახეთის მაზრაში ეროვნულ-დემოკრატებს მძლავრი სამხედრო ორგანიზაცია აქვთ, რომელიც ოფიცრებისა და ჯარისკაცებისგან შედგება და თანდათანობით სხვა პარტიების ზეგავლენაც მცირდებაო. დირექტივებს ისინი სამხედრო ორგანიზაციის შტაბისგან იღებენო. მან დამისახელა დათო ვაჩნაძე, ქარუმიძე და მახარაძე. ჩემს შეკითხვაზე, მაზნიევი ხომ არ ხელმძღვანელობდა მთელ ორგანიზაციას, უარყოფითად მიპასუხა და მახარაძე დამისახელა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ამ შტაბში წინამძღვაროვიც შედიოდა. ცოტა ხანში დათა ვაჩნაძეს შევხვდი, ვკითხე, როგორ იყო საქმე და რატომ დანიშნეს არა წულუკიძე და მაზნიევი, არამედ მახარაძე, რაზეც მომიგო, რომ გენერლების გარეშეც გავალთ ფონსო. წულუკიძე მენშევიკებთანაა დაკავშირებული, მაზნიევიც რაღაცას ეშმაკობსო. უცებ დაიწყო ყველა უფროსი ოფიცრის ძაგება, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ „ეროვნულ“ საქმეს სამხედრო თვალსაზრისით.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 15/III-1923 წ.: [42]

192... წლის იანვარსა თუ თებერვალში ვიყავი კირპიჩნაიას შესახვევის №16-ში ლოლუასთან, რომელსაც გადავეცი ვ. წულუკიძის თხოვნა კ. ქარცივაძესთან შეხვედრის შესახებ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 16/III-1923 წ.: [43]

1922 წლის თებერვალში ჩემს ბინაში მოვიდა მენშევიკი, სახალხო გვარდიელი კალისტა პატარიძე (იგი ვაკეში ცხოვრობდა) და მენშევიკების ცეკას სახელით გადმომცა, რომ ცეკა სთხოვდა სამხედრო ცენტრს ეცნობებინა, თუ რა სახის ინფორმაცია ესაჭიროებოდა მას საერთო გამოსვლის

41 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 56.
42 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 66.
43 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 64-65.

გეგმის შესადგენად. ერთი-ორი დღის შემდეგ მენშევიკების ცეკას ეს თხოვნა ვარდენ წულუკიძეს გადავეცი. 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ვ. წულუკიძემ მენშევიკების ცეკასთვის გადასაცემად გადმომცა სამხედრო ცენტრის მოსაზრებები, რომლებიც მისი მონაყოლიდან ჩავიწერე და რომლებიც სამხედრო ძალისა და იარაღის აღრიცხვას შეეხებოდა მაზრების მიხედვით, ასევე ადგილებზე პარტკომების მიერ სამხედრო შტატების შექმნასაც. მოსაზრებები ასეთი იყო: 1) დაუყოვნებლივ მოხდეს ადგილებზე არსებული ოფიცრების, ფელდფებელების, უნტეროფიცრებისა და ჯარისკაცების აღრიცხვა, რომლებიც გადიოდნენ ან არ გადიოდნენ სამხედრო სამსახურს; 2) აღრიცხვა აწარმოოს სამხედრო შტაბმა, რომელიც უნდა შედგეს ყოველ მაზრაში; 3) აღრიცხვისთვის აუცილებელი მონაცემები მოაგროვონ პარტიულმა მუშაკებმა; 4) ადგილებზე აღირიცხოს იარაღის, ტყვიამფრქვევების, შაშხანების, ვაზნებისა და ცხენების რაოდენობა; 5) ყველა აღრიცხული მონაცემი თავმოყრილი იქნას სამაზრო შტაბებში, საიდანაც დაჯგუფებული მონაცემები გადაიგზავნება პარიტეტულ კომიტეტში; 6) მობილიზაციის შემთხვევაში, აღრიცხული კადრი ერთიანდება 160-კაციან ასეულებში, ხოლო თუ მაზრაში მათი რიცხვი აღემატება ასეულის შემადგენლობას, მაშინ იქმნება 3 ასეულის შემცველი ბატალიონები და ბატალიონები 3 პოლკის შემადგენლობით; 7) სადაც შესაძლებელია კავალერიის ფორმირება, შეიქმნას ესკადრონები. ამ მოსაზრებების ჩემთვის გადმოცემის დროს, ვ. წულუკიძემ მთხოვა მეცნობებინა ცეკასთვის, რომ ეს მონაცემები გამოყენებისთანავე გაენადგურებინათ. მენშევიკების ცეკას ეს მონაცემები „ვანოს“ მეშვეობით გადავეცი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან: [44]

დათა ვაჩნაძე გათავისუფლების შემდეგ ქუჩაში შემხვდა და მითხრა, რომ ციხეში გარკვეულა მენშევიკების პოზიცია „სამხედრო ორგანიზაციის“ მიმართ, ასევე აკრიტიკებდნენ წულუკიძესა და მის აგიტაციას ოფიცრებს შორის სამხედრო ცენტრში შესვლის საწინააღმდეგოდ. ამბობდა, რომ მათ საკმარისი რაოდენობით ჰყავთ მომხრეები აჯანყების მოსაწყობად, ასახელებდა ჩოლოყაშვილს, მანწკავასა და კასრაძეს.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან: [45]

საქართველოს გასაბჭოების დასაწყისში არჩილ ვაჩნაძე შემხვდა, რომელიც შემდგომ დახვრიტეს, და მითხრა, რომ ყოფილი ქართული არმიის ბევრ ოფიცერს ჰქონდა სურვილი აჯანყების შედეგად გადაეგდოთ რუსული უღელი. ამ მიზნით, ოფიცრებმა უფლებამოსილებით აღჭურვეს ვაჩნაძე და კიდევ ორი ოფიცერი (დაასახელა გიორგი ამილახვარი) დაკავშირებოდნენ ვ. წულუკიძესა და მაზნიევს, რათა შეეთავაზებინათ მათთვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. მან

44 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 57.
45 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 55.

დასძინა, რომ კახეთში არსებობდა ჯარისკაცებისგან შემდგარი მსხვილი ორგანიზაცია. რამდენიმე დღეში ისევ შემხვდა და მითხრა, რომ ეროვნულ-დემოკრატები დათა ვაჩნაძის სახით ცდილობდნენ, მთელი ორგანიზაცია მიემხროთ საკუთარი პარტიისგან. ამასთანავე, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ორგანიზაციაში ვ. წულუკიძის შესვლას, რადგან ამ უკანასკნელს პარტიის მიმართ სიმპათიები არ გააჩნდა და ამასთან, იმერელიც იყო. რაც შეეხება მაზნიევს, მიაჩნდათ, რომ ის შინაური იყო და ამასთან, კარგი ორგანიზატორიც. შემდგომი შეხვედრის დროს, ა. ვაჩნაძეს ვკითხე, თუ როგორ იყო ორგანიზაციის საქმე, რაზეც მან დანანებით მიპასუხა, რომ დათა ვაჩნაძე მეთაურივით იქცეოდა. ამასთან, ვაჩნაძემ და ქარუმიძემ (რომელიც კონსტანტინოპოლში გაემგზავრა) დიდი ოდენობით ფული მიიღეს საქართველოს მთავრობის გამგზავრების დროს, რითაც ვაჩნაძე სპეკულირებდა და სწორედ სპეკულაციის ერთ-ერთი საშუალება იყო ეს სამხედრო ორგანიზაცია. მახსოვს, რომ ამბობდა, ეროვნულ-დემოკრატები ამტკიცებენ, გომბორის მიდამოებში დიდი ოდენობით იარაღი და ტყვიამფრქვევი არისო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევის ჩვენებიდან 16/III-1923 წ.: [46]

ჩემს დაპატიმრებამდე, „სამხედრო ცენტრი“ როგორც ასეთი ოფიციალურად არ არსებობდა. ფაღავას თქმით, იგეგმებოდა მისი შექმნა შემდეგი შემადგენლობით: ანდრონიკოვი, ვ. წულუკიძე, მუსხელოვი. ნარიკელაძე ესწრებოდა ორივე შეხვედრას, მაგრამ შედიოდა თუ არა სამხედრო ცენტრში, ჩემთვის ცნობილი არაა. მის შესახებ კითხვაზე პასუხს ფაღავა რატომღაც გაურბოდა. მე უნდა შევსულიყავი სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში როგორც ცეკას მენშევიკური პარტიის წარმომადგენელი, მაგრამ მენშევიკური პატრიის წევრი მე არ ვიყავი. ფაღავამ აღნიშნა, რომ შემადგენლობა შეიძლება შეცვლილიყო პარტიების მოთხოვნების შესაბამისად. სამხედრო ცენტრის მუშაობის შესახებ საკითხი იდგა შემდეგნაირად: პარიტეტული კომიტეტი სამხედრო ცენტრს ყველაფრით უზრუნველყოფდა, ხოლო სამხედრო ცენტრი შეიმუშავებდა სამოქმედო გეგმას.

კავშირს ფაღავასთან და იოსებ ცინცაძესთან ვაწარმოებდი ნაპოლეონ კახიანის მეშვეობით, რომლის ბინაშიც ვხვდებოდი ფაღავას ავჭალის ქუჩაზე, ხოლო ცინცაძეს ვიღაც ექიმის ბინაში, ნიკოლოზის ქუჩაზე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

46 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 2. გვ. 61.

ამონაწერი[47]

მიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, 57 წლის, ყოფილი თავადი, დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, ყოფილი გენერალი, საქართველოს წითელი არმიის სასაზღვრო ბრიგადის მეთაური.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძეს, 57 წლის, ყოფილ თავადს, რომელმაც დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, ყოფილ გენერალს, საქართველოს წითელი არმიის სასაზღვრო ბრიგადის მეთაურს. სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელს, რომელმაც მუსხელოვთან ერთად შეიმუშავა და ადგილებზე დააგზავნა მოსალოდნელ აჯანყებაში მონაწილე პირთა გეგმა, ასევე არსებული იარაღის აღწერილობა, ამასთან იღებდა და აგზავნიდა საიდუმლო ცნობებს წითელი არმიის მდგომარეობის შესახებ, მონაწილეობდა საქართველოში ბანდიტური მოძრაობის ხელმძღვანელობაში, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა - **<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>**


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

47 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 50.



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширенаго Заседания Коллегий Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий

Под председательством Предзакчк тов. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАЛИНОВСКИЙ НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ БЕРЛ МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

С л у ш а л и :

Докладчик тов. АПУКИН.

I - Дело Военной организации антисоветских партий, по обвинению:
1/ ПУЛУКИДЗЕ Вардена Григорьевича, 57 лет, окончил военное училище б. князя, б. генерала.

П о с т а н о в и л и :

I-За организацию заговора против Совласти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству ПОСТАНОВЛЕНО 1/ ПУЛУКИДЗЕ Вардена Григорьевича, 57 лет, окончил военное училище, б. князя, б. генерала. Являясь командиром пограничной бригады Грузинской Красной Армии, по предложению Инт.К-та вошел в военный центр, фактически руководил работой В.Ц. По одобрения В.Ц. совместно с Мусхеловым разработал и разослал через Инт.К-та на места мобилизацион. план людей и оружия для предстоящего восстания, получал и передавал в Инт К-т секретные сведения о состоянии нашей Красармии Участвовал в руководстве бандитским движением в Грузии - РАЗСТРЕЛЯТЬ.- Приговор привести в исполнение в 24-х часовый срок.-

Подлинный за надлежащими подписями.
Выписка верна:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЛСОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ. 1. გვ. 50.

სიმონ (ნასყიდა) გრიგოლის (იაგორის) ძე ჭიაბრიშვილი


(1880 – 1923 წ.წ.)

გამოყენებული მასალები: შსს არქივი,

ფონდი N6, საქმე N23510, 1 ტომი, 34 გვერდი.

საქმეში არსებული დოკუმენტაცია:

- დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერი;
- ჩხრეკის ოქმი;
- რაპორტი (მოხსენება);
- დაპატიმრების ფურცელი;
- პატიმრის ანკეტა;
- ქვითარი;
- ამონარიდები მოწმეთა ჩვენებებიდან;
- პატიმრის ჩვენებები;
- ფოსტა-ტელეგრამა;
- ამონაწერი განაჩენის ოქმიდან.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 2.

სიმონ (ნასყიდა) ჭიაბრიშვილი

ქ. დუშეთის მკვიდრი, ქართველი, 45 წლის, ვაჭარი-კულაკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ყოფილი სახალხო გვარდიელი.

„როდესაც ხევსურეთის მოვლენების დროს გაწყდა კავშირი ჩოლოყაევსა და ინტერპარტიულ ცენტრს შორის, ეს კავშირი ჭიაბრიშვილმაა აღადგინა".

/აგენტურული ცნობები./



რეზოლუცია: 3/IV-23 წ.

გადაეგზავნოს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას [1]

(ხელმოწერა)

საინფორმაციო პუნქტის უფროსს

დუშეთის მაზრის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის

თანამშრომლის, სერგეი დულკისის


მოხსენება (რაპორტი)

მოგახსენებთ, რომ 2/IV-23 წ. N25 ორდერის თანახმად ჩავატარე ჩხრეკა სიმონ ჭიაბრიშვილის ბინაში, ჩხრეკის დროს არაფერი აღმოჩნდა. სიმონ ჭიაბრიშვილი დაპატიმრებულ იქნა თავის დუქანში, სადაც ის პირადად გაჩხრიკეს. პირადი ჩხრეკის დროსაც საეჭვო ვერაფერი აღმოუჩინეს. დაპატიმრებული სიმონ, იგივე ნასყიდა ჭიაბრიშვილი გადაყვანილ იქნა სამაზრო მილიციაში და ხელწერილით ჩაბარდა რეზერვის უფროსს, ამხ. იორამოვს.

თან ერთვის: შესრულებული ორდერი N25, 2/IV-23 წ. დაპატიმრებისა და ჩხრეკის ოქმები.

სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელი (ხელმოწერა).

1923 წლის 2 აპრილს დუშეთის მაზრის პოლიტბიუროს მიერ გაიცა N25 ორდერი, რომლის მიხედვითაც, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელ სერგეი დულკისს ევალებოდა სიმონ ჭიაბრიშვილის დაპატიმრება და ჩხრეკა.



Полит-Бюро Душетского уезда

ОРДЕР № 25

От „2" Апреля 1923 г. 5

Выдан агенту для поручении сот. м.

Дулкис Сергей

На право производства обыска и ареста.

У гражд 1. Душет Чиабришвили Семена.

прож. по ул.

в доме №

В зависимости от обыска арест

Примечание: Все должностные лица и граждане обязаны указать указанному агенту полное содействие

Зав. Полит-Бюро

Секретарь

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 5.

1 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 3-4.


იმავე დღეს დუშეთის მაზრის საინფორმაციო პუნქტის მიერ გაცემული N25 ორდერის საფუძველზე ქ. დუშეთში შედგა სიმონ (ნასყიდა) გრიგოლის ძე ჭიაბრიშვილის დაპატიმრების ოქმი[2] და ქ. დუშეთში მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარდა ჩხრეკა. როგორც ჩხრეკის ოქმიდან[3] ირკვევა, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

ქვითარი[4]

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის 1923 წლის 10 აპრილის N171 ქვითარი,

ს. ჭიაბრიშვილისგან 3.410.000 ფულადი ერთეულის მიღების თაობაზე.

ხელს აწერს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხაზინადარი (ხელმოწერა)


Ф. С. С. Р.
Закавказья
ЗАКЧЕКА
— при —
СОЮЗНОМ СОВЕТЕ
„.....“ 192 г.
Тифлис.
КВИТАНЦИЯ №
Принять от
Руб.
Казначей

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 16.

2 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ. 1. გვ. 6.
3 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ. 1. გვ. 7-8.
4 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ. 1. გვ. 16.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის

დადგენილება[5]

(აღმკვეთი ზომის შესახებ)


მე, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის მორიგე ოპერრწმუნებულმა, ცირულმა, განვიხილე რა დუშეთის საინფორმაციო პუნქტის მიერ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კონტრდაზვერვის I განყოფილების N220-შ ტელეგრამისა და ამა წლის 3 აპრილის N104/ს განკარგულების საფუძველზე დაპატიმრებული სიმონ გრიგოლის ძე ჭიაბრიშვილის მიმოწერა.

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე: მიმოწერა მიღებულ იქნას წარმოებაში და რაიგანყოფილებიდან, პატიმართან ერთად, კუთვნილებისამებრ გადაეცეს კონტრდაზვერვის I განყოფილებას.

აღმკვეთ ღონისძიებად არჩეულ იქნას: თავისუფლების აღკვეთა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის შიდა ციხეში.

საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის რწმუნებული: ხელმოწერა

ვეთანხმები: ხელმოწერა.



Закавказская Чрезвычайная Комиссия при Совете С. С. Республик Закавказья

Утверждаю
Председатель

9

ПОСТАНОВЛЕНИЕ

(На предъявление обвинения)

192 года „4" Апрель я Ин. Уполномоченный

Зак.чека Цирули рассмотрев сего числа материалы по обвинению

гр-на Чиабришвили Семена Григорьевича

арестованного Душетским Укр.-Муниц.

по реновации Телеграммы 1-е Отд. Р.К.

Заключ. за № 220/с и препровождения

на расстрел при отношении от

3 Апреля с/г. за № 104/с

ПОСТАНОВИЛ: ~~Предъявить обвинение~~ Гарантию ареста-

товать своим отношением в штрафной

город Гянджу в распоряжение 1-й

1-й отдел КРО, заключив арестованного в тюр-

На основании чего мерой пресечения (обвинения от суда и следствия избрал: Заключить под стражу при

Душетском Уездном Земотделе

Обвинение мне _____ об'явлено „ ___ „ _____

192 года в „ ___ „ часов.

Подпись обвиняемого _____

Уполномоченный СОЧ:

Согласен:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 9.

5 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 9.

დაპატიმრების ფურცელი N192

5 აპრილი, 1923 წელი.

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭიაბრიშვილი სიმონ, იგივე ნასყიდა იაგორის ძე
მისამართი	ქ. დუშეთი.
ასაკი	42 წლის.
განათლება	სასოფლო.
პროფესია	სოფლის მეურნე, ვაჭარი.
სად მუშაობს და რამდენი ხანი	დუშეთში.
პარტიულობა	უპარტიო.
არის თუ არა რომელიმე ორგანიზაციის წევრი	არა.
რა საშუალებით ცხოვრობს	საკუთარი შემოსავლით.
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული.
ვის მიერ მოხდა დაპატიმრება	დუშეთის საგანგებო კომისიის მიერ.
რის საფუძველზე	

ხელმოწერა - **სიმ. ჭიაბრიშვილი**.

10

Р. С. Ф. С. Р.

Особый Отдел при Револ. Воен. Совете XI армии

Арестный Лист № 192.

"27" апреля 1923 г.

Фамилия Гнобришвили Имя и отчество Симон Вахтангович

Адрес: г. Душет Базарная

Возраст 42

Образование Сельское

Профессия Член Сельхозторгового

Где работает и долго ли в Душете

Партийность Беспартийный

Состоит ли членом какой либо организации и долго ли Нет.

На какия средства живет Своим трудом

Имеет ли семью Семейный

Кем арестован Душетское ГПУ

На каком основании 6

Подпись: Сем Гнобришвили

Приметы:

Сдал: Принял

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 10.

XI არმიის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული განყოფილება

განსაკუთრებული განყოფილებისათვის დაპატიმრებულ და დაკავებულთა აღრიცხვისთვის

<u>ანკეტა N192</u>

ანკეტაში მცდარი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში, პირს დაეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა

კითხვები	პასუხები
1-ელი ნაწილი (ივსება დაპატიმრებულის მიერ)	
1) ***გვარი***	ჭიაბრიშვილი
2) ***სახელი, მამის სახელი***	სიმონ, იგივე ნასყიდა იაგორის ძე
3) ***მოქალაქეობა***	საქართველო
4) ***ჩაწერის ადგილი***	დუშეთის მაზრა
5) ***ეროვნება***	ქართველი
6) ***ასაკი (დაბ. წელი)***	42 წლის. დაბადებული 1880 წელს.
7) ***განათლება***	სასოფლო
8) ***ოჯახი***	***მეუღლე:*** ერმონია სიმონის ასული, 42 წლის. მცხოვრები ქ. დუშეთში.
	ვაჟიშვილები: ნიკოლოზი, ეგორი, შალიკო. ***ქალიშვილები:*** ეკატერინე, ქეთევანი.
9) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ძველი არმიის ოფიცრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილი***	არ ჰყავს.

10) ***ნათესავები და ახლობლები, რომლებიც წითელი არმიის ოფიცრები არიან, მათი სამუშაო ადგილი***	არ ჰყავს.
11) ***პარტიულობა***	უპარტიო.
12) ***პროფესია***	სოფლის მეურნე, ვაჭარი.
13) ***სამუშაო ადგილი:*** ***ა) 1917 წლამდე;*** ***ბ) 1917 წლიდან დაპატიმრებამდე***	ა) ქ. დუშეთში ეწეოდა ვაჭრობას. ბ) იგივე.
14) ***წოდება***	არ აქვს.
15) ***თუ არ მუშაობს, რა საშუალებით ცხოვრობს***	საკუთარი შემოსავლით.
16) ***ფლობს თუ არა რაიმე უძრავ ქონებას, რას, სად***	არაგვისპირში - წისქვილი. დუშეთში - სახლი.
17) ***ნასამართლობა***	არ აქვს.
18) ***სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება***	მეორე თანრიგის მოლაშქრე.
19) ***როდის მოხდა დაპატიმრება***	1923 წლის 2 აპრილს.
20) ***ვის მიერ მოხდა დაპატიმრება, ორდერი***	დუშეთის საგანგებო კომისიის მიერ.
21) ***სად მოხდა დაპატიმრება***	დუშეთში.
22) ***ვის მიერ იყო დაკითხული პირველად***	ქ. დუშეთში, კომისიის თავმჯდომარის მიერ.

23) *იყო თუ არა წარდგენილი ბრალდება დაკითხვის დროს*	
24) *სავხოვრებელი მისამართი დაპატიმრებამდე*	ქ. დუშეთი.

პატიმრის ხელმოწერა: **ს. ჭიაბრიშვილი.**

5 აპრილი, 1923 წ.

მე-2 ნაწილი (ივსება დაპატიმრების ადგილის ადმინისტრაციის მიერ)

25) *პატიმრობის ადგილის ოფიციალური დასახელება*	
26) *ვისი ორდერის საფუძველზე მოხდა დაპატიმრება, ორდერის N*	
27) *პატიმრის ნიშნები*	

XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების კომენდანტის ხელმოწერა:

Особый Отдел при Реввоенсовете XI Красной Армии.

АНКЕТА № 192. 11

для арестованных и задержанных с зачислением за Особотдел.
Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
1-я ЧАСТЬ ЗАПОЛНЯЕТСЯ ЗАКЛЮЧЕННЫМ	
1) Фамилия	Чиа[illegible]вили
2) Имя и отчество	Семен Ионы Пасхи[illegible] Егорович
3) Гражданин(ка) какого государства	Грузин
4) Место приписки	Губ.: ... уезд / село / город Душетск[illegible]
5) Национальность	Грузин
6) Возраст (год рождения)	42 лет, ролился в ... месяца 187[illegible] года
7) Образование: а) грамотный ли; б) какую школу окончил; в) если не окончил, то сколько прошел	а) ... б) окончил Семинарию школу в) прошел ... класс / курс школы

8) Состав семьи, место жительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены, братьев и сестер)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Возраст	Место жительства	Место работы и должность или профессия
1 Жена	Ермолова Семеновна	42	Душет[illegible]	
2 Сын	Николай			
3 "	Егор			
4 Дочь	Шалико			
5 "	Екатерина			
	Кайсевана			

9) Родственники и близкие знакомые—бывшие офицеры старой армии, место их службы в настоящее время (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Воинское звание, чин, род оружия в старой армии	Место службы и должности в настоящее время
1	Нет		
2			
3			
4			
5			

10) Родственники и близкие знакомые—офицеры Красной Армии, место их службы (отец, муж, сыновья, братья)

Степень родства	ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО	Военное звание, род оружия или спец. в Красн. Ар.	Место службы
1	Нет		
2			
3			
4			
5			

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 11.

11) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какого времени	а) состою членом Беспартийное партии б) месяца 19 года	
12) Профессия	Сидельщик-хозяин и торговец	
13) Место работы (службы): а) с начала войны до 1-ш 1917 г.; б) с 1-ш 1917 г. по день ареста	НАЗВАНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ ИЛИ УЧРЕЖДЕНИЯ а) Гор. Душет Занимался торговлей б) Тоже	ПРОФЕСИЯ ИЛИ ДОЛЖНОСТЬ Д.
14) Если состоял на госуд. службе, то в как м чине	Нет.	
15) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил	Своим трудом	
16) Владел-ли недвижимым имуществом, каким именно и где	Владельцем трех - этажного В Душетах Дом	
17) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке	Нет.	
18) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден от воинской повинности, то на каком основании	а) б) Райтих окончил 2-го разряда	
19) Когда арестован	2. января месяц 1923 года	
20) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера	Душетской ЧКа	
21) Где арестован: а) губер., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собрании, в поезде и проч.	а) Душет б)	
22) Когда и кем допрошен в первый раз	В гор. Душет председателем Чека	
23) Пред'явлено-ли обвинение при допросе и в чем именно		
24) Место жительства перед арестом	Душет.	

Подпись заключеннаго Семен Сидамонидзе


« 5 » апреля 1923 года.

—2-я часть (заполняется администрацией места заключения)

25) Официальное название места заключения	
26) По чьему ордеру арестован и № ордера	
27) Приметы заключеннаго	

Комендант Особотдел XI Армии

Ответы на вопросы анкеты надо писать чернилами (в крайнем случае химическим карандашем) ... по возможности без помарок и поправок.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 12.

ამონარიდი ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის ჩვენებიდან (თარიღი უცნობია):[6]

იმ დროს ცეკას სხვა წევრები არ მენახა.

ფავლენოვის ბანდას რაც შეეხება, მისმა აგენტებმა - სიმონ ჭიაბრიშვილმა და ვასო კობიაშვილმა მითხრეს, რომ ხევსურეთიდან იყო დაბრუნებული და მას ჰქონდა დავალებული ხალხის ორგანიზება. „ჩვენ ხელს არ უნდა გვიშლიდე, ხალხს უნდა აუხსნა, რომ საბრძოლველად გამოვიდნენ“.

ფავლენოვის ბანდაში მენშევიკები არ იყვნენ.

დუშეთზე თავდასხმას ფიქრობდნენ, მაგრამ რადგან ხალხმა მხარი არ დაუჭირა, ჩემი დამსახურებითაც გადაიფიქრეს.

მუსხელიშვილს ვუთხარი, რომ ბანდიტები დუშეთზე თავდასხმას აპირებდნენ და ვკითხე, რა მომემოქმედა. მითხრა, დუშეთზე თავდასხმას ურჩევნიათ ხევსურების დასახმარებლად წავიდნენო. ალბათ, ასეც იზამდნენ, მაგრამ იარაღი არ ჰქონდათ და ამიტომ უნდოდათ დუშეთის აღება.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი დარჩო ზაქარიას ძე ვეშაგურის ჩვენებიდან 4/IV-1923 წ.: [7]

დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ გადავწყვიტე, ხელისუფლებას ჩავბარებოდი და გზად, დუშეთისკენ მიმავალს ორი ყაჩაღი შემხვდა, რომლებმაც მითხრეს, ამნისტიაა და მივდივართ, უნდა ჩავბარდეთო. მათ შორის იყვნენ სიმონ ჭიაბრიშვილი, ვასო კობიევი და გიორგი ზანდუკელი.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის ჩვენებიდან 29/III-1923 წ.: [8]

1922 წლის აგვისტოში, დუშეთის მაზრაში საგანგაშო მდგომარეობა შეიქნა. გამოჩნდა ხევსურეთიდან გადმოხვეწილი შალვა ფავლენაშვილის ბანდა. ჩემთან მოვიდა ეროვნულ-დემოკრატი სიმონ ჭიაბრიშვილი და მითხრა, რომ ხალხი მზადაა ბოლშევიკებთან საბრძოლველად, მაგრამ თქვენ, მენშევიკები წინააღმდეგნი ხართ, თუმცა კი გაქვთ გამოსვლებთან დაკავშირებით პარტიული კომიტეტის განკარგულებაო. მეუბნებოდა, ხალხში უნდა გამოჩნდე და გამოსვლა შედგებაო. ამბობდა, რომ ჩვენ (მენშევიკები) ჩვენი გაუბედაობით საქმეს ვაფუჭებთ. ვუთხარი, რომ მე ამ საქმის არაფერი ვიცი და არც ვერევი-მეთქი. მართლაც ასე იყო, ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობდი და მეგონა, რომ მენშევიკთა პარტიას ბანდიტ ჩოლოყაევთან საერთო არაფერი ჰქონდა. ჭიაბრიშვილი მარწმუნებდა, რომ დუშეთის გამოსვლა სანქცირებული იყო ცენტრის (პარიტეტის) მიერ და ვითარების გასარკვევად თბილისში გამგზავრება შემომთავაზა.

6 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 13.
7 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 14.
8 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 15.

რეზოლუცია: სუნდაკოვ, დაიწყეთ სიმონ ჭიაბრიშვილზე საქმის წარმოება.

დამატებითი ინფორმაცია საქმეში მაქვს: **ზალპეტერი**.

ამონარიდი ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელის ჩვენებიდან III -1923 წ. (რიცხვი გაურკვეველია):[9]

თბილისში ჩამოსვლისთანავე მოვძებნე იოსებ ცინცაძე და დუშეთის მაზრაში არსებული ვითარების შესახებ შევატყობინე. ი. ცინცაძემ მკითხა, რამდენი დუშელი გაყვა ჩოლოყაევს, თბილისში ამბობენ, ორასიო. ვუპასუხე, რომ ჩოლოყაევს არც ერთი დუშელი არ გაჰყოლია და ელოდებიან, მე რას ვეტყვი. ისიც შევატყობინე, რომ ეროვნულ-დემოკრატების აგენტები მთელ მაზრაში დადიან და ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებენ. თავიდან ცინცაძემ არ დამიჯერა და მითხრა, რომ მისი ინფორმაციით, დუშეთის მაზრაში ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაცია ძლიერია და თუ ისინი მოინდომებენ, შეძლებენ ხალხის აყოლიებას და აჯანყების მოწყობას. შემდეგ ცინცაძეს ვუთხარი, რომ ეროვნულ-დემოკრატები აჯანყებაში მონაწილეობის მიღებას მთხოვენ და რომ დუშეთში გამგზავრება არ მინდა. აჯანყების მიმართ პარტიის დამოკიდებულების შესახებ კითხვაზე, ცინცაძისგან პირდაპირი პასუხი ვერ მივიღე. მან შემომთავაზა, დუშეთში გავმგზავრებულიყავი, ეროვნულ-დემოკრატებთან არ მეკამათა და მდგომარეობის შესაბამისად მემოქმედა, ოღონდაც ეროვნულ-დემოკრატებს არ ჩავვარდნოდი ხელში. ჩემს განცხადებაზე, რომ მარტო საქმეს თავს ვერ გავართმევდი, ი. ცინცაძემ როსტომ მუსხელოვთან დაკავშირება შემომთავაზა, „ჩვენი კაციაო“. .... (არ იკითხება ფურცლის დაზიანების გამო) და გეცოდინება, რა უნდა გააკეთო“. დუშეთში ჩასვლიდან მეორე თუ მესამე დღეს შევხვდი მუსხელოვს (საექსპედიციო რაზმის შტაბი მდებარეობდა.... (არ იკითხება). მუსხელოვს ვკითხე, რა გავაკეთო-მეთქი. მან გარკვეული პასუხი არ მომცა. დამპირდა, გავარკვევო. მეორე შეხვედრაზე მუსხელოვმა მომახსენა წითელდროშოვანთა განსაკუთრებული არმიის დადგენილების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ხევსურეთი უნდა აღეგავათ პირისაგან მიწისა. საჭირო იყო ძალების მოკრება და ხევსურების დასახმარებლად წასვლა. ცინცაძესა და მუსხელოვთან საუბრების შემდეგ მივხვდი, რომ ხალხი ავანტიურას ეწირებოდა მსხვერპლად. დავამატებ, რომ მუსხელოვმა, მესაუბრებოდა რა ძალების მოკრებასა და ხევსურების დახმარებაზე, ხევსურეთის წინააღმდეგ მოქმედი არმიის შესაჩერებლად დუშეთის მაზრაში აჯანყების მოწყობა შემომთავაზა. მუსხელოვთან საუბრის შემდეგ ჩემთან მოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატები - ვასილ კობიევი და სიმონ ჭიაბრიშვილი, რომლებიც ყოველდღე მსტუმრობდნენ იმის გასაგებად, მივიღებდი თუ არა მათთან ერთად აჯანყებაში მონაწილეობას. ამ პირებს განვუცხადე, რომ შევეცდები დავეხმარო, მაგრამ დახმარების ნაცვლად, ყველა მათი გეგმა ჩავფუშე - აჯანყებაში..... (არ იკითხება) აჯანყება არ შედგა. რის შედეგადაც, ეროვნულ-დემოკრატებმა პროვოკატორის იარლიყი მომაკრეს. მე თბილისში გავემგზავრე, სადაც დავყავი ..... (არ იკითხება). შევხვდი ი. ცინცაძეს. მას ვუთხარი (ვიცრუე), რომ ხალხი აჯანყებაზე უარს ამბობს, არ მიდის-მეთქი. ცინცაძემ თქვა - კარგია, ასე რომ გამოვიდაო. კოლია ოკუჯავასა და აღნიაშვილზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ არაფერი ვიცი. მისთვის არ მითქვამს, ფავლენაშვილს მუსხელოვთან შეხვედრა რომ უნდოდა ტყეში. 1903 წლიდან 1919 წლამდე სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში ვიყავი, ხოლო 1919 წლიდან მენშევიკთა პარტიაში ვარ.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

9 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 33.

ფოსტა-ტელეგრამა [10]

ტიფლისი-ЗАКЧЕКА ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილებას

ამა წლის 3 აპრილის ჩვენი ნომ. 104/ს-ს (ეს ნომერი სადაა? 23/4) დამატებით გაცნობებთ შემდეგს:

სიმონ იაგორის ძე ჭიაბრიშვილი, ქ. დუშეთის მკვიდრი, ქართველი, 45 წლის, ვაჭარი-კულაკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ყოფილი სახალხო გვარდიელი, გამოუსწორებელი ძველი ბანდიტი.

1910 წელს, როგორც მეთაურ-ორგანიზატორი, მონაწილეობდა დუშეთის ვაჭრებს შორის, ფულის გამოძალვის მიზნით, სიკვდილის მუქარის ანონიმური წერილების გავრცელებაში. იმის გამო, რომ ვაჭარმა სერაპიონ ამირაკოვმა ანონიმურ წერილში მოთხოვნილი თანხა არ გადაუხადა, ჭიაბრიშვილი, მოკვლის მიზნით, მასთან ბინაში შეიჭრა და ესროლა, მაგრამ ააცილა. ამისთვის დუშეთის პოლიციამ დააპატიმრა.

1911 წელს ჭიაბრიშვილმა, ფულის გამოძალვის მიზნით, ანონიმური წერილი გაუგზავნა დუშელ ვაჭარს - გრიგორი მირაკოვს და გადაუხდელობის შემთხვევაში, მოკვლით ემუქრებოდა.

1918 წელს დაბა ბახისჭალაში, რომელიც დუშეთიდან 13 ვერსის მოშორებით მდებარეობს, თბილისის მიმართულებით, საქართველოს სამხედრო გზაზე გაძარცულ და მოკლულ იქნენ დუშელი ვაჭრები: ნიკოლოზ მირზაიშვილი, იოსებ მერაბოვი და მეეტლე, ქ. დუშეთში მცხოვრები ივანე ბორძენოვი. ძარცვას ორგანიზატორობდა სიმონ ჭიაბრიშვილი.

1921 წლის ნოემბერში დაბა ბახისჭალაში გაძარცულ იქნა დუშეთიდან ტიფლისისკენ მიმავალი ფოსტა, რომელსაც გადაჰქონდა 150 000 000 რუბლი. ამ ძარცვასაც სიმონ ჭიაბრიშვილი მეთაურობდა.

1922 წელს ფასანაურის საზღვართან საექსპედიციო რაზმმა ჭიაბრიშვილი საქართველოს სამხედრო გზაზე საეჭვო მგზავრად მიიჩნია და დააპატიმრა (გადაუმოწმებელი ინფორმაციით, მას დაგრაგნილი წერილები მიჰქონდა ჩოლოყაევთან, რომელიც გუდამაყრის ხეობაში ოპერირებდა. მან ამ წერილების განადგურება მოახერხა).

1922 წლის სექტემბერში სიმონ ჭიაბრიშვილი, ფავლენიშვილის ბანდასთან ერთად, მონაწილეობდა დაბა ბახისჭალაში ავტომობილის ჩაცხრილვაში, რომელშიც ისხდნენ საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ოკუჯავა და აღნიაშვილი.

ჭიაბრიშვილი ბანდიტ ფავლენიშვილის მარჯვენა ხელი იყო, რომელთან ერთადაც იგი ჩოლოყაევის ბანდაში ხევსურეთსა და მაზრის სხვა რაიონებში მოქმედებდა.

დუშეთის მაზრაში ჩოლოყაევის თარეშის აღკვეთის შემდეგ, ჭიაბრიშვილი, ფავლენიშვილის ბანდასთან ერთად, რაოდენობით 18 კაცი, გადავიდა ბახისჭალაში და მოქმედებდა 1922 წლის 30 ოქტომბრამდე (ბანდის ჩაბარება).

ერთ-ერთი ჩაბარებული ბანდიტის, სოფ. ბოდორნოს მკვიდრის, 18 წლის შიო ბერბერიშვილის დაკითხვიდან ჩანს, რომ ის ჭიაბრიშვილმა დაითანხმა შეერთებოდა ფავლენიშვილის ბანდას, სადაც თავად იმყოფებოდა.

21 აპრილი, 1923 წელი. N120/C

დუშეთის მაზრის რწმუნებული: **სუჯაევი**.

საქმის მწარმოებელი: **დულკისი**.

10 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 17.

დუშეთის მაზრის პოლიტბიუროს უფროსს [11]

პატიმარ ილურაძისგან

გაცნობებთ, რაც ჩემთვისაა ცნობილი: როცა პოლიტბიუროს სამსახურიდან ჩემი გათავისუფლება უნდოდათ, ამხ. მჭედლიძემ რწმუნებულის, ამხ. კაბიაშვილის დასაძახებლად კობიანთკარში გამგზავნა. შემხვდა ვასო კობიაშვილი და მკითხა, რისთვის უნდოდათ ჩემი დაპატიმრება. ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. მაშინ მან მითხრა, თუ სამსახურიდან გაგიშვებენ, ჩემთან მოდი და ერთად შევუერთდეთ ბანდასო. მეც დავთანხმდი. როცა სამსახურიდან გამათავისუფლეს, მასთან მივედი და მან ბანდასთან წამიყვანა. 12 დღე-ღამის განმავლობაში ბანდიტებთან ვიმყოფებოდი, შემდეგ დუშეთში დავბრუნდი. ბანდაში იყვნენ შემდეგი პირები: მეთაური იყო 1) შალიკო ფავლენაშვილი, 2) ვასო კობიაშილი, 3) გიორგი ყაზბეგი, ეს იყო მოხუცი გორის მაზრიდან, 4) შურკა ვასილიევი, 5) ზურაბ შაბურიშვილი, 6) სიმონ ჭიაბრიშვილი, 7) სოსო (გვარი ჩემთვის ცნობილი არაა). კიდევ არის ორი პირი სოფელ ბოდორნოდან, სახელად შიოლა და ლადო, რომლებიც ხშირად მოდიან დუშეთში პროდუქტების საყიდლად.

ჩემი იქ ყოფნისას, ბანდაში მიმდინარეობდა შემდეგი საუბრები: რომ ველოდებით ლაშქარაშვილს,რომელიც გადმოვიდა გორიდან და 200 კაცთან ერთად ტყეში იმყოფება. რომ აპირებდნენ დუშეთზე თავდასხმას, მაგრამ გადაიფიქრეს, რადგან ცხენოსანთა რაზმის ექსპედიციის შტაბის უფროსისგან, სახელად როსტომი ერქვა (გვარი არ ვიცი), ჰქონდათ ინფორმაცია, რომ არ მოეხდინათ დუშეთზე თავდასხმა, რადგან ქალაქი გამაგრებული იყო. იქ ვიყავი მეც, როცა ყაზბეგი გორის მაზრაში გაუშვეს ორი ტყვიამფრქვევის ჩამოსატანად, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა.

ბანდიტებთან ყოფნისას ავად გავხდი. ვასო კობიაშვილმა მირჩია დუშეთში დავბრუნებულიყავი, მაგრამ დაპატიმრების მეშინოდა, თუმცა 2 ოქტომბერს მაინც წამოვედი, საღამოს პოლიტბიუროში გამოვცხადდი და თანამშრომელ დულკისს ვკითხე, უფროსი სად არის-მეთქი, მინდოდა მისთვის ზემოაღნიშნული ბანდის შესახებ მეცნობებინა, მაგრამ გავიგე, უფროსი ტიფლისშიაო. როცა ტიფლისდან დაბრუნდით, უკვე შემეშინდა თქვენი ინფორმირება, რადგან შეიძლება კონსპირაცია დარღვეულიყო და ბანდიტებს მოვეკალი, როგორც ეს გოგობერიძის შემთხვევაში მოხდა. ეს ბანდა სოფელ შაშაბურის მოპირდაპირედ, ბოდორის ტყეებში იმყოფება.

(ხელმოწერა).

11 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 18.

აგენტურული შეტყობინება[12]

ამხ. აშუკინ

„გიორგაძე“ ამბობს, რომ ს. მუხრანსკისთვის ცნობილია სიმონ ყაზბეგის როლი, რომელიც 300 ფშავთან ერთად უნდა წასულიყო ფავლენიშვილის დასახმარებლად.

27.IV

ხელმოწერა: **ზალპეტერი**.

ამონარიდი აგენტ “კ“-ს შეტყობინებიდან[13]

18/IV-23

ЗАКЧЕКА-ს პატიმარი სიმონ ჭიაბრიშვილი ყველა ბანდასთან იყო კავშირში. როდესაც ხევსურეთის მოვლენების დროს გაწყდა კავშირი ჩოლოყაევსა და ინტერპარტიულ ცენტრს შორის, ეს კავშირი ჭიაბრიშვილმა აღადგინა.

ასლი დედანთან სწორია: ზალპეტერი.

სიმონ ჭიაბრიშვილის ჩვენება 23/IV-1923 წ.:[14]

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერი ვარ. 1922 წლის მაისში, გავიგე რა, რომ დაპატიმრებას ვექვემდებარებოდი, დამალვა გადავწყვიტე. ვასო კობიაშვილიც შემომიერთდა, რადგან მასაც დაპატიმრება ემუქრებოდა. რამდენიმე ხანში ორი ფშაველი შემოგვიერთდა, გიორგი და იოსები. ივნისში ჩვენთან შალიკო ფავლენაშვილი მოვიდა და გვითხრა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იწყებოდა ომი; რომ საჭიროა ხალხის აჯანყება და რომ ჩვენ დაგვეხმარებიან ხევსურები, კაზაკები და ა.შ. მე და კობიაშვილს ფავლენოვმა სოფლებში გასვლა და ხალხის აჯანყებისკენ მოწოდება დაგვავალა. ფავლენოვი ერთი-ორჯერ შეხვდა ტყეში მენშევიკ ნიკო ზანდუკელს და მასთან, ძირითადად, აჯანყების შესახებ საუბრობდა. მენშევიკებმა ფავლენოვს მხარდაჭერა აღუთქვეს და გლეხობის დამუშავებაც ამ მიმართულებით მიმდინარეობდა. იმ მომენტში, როცა ჩოლოყაევი ხევსურეთში ალყაში აღმოჩნდა, მენშევიკებმა უარი უთხრეს მხარდაჭერაზე მისი დამხმარის, ფავლენაშვილის სახით. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების პერიოდში, ფავლენაშვილს ბევრი მენშევიკი აკითხავდა. ფავლენაშვილი აგზავნიდა თავის აგენტებს სხვადასხვა სოფელში. ერთ-ორჯერ სოფლის თავკაცთა შეკრებაც მოაწყო ტყეში, რომლებსაც მენშევიკებიც ესწრებოდნენ. საბოლოო ჯამში, გლეხობა ფავლენაშვილს არ გაყვა, რადგან მიხვდნენ, რომ ბრძოლა თავადაზნაურობასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მიმდინარეობდა. ფავლენაშვილთან იყო ერთი ოფიცერი სოსო (გვარად, სავარაუდოდ, დოსიბერიძე), რომელიც ფავლენოვის ბანდის შესახებ აწარმოებდა დღიურს. სწორედ ეს ოფიცერი იწერდა სოფლის წარმომადგენელთა კრების დადგენილებას, იწერდა აგრეთვე ყველა იმ პირის მიერ მოტანილ ამბებს, რომლებიც ფავლენოვთან

12 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 19.
13 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 20.
14 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 27.

მოდიოდნენ. სექტემბერში ზურაბ შაბურიშვილმა თბილისიდან მოიტანა დოკუმენტი ამნისტიის შესახებ, რის შემდეგაც გამოვჩნდი დუშეთში. ფავლენოვი ბანდიდან არ გვიშვებდა, გვეუბნებოდა, რომ ტიფლისის ცენტრის ნებართვის გარეშე დაშლის უფლება არ გვაქვსო. ფავლენოვთან ხშირად მოდიოდნენ წარმომადგენლები ტიფლისიდან, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ვიცნობ. ფავლენაშვილისგან 12 კაცი წამოვედით: მე, ვასილ კობიაშვილი, ზანდუკელები - სამი ბიძაშვილი, ფშაველები - გიორგი და იოსები, ვასილიევი, ზურაბ შაბურიშვილი, ბერბერაშვილი - ყმაწვილი, გიორგი ყაზბეგი - მოხუცი. ჩოლოყაევთან წერილები მე არ დამქონდა. ნიკოლოზ ოკუჯავას ავტომობილის ჩაცხრილვაში მონაწილეობა არ მიმიღია. ახლა მხარს საბჭოთა ხელისუფლებას ვუჭერ.

დაკითხვის ოქმი ჩაწერილია ჩემი სიტყვების მიხედვით, ჩვენების სისწორეს ვადასტურებ საკუთარი ხელმოწერით (ხელმოწერა):

დაკითხა: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა**.

სიმონ ჭიაბრიშვილის ჩვენება 10/V-1923 წ.: [15]

ჩოლოყაევთან კავშირზე არაფერს ვიტყვი. ვიმეორებ, რომ არაფერი ვიცი. ინტერპარტიულ ცენტრთან კავშირი არ მქონია. ავტომობილზე თავდასხმის შესახებაც არაფერი ვიცი. ესაა ჩემი საბოლოო ჩვენება.

სიმონ ჭიაბრიშვილი.

დაკითხა: **პეტროსიანმა**.


ასლი დედანთან სწორია.

15 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 21.

ს. ჭიაბრიშვილის წერილი[16]

მე ვმუშაობდი არაგვის პირას, წისქვილში. ხევსურეთის ჩხუბი რომ დაიწყო, ორი კვირის შემდეგ მოვიდა წისქვილში ფალევნიშვილი, მითხრა, ჩეჩნეთი, ქისტები, ლეკები და კაზაკები მოდიან საომრათ საქართველოზედ და ხალხი გავყვეთ იმათო. მე ვუთხარი, კაცო რას ამბობ, რის ჩხუბი. წაგვიყვანა თანა ერთ ტყეში. მეორე დღესა გვითხრა, მე მივდივარ ხევსურებისაკენ ჩემი ამხანაგებითო. იმას ყვანდა თან ორი კაცი. ერთი ძველ აფიცერს უწოდებდა, მეორე არ ვიცი. ისინი წავიდნენ, მე და ვასო კობიაშვილი დავრჩით და ვიმალებოდით. ჩვენთან მოვიდა ორი ფშაველი, ვიყავით ჩვენთვის. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოგვეცხადა ისევ ფალევნიშვილი ამხანაგებით, რაღაც დაღონება ეტყობოდა. ჩვენ გვითხრა, უნდა ხალხი მოვამზადოთ საომრათაო. ვინც სოფლიდან დაიბარა ჩხუბზედ, ყველამ უარი განუცხადა ახლა. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ გავანებოთ თავი ფალევნიშვილსა და ვთხოვოთ მთავრობას, გვაპატიოს, თუ რამე დავაშავეთ. ეგრეც მოხდა. ჩვენ დავუბრუნდით ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას და ის თავის ერთი აფიცრით დარჩა. იმის შემდეგ გავიგე, რომ ფალევნიშვილი მოკლესო ქალაქშიო. ამის მეტი არა ვიცი რა ამ საქმისა.

სიმონ ჭიაბრიშვილი.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 32.

16 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 32.

ამონაწერი[17]

მიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიების გაფართოებული კოლეგიის სხდომის ოქმიდან

(1923 წლის 19 მაისის N19 პროტოკოლი)

სხდომის თავმჯდომარე: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი ამხ. მოგილევსკი.

სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: ამხ. აშუკინი.

საქმე: ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ბრალდებული: სიმონ ჭიაბრიშვილი, იგივე ნასყიდა იაგორის ძე, 42 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პროფესიონალი ბანდიტი.

ბრალდება: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მონაწილეობა, ჯაშუშური საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატი.

დადგენილია: სიმონ (ნასყიდა) იაგორის ძე ჭიაბრიშვილს, 42 წლის, ვაჭარს, ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის წევრს, პროფესიონალ ბანდიტს, 1922 წელს დუშეთის მაზრაში ბანდიტურ დაჯგუფებებში აქტიური მონაწილეობისათვის, **მ ი ე ს ა ჯ ო ს** სასჯელის უმაღლესი ზომა -

<u>დ ა ხ ვ რ ე ტ ა.</u>


განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათში.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი:

ამხ. **მაისოვი.**

17 შსს არქივი, (I), ფ. N6, სსს N23510. ტ.1. გვ. 34.



ВЫПИСКА ИЗ ПРО
...ширенного заседания Коллеги
...чайных Комиссий
Под председательством Председателя тов. МОГИЛЕВСКОГО,
присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ...УЛОВ, МАЛЮВСКИЙ, ...ЛЬ/КВАЛТАЛИЯ,
ВЕЛ, МИКЕЛАДЗЕ, ОЛИАВА, ОРА... ...М и ЛОМТАТИДЗЕ.
34
С л у ш а л и :
Докладчик тов. АПУКИН:
1-Дело Военной организации анти-советских партий, по обвинению:
II / ЧЛАВРИШВИЛИ Семена, он же Наскид Егоровича, 42 лет, торговца, члена партии Нач. дек. профессионального бандита.-
П о с т а н о в и л и :
I-Ея организации заговора против Советской власти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж, в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству
ПОСТАНОВИЛИ:
II/ЧЛАВРИШВИЛИ Семена, он же Наскид Егоровича, 42 лет, торговца, члена партии Н.-Д., профессионального бандита. Принимал наиактивнейшее участие в бандах в Душетском уезде в 1921 году - РАССТРЕЛЯТЬ.-
Приговор привести в испол. в 24 час. ...
Подлинный за надлежащими подписями.
ВЫПИСКА ВЕРНА:
НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК ...ЛОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23510. ტ. 1. გვ. 34.

გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი

(1892 – 1923 წ.წ.)

გიორგი (გიგო) ხიმშიაშვილი

„...დადგა სისხლიანი წუთები ზაკჩეკაში... განწირულები ორ-ორი გაყავდათ საკნებიდან და თავს უყრიდნენ განსაკუთრებულ ოთახში. აქ ამათ ელიან ჯალათები... კითხულობენ სასიკვდილო განაჩენს. ერთი წუთით მძიმე დუმილი ჩამოვარდება. მას არღვევს პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, რომელიც წინ წამოსდგება და ამბობს:

ჩვენ ვიცით, რისთვისაც გვკვლავთ. თქვენც კარგად იცით, რომ განდიტები არ ვართ, მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანეთ მოგთხოვთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს!...”

/გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 2003 წ. ტ. III, გვ.242.



რაფიელ ერისთავის შვილიშვილს, გიგო ხიმშიაშვილს ლექსები მიუწერია საპატიმროს კედლებზე:

„თავის მოსისხლეს თუ
მოსპობს მტერი დედამიწაზე,

თუმც ვერ მოუვლის
ჭირისუფალი ცრემლით საფლავზე,

მაინც ვნუგეშობ: ხსოვნა
იქნება ერთგულ მხედარზე

და ქუდს მოიხდის
მამულიშვილი ჩვენს ხსენებაზე.”

ვინაიდან დამკომსა და სამხედრო ცენტრში გიორგი ხიმშიაშვილის საქმიანობის ამსახველი მასალები შსს არქივში დაცული დღევანდელი მდგომარეობით არ არის, საქმე რეკონსტრუირებულია (კომპილირებულია) სხვა ფიგურანტების სისხლის სამართლის საქმეებში არსებული ჩვენებებისა და მონაცემების საფუძველზე.

/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი/.

გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევის ჩვენება


ამონარიდი გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევის ჩვენებიდან 16/III-1923 წ.: [1]

ჩემს დაპატიმრებამდე „სამხედრო ცენტრი“, როგორც ასეთი, ოფიციალურად არ არსებობდა. ფაღავას თქმით, იგეგმებოდა მისი შექმნა შემდეგი შემადგენლობით: ანდრონიკოვი, ვ. წულუკიძე, მუსხელოვი. ნარიკელაძე ესწრებოდა ორივე შეხვედრას, მაგრამ შედიოდა თუ არა იგი სამხედრო ცენტრში, ჩემთვის ცნობილი არაა. მის შესახებ კითხვაზე პასუხს ფაღავა რატომღაც გაურბოდა. მე უნდა შევსულიყავი სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში როგორც მენშევიკური პარტიის ცეკას წარმომადგენელი, მაგრამ მენშევიკური პატრიის წევრი მე არ ვიყავი. ფაღავამ აღნიშნა, რომ შემადგენლობა შეიძლება შეცვლილიყო პარტიების მოთხოვნების შესაბამისად. სამხედრო ცენტრის მუშაობის შესახებ საკითხი იდგა შემდეგნაირად: პარიტეტული კომიტეტი სამხედრო ცენტრს ყველაფრით უზრუნველყოფდა, ხოლო სამხედრო ცენტრი შეიმუშავებდა სამოქმედო გეგმას.

...კავშირს ფაღავასთან და იოსებ ცინცაძესთან ვაწარმოებდი ნაპოლეონ კახიანის მეშვეობით, რომლის ბინაშიც ვხვდებოდი ფაღავას ავჭალის ქუჩაზე, ხოლო ცინცაძეს ვიღაც ექიმის ბინაში, ნიკოლოზის ქუჩაზე.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.

1 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 35.



В Ы П И С К А

по показаниям ЦИЦИЕ'А Георгия Николаевича от 16-III-[illegible] г.

До ареста Военный Центр, как таковой еще не сформился. Намечался Военный Центр в следующем составе, со слов ПАГА'А: АНДРОНИКО', Т. ЦУЦУКИДЗЕ, МУСХЕЛО', НАПЕТВАРИДЗЕ присутствовал на обоих собраниях, но должен ли он войти в Военный Центр мне не известно. ПАГА'А, вопрос о нем как то обходил. Я должен был войти в состав Военнаго Центра как представитель ЦК меньшевиков, по членом партии меньшевиков я не являюсь. При намечании состава Военнаго центра ПАГА'А говорил, что состав его может видоизменяться в связи с требованиями других партий. Вопрос о работе Военного Центра стоял в такой плоскости: Паритетный Комитет дает Военному Центру все необходимые данные, Военный Центр разрабатывает их. Работу в красноармейской массе со стороны Комсостава считали недопустимой и организация солдатских ячеек в грузинских частях поделились на политические партии, входящих в паритет. Так ставил вопрос ПАГА'А, но на заседаниях об этом не говорили. Связь с членами ЦК меньшевиков ПАГА'А и Иосифом ЦИЦИАШВИЛЕ я поддерживал через Наполеона КАХИАНИ, который жил легально. С ПАГА'А виделся на квартире КАХИАНИ по Арчильской улице, с Иосифом ЦИЦИАШВИЛЕ виделся в квартире какого-то врача по Николаевской ул. / если идти с Кирочной на правой стороне 2-х этажный дом во 2-м этаже направо/

Верно:


ᲨᲡᲐ არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 35.

ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებები, რომლებშიც მოიხსენიება გ. ხიმშიაშვილი (ხიმშიევი)

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 7/III-1923 წ.: [2]

მახსოვს სხდომა ორჯერ ჩატარდა და ორჯერვე ჩემს ბინაში. პირველი სხდომა იყო თებერვლის პირველ რიცხვებში. მას ესწრებოდნენ: ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი, „ავთანდილი“ (ფაღავა), მე და რ. მუსხელოვი. სხდომის ბოლოს გოგი ხიმშიევიც მოვიდა. როგორც მახსოვს, სხდომის ჩატარების ინიციატორი წულუკიძე გახლდათ, მიზეზი კი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების გამორკვევა იყო ბანდიტიზმის მიმართ. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ სხვა პარტიების წარმომადგენლები სხდომას არ ესწრებოდნენ. სხდომა „ავთანდილმა“ გახსნა. მან ისაუბრა პოლიტიკაზე, საზღვარგარეთ მყოფ პარტიათა მოლოდინზე, შემდეგ კი შემოთავაზებული იქნა ბანდების ორგანიზაციის საკითხისა და იმ პოზიციის განხილვა, რომელიც უნდა დაეკავა სამხედრო ცენტრს მოცემულ მომენტში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ყველა დამსწრე ერთ დასკვნამდე მივიდა - აუცილებელი იყო არსებული გავლენისა და ძალის გამოყენება ბანდების ფორმირებისა და შეიარაღებული გამოსვლის აღსაკვეთად. იგივე თქვა მენშევიკების ცეკას სახელით „ავთანდილმა“. სხდომის ბოლოს შემოსწრებული გოგი ხიმშიევიც იმავე აზრის იყო.

ასლი დედანთან სწორია: **ზალპეტერი**.



ВЫПИСКА

ИЗ ПОКАЗАНИЯ [illegible] ИВАНА ИВАНОВИЧА ОТ 7 МАРТА 1923 года.

Я помню, что заседаний происходили два раза и оба раза на моей квартире. Первое заседание было в первых числах /кажется/ Февраля. Присутствовали на заседании: [illegible], А. АНДРОНИКОВ, "АВТАНДИЛ" /ПАГАВА/ [illegible] и Р. МУСХЕЛОВ. В конце заседания явился ГОГИ ХИМШИЕВ. Заседание было созвано, как мне помнится, по инициативе ЦУЛУКИДЗЕ, ввиду начавшейся тяги /на бандитизм/, с целью выяснения позиции политических партий. Не знаю, по каким причинам, но представители других партий отсутствовали. Заседание началось с информации, сделанной "АВТАНДИЛОМ" о текущем моменте, о чаяниях партии на заграницу, затем предложено было обсудить вопрос об организации банд или о той или иной позиции, которую должен занять военный центр, в данное время. После обмена мнениями, все пришли к одному-необходимо употребить все свое влияние и силу, убеждения с целью приостановить тягу банды и другое вооруженное сопротивление/вплоть создания где бы то ни было/ фронта и т.д./. Тоже самое от лица ЦК СКА Партии меньшевиков сказал и Автандил. В конце заседания явился Гоги, ХИМШИЕВ, который сказал тоже самое.

Выписка верна:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 31.

2 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 31.

ამონარიდი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ჩვენებიდან 6/III-1923 წ.: [3]

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვი, გენერალი. იყო გაერთიანებული სამხედრო ცენტრის წევრი, როგორც მიწვეული სამხედრო სპეციალისტი. ზუსტად მახსოვს, რომ ანდრონიკოვი იყო გაერთიანებული ცენტრის მეორე სხდომაზე, არა უგვიანეს 1922 წლის აგვისტოში, რომელიც ჩემს ბინაში, ღუნიბის ქუჩის 42-ე ნომერში შედგა. სხდომას, მის გარდა, ესწრებოდნენ აფხაზი, იასონ ჯავახიშვილი, ვარდენ წულუკიძე და პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, ქარცივაძე. სხდომაზე მოვისმინეთ ქარცივაძის მოხსენება ევროპის საქართველოსადმი დამოკიდებულების შესახებ და განვიხილეთ მუხრანის საარტილერიო დივიზიის ოფიცრის - ჩრდილელის განცხადება იმ ულტიმატუმის შესახებ, რომელიც ჩოლოყაშვილმა წაუყენა ბატარეას. თუ რა საკითხები განიხილებოდა აღნიშნულის გარდა, არ მახსოვს, რადგან სხდომის ბოლოს მოვედი. ანდრონიკოვს ახალი არაფერი უთქვამს, რამე რომ ყოფილიყო, წულუკიძე მეტყოდა. ცენტრის პირველ სხდომაზე, რომელიც ასევე ჩემს ბინაში შედგა, იყო თუ არა ანდრონიკოვი, არ მახსოვს. ეს იყო ჩოლოყაშვილის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე. განვიხილეთ საკითხი ბანდების ორგანიზაციის შესახებ და უარყოფითი გადაწყვეტილება მივიღეთ. ესწრებოდნენ: წულუკიძე, მუსხელოვი, „ავთანდილი“, შემდეგ მოვიდა გოგი ხიმშიევიც.

რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ანდრონიკოვი შედიოდა ცენტრის შემადგენლობაში როგორც ასისტენტი-სპეციალისტი. იღებდა თუ არა ის ცენტრისგან სპეციალურ დავალებებს, ჩემთვის უცნობია. საკუთარი მრწამსით ანდრონიკოვი, მისი საუბრებიდან გამომდინარე, არც ერთი პარტიის წევრი არ იყო. მე მას ყოველთვის უპარტიო პიროვნებად მივიჩნევდი.

ნარიკელაძე.

3 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 23.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებები, რომლებშიც მოიხსენიება გ. ხიმშიაშვილი (ხიმშიევი):

მოქ. მუსხელოვის ჩვენება [4]

არ მახსოვს, 1921 წლის დასასრულს თუ 1922 წელს, შევიკრიბეთ ნარიკელაძესთან. ესწრებოდნენ: ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, ნარიკელაძე და მე. შემდეგ გოგი ხიმშიევი მოვიდა. ბოლოს, მეგობართან ერთად, გოგიტა ფაღავაც შემოგვიერთდა. ყველა ყურადღებით უსმენდა გ. ფაღავას გამოსვლას. მან განმარტა, რომ შეთანხმება უკვე მიღწეული იყო (თუმცა, მოგვიანებით შევიტყვე, რომ დაპირისპირება კიდევ დიდხანს გრძელდებოდა) და იოსებ ცინცაძის დავალებით, გვთხოვდა დაგვეწყო მოქმედება. ფაღავამ დასძინა, რომ პოლიტიკური ცენტრის მიერ სამხედრო ცენტრში არჩეულნი იყვნენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, ხიმშიევი და მუსხელოვი, ხოლო ნარიკელაძეს ჩაბარებული ჰქონდა „კონტრდაზვერვა“. ანდრონიკოვმა თქვა, რომ ვიდრე მომავალი სამუშაოს გეგმას შევიმუშავებდეთ, აუცილებელია განვსაზღვროთ, რა რეალურ ძალას უნდა დავუპირისპირდეთო. ფაღავამ უპასუხა, ეს ჩვენი საიდუმლოა და როცა საჭირო გახდება, გაგიმხელთ, იქამდე კი განსაზღვრეთ, რა ძალები გჭირდებათ თბილისსა და რეგიონებშიო. ანდრონიკოვი და წულუკიძე ამ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ, კამათი დიდხანს გაგრძელდა. განვიხილეთ გეგმა წითელი არმიის როგორც ნებით, ისე იძულებით ქვეყნის დატოვების შემთხვევაში. ხიმშიევმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო დაზვერვის კარგად დაგეგმვა, რაც ნარიკელაძისთვის იყო მინდობილი. შეხვედრის ბოლოს, ფაღავამ სამხედრო ცენტრს განუცხადა, რომ აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად დიდი თანხაა გამოყოფილი და სამხედრო ცენტრის წევრებისთვის ხელფასიც კი ყოფილა დანიშნული. შეხვედრა ამით დასრულდა. შეხვედრის წევრებმა დაშლა რომ დაიწყეს, გამოვაცხადე, რომ სტრიხარისგან ყოველდღიურ სადაზვერვო ცნობებს ვიღებდი თურქეთსა და სპარსეთში არსებული ვითარების შესახებ და თუ დააინტერესებდათ, შევძლებდი ნარიკელაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შევსებას. რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი ხიმშიევს, რომელმაც იოსებ ცინცაძესთან წამიყვანა. იმ დროისთვის აღწერილ მოვლენებს აღარ ვგულშემატკივრობდი. ვგრძნობდი, რა გაუგებრობა იყო მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის, ამიტომ წარმატებული გამოსავლის აღარ მწამდა, თუმცა შესაძლებელ სამუშაოზე უარი არ მითქვამს, რათა სამშობლოს მოღალატედ არ შევერაცხე. ცინცაძესთან, რომელთანაც პირველად ვიყავი, სამხედრო ცენტრის შესახებ მიმდინარეობდა საუბარი. ასევე იმ ორგანიზაციულ საკითხებსაც განიხილავდნენ, რომლებიც ბოლო შეხვედრის დროს იყო წამოჭრილი. ამგვარად გავიცანი ცინცაძე, რომელსაც ვიცნობდი, თუმცა პირადად არა, მენშევიკურ არმიაში, კერძოდ კი, ამ უკანასკნელის გვარდიაში სამსახურის დროს, სადაც, როგორც ჩემთვის იყო ცნობილი, ის განსაკუთრებულ როლს არ ასრულებდა. ხიმშიევმა და ფაღავამ მის, როგორც სახელმწიფო მოხელის მიმართ, პატივისცემა შთამაგონეს. რამდენიმე დღეში ხიმშიევისგან შევიტყვე, რომ აღნიაშვილი მას ჩოლოყაშვილთან აგზავნიდა, რათა ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლებასთან შემოერიგებინა. რჩევა მკითხა და იმ აზრამდე მივედით, რომ აუცილებელი იყო ჩოლოყაშვილის დარწმუნება. ხიმშიევი გამგზავრებას აპირებდა, როდესაც დააპატიმრეს. ეს მოვლენა ჩემთვის დღემდე ამოუხსნელ გამოცანად რჩება.

...არმიის მეთაურის 27 აგვისტოს ბრძანებიდან შევიტყვე, რომ ჩოლოყაშვილის ბანდა დუშეთის რაიონში აქტიურობდა და მოძრაობა სერიოზულ პოლიტიკურ ელფერს იძენდა. ვიფიქრე, რომ ეს ვაჩნაძის პროექტი იყო, რომელსაც ჩოლოყაშვილის გამოსვლის თარიღი შეეცვალა. მე და დივიზიის მეთაურმა ლექვთაძემ დუშეთში გამგზავრებისა და აჯანყების ჩახშობის დავალება

4 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 1. გვ. 19-20; ტ. 2. გვ. 71-76.

მივიღეთ. იმ შეხედულების გათვალისწინებით, რაც ვაჩნაძეს ჩემზე გააჩნდა და იმის შიშით, რომ შავ დაფაზე არ მოვხვედრილიყავი, როგორც სამშობლოს მოღალატე, ვაჩნაძესთან წავედი, თუმცა დუშეთში გამგზავრებული დამხვდა. გამგზავრების წინ საყიდლებზე გავედი, ქუჩაში ექიმი არდიშვილი შემხვდა, რომელსაც სატვირთო მანქანების მდგომარეობის შესახებ ვკითხე და ვუთხარი, რომ დუშეთში აჯანყების ჩასახშობად მივდიოდი. თბილისიდან ღამის 12 საათზე გავედი და გზაში ვიფიქრე, რომ სასურველი იქნებოდა იოსებ ცინცაძის ნახვა და მისი აზრის გაგება. სამხედრო ცენტრის წევრები არ იყვნენ - ანდრონიკოვი სურამში იყო, ხოლო წულუკიძე და ხიმშიევი კი დაეპატიმრებინათ.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვი.

ამონარიდი როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენებიდან 25/IV-1923 წ.: [5]

ვ. წულუკიძე მენშევიკებთან 1921 წლიდან, სამხედრო ორგანიზაციის ხაზით მუშაობს. სამხედრო ცენტრი ფუნქციონირებს 1922 წლის ივნის-ივლისიდან. მისი პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: ანდრონიკოვი, წულუკიძე, ხიმშიევი, იოსებ გედევანოვი და მე. 1922 წლის ოქტომბერში გავიგე, რომ სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში ცვლილება იყო - გავიდა ხიმშიევი - კვლავ შევიდა კონსტანტინე აფხაზი.

სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში ჩემი კანდიდატურა ეროვნულ-დემოკრატების მიერ იყო წამოყენებული, რადგან მენშევიკებს მოგვიანებით დავუახლოვდი, თუმცა 1922 წლის ივნისის შეხვედრაზე გიორგი ხიმშიევი საუბრობდა, რომ ჩემი კანდიდატურა მენშევიკების მიერ იყო წამოყენებული.

მაზნიევის კანდიდატურა სამხედრო ცენტრში წამოაყენეს /როგორც იმ სხდომაზე გ. ფაღავა ამბობდა/ ეროვნულ-დემოკრატებმა, თუმცა მისი საკითხი ციხიდან გათავისუფლებამდე გადაიდო.

1922 წლის აგვისტოში დავით ვაჩნაძისგან შევიტყვე, რომ ის უგზავნიდა განკარგულებას ჩოლოყაევს 27 სექტემბერს გამოსვლის თაობაზე და ამის შესახებ ვუამბე იოსებ ცინცაძეს, რომელსაც აღნიშნულის პარიტეტულ კომიტეტში გაპროტესტება ვთხოვე. ცინცაძეს ვთხოვე არ დაესახელებინა ჩემი გვარი, რათა არ გამერთულებინა ურთიერთობა ეროვნულ-დემოკრატებთან, მაგრამ მან მაინც მთხოვა ჩემი გვარის დასახელების უფლება, რაზეც დავთანხმდი. ვიცი, რომ ეს საკითხი პარიტეტულ კომიტეტში დაისვა. ეროვნულ-დემოკრატებთან შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი. თუ რა გადაწყვეტილება მიიღო პარიტეტულმა კომიტეტმა აღნიშნულთან დაკავშირებით, არ ვიცი. შეიძლება დავუშვა, რომ დავით ვაჩნაძემ დამასახელა მეტსახელით „Myxa“ ისე, რომ წინასწარ ამის შესახებ არ გამაფრთხილა.

1921 წელს ხიმშიევი მენშევიკებთან მუშაობდა, დ. ვაჩნაძე მას მენშევიკების ჯაშუშს უწოდებდა და მისგან თავის შორს დაჭერას მთხოვდა.

დაკითხა **აშუკინმა**.

5 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 158.

158

П О К А З А Н И Я

МУСХЕЛОВА [illegible]ОМА ИЛЬИЧА ОТ 25 АПРЕЛЯ 1923 года.

В.ЦУЛУКИДЗЕ работает с меньшевиками с 1921 г. по линии военной организации. Военный центр существует с июня-июля 1922 г. - первоначальный его состав: АНДРОНИКОВ, ЦУЛУКИДЗЕ, ХИМШИАШВИЛИ, ГЕДЕВАНОВ Иосиф и я. В октябре 1922 г. я узнал, что в личном составе военного центра произошли изменения - выбыл ХИМШИАШВИЛИ - вновь включен АБХАЗИ Константин. Моя кандидатура в состав военного центра была выдвинута национал-демократами поскольку с меньшевиками я сошелся позже. Хотя Георгий ХИМШИАШВИЛИ и говорил на заседании в июня 1922 г., что моя кандидатура выдвинута меньшевиками. Кандидатура МАЗНИАШВИ выставлялась [как говорил на этом заседании Г.ПАРАВА] в Военный Центр национал-демократами, но вопрос о нем был отложен до его выхода из тюрьмы. В августе м-це 1922 г. узнав от Давида ВАЧНАДЗЕ, что он отдает распоряжение ЧХЕИДЗЕ выступить 27 сентября - я поставил в известность об этом Иосифа ЦИНЦАДЗЕ, которого я просил протестовать против этого в Паритетном Комитете. Я просил ЦИНЦАДЗЕ не называть мою фамилию, чтобы не обострять отношений с национал-демократами, но ЦИНЦАДЗЕ все-же просил разрешения назвать мою фамилию, на что я согласился. Я знаю, что вопрос этот в Паритетном Комитете был поставлен. Была ругань с национал-демократами. Какие решения были приняты по этому поводу Паритетным Комитетом мне не известно. Я допускаю, что Давид ВАЧНАДЗЕ мог прийти мне позвонить "мухя" не предупредив меня об этом. ХИМШИАШВИЛИ в 1921 г. работал у меньшевиков - Д.ВАЧНАДЗЕ называл его меньшевитским шпионом и предлагал беречься его.

Протокол допроса записан с моих слов - протокол правилен, что и удостоверяю г.МУСХЕЛОВ.

ДОПРОСИЛ НАЧ КРО АШУКИН.

Верно:

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 158.

როსტომ ილიას ძე მუსხელოვის ჩვენება 26/IV-1923 წ.: [6]

დღეს საღამოს შეცდომით ვაჩვენე ხიმშიევის შესახებ, თითქოსდა ის, ვაჩნაძის გადმოცემით, მენშევიკებთან მუშაობს და მათ ჯაშუშად ითვლება და რომ აუცილებელია მისგან თავის შორს დაჭერა. დავით ვაჩნაძის ეს სიტყვები ხიშიევს კი არა, ნარიკელაძეს ეხება.

ხიმშიევის მუშაობა ჩემთვის ცნობილი გახდა ნარიკელაძესთან ჩატარებული შეხვედრის დროს. ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

რ. მუსხელოვი.

6 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23484. ტ. 2. გვ. 152-153.

ვარდენ წულუკიძის ჩვენებები, რომლებშიც მოიხსენიება გ. ხიმშიაშვილი (ხიმშიევი):

ამონარიდი ვარდენ წულუკიძის ჩვენებიდან 24/IV-1923 წ.: [7]

1921 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში, როგორც ეს წინა ჩვენებებში აღვნიშნე, ჩემთან მოვიდა ნათესავი, აწ გარდაცვლილი დავით მიქელაძე, რომელიც ნაკლებად აქტიური ეროვნულ-დემოკრატი იყო. ჩემში პატრიოტული გრძნობების გაღვივებითა და საქართველოში არსებული მძიმე ვითარების აღნიშვნით, შემომთავაზა მონაწილეობა მიმეღო შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაში. წინადადება მესიამოვნა, ვინაიდან ის ეროვნულ-დემოკრატებისგან მოდიოდა, ამიტომ მაშინვე ვუპასუხე, რომ მუშაობაში მონაწილეობას მივიღებდი იმ პირობით, თუ ორგანიზაციის სათავეში ყველა პარტიის წარმომადგენელი იქნებოდა, რადგან ვერც ერთ პარტიასთან და ვერც ერთი პარტიის ინტერესებისთვის ვერ ვიმუშავებდი. იგივე განვუცხადე ეროვნულ-დემოკრატებს - იასონ ჯავახიშვილსა და დავით ვაჩნაძეს. ვიცი, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა თანამშრომლობა შესთავაზეს ალექსანდრე ანდრონიკაშვილსა და როსტომ მუსხელოვს, რომელთაც იგივე სამუშაო პირობა დაასახელეს, რაც მე. ივანე ნარიკელაძემ კონტრდაზვერვითი სამუშაო ჯერ კიდევ სამხედრო ცენტრის შექმნამდე დაიწყო, თუ არ ვცდები, ეს შეთავაზება მან მენშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტისგან მიიღო. ცენტრის შექმნამდე ნარიკელაძე მეთანხმებოდა, რომ ერთ პარტიასთან მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა, ამავე შეხედულებით მუშაობდა ცენტრის შექმნის შემდეგაც. ეჭვგარეშეა, რომ მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს ჰქონდათ საკუთარი ორგანიზაცია, თითოეულ მათგანს ჰყავდა მომხრეები ოფიცერთა შორის, თუმცა კონკრეტულად რომელი ოფიცრები იყვნენ, არ ვიცი. შემიძლია დავასახელო მხოლოდ გოგი ხიმშიევი, რომელიც მენშევიკებთან მუშაობდა. არც ერთი ოფიცრისთვის არასდროს მიკითხავს, რომელ პარტიასთან თანამშრომლობდნენ, რადგან ძველი ჩვეულების მიხედვით, ოფიცრები აპოლიტიკურ მოსამსახურეებად მიმაჩნდა.

7 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22313. ტ.1. გვ. 36-39.

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვის ჩვენებები, რომლებშიც მოიხსენიება გ. ხიმშიაშვილი (ხიმშიევი):

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის ჩვენება 7/III-1923 წ.: [8]

1921 წლის ბოლოს, ზუსტად დღე არ მახოვს, შედგა შეხვედრა ნარიკელაძის ბინაში, რომელსაც ვესწრებოდით: მე, წულუკიძე, ხიმშიევი და მუსხლოვი და როგორც მახსოვს, თავმჯდომარეც. ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ჯავახოვი, ფედერალისტებიდან და სოც-დემოკრატებიდან არავინ არ იყო. გამომრჩა მეხსენებინა, რომ მანამდე მუსხელოვთან სტუმრობისას ჯავახოვმა აღნიშნა, რომ მათი პარტია გვენდობოდა მე, მუსხელოვს და მაზნიევს (რომელიც ამ დროისთვის დაკავებული იყო და შეფარდებული ჰქონდა 5 წელი). ამ შეხვედრაზე პარტიათა შორის შეუთანხმებლობის გამო კვლავ ვერ მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ იქნა შეთავაზებული, რომ პარტიებს მისცემოდათ დრო მოეგროვებინათ, თუ რა მონაცემებს ფლობდნენ ისინი, კერძოდ, რა რაოდენობის ცოცხალი ძალა, იარაღი და ფულადი თანხები ჰქონდათ, რადგან ამ მონაცემების გარეშე ცენტრის მუშაობაზე საუბარი გამორიცხული იყო.

…1922 წლის 20 მაისს სამხედრო საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დავალებით მივლინებული ვიყავი ახალციხეში, სადაც უნდა გამომეძიებინა გაუგებრობა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტსა და მთავარ სამხედრო საინჟინრო სამმართველოს შორის. ერთი თვის შემდეგ რომ დავბრუნდი, წულუკიძე, გედევანოვი, ხიმშიევი და სხვები დაპატიმრებულები იყვნენ, საქმიანობა თითქმის არ ხორციელდებოდა. ეს ინფორმაცია ნარიკელაძისგან გავიგე, რომელიც ქუჩაში შემხვდა. ამის შემდეგ გავემგზავრე სურამში, მივლინების შესახებ ანგარიშის მოსახსენებლად და 15 სექტემბრამდე მომიწია იქ გაჩერება…

...ოქტომბერში მე ვიყავი სიღნაღში ჩემს დებთან სტუმრად. წულუკიძეს ჰქონდა კავშირი ჩემთან ნარიკელაძის მეშვეობით. ინფორმაციებს ვიღებდი მხოლოდ წულუკიძის, მუსხელოვისა და ნარიკელაძისგან. სხვა პარტიებიც მათი მეშვეობით უნდა დამკავშირებოდნენ. თვითნებური კავშირები სამხედრო ნაწილებთან მე არასოდეს მქონია.

ერთმანეთთან კავშირისთვის ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ჯავახოვი, მენშევიკებიდან - ხიმშიევი, მისი დაპატიმრების შემდეგ ვის ევალებოდა ეს საქმე, ჩემთვის ცნობილი არ არის...

ალექსანდრე ანდრონიკოვი.
1923 წლის 7 მარტი.

ასლი დედანთან სწორია
დაკითხა: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა **აშუკინმა**.

8 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 36-37.

ამონარიდები ა. ს. ანდრონიკოვის, ი. ი. ნარიკელიძისა და რ. ი. მუსხელოვის ჩვენებებიდან 27/IV-1923 წ.: [9]

ინტერპარტიული სამხედრო ცენტრი ჩამოყალიბდა 1922 წლის მაისში. მისი შემადგენლობა გამოცხადებულ იქნა გიორგი ფაღავას მიერ პირველ სხდომაზე, რომელიც შედგა ნარიკელაძის ბინაში. პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ: ალექსანდრე ანდრონიკოვი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელოვი, იოსებ გედევანოვი და გიორგი ხიმშიაშვილი. 1922 წლის სექტემბერში, შემადგენლობას მიემატა კონსტანტინე აფხაზი. პირველ შეკრებას ესწრებოდნენ: ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკოვი, როსტომ მუსხელოვი, გიორგი ხიმშიევი, გიორგი ფაღავა და ივანე ნარიკელაძე. სამხედრო ცენტრი შეიქმნა მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად, რათა მომხდარიყო რუსული არმიის საქართველოდან ნებაყოფლობით, ანდა გარკვეული წნეხის გამოყენებით გასვლა. თავდაპირველად საკითხი ასე იყო დასმული.

ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების მომენტში, სამხედრო ცენტრს უნდა ეხელმძღვანელა აჯანყებისთვის. აჯანყებაში მოიაზრებოდა ერთდროული გამოსვლები კავკასიის მთელ ტერიტორიაზე, რასაც უნდა გამოეწვია რუსეთის შიდა არეულობა, ანდა რუსეთსა და სხვა ქვეყნას შორის ომი. კონტრდაზვერვის აპარატი, ნარიკელაძის ხელმძღვანელობით, მუშაობდა ინტერპარტიული კომიტეტისთვის.

სამხედრო ცენტრის წევრები:
ანდრონიკოვი.
რ. მუსხელოვი.

ინტერპარტიული კომიტეტის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი: **ნარიკელაძე**.

ასლი დედანთან სწორია.

9 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 77.

П О К А З А Н И Я АНДРОНИКОВА АЛЕКСАНДРА СЕМЕНОВИЧА

НАРИКЕЛАДЗЕ ИВАНА ИВАНОВИЧА

МУСХЕЛОВА РОСТОМА ИЛЬИЧА

27 апреля 1943 года.

Интерпартийный Военный Центр образовался в мае м-це 1922 года. Состав Военного Центра об"явлен Георгием ПАГАВА на первом заседании на квартире НАРИКЕЛАДЗЕ в мае м-це 1922 г. Первоначальный состав Военного Центра таков: АНДРОНИКОВ Александр, ЦУЛУКИДЗЕ Вардэн, МУСХЕЛОВ Ростом ГЕДЕВАНОВ Иосиф и Георгий ХИМШИЕВ. В сентябре м-це 1923 года в состав Военного Центра вошел Константин АБХАЗИ. На первом заседании присутствовали: Вардэн ЦУЛУКИДЗЕ, АНДРОНИКОВ Александр, МУСХЕЛОВ Ростом ХИМШИЕВ Георгий, ПАГАВА Георгий, НАРИКЕЛАДЗЕ Иван. Военный Центр создан для проведения подготовительных работ по организации и учету сил на случай добровольного ухода русских войск или под давлением внешних сил, - такова первоначальная постановка вопроса.

Под"итоживая все заявлем, что в нужный момент Военный Центр должен был руководить восстанием. Восстание мыслилось как единовременное на всем Кавказе при условии внутренних осложнений в России или в случае войны России с другой державой. Контр-разведывательный аппарат под руководством НАРИКЕЛАДЗЕ работал при Интерпартийном Комитете.

ЧЛЕНЫ ВОЕННОГО ЦЕНТРА: АНДРОНИКОВ

Р.МУСХЕЛОВ.

ЗАВЕДУЮЩИЙ КОНТР-РАЗВЕДКОЙ ПРИ
ИНТЕРПАРТИЙНОМ КОМИТЕТЕ НАРИКЕЛАДЗЕ.

Вопросы!

В е р н о :

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 77.

ელიზბარ გულისოვის საქმეში არსებული თუხარელის ჩვენება, რომელშიც მოიხსენიება გ. ხიმშიაშვილი (ხიმშიევი):

ამონარიდი თუხარელის ჩვენებიდან: [10]

ივნისის პირველ დღეებში, დაახლოებით 7-8 რიცხვებში, ჩემთან მოვიდა კავალერიის ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკი შალიკოვი და მითხრა, რომ ჩემთვის სათქმელი ჰქონდა. მთხოვა, 10 საათზე შევსულიყავი კამერაში, სადაც ეროვნულ-დემოკრატები ისხდნენ, კამერის ნომერი 22 ან 23 იყო. იქ იმყოფებოდნენ როსტა ივანიცკი, ივანე ლორთქიფანიძე, სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენელი ვარდოიანცი, შენგელია და კიდევ ორი ჩემთვის უცნობი მენშევიკი. მათ გარდა იყვნენ პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი და ვიცე-პოლკოვნიკები: ჟურული, შალიკოვი და გულისოვი. ინტერნაციონალური ჯგუფის სახელით, საუბარი ლორთქიფანიძემ დაიწყო. მან მიმოიხილა საერთაშორისო მდგომარეობა, აღნიშნა, რომ ყოფილი მენშევიკების მთავრობის მუშაობის შედეგად, საქართველოს მდგომარეობა კარგადაა ცნობილი და რომ საჭირო იყო დავლოდებოდით საქართველოს გათავისუფლებას წითელი არმიისგან. ახალ მთავრობაში ხელისუფლება ისე იქნებოდა გადანაწილებული, რომ მმართველობაში ყველა პარტია დაიშვებოდა. აუცილებელი იქნებოდა კარგი ორგანიზაცია, რათა ქვეყნის შიგნით არ დამყარებულიყო ანარქია, რისთვისაც აუცილებელი იქნება სამხედრო არალეგალური შტაბების მოწყობა, რომლებშიც მოხალისეები მოიყრიან თავს. დასასრულს მან აღნიშნა, რომ ის გენერლები, რომელთა იმედიც ჰქონდათ - გედევანოვი, მაზნიევი და წულუკიძე - მათ მხარს არ უჭერენ და ამიტომ გადაწყვიტეს ახალგაზრდა ოფიცრებისთვის მიემართათ.

10 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23509. ტ.1. გვ. 17.


აგენტურული ცნობა იასონ კერესელიძის საქმიდან, რომელშიც საუბარია გ. ხიმშიევზე:

აგენტურული ცნობა

სანდო პირი „ЛЯЛЯ“.[11]

თქვენს დავალებაზე კერესელიძესთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მასთან ამ დრომდე არ ყოფილა კავშირის დამყარების შესაძლებლობა, რამდენადაც იგი იმყოფებოდა სხვა პატიმრებთან ერთად, მათ შორის იყო გუნკოც, რომელმაც ჩემზე ზედმეტები ილაპარაკა, გამცა. ასე რომ, 15 რიცხვიდან იგი სხვა განყოფილებაშია გადაყვანილი, კერესელიძე რჩება მარტო და ვიმედოვნებ, ამ დროს იქნება შესაძლებელი მასთან კავშირის დამყარება. დამატებით გატყობინებთ, რომ ის ბევრ პოლიტპატიმარს იცნობს, ისეთებს, როგორებიც არიან მაზნიევი, ხიმშიევი, ლორთქიფანიძე და სხვა.

ინფორმატორი: ЛЯЛЯ.



130

О т в е т на Ваше задание относительно КЕРЕСЕЛИДЗЕ сообщаю, с ним до сих пор не было возможности поддержать связь, так как он до сих пор находился вместе с другими заключенными в том числе и с Гунько , который и наговорил на меня: с 15 же числа Гунько переведен в другое отделение и КЕРЕСЕЛИДЗЕ остается один надеюсь поддержать с ним связь; вдобавок сообщаю,что он знаком со многими политическими заключенными | с крипными| как-то с МАЗНИЕВЫМ, ХИМШИЕВЫМ, ЛОРДКИПАНИДЗЕ и др.

Осведом Л Я Л Я

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ.1. გვ. 130.

11 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N22319. ტ.1. გვ. 130.

დადგენილება[12]

(დასკვნითი)

,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული სამხედრო ცენტრის საქმეზე

1) ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვი, 51 წლის, უმაღლესი განათლების მქონე, ყოფილი თავადი, გენერალური შტაბის გენერალი, საქართველოს შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო;
2) ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, 57 წლის, სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ყოფილი აზნაური, გენერალი, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოსამსახურე, უპარტიო;
3) გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევი, 51 წლის, ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ყოფილი აზნაური, პოლკოვნიკი, საქართველოს გაერთიანებული ბრიგადის სასწავლო-საკადრო ბატალიონის მეთაური, უპარტიო;
4) როსტომ ილიას ძე მუსხელოვი, 35 წლის, არასრული უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე, ყოფილი აზნაური, ყოფილი პოლკოვნიკი, საქართველოს გაერთიანებული შტაბის მეთაური, უპარტიო;
5) იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანოვი, 50 წლის, უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე, ყოფილი აზნაური, ყოფილი გენერალი, მისდევს სოფლის მეურნეობას, საქართველოს ფედერალისტური პარტიის წევრი;
6) კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, 55 წლის, უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე, ყოფილი თავადი, ყოფილი პოლკოვნიკი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას თავმჯდომარე, არსად არ მსახურობს.

გამოძიებითა და ბრალდებულთა მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ:

1922 წლის გაზაფხულის დასაწყისში, ხანგრძლივი ურთიერთბრძოლის შემდეგ, საქართველოს ხუთი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია - მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები (სხიველები) და სოციალ-რევოლუციონერები შეთანხმდნენ, შეეწყვიტათ ურთიერთდაპირისპირება და შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველი ერთიანი ფრონტი. შეთანხმების შედეგად, რომელსაც ხელი მოაწერეს ყველა ჩამოთვლილი პარტიების წარმომადგენლებმა, მოხდა პარიტეტული, იგივე ინტერპარტიული და იგივე „საქართველოს დამოუკიდებლობის“ კომიტეტის შექმნა. დამოუკიდებლობის კომიტეტმა მოქმედება დაუყოვნებლივ დაიწყო, სხვა კომიტეტების - „წითელი ჯვრის“, საფინანსო და სარედაქციო კოლეგიის მოქმედების პარალელურად; შექმნა სამხედრო ცენტრი, რომელიც იმავე ნიშნით იყო შექმნილი, როგორც დამოუკიდებლობის კომიტეტი. დასაწყისშივე სამუშაოებს აკონტროლებდა მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების პარტიები. 1922 წლის თებერვალსა და მარტში, ყოფილ პოლკოვნიკ ნარიკელაძის მიერ შეკრებილი იქნა პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ სამხედრო ცენტრში წარდგენილი პირები. სხდომის თავმჯდომარე იყო მენშევიკების ცკ-ს თავმჯდომარე გიორგი ფაღავა, რომელმაც სხდომაზე განაცხადა, რომ გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების

12 შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ. 1. გვ. 114-122.

წარმომადგენლების მიერ არჩეულის სამხედრო ცენტრი ვარდენ წულუკიძის (მენშევიკებისგან), როსტომ მუსხელოვის (ეროვნულ-დემოკრატებისგან), ალექსანდრე ანდრონიკოვის (ეროვნულ-დემოკრატების), გიორგი ხიმშიაშვილის (მენშევიკებისგან) და იოსებ გედევანოვის (მემარჯვენე ფედერალისტების) შემადგენლობით. მან დღის წესრიგში დააყენა საკითხი სამხედრო ცენტრის მუშაობის შესახებ და გააკეთა მოკლე განმარტება იმის თაობაზე, რომ პარტიის განკარგულებაში არის ადამიანური და მატერიალური რესურსი. სამხედრო ცენტრს მან სთხოვა დაეზუსტებინა, რა ინფორმაცია ესაჭიროებოდა ამ უკანასკნელს საერთო გამოსვლის გეგმის შესადგენად. დასმული საკითხების განხილვის შემდეგ, სამხედრო ცენტრმა დაადგინა:

1) აჯანყება სრულიად კავკასიაში ერთდროულად შესაძლებელია, თუ იქნება შიდა გართულებები რუსეთში, ან რუსეთს ექნება ომი რომელიმე უცხოურ სახელმწიფოსთან. აჯანყება მხოლოდ საქართველოში განწირულია;
2) სამხედრო ცენტრის ამოცანა იყო: აღერიცხა მონაწილეთა და იარაღის რაოდენობა და გამოსვლის შემთხვევაში, ეხელმძღვანელა ოპერაციისთვის;
3) სამხედრო ცენტრი ეწინააღმდეგებოდა ცალკეულ ბანდიტურ გამოსვლებს;
4) აჯანყების დრო დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამხედრო ცენტრთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს;
5) გამოთქმული იყო სურვილი ქართულ არმიასთან თანამშრომლობის შესახებ;
6) გამოთქმული იყო სურვილი სამხედრო ცენტრის წევრებისთვის რეგულარული ანაზღაურების დანიშვნის შესახებ თვიური საარსებო მინიმუმის ოდენობით;
7) განაწილებული იქნა მოვალეობები სამხედრო ცენტრის წევრებს შორის: ანდრონიკოვი - თავმჯდომარე, წულუკიძე - კავშირი დამოუკიდებლობის კომიტეტთან, მუსხელოვი - შტაბის უფროსი;
8) სამხედრო ცენტრის წევრს, მუსხელოვს დაევალა მოემზადებინა ცნობა ოფიცრებისა და ჯარისკაცების რაოდენობის შესახებ;
9) მენშევიკების ცეკას დაზვერვის წარმომადგენელს, ნარიკელაძეს დაევალა, მიეწოდებინა ცენტრისთვის სამხედრო შინაარსის ცნობები. მუსხელოვი დაპირებული იყო სამხედრო ცენტრისთვის ასევე მიეწოდებინა სამხედრო შინაარსის ცნობები, რომლებსაც ის წითელი არმიის შტაბის უფროსის თანაშემწის სტრიხარისგან იღებდა.

პირველივე სხდომაზე გამოირკვა, რომ მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, პარტიები ერთმანეთს არ ენდობიან და არ იძლევიან ცნობებს საკუთარ განკარგულებაში არსებული ძალების შესახებ. ამ გარემოებამ გამოიწვია მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების მიერ არა შეთანხმებული, არამედ ინდივიდუალური მუშაობის გაჩაღება, რომელსაც პარტიების ცენტრალური კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ. ეს ორი პარტია, როგორც ყველაზე ძლიერი, სამხედრო ცენტრში უმრავლესობის მოპოვებას ცდილობდა. სამხედრო ცენტრის პირველი სხდომიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, მენშევიკებმა გადაიბირეს როსტომ მუსხელოვი, რათა მას სამხედრო ნაწილებში ემუშავა. თუმცა მუსხელოვს არ შეუწყვეტია კავშირი ეროვნულ-დემოკრატებთანაც. პარტიების განკარგულებაში არსებული ძალების დაახლოებითი მონაცემები ცნობილი იყო სამხედრო ცენტრის ცალკეული წევრებისთვის და მათთვის, ვისაც ახლო კავშირი ჰქონდა ცენტრის მუშაობასთან (ნარიკელაძე). ანდრონიკოვს, ვიდრე იგი სამხედრო ცენტრის წევრი გახდებოდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა - იასონ ჯავახიშვილმა და დავით ვაჩნაძემ აცნობეს, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავდა დიდი რაოდენობით მომხრეები კახეთში - 5 000-დან 6 000-მდე. კონტრდაზვერვის ხელმძღვანელ ნარიკელაძეს მენშევიკმა

სირბილაძემ აცნობა, რომ მენშევიკების პარტიას გურიაში ჰყავდა დაახლოებით 1 000 ადამიანი, სამეგრელოში - 300-400, ქუთაისის მაზრაში - 200, რაჭის მაზრაში - 400-500, კახეთში - 600, ჯამში - 4 000-5 000 მომხრე. მუშაობის პირველ პერიოდში - 1922 წლის გაზაფხულზე - სამხედრო ცენტრმა ვერ შეძლო ცალკეული პარტიების მიერ გაწეული სამუშაოების ხელმძღვანელობა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტსა და სამხედრო ცენტრს უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდათ ბანდიტური გამოსვლების მიმართ, ეს უკანასკნელები კვლავ გრძელდებოდა. მონაცემები არსებული ძალებისა და იარაღის შესახებ იკრიბებოდა არა სამხედრო ცენტრში, არამედ ცალკეული პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში. გამართულად მუშაობდა მხოლოდ კონტრდაზვერვის აპარატი, რომელიც, ვ. წულუკიძის სახით, რეგულარულად ამარაგებდა სამხედრო ცენტრს საჭირო ინფორმაციით: გაერთიანებული წითელი არმიის დისლოკაციის, რაოდენობისა და ბანდიტური დაჯგუფებების გადაადგილების შესახებ. 1922 წლის აპრილში დააპატიმრეს ვ. წულუკიძე და ი. გედევანოვი, მაისში კი - ხიმშიევი, რომელიც „ჩოლოყაშვილის შემოსარიგებლად“ უნდა გამგზავრებულიყო. 20 მაისს ანდრონიკოვი სურამში გაემგზავრა. შესაბამისად, სამხედრო ცენტრის მუშაობა შეჩერდა. თავისუფლებაზე იყვნენ მუსხელოვი და კონტრდაზვერვის მეთაური ნარიკელაძე. მაისის პირველ რიცხვებში გაათავისუფლეს გედევანოვი, ხოლო 3 ივნისს კი - წულუკიძე. სამხედრო ცენტრი ანახლებს მუშაობას, ამზადებს ჩოლოყაშვილის გამოსვლას. ცენტრის თანამშრომლების ჩვენებებში ეს პერიოდი მეტად სუსტადაა აღწერილი. საქმეში არსებული სამხედრო ცენტრის შტაბის უფროსის, მუსხელოვის ჩვენებებიდან იკვეთება შემდეგი: 1922 წლის აგვისტოში დ. ვაჩნაძე, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი იყო და სამხედრო საქმიანობას ეწეოდა, მუსხელოვთან შეხვედრის დროს კახეთში გამოსვლის მოწყობის შესახებ საუბრობს. მან მუსხელოვს ოპერატიული გეგმის შედგენა სთხოვა და დასძინა, რომ ჩოლოყაშვილს გაეგზავნება ბრძანება 27 სექტემბერს აჯანყების ორგანიზების შესახებ. 1922 წლის აგვისტოში დავით ვაჩნაძემ ჩოლოყაშვილს გაუგზავნა წერილი, რომელიც „სამფერას“ ფსევდონიმით იყო ხელმოწერილი. წერილში ეწერა, რომ: 1. შემოდგომით ანტანტის მიერ მზადდებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერვენცია, 2. საზღვარგარეთ შეკვეთილი იყო თანხა და იარაღი, 3. ძველი მთავრობა პარიზიდან მოუწოდებდა აქტიური ქმედებებისკენ, 4. შექმნილი იყო ერთიანი ცენტრი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ : მუსხელოვი და ი. ჯავახოვი - დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი და ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრი, 5. წერილთან ერთად იგზავნებოდა საქართველოს პარტიზანული ჯარის სამხედრო-ოპერატიული შტაბის ბრძანება. ეს შტაბი ინტერპარტიული იყო და მიიჩნევა დამოუკიდებლობის კომიტეტის მთავარ სამხედრო შტაბად, 6. რეკომენდებულია, არ იყოს კავშირი ვარდენ წულუკიძესთან, რომელიც აქტიური მოქმედებების წინააღმდეგია.

წერილთან ერთად, გაიგზავნა ბრძანება №1 – „ქართველ პარტიზანთა მეთაურს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს“, რომელსაც „ოკუპანტებისგან საქართველოს გათავისუფლების დროდ“ დაენიშნა პერიოდი - 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. ამავე ბრძანებით, ჩოლოყაშვილს ევალებოდა 15 სექტემბრისთვის წარმოედგინა ცნობები პარტიზანთა, შაშხანების, ტყვიამფრქვევების, ქვემეხებისა და ვაზნების საერთო რაოდენობის შესახებ; უნდა გაერკვია, რა დახმარების აღმოჩენა შეეძლოთ ლეკებსა და ყაზახელ თათრებს; ასევე უნდა წარმოედგინა აჯანყებულთა სურსათ-სანოვაგის გეგმა. ბრძანებას ხელს აწერდა „სამფერი“ (დ. ვაჩნაძე), „მთავარი პარტიზანული შტაბის დავალებით“. ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრის, მ. ჯავახოვის ჩვენების თანახმად, იასონ ჯავახოვმა ჩოლოყაშვილს გაუგზავნა 300-400 ლირა, რომელიც დამოუკიდებლობის კომიტეტისგან ჰქონდა მიღებული. სამხედრო ცენტრის წევრის, ვ. წულუკიძის ჩვენების მიხედვით, აღნიშნული ბრძანების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებლობის კომიტეტის ეროვნულ-დემოკრატმა წევრმა და მათი პარტიის ცეკას ფაქტობრივმა მმართველმა, იასონ ჯავახოვმა. დოკუმენტებსა და ჩვენებებიდან მოყვანილი ამონაწერები ადასტურებს, რომ ჩოლოყაშვილის გამოსვლა მოხდა

დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაწყვეტილებით და იმართებოდა სამხედრო ცენტრის მიერ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მეშვეობით, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჩოლოყაშვილი წარმოადგენს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირმშოს. ბრძანება გამოსვლის შესახებ ჩოლოყაშვილამდე დროულად არ მისულა, რაც გამოწვეული იყო ამ უკანასკნელის მოულოდნელი გამოჩენით დუშეთის ჩრდილოეთით 1922 წლის 2 აგვისტოს. სავარაუდოდ, ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება მიიღო წითელი არმიის ნაწილებთან ბრძოლის დროს, შემდეგ კი ხევსურეთიდან გავიდა პანკისისა და ალავერდის გავლით. ჩოლოყაშვილის გადასვლა ხევსურეთიდან მიანიშნებდა დაგეგმილის აღსრულების დაწყებაზე, მაგრამ მიაღწია რა 10-12 მხედართან ერთად ალავერდს, ჩოლოყაშვილს უკვე აღარ შეეძლო ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება, რისი იმედიც მას ჰქონდა. 1922 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში, სამხედრო ცენტრის წევრი მუსხელოვი, წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დავალებით, გაეშურა ჩოლოყაშვილის ბანდის მოქმედების რაიონში, დუშეთის მაზრაში, როგორც ექსპედიციური რაზმის შტაბის მეთაური, რათა ჩაეხშო ჩოლოყაშვილის მიერ მოწყობილი აჯანყება. მუსხელოვი, ოპერაციის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, საქმეების მოგვარების მომიზეზებით, დუშეთიდან თბილისში მიემგზავრება, რათა მენშევიკების ცეკას თავმჯდომარეს - ი. ციცაძეს შეხვდეს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, მუსხელოვი აცნობებს ციცაძეს ვითარებას, დ. ვაჩნაძესთან საუბარს, ჩოლოყაშვილის გამოსვლამდე ხევსურეთში არსებულ განწყობილებას, ჩოლოყაშვილის მიერ ინგუშეთში რომელიღაც გენერალთან შიკრიკის გაგზავნას და ასევე იმაზე, რომ მან თიანეთში ცხენოსანი ჯარის შეჩერებით საშუალება მისცა ჩოლოყაშვილს დაუსჯელად გამგზავრებულიყო.

ი. ციცაძემ მუსხელოვს შემდეგი დავალება მისცა: 1. მიეწოდებინა ცნობები ჯარების გადაადგილებისა და მთიელი ხალხის შემოსვლის შესახებ, 2. „შეებრალებინა ხევსურეთი“.

შემდეგ ციცაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის დიდი რაოდენობით მოძრაობის შემთხვევაში, იგი უბრძანებდა ორ ბანდას, დახმარებოდნენ ხევსურეთს. მან გამოთქვა იმედი, რომ ქართული ჯარი შეუერთდებოდა მოძრაობას და „ოფიცრობა თავის ნამდვილ სახეს აჩვენებდა“. მან აღუთქვა მუსხელოვს, რომ კავშირისთვის კაცს გაუგზავნიდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომ მენშევიკების პარტიის სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც იოსებ ციცაძე და გ. ფაღავა ხელმძღვანელობდნენ, საერთო გეგმის ნაწილს ასრულებდა. მუსხელოვი დუშეთში გაემგზავრა. იქ ჩასვლისას, მან ი. ციცაძის დირექტივების შესასრულებლად შეაფერხა ხევსურეთში შეჭრა, რაც ახსნა მეტად რთული ადგილობრივი ვითარებით, რითაც საშუალება მისცა ი. ციცაძეს დაეთმო სამოქმედო ასპარეზი ორივე ბანდისთვის. ამ დროს მუსხელოვთან მივიდა ნიკოლოზ ზანდუკელი, რომელიც იმავე შენობაში ცხოვრობდა, სადაც თავდაპირველად ექსპედიციური რაზმის შტაბი იყო განთავსებული და უთხრა, რომ იგი იყო „ლუკას“ მიერ გამოგზავნილი (ი. ციცაძის ფსევდონიმი), რაზეც მუსხელოვმა უპასუხა, რომ იგი არავითარ ლუკას არ იცნობდა, რის შედეგადაც ზანდუკელი წავიდა. ორი დღის შემდეგ ის დაბრუნდა და განაცხადა, რომ მას ი. ციცაძისგან დავალებული ჰქონდა, ჩამოეყალიბებინა პარტიზანული რაზმები და დაეძრა ისინი მუსხელოვის მიერ ნაკარნახევი მიმართულებით. მუსხელოვს ზანდუკელისთვის უთქვამს, რომ მისი მითითების გარეშე არაფერი მოემოქმედა. განმეორებითი შეხვედრის დროს, რამდენიმე დღის შემდეგ, ზანდუკელმა (რომელიც იყო მენშევიკთა პარტიის დუშეთის კომიტეტის წევრი) მუსხელოვს უთხრა, რომ ფავლენოვი მზადაა და ეპატიჟება მას, ანუ მუსხელოვს, მიიღოს საკუთარ თავზე გაერთიანებული ძალების ხელმძღვანელობა. ეს ბოლო საუბარი ემთხვევა ჩოლოყაშვილის დამარცხებას, როდესაც მუსხელოვმა შესთავაზა ზანდუკელს ფავლენოვისთვის ეცნობებინა, რომ იმ ეტაპზე პარტიზანული მოქმედებები უაზრო იყო და აცნობა ფავლენოვს, არ მოეწყო დუშეთზე თავდასხმა.

ჩოლოყაშვილის ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ, ნარიკელაძის ბინაში შედგა სამხედრო ცენტრის მეორე შეკრება. იმ დროისთვის სამხედრო ცენტრის შემადგენლობას დაემატა კონსტანტინე

აფხაზი (ეროვნულ-დემოკრატების ცეკას თავმჯდომარე). თავმჯდომარე იყო ნიკოლოზ ქარცივაძე - დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, ესწრებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი იასონ ჯავახოვი. სამხედრო ცენტრის წევრებიდან არ იყვნენ ხიმშიევი (დაპატიმრებული იყო), მუსხელოვი (იმყოფებოდა დუშეთში) და ი. გედევანოვი.

განიხილეს შეიარაღებული აჯანყების საკითხი. ქარცივაძემ მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია - მოახსენა აზერბაიჯანსა და სომხეთთან შესაძლო კავშირების შესახებ. შეიარაღებული აჯანყების საკითხისა და სამხედრო ცენტრის საქმიანობის თაობაზე თქვა, რომ მიღებული იყო შემდეგი ზომები:

1. ბრძოლა ბანდიტიზმთან;
2. პარტიებიდან შეგვეკრიბა ინფორმაცია ადამიანებისა და იარაღის აღრიცხვის შესახებ, რომლებიც ცალკეულ პარტიებს გააჩნდათ. ანგარიშები დაჯამდებოდა ცენტრალურ კომიტეტებში, იქიდან კი გადაიგზავნებოდა სამხედრო ცენტრში. ეს მონაცემები საფუძვლად დაედებოდა აჯანყების საერთო გეგმას;
3. მოსმენილი იქნა ქართული დივიზიის მე-2 საარტილერიო დივიზიის 1-ელი ბატარეის მეთაურის - ჩრდილელის მოხსენება, რომელშიც ის იუწყებოდა ჩოლოყაშვილთან შეერთების წინადადების შესახებ. კრების დადგენილებით, ბატარეას ურჩიეს, არ შეერთებოდნენ ჩოლოყაშვილს;

პარტიებმა ვერ შეძლეს დროულად მოეხდინათ ძალთა მობილიზება ჩოლოყაშვილის დასახმარებლად. დუშეთის ოპერაცია დასრულდა. კავალერიის არასწორი გადაადგილების შემდეგ, ჩოლოყაშვილი დასჯას გადარჩა. მუსხელოვი თბილისში გაემგზავრა, სადაც შეხვდა ი. ცინცაძესა და გ. ფაღავას, რომლებსაც მუსხელოვმა დუშეთის ექსპედიციის დასრულების შესახებ მოახსენა. რამდენიმე დღის შემდეგ შედგა შეხვედრა დ. ვაჩნაძესთან, რომელიც გამოთქვამდა სურვილს, არ განხორციელებულიყო ჩოლოყაშვილის დევნა და მიეცათ ამ უკანასკნელისთვის დასვენების უფლება. შემდგომი შეხვედრა - ვ. წულუკიძესთან, რომელიც ჩიოდა პოლიტიკური ცენტრის მიერ ჩადენილ შეცდომებზე. ამაზე სრულდება დამოუკიდებლობის კომიტეტისა და სამხედრო ცენტრის მუშაობის პირველი პერიოდი.

შემდგომში, დაპატიმრებამდე არ მომხდარა სამხედრო ცენტრის შეკრება. მიმდინარე საკითხები წყდებოდა სამხედრო ცენტრის წევრების მიერ ქუჩაში შეხვედრის დროს. მოქმედების ამ მეორე, იატაკქვეშა პერიოდში, შედგა კავშირი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხის, დაღესტნის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებთან. დაიწყეს გეგმის განხორციელება, რომელიც სამხედრო ცენტრის მიერ იყო დასახული. ამ პერიოდში პარიტეტული კომიტეტი, მუსხელოვის ჩვენების თანახმად, არ ახდენდა ბანდების ჩამოყალიბებას, არამედ აღრიცხავდა ხალხსა და იარაღს და მშვიდი მუშაობით ემზადებოდა შესაბამის მომენტში დარტყმის განსახორციელებლად. სამხედრო ცენტრის მუშაობა გარკვეულწილად ნორმალურ სახეს იღებს. ნარიკელაძე სისტემატურად ამარაგებს სამხედრო ცენტრს სამხედრო შინაარსის ცნობებით, რომელთაც წითელი არმიის შტაბიდან იღებს, ასევე უზრუნველყოფს სამხედრო ცენტრის წევრებისთვის რეგულარული ანაზღაურების გაცემას, 2-3-ჯერ გასცა 25 ლირის ოდენობით. მუსხელოვი ნარიკელაძეს აწვდის სამხედრო შინაარსის ცნობებს. წულუკიძეს მუდმივი კავშირი აქვს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ქარცივაძესთან. 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ნარიკელაძე, ვ. წულუკიძის დავალებით, მენშევიკების ცეკას გადასცემს მოსაზრებას ძალთა აღრიცხვის შესახებ:

1. დაუყოვნებლივ მოხდეს ოფიცრების, ფელდფებელების, უნტეროფიცრებისა და ჯარისკაცების აღრიცხვა, რომლებიც გადიოდნენ ან არ გადიოდნენ სამხედრო სამსახურს;

2. აღრიცხვა განახორციელოს სამხედრო შტაბმა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ყოველ მაზრაში;
3. აღრიცხვისთვის საჭირო მონაცემების შეკრება დაევალოს პარტიულ მუშაკებს;
4. აღირიცხოს ადგილზე არსებული იარაღი: ტყვიამფრქვევები, შაშხანები, ვაზნები და ცხენები;
5. ყველა მონაცემის თავმოყრა მოხდეს სამაზრო შტაბებში, საიდანაც მოხდება დაჯგუფებული ცნობების გადაცემა დამოუკიდებლობის კომიტეტში;
6. მობილიზაციის შემთხვევაში, აღრიცხული კადრი გაერთიანდეს ასეულებში, ბატალიონებსა და პოლკებში;
7. იმ ადგილებში, სადაც არის შესაძლებლობა მოხდეს კავალერიის ორგანიზაცია, შეიქმნას ესკადრონები.

ორი კვირის შემდეგ ეს განკარგულება გადაეცა მენშევიკების ცეკას.

1923 წლის იანვრის შუაში სამხედრო ცენტრის წევრმა ვ. წულუკიძემ გადასცა დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ქარცივაძეს იგივე მოსაზრებები, შევსებული სახით, რაც შემდგომში გამოიხატებოდა:

1. სამაზრო შტაბის თავმჯდომარე უნდა გამოცხადებულიყო დატყვევებულად;
2. ყოველ „თემში“ გეგმის განსახორციელებლად ინიშნებოდა ერთი სამხედრო და ერთი სამოქალაქო პირი;
3. სამაზრო შტაბებში შეკრებილი ცნობები, დამოუკიდებლობის კომიტეტის გავლით, იგზავნებოდა სამხედრო ცენტრში;

მაზრებთან კავშირი, წულუკიძის ჩვენების მიხედვით, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს ჰქონდა. მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა მაზრებში ინტერპარტიული სამაზრო კომიტეტებისა და სამხედრო შტაბების არსებობის ფაქტი. ძალების აღრიცხვისა და ორგანიზაციის გეგმა, რომელიც სამხედრო ცენტრის მიერ იყო დასახული, რეალურად ტარდებოდა. 1923 წლის თებერვლის შუაში ჯავახოვმა კონტრდაზვერვის უფროსს, ნარიკელაძეს აცნობა, რომ აზერბაიჯანთან, დაღესტანთან, მთის მცხოვრებლებთან, ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობასთან შედგა შეთანხმება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივ აჯანყებაზე.

3 მარტს მოხდა სამხედრო ცენტრის წევრების დაპატიმრება, რამაც მისი ფუნქციონირება შეწყვიტა.

ზემოთქმულის საფუძველზე, ბრალად ედებათ:

1. ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძეს:

ა) 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში აჯანყების მეთაურობა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას; იმავე მიზნების მქონე ახალი აჯანყების ხელმძღვანელობა (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

ბ) ჯაშუშობაში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლი);

2. ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვს:

ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

3. როსტომ ილიას ძე მუსხელოვს:

ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

ბ) ჯაშუშობაში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლი);

4. გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიევს:
   ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

5. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზს:
   ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

6. იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანოვს:
   ა) იგივე (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი);

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლების მიხედვით, დავადგინე: რომ ვარდენ წულუკიძეს, ალექსანდრე ანდრონიკოვს, როსტომ მუსხელოვს, გიორგი ხიმშიევს, კონსტანტინე აფხაზსა და იოსებ გედევანოვს მიესაჯოთ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. №23, 95, 81, 39, 31 და 34 ქვითრებში აღნიშნული ნივთები იქნას ჩამორთმეული.


აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს კოლეგიას.

ცნობა: ყველა დაპატიმრებული იმყოფება ЗАКЧЕКА-ში.
ЗАКЧЕКА-ს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

1923 წლის 15 მაისი.

ასლი დედანთან სწორია

ამიერკავკასიის სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი: **მაისოვი.**



К О П И Я.

114

ПОСТАНОВЛЕНИЕ

/ Заключительное/.

Дела все сняты 30/V-23

По делу Об"единенного Военного Центра при " Комитете Независимости Грузии".

1/ АНДРОНИКОВА Александра Семеновича, 51 года, с высшим образованием, б. князь, генерал-Генштаба преподаватель Груз. Сводной школы, беспартийный.

2/ ЦУЛУКИДЗЕ Вардена Григорьевича, 57 лет, окончил военное училище, б. дворянин, генерал, служащий шелкоткацкой фабрики, беспартийный.

3/ ЖИВЦОВА Георгия Николаевича, 51 года, окончил Николаевское Кавал. училище, б. дворянин, б. полковник, командир Учебно-кадрового батальона Груз. Сводн. бригады беспартийный.

4/ МУСХЕЛОВА Ростом Ильича, 35 лет, с незаконченным высшим военным образованием, б. дворянин, б. полковник Нач.штаба Груз.Сводной дивизии, беспартийный.

5/ ГЕДЕВАНОВА Иосифа Константиновича, 50 лет, с высшим военным образованием, б. дворянин, б. генерал, занимается сельским хозяйством, член груз. партии федералистов

6/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 лет, с высшим образованием военным, б. князь, б. полковник, председатель Ц. Грузинской Национал-демократической партии, нигде не служит.

Следствием и показанием самих обвиняемых установлено:
В начале весны 1922 года после долгой взаимной борьбы пять антисоветских политических партий Грузии: меньшевики, национал-демократы, социалисты-федералисты правые, независимые социал-демократы / оживисты/ и социалисты-революционеры / правые заключили соглашение на основе: прекращения взаимной борьбы и создания единого фронта борьбы с Советской властью. Результатом соглашения, подписанного представителями всех перечисленных партий, явилось создание Партитеного Комитета - он же интерпартийный, он же " Комитет Независимости Грузии". Комитет Независимости приступив к работе немедленно же на ряду с организацией комитета Красного Креста, финансового комитета, и редакционной коллегии, создает об"единенный Военный Центр, сформированный по тому же признаку, что и Комитет Независимости. С самого же начала работа Военного Центра, главным образом об"единявшихся Комитетом Независимости была взята под непрерывный контроль партии меньшевиков и нац. демок.
В Феврале, марте 1922 г. на квартире быв. полковника ПАРИКЕЛАДЗЕ созвано первое заседание в составе лиц намеченных Комитетом Независимости в ВЦ. Заседанием руководит член ЦК м-ков Георгий ПАГАВА, об"явивший на этом заседании, что представителями об"единявшихся политпартий избран Военный Центр в составе: Вардена ЦУЛУКИДЗЕ /от мен-ков, Ростом

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 114.

МУСХЕЛОВ , /от нац.дем/, АНДРОНИКОВ А лександр /от нац.дем./, Геор гий ХИМШИАШВИЛИ / от -мков/, и Иосиф ГЕДЕВАНОВ /от правых федера-листов/. Предложил обсудить вопрос о работе ВЦ. Дал краткую информацию о том, что силы и деньги в распоряжении партии имеются. Просил сообщить какие сведения нужны ВЦ для составления плана общего выступления . По обсуждении поставленных вопрос ВЦ пришел к следующим решениям:

I/ Восстание возможно, как одновременное на всем Кавказе,при ус вии внутренних осложнений, в России или войны России с какой либо иностранной державой. Восстание в одной Грузии обречено на неудачу

2/ Задача Военного Центра: произвести учет людей, оружия и пр. руководить военными действиями в случае открытого выступления.

3/ ВЦ против отдельных бандитских выступлений.

4/ Момент восстания должен наметить комитет независимости,пред. варительно согласовав с ВЦ.

5/ Высказано пожелание о связи с местами и частями Груз.Арм.

6/ Высказано пожелание о регулярной оплате труда членов ВЦ в размере месячного прожиточного минимума.

7/ Распределение обязанности между членами ВЦ - АНДРОНИКОВ - председатель. ЦУЛУКИДЗЕ - связь с КОМИТЕТОМ независимости. МУСХЕЛОВ Нач. Штаба.

8/ Члену ВЦ МУСХЕЛОВУ Поручено составить сводку о численности подготовленного офицерского и солдатскаго кадра.

9/ Присутствовавшему на заседании Зав.контр-разведки ЦК м-ков НАРИМАНИДЗЕ поручено снабжать центр сведениями военного характера МУСХЕЛОВ обещает также давать ВЦ военные сведения, получаемые им от Ком."ач.Штаба ОКА СТРИХАРЯ.

Уже на этом первом заседании выяснилось, что партии несмотря н заключенное соглашение друг другу не доверяют и вкладывать сведе об имеющихся в их распоряжении силах не торопятся. Это обстоятель привело к тому, что военные организации партии меньшевиков и нац. кратов,несмотря на создание ВЦ продолжали работу каждая по дерект вам своего ЦК. Наиболее сильные из об"единившихся партий - меньше ки и нац.демократы стремятся овладеть большинством в ВЦ. Через не сколько дней после первого заседания ВЦ меньшевики перетягивают н свою сторону МУСХЕЛОВА Ростома, для использования его по работе

Зსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 115.

116

грузинских частях. МУСХЕЛОВ связавшись с этого момента с меньшев
ками не прерывает, в то же время и связи с нац. демократами. Прибли
зительные данные о силах, которыми располагали партии были известн
отдельным членам ВЦ или лицам, принимавшим ближайшее участие в рас
центра / НАРИКЕЛАДЗЕ/. АНДРОНИКОВУ еще до вхождения в ВЦ членами ме
партии нац. дем. Ясоном ДЖАВАХОВЫМ и Давидом ВАЧНАДЗЕ было сообще
что партия нац. дем. располагает крупными силами в Кахетии от 5 тыс
до 6 тысяч человек. Зав. Контр-разведкой НАРИКЕЛАДЗЕ меньшевиком
ВИЛАДЗЕ около 1000 человек, Имереи 300-400 человек, в Кутаисском
уезде 200 человек, в Рачинском уезде 400-500 человек, в Кахетии 600
человек - в общем 4000-5000 человек. Первый период работы - весенни
месяцы 1922 г. сосредоточить в своих руках руководство движением, по
готовлявшемся отдельными партиями ВЦ не смог. Несмотря на отрицател
ное отношение КОМ. Независимости и ВЦ к отдельным бандитским выступ
лениям показывают члены ВЦ, они все же продолжались. Данные об име
щихся силах и оружии поступали не ВЦ, а сосредоточивались в ЦК отд
них партий, регулярно снабжавший ВЦ в лице В. ЦУЛУКИДЗЕ нужными
сведениями: дислокация ОКА, численность ОКА, движение развивающего
бандитизма. В апреле 1922 г. происходит арест В. ЦУЛУКИДЗЕ, И. ГИ
ВАНОВА. В Мае того же года арестован ХИМШИЕВ, намеривавшийся ехать
" замирять ЧЕЛОКАЕВА". АНДРОНИКОВ 20 Мая выезжает в Сурам. Работе
Военного центра естественно приостанавливается. Остаются на свобод
МУСХЕЛОВ и зав. контр. разведкой НАРИКЕЛАДЗЕ, продолжавший работу
В первых числах Мая освобождаются их под ареста А. ГИДЕВАНОВ, а З
В. ЦУЛУКИДЗЕ. Военный Центр приступает к работе. Этот период работ
В.Ц. характеризуется подготовкой Челокаевского движения. Показания
членов ВЦ он освещен очень слабо. Имеющимся в деле документальными
данными и показаниями Нач. Штаба ВЦ МУСХЕЛОВА установлено:

I. В августе м-це 1922 г. Д. ВАЧНАДЗЕ член ЦК нац. дем. недавший
военной работой, при встрече с МУСХЕЛОВЫМ поднял вопрос о выступл
в Кахетии. Просил МУСХЕЛОВА составить оперативный план, - заявив, чт
ЧЕЛОКАЕВУ БУДЕТ послан приказ о выступлении на 27 сентября.

В Августе 1922 г. Давид ВАЧНАДЗЕ послал ЧЕЛОКАЕВУ письмо /дата
26 Июля/ подписанное им псевдонимом " Сампери". В этом письме сооб
щается: I/ что к осени Антантой подготовляется интервенция Сов.Рос

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 116.

2/ за границей заказаны деньги и оружие, 3/ старое правительство из Парижа призывает к активным действиям, обещая заказанное оружие и деньги, 4/ создался единый центр, в состав которого. [illegible] / Я. ДЖАВАХОВ - Ч ен Ком. Независимости и член ЦК нац. дем/, 5/ с пивным посылается приказ военно-оперативного штаба грузинских партизанских войск. Штаб этот является интер-партийным и считается главным военным Штабом Комитета Независимости, 6/ рекомендуется не держать связь с Вардено / ЦУЛУКИДЗЕ/, который является противником активности.

Вместе с письмом был послан приказ № I " начальнику грузинских партизанов КАКУЦЕ ЧЕЛОКАЕВУ", которым " временем освобождения Грузии от оккупантов назначается с 27 Сентября по 15 Октября". Этим же приказом ЧЕЛОКАЕВУ предлагалось предоставить к 15 сентября сведения об общем числе партизан, числе винтовок, пулеметов, орудий, патрон. Предлагалось выяснить какую помощь могут оказать лезгины и Мугано-Казахские татары. Представить план проходжения восставших. Приказ подписан " ЗАЙПЕРИ" /Д. ВАЧНАДЗЕ/. "По поручению главного партизанского Штаба". По показанию члена ЦК нац. дем. М. ДЖАВАХОВА Ясоном ДЖАВАХОВЫМ послано ЧЕЛОКАЕВУ 30-400 лир, полученных от Комитета Независимости. По показаниям члена ВЦ В. ЦУЛУКИДЗЕ - в разработке приведенного приказа № I принимал участие член Комитета Независимости /от н.д./ и фактический пр-ль ЦК национал демократов Ясон ДЖАВАХОВ. Приведенные выдержки из документов и показания устанавливают, что выступление ЧЕЛОКАЕВА произошло по решению Комитета Независимости и руководилось Военным Центром - через военную организацию Н.Д. / очевидно потому, что ЧЕЛОКАЕВ является детищем Н.Д. партии/. Приказ выступлении не был своевременно доставлен ЧЕЛОКАЕВУ, ввиде неожиданного появления его севернее Душета во 2-х числах августа 1922 г. ЧЕЛОКАЕВ якобы приказ этот получил в период боя с красными войсками, а затем ушел из Левсуретии через Панкиси и Алаверды. Момент ухода ЧЕЛОКАЕВА из Левсуретии означал начало исполнения намеченного плана ,но достигнув с 10-12 всадниками района Алаверды ЧЕЛОКАЕВ уже не мог использовать местного населения,на которое он рассчитывал. В последних числах августа 1922 г. член ВЦ

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 117.

118

МУСХЕЛОВ по зад РВС ОКА выезжает в район действия банд ЧЕЛОКАЕВ.
Душетский уездкачестве Нач. Штаба экспедиционного отряда с зада-
нием подавить вание, поднятое ЧЕЛОКАЕВЫМ. По окончании первого пе-
риода операции ЧЕЛОВ под предлогом устройства дел выезжает из Ду-
шета в Тифлис для видания с председателем ЦК Меньшевиков И.ЦИЦИАДЗЕ.
По приезде в Тиф МУСХЕЛОВ сообщил ЦИЦИАДЗЕ:
I. Обстановку, озговоре с А. ВАЧНАДЗЕ перед выступлением ЧЕЛОКАЕВА
настроении Хевори о том, что ЧЕЛОКАЕВ отправил человека с Ананушет
к какому то генеру за помощью и о том, что он МУСХЕЛОВ дал ЧЕЛОКАЕ
ВУ возможность бакаванно уйти задержав конницу в Тионетах.
И. ЦИЦИАДЗЕ были даны МУСХЕЛОВУ следующие задания:
I. Информировать дальнейшем движении войск и дальнейшем наступлении
горских народов.
2. " Лощадить Хеворентию".
Далее ЦИЦИАДЗЕ заявил, что в случае движения населения в большом
масштабе он " прикет 2-м бандам идти на помощь Хевсуретии. Выразил
надежду, что грузинские войска примкнут к движению и офицерство " п
жет свою настоящую физиономию". Обещал МУСХЕЛОВУ Прислать человека
для связи. Из вышеложенного следует, что военная организация парти
меньшевиков, руководившаяся Иосифом ЦИЦИАДЗЕ и Т. ПАТАВА выполняла
часть общего плана. МУСХЕЛОВ выезжает в Душет. Приехав в Душет МУСХЕ
ЛОВ во исполнение директивы И. ЦИЦИАДЗЕ задерживает наступление на
Хевсуретиб / мотивует " чрезвычайно тяжелыми местными условиями
давал тем самым возможность И. ЦИЦИАДЗЕ развернуть операции 2-х об
ных банд. В этот период времени к МУСХЕЛОВУ является проживавший в
же доме, где первоначально помещался Штаб Экспедиционнаго Отряда Ни
колай ЗАНДУКЕЛИ, заявивший что он прибыл от " ЛУКИ" /псевдоним И.
ЦИЦИАДЗЕ/, получив от МУСХЕЛОВА ответ, что никакого Луку он не зна
уходит. Вторично является через два дня извавляет, что он имеет с
И. ЦИЦИАДЗЕ задание сформировать партизанские отряды и двинуть их
указанию его МУСХЕЛОВА. Просил сообщить ему обстановку. МУСХЕЛОВ
ложил якобы ЗАНДУКЕЛИ без его велома пока ничего не предпринимать
При вторичной встрече, происшедшей через несколько дней ЗАНДУКЕЛИ

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 118.

/ член Душетскаго Комитета партии меньшевиков/ заявил МУСХЕЛОВУ, что ПАВЛЕНОВ готов и приглашает его, МУСХЕЛОВА, принять на себя руководство об"единенными силами. Этот последний разговор совпадает с нчалом разгрома ЧЕЛОКАЕВА, МУСХЕЛОВ предлагает ЗАНДУКЕЛИ уведомить ПАВЛЕНОВА, что партизанские действия в данный момент безсмолены и одновременно предложить ПАВЛЕНОВУ не устраивать нападения на Душет, которое предполагалось, " так как все будут перепты".

Непосредственно перед ликвидацией Челокаевской авантюры на квартире того же НАРИКЕЛАДЗЕ состоялось второе заседание Военного центра. Состав Военного центра к этому времени дополняется Константином БХАЗИ / Председатель ЦК нац. дем./. На заседании председательствует Николай КАРИДАДЗЕ - пред. комитета Независимости Присутствуют член Комитета Независимости Ясон ДЖАВАХОВ. Из членов Военного центра отсутствуют: ХИМШИЕВ / арестован/, МУСХЕЛОВ/находящийся в Душете/ и И. ГЕДЕВАНОВ.

Обсуждается вопрос о вооруженном возстании. КАРИДАДЗЕ дал общую информацию - сообщив о возможности связи с Азербайджаном и Арменией. По вопросу о вооруженном возстании и линии поведения Военного центра якобы принимается следующее решение:


I. Бороться с бандитизмомо.

2. Провести через партии учет людей и оружия, имеющагося в распоряжении партий. Учет сгруппировать по ЦК Партий, откуда все данные должны поступить в Военный Центр. Эти данные должны послужить руководящим началом для создания общего плана возстания.


3. Выслушан доклад командира I-й батареи 2 арт. див.I груз. Сп.див. ГДЛЕЛИ о поступившем батареи ~~ххххххххххххххххххх~~ ~~ххххххххх~~ ЧЕЛОКАЕВУ предложении присоединиться к ЧЕЛОКАЕВУ. Собрание якобы решило предложить батареи к ЧЕЛОКАЕВУ не присоединяться.

Партиино время не смогли произвести мобилизации сил на помощ ЧЕЛОКАЕВУ. Душетская операция заканчивается. ЧЕЛОКАЕВ безнаказан уходит в виду неправильной группировки кавалерии. МУСХЕЛОВ выезжает в Чиаис. Происходит встреча с Л. ЦИНЦАДЗЕ Г. ПАГАВА, которых МУСХЕЛОВ информирует о заканчивнейся Душетской экспедиции

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 119.



შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 120.



Через несколько дней встреча с [illegible]. ВАШАДЗЕ выражающим пожелание
не преследовать ЦЕРЕТЕЛИ - дать ему отдохнуть. Встреча с В.Гулиа [illegible]
сетующим на ошибки политического центра. На этом заканчивается первый
период работ Комитета независимости и Военного Центра.
В дальнейшем вплоть до дня ареста заседаний военного центра не
было. Все возникавшие вопросы решались членами Военного центра при
встречах на улице. В этот второй период работы подпольные организации
Грузии, возглавляемся Комитетом Независимости установили с организация-
ми горцев Зап Кавказа, Дагестана, Азербайджана и Армении. Начал осу-
ществляться план, намеченный Военным центром первоначально. Партитет-
ный комитет в этот период времени по показаниям МУЛИКОВА не органи-
зует банд - он занят учетом людей и оружия - работал тихо он готовится
в нужный момент нанести удар". Работа Военного Центра в некотором
мере принимает нормальный характер. НАРИМАНОВ систематически снаб-
жает военный центр сведениями военного характера, получаемыми из Штаба
ОКА, он же налаживает регулярную выплату членам военного центра жало-
вания выдано 2-3 раза по 25 тыс, МУЛИКОВ доставляет НАРИМАНОВУ
интересующие последнего секретные военные данные, ГУЛИА держит
регулярную связь с пред. Комитета независимости Н. ЧХЕНКЕЛИ. В
Октябре-ноябре 1922 г. НАРИМАНОВ по поручению В. ГУЛИА передает
к И меньшевиков разработанные соображения об учете сил, сводящи-
ся к следующему:

I. Приступить немедленно на местах к учету офицеров, фельдфебелей,
унтер офицеров и солдат, проходивших и не проходивших службу.

2. Учет возложить на военные штабы, которые должны быть организованы
в каждом уезде.

3. Сбор необходимых данных по учету возложить на партийных работников


4. Учесть число оружия на местах: пулеметов, винтовок, патрон к ним
[illegible]

5. Все данные учета сосредоточить в уездных штабах, откуда сгруппиро-
ванные сведения передавать в Комитет независимости.

6. На случай мобилизации учтенные кадры сводятся в роты по 16 человек
Если в уезде имеет число превышающее ротный состав, то организуется
батальоны 3-х ротного состава и полки 3-х батальонного состава.

7. В тех местностях, где имеется возможность организовать кавалерий-
ские части - там создавать эскадроны.

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 121.



122

5/ АБХАЗИ Константину Николаевичу:

а/ тоже /ст. 59 Уг.Код./.

6. ТЕДЕЕВАНОВУ Иосибу Константиновичу:

а/ тоже /ст. 59 Уг.Код./.

Руководствуясь указанными статьями Уголовного Кодекса С.С.Р.Г.

ОСТАНОВИЛ: ЦУЛУКИДЗЕ Вардена, АНДРОПИНОВА Александра, МУЖАВОВА

стома, ЖИНКИЕВА Георгия, АБХАЗИ Константина и ТЕДЕЕВАНОВА Иосифа

двергнуть высшей мере наказания / РАССТРЕЛЯТЬ/. Предметы отобран-

е по квитанциям за № 20, 95, 81, 39 31 и за конфисковать.

Настоящее постановление передать на утверждение Коллегии ЗАКЧК.

СПРАВКА: Все арестованные содержатся при ЗАКЧК.

НАЧ ИРО ЗАКЧК

15 Мая 19-- года.

110

С подлинным верно:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК /МАЛЬЦОВ/

შსს არქივი, (I) ფ. N6. სსს N23523. ტ.1. გვ. 122.

ეპილოგი

1923 წლის 19 მაისს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ, შემდეგი შემადგენლობით: მოგილევსკი (თავმჯდომარე), პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერი, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი, ლომინაძე - დახვრეტა მიუსაჯა თხუთმეტ ქართველ მამულიშვილს. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში ეწერა: „ანტანტის კაპიტალისტების აგენტების მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების და მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის ღალატის გამო, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ დამთავრებული გამოძიებით, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საგანგებო კომისია ადგენს, მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი: ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის, 51 წლის გენერალს, ვარდენ გიორგის ძე წულუკიძეს, 57 წლის გენერალს, გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილს, 31 წლის პოლკოვნიკს, როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილს, 35 წლის პოლკოვნიკს, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აბხაზს, 55 წლის გენერალს, ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელს, 39 წლის, სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის, 27 წლის, ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილს, 24 წლის, იასონ მათეს ძე კერესელიძეს 40 წლის, ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძეს, 40 წლის, სიმონ ეგორის ძე ჭიაბრიშვილს, 42 წლის, ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანს, 51 წლის პოლკოვნიკს, ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილს, 32 წლის პოლკოვნიკს, ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილს, 26 წლის, დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელს 29 წლის.[1] “

თხუთმეტი ქართველი ვაჟკაცის „დანაშაული“ სამშობლოს სიყვარული და საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო. ის, რასაც საბჭოთა ხელისუფლება „ბანდიტურ მოძრაობას და მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის ღალატის“ უწოდებდა, სინამდვილეში, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო.

გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილის ძმა, ალექსანდრე, რომელიც იმავე საპატიმროში იმყოფებოდა, სადაც სამხედრო ცენტრის წევრები იყვნენ, ემიგრაციაში დაწერილ მოგონებებში ასე აღწერს „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრებულ წევრთა უკანასკნელ დღეებს: „მომესმა ფეხის ხმა და თანაც ელექტრონის სინათლემ გაანათა ზაკ-ჩეკას ეზო, სადაც ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ციხის ზედამხედველი კომენდანტთან ერთად და მიაშურეს კამერა №1-ს, რომელშიც იჯდა გენერალი ანდრონიკაშვილი. „მოქალაქე ანდრონიკაშვილი, ადექით, დაკითხვაზე“ - გააღვიძა ზედამხედველმა. მე შეჩერებული სულის თქმით მივეყრდენი კარებს და ვუსმენდი ჭუჭრუტანიდან. ნელა, გაბრწყინებული თვალებით მოდის გენერალი ანდრონიკაშვილი, როგორც ყოველთვის, ახლაც, ჩემს კამერასთან გავლისას, მომიბრუნა სახე და ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს ... მისი ჩაფიქრებული სახე შეიცვალა სევდიანი ღიმილით და თითქოს თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა, „მოკითხვა ყველას ... მშვიდობით, ჩემო კარგო იუნკერო“ და იმავე ნაბიჯით განაგრძო გზა.

რამდენიმე წუთის შემდეგ შემობრუნდა კომენდანტი ზედამხედველით და მიადგნენ კამერა №1-ს. გამოუძახეს დაკითხვაზედ. დინჯათ, წვერებშეზრდილი, რომელიც უფრო ააშკარავებდა მის ლამაზ სახეს, გამოჩნდა კაპიტანი მიტო ჩრდილელი, გამხდარი. ხალათის გასწორებით, დადგა ჩემი საკნის კარების წინ გაუბედავად. შემდეგ მტკიცე გადაწყვეტილების მიღებით, სწრაფად მობრუნდა და აღელვებული ხმით ხმამაღლა წამოიძახა: „უთხარი მათ, რომ მე დამხვრიტეს. ვკვდები, როგორც შეშვენის ნამდვილ ქართველს“, მაგრამ ამ დროს დარაჯებმა სტაცეს ხელი და სწრაფად გაიყვანეს.

1 გაზეთი „ტრიბუნა“ № 477, 24 მაისი 1923 წელი.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემობრუნდა კომენდანტი მხლებლებით და მიადგა კამერა №5-ს. „ისევ დაკითხვა ... რა დროს დაკითხვაა, ოხრებო“, - ამ სიტყვებით პოლკოვნიკმა მაჭავარიანმა დაიწყო ნელი ჩაცმა ბუზღუნით და თან ერთი მარში დაუსტვინა. „ჩქარა, ჩქარა“, - უძახოდა კომენდანტი. „რას ნიშნავს ჩქარა, ოხრებო. მოიცადეთ და ნახავთ ... ,,კომენდანტმა უბრძანა მცველებს, გამოეყვანათ, მაგრამ პოლკოვნიკი მაჭავარიანი თვით გამოვიდა, „აი, მზათ გახლავართ“ და მარშის სტვენით გაემართა კარებისაკენ დარაჯების თანხლებით.

„ნუ იყურებით დარაბიდან“, - მიყვირა ზედამხედველმა ნაგანის დაღერებით. მივბრუნდი და შევხედე ნიკო ზანდუკელს, თვალებგადიდებული მიშტერებოდა ის პირდაპირ კედელს.

გაიხმაურა გასაღებმა, გაიღო კარები და შემოვიდა ორი ზედამხედველი კომენდანტთან ერთად ... „ხიმშიაშვილი და ზანდუკელი გამოიყვანეთ“ ... დერეფნის ბოლოში ლანდებივით მოსჩანდნენ კოტე აფხაზი და ვარდენ წულუკიძე. გარეთ გასვლისთანავე კომენდანტმა ხელმეორედ გადაიკითხა სია. „თქვენი გვარი ხიმშიაშვილია არა?” - „დიახ” - ვუპასუხე მე. „თქვენი სახელი?“ - „ალექსანდრე”, - მივუგე მე. კომენდანტმა შეიგინა და უბრძანა ზედამხედველს, წავეყვანე უკან. ვიდექი ისე, რომ ადგილიდანაც ვერ ვინძრეოდი. გონზე მომიყვანა სატუსაღოს ეზოში ამტყდარმა ყვირილმა - „გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, მშვიდობით ძმებო! გვხვრეტენ ამაღამ“, - ხმამაღლა ყვიროდა სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი და მის სიტყვებს მოყვა იასონ კერესელიძის მძლავრი ხმით დაწყებული „დიდება“, რომელსაც აყვნენ სხვებიც. მე ვიდექი კარებთან ამღვრეული თვალებით და სულ ვცახცახებდი. ავტომობილის მოტორის ხმა იქაურობას აყრუებდა. „არიან კიდევ, ვინც გადაგიხდით ჩვენი სიკვდილისთვის, თქვენ სისხლის მსმელებო“, - მომესმა საიდანღაც. როგორც ვიცანი, ეს ხმა უნდა ყოფილიყო გოგი ხიმშიაშვილის, თუმცა მას ვერ ვხედავდი.

დახვრეტამდე ორი დღის წინ - 18 და 19 მაისს, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი და აგრეთვე დანარჩენი ტუსაღები, გადმოიყვანეს ქვედა მიწურ სამწყვდევებიდან საერთო საკანში №24, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი დერეფნის ერთ ხაზში. ამ დღეს ე.ი. 18 მაისს, ჩეკაში იყო განსაკუთრებული მოძრაობა და მზადება. კარებისა და დერეფნების ორსაათიანი დარაჯები გააორკეცეს. მოახდინეს ტუსაღების გადაჯგუფება. ჩვენი დერეფნის ცალფა სამწყვდევებიდან ჩემ გარდა, გადაიყვანეს სადღაც ყველა: გენერალი ანდრონიკაშვილი, კაპიტანი ჩრდილელი, აზერბაიჯანელი მუსავატების ერთ-ერთი ლიდერი ალი და პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

ჯერ კიდევ დახვრეტის წინა დღეს გამოიყვანეს განწირულები ეზოში ჰაერზე. მოძრაობაზე მივხვდი, რომ ისინი გამოყავდათ. ვთხოვე კომენდანტს, ნება დაერთო საჭიროებისათვის ფეხსალაგში წასვლა, რომელიც იყო სამწყვდევების სულ ბოლოს, ეზოსთან. ნებართვის შემდეგ, მეთვალყურის და ერთი წითელარმიელის თანხლებით, დასუსტებული ნაბიჯით გავემართე დანიშნულების ადგილისკენ. თანაც ვიცქირებოდი ეზოსკენ. დერეფანთან შეჯგუფული იდგნენ: კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი და სხვა ათ კაცამდე. იდგნენ უქამროდ-უქუდოდ და ყრუ დუმილით იხედებოდნენ ოთხივე კუთხივ. მხოლოდ კოტე აფხაზი, მიმქრალი და თიხისფერი სახით, იდგა უკან ხელებ-შემოწყობილი და შთაგონებული გამომეტყველებით ხმადაბლა ელაპარაკებოდა ვარდენ წულუკიძეს ... დაბრუნებისას დასუსტებული ნაბიჯით ნელა მოვდიოდი დერეფანში და ვიყურებოდი ჩვენებისკენ. ყველანი ისე მომჩერებოდნენ, თითქოს რაღაც უნდოდათ ეკითხათ. სევდიანად გამიღიმა კოტე აფხაზმა და შემომახვედრა გამამხნევებელი თვალები. მისი ტუჩები ჩურჩულით მოძრაობდნენ ... ჩამავალი მზის სხივით განათებული და სულის შინაგანი სიმტკიცით გასხივოსნებული სახე აძლევდა მას მოციქულის შეხედულებას მოწაფეთა შორის. მთელი ჯგუფი რაღაც გაურკვეველ მოლოდინში გაქვავებულიყო, ველარ ვიკავებდი მისუსტებულ გრძნობებს და მინდოდა მივვარდნილიყავი მასთან: „ბატონო კოტე! ბატონო!“ ნერვიულად წამოვიძახე, მაგრამ მეთვალყურემ მკრა ხელი და დაიღრიალა „გაიარე ჩქარა, ნუ ლაპარაკობ შენ”... უკანასკნელად გადავხედე მათ აღელვებულ სახეებს, „ყოჩაღად იყავი, შვილო!“

- გადმომიგდო სიტყვა კოტე აფხაზმა“[2].

1923 წელს სტამბოლში, ქართველ მხედართა კავშირის ინიციატივით, დაიბეჭდა წიგნი - „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას“[3]. მასში თავმოყრილი იყო მასალები „სამხედრო ცენტრის“ საქმეზე დახვრეტილთა შესახებ. მათ შორის: ინფორმაცია დახვრეტილთა სულის მოსახსენიებლად პანაშვიდის გადახდის შესახებ; გენერალ ილია ოდიშელიძის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის - ალექსანდრე ასათიანის, გენერალ ერისთვისა და პოლკოვნიკ ხან-ხოისკის სამგლოვიარო სიტყვები; კონსტანტინე აფხაზის, ვარდენ წულუკიძის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ბიოგრაფიები; მოგონება პოლკოვნიკ ლადო ლექვინაძეზე (ის უფრო ადრე დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ); საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური მასალები. აქვე იყო მცირე სტატია სათაურით - „სამშობლოსათვის დაღუპულთა უკანასკნელი წუთები“.

სტატია იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „მეტი ნაწილი წიგნისა უკვე დაბეჭდილი იყო, როდესაც რედაქციამ მიიღო სამშობლოდან თავგანწირულ გმირთა დახვრეტის აღწერა. აი, როგორ აგვიწერენ ამ ეროვნული გმირების უკანასკნელ წუთებს პატიმრები, რომელნიც მათთან ერთად იჯდნენ და აგრეთვე ერთი ამ საშინელ სურათის დამსწრე თანამდებობის პირი“.

აი, როგორ იყო აღწერილი „სამხედრო ცენტრის“ საქმეზე დაპატიმრებულთა უკანასკნელი წუთები: „მსხვერპლთაგან რამდენიმე ისე მძიმეთ ავადმყოფები იყვნენ, რომ ჩეკას ადმინისტრაციას საავადმყოფოში ჰყავდა გადაყვანილი. როდესაც ავადმყოფი პოლკოვნიკი გულისაშვილი სამკურნალოდან მიჰყავდათ ჩეკაში, ერთმა სადისტმა-ჩეკისტმა გესლიანათ ჰკითხა: ხომ იცი, სად და რისთვის მიგამგზავრებენო. გულისაშვილმა უპასუხა: ვიცი, მივდივარ იმისთვის, რომ საქართველოსთვის მოვკვდეო. ყველა სიკვდილმისჯილი ნაწამები იყვნენ. ერთმა მათგანმა ბეითალმა ქუთათელაძემ ვერ გაუძლო წამებას და ჭკუაზე შეირყა. ამან ჯალათებს ხელი არ შეუშალა, ჭკუაზე შეშლილი კაცი დასაკლავად ხარივით გაათრიეს სამკურნალოდან. ნიკო ზანდუკელი მძიმეთ იყო ავად, 41 გრადუსი სიცხე ჰქონდა. ის უგრძნობლად იყო, რომ საკაცურით წაიღეს ჩეკაში ...დადგა სისხლიანი წუთები ზაკჩეკაში ... განწირულები ორ-ორი გაჰყავთ საკნებიდან და თავს უყრიან განსაკუთრებულ ოთახში ... კითხულობენ სასიკვდილო განაჩენს. ერთი წუთით მძიმე დუმილი ჩამოვარდება. მას არღვევს პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, რომელიც წინ წამოსდგება და ამბობს: ჩვენ ვიცით, რისთვისაც გვკლავთო. თქვენც კარგად იცით, რომ ბანდიტები არა ვართ, მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანეთ მოგთხოვთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს. ხიმშიაშვილის შემდეგ ჯალათებს მიმართავს გაჭაღარავებული, რაინდული გარეგნობით და სულით გენერალი წულუკიძე ვარდენ: სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასათ გაამრავლებს მებრძოლთ. თვით პანკრატოვზე, ამ მთელ რუსეთში ცნობილ ჯალათზეც კი ახდენს შთაბეჭდილებას ესეთი გმირული თავდაჭერა და სრული სიმშვიდე სიკვდილის წინ. ის მიმართავს წულუკიძეს: თქვენ მართლაც გმირულად კვდებით, გინდათ გადავცეთ რამე თქვენიანებს? წულუკიძე: გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ ვით ქართველ პატრიოტებს შეჰფერის.

გენერალი კოტე აფხაზი: მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირს გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს.

პოლკოვნიკი მაჭავარიანი: ჩვენ არ გპირდებით შებრალებას და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას, ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა.

ბოლოს მშვიდი, მუდამ აუღელვებელი გენერალი ანდრონიკაშვილი ესვრის მტერს: სახეზე გატყობთ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე - იქნებ ყველა ქართველი ამისთანა (მიუშვირებს კვანტალიანზე) გეგონათ? მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი

2 გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. II გვ. 554-558.
3 გ. შარაძე ტ. II თბ. 2001. გვ. 218-242.

სიკვდილს.

პოლკოვნიკი ჩრდილელი: რუსეთში დაივიწყეს იდეისათვის თავგანწირულად სიკვდილი. წადით და უთხარით მათ, თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსთვის.

ჯალათები შეუდგნენ უკანასკნელ ოპერაციებს ზაკჩეკაში. დაუწყეს მსხვერპლთ ხელ-ფეხის შეკვრა. მოხუცი წულუკიძე გაძალდა: ჯალათებო, ნუ გვიკრავთ ხელებს, კარგად იცით, რომ მონები არა ვართ! ამაოდ. ყველა შებორკეს, დაჰყარეს ორ საბარგო ავტომობილზე და გააქანეს სასაკლაოსკენ. ავტომობილებს ორივე მხრივ მისდევს კავალერია ხმალამოღებული. წინ მიუძღვის მსუბუქი ავტომობილით პანკრატოვი.

გზაში აფხაზმა და ჩრდილელმა მოახერხეს, ხელები გაეხსნათ ხიმშიაშვილისთვის. იგი სწვდა კისერში ერთ-ერთ კომენდანტს და ააგლიჯა რევოლვერი, გადახტა ავტომობილიდან, მაგრამ ბედმა უღალატა. გადახტომის დროს რევოლვერი გაუვარდა, ცხენოსნები დაედევნენ. შეიქნა სროლა. ხიმშიაშვილი ფეხებში დაიჭრა, ორმა ჯალათმა, ამიროვმა და აბაზოვმა ტყვიებით დაცხრილეს, წაათრიეს და პირველი ჩასდეს გამზადებულ ორმოში. შემდეგ დახოცეს დანარჩენებიც. დახვრეტაში პირადი მონაწილეობა მიიღო პანკრატოვმა.“

რამდენად დეტალურად და ზედმიწევნით ზუსტადაა აღწერილი რაელობა ამ მონათხრობში, ძნელი სათქმელია, თუმცა ცხადია, რომ ძირითადად, სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

სამაგიეროდ, ზუსტადაა აღწერილი შსს არქივში დაცულ ერთ დოკუმენტში. ეს გახლავთ მოხსენებითი ბარათი იმის შესახებ, თუ ვინ და როდის მოიყვანა სისრულეში ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის გაფართოებული სხდომის მიერ 19 მაისს მიღებული გადაწყვეტილება. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ „სამხედრო ცენტრის“ საქმეზე დაპატიმრებულები დახვრიტეს 1923 წლის 21 მაისს, გამთენიისას, 4 საათსა და 30 წუთზე. (აქ კარგი იქნება თუ წავა ამ მოხსენებითი ბარათის სრული ტექსტი და ფოტოასლიც).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის თანამშრომლებმა დიდი და დასაფასებელი შრომა გასწიეს, საზოგადოების წინაშე წარმოაჩინეს მეტად საინტერესო დოკუმენტები „სამხედრო ცენტრის“ საქმეზე დაპატიმრებულთა შესახებ, რომლებიც დღეისათვის არქივში ინახება. ამ დოკუმენტთა უმეტესობა პირველად ქვეყნდება.

სამწუხაროდ, დღემდე შემორჩენილი საქმეები აღარ შეიცავს სრულად იმ დოკუმენტაციას, რომელიც თავდაპირველად არსებობდა (ყველაზე სრულად როსტომ მუსხელიშვილის საქმეა წარმოდგენილი). შსს არქივში დღეისათვის საერთოდ არ არსებობს „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი წევრის, პოლკოვნიკ გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილის საქმე. სხვა დაპატიმრებულთა საქმეები რომ სრული სახით არ არის ჩვენამდე მოღწეული, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მაგალითად, ნიკოლოზ ზანდუკელის საქმეში მხოლოდ 1921 წლის მაისით დათარიღებული დოკუმენტები მოიპოვება, მათ შორის მისი გათავისუფლებისა და მის წინააღმდეგ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. არ არსებობს დოკუმენტები, როდის და რატომ დააკავეს ის შემდგომში და რის საფუძველზე მიუსაჯეს 1923 წლის 19 მაისს დახვრეტა. ძნელი სათქმელია, რა არის იმის მიზეზი, რომ საქმეებში სრულად არ არის შემონახული თავდაპირველი დოკუმენტები (შესაძლოა, საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად განადგურდა გარკვეული დოკუმენტაცია. არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი რამ უბრალოდ დაიკარგა, თუნდაც მაშინ, როდესაც საბჭოთა საქართველოს უშიშროების სამსახურის არქივში ხანძარი გაჩნდა და საქმეთა უმრავლესობა დაიწვა). თუმცა, რაც არსებობს, ისიც ძალიან მნიშვნელოვანია.

არსებული დოკუმენტაცია საინტერესო ცნობებს შეიცავს „სამხედრო ცენტრის“ საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ირკვევა, თუ როდის და რა ვითარებაში ჩამოყალიბდა „სამხედრო ცენტრი“, ვინ შედიოდა მის შემადგენლობაში, რა ფუნქციები ეკისრებოდა „ცენტრს“, რა კავშირი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედ პარტიზანულ რაზმებთან (ქაქუცა ჩოლოყაშვილის,

მიხეილ ლაშქარაშვილის, შალვა ფავლენიშვილის დაჯგუფებებთან) და სხვ. დღემდე მოღწეული დოკუმენტები იმასაც გვიჩვენებს, რომ მართალია, „სამხედრო ცენტრი“ შეიქმნა, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, ეფექტურად ვერ მუშაობდა. საქმის უკეთ ორგანიზება კი „სამხედრო ცენტრის“ წევრებს არ დასცალდათ.

შსს არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით, „სამხედრო ცენტრის“ ყველაზე აქტიურ წევრებად პოლკოვნიკები - როსტომ მუსხელიშვილი და ივანე ნარიკელაძე ჩანან. სხვებთან შედარებით, ასევე აქტიურობდა გენერალი ვარდენ წულუკიძე.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „სამხედრო ცენტრის“ საქმესთან დაკავშირებულ პირთა უმეტესობა 1923 წლის 3 მარტს დააკავეს: ანდრონიკაშვილი, მუსხელიშვილი, გულისაშვილი, კლიმიაშვილი, ქუთათელაძე, ყარალაშვილი. მოგვიანებით დააპატიმრეს: ჩრდილელი (9 მარტს), ბაგრატიონ-მუხრანელი (13 მარტს), მაჭავარიანი (13 მარტს), ჭიაბრიშვილი (2 აპრილი). გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1922 წელს დააპატიმრეს და აღარც გაუთავისუფლებიათ (მაგ. წულუკიძის, ხიმშიაშვილისა და მაჭავარიანისგან განსხვავებით) კერესელიძე.

საქმეებიდან ვიგებთ, რომ დაპატიმრებულთა დაკითხვებს ესწრებოდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები: მოგილევსკი, პანკრატოვი და სხვ.

სამწუხაროდ, შსს არქივში დღეს დაცული დოკუმენტები არ იძლევა საშუალებას, გაირკვეს ერთი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი - საიდან გაიგო საბჭოთა ხელისუფლებამ „სამხედრო ცენტრის“ არსებობის შესახებ. ეს საკუთარი აგენტურისგან შეიტყო, თუ ღალატს ჰქონდა ადგილი.

ისტორია სწავლობს წარსულში მომხდარ ფაქტებს და ვერ იძლევა ზუსტ პასუხს კითხვაზე - რა მოხდებოდა, საბჭოთა ხელისუფლებას „სამხედრო ცენტრი“ რომ არ გაენადგურებინა. თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაღალი დონის სამხედროებისგან დაკომპლექტებული „სამხედრო ცენტრი“, თუკი შეძლებდა მუშაობის სწორად და ეფექტურად ორგანიზებას, გაცილებით უკეთ მოამზადებდა ანტისაბჭოთა აჯანყებას (რამდენად საკმარისი იქნებოდა ეს წარმატების მისაღწევად, სხვა საკითხია). „სამხედრო ცენტრის“ წევრთა დაპატიმრება დიდი და გამოუსწორებელი დარტყმა იყო იმ დროს საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. თუნდაც იმიტომ, რომ ამის შემდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადება, ფაქტობრივად, პოლიტიკოსთა ხელში გადავიდა, რომელთაც სამხედრო საქმის ბევრი არაფერი გაეგებოდათ.

შსს არქივის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების გაცნობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ როდის და რა ვითარებაშია ისინი შექმნილი. საქმე გვაქვს დაპატიმრებულთა ჩვენებებთან, რა დროსაც ისინი სხვადასხვა მიზეზთა გამო ცდილობდნენ, ბოლომდე არ ეთქვათ სიმართლე და სხვაგვარად წარმოეჩინათ რეალობა. ამის კარგი მაგალითია როსტომ მუსხელიშვილის საქმე. თავის ჩვენებებში მუსხელიშვილი ემიჯნება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ყოველივეს იძულებად და შეცდომად მიიჩნევს. თავს საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერად წარმოაჩენს. ეს მაშინ, როდესაც იმავე საქმეში დაცული აგენტურული მონაცემებიდან სრულიად საპირისპირო ვითარება ისახება. სხვა მრავალი წყაროც (მაგ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, ალექსანდრე სულხანიშვილისა და დაპატიმრებულთა მიერ არაერთგზის დასახელებული დავით (დათა) ვაჩნაძის მოგონებები) ადასტურებს, რომ პოლკოვნიკი მუსხელიშვილი ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. მუსხელიშვილის ჩვენებებიდანაც კარგად ჩანს, რომ ის რეალურად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ეხმარებოდა. როდესაც მან შალვა ფავლენიშვილის რაზმს (ბანდას, როგორც ჩვენებაში უწოდებს) აუკრძალა ჩოლოყაშვილთან წასვლა, ამით მან, ფაქტობრივად, გადაარჩინა ის განადგურებას, რადგან ქაქუცას აჯანყება უკვე თითქმის ლიკვიდირებული იყო. ასევე, როდესაც ის საბჭოთა ხელისუფლებას ურჩევს, არ

გამოიყენოს ჯარი „ბანდების“ (რეალურად კი პარტიზანული რაზმების) წინააღმდეგ, ანდა როდესაც სთავაზობს, არ დახვრიტონ „სამხედრო ცენტრის” წევრები.

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ არსებობს წინააღმდეგობები სხვადასხვა პირთა ჩვენებებს შორის. შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა: ვარდენ წულუკიძის ჩვენების თანახმად, „სამხედრო ცენტრის“ თავმჯდომარე გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი იყო. თავად გენერალი ანდრონიკაშვილი კი დაკითხვისას ამბობს, რომ „სამხედრო ცენტრში“ მხოლოდ სამხედრო საქმის სპეციალისტ-ექსპერტად იყო მიწვეული; რამდენიმე ჩვენებაში აღნიშნულია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა საარტილერიო ბატარეას, სადაც დიმიტრი ჩრდილელი მსახურობდა, ულტიმატუმი გაუგზავნა. თავად ჩრდილელი კი ამბობს, რომ არავითარი ულტიმატუმი არ ყოფილა, ბატარეაზე თავდასხმის შესახებ მხოლოდ ხმები დადიოდა.

ასევე ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტია ის აგენტურული ცნობები, ასე მრავლად რომ არის დაპატიმრებულთა საქმეებში.

შსს არქივის თანამშრომელთა მიერ საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი დოკუმენტები მეტად ძვირფას ცნობებს შეიცავს არა მხოლოდ „სამხედრო ცენტრთან“ დაკავშირებით, არამედ ზოგადად იმ დროს არსებული ვითარების შესახებაც.

დღეს საზოგადოებისთვის თითქმის უცნობია ის ფაქტი, რომ 1922 წლის აპრილის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებამ ოცამდე ქართველი სამხედრო პირი დააპატიმრა. მათი დაპატიმრება გენუის საერთაშორისო კონფერენციის წინ მოხდა და პრევენციული ხასიათი ჰქონდა. მთავრობა თავს იზღვევდა შესაძლო გამოსვლებისგან. დაპატიმრებულები მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც 1-მა და 26 მაისმა ჩაიარა. ინფორმაციები ამ ფაქტის შესახებ დაცულია ვარდენ წულუკიძისა და ალექსანდრე მაჭავარიანის საქმეებში, რომლებიც დაპატიმრებულთა შორის იყვნენ.

როსტომ მუსხელიშვილის საქმეში მეტად მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ 1922 წელს ფშავ-ხევსურეთში მოწყობილი აჯანყების (ზოგ საქმეში დუშეთის აჯანყებად მოიხსენიება) შესახებ. მათში კარგადაა ასახული, თუ რას გეგმავდა ხელისუფლება აჯანყების ჩასახშობად, რა ძალები მონაწილეობდა საბჭოთა მხრიდან, ვინ ხელმძღვანელობდა მათ და ა.შ.

არანაკლებ საინტერესოა ცნობები ე.წ. გორის აჯანყების შესახებ. ირკვევა, რომ 1922 წლის სექტემბრის ბოლოს, მაშინ, როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავის „შეფიცულებთან“ ერთად, ფშავ-ხევსურეთში საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა, მის დასახმარებლად გორის მაზრაში სამხედრო გამოსვლა იგეგმებოდა. ამის შესახებ საინტერესო და მეტად დაწვრილებითი ცნობებია დაცული სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელისა და ფარნაოზ ყარალაშვილის საქმეებში, საიდანაც დგინდება: თუ ვის უნდა ეხელმძღვანელა გამოსვლისთვის, რამდენი კაცისგან შედგებოდა რაზმი, რა შეიარაღება ჰქონდათ, როგორი გეგმით უნდა ემოქმედათ, რატომ აღარ მოხდა გამოსვლა და სხვ.

უაღრესად საინტერესოა და მნიშვნელოვანი გენერალ წულუკიძის საქმეში არსებული დოკუმენტი - ქართველი ბოლშევიკის, ლევან ღოღობერიძის მიერ 1921 წლის 21 აგვისტოს დაწერილი საიდუმლო მოხსენება. ამ დოკუმენტიდან კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით უკმაყოფილო იყო მოსახლეობის ყველა ფენა. ისინი ემიგრაციაში წასული კანონიერი მთავრობის დაბრუნებას ელოდნენ და შეიარაღებული გამოსვლებისთვისაც ემზადებოდნენ.

საინტერესო ცნობებია შემონახული იმ საბრალდებო დასკვნაშიც, რომელიც ალექსანდრე ანდრონიკაშვილის საქმეშია დაცული. ამ დასკვნაში დასახელებულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამომსვლელთა სავარაუდო რაოდენობა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით.

დოკუმენტებიდან კიდევ ერთხელ და ძალიან ნათლად იკვეთება, რა დიდი როლი ჰქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს იმდროინდელ ეროვნულ მოძრაობაში.

დოკუმენტები საინტერესო ცნობებს შეიცავს დაპატიმრებულთა პირადი ცხოვრების შესახებაც. დგინდება მათი ბიოგრაფიის აქამდე უცნობი დეტალები. მაგალითად, აქამდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო, რომ სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი 1918-1921 წლებში სახალხო გვარდიის ცხენოსანი ასეულის (ესკადრონი) უფროსი იყო; დიმიტრი ჩრდილელი პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ იმყოფებოდა გერმანელებთან.

დოკუმენტებიდან ვიგებთ იმასაც, თუ რა მძიმე სოციალურ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების „კლასობრივ მტრებს“ და მათ ოჯახებს. მაგალითად, კოტე აფხაზი ანკეტის შევსების დროს დასმულ კითხვაზე, თუ რა საშუალებით ცხოვრობს, პასუხობს - ნივთების გაყიდვითო. იმავე კითხვაზე ლევან კლიმიაშვილი პასუხობს - მამის შემოსავლითო. ვარდენ წულუკიძე ცოლის შემოსავლებით ცხოვრობდა. დაპატიმრებულთა ოჯახების უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის წარმოსადგენად საკმარისია გავეცნოთ იასონ კერესელიძის საქმეში დაცულ მისსა და მისი მეუღლის წერილებს.

სამწუხაროდ, ამ დოკუმენტებიდან ისიც ნათელი ხდება, თუ რამდენი აგენტი და დამსმენი ჰყავდათ იმ დროს საბჭოთა სპეცსამსახურებს და რაოდენ საჭირო ინფორმაციას აწვდიდნენ ისინი ხელისუფლებას.

რა თქმა უნდა, გამოქვეყნებული დოკუმენტები ყველაფერს ნათელს ვერ მოჰფენს და საქმეებში დაცული მასალების გაცნობისას ჩნდება კითხვები, რომლებსაც დღეს არსებული მასალების მეშვეობით ბოლომდე ამომწურავ და ზუსტ პასუხს ვერ გავცემთ. მაგალითად, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის საქმეში არსებული საბრალდებო დასკვნის მიხედვით, რომელიც 1923 წლის 15 მაისით თარიღდება, დახვრეტა მიესაჯა გენერალ იოსებ (სოსო) კონსტანტინეს ძე გედევანიშვილსაც (გედევანოვს). სხვადასხვა ჩვენებებიდანაც დგინდება, რომ გენერალი გედევანიშვილი მონაწილეობდა „სამხედრო ცენტრის“ საქმიანობაში, თუნდაც საწყის ეტაპზე. მიუხედავად ამისა, საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური განაჩენის თანახმად, ის უდანაშაულოდ ცნეს და გაათავისუფლეს. რამ გამოიწვია განაჩენის ასეთი ცვლილება, უცნობია.

ასევე საინტერესოა პოლკოვნიკ ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის ბედიც. საქმეებში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ ის „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო. ჩვენებებიდან ისიც ცხადი ხდება, რომ უკვე იმ დროს არსებობდა მოარული ხმები პოლკოვნიკ ნარიკელაძის ჩეკას აგენტობის შესახებ (საინტერესოა, რომ თანამედროვე მკვლევართა ნაწილი სწორედ მას აბრალებს „სამხედრო ცენტრის“ გაცემას). საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ ოფიციალურ განაჩენში ნარიკელაძე საერთოდ არ არის ნახსენები. როგორც შსს არქივში დაცული სხვა საქმეებიდან ირკვევა, ის მოგვიანებით, 1924 წელს დახვრიტეს, რისთვისაც მოსკოვიდან გამოითხოვეს საგანგებო ნებართვა (თავისთავად, ესეც ძალიან საინტერესო ფაქტია).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ახლად გამოქვეყნებული დოკუმენტები მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს და მათი გაცნობა ძალიან საინტერესო იქნება არა მხოლოდ მეცნიერ-მკვლევართა და ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვისაც.

საბჭოთა ხელისუფლება ძალიან ცდილობდა, დავიწყებას მისცემოდა ქართველ მამულიშვილთა სახელები, თუმცა სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა. დაინგრა საბჭოთა იმპერია, აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და შთამომავლობამ ღირსეულად დააფასა სამშობლოს თავისუფლებისთვის ზვარაკად შეწირულ მამულიშვილთა ხსოვნა და ამ დაფასებაში თავის წვლილი მიუძღვით შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის თანამშრომლებსაც.

პროფ. მიხეილ ბახტაძე.

1923 წლის მაისი იწურებოდა...

რაღაცნაირი დილა იყო, ჩამქრალი.

გაზაფხულისთვის ჩვეული ფერთა სიუხვე სადღაც გაუჩინარებულიყო და მტრედისფერ სისხამს შავ-თეთრი კონტური ახვევდა სამგლოვიარო სამკლაურს.

მოჟამული სევდის თალხი ემოსა მთაწმინდას.

უცრემლოდ ტიროდა მამა დავითიც.

ავად დაასისინებდა ორკაპა ენას გაზაფხულს ვერნაჩვევი ქარი, თითქოს სუბსარქისს ფეხი გარეთ დარჩენოდაო.

რაღაც ხდებოდა!

გასროლა... ერთი, ორი, სამი... თხუთმეტი...

ეხომ გაკვეთა რიჟრაჟი, სადღაც რაღაც ჩაწყდა თუ მოწყდა, და შეიკუმშა.

მოცელილივით დაეცა ძირს სუფთა სისხლის ულაყებივით ნარჩევი, საჯიშე და საჯილაგე თხუთმეტი ქართველი ვაჟკაცი...

და მოკვდა...

მთელი სამყარო მოკვდა...

ჟანგიანი ღრჭიალით გაჩერდა დედამიწა.

დრო გაიყინა.

სინათლის ბჟუტიც ჩაილია, ღამემ შეჭამა.

დაბნელდა...

მორჩა...

ჭირისუფალში თავჩაქინდრულნი იდგნენ ვერხვები.

1923 წლის მაისი იწურებოდა...